

899.962.1-32

გამომცემი გამანგობი.

საქართველოს  
გამანგობი




# ხალხური

# ფლავრები

ქართული მხარეები

F 121  
4

თედო ჩაჩიკაშვილის-მიერ.



თბილისი

თბილისის სტამბა წგ. გამომც. ქართ. გამანგობი.

1909

II, 206, 229. (26x16), (ა.ბ.7.)

# ს ა რ რ ე პ ი

	გვ.წ.
1. ზღაპარი დასავლეთის და აღმოსავლეთის ხემწიფისა . . . . .	3
2. საწყალი კაცის ამბავი . . . . .	4
3. სამი ღლის ხემწიფე . . . . .	6
4. ფისასოს ზღაპარი . . . . .	9
5. არსად ღმერთია, არსად სამართალი . . . . .	13
6. მარგალიტის ქრემლი . . . . .	15
7. საწყალი კაცი და მღვდლის ამბავი . . . . .	20
8. ზღაპარი მონადირისა და დიდი არწივისა . . . . .	22
9. ჩაჩეკა . . . . .	26
10. გოგრა . . . . .	27
11. ქვრივი დედაკაცი . . . . .	28
12. ჯანაბას წამსვლელი . . . . .	31
13. ქალ-ბიჭვისი და გაქვავებული ქალაქისა . . . . .	32
18. *) პოემის ეგვილი . . . . .	39
19. ცუროდინა . . . . .	44
20. სამი და . . . . .	46
14. მუქა-ნახევარი . . . . .	49
15. სოფეგარი და გლაში . . . . .	51
16. ზღაპარი უხვირობის . . . . .	52
17. ზღაპარი ბუღბუღის ცოლისა და ქალისა . . . . .	59
21. ქალის გუი უფრო ზღა არის თუ ვაგიკაცისა . . . . .	62
22. გმირების ზღაპარი. მონადირე . . . . .	66
23. დათვი და მელა . . . . .	70
24. დათვი და მელი . . . . .	72
25. მელის ბერად შედგომა . . . . .	75
26. მელი, მამალი, მატყანი და ჩიტი . . . . .	78
27. დათვისა, მელისა და მელიის ამბავი . . . . .	77
28. ნახევარ-წილის ამბავი . . . . .	80
29. მღვდლისა და იმის ქალის ზღაპარი . . . . .	81
30. ზღაპარი ივანე ცისკრისა . . . . .	83
31. აბრაყს წყარო . . . . .	89
32. ზღაპარი გამოსენა . . . . .	91
33. ღვთის ვალი . . . . .	92
34. სამი ქსელი . . . . .	94
35. ეშმაკის და იმის შევირდების ამბავი . . . . .	95
36. პური და ხენა-თესვა . . . . .	97
37. სოფელგარის შეილი, თხოვმეტ წელიწადს რომ ბერად იყო . . . . .	98
38. ქურდი და თული . . . . .	101
39. ხემწიფისა, იმისი სამი ქალისა და გაქვავებული ქალაქისა . . . . .	103
40. ეშმაკის ლაგამი . . . . .	106
41. მუხა-გლეჯია სიდედროსა და სიმამროსა . . . . .	108
42. ხელი მისისა და ერთი ღისა . . . . .	110
43. ზღაპარი მღვდლისა და პელისი . . . . .	113
44. და-ამობახე . . . . .	114
45. მუქა-ნახევარის ზღაპარი . . . . .	116
46. ორი მონადირე . . . . .	119
47. ორი სოფელგარი . . . . .	119
48. ხემწიფის შეილისა და ხემწიფის ამბავი . . . . .	120
49. დედამირის შეილი . . . . .	121
50. მიწა თავისას მოიხობეს . . . . .	128
51. პატრონანი მცხებარე . . . . .	130
52. ნახევარ-ქათმის ამბავი . . . . .	132

\*) სამი ზღაპარი: № № მე-18, მე-19 და მე-20 შედგომით წინა მოქცეული.



53. ტუშელის ზღაპარი . . . . .	183
54. ორი მელისის ზღაპარი . . . . .	184
55. საიქიოს ზღაპარი . . . . .	185
56. სოფდაგრის შვილი . . . . .	189
57. გლაძების ამბავი . . . . .	141
58. იღბალი . . . . .	143
59. გლეჯაკის ამბავი . . . . .	145
60. მელიის ზღაპარი, იერუსალიმს რა წავიდა . . . . .	147
61. ამბავი მელიისა, თუ როგორ მოაჩინა კაცი დათვსა . . . . .	149
62. ნათლია ყვავი და მუღია . . . . .	150
63. სამი მტვეანი ყურძნის ამბავი . . . . .	152
64. გათრეული ცხვარი . . . . .	154
65. ვადმოცემა ალექსანდრე მაკედონელზედ . . . . .	155
66. სოლომან ბრძენზედ . . . . .	158
67. სოლომან ბრძენი და ქრისტე ღმერთი . . . . .	159
68. სოლომან ბრძენი და ბუ . . . . .	160
69. სოლომან ბრძენი და ბერიაკი . . . . .	—
70. რქიანი ხემწიფე . . . . .	162
71. თამარზედ . . . . .	163
72. ლელქაში და კაცის მკლელი . . . . .	164
73. ფაშისთან მიხარებული ფული . . . . .	—
74. თათარი და ხალოცავი . . . . .	165
75. თხერი კაცი . . . . .	166
76. „დღეს ეს შეყოფა და ხვალ ღმერთი მომცემსო“ . . . . .	169
77. მანის ანდერძი . . . . .	169
78. ნაამბობი ჩოფოლა-მონადირისა . . . . .	170
79. ორი ცრუბუნტელა . . . . .	172
80. „ბედი-ვარ“-ისა . . . . .	174
81. ხემწიფე და „თხებით საესე უფლის ეწინა“ . . . . .	178
82. „ლომითს ქოთანი რა წესრუბებს, რას ამბობსო?“ . . . . .	182
83. უსამართლოთ მისამართი . . . . .	184
84. ნაქარ-ჭექია . . . . .	186
85. ამბავი მხეთუნამავი ქალისა და იმის ძაძისა . . . . .	188
86. ლურჯასი . . . . .	190
87. ვრთი ლიტრის ამბავი . . . . .	194
88. ია ხათუნისა . . . . .	196
89. მღვდელ ლელუაშვილი . . . . .	200
90. დამშობის ძალი . . . . .	203
91. სოფდაგრის და იმის შვილისა, კანაქ ნახევრის დოვლათი რომ დაქვეა . . . . .	205
92. მეცხვარე ბრმა დევისა და ფეჭრის შვირდია (ქანალ-მებატენი) . . . . .	208
93. სამი ძმისა, ბოზი ცოლები რომ ჰყვანდათ . . . . .	214
94. კირბალელისა და ხერტელის ამბავი . . . . .	219
95. პოლცავის საჩუქარი . . . . .	221
96. ზღაპარი ტიტველი მგლისა . . . . .	225
97. ასარი, მასარი, ყურ-ჭეღანასი . . . . .	229
98. მომუცო და მარილის ქვა . . . . .	231
99. მონადირე . . . . .	234
100. ხემწიფის ქალისა, ავაზაკებმა რომ გაატყვეს . . . . .	237
101. ბავაყის ქალისა . . . . .	239
102. როსტომი . . . . .	243
103. ბეწვისა, როსტომისა, გივისა და გოდურძისა . . . . .	252
104. სოლომან ბრძენი და მენაზირე . . . . .	262
105. ლეგენდა ილიახელ . . . . .	264
106. შუქურ-ვარსკვლავი . . . . .	—
107. ლეგენდა თამბაქოზედ . . . . .	265

ქართლში

შეპყრებილი

ზღაპრები

# 1. --- ზღაპარი დასავლეთის და აღმოსავ- ლეთის ხემწიფვისა

დასავლეთის ხემწიფემ გაუფხავა ეს აღმოსავლეთის ხემწიფეს და შეუთ-  
ვალა: ზემმა ცხენმა აქ დაიჭიებინა, და მანდ თქვენმა ცხენმა იმაკა; როდენ-  
საც კვიცი გაუჩნდეს, აქ გამომბიჭაენეთ ის კვიციო. აღმოსავლეთის ხე-  
მწიფე შესწულდა და დაფიქრდა; დაუძახა თავის ნაზირ-ვეზირს და პკითხა  
დარიგება. ვერაინ ვერ შეიტყო, თუ რასა მნიშნაედა ეს გამოკანა დასავ-  
ლეთის ხემწიფისა. ბოლოს გაეზავა აღმოსავლეთის ხემწიფემ ნაზირ-ვეზირი,  
რომ რამდენი უნდა ფული დაეხარჯათ და ეს ამბავი კი შეეტყუათ.  
ნაზირ-ვეზირი წაეიდნენ; იარეს, იარეს და ერთს სოფელში შეეიდნენ. ყვე-  
ლა სოფელში კი თხულაბდნენ წინათაც, აქაც იკითხეს ამ გამოკანაზედ, ეძებეს  
კაცი იმის გამოკნობი, და ბოლოს სოფელელებმა უთხრეს ნაზირ-ვეზირს,  
რომ აქ ერთს მენახირეს შვილი პყავს და თუ გამოიკნობს ის, თორემ სხეი  
ვერათინაო. ნაზირ-ვეზირი მაშინვე წაეიდნენ იმ მენახირესთან; მისკეს ბევ-  
რი ფული და წაიყვანეს იმის შვილი დასავლეთის ხემწიფესთან. როდესაც  
ნაზირ-ვეზირი და ეს ვაგი მივიდნენ დასავლეთის ხემწიფესთან. როდესაც  
წაღეს, ვაგმა უთხრა ნაზირ-ვეზირს: თქვენ შე მიკჩირეთ და, როდესაც მე  
ნიშანი მოგკეთ, დაუწყეთ ქალაქელების ძალლებს ხოცვაო. იმ ქალაქში ისე-  
თი ძალლები იყნენ, რომ თითო ას-ასი თუშანი ღირდა. როგორც კი ანიშ-  
ნა ვაგმა ნაზირ-ვეზირს, მაშინვე დაუწყეს იმათ ძალლებს ხოცვა. ქალაქე-  
ლები გაიქნენ მაშინვე ხემწიფესთან მოსახსენებლად, რომ ვილაც ხალხი  
მოსულა და ძალლებს გვიბოსო. ხემწიფემ მაშინვე უბრძანა, მოაყვანიანა  
ეს კაცები და პკითხა, თუ რად ჰბოდნენ ძალლებსა. მენახირის შვილმა მო-  
ახსენა: აღიდებულა ხემწიფე, აქედგან ერთს მანძილზედ ათასი სული  
ცხვარი პყანდა; უცებ მკლები გამოჩნდნენ, შეკვიფდნენ ფარაში და დაუწყ-  
ეს ცხვრებს ხოცვაო. შე ვეძახე ძალლებს: „მურავ, პრელავ, ბოთვერავ,  
მომეშვიფენითო“, მაგრამ ერთიც არ მომშველებია, და იმითომ ეხოცაო. ხე-  
მწიფემ უთხრა: „კაცო, გაგი ზომ არა ხარ, ერთს მანძილზე ძალლები რას  
გაიგონებდნენ; აბა, როგორ მოგეშვილებოდნენო!“ ვაგმა მოახსენა: „ლიდ-  
ებულა ხემწიფე, თუ აქ თქვენმა ცხენმა დაიჭიებინა, და აღმოსავლეთის  
ხემწიფის ცხენმა იმაკა, განა ეს კი შესაძლო არ არისო?!“ ხემწიფე განწყობდა  
და ვეღარაფერი უთხრა. ვაგს ბევრი ფულები აჩუქეს და გაისტუმრეს.

(გულუბ ელიამისკან გაყინლი, სოფ. თარტიხე, გორ. მხ.)

## 2. --- საწყალი კაცის აშბავი



იყო და არა იყო რა, ღეთის უყუთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საწყალი კაცი; დადიოდა გზებზედ და იძახოდა: „კეუა მაქვს და სარჩო არაო, კეუა მაქვს და სარჩო არაო“. გაიგონა ერთმა სოვდაგარმა და იფიქრა: „მოდო ერთი, ორას-სამასი თუმანი ვითომც წყალში ვადამიურია, ავიღებ, მიეცემ მეგ კაცს, და აბა, თუ კეუა აქვს, მაშინ გამოჩნდებაო“. სოვდაგარმა დაიბარა ეს გლეხი კაცი, მისცა ორასი თუმანი და უთხრა: „ოი, ეხლა სოვდაგრები სავაქროდ ეშაღდებიან, და შენც უნდა წახვიდე იმათთან და ივაქროფო“. — „კარგიო“, უთხრა საწყალმა კაცმა. როდესაც ეს კაცი მივიდა სოვდაგრებთან, იმათ დაკინეა დაუწყეს: „შენმა მზემ, შენს აღის ერთს ოთხად მოუტანო! რამ გააგვია ის სოვდაგარი და რამ მიაცივინა ამისთვის ფულიო?!“ საწყალმა კაცმა ჩაიციხა თავისთვის. სოვდაგრები მალე გამგზავრდნენ სავაქროდ, და გაყვა თან ეს საწყალი კაციც. ზღვისთან რამ მივიდნენ, სოვდაგრები ჩახხდნენ ხომალდებში, და ამ საწყალმა კაცმა კი სთქვა: „არა შობილდებო, მე ზღვას ვერ ვენდობიო“. იყიდა ერთი პატარა ნაფი, ჩაიდგა საში-ოთხი ტომარა ჩამიჩი, ჩაჯდა და კიდის ახლო დაიწყო ტურეა; თან ჩამიჩს სქამდა. ერთი მჯილი (მუქა) ჩამიჩი რომ შეეკამნა, მეორეს ზღვაში გადაყრიდა. საწყალი კაცის ნავს გარს თევზები ეხვიენენ და გაჩქარებით პულაჰედნენ ტუბილ მარცვლებს. საწყალმა კაცმა დიდხანს აქამა თევზებს ასე ჩამიჩი: „მე რა ეკამ, სხვებმაკ კამონო“, აშბობდა ისა. ბოლოს თევზებმა სთქვეს: „მოდით, ეგ რა ხმელეთის ნაყოფს გვაქმევს, ჩვენ ზღვის სიმდიდრე ვადუყაროთ, იქნება გამოადგესო“. დაყურკუმელავდნენ თევზები ზღვაში, და კოტა ხნის შემდეგ ამოიტანეს თვალ-მარგალიტით სისე პირები, და ვადუყარეს საწყალ კაცს მშრალზე. საწყალმა კაცმა უფრო ბევრი ჩამიჩი ჩაუყარა. უზიდეს და უზიდეს თევზებმა თვალ-მარგალიტი და ააგეს მთასავით კიდებედ. საწყალმა კაცმა იფიქრა: „ჩემი აშბანაგები რა მოვლენ და მნახვენ ამ სიმდიდრეს, მომკვლენ და წაიღებენ, თუ არაფერი ვიღონეო“. ადგა ეს კაცი, აიღო ნეხვი, გააკეთა ჯამებივით, ჩაყარა შიგ თვალ-მარგალიტი, დააფარა ზევითაც ნეხვი და ისე გაახშო წივად. ნეხვი რაკი გახშა, ამ კაცმა აიღო, ჩააწყო ყუთებში, და ოთხი საპალნე კარიელა წივაც შექრა. მოვიდნენ სხვა სოვდაგრებიც. ზოგს მალე ეყიდა, ზოგს ფარჩა, და ზოგს რა და ზოგს რა. სოვდაგრებმა რაკი ნახეს საწყალი კაცი და იმის წივა, დაუწყეს თავში ცემა: „შე ოხერო, თუ შენი თავი არაფრად გეზოგებოდა, აღის ფულებს მაინც გაუფთხილდებოდი; რად გინდოდა, ნეხვი რა აქედან არ წაიღო, ჩვენს ქალაქში კი კოტა არისო?!“ საწყალმა კაცმა უთხრა, რომ მე ეს მინდოდა და ეს ეიყიდე. თქვენ რაკ გინდოდათ, ის ივაქრეთო. შეკახმა აქლემები, ჯორ-ცხენები, აკიდა ეს საპალნეები და გაუდგნენ გზას. მთაზედ სოვდაგრებს თოელი მოუვიდათ. საწყალმა კაცმა მოჰხადა ორი წივიანი საპალნე, გაახურა ცუცხლი, შემოუმწყრია ირგვლივ აქლემები, ყუთები და ჩამოჯდა თვითონაც. დაიყინნენ სოვდაგრები და დაუწყეს ხეყნა წივის პატ-

რონს: „გვესესხე ერთი ორიოდ საპალნე წიგნო“. წიგის პატრონმა ცივი-  
უარი უთხრა: „თქვენცა გაქვთ საქონელი, გადმოიღეთ, დაწვით და გათბითო“.  
სოვდაგრებმა დაუწყეს ხეყნა: „აბა, როგორ დავწოთ ეს საქონელი, გვასეს-  
ხე წიგა, და ქალაქში თუნდა ერთს ხუთად მოგცემითო“. წიგის პატრონმა უთხ-  
რა: „მაშ კარგი, თქვენ ხელ-წერილი მომცით, რომ ისესხეთ ჩემგან ორი  
საპალნე იმ წიგისა, რაც მე მიტლია აქლემებს; მე მგტი არ მინდაო“. სოვ-  
დაგრებმა სიხარულით მისცეს ხელ-წერილი და გულში კი ქლანძღავ-  
დნენ. როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, სოვდაგრებმა გაგზავნეს კაცები  
ქარვასლების დასაქირაველად. წიგის პატრონის აღას კი შეუთვალეს, რომ  
შენს კვიანს კაცს ნებვი მოაქვს შენის ორისის თუშნისაო. აღას საწყალი  
კაცისაგან წინათვე ჰქონდა ნათქვამი, რომ სანამ შენის თვლით არა მნახო  
და შენის ყურით არ გაიგონო, ნუ დაიჯერებ, თუ ჩემზედ რამე ვითხრან,  
ცილის წამება იქნებაო. საწყალმა კაცმა გამოუგზავნა აღას კაცი და შემოუ-  
თვალა: „რაც კარგი ქარვასლა არის ქალაქში, ის დაიქირავეო“. დაიქირავე  
საწყალი კაცის აღამ ერთი დიდი ქარვასლა და დაუწყა მოლოდინი თავის  
მოვატყეს. მალე მოაყენა წივით დატვირთული აქლემები საწყალმა კაცმა  
ქარვასლას და უბძანა კაცებს ჩამოეხადნათ საპალნეები. აღამ ნახა, რომ იმის  
„კვიანს.. მართლა წიგა მოუტანია, და გული ჩასწყდა, მაგრამ მიინც რაღა-  
საც ელოდა და არაფერს ამბობდა. როდესაც დაღამდა, აღამ წაიყენა ეს  
კაცი სახლში: წავიდეთ, პური ეკამოთ, დაისვენე, შიამზე, რა გაპყიდე, რა  
იყიდო? ამ საწყალმა აიღო ორი ნაქვრი წიგა, გაახვიო ერთს ხელსახოცში  
და წავიდნენ. როდესაც დასხდნენ ეახშამზედ და სათლისთვის გავიდო აღა,  
საწყალმა კაცმა ვადატება ერთი წიგა და თვალ-მარგალიტი კი გაბდღვინდა.  
სახლი მზესაივით განათლდა. გამოვიდა აღა და გაკვირებულს თვალეები დაჭყე-  
ტული დარჩა. საწყალმა კაცმა უთხრა, რომ აი, ეს მოვიტანე და იმ სოვდა-  
გრებს ზევი ორი საპალნე მმართებთ ამ წიგისაო. წავიდეთ, უჩივლოთ ზემწიფეს-  
თან და წაფართყითო. მართლაც გასწიეს ზემწიფესთან, მიართყეს საჩუქრად  
ერთს წიგაში რაც თვალ-მარგალიტი იყო. საწყალმა კაცმა იჩივლა, რომ მე  
და ის სოვდაგრები ერთათ ემგზავრობდით, გზაზედ თოვლმა მოგვასწრო, იმათ  
ჩემგან ორი საპალნე ისესხეს, ხელ-წერილიც მომცეს და აი, ეხლა-კი აღარა-  
ფერს მაძლევნო. მაშინვე დაიბარა ზემწიფემ სოვდაგრები და უთხრა, რომ ამ  
კაცისაგან ორი საპალნე წიგა ვისესხნით, ხელ-წერილიც მიგოცით და ეხლა კი  
აღარ აძლევთო. სოვდაგრებმა ვაიციანეს და მოახსენეს ზემწიფეს, რომ რად უნ-  
და მგ საწყალს ზივლი, ნებეს თუნდა ერთი ხუთათ მივსცემითო. „ეს  
ნებეს კი არა, ამისთანა წიგასა ვთხოვსო“, უთხრა ზემწიფემ და აჩენა  
თვალ-მარგალიტით სავსე წიგა. სოვდაგრებმა აქ უარი სთქვეს: ჩვენ მაგის-  
თანა წიგა არ გამოგვიერთვევიაო, მაგას ვე ერთი წიგა ჰქონია თვალ-მარგა-  
ლიტით სავსე და ეხლა მსურს, რომ ჩვენ ორი საპალნე მიეცეთო. საწყალმა  
კაცმა მოახსენა ზემწიფეს: „დიდებულა ზემწიფეე, კაცები გამომაყოლენ,  
სათითაოდ დაეამტვრეთ ყველა წიგის, სოვდაგრებიც იქ იქნებიან, და თუ  
ყველაში თვალ-მარგალიტია, ხომ უნდა გადამიხადონ, თუ არ არის, და მე  
თავი მომქვრივთო.“ ზემწიფემ გაატანა კაცი, და დამტვრის სათითაოდ

ყველა წიგნა: ყველა თვალ-მარგალიტით იყო სავსე. რაღას იზამდნენ სოცდაგრები? იმათი სარჩო ნახევარ საპალნის ფასიც არ გამოვიდა და ამ საწყალშია კაცმა ეს სოცდაგრებიც მონებად წაიყვანა.

(სოფელ ქაჩნასში გაგინლია, გორის მხარა)

### 3. --- სამის დღის ხემწიფე

იყო ერთი ხემწიფე, ჰყვანდა ცოლი და ორი პატარა ვაჟი. მშვიდი და კეთილი მეფე ძალიან უყვარდა ხალხს. ერთხელ ხემწიფემ სიზმარი ნახა: მამა გამოეცხადა და უთხრა: „შვილო, შენს თავს უბედურება მოდგება და არ გაუტყდეს: აირჩიე, როდის გირჩევენია, ეხლა თუ სიბერის დროსაო? მეორე დღეს გაიღვიძა ხემწიფემ; სახეზედ დაღალვა და მწუხარება აჩნდა. ცოლმა ჰკითხა მიზეზი მწუხარებასა. ხემწიფემ უამბო შეუღლეს სიზმარი და ჰკითხა რჩევაც: რა ექნათ, რა ავირჩიოთ; ეხლავე სჯობია უბედურება, ვიდრე ახალგაზღვები ვართ, ეოდრე ჯანიც შეგვეწვეს და ღონეც; როდესაც დაებურდებით, და გამოგვეღვება ღონეც და ჯანიც, მაშინ რა გავუბედურდეთ, ველარაფეტრს ვიზამთო; ისე ისა სჯობია, მოსავალი მოვიდესო. იმ ქალაქში ერთი კაცი დადიოდა და იძახდა: „სამს დღეს ხემწიფედ ამირჩიეთ და მერე ნახეთ, რას ვიზამო.“ გაიგონა ხემწიფემ ეს სიტყვები, გადმოვიდა ტახტიდან და დასვა ის თავის ადგილას, — ვნახოთ, რას გააკეთებს, რომ იმედებს იძლევაო, როგორც კი ავიდა ტახტზედ ახალი ხელმწიფე, მაშინვე უბრძანა, გახსენით ჩემი ხაზინა და დაარჩვეთ ფულიო. ჯარისთინ მოამატებინა ჯამაგირი, მღვდლები დეკანოზებათ ვახადა, უბრალო კარის კაცები—ვეზირებათ. გავიდა სამი დღე. მობრუნდა სახლში ნახემწიფარი, მივიდა ხემწიფესთან, რომელსაც სამის დღის ვადით მისცა ტახტი, და უთხრა: „აი, გავიდა ეს სამი დღეც, და დამითმე ჩემი ტახტიო.“ ხემწიფედ მჯდომმა კაცმა უთხრა: „შე ვარ ხემწიფე და ტახტს შენ როგორ დავითმობო!“ ნახემწიფარმა უთხრა: „რაკი სიტყვისა და ფიცის გამტეხი ჰყოფილხარ, დაუძახოთ ხალხს, ეკითხოთ, და რომელიც ავირჩიოს, ის ვიჯდეთ ტახტზეო. „კარგით“, დამთანხმდა ხემწიფე. მეორე დღეს შეყრილა ჯარები, ხალხი: გამოვიდა ეს სამის დღის ხემწიფე, უჩვენა ხალხს ნახემწიფარზედ და ჰკითხა: „ვინ გირჩევენიათ ხემწიფედ, მე თუ ესაო?“ ხალხს მოჰწონდა სამის დღის ხემწიფე, რადგანაც ფულები დაურჩია იმან. და დაიყვირა: შენ გვესურხარ, შენაო! მაშინვე უბრძანა ამ სამის დღის ხემწიფემ ნახემწიფარს: „გასწი! გასწი! ვადი ჩემი სახელმწიფოდგან, როგორც შეიძლება, ჩქარა, თორე თავს მოგჭრიო.“ ადგა ნახემწიფარი, წაიყვანა ცოლი, ორი პატარა ბავშვი, გაიხვიეს ხელსახოცში პური და გაუღვინენ ზხას. მუშაობას არც ქმარი იყო დაჩვეული, არც ცოლი და კინალამ შიშპილით დაიხოცნენ. სადაც მივიდოდნენ, ითხოვდნენ და იმით ირჩენდნენ თავს. ერთხელ ცოტა პური და მწვანელი ეშოვნათ, ისტდნენ წყლის პირზედ, ხის გრილოში და სადილობდნენ. ბავშვებიც იქვე ახლოს დაბტოდნენ. უცებ



მოადგა ერთი სოფდაგარი: „გამარჯვებით!“ უთხრა ოქრო-ვერცხლში ჩაყვ  
 დარმა სოფდაგარმა და თვალი ნახემწიფარის ცოლზედ დარჩა. „უნდა ერ  
 თი სიკეთე მიყოთო“, სთხოვა სოფდაგარმა ნახემწიფარს. — „რა სიკეთის  
 ქნა შეგვიძლიანო?“ ჰკითხა ნახემწიფარმა: „ჩვენ საწყალი ხალხი ვართ, ჩვენ  
 რა შევლა შეგვიძლიან მდიდრის კაცისათვის?“ — „როგორ არა, როგორ არაო!“  
 დაატანა სოფდაგარმა: „აქ ახლოს ცოლი ავიდა მყავს, შშობიარე არის; აქ  
 ახლო-მახლოს არაინ არის, რომ უშველოს, დედაკაცი დედაკაცს უფრო  
 შეუსუმბუტებს ტანჯვას, ვიდრე კაცი; შენი ცოლი რომ მიეშველებოდეს ჩემს  
 საზღობას, კარგა ფულს მოგცემდით!“ ნახემწიფარი დაერწმუნა სოფდაგარის  
 სიტყვებს და ვაატანა ცოლი. სოფდაგარსაც ეს უნდოდა: შეისვა ცხენზედ  
 ეს ქალი და მოუსო. ვაიტაცა, ვაიტაცა! დარჩა საწყალი ნახემწიფარი თა-  
 ვის წერილი შეიღებით მდინარის პირზედ და დალონდა: რა გქნა, როგორ  
 მოველო შეიღებოსთვის? წყალში ჩაეარდნილიყო, — ბავშვებს რაღა ეშველ-  
 ბოდა? იტირა ნახემწიფარმა, იტირა და ბოლოს წაიყვანა შეიღები და  
 წაეიდა. მდინარეზედ ხიდი იყო ქვეითა ხალხისთვის. ნახემწიფარს თავის  
 შეიღებით უნდა ზედ გაველო. უფროსი ვაგი ხიდის ყურზედ დასო და  
 უმკროსს კი ზელი მოჰკიდა და ისე მიჰყავდა. უცებ საიდგანდაც მგელი  
 გამოჩნდა, მოიტაცა ეს უფროსი ვაგი და ვაატანა ტირილით. ნახემწიფარს  
 შეესმა შეიღის ტირილი, მოტრიალდა, დაინახა, რომ მგელს მოუტაცნია,  
 უშვა უმკროსი შეიღი ზელიდგან და გამოუდგა მგელს. მგელს აბა რას და-  
 ეწეოდა? დაბრუნდა, აღარც პატარა ვაგი დაჰხვდა, — წყალში ჩაეარდნილიყო.  
 იტირა ნახემწიფარმა, ივაგლახა, მაგრამ რასღა უშველიდა ტირილით? ბო-  
 ლოს ნახემწიფარი წაეიდა იმ ქვეყნის ქალაქში სამუშაოდ, რომ ლუქმა პუ-  
 რი ეშოე; ვაიგონა, რომ ზემწიფე ამენებინებს რაღასაც, და კირს მაინც  
 აეზელო. ამ დროსთვის კარგა ხანიც ვაეიდა. მივიდა ნახემწიფარი ქალაქში  
 და დაიწყო მუშაობა, კირის ზელა და ზიდვა.

—

ახლა ის შევიტყუთ, ან მგელმა რა უყო იმის ვაქს, და ან, წყალში რო  
 ჩაეარდა, იმან რა ქნა. მგელმა ბავშვით ერთს მეტხვარეს ვაურბინა გვერდ-  
 ზედ. მეტხვარე გამოუდგა ამ მგელს, ვაგდებინა ვაგი და დაუწყო შეილი-  
 ვით ზრდა. წყლის წადებული ვაგი მეწისქვილემ რუეში დაიტირა ისევ  
 ცოცხალი და დაუწყო იმასაც ზრდა. რაკი წამოიზარდნენ ცოტა ეს ვაეები,  
 უთბორეს თავის მამობილებს: „ჩვენ მადლობელნი ვართ, რომ აქნამდისინ  
 გვკვებთ, შეიღები არა ვართ თქვენი, და ერთი და მეორე; ეხლა ჩვენ თვი-  
 თონ უნდა ვიშუშაოთ, რომ პური ვიშოვოთ ჩვენის ოფლით და ვკამოთო.“  
 მეტხვარეც დასთანხმდა თავის ნაშვილობს და მეწისქვილეს. მეტხვარის  
 ნაშვილობი წამოვიდა ქალაქში და დაიწყო იქ მუშაობა, სიდაც იმის მამა  
 მუშაობდა. მეწისქვილის ნაშვილობიც იქვე მოვიდა. ორივე ვაგი მუშაო-  
 ბდა მამასთან ერთად და ვერც მამა იცნობდა შეიღებს, და ვერც შეი-  
 ლები მამას. ვაეებს კი ძრიელ შეუყვარდათ ერთმანეთი. მამა უტკერიდა  
 ზოღზე ამ ვაეებს, მოაგონდებოდა თავისი შეიღები და დაიწყებდა ცრემლის  
 ღვრას. ვაეები მხედადნენ ამას და უყვირდით, რა ატირებს ამ უცხო კაც-

სომ. მამა კოტა კირს დაუდებდა ხოლმე საზიდავებზე შეილებს და ეტყუოდა: -თქვენ, ვაჟებო, ვერ გაათავებთ, ხემწიფეს ბევრი საქმე აქვსო! - ერთხელ ხემწიფემ თვალი მოაფლო ამ სამუშაოს და ნახა ეს ბავშვები. იმათი სიპარღე, სიყოჩაღე და სიმშვენიერე შეფეს მოეწონა და ჰკითხა ჯერ უფროსს: -ვინა ხარ? გყავს დედამა თუ არაო? - „არაო“, უპასუხა უფროსმა ვაჟმა. უმცროსმაც ეს პასუხი მისცა ხემწიფეს. ხემწიფემ უბრძანა ნაზირ-ვეზირს, ეს ბავშვები სასახლეში წამოიყვანეთ, რომ შემსახურნენ ხელზედაო. ერთხელ ხემწიფემ დაიბარა სოცდაგარი თავისთან, ნარდი უნდა შეთამაშოვო. თურმე ის სოცდაგარი, ნახემწიფარს რომ კოლი მოსტაცა, ამ ქალაქში სცხოვრობდა. სოცდაგარმა უთხრა ხელმწიფეს, რომ კოლი დაეტოვე სახლში და მარტოკა შეშინდება, თუ არაინ გაუგზავნეთო. ხემწიფემ ის ვაჟები გაუგზავნა და უთხრა, რომ, სანამ სოცდაგარი არ მოვიდეს, თქვენ იქ იყავითო. ვაჟები სოცდაგარის სახლში მარტოკეები ისხდნენ. უმცროსმა ვაჟმა ჰკითხა უფროსს: რატომ ჩვენ კი არა ვკითხავთ ერთმანეთს, ვინა ვართო. უფროსმა უთხრა, რომ შე კარგად მახსოვს მამაჩემი და დედაჩემიო. მამაჩემი ხემწიფე იყო; ერთმა კაცმა წაართვა ტახტიო; მე ერთი სხვა მამა მყვანდა; დედაჩემი მამაჩემს ერთმა სოცდაგარმა მოტაცა. დარჩა საწყლად, და დაერჩით ჩვენც ობლებიო. ერთხელ, ხიღზე გასვლის დროს, მე მგელმა მიმიტაცა, ჩემი პატარა მამა წყალში ჩაეარდა, მე კი შეცხვიარემ გამაგდებინა მგელს და დამიწყობრდა. ეხლა აქ წამოველ სამუშაოთ და აი ჩემი ამბავიო. „მე შეწისჭვილემ ამოიყვანა წყლიდანაო“, უთხრა პატარა მამამ და დაუწყეს ერთმანეთს კოცნა. ეს ლაპარაკი გაეგონა იმათ დედას, სოცდაგარის კოლს, გადაეხვია შეილებს და დაუწყო კოცნა: -ჩემი შეილები ჰყოფილხართ, სად არის თქვენი მამა? არ იცით, სად არისო? - იმ ღამეს დაიწვინა შეილები, ერთი ერთის მხრივ, მეორე მეორის მხრით, და ჩაიკრა გულში. მეორე დღეს მოვიდა სოცდაგარი, დაინახა, რომ კოლს ჩაუკრავ გულში ვიღებოც დაჰკოცნის. სოცდაგარმა იცნო ხემწიფის მოსამსახურე ვაჟები და მაშინვე აფრინა კაცი ხემწიფესთან სათქმელად: „აი, შენი მოსამსახურეები რას შერებინან, კოლი გამოიპატორესო“. სთხოვა ხემწიფეს კაცები, წამოვიდნენ, ნახონ და შემრე დაახრწონო. ხემწიფემ გაატანა კაცები. მივიდნენ თუ არა სოცდაგარის სახლში, სოცდაგარმა დაუყვირა ბავშვებს: -თქვე ასეთ-ისეთებო, მე გაყურებინებთ, როგორც უნდა შეურაცხყოთ სხვის სახლიო! - „ბატონებო! მოახსენა დედამ ხემწიფის კაცებს: ეს სოცდაგარი ჩემი ქმარი არ არის; მე სხვა ქმარი მყვანდა, მან მომიტაცა და ეს შეილებიც, რომლებსაც ჰხედავთ, იმ ქრმისები არიან; მე ხემწიფესთან წამიყვანეთ, და ვისაც გაამართლებს ხემწიფე, დეე იყვეს მართალი, და ვისაც გაამტყუნებს - მტყუნანი! - კარის კაცებმა წაიყვანეს ეს ბავშვებიც, ეს დედაც ხემწიფესთან; და ყველაფერი მოახსენა ხემწიფეს დედამ, რაც მოუვიდა, ვინც იყო, როგორ გაღარიბდნენ, ან სოცდაგარმა როგორ მოიტაცა. ნახემწიფარც აქა მდგარიყო და გაეგონა ყოველივე. წარსდგა ხემწიფის წინ და მოახსენა: „ეგ ქალაც ჩემი კოლია, დიდებულო ხემწიფე, და ეგ ვაჟებიც ჩემი შეილები არიან; მაგ სოცდაგარმა უღმერთოდ მომატყუილა, - მომატაცა კოლი; მაგის გამო ორი შეილი დავკარგე, თუმცა ღმერთმა

არ დამიკარგა, და აი ესლაც შარობს, მსურს დამიხოცოს შეილები! ხემწიფე გაციკრებულნი იყო, და სოვდაგარს კიდე პირი ჰქონდა დაღებულნი, და არ იცოდა, რა ექნა. ხემწიფემ უბრძანა, მოსკერით სოვდაგარს თავი და იმის სარჩო ამას მიეცითო. ნახემწიფეარმა ისევე ტკბილად დაიწყო ცხოვრება, მაგრამ ტახტი კი აღარ მოუძებნია.

(ნაშრომი 60 წლის პერაკის საღიშონ გულიშვილისაგან. ს. ქაჩისი, გორას მხარა.)

## 4. --- ფისასოს ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ლეთის უცეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდებულნი ხემწიფე. ჰყვანდა სამი ვაჟი და სამი ქალი. როდესაც ხემწიფე კვდებოდა, შეილებს უანდერძა: „შეილებო, ეს მთელი ჩემი სახემწიფეო თქვენთენ დამიგდია; როგორც გსურდეთ, ისე მოვიარეთ, და მაგ სამს ცოდვის შეილს კი ნუ გამოუბედურებთ, — ეინც პირველმა გახოცოსთ, იმას მიეცითო“. ამასთანავე მისცა უმცროსს შეილს ერთი თვალი და უთხრა, რომ უბედურობის ღრს დაგიხსნისო. აჩვენა შეილებს ერთი შავი მთა და უთხრა: „იმ მთაზე ნუ წახვალთ, წითელსა და თეთრზედ კი შეგიძლიანთ წადირობათო.“ მოკვდა ხემწიფე; დამარხეს, როგორც ხემწიფეს შეეფერებოდა, და იგლოვეს. გავიდა ორი თვე. ერთს დღეს, კარებზედ რომ დიდი ქვა იდო. იმაზედ ბუ შემოკვდა, შეუგზავნა კაცი ძმებს და სთხოვა და ცოლად-ძმებმა უფროსმა და შუალამ მოაელეს ხელი კეტებს: წაფთხიოს იქვე, საიდგანაც მოთრეულა. ჩვენ ბუს დას როგორ მიეცემითო? უმცროსმა ძმამ კი მოაელო უფროსს დას ხელი, მამის ანდერძს ვერ გავეტებო, და მისცა ბუს. ბუმ შეისვა მხრებზედ ქალი და გაუდგა გზას. მეორე დღეს მოვიდა შველი. უფროსმა ძმებმა ისეთივე პასუხი მისცეს, როგორც ბუს. უმცროსმა კი გამოუყვანა და და მისცა. რაღა გაავარძელოთ სიტყვა, მესამე დღეს შავარდენი მოფრინდა და უმცროსმა ძმამ უმცროსი და მისცა. შავარდენმა შეისვა ქალი და აფრინდა ღრუბლებში. რაკი გაათხოვა დები, უმცროსმა ვაჟმა იფიქრა: „ეს ერთი მამის ანდერძი ხომ არ გავეტებე, და მოდი ერთი იმ შავს მთაზედ კი წაეალ და ვნახე, რა არის ისეთი იქ, რომ კაცის მავნებელი იყვესო“. ადგა მართლაც. ჩაიკვა ჯაჭვი, აისხა აბჯარი. შეჯდა ცხენზედ და გასწია. სანადიროდ. მთელი დღე ინადირა შავს მთაზედ; ვერსად სულიერი და ვერსად შვენიარე ვერა ნახა, ვერც არაფერი მოკლა. იმ დამეს იქ დადგა. მეორე დღეს იარა კიდევ და ბოლოს ერთი ტბა ნახა. შუა ტბაში ერთი ბატი დაკურაჟდა. კაცს ეგონებოდა. ან ფეხები ექნება დამტერეული და ან მხრებო. ვაჟმა იფიქრა: „რადგან სხვა ვერაფერი მოკალ. ვეცდები, ეს ბატი მაინც მოკვლა, თორემ შიმშილი ყელს ამოშოვსო“. მიჰმართა ტბას ვაჟმა და დაიწყო თოფის სროლა; მაგრამ ბატს ვერაფერი მიარტყა. თოფის გასროლაზე ის ჩაეურტუმეღივდებოდა აქ და იქ. შორს სადმე, ამოწნდებოდა. ვაჟმა იმდენი ესროლა, რომ ტყვია-წამალი სულ გაუთავდა, მაგრამ მაინც ვერ მოარტყა. ბოლოს შეჯდა

ცხენზედ და გამოუდგა ცხენდაცხენ დასაქერად, მაგრამ ბატი ისე ეშმაკურად დასურავდა, რომ ეშმაკი ვერ დაიქერდა: ხან წინ გაუსურდებოდა ცხენს, ხან უკან მოგკეცოდა, ხან ფეხებს ქვეშ, ხან შორს გაუსურდებოდა. ბოლოს ბატმა შეიტყუა ვაგი ტბაში კარგა შორს. უცებ ცხენ-კაცი ჩაიღუპა ტბაში. რალა განგებით ვაგი კიდევ გამოსურდა, მაგრამ ცხენი და აბჯარი სულ იქ დარჩა. გამოვიდა ვაგი ტბიდან გაწუწული და მშვიერი. ის იყო ღამდებოდა კიდევ. შორს სადაც ტყეში ცეცხლი გამოჩნდა. ვაგმა გასწია ცეცხლის შექყედ; იარა და იარა. ბოლოს ბუეების სოფელში მივიდა. ბუეები ჰხანგრძლინ და სთესდნენ. ვაგი მივიდა იმათთან და მიესალმა: „გამარჯვებით, ბუეებო, ბუფის ქვეყნისანო! ან სალაში, ან გამარჯვება არ იყოთ? ან ბატონი არა გყავთო?“ ბუეები კაცები ყოფილიყვნენ, მაგრამ ბუეების ტყუევები კი უკვით. — „გამარჯვებაც ვიკით და ბატონიცა გყავსო!“ უპასუხეს ბუეებმა: „ჩვენმა ბატონმა ეხლა ამომავალი ხემწიფის ქალი მოიყვანა და ეხლა ყველანი გახარებულნი ვართო!“ აბა, ერთი მაჩვენეთ, სად არის თქვენი ბატონის სახლიო, ჰკითხა ვაგმა. უჩვენეს ერთი დიდი ღამიანი სახლი. ვაგმა გასწია მეფის სასახლეში და შორიდგანვე იცნო თავისი უფროსი და. და ჩამოეგება მძას, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. გამოჰკითხეს ერთმანერთს ამბავი და დასბდნენ ტკბილად. საღამო რო მოახლოვდა, დამ უთხრა მძას: „მთავ ეხლა შენ სხვა ოთახში უნდა გახვიდე: ბუეთ ბატონი რომ მოვიდეს, ვაი თუ ან კლანჭი გამოგკრას და ან ნისკარტო.“ საღამოზედ ბუ მოვიდა. გადძრო ბუს ტყავი და გამოჩნდა მშვენიერი ვაგაკი. კოლის რო მიესალმა, ჰკითხა: „სულიერის სუნი მომდისო.“ — „შენ იფრინე ქვეყანაზედ, შენ მოგვევბოდა კაცის სუნიო, უთხრა კოლმა, აქ სხვას რა უნდოდაო?“ როდესაც კოლ-ქმარმა თამაშობა და ხუმრობა დაიწყეს, კოლმა ჰკითხა: „ეხლა რომ აქ ჩემი მძა იყვს, რას უზამილო?“ — „უფროს და შუალა მძას თვალებს გამოეჩქინ და უმკროსს კი გადაეხვევი და ვაკოცებო.“ აქ არის ჩემი მძაო,“ უთხრა კოლმა და გამოუჩინა უმკროსი ვაგი. ბუ გადაეხვია თავის ბატარა კოლის მძას და დაუწყო კოცნა. ბოლოს გამოჰკითხა მიზეზი ზოსელისა; და ვაგმაც უამბო ყველაფერი, რაც დაემართა. ბუმ უთხრა: „მე სამი წელი ვდიე იმ ბატს.— ის ბატი ქალია.— მაგრამ ვერ ვივადე ხელსაო, და აბა, შენ რას დაიქერდიო.“ — „მაშ ვერაფერს გავხდებიო?“ ჰკითხა ვაგმა. — „მე ვერაფერს გიშველიო, უთხრა ბუმ, და იჭნება მგელმა კი გასწაელოსო.“ ვაგი მგელთანაც მივიდა. მგელმაც უთხრა, რომ ორი წელი ვცდილობდი იმის დაქერას, მაგრამ ვერაფერს გავხდი: იჭნება შავარდენმა გასწაელოსო. ვაგი მგელიდან შავარდენთან წაიდა. შავარდენმაც დიდის სიხარულით მიიღო, და, როდესაც კოლის მძამ უამბო თავის თავ-გადასაყვლი, შავარდენმა უთხრა: „მაგ ბატს ტყუილადა სდევ; ეგ ბატი მზეთ-უნახავია და ბატის ტყავით დასურავსო. მე ერთი წელი ვდევდი მაგ ბატს; ცაზედ ავიღოდი, იქიდან დაიხუფლებდი, მაგრამ ბატი, როგორც კი დაინახავდა მხრის შენძრევას, ტბაში ძირს ჩაუღრდებოდა. იმას ვერაფერს დაიქერს, ერთი დევია, ცალი გვერდი გამხმარი აქვს და ცალი კოცხალი, თუ ეკოდინება, იმას ეკოდინება იმის ვარეზობაო.“ ვაგი მაშინვე წაიდა იმ დევთან. ბევრის სიარუ-

ლის შემდეგ, დაინახა, რომ ერთს გორანზედ ხესავით უხარმანარი კაცი იჯუ-  
დებულა. ვაჟმა მოუარა დევს გამზარი გვერდიდამ და უთხრა: „გამარჯვე-  
ბა, მამაო!“ აქეთ მოდიო, უთხრა დევმა, მამობა რომ არ გეთქვა, შენი  
საქმე სულად იქმნებოდაო: რა გაგიჭირდა, რომ ჩემთან გაპხედე მოსვლაო?“  
ვაჟმა უამბო თავის თავ-გადანსავალი. დევმა უთხრა: „მე დევების ხემწიფე  
ვიყავ, რვა სოლი მყავდა, მაგრამ რადგანაც ეგ ბატი ლამაზი ქალი იყო,  
მაგის მოტაცებას მოვიწოდებ. აქედგან კარგა დიდ მანძილზე იმის სახლია;  
ლამე იმ ტბიდან სახლში ბრუნდება. მივედი იმის სახლში და დავიმალე;  
მინდოდა მოტაცება, მაგრამ გამიგო; ამიტენა ქარი და სეტყვა, გამოვძვე-  
და, ის იყო, უნდა გადმოვსულიყავ იმის სამწიფარს, ერთი ფეხი ჩემს მიწაზედ  
მედგა, რომ დამკრა ქარი და გამაქვავაო. ეხლა ვინც იმ ქალთან მივა, თუ  
სტუმრულად არის, ქალი არაფერს ეტყვის; ვისაც იმისი ცოლად შერთვა უნ-  
და, სამი სიტყვა უნდა ათქმევინოს და იმას გაჟვეება ცოლად; თუ ვერ ათქმე-  
ვინებს, თავს მოჰჭრის. ნეტავი მე კი გავეჭვავებენ და ჩემს მიწაზედ ფეხი არ  
გადაშედგა, რომ ტანჯვას მოვრჩენილიყავო!“ დაუმატა დევმა. ვაჟმა მადლი  
გადუხადა და გაუღვა ზვას. იარა, იარა და მივიდა ქალის სახლში; შევიდა  
და წამოწვა ტახტზედ იმედით: „რამდენი ზღაპარი და ლექსი ვიცი, განა  
ვერ ვათქმევინებ რასმეო?“ მოვიდა საღამოზედ ქალი, და დაწვა ვაჟის  
პირდაპირ. ქალი ისეთი ლამაზი იყო, რომ ვაჟს სუ დაავიწყდა, თუ სადმე  
ან გავგონა, ან ენახა. მიდიოდა დრო, და ვაჟი მინც ვერაფერს ამბობდა.  
ბოლოს ვაჟმა სიტყვა გულში: „ეს ღამე მიდის და ხეალ თავს მოჰჭრის, თუ  
არაფერი მოვიგონეო.“ ამ დროს მოაგონდა ვაჟს მამის მიცემული თვალი და  
სიტყვა: „რაღა ოხრად მინდა ან თვალი და ან სხვა რამე, თუ კი ეხლა ვერა-  
ფერს მიშველისო!“ ამოიღო თვალი და უთხრა: „აბა, ეხლა მიშველეო!“  
ქალს ფეხებთან სანთელი ედგა. ვაჟმა თვალი სანთელთან დადო. თვალმა  
უთხრა სანთელს: — „ფისასო, ხომ ჰხედავ, ლენი ბატონები შეწუხებულე-  
ბი არიან, მოდი ზღაპარი ვიტყვათ, შევაქციოთო.“

— „რა ვსთქვათო, უთხრა სანთელმა, საღამოზედ ამანთეს, თავზე ცუც-  
ხლი მიტლია, დილაშდე დაედნებო.“ „მაშ კარგია,“ უთხრა თვალმა: „მე  
გვტყვიო“. თვალმა დაიწყო:

„ერთი მღვდელი, ერთი მკერვალი და ერთი დურგალი მიდიოდნენ.  
გზაზედ ერთს ტყეში დაუღამდათ, დაანთეს ცუცხლი და დადგნენ. როდესაც  
დასაძინებლად მოემზადნენ, სიტყვის: „მზეცმა რომ არაფერი გვაენოს, ვიყა-  
რაულაოთ“. წილი ყარეს. პირველად დარაჯობა დურგალს შეჰხედა. როდესაც  
მღვდელსა და მკერვალს დაეძინათ, დურგალმა, რომ არ დაძინებოყო,  
ამოიღო თავის იარაღები, გააკეთა ერთი მშვენიერი ხის ქალი და მიაყუდა  
ხეზედ. როდესაც დურგლის ვადა გავიდა, დარაჯობა მკერვალმა დაიწყო.  
მკერვალმა ხეზედ აყუდებული ხის ქალი დაინახა, რომ არ დაძინებოყო,  
ამოიღო თავის იარაღები და შეუტერა მშვენიერი საცმელი: შემოსა დედოფა-  
ლივით და მიაყუდა ხეზედ. დარაჯობა მღვდელს ერგო. მღვდელმა ხეზედ  
მიყუდებული ქალი დაინახა, იფიქრა: „ეშმაკი თუ არისო“, და დაუძახა:  
„ვინა ხარ, ეშმაკი თუ კაციო?“ ქალი ხმას არა სცემდა. „მე წყევლო, ვინა

ხარო?!“ გაუმეორა მღვდელმა. ქალმა პასუხი არ გასცა. მღვდელი გულადი იყო, მივიდა, მოკიდა ხელი, ცეცხლში ჩაგდება უნდოდა, მაგრამ ხელში ხის ქალი დარჩა. მღვდელი მაშინვე მიბხვდა, რაშია იყო საქმე. ამოიღო ჯვარ-საბარბა და დაიწყო ლოცვა, ილოცა და გააცოცხლა ქალი. ეხლა, ფისასო, ვის ეკუთვნის ის ქალი, ჰკითხა თვალმა, ღურგალს, მკერვალს თუ მღვდელსაო?“ — „მე რა ვიცი, თავზე ცეცხლი მიკიდა, დილაამდე გავთავლებიო“, უპასუხა სანთელმა, „მე რა იმის ჯაფრი მაქვსო!“ — ამ დროს წამოიწია ქალმა და გაჯავრებულმა უთხრა სანთელს: — „მე წყევულო, ისე არ იქცევი, თითქო ჯერ ჩემთან არა მყოფილიყვე?! უთხარ, რომ იმას, ვინც წინ-წინ შეუდგა საქმეს. ღურგალს რომ არ დაეწყო, ან მკერვალი ვის რას ჩააცმევდა და ან მღვდელი ვის ჩაუდგამდა სულსაო...“

ეს ერთი, იფიქრა ვაჟმა.

— „აბა, ფისასო, ეხლა შენი ჯერიაო!“ უთხრა თვალმა სანთელს. — „რა ზღაპრისა მცხელაო?“, უპასუხა სანთელმა: — „თავზე ცეცხლი მიკიდა, დილაამდისინ გავთავლებიო“.

„მაშ ისევ მე ვეტყვიო“, სიტყვა თვალმა და დაიწყო:

„გზას სამი კაცი მიდიოდა: ფეხმარდი, გულთ-მისანი და აქიმი. ფეხმარდს სარბენლად გული ერჯოდა. გულთმისანს უთხრა: ერთი, თუ ძმა ხარ, ჩიხედე საწუთროს ჯამში. იქნება ავად ვინმე იყვეს, ეს აქიმი წამალს მოამზადებდა, მე გავაქცევდი და მოვარჩენდიო. გულთ-მისანმა ჩიხედა ჯამში და სიტყვა: ერთს ჭვეყანაში ხემწიფის შვილი კედება და ის შეგვიძლიან მოვარჩინოთო. აქიმა მაშინვე მოამზადა წამალი. ფეხ-მარდმა მოაყრიანა დოღაბები ფეხებიდგან და მოუსო ხემწიფისკენ: მიუტანა წამალი და მოარჩინა ხემწიფის შვილი! ეხლა შენ მითხარ, ფისასო, ვინ მოარჩინა ის ხემწიფის შვილი?“

— მე რა ვიციო, უპასუხა ფისასომ, ხომ მხედავ, მე ჩემი დარდი მაქვს, ვიწვებიო. — შე წყევულო, უთხარ, რომ იმან, ვინც წამალი მიუტანაო, დაუძახა გაჯავრებულმა ქალმა სანთელს.

ეს მეორეო, სიტყვა ვაჟმა.

— აბა, ახლა შენა სიტყვი, მიუბრუნდა თვალი სანთელს: ფისასო, სუ მე ვლაპარაკობ, და შენ კი არაფერს ამბობო. — რა ლაპარაკისა მცხელავო. უპასუხა სანთელმა, თავზე ცეცხლი მიკიდა, დილაამდისინ ჩამოვდნები! — მაშ, უკაცრავად ნუ ვიქნები, სიტყვა თვალმა, და ერთს კიდევ ვიტყვიო. დაიწყო:

„გზაზედ ერთი კაცი მიდიოდა ცოლით და ცოლის ძმით. გზაზედ უამალები დახვდნენ, გაცარცეს, დასჭრეს თავები კაცებს და დაყარეს. ქალი ცალკე ქმარზედა ტიროდა და ცალკე ძმაზედა. ღმერთს შეესმა ქალის ტირილი და გამოგზავნა ორი ანგელოზი, წადით უშველეთ რამეო. ანგელოზები მოჭრინდნენ, დახდნენ მტრედებივით მკედრების ახლო მდგომ ხეზედ, ჩაადგეს ერთი შტო და სიტყვებს: მაგ ქალს რომ ესმოდეს და ამ შტოს წაუსვამდეს მკედრებს, ხომ გაუცოცხლდებოდნენო. ქალმა მართლა აიღო ეს შტო და მოუსო მკედრებს. მკედრები გაცოცხლდნენ, მაგრამ საუბედუროდ ქმრის თავი ძმას მოება და ძმისა ქმარს. ეხლა შენ მითხარ, ფისასო, ვის უნდა დარჩეს ის ქალიო?“, — მე რა იმათი ჯაფრი მაქვს, უპასუხა ფისასომ, ხომ მხე-

დავ, გაეთავდი, თავზე ცეცხლი შეკიდება, გონი შერყევა! — აი შეწყვეტ  
ლოო, უთხრა და ადგა ქალი, განა შენ ჩემს ხელში არა ჰყოფილხარ, რომ  
ვერაფერს ეუბნებო? უთხარ, რომ იმის ცალი იქნება, ვის ტანზედაც  
ქმრის თავია მიბმულიო? — „შენ ჩემი იქნებო“ დაიძაბა ვაჟმა და მოეხ-  
ვია ქალს. ვადიხადეს ქორწილი, და მორჩა ზღაპარიც.

(მოგ. ქინოს)

## 5. --- არსად ღმერთია, არსად სამართალი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი და საცოდავი კაცი. ღვთის  
განაჩენი არაფერი არ ებადა ერთის ცოლის მეტი. ხან რა საქმეს მოჰქიდებ-  
და ზელს, ხან რას, მაგრამ ერთიდანაც ვერაფერი გამოიტანა; შიშხილითა  
კვდებოდა თვითონაც და ცოლიც. ბოლოს სთქვა ამ საწყალმა კაცმა: „მოდო,  
ერთი მეც ბედსა ვედი, ყველა სავაჭროს მიდის, მდიდრდება და მე რაღა  
ღმერთი გამიწყრებაო“. სთქვა და ჰქმნა. იმ ქვეყნის სოცდაგრები სავაჭროდ  
ემზადებოდნენ: ზღვითა და ხმელთი უნდა ევაჭრათ და მოეველოთ ქვეყანა.  
საწყალი კაცი წავიდა იმ სოცდაგრებთან და უთხრა: „თქვენის ღვთის გული-  
სათვის, წამოყვანეთ, მოჯამაგირედ მანც გამოგადგებით, პურს მაჭმევთ და  
ჩამსძმევთ, დამე კი ვემსახურებითო“. სოცდაგრებს გაუხარდათ კიდევ, რადგანაც  
აქლემებს შართლა მომეღელეო დაპირდებოდა, და ეს კაცი კი თითქმის მუქ-  
თად მიჰყვებოდა. დატვირთეს სოცდაგრებმა აქლემები სხვა და სხვა სავაჭრო-  
თი, წაიყვანეს ის კაცი და გაუდგნენ ზხას. ხმელი რო გაიარეს, ზღვის მიად-  
გნენ. სოცდაგრებმა სავაჭრო გემებში გადიდეს და აქლემები ნაპირზე დატო-  
ვეს; დაუყენეს ეს საწყალი კაცი, და თვითონ კი ჩასდნენ ხომალდში და შეუდგნენ  
კურავს. როდესაც სოცდაგრები წავიდნენ, საწყალმა კაცმა აქლემებს მიანე-  
ბა თავი საძოვრად, თვითონ კი წამოწვა და ჩაეძინა. სიზმარში ერთი კაცი  
გამოეცხადა და უთხრა: „შენ რო თავი გიმეფს, მანდ რო მოვთხარო, აუარე-  
ბელს ხაზინას ამოაჩენო“. გამოეღვიძა საწყალ კაცს და ნახა, რომ აქლემები  
შეპართვიან ყანას და აობხებენ; მაშინათვე წამოხტა, მოიგლიჯა ქული, დააგ-  
ლო იქ, სადაც თავი ედო, და გაიქცა აქლემების გამოსარეკად. აქლემები  
რომ გამოჩრეკა ყანიდან, სოფელში გასწია, ითხოვა ბარ-ნიწაფი და წამოიღო.  
მოთხარა, სადაც თავი ედო, და მართლაც ამოაჩინა ერთი დიდი ოქროთი  
სახესე ქოკო. ამოთხარა, ამოამტერია, გაავსო ოქროთი ტომარა და დააჯდა  
ზედ ვახარებული. თავის ოქროიან ტომარას საწყალი კაცი ერთს წამსაც  
არა ჰშორდებოდა და შეშხაროდა, როგორც თავის ორს თვალს, მაგრამ  
იმისი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდებულა. სოცდაგრები მალე დაბრუნ-  
დნენ ვაჭრობიდან. ვახარებულმა საწყალმა კაცმა აჩენა სოცდაგრებს თავის  
ოქროიანი ტომარა და ახარა, რომ ღმერთმა მომცა, ხაზინა ვიპოვეო. სოცდა-  
გრებმა იფიქრეს: „ვაჟო, იმის მაგიერ, რომ ზღვაში ვიხეტიალოთ და დღე  
მუდამ განსაცდელში ვიყენეთ, არა ჰჯობია, რომ მოეკლოთ ეს გლახა და  
ოქრო ჩვენ გაეიყუათო?!“ სოცდაგრებმა თქვეს და უნეს კიდევ: დაიპირეს

ეს საწყალი კაცი, მოაბეს ყელზედ თოკი და ჩამოჰკიდეს. საწყალი კაცი შევედრა: ეს ზო მკლავთ, და ველარაფერს გიზამთ; თქვენც იცით, კოლიო-ოჩსულად დამარჯა და, თუნდა ვაფი გაუზნდეს და თუნდა ქალი, „არსად ღმერთთა, არსად სამართალი“ დაარქვასო. კარგო, დაჰპირდნენ სოვდაგრები და მოუტრეს უფრო ყელზე თოკი. დამხრჩალი მძოვრი კი აიღეს და ჩაფლეს ზღვის ქვიშაში, იმისი ოქრო გაიყვეს ორად და სიხარულით გასწიეს. რომ მივიდნენ თავის ქვეყანაში, დაიბარეს იმ საწყლის კაცის ცოლი და უთბრეს, რომ შენი ქმარი გზაზედ მოკვდა და შენთან დაგვაბარა, რომ ვინც უნდა გაგიჩნდეს, „არსად ღმერთთა და არსად სამართალი“ დაარქვიო. სოვდაგრებმა თვითონ იცისრეს საწყალი კაცის დამარბე და ცოტამატა ფულიც აბუქეს იმის ცოლს: „აი, ხომ ჰხედავ, ვა“, უთბრეს სოვდაგრებმა, „შენი ქმარი ჰვენ არაფერს გვიკეთებდა, მაგრამ ქრისტიანები ვართ, გვებრალები და ფულს მიტომ გაძლევთ“. სოვდაგრებმა ისე მოახერხეს საქმე, რომ საწყალი კაცის ცოლს სუ დაუკარგეს ქვეყი და მოიმადრიელეს კიდევ. გავიდა ხანი, და სოვდაგრებმაც შერჩებოდათ ნაარმვეი ოქრო, რომ საწყლის კაცის ცოლს ვაფი არ გაჰხენიყო. ვაფს ქმრის ანდრძის და გვარად „არსად ღმერთთა და არსად სამართალი“ დაარქვა. ვაფი რო წამოიზარდა, დედამ ხბორებში დაუწყო გზავნა. ერთხელ ბავშვებს ხბორები მოუდიოდათ. ერთი ხბო ჩამორჩა უკან, და ამაზნაგებმა დაუბახეს საწყალი კაცის შვილს: „არსად ღმერთო, არსად სამართალი! ხბო დაგჩა, ხბო!- ბავშვების უკან, ნადირობიდეგან ხემწიფე დაბრუნებულებიყო, და მოდიოდა; გაიგონა ბავშვების ძახილი და გაუკვირდა: „ეს რა სახელია, უნდა გავიგო, რასა ჰნიშნავსო“. დაწყო ბავშვებს და უთბრა: „მავენეთ, რომელია არსად ღმერთთი და არსად სამართალიო? ბავშვებმა უჩვენეს საწყალი კაცის შვილი. ხემწიფემ მაშინვე წაიყვანა ეს ბავშვი და ჰკითხა, ვინა გუფს, ან დედა ან მამა, ან და, ძმებო. ვაფმა უთბრა, რომ ერთის დედის მეტი არაფინა მყავსო. ხემწიფემ უთბრა, რომ შენს დედას დაუძახე აქ, უნდა ვკითხო, რად დაგარქვეს მაგისტანა სახელიო. შვილი წავიდა და უთბრა დედას. დედა შეშინდა, ეგონა ხემწიფე გამიწყრებაო. როდესაც არსად ღმერთთა და არსად სამართლის დედა მოიყვანეს ხემწიფესთან, მეფემ ჰკითხა: „რად დაარქვი შენს შვილს ეს სახელიო? ვაფის დედა შეშინდა, ეგონა დამსაჯავს ხელმწიფეო, რო ქრისტიანული სახელი არ დაგარქვიო, ჩაუვარდა მუხლებში და შევედრა: — გვაპატიე, დიდებულო ხემწიფე, ქმარი მომიკვდა სხვაგან და იმას დავედო ანდრძად, ეს სახელი დაარქვიო“. ხემწიფემ გული გაუმაგრა ვაფის დედას და გამოჰკითხა ყველაფერი, რაც რამ კი იცოდა იმ ადამიანმა ქმრის შესახებ. ხემწიფემ ეჭვი აიღო იმ სოვდაგრებზედ. მაშინვე დაიბარა ორივე და ჯერ ერთი შეიყვანა სახლში და ჰკითხა: „შე შენ პატროსან კაცად გოცნობ, ვიცი, შენი ამაზნაგი გაკდენდაო, რა უყავით იმ საწყალ კაცს, თქვენთან რომ იყო სავაქრო-დაო“. სოვდაგარმა მართლა გაუხსნა გული და მოუყვა ყველაფერს, რაც მოხდა. რასაკვირველია, თავდათვე დამნაშავედ მეორე სოვდაგარი გამოიყვანა. „კარგო“, უბასუხა ხემწიფემ და ბრძანა იმის ცოლს ოთანში გაყვანა. შემოიყვანეს მეორე სოვდაგარი. ხემწიფემ იმასაც ისე ჰკითხა, როგორც



პირველს. იმანაც მეორეს დააბრალა. მეფემ გამოიყენა ორივე სოციალისტი, მოაქრუნა იმათთვის თავები, და იმათი საჩხო არსად ღმერთთა და არსად სამართლის დარჩა.

## 6. --- მარგალიტის ცრემლი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყენენ, სცხოვრობდნენ ერთად ორნი ძმანი. ორნივე კოლიანები იყვნენ, მაგრამ ერთს ჰყვანდა შვილები და მეორე კი უშვილო იყო. კარგა ხანს სცხოვრობდნენ ერთად უშფოთრად და ტკბილად. მაგრამ წამოეხარდნენ შვილები ამ ერთს ძმას, და იი, შედის კოლი ქმართან და ეუბნება: „უნდა შენს ძმას გაეყარო, დაბერდა, რაღას გეარგიაო“. ქმარი გაუუყარდა კოლს: „რას ამბობ, დედაკაცი, ღმერთს რად აწყენინებ? დაბერდნენ, ეხლა საღლა წაელენ? სანამ ახალგაზღვები იყენენ, შრომობდნენ ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის, მაშინ არ ვერგებოდით და ეხლა ვინდა მავათი მოშორება, როდესაც ჩვენი საცხოვრებელი გახდნენო“. — „არ იქნება და არ იქნება, თუ არ გაეყრები ძმას, მე წავალ და წყალში თავს ჩაეხრჩობო“. რაღას იზამდა საწყალი კაცი? წავიდა და უთხრა ძმას. უშვილო ძმა ძრიელ დაღონდა და უთხრა: — „რად უნდა გამავლო, ძმაო, ამ სიბერე-სიკვდილის დროს? შენი ძმა ვარ, კოლვად დაგვდება; თუ იმასა ჰყოქრობ, რომ შეგეკამ რასმე, ჩემი წილი მე კი არა, მთელს ოჯახს ვყოფიო; შვილები არა შეავ, ჩემს წილს განა სამარეში წაიღებ, შენს შვილებს არ დაუგდებო?!“ — „რა ვქნაო, უთხრა ძმამ, შენი რძალი მგანზეა ვადამდგარი: თავს მოვიკლავო, ამბობს, თორემ მე, ხომ იცი, არ შესიამოენება შენი მოშორებაო“. რაღას იზამდა უშვილო ძმა? წავიდა, უთხრა კოლს და მეორე დღეს გაუდგნენ გზას უპირაიოდ. იარეს, იარეს და მივიდნენ ერთს ტყეში. ეძებეს თავის შესაფარები, მაგრამ გავიდა ორისამი დღე და ვერსად იპოვნეს. მესამე დღეს ერთი სახლი ნახეს; შიგ არიან არ იყო, ღვინო და პური კი რამდენიმე წლის საკმაო იყო; ბერიკაცი თავის კოლით შევიდა იმ სახლში, დადგა შიგ და სთქვა: „პატრონი დევი მოვიდეს, დაგვხუცოს და მოგვიარჩინოს ტანჯვასაო“. გავიდა თვეები, მაგრამ პატრონი არავინ გამოჩენილი. კაცმა და დედა-კაცმა დაიწყეს ცხოვრება ახალს სახლში და ახალს ქვეყანაში. ბერიკაცი და დედაკაცი ტკბილად სცხოვრობდნენ, მაგრამ ზოგჯერ კი დაიწყებდნენ ჩივილს: „ვინ დაგვმარხავს, ვინ დაგვიჩუქავს თვალებს, რო დავიხოცებითო“. გავიდა რამოდენიმე თვე, და ერთხელ ამ დედაკაცმა იგრძნო, რომ მუცელში ბავშვმა შეითამაშა. დედაკაცი დაღონდა, წავიდა ქმართან ტირილით და ქვითინით. ქმარმა რაკი დაინახა მტკიარალი კოლი, ჰკითხა ტირილის მიზეზი. კოლმა უთხრა: „შენც ხო იცი, შენთან ვარ დაბერებული, რომ მე არც შენი მოლაღატე ვარ და არც ვყოფილვარ; თუ ეპყვს რასმეს აიღებ, ვიზედ რას იფიქრებ, ვინ არის აქ? ან რაღა ჩემი შვილისნობის დრო არის?“


მაგრამ ეს მატირებს, რომ არც არაფერი შენგან ვიცი, ეს ხუთი-ექვსი წელია, და აი ესაა კი დაეორსუდლიო“. „ნუ იჯავრებო, უთხრა ქმარმა, ღმერთი როგორც გააჩენს კაცს, ისე დააჩენსო; ალბად, ღმერთი გვაძლევს და ამა ჩვენ როგორ უარყოფითო?“ მართლია მოკლე ხანში გაუჩნდა მოხუცებულ დედაკაცს მშვენიერი ქალი. მოხუცებულებმა დაუწყეს ზრდა, მაგრამ მალე მონათვლის დრო მოვიდა, და ამა სად იშოვნინდნენ ან მღვდელს ან ნათლიას? ღმერთმა კი როგორც მისცა ქალი, ისე მღვდელიც და ნათლიაც გამოუგზავნა. ღმერთმა გამოგზავნა სამი ანგელოზი მტრედის ფრად ქალის მოსანათლავად. ანგელოზებმა დასხდნენ ბერიკაცის კარებზედ, ჩამოსხდნენ ძირს; ერთი მტრედი მღვდლად იქცა, ერთი დიაკვნად და ერთიც ნათლიად. ბერიკაცს ძლიერ გაუხარდა, რომ მღვდელ-დიაკვანი სახლში მიუვიდა, და უბრძანა მისინვე ცოლს ყველაფრის მომზადება. ქალი რომ მონათლეს, მღვდელმა ჰკითხა ნათლიას: „შენ რას დაანათლებო?“ ნათლიამ უთხრა: — „დეე, ზემო ნათლულმა რომ იტიროს, ცრემლად მარგალიტი აფრქვიოსო“. დიაკვნმა სთქვა: „როდესაც გაიცინებს, ისეთი ვარდი და ია გადმოჟეიდეს პირიდგან, რომ სიკედლიად მისული გამოაბრუნოს იმათ სუნმაო“. „მაშ მე ისეთს ყელზე სადებს კრიალოსანს დაეანათლებ, რომ სანამ ის ედება ყელზედ, იცოცხლოს, და როდესაც მოიხსნას, მოკედესო“, სთქვა მღვდელმა. გაათავეს ეს სიტყვები ანგელოზებმა და გაჰქრნენ. დაჩნენ გაკვირვებულნი და გახარებულნი მოხუცებულები. დაუწყეს ცოლმა და ქმარმა ქალს ზრდა. ერთხელ ბავშვმა რაღაზედაც იტირა და გადმოშალა მარგალიტი. ბერიკაცმა აკრიფა, წაიღო ქალაქში და უყიდა ქალს ტანისამოსიც, საგებ-სახურაიც და სხვა და სხვა ქალის მორთულობაც. ამ რიგად, როდესაც იტირებდა რაზედმე ქალი, ცრემლად მარგალიტი სცივოდა. გამდიდრდა ბერიკაცი და გაუყვია ქალს მშვენიერი სახლი. დროც გავიდა; ქალიც გაიხარდა და მოიყარა თოთხმეტ-ხუთმეტის წლისა; ისეთი ღამეა იყო, რომ იმის მნახველს წუთის სოფელი დაეიწყებოდა.

## II

მრთელ იმ ქვეყნის ხემწიფის შვილი სანადიროდ წამოსულიყო იმ ტყეში, სადაც ბერიკაცის სახლი იყო, და წამოეყვანა თან ნაზირ-ვეზირიც. მთელი დღე ინადირებს ხემწიფის შვილი, ვერაფერს მოჰკლავს ერთის ხობბის მგტს; ეტყვის საღამოზედ ნაზირ-ვეზირს: „თქვენ უნდა წახვიდეთ, ეს ხობობი სადმე შემეწოთ. ამაღამ აქ უნდა დაერჩეთ; ხვალ თუ არაფერი მოვკალ, სრცხვილით ქალაქში როგორ დავბრუნდებოა“. ნაზირმა წაიღო ხობობი და წავიდა ბერიკაცის სახლში. ბერიკაცმა დიდის სიამოვნებით მიიღო ხემწიფის შვილის ნაზირი, გაუმასპინძლდა კარგათ და ჰკითხა, რატომ თუ ამხანაგები გყენდნენ, ისინიც არ მოვიდნენო. ნაზირმა უთხრა, რომ მე ხემწიფის შვილის ნაზირი ვარ და ეს ხობობი უნდა შეუწვია ბატონის შვილსაო. ბერიკაცს უნდოდა ხობბის გამოართმევა და შეწვა, მაგრამ ნაზირმა უთხრა, მე თვითონ უნდა შევწვაო. გაახურეს ცეცხლი, ააგო შამფურზეც ეს ხობობი და დაუწყო წვა. ამ დროს ბერიკაცის ქალიც შემოვიდა. ნაზირს ზედ



დაჩა თვილები. ქალი იდგა, ნაზირი იმას შესკვროდა და ხოლო ნაზირი ვარზედ კი დაეწო. წამოუღო ნახევარზედ დამწვარი ხოხობი თაყვანის შვილს. ხემწიფის შვილმა კითხა: „რა გიქნია, რაზედ დაგიწვამს ეს ხოხობიო? ბატონიშვილო, რა შექნა, ბერიკაცი მშვენიერად გამიმასპინძლდა, მთხოვა თქვენი ბატონი ექ მობძანდესო, ხოხობსაც აქ მოუზრაკეთო, მაგრამ მე არ დავთანხმდი, მინდოდა მე თვითონ შემეწო, დავიწვე კიდევ ხრაკვა, მაგრამ იმ ბერიკაცს ერთი ქალი ჰყოლია, გამოვიდა ის, და მეც ვეღარ მოვაშორე თვალი, და აი ხოხობიც დამეწეაო“. ხემწიფის შვილი ნაზირ-ვეზირით წავიდა ბერიკატთან. ბერიკაცი ძლიერ გულ-გახსნით დაუხედა ხემწიფის შვილს და რაც რამ ჰქონდა, ყველაფერი წინ მიართვა. როდესაც სხდებოდნენ ვახშაშზედ, ბერიკაცმა წყალი ჩამოატარა სტუმრების ხელების დასაბანად; როდესაც ხემწიფის შვილთან მიიტანა, იმან უარი უთხრა, უფროსს კაცს ხელებს როგორ დაგაბანინებ, უმკროსი ვინმე გეყოლებათ, იმან დაგვაბანინოს ხელებო. ხემწიფის შვილს უნდოდა, რომ ბერიკაცის ქალს დაებანინა ხელები. წყალი ახლა ბერიკაცის კოლმა ჩამოატარა, მაგრამ არც იმას დაასხმინა წყალი ხემწიფის შვილმა, ბოლოს ქალს დაუძახეს. გამოვიდა ქალი ლიტრით, და ხემწიფის შვილსაც, იმის მხაველს, წაუფიდა გული. ქალს ამ გვარს ხემწიფის შვილის საქციელზედ გაეცინა, და ვარდი და ია ვადმოუვიდა პირიდგან. ამ ვარდით და ით მოაბრუნეს ხელმწიფის შვილი, და დასხდნენ ვახშაშზედ. ვახშაშის შემდეგ ხემწიფის შვილმა ქალი სთხოვა ბერიკაცს კოლადა. ბერიკაცმა მოახსენა: „ბატონიშვილო ჩვენ თქვენი ღირსნი არა ვართ, და თუ კი გეკადრებთ და ჩემს ქალს კოლადა შეიროთათ, თქვენზე უკეთესს ვის ვიპოვიო“. გახარებული ხემწიფის შვილი იმ ღამესვე დაინიშნა ქალზედ და მეორე დღეს გასწია დედ-მამის სახარებლიდ ქალაქში. დედ-მამამაც არაფერი უთხრეს: — „თუ შენ მოგეწონა, შვილო, არც არაფერი მეტი ჩვენ გვინდაო“. ხემწიფის შვილს ერთი ავი გამზრდელიც ჰყავდა; იმ გამზრდელს ერთი ნაბუშარი ქალი ჰყავდა და უნდოდა როგორმე შეერთო კოლადა ხემწიფის შვილისათვის. საცოლის მოსაყვანად ხელმწიფის შვილმა ის გამზრდელი გაგზავნა და ვაყულა თან ნაზირ-ვეზირი. გამზრდელმა ეტლში დამალა თავისი ყურანიებით შავი ქალი და გასწია ხემწიფის შვილის საცოლესთან... მივიდნენ ბერიკაცის სახლში, წამოიყვანეს ქალი და წამოვიდნენ. გზაზე ორი ლიტრა წყალი ჩიიდა გამზრდელმა ეტლში ჩუხათ; აქმა ქალს ისეთი საქმელი, რომ წყურვილით დაიწყო ქალმა კვლამა. შეეცდრა გამზრდელს, წყალი დამალეფინეო, მაგრამ გამზრდელი გაუჯავრდა: „აქ წყალს რა უნდა, ერთს ურღე ტყეში ვართო.“ „რაც ვინდა, გამოპარო თვი და წყალი კი დამალეფინეო“, სთხოვა კიდევ ქალმა ძიძის. „თუ ერთს თვილს გამოითხრი და მომკეპო, უთხრა გამზრდელმა ხემწიფის შვილის საცოლეს, ვასმე წყალსაო.“ „გამოითხარეო, უთხრა ქალმა, თუღონდ წყალი კი დამალეფინეო.“ მისცა ერთი სურა წყალი გამზრდელმა და საშავიეროდ გამოსთხარა ერთი თვალი და შეინახა ტყეში მთელი სურა დაკილა, მაგრამ მალე ისევ მოსწყურდა. ქალმა კიდევ სთხოვა წყალი. გამზრდელმა გამოთხარა მეორე თვალიც და მისცა მეორე სურა. გამზრდელმა უბრძანა ნაზირ-



ვეზირს, რომ წინ წადით, ქალი უნდა დაეხვეწათო. ნახირ-ვეზირი წაე-  
დნენ. ჩამოვიდა გამზრდელი, გადმოათარია ბრმა ქალიც. გახვდა ის ტანი-  
სამოსი, მიიყვანა ერთს ხესთან და დაბტოვა იქ. იმისი ტანისამოსი ჩააცვა  
თავის ქალს, მოისევა გვერდზედ და მიიყვანა სასახლეში. ხემწიფის შეიღოს  
ქორწილი გაემართა საცოლოს მოლოდინში, დაეპატივა სტუმრები, მაგრამ  
თი, მოუყვანეს ერთი ვიღაც საძაგელი გომბიო. ბერიკაცის ქალის მხახველს  
აბა რას მოეწონებოდა ვიღაც ყორანთიო შეიქალი? მაშინვე უბრძანა გამ-  
ზრდელს: „რა უყავ ჩემი ცოლი, ეს ის არაბის, სად დაძლეუა?“ - დიდებუ-  
ლო ბატონო, უთხრა გამზრდელმა, ეს ქალი გახლავსო თქვენი ქალი, დედ-  
მამის გამოთხოვების დროს ბევრი იტირა და ფერი შეგცვალაო“. ხემწიფის  
შეიღი მიანც ევრ დააჯგრა და ევრ მოკარგეს გამზრდელის ქალს ახლოს. ცოლი  
ცალკე სცხოვრებდა და ქმარი ცალკე. ეხლა იმ ბრმა ქალს დაუბრუნდეთ,  
თვალეზ დათხრილი რა დაბტოვა ხესთან ხემწიფის შეიღოს გამზრდელმა.  
უშტრად დაარჩენილი და სინათლეს მოკლებული ქალი იდგა ხესთან და ტი-  
როდა ცრემლიდ. ჩამოდიოდა ცრემლი, იყინებოდა მარგალიტად, და იმადე-  
ზოდა მარგალიტში. ბოლოს მარგალიტი მყარდამდე შიადგა და დაუშალა  
ერთიან წელს ქვეთა.

## III

იმ ტყის ახლოს, სადაც ქალი დაბტოვა გამზრდელმა, ერთი ქალაქი  
იყო. იმ ქალაქში ერთი საწყალი ბერიკაცი სცხოვრობდა. ბერიკაცს ერთი  
ერთი ჰყვანდა. დღლით წაეიღოდა ბერიკაცი ტყეში, აპკიდებდა ფიჩხს ვირსა,  
მოიტანდა ქალაქში, გაჰყიდდა და ფულს გლახებს დაურიგებდა; წაეიღოდა  
შუადღის დროს, მოჰკრეფდა ფიჩხს, აპკიდებდა ვირს, გაჰყიდდა ქალაქში და  
ფულს საყდარში შეიტანდა და შესწირავდა. საღამოზედ წაეიღოდა, მოიტანდა,  
გაჰყიდდა და იმაში აღებული ფულით თვითონაც და იმის ცოლიც ირჩენ-  
დნენ თავს.

ერთხელ ბერიკაცი ტყეში იყო. ვირი გაეშო დაუმებელად, და თვითონ  
შეშასა სკრიდა. როდესაც ფიჩხი მოაშხადა ასაკიდებლად, ნახა, რომ ვირი  
არსად იყო. ბერიკაცმა ძებნა დაუწყო ვირს და ერთს ადგილს ნახა, რომ  
ვირი მისულა ერთს ხესთან, დამდგარა და შესკქერის ნახევრამდისინ  
მარგალიტში ჩაფლილს ქალს. ბერიკაცი გაუჯერდა ვირს გასარყვად. ქალ-  
მაგვიგონა კაცის ხმაღ სთხოვა: ძმა ხარ თუ შამა, მიშეუღო რამ, გარს კლდე  
მაქეს შემოვლებული, შემომამტრიეო. ბერიკაცი მივიდა ქალთან, შოაშორა  
მარგალიტს ყინული და წაიყვანა სახლში. წაიღო მარგალიტც. ბერიკაცი  
საშინლად გაძიდარდა. ქალს ჩააცვა შვეწიერად და მისცა ცალკე ოთახი.  
ერთხელ ქალის ახლო კრუხმა ჩაუნისკარტა რახედლაც წიწილას. წიწილამ  
წიწინი დაიწყო; შამალი მოვარდა უცებ და დაუწყო კრუხს ჩხუბი: „რადა  
სცემ ჩემ შეიღსაო“. ქალმა ვიგონა ეს ლაპარაკი ქათმებისა და ვაეცინა.  
პიროდგან ია-ვარდი გდმოუვიდა და დიდგა ოთახში შვეწიერი სუნნი. ბერი-  
კაცი, რომ შევიდა ოთახში, ძრიელ გაუვიკრდა: ამისთანა ია დი ვარდი საი-  
დან მოვიდაო. ქალმა უთხრა ბერიკაცს: „წაიღე, შამაე, ეს ია-ვარდი, ხემწი-

ფის ქალიაში, დაატარე ვასისყიდად; თუ ვინმე შეგვეჯობოს, ნუ მიჰყიდი; რაც უნდა ბევრი ფული მოგცენ. ხემწიფის გამზრდელს აქვს ჩემი თვალები, და, თუ შეგხვდა, ის იყიდის ამ ია-ვარდს თავის ქალისთვის; უთხარ, რომ თვალზედა ვყიდი თქო, ის მოგცემს ერთს თვალს და მომიტანო.\* ბერიკაცმა წაიღო ეს ია-ვარდი ქალიაში, მაგრამ არაეის მიჰყიდა, თუმცა ბევრი ვაჟარი გამოუწნდა. ბოლოს შეხვდა ხემწიფის შვილის გამზრდელი და ჰკითხა: „რაზედ ჰყიდი, ან როგორ ჰყიდი მაგ ია-ვარდს, ბერიკაცო?“ გამზრდელს ია-ვარდი თავის ქალისთვის უნდოდა, რა ხემწიფის შვილისთვის ეთქვა: „აი ჩემს ქალს პირიდან რა ვარდი და ია ვადმოუყიდაო“. ბერიკაცმა უთხრა: „კაცის თვალზედ ვყიდიო“. გამზრდელმა მისცა ერთი ქალის თვალი და გამოართვა. მაგრამ ხემწიფის შვილი შინკ არ მიჰკარებია იმის ქალს, ბერიკაცმა წაიღო ეს თვალი და მიუტანა თავის ნაშვილობს. ქალმა ჩაისვა თვალი, გაღესა მარგალიტი და ია-ვარდი და გადისხა ზედ; თვალი გაუმთელდა და გაუსალდა ისე, როგორც წინათ ჰქონდა. ერთი თვალი აახილა ქალმა, მაგრამ შეორით ისევ ბრმა იყო. ესლა როგორმე მეორე თვალი უნდა ეშოვა. ქალმა მოიზადა კუბო, ჩაწვა შიგ, და ბერიკაცს კი უთხრა: ეს მივიღე, რა მიძვეს ყელზედ, შენსენ, წაიღე და მეორე თვალი იყიდე; მე მოვედები, წაიღე ამ კუბოთი და, სადაც მიპოვნე, იქ დამდგო. ბერიკაცმა იღოდა მეორე თვალი ხემწიფის შვილის გამზრდელისაგან, მოიტანა; გაუკეთა ქალს, მიმკვდარებულს, და ტირილითა და ვიშით წაიღო იქ, სადაც პირველად იპოვნა. ქალი ხემწიფის შვილისაგან ორსულად იყო და კუბოში გაუწნდა მკვდარს ვაჟი. ვაჟი მკვრელზედ აჯდა დედას და ისე სწოვდა ძუძუს.

#### IV.

ხემწიფის შვილი გლოვობდა თავის საცოდეს და არ ევარებოდა გამზრდლის ქალს. ერთს დღეს ხემწიფის შვილი სანადიროდ წაიდა, რომ გაათობილიყო. გაიარა ტყე, და ერთგან მშველი წამოხტა, ხემწიფის შვილმა ესროლა ისარი, ვერ დაჰკრა, მშველი ვიქცა. დადევნა ხემწიფის შვილიც. ირბინა მშველმა. ირბინა ხემწიფის შვილმა; ვადაცა კუბოზედ მშველი და ვაჟა. მივიდა ხემწიფის შვილი კუბოსთან, ჩაიხვდა შიგ და თავის საცოდო კი დაინახა. ქალი ისე იწვა თითქოს სძინავსო. ვაჟი გადაეხვია თავის მკვდარს ცოდს და დაუწყო კოცნა და აფრქვია მრავალი ცრემლი. ბევრი ცრემლი დეარა, მაგრამ ცრემლით რას უშველიდა? რაკი ტირილით გული მოიჯერა, ვაჟმა დაავლო თავის შვილს ხელი და წაიკვანა სახლში. გამზრდლის ქალმა შეიკვინა თავისთან ეს პატარა ბავშვი, უნდოდა ხემწიფის შვილის გული მოეგო, და დაუწყო თამაშობა; რაკი აიყვანა ხელში, ვაჟი სწედა იმის ყელზედ ჩამოკიდებულს მძივს ხელებით, მოემლაჟეა და დაიწყო ტირილი. ვაჟი უნდოდათ მოეშორებინათ, მაგრამ ის არ უშვებდა ხელს. ხემწიფის შვილმა უბრძანა გამზრდლის ქალს: მიეც, ნუ ატირებ მაგ ბავშვს, რასა ვთხოვსო. ქალმა მოიხსნა კრიალოსანი და მისცა ბავშვს. ბავშვმა დედისკენ დაიწყო წევა და ტირილი. ხემწიფის შვილმა შემოისხვა ბავშვი ცხენზედ და გაჰქუსლა კუბოსკენ. ბავშვმა, რაკი დაინახა დედის კუბო, დაიწყო



ლიმილი და ხელეების ჯნევა. ხემწიფის შვილმა დასვა ბავშვი დედასთან და დაუწყო კტერა: ვნახოთ, რას იზამსო. ვაჟი შეიფოჯდა შყედარს დედას და ეს კრიალოსანი კისერზედ ეი გადაუდგო. შევბო თუ არა კრიალოსანი, ქალმა მაშინვე გაიხილა თვალები და წაშოდგა. გახარებულმა ხემწიფის შვილმა იღარ იცოდა, რა ექნა. შემოსევა ცხენზედ ცოლიც, შვილიც და გასწია სახლში. „აი ჩემი ცოლიო!“ დაიძაბა ვაჟმა, როგორც კი შევიდა სასახლეში. გამოგვება ხემწიფე, დედოფალი და სიხარულით გადაპოცნეს თავისი რძალი. შევიდა ქალი სასახლეში, მოაგონდა თავის წარსული და ცრემლებმა დაუწყეს თვალებიდან შლა; იატაკზედ გაიშალა აუარებელი მარგალიტი. ნახა ქალმა გამზრდლის ქალი, გაეცინა იმის სადგლომაზედ და გადმოუვიდა პირიდან ვარდი და ია. გამზრდელი და იმის ქალი ცხენის კუდებით ათრის, და ხემწიფის შვილმა თავის წინანდელი სასოლე შეირთო ცოლად.

მთას ურემი აეტიანე,  
წამოვიდა გორებითა.  
თქვენ აქ დატებით სიციხლითა,  
ისინი იქ ცხონებითა.

## 7. --- საწყალი კაცის და მდიდრის ამბავი

იყო ერთი მდიდარი ქეთხუდა ვაჟარი. ეს ვაჟარი საშინელი უდიერი და უწყალო კაცი იყო. თავის მუშებს ხან სცემდა, ხან ჰლანძღავდა, ერთის სიტყვით, ცეცხლში აყენებდა. იმ ვაჟართან ერთი საწყალი კაცი მუშაობდა, ზოგს კირს ჰხელავდა, ზოგს აგურსა და ქვას ეზიდებოდა; საღამოზედ, შუადღისას და დილით თავისუფალ დროს ლოცვაში ატარებდა. ერთხელ საღამოზედ შრომისგან მოქანცული საწყალი კაცი იდგა და ლოცულობდა. მიეპარა ალა და ერთი სახურე ჩაახვია თავპირში: „შე ასეთ-ისეთო, მე რა არა ელოცულობ, იმიტომ შეძლება არა მაქესო? რა ჰლოცულობ, მაგით ჩემზე უკეთესი უნდა გამხდეთ?“ — „რა უკეთესო“, უპასუხა თვალ-ცრემლიანმა საწყალმა კაცმა: „ღმერთის ელოცულობ, ვევედრები, მუხლებს ვიცვეთ, არაფერს მძღვეს, რა არ ვილოცო, ხო უფრო არაფერს მომცემსო!“ — „მაშ თუ ეგრე ახლო ხარ ღმერთთან, უთხრა დაცნებით ალამ, ერთი გამგეზავენე ღმერთთან და პკითხე სამი სიტყვა. რასაც მე დავაბარებო. ალა დისციროდა, გლახამ კი გულით დაიჯერა. „წაელო“, უთხრა საწყალმა კაცმა: „მაგვამ ჩემს ცოლ-შვილს ვინღა აქმევს და ასმევსო“. — „შენს ცოლ-შვილს სამ-სამ აბაზს დღეში მე მიეცემო, უპასუხა ალამ, ოღონდ შენ ღმერთთან კი წადიო“. — „კარგიო“, უთხრა საწყალმა კაცმა: „აქ კირის ზელის, ქვების ზიდვას ისევე სიარული სჯობიო, იფიქრა თავისთვის, წაეალ, თუ ემოვე ღმერთი, ხო რა კარგი, ვერა და დიებრუნდები, და ის იქნებო“. საწყალი კაცი იდგა და სამი დღე დაიძაბა: ვნახოთ, ეს ვაჟარი მართლა ძღვევას დაუწყებს ჩემს

კოლშვილის სამ-სამ აბაზს ფულს დღეში, თუ მომატყუაო. მოიკადა. შესამეს  
 დღეს შევიდა სახლში და იკითხა: „ჩემმა აღამფულეები გამოგოგავენათ რამე  
 თუ არაო?“ — „მოგიტანეს ცხრა აბაზიო, უთხრა შვილიმა, ექვსი აბაზი  
 დაეხარჯეთ, და ეს სამი აბაზი კიდევ დაგერჩა, და ეს შენ წაიღეო“. გამოუ-  
 ტანა სამი აბაზი და მისცა. საწყალი კაცი გაუღდა გზას. აღამ ეს სიტყვები  
 დააბარა: „ჩემს ქალს ვინ შეირთავსო?“ იმ ვაჭარს ერთი ლამაზი ქალი ჰყვან-  
 და, მრავალი მათხოვარიცა ჰყვანდა, მაგრამ არივის აძლევდა. მეორე: „რამ-  
 დენს ხანს ვიცოცხლებ“, და მესამე: „ჩემი სული სიყვდილის შემდეგ სად  
 წავაო“.

იარა ამ საწყალმა კაცმა, იარა, გალია ქვეყანა, მაგრამ ღმერთს სად  
 შეხვდებოდა? ბოლოს ხმელეთი რო დალია, ზღვასთან მივიდა. დაღალულს  
 დაეძინა; და აი, მოფრინდნენ ანგელოზები და აიტაცეს ცაში. ღმერთი ნათელ-  
 ში იყო, არა სჩანდა და იკიდებდნენ ჰკითხა საწყალს კაცს მოსვლის მიზეზი.  
 როდესაც საწყალმა კაცმა ყველაფერი უამბო, ღმერთმა უბრძანა ანგელო-  
 ზებს, წაიყვანეთ და აქვანეთ ჯერ ჩარხები და მერე ვეტყვი პასუხსაო. საწყა-  
 ლი კაცი ერთს სახლში შეიყვანეს. რა არ იყო შიგ? ათასი მიღეთის ჩარხი  
 და ბორბალი ტრიალებდა. მაგრამ საწყალს კაცს ორს ჩარხზე დარჩა თვალი;  
 ერთი ჩარხი ტრიალებდა და რას არ გადმუყრიდა? — მურს, ლინოს, ოქროს,  
 ვერცხლს, თვალაპარგალიტს, მაგრამ კიები შეჩვევიყვენ ამ ოქრო-ვერცხლს  
 და პელაშვიდნენ. თვითონ ღერძი მეტის-მეტი ტრიალით გაწერილებულიყო  
 და გაწყვეტას ლამობდა. მეორე ჩარხი ის იყო კეთდებოდა, დიდი უშველე-  
 ბელი ღერძი ეღვია, და ლამაზიც რამ იყო. ღმერთმა ჰკითხა საწყალს კაცს:  
 „რომელი ჩარხი უფრო მოგეწონათ?“ — „ისა, უპასუხა გლახამ, ახლად  
 რო კეთდებო“. ღმერთმა უთხრა: „ის ჩარხი, რომელიც ჰქვავეს. შენი  
 აღისა, რომელიც კეთდება — შენი შვილისაო. წადი და შენ აღას ეგრე უთ-  
 ხარ: „რომ იშის ქალს შენი შვილი შეირთავს კოლადა. ის ერთს წელს კი-  
 დევ იცოცხლებს, და სული გოჯოხეთში წავაო. უთხარ, სული არ დაწვას:  
 სამადლო საქმეები გააკეთოსო: გზები, ხიდები, საუბრებოო“. წამოვიდა საწყ-  
 ალი კაცი, რა წამოვიდა, ანგელოზებმა ჩამოიყვანეს მიწაზედ და იქიდან  
 წაიღა აღსთან. აღამ ნაზა საწყალი კაცი და, კოტა არ იყოს გაოცდა: ამო-  
 დენა ხნის დაკარგული, ესლა როგორღა მოვიდაო. მიინკ დაიკინვა დაუწყო  
 და ჰკითხა: „რა ჰქენ, მომიტანე ამბაიო?“ — „მოგიტანეო“, უთხრა საწყა-  
 ლმა. „აბა ბირველი რა არისო?“ ჰკითხა აღამ. — „შენ ერთის წლის სიცი-  
 ხლევ და დაგერჩა, და შენი სულიც გოჯოხეთში წავაო, უპასუხა საწყალმა  
 კაცმა, თუ სასულიერო საქმეებს არაფერს გააკეთებო“. „ეგ კარგიო“, უთ-  
 ხრა ისევ დაიკინეთაღამ: „შესამისა რაღა ამბაი მომიტანეო?“ „შესამეს ვერ  
 გეტყვიო“, უპასუხა საწყალმა კაცმა. — „უნდა მითხრაო“, აუტყდა აღა.  
 „გამირისხდებიო“, უთხრა გლახამ. — „არ გაგირისხდები, თუ იტყვიო“,  
 უთხრა აღამ. — „შენს ქალს ჩემი შვილი შეირთავსო“, უპასუხა საწყალმა  
 კაცმა. ამაზე მართლა გაბრაზდა და დაუწყო ცემა: — „შე ასეთ ისეთო,  
 ახლა მძახლადაც მომინდომეო! მაშინვე გაგზავნა აღამ კაცი ერთს ვეზირის  
 შვილთან და შეუთვლია: „ამობანდი და შეირთე ჩემი ქალიო“. მეო-

რეს დღეს ქორწილი მზად იყო, ნეფე და დედუფალა საყდარში წაიღიდნენ ჯვარის დასაწერად, მაგრამ გამოგზავნა ღმერთმა ანგელოზები, მარტა, ცებინა ეს სანეფო და ვადაკარგეინა; იმის მაგიერ მოუყენეს გვერდზედ საწყალი კაცის შვილი. ევრაჲინ ვერ გაიგო. თუ რა მოხდა. ქალმა და ვაჟმა ჯვარი დაიწერეს და გაუღდნენ ქობისკენ. როდესაც ქობში შევიდნენ, ალა გაკვირვებული დარჩა, ეს რა ნომივიდა, რა აშბაჲია ჩემს თავსაო. რალას იხამდა ალა? მისცა ქალიც და ფულიც. ეაეს წინანდელი ფულიც ჰქონდა ერთი ოცდა ათი თუმანი. დატრიალდა ჩარხი და დაიწყო პურისა და ლენის გადმოყრა და ოკრო ვერცხლისა. აღამ ზოგან ხიდი გააკეთა სამადლოდ, ზოგან საყდარი, ზოგან გზები და ერთის წლის შემდეგ მართლა სული მიაბარა ღმერთს. აღის სარჩო დარჩა საწყალს კაცს და იმის კოლს.

ქირა იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი იქა.

## 8. --- ზღაპარი მონადირისა და დიდი არწივისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი მონადირე. ერთხელ მონდორში წადირობდა, წახა, სამს მუხაზედ ერთი დიდი არწივი იჯდა, სამივე მუხა ეჭირა. მოჰხიდა მშვილდს მონადირემ, დაუმიზნა ისარი. არწივმა უთხრა: ნუ მომკლავ, მხარი მაქვს მოტეხილი, წამიყვანე სახლში, მომიარე, მომარჩინე, ბარტყი ვარ, ბოლოს მეც გამოგადგებიო. აღარ მოკლა მონადირემ, წაიყვანა სახლში. კოლს ძალიან ეწყინა: ჩვენთვის არაფერი გვაქს, მავას რა ვაკამოთო. მართლაც, ისეთი ღარიბები იყვნენ, კბილის გამოსახინქნი ჩხირიც კი არა ჰქონდათ. ორ კვირას უწამლა. დაეტყუო რჩომა. არწივმა მონადირეს უთხრა, წამიყვანე მუხებთანაო. წაიყვანა მონადირემ. დაუქროლა არწივმა, და ერთი მუხა ძირიანად მოჰკლიჯა და სამი შთის იქით გადასროლა. მონადირეს უთხრა: კიდევ წამიყვანე, კოტა კიდევ მაკლიაო. მონადირემ ისევ წამოიყვანა. ორ კვირასა ჰყვანდა კიდევ. არწივმა უთხრა, წამიყვანე მუხებთანაო. წაიყვანა მონადირემ, დაუქროლა არწივმა, მოგლიჯა მეორე მუხა ღ ცხრა შთას იქით გადააბზრიალა. კიდევ მაკლია კოტა მორჩენა. კიდევ წამიყვანე კოტა ხანსაო. მონადირემ ისევ წაიყვანა. კოლი ძალიან გაუწყრა: ჩვენთვის არაფერი გვაქს, ეგ რალა მოათიგო. არწივი ორი კვირა კიდევ იყო; მონადირე წამიღებს ადებდა და უხვევდა მხარსა. ორი კვირის უკან სრულეებით გასაღდა და მონადირეს უთხრა, ეხლა წაიღეთ მუხებთანაო. წაიღიდნენ. დაუქროლა არწივმა ღ მესამე მუხა სრულეებით დაკარგა: ველარ გაიგეს, სიდ გადავიარდა. მაშინ უთხრა არწივმა: ეხლა კარგად ვარ, უნდა შემჯდევ მხრებზედ, ერთი დაკლული ხარი წამოიღო თან, ჩემს დედ-მამასთან წაგიყვან ღ დაგასამუქრებენო. ამას კი გეტყვი: რაც უნდა გაძლიონ, არ გამოართვა; მარტო სთხოვე: თქვენ რომ განგიანი უუთი გაქვთ, ეგ მომეცითო. წაიღია მონადირე, დაამზადი ერთი



ხარი, დაუდო არწივს მხრებზედ ღ თვითონაც ზედ შეაჯდა. არწივი აფრინ-  
 და ღ წავიდა სულ მაღლა და მაღლა. რამდენიც შემოტრიალდებოდა, მონადირე  
 იმდენს ნაკერს ხორცს ჩაუდებდა პირში. ის იყო, მივიდნენ, რომ ხორ-  
 ციც გაუთავდა. გამოიჭრა კანტი მონადირემ და შეაქამა. ოჰ, ეს რა გემრიელი  
 რამე შემაქამეო, უთხრა არწივმა. ვაღმოსვა დაბლა, ბინაზედ რა მივიდნენ,  
 და მონადირემ კოკლობა დაიწყო. რათა ჰკოკლობო, ჰკითხა არწივმა. —  
 წელან შენ რა სიტყვი, ეს რა გემრიელი რამ შემაქამე, ის ზემო ხორცი იყო :  
 ხარის ხორცი ვამთავდა ღ კანტიდამ გამოვიქერო. მოუსვა ფრთა არწივმა  
 ღ გაუშოელა. მიიყვანა დედასთან მონადირე. დედას უთხრა : დედაე, მხარ-  
 მოტყობილი ვიყავ, ამ კაცმა სიკვდილს ვადაშაჩინა ღ რაც ისურვოს, ყველა-  
 ფერი მიეცითო. ვაღმოსულა და ვაღმოსულა არწივის დედამ მონადირეს ოქრო  
 ღ ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, ჩასაცმელი ღ დასახური, მაგრამ არა-  
 ფერს ხელი არ მოჰკიდა. — რაღა გინდაო, ჰკითხა არწივის დედამ. —  
 თქვენ რომ თანგიანი ყუთი გაქვთ, ის მომეცით. კიდევ ძვირფასი ღ ძვირ-  
 ფასი ვაღმოსულა არწივის დედამ. მონადირე ადგა და წასელა დააპირა. მოდი,  
 მოდი, წაიღეო, დაუძახა არწივის დედამ. ვაღმოსულა კიდევ ძვირფასი და  
 ძვირფასი რამე, ყუთი კი არ მისცა. მონადირე კიდევ წამოვიდა. — მოდი,  
 მოდი, წაიღეო. ნობრუნდა მონადირე. კიდევ ძვირფასი ღ ძვირფასი რამე-  
 ები ვაღმოსულა. ყუთს მაინც არ აძლევს. მონადირემ მაინც სხვას არაფერს  
 მოჰკიდა ხელი. შესამედაც დაუძახა არწივის დედამ ღ მისცა ყუთი. უთხრა :  
 სანამ შენ არ მიხვიდე, ახამც ღ არამც არ გახსნა, თორემ ძალიან ინანებო.  
 შენსეა არწივმა მხრებზედ მონადირე და ისევ ძირს ჩამოიყვანა. მოდის მონა-  
 დირე. მოაქვს ყუთი. იფიქრა, იქნება იმათ შომატყუილეს და ცარიელი ყუ-  
 თი მომცესო, ვნახე, რა არის შიგაო. იქნება ისეთი რამე ძეეს, მომკლასო.  
 გახსნა. ამოვიდა ღ ამოვიდა დუქან-ბაზარი და სასახლეები. გაიჭიმა უხარ-  
 მაზარი ქალაქი, გახალდა ვაჭრობა. გარბიან ღ გამორბიან ვაჭრები. ერთი  
 ხაურობა და ამბებია. მონადირე კი დგას და შესტკერის. უნდა დაკეტოს,  
 მაგრამ ვერა ჰკეტავს. იცემს გულში ხელს, იბღღენის თმისა. ამ დროს ჩამო-  
 ივლის ერთი დევი. რასა სტირი, კაცოვო? — რას არა ვტირი, ეს ყუთი  
 გაეხსენ, ეს ქალაქი იქილამ ამოვიდა და ველიარ შეეკარო. — რას მომცემ,  
 რომ შეეკარო. ხომ მომცემ იმას, რაც შენ არ იყოო. — მოგცემო, უთ-  
 ხრა მონადირემ. იმის ცოლი ორსული იყოდა, სანამ მონადირე მოვიდოდა,  
 იმას ოქროს ქორჩიანი ვაჭი ეყოლა, და მონადირემ კი არა იყოდა რა. შეტ-  
 კრა დევა ყუთი, ეს ქალაქე აიყრიდა და ისევ ისეთი ადგილი დატბა, რომ  
 გორც წინათ იყო. ამა და ამ დროს მოვიკითხე მე ჩემსას და გამომიგზავნეო,  
 უთხრა დევა. კაცი წაიდა სახლში. გახსნა შენ ყუთი, და ამოვიდა და ამო-  
 ვიდა ისევ დუქან-ბაზარი და სასახლეები. გაიმართა ქალაქი. ეს კაცი ქალი-  
 ქის პატრონია. მაგრამ შეილი ადარდებს : დეეს უნდა გაუგზავნოს, არ სცილ-  
 დება. როცა მოიზრდება ეს ვაჭი, ადგება და წაიდა დევიან. ივლის, ივლის  
 და გზაზედ ერთი დედაკაცი შეგზავდება. — სად მიდიხარ, შეილოვო, ჰკით-  
 ხავს. — დევიან მივდივარ, უნდა შეგზავნოსო. — შეილოვო, უთხრა დედა-  
 კაცმა, რომ მიხვალ, წყალს მნახე, იმ წყალზედ დევის ქალები ჩამოდი-

ან საბანაოდ. შენც იქვე დაიმაღლე. ზევით რომელიცა ღვას — უფროსია, იმის ქვევით რო ღვას — შუალაა და ბოლოს როა — ის უმცროსი. იმას დაუმაღლე ტანისამოსი. გამოვა, იმის ღებში წავლენ და ის ტიტველი რაღას იხამს? რაკი ტანისამოსს არ მისცემ, შენი ცოლი გახდებოა. მერე ის გიხსნის გაჭირვებიდამაო. ბიჭმა ისე ქნა, როგორც დაარია იმ ღედაკაცმა. მივიდა წყლის პირს, ჩასაფრდა. როცა ქალები მოვიდნენ, დაიწყეს ბანება, ის მივიდა და აიღო უმცროსი ქალის ტანისამოსი. გათავეს ქალებმა ბანაობა. გამოვიდნენ. უფროსებმა ჩაიკვეს, გასწიეს; უმცროსმა ვერ იპოვა ტანისამოსი და დაიძხა: ვინა ხარ, გამოჩნდი, შენ — ძმა და — მე უაო. ბიჭი არ გამოვიდა; ქალმა კიდევ დაიძხა: გამოჩნდი, ვინა ხარ, შენ — ძმა და — მე — დაო! ბიჭი არ გამოვიდა. ბოლოს ქალმა დაიძხა: გამოჩნდი, ვინა ხარ, ჯანი წავგიიღეს, შენ — ქმარი და მე — ცოლიო. მაშინ გამოვიდა ვაგი და მისცა ტანისამოსი. ქალმა შეხვდა, ეს ოქროს ქობრიანი ვაგი ძალიან მოეწონა. უთხრა: რათ მოჰსულხარ აქაო. — მამი შენის ლუკმა ვარო, უთხრა ვაგმა, უნდა შეშქამოსო. — ნუ გეშინიან, უთხრა ქალმა, როცა გაგიჭირდეს, მე შემატყობინეო. მივიდა ვაგი ღვეთან. ღვემა უთხრა: ერთს რასმე შეგიკვეთ და, თუ არ ასრულე, იცოდე, შეგკამო. ჩემი ეზო და კარები სულ ოქრო-ქსოვილით უნდა დაშენოვო. წამოვიდა ვაგი ცოლთან დაღონებული. მამა შენმა ასე მიბრძანაო. წადი, შენ დაიძინე, და მე ვიცოო, უთხრა ქალმა. იმ ღამეს დაიბარა თავის კაცები და სულ ძვირფასი ოქრო-ქსოვილებით დააფენინა ეზო-კარი. დღლით უთხრა ქმარს: მიღი, დაგეკ და დაუწყე სწორება, ეთომ შენ დაშენეო. გამოვიდა ღვეი. ზის ვაგი და ასწორებს ოქრო-ქსოვილებს. რაღა იქნებოდა! მეორედ უბრძანა: ხვალისათვი ისეთი სასახლეები უნდა დაშიდგა, რაც ხემწიფეს ეკადრებოდესო. წავიდა ვაგი ცოლთან. ცოლმა უთხრა, შენ წადი, არხეინად დაიძინე, მე თვითონ ვიცოო. წაიდა ვაგი, დაიძინა. ქალმა დაიბარა თავისი კაცები და უბრძანა: ახა როგორ მარდათ მოიქცევით, თქვენი იმედი მაქვსო. დილისთვი ისეთი სასახლეები დაღვეს, კაცს თვალსა სტაკებს. უთხრა ქმარს ქალმა: აღი ზედ, აიტანე ჩაქუჩი, ეთომ რამეები დაგკლებია, აკაქუნეო. აიღა ვაგი სასახლე ზედ. უქორავს ჩაქუჩი და აკაქუნებს. გამოვიდა ღვეი. ნახა მშვენიერი სასახლეები დაუღვამს; იკბინა ტუნზედ, მაგრამ რაღა იქნებოდა. მერე უთხრა: ერთი ცხენი მუავს გასახედნი და ის უნდა გამიხედნოვო. კარგოა, უთხრა ვაგმა. წამოვიდა ცოლთან. ცოლს უთხრა: მამაშენს გასახედნი კვიცი ჰყოლია, ის უნდა გაახედნიროვო.

აქამდე არაფერი, საჭმე ეხლა არისო, უთხრა ცოლმა; თვითონ მამაჩემი იქვეა კვიცად და იმას უნდა უხედნოვო. მე ერთს ლაგამს მოქცემ, ის ლაგამი ამოძღე იმას პირში, თან ერთი რკინის კვერი წაიღე, აღმა აფრინდეს, თაეში სცემე, დაღმა წაიღეს — ცხვირშიო. ნუ შეიბრალებ, რაც ძალია ღღონე გკონდეს. მაგრამ დაქარ, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებსო. მეორე ღღეს წაიღო ლაგამი და ჩაქუჩი ვაგმა. შეჯდა ამ კვიცზედ, და გაფრინდა ცხენიც ცისკენ. რამდენიც ის ცხენი ზევით იიწყედა, იმდენს დაუშენდა თავში კვერსა, და ახლა ძირს დაეშვებოდა; ახლა ცხვირში სცემდა. ისე მოღაღა, ისე, რომ არაქათი გამოეღია და დაღვაცხენი. მოიყვანა ღვეის კარებ-

ზედ, შეიყვანა თაელაშა, წამოჰყარა ლაგამი და გამოვიდა. იქცა ცხენიც ისევ დევით და გამოვიდა ისიც. დევი კარებზედ ღვას. — რა ჰქენ, გაბზედნე ჩემი ცხენი, თუ არაო, ჰკითხა წყრომით ვაჟსა. ვაჟი ჰხედავს, რომ დევს უბეზი სულ ჩამოლადრული აჭვს ცემისგან. — რა გკობს მაგ სახეზედო? ჰკითხა ვაჟმა. — ეს შენი ნაცემი არისო, უთხრა დევმა; შენ რომ იჯექ, ის ცხენი კი არ იყო, მე ვიყავიო. ხეალ კი აღარაფერი აღარ გიხსნის, უნდა შეგჰკამოვო.

შეწუხებული ბიჭი მოვიდა კოლთან. — რა ჰქენ, უმხედრე ცხენსა, თუ ვერაო, ჰკითხა კოლმა. — მამა შენმა მიიხრა, ხეალ უნდა შეგჰკამოვო, ველარაფერი ვერ გიშველისო. იმ ლამესვე აღგნენ ეს ქალი და ვაჟი და გასწიეს. იარეს, იარეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. რო გათენდა გაიგო დევმაც იმათი გაბარვა და გამოვიდა ისიც.

მიდიან ქალი და ვაჟი. ქალი ეტყვის ვაჟსა: აბა მიიხედე, ხომ არავინ მოგვედგვსო. მიიხედავს ვაჟი: ბუზის ტოლად შორს რაღაცა მოჩანსო. იქცა ქალი შემოსულ ყანად, ვაჟი მომკვლად. სდგას, მკის და გადასდის ზეითქი. მოვა დევი. — ამაზედ ქალსა და ვაჟს ხომ არ ჩამოუვლიაო? შეეკითხება მოჰკალსა. — მთელი დღეა ვმკი, სიციხით ვიწვი, რა ამღვლეღისა და ჩამომვლეღისა მსხელიაო? ეტყვის დევსა, არავინ მინახიაო. გაბრუნდება დევი უკან და გასწიეს თაერს სახლში. — ვერაინა ენახე იმათი მნახაიო. — სრულეზით არავინ იყოო? ჰკითხა კოლმა. როგორ არა, ერთ ალაგას ყანა იყო და მომკალი ჰკოდაო. მიველ, ვკითხე, და არავინ მინახავსო. — აბა შენი ქალი და სიძე ისინი ყოფილანო. უთხრა კოლმა. როცა დევი შინ გამობრუნდა, იქცა ქალი ისევ ქალად, მომკალი ვაჟად, და გაუდგნენ გზასა. იარეს, იარეს, დიდი გზა გაიარეს. დევიც დაბრუნებულია ისევ სახლიდამ და გამოჰკიდებია. ქალი ეტყვის ვაჟსა: აბა მიიხედე, ხომ არავინ მოჩანსო. — ბუზის ტოლად რაღაცა ჩანსო, ეტყვის ვაჟი. — ის შამაჩემიაო. იქცა ქალი დაბურულ ტყედ, იმის ქალწულ გულში მზის სხივი არ წავარდება; ვაჟი — მოხუცებულ ყაცად, დადის ტყის პირებში და ჩინწვრებს ჰკრეფავს. მოვა დევი. — ამაზედ ქალსა და ვაჟს ხომ არავინ ჩამოუვლიაო, ჰკითხავს დევი ბერიკაცსა. — იმ ტყის მაღლმა, რაც ეს ტყე გაჩენილა, აქა ვარ და მე აქ სხვა არავინ მინახავს შენს მეტეო. მოხუცებული ვარ, მე რა მგზავრების დარდი მაქვსო. გაბრუნდა დევი და წაივდა სახლში. იქცა ტყე ისევ ქალად, მოხუცებული ვაჟად და გაუდგნენ გზასა. მოვიდა დევი სახლში.

— რა ჰქენ, ვერსად დაეწიე, ვერ დაიჭირეო, ჰკითხა კოლმა. — ვერაო, უთხრა დევმა. იმათი მნახველი ძე-ხორციელი ვერა ენახეო. გზაზედ ერთი უღრანი ტყე იყო, ერთი ბერიკაცი ჩინწვრებსა მჩინწვრავდა, სხვა არავინ მინახავსო. — შე გამოყრუებულეო, ის ტყე შენი ქალი იყო და ის მოხუცებული. — შენი სიძეო, უთხრა კოლმა. ეხლა კი მეც წამოველ და ენახათ, სად წამოვიდნო. შესხდნენ რა შებზედ ორივე. კოლ-ქმარი, და გამოვიდნენ ქალსა და ვაჟსა. მიდიან ქალი და ვაჟი, მისდევენ დევი და იმისი კოლიც. ქალი ეტყვის ვაჟსა: აბა მიიხედე, ხომ არავინ მოგვედგვსო. მიიხედე ვაჟმა: ბუზის ტოლად რაღაცა მოჩანსო. — ის შამაჩემი იქნებოა, სიძეა

ქალმა მიიხედა ტ ორად მოსწანდა. — ეხლა დედამეცი მოგვდევს, ახლა კი გვ-  
ღარ ვადურჩებითო. იქცა ქალი უძირო ტბად და ვაჟი იხვად. ლამლაპებს  
ტბა, და დაკურავს იხვიც არბენინად. მოვიდნენ დევი და იმისი კოლიც.  
დაეწაფა დევის კოლი ტბას, დაუწყო სმა, უნდა ამოვკალა სულა. და-  
უწყო სმა დევმაც. სევს, სევს, და ორივენი დასკდნენ. იქცა ტბა ისევ ქა-  
ლად, იხვი ვაჟად, გადაეხვიენენ ერთმანეთს და დაპოკენეს, რომ გადარჩნენ.  
შესხდნენ დევისა და იმის კოლის რაშებზედ და გამოსწიეს ვაჟის მამასთან.

ჭირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(სოფ. ხელთუხანი, გორის მ.ზ.)

## 9. --- ჩ ა რ ე ქ ა

(საბავშვო არაქა)

იყო ერთი ჩარექა. ერთხელ ძალიან მოუნდა ღვინო. ადგა და წაეღა  
ერთს ბებერთან. მიღის ჩარექა გზაზედ, და შემოჰხვდა მამალი.

— გამარჯობა, ჩარექაე!

— გაგიმარჯოს, მამალო!

— სად მიდიხარ, ჩარექაე?

— ბებრისასო, უნდა ღვინო დავლიოყო.

— შეც წამოყვანეო.

— ძალიან კარგო: გამოძებ წინა და წადიო.

წაიღნენ. მიდიან გზასა. შემოჰხვდათ კვერცხები.

— გამარჯობათ, ჩარექაე და მამალოვო!

— გაგიმარჯოთ, კვერცხებო.

— სად მიდიხართ?

— ბებრისასო, უნდა ღვინო დავლიოთო.

— ჩვენც წაგვიყვანეთო.

— გაგვიძებთ წინა და წადითო.

გაუძღნენ კვერცხები, და ვასწიეს ერთად სამმა ამხანაგმა: ჩარექამ,  
მამალმა და კვერცხებმა. მიდიან გზასა. შემოჰხვდათ ფილთაქვა.

— გამარჯუება, ჩარექაე!

— გაგიმარჯოს, ფილთაქვაე!

— სად მიდიხარ, ჩარექაე?

— ბებრისას, უნდა ღვინო დავლიოყო.

— შეც შენი ამხანაგი ექნებო.

— გამოძებ წინ და წავიდეთო.

ვასწიეს ოთხმა ძმობილმა: ჩარექამ, მამალმა, კვერცხებმა და ფილ-  
თაქვამ. მიდიან გზასა. შემოჰხვდათ მახათი.

— გამარჯუება, ჩარექაე!

- გაგიმარჯოს, მახათო.
- სად მიდიხარო.
- ბებრისასო, უნდა ღვინო დაელიოვო.
- მეც თქვენთან წამოვილო.
- წადი წინა და წაიდეო.

წაიღნენ ხუთი ამხანაგი: ჩარეკა, მამალი, კვერცხები, ფილთაქვა და მახათი. მიდიან გზასა, შემოპხედათ ვირი.

- გამარჯვება, ჩარეკე!
- გაგიმარჯოს, ვირო!
- სად მიდიხართო.
- ბებრისას, უნდა ღვინო დაელიოთო.
- მეც წამოყვანეთო.
- ძალიან კარგო. გაგვიტეხ წინაო.

გაუძღვა ვირი და წაიღნენ. მივიღნენ ბებერთან. შევიდა ჩარეკა, შეტყენენ ამხანაგები. ჩარეკამ ფილთაქვა მალლა ჩამოჰკიდა, მამალი ქანდარაზედ შესვა, მახათი ლეიპში გაურჭო, ვირი ღერფთანში დააბა, თვითონ ქვევრში ჩაჯდა, კვერცხები ცეცხლში შეფლა. გაეღვიძა ბებერსა. მივიდა ბებერი ცეცხლიდან, დაუწყო ნთება; გასქდა კვერცხი და თვალეზში ჯცა. თავში ფილთაქვა დაეცა. მალლა აიხვდა, მამალმა თვალში ჩასკინტლა. მახათი ბარდაყში შეერქო. გამოვიარდა ბებერი, — გარეთ ვირმა წიხლები უტყუბა. თავგადამღვჯილი ბებერი სულ გადიკარგა. დასბნენ მშობილები და ქუდი ჰერში ჰკრეს. სხედან ეხლაც იქა და ქვიფობენ.

ქირა იქა, ლხინი აქა.

ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

(გაგ გაგნაქსაგან გაგონილი)

## 10. --- გოგრა

(საბავშვო არაქა)

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი ღდღდაკაცი. შეილი არა ჰყვანდათ. ცოლმა უთხრა, მკითხავეი ხომ არ გაწყვეტილა, წადი, აკითხეინო. წავიდა კაცი. წყალზედ მკითხავს შეძხვდა. წამალი ხომ არაფერი იცი, შეილი მოგვეცესო. — როგორ არა, შეილოვო. მისცა ორი ვაშლი: ერთი შენ შეკამე, ერთი შენმა ცოლმა, და შეილი მოგვეცემათო. ორივე შენ არ შესკამო, თორემ გლვრას გააგდებო. წამოვიდა კაცი. გზაზედ ერთი ვაშლი შეკამა. წყალი მოსწურდა, მეორეც შეკამა და გოგრა გააგდო. მიდის კაცი და მიგორავს გოგრაღ. ამოჰკრავს წიხლს კაცი ამ გოგრასა, მაგრამ გოგრა ისევ მისდევს. შევიდა კაცი სახლში და კარი მოუკრტა. მიგორდა გოგრაღ კარებთან. — დედაც, კარი გამიღვო. გაულო კარი. გოგრა

ტახტზედ შეტბა ტ იჰა ზის.—დღდავ, უნდა ხემწიფის ქალი შემართოვო, უთხრა  
კაცსა.

კაცი დაღონდა. მერე ისევ წავიდა. ხემწიფეს უთხრა, ჩემი შეილი ქალსა  
გთხოვსო. ხემწიფემ უბრძანა: თუ ვერცხლის ვენახს გაამიკეთებს, მივცემო.  
წამოვიდა კაცი, გოგრას უთხრა თუ ვერცხლის ვენახს გაამიკეთებს, მივცემ  
ქალსაო. გოგრამ უთხრა: წადი ჩხირები ჩაარტე და დილაზედ ვენახი იქნებაო.  
წავიდა კაცი, ჩაარტო ჩხირები. დილაზედ გამოვიდა ხემწიფე. ნახა, ვერცხლის  
ვენახია. ძალიან მოეწონა. კაცს უთხრა: თუ რაც ქვეყანაზედ ფრინველებია,  
აქ მოუყრი თავს, მივცემ ქალსა, თუ არა და არაო. გოგრამ უთხრა: წადი,  
დადგე ვენახში ტ დაიძახე, მოდით, დიდო ტ პატარავ, მოდითო. მოვიდა ტ  
მოვიდა ფრინველი; ვენახი სულ გაიშრა. გამოვიდა ხემწიფე. იქაურობა სავსეა  
ფრინველებით. მერე უთხრა, ისეთი ტანისამოსი უნდა მომიტანო, რომ ქვე-  
ყანაზედ არაფის არა ჰქონდეს იმისთანა ტანისამოსიო. მოვიდა კაცი სახლში.  
გოგრავე, ხემწიფე გიყვეთავს, ისეთი ტანისამოსი უნდა მომიტანოს, იმისთანა  
არაფის არ ეცვასო. — დღდავ, ნაქრები ხო გაქვს და ჩოხის ნაგლეჯებიო,  
უთხრა გოგრამ, წადი მომიტანო. მოუტანა. შევხვია ეს შერები, მისცა და  
უთხრა, მიიტანე, გადისროლე კარებიდამ და გამოიტყეო. წავიდა კაცი,  
მიიტანა შერები და გადისროლა კარებიდამ, და თვითონ კი გამოკურცხლა.  
გამოუყენა ხემწიფემ კაცი, რას მიზბის ის კაციო. დაიკრეს, მიიყვანეს.  
ნახეს იმისთანა ტანისამოსი, რომ თავის დღეში არ ენახათ. წადი, მოიყვანე  
შენი შეილი და ჯვარი დაწეროთო, უთხრა ხემწიფემ. წავიდნენ. მოიყვა-  
ნეს გოგრა. მღვდელი ჯვარს არა სწერს. გოგრამ გამოსძახა: მღვდელო, ჯვარი  
დაწერე. თორემ წვერს დაგაგლეჯავო. დასწერეს ჯვარი. ნეფე-დღეღოფალი  
ერთს საქათმეში შეიყვანეს. გასქდა გოგრა, მისრიანი ბიჭი ამოხტა, გადაეხ-  
ვია თავის კოლსა; და ისეთი ქორწილი ჰქონდათ, რომ ჩიტის რძის მტეტი არა-  
ფერი არა აკლდათ რა.

(მკვარ ქეთარძის (ანბნის))

## 11. --- ქვრივი დედაკაცი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ქვრივი  
დედაკაცი. ერთი გასათხოვარი ქალი ჰყვანდა და ერთი დაუქორწილებელი  
ვაჟი. ფიქრობდა ხოლმე, ჯერ ქალი გაეთხოვო, თუ ვაჟი დაუქორწილოვო.  
ბოლოს ისევე ვაჟის დაქორწილება გადასწყვიტა. რა დაქორწილა, შეილი ჯარ-  
ში წაიყვანეს. კოლი ტროდა. ქვრივი ძალიანა ნალღობდა. ვინ იცისო,  
უთხრა კოლსა, შენ ვის შეიყვარებ, როცა მე აქ აღარ ვიქნები; ვიცი, მი-  
ლალატებო. — დღდაშენს ერთი ტანისამოსი აქვსო, უთხრა კოლმა, გამო-  
ართე ისა. სანამ შენი ერთგული ვიქნები, ის ტანისამოსიც მთელი იქნება;  
როცა გიღალატებ, და ისიც გაცელებო.

წავიდა ვაჟი ჯარში. დარჩა ახალგაზდა ქალი სახლში. ერთგულობს  
ქვარსა, არა ჰყოფს თავს გარეთ, მზესაც არა მხედავს. მიდის დრო. აცვია

ის ტანისამოსი იმ ვაგსა. არცა ცელება, არც კუჭუიანდება. სხვები, ამის ამ-  
ხანაგები, ჰრეცხენ ტანისამოსს, ეგლიჯებათ— აყერებენ, იმას კი ერთთავად ა-  
ცვია და აცვია, — არც აყერებს, არც გასარეცხი ხდება. უყვირთ იმის ამბა-  
ნაგებს: ეს როგორ არის, რომ ზეენ ყველას გვიცვლება და მაგას სულ მთე-  
ლი და სუფთა აცვიაო? ერთხელ შეუწინდენ, აღარ მოეშენენ. ვაჟმაკ უთხ-  
რა: სანამ ზემი კოლი ზემი ერთგულია, ეს ტანისამოსიც მთელი იქნება, და,  
როცა ზემი კოლი მიღალატებს, ეს საცმელიც გამიცვდებაო. ამანაგებმა  
სხაიკლოთ აიგდეს. ერთმა იმისმა ამნაგმა სთქვა: თუ არ წაველ და ამას  
თავისი კოლის კაბა არ მოეუტანე, რაღა კაცი ვარო. ჩაიღო ბლომად ფულე-  
ბი და გასწია. იმათ სოფელში დაიღამა. ვაჟის ქვრივ დედასთან მივიდა.  
— დედა, დედაშვილობას ამდამ დამაყენეთო; არაფრით შეგაწულებთ, ყველო-  
ფერი ზემი მაქვსო. დააყენეს. ვაშალა ამ კაცმა თავისი სავაძლი. მშენიერი  
ვაშაში სკამეს. როცა დაწვენენ, ამოიღო სამი თუშანი ამ უცხო კაცმა და  
შეაძლია ბებერს, ამდამ შენი რძალი დამიწვირე და ეს ორი თუშანი შენ და  
ერთი იმასაო. თქვეს უარი. გაუხადა სამი თუშანი ბებერს და ორი რძალსა,  
რძალი უარზედ სდგას. — ნუ, ბებილო, ნუ მიზამ მაგ საქმესო, ეხვეწება  
რძალი, მე ზემს ნამუსს არაფერზედ არ გავყიდი, ზემი წონაც რო მომცენო.  
არ მოეხდი ზემს ქმარს ნამუსიანს ქუდსაო. კაცი კიდე თავისაზედ იღგა.  
გაუხადა ორმოც თუშნად, ბებერი დასთანხმდა, მაგრამ რძალმა უფრო დიდი  
უარი უთხრა. აგე შენც გვაეს ქალიო, გაიყვანე და ის დაუწვირე, თუ მაგ-  
რე გინდაო. ჩააცვა ბებერმა რძლის კაბა თავის ქალსა, გაიყვანა და დაუწვი-  
რა კაცსა.

ამ დროს კი ჯარში მყოფ ვაგს ტანისამოსის სხვა და სხვა ფერზედ ეცვლე-  
ბა, ხანა შეადება— ნაცრდება, ხან ფერსა ჰყარავს— ყვითლდება. ქალის ქმ-  
არი ფიქრობს, რაღაც განსაცდელია ზემს თავსაო...

როცა ყველას დაეძინა, ადგება ეს უცხო კაცი, გადკიდებს ამ ტანისა-  
მოსს მკლავზედ და გასწევს. იმას ჰგონია, სწორეთ ეს ქალი იმ ზემი ამბანა-  
გის კოლი იყოვო.

გაიღვიძებენ, საღლაა კაცი, საღლაა ტანისამოსი! ადგება მაშინვე რძალი,  
ჩაიცვამს ქმარს ტანისამოსს, შემოიკრავს ხანჯალს, გადაჯდება ცხენზედ და  
გასწევს იმ კაცის დასაწევნელად. თან წაიღებს ღვინოს, კაი პურებს და  
ერთ მოხარშულ დედალს. შუა გზაზედ წამოეწევა ამ კაცსა. გამარჯვებო,  
ეტყვის.— გაგიმარჯოსო. — შენც კაი ბიკი ხარ დ მეც; ერთად ვიშვ ზავროთო, ეტ-  
ყვის ქალი ამ კაბის წამოშლეს.— ძალიან კარგო. როცა მომშოდებათ ქალი  
ეტყვის: ჩამოდი, დავისვენოთ, პური ეჭამოთო. დასხდებიან, სკამენ პურსა. და-  
ათრობს ქალი ამ კაცსა, ააგლეჯს თავის კაბას, გახდის შარვილს და ისე შერკ-  
ხვნილს გაუშვებს. გადაჯდება და გამოსწევს შინა.

გაეიღა ხანი. გაუვიდა ვადა ქალის ქმარს და დაბრუნდა სახლში. ამ  
დროს იმისი კოლი სამეზობლოდ შესულიყო მემზობლისას. ჰკითხა დედის  
კოლის ამბავი. დედამთილს არ უყვარდა რძალი. — რაც შენ წასულხარ,  
შვილო, სახლში აღარ შემოუხენდია, სულ გარეთ დავთრევა, არც სახლზედ  
და არც შენზედ გული არა იქნესო. მოიშორე, შვილო, ეგ შენ კოლობას

აღარ გიზამს, წაიყვანე სადმე, გადააკარგეო. მოვიდა ცოლი. დაწუხებული ეხვევა ცოლი, ჰკოცნის ქმარსა, ქმარი კი ხელსა ჰკრავს და ავდებს. — უნდა სამშობლოში წაგიყვანოვო, ეუბნება ქმარი. წაიყვანა ცოლი. სხვა გზაზედ მიჰყავს, უნდა სადმე გადაძღუპოს. ცოლი ეუბნება: ასე არ არის ჩემი სამშობლოს გზა, ჩემო სიცოცხლეც, სხვა გზაზედ წავიდეთო.

იარეს, იარეს, ერთ ადგილას მიიყვანა ცოლი, უღამურს, უცხოა, უსულდგმულოსა, დასთხარა თვალები და გაანება თავი, თვითონ სახლში წავიდა. ტირის ქალი, ტირის, რომ იმისი ხმა ღმერთს ესმა. გამოგზავნა ღმერთმა ყვავი: წადი, ყვავო, შეიტყუე, რა ამბავია ქვეყანაზედ, ვინა ტირისოვო მოვიდა ყვავი ქვეყანაზედ, გაძღა ლეშით და წავიდა. არაფერი ამბავი არ არის ქვეყანაზედაო, უთხრა ღმერთსა. გამოგზავნა ახლა მტრედი. ჩამოვიდა მტრედი, ნახა: ბრმა ქალი ტირის, ტირის. შეეცოდა მტრედსა ღმერთს სამწუხარო ამბავი მიუტანა. მისკა ღმერთმა ხელსახოცი: წაიღე, წაუსვი და თვალის სინათლე დაუბრუნდებო. გთხოვოს, — სამი რამე აუსრულეო. ჩამოფრინდა მტრედი, მოუსვა ხელსახოცი თვალებზედ. — ბრმამ თვალები გაიხილა. რას ითხოვ? რაც გინდა, ინდომეო, უთხრა მტრედმა. ქალმა ინდომა: ერთი წისქვილი მომცა და ერთი მეწისქვილეო, ერთი კარგი სასახლე თავის გამართულობითაო. ქალს ყველაფერი შეუსრულდა. ტრიალებს წისქვილი. ახლო-მახლო სხვა წისქვილი არსად არა ყოფილა. მოაწყდა საფუკი. მოდის ურემი ურემზედ, ფუქვას და მინდის ალებას ვერ ასდიან.

დაიყვანა ქალმა მეწისქვილე და დაავალა: ეინც მოვიდეს, ყველას სახელი და გვარი ჰკითხე, ამა და ამ სახელისა და გვარისკაცი რომ მოვიდეს, აქ ჩემთან მოიყვანეო. რამდენიმე ხნის უკან ამ ქალის ქმარიც ურმით და საფუკავით მოადგა წისქვილსა. მეწისქვილემ გამოჰკითხა გვარი და სახელი და წაიყვანა ქალთან. იცნო ცოლმა. ქმარი კი რას იცნობს, — თვალები დასთხარა; ზომ ველარ გაუშთვლდებოდაო, ფიქრობს. ქალმა ჰკითხა: ცოლი არა გყავსო. — არა მყავს, მყვინდა და აღარა მყავსო, უბასუბა ვაემა.

შენი დედა ისევ ცოცხალი არისო? — ისევ ცოცხალიაო. — შენი დედა ისევ ცოცხალია? — ისევ ცოცხალია. შინ არისო. უყვირს ამ კაცს, ეს ქალი საიდან იცნობს ჩემს დედასა და დასა, სად მე, სად ესაო. ქალმა უთხრა შენი დედა და და აქ მოიყვანეო. მივიდა ვაჟი სახლში გაკვირვებული. ესე, ესე, წისქვილის პატრონი ქალი ყოფილა, ძალიან ღამაზი და მდიდარი არისო, თქვენ გცნობით. თქვენნი იქ წაყვანა დამავალა; უნდა წამოხვიდეთო. დაუსტდნენ ურემზედ და წავიდნენ. გამოეგება ქალი, შეიყვანა მული და დედაძითლი სახლში. შესტკერის ეს მული გაკვირვებული: ეს ჩემი რძალიაო, დიდება შენთვის, ღმერთო, აქი ჩემმა ძმამ თვალები დასთხარა, აქ საიღამ მოსულაო. შენ ჩემი რძალი არა ხარო, ჰკითხავს რძალსა, ვინ მოგიყვანა აქა, თვალები რა სასწაულმა აგვიხილაო. რძალმა უნებო თავისი თავგადისავალი. ისევ ტკბილი ცოლ-ქმრობა გასწიეს. და გვერდს იყოლიეს, დედა კი ძველს სახლში გაგზანეს.

კირი იქა, ლხინი აქა,

ნაქარი იქა, ფქვილი აქა.



## ✓ 12.—ჯანაბას წამსვლელი.

ეს იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი გლეხი კაცი. რის ვაი-ვაგლახით ოცოოდ თუმანი მოგვროვა და სამარხად ინახავდა. ამ კაცს ერთი მოჯამავირე ჰყვანდა. ერთხელ ეს კაცი სახლში არ იყო, ამისმა ცოლმა ბიჭი წყალზედ გაგზავნა; ბიჭს ლიტრა გაუტყუდა და საღამომდინ არ მივიდა სახლში. საღამოზედ მივიდა აღის სახლში, მიიტანა ლიტრის ყელი, უჩვენა აღის ცოლს და უთხრა: ერთი ისეთი რამე მაქვს, რომ, ნიგრო გაიხედო, ქვეყანას დაინახავო. აღის ცოლმა ვეღარ იცნო თავი ი მოჯამავირე, ლიტრის ყელში ორი თუმანი შეიძლია. ბიჭმა არა უნა, — ოცოოდმან არ დაეკლებო. უნდა ის ოცი თუმანი დატყუოს. რას იზამდა დედაკაცი; იმ ლიტრის ყელში ჩახედვა ძალიან უნდოდა — ქვეყანას დაინახავდა. ამოიღო ფულიანი პარკი, მისცა და ლიტრის ყელი გამოართვა. ბიჭმა ამოიღო იღლიის ძირში ფულით სავსე პარკი და გასწია თავის გზაზედ. დედაკაცმა მიიმედ ღადო ლიტრის ყელი ფულის ადგილის და მოუთმენლად გლის ქმრის მოსვლასა. მოვიდა ქმარი; გაეგება ცოლი წინ და ახარა: ოც თუმანი ისეთი რამე გვიღდე, რომ გაიხედო. შიგ, ქვეყანას დაინახავო მივიდა კაცი, ნახა ლიტრის ყელი, შემოიკრა თავში და პირში: ვაიმე, ჩემო ოცოოდ თუმანო, რის წვალტებით და საცოდავობით ძლიერ მოვაგროვე, და რად დამღუბე და დამანგლეო. ტირილით და ვიის დაყრით რაღა იქნებოდა! ადგა კაცი, ჩაიწყო საგმალი და წავიდა იმის სამებნელიდ. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, იმას კი ვეღარსად შეგებდა. დაღალული და დაღონებული ერთ წყაროსთან დაჯდა, დაისვენა, შეზღუდულ წყალი შეისხა. წყაროს ახლო ერთ გაკეთებულ თავადიშვილს ედგა სახლი. ეს კაცი ამ წყაროზედ ზის სღამომდინე ჩამოვიდა წყაროზედ თავადის მოსამსახურე. — საღ მისდინარო, პკითხავს ამ კაცსა. — ჯანაბასო. წავიდა მოსამსახურე, ბატონებს მოასწენა: ერთი კაცი ზის წყაროზედ, ჯანაბას მიდის, და თქვენ შეიღითან ხომ არაფერს გაატანთო. ბატონებს ძალიან გაეხარდათ. დაუძახეს კაცს სახლში, კარგი ასვენდი იქამეს, გაუფესეს პარკი ოქრო-ვერცხლით და გაატანეს, ჩვენ შეიღის მიუტანე, დასკირდებო; უთხარო, როცა გე გამოგელიოს, მოიწერე; თუ წამოსვლელი ვინმე ენახეთ, კიდევ გამოგატანთო. მოიკადა ზურგზედ გახარებულმა კაცმა ოქროთ სავსე პარკი და მოძუგა. რა ჯანაბა, რის ჯანაბამ მოუვიდა სძვე თავადიშვილსა. — ჩვენ შეიღის ფული გაუფგზავნეთო. ერთი ჯანაბას წამსვლელი ენახეთ და იმას გაატანეთო, ახარეს სიდდრ-სიმამრმა სძქესა. — ვაი, შენ ჩემო თავო, იმას ხო მოუტყულებიხართ; ჯანაბას კი არა, ეშმაკში წავაო; იმ ფულს შესკამსო. მოახტა მაშინვე თავის მატარებელ ცხენს და გამოგვიდა ჯანაბას წამსვლელს.

ჯანაბას წამსვლელი მიდის, მირბის, რაც შეუძლიან, და თან უკან იხედება, ხო არავენ მომდევნო. შეხედა, რომ ერთი კაცი ცხენის ქუჩებით მოსდევს. მიიხედ-მოიხედა, ახლო წისკელია ნახა. გაქანდა და წისკელი ზი შევიარდა. შეხედა, მწწისკვილე ჭაჩალი ყოფილია. — აბა თავს უშველე, ქაჩლე-

ბის ხემწიფე მორბისო, უთბრა ოფლ გადადენილმა ჯანაბას მიმავალმა მე-  
წისქვილეს, გაიქე თუთაზედ შეეკეთა. გაიქცა მეწისქვილე და ერთ თუთაზედ  
შეეჯდა და იქ დაიძალა. ჯანაბას წამსვლელი ფქვილში აშოიგანგლო. მოვიდა  
თავადიშვილის მდევარი.—ის კაცი რა იქნაო, შეუტია მეწისქვილეს. ჯანაბას  
წამსვლელი მეწისქვილე ეგონა.—აგე, იმ ხეზედ შეეჯდა, შენი კირიმე, ბა-  
ტონოვო. ჩამოხტა თავადიშვილის სიძე ცხენილამ.—ეს ცხენი შენ შემინახე;  
იმ კაცმა ფულიანი პარკი მოიპარა, მე მოვეურჩებო იმასაო, ავიდა თუთა-  
ზედ. ჩამოაგდო საცოდავი ქაალი მეწისქვილე და სცემს. ჯანაბას წამსვლე-  
ლი კი საჩქაროდ გამოძვრა წისქვილილამ, გადაჰყდა ცხენს ფულიანი პარკი,  
გადაჯდა და მოუსვა.

კირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.  
თი ელასა, მელასა,  
კუბა მგვიდა ყელასა.  
მოქმელსა და გამგონებულსა,  
ღმერთი გწალობდესთ ყველასა.

(ესა გავნიობ ნაშრობი, 1854 წ. 18 იანვარი).

### 13.—ქალა-ბიჭასი და გაქვაგებული ქალაქისა

იყო და არა იყო რა. ღვთის უცეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი.  
ხემწიფის სამსახურში წამყოფი იყო და ძალიან გამჭიდრებულყო. სამი ქა-  
ლის მეტი არავინა ჰყვანდა. დაენებებინა თავი სამსახურისათვის და შინ მო-  
სვენებით ცხოვრობდა. ხემწიფეს შემოეთვალა: ან შენ მოდი, ან შენი შვი-  
ლი გამოგზავნე, მემსახუროსო.

ეს კაცი ძალიან დაღონდა: ვაგი არა ჰყვანდა; ვინ უნდა გავგზავნოვო.  
შეიტყვეს ქალებმა შაშის დაღონება. ერთმანეთის მჯობნი ჰკითხავდნენ: რას  
დაღონებულხარ, მამავ, რა გაქვს სადარღო, გვითხარ, და უფაგობას არ შე-  
გამჩნევიანებთო.

—ესე, შვილო, ხემწიფეს შემოუთვლია, უნდა შვილი გავუგზავნო,  
რო ემსახუროს და აბა რომელი შესძლებთ წასელასაო.

—მე წავალ, მამაჩემო, სთქვა უფროსმა ქალმა, მე არაფრისა მეშინიან,  
მე ვემსახურები იმ ხემწიფესაო.

—ძალიან კარგო, გიხარა მამამ, თუკი მადგენს შესძლებო.

შეკმაზა უფროსმა ქალმა ცხენი, ჩიიცვა ვაჭურად, აისხა იარაღი და  
გასწია გზასა.

სანამ ის წავიღოდა, მამამ დაასწრო, შეეჯდა ცხენზედ, აიღო ხმალი და,  
როცა ქალი შარა გზაზე გავიდა, შემოუტია: ვინა ხარ, ამ საათში დაბარუნ-  
დი, თორემ გაგკერ შუაზეო.

შეშინებულმა ქალმა ისე მოკურცხლა სახლოსკენ, რომ სულ უკან-

უკან იხედვ`და, აჟა ხომ არ მომდევსო, მობრუნდა მამაც, თავის ქალს მოასწრო, ცქნიდამ ჩამოხტა, ქალს სახლში დახვდა.

— რად დაბრუნდი, შეილო, ხომ არაფერი შეგეშინებია.

— როგორ არა, მამავ, აქედამ რო გაველ შუა შარაზედ, ერთი კაც გადმოს დგა, ამ საათში დაგჩეხავ, თუ უკან არ დაბრუნდითო. მეც გამოვიქცევი გულ-გახვთქილიო, უთხრა ქალმა.

— არა, შეილო, შენ იქ არ გამოდგებიო, უთხრა მამამ.

ახლა შუათანა ქალი წამოდგა:

— მე წავალ, მამა, მე არაფრისა შეშინიანო, ამა მე დამიხედეს ის ერილად არის, თუ თვითონ იმას არ დაეგდებინო გავო.

გაეხარა მამას. იქნება შეეძლოს რამე ჩემ ქალსაო.

შეუქმანეს ლამაზათ, კობხათ ცხენი, მოურთეს. ჩაიკვა ვაჟური ტანისამოსი ამ შუათანა ქალმა, შეჯდა ცხენზედ და ტრახინით გასწია.

ჩაიკვა მამამაც სულ სუხანაირათ, პირი დიბურა, რომ თავის ქალს არ ვერო. შეჯდა ცხენზედ და, როცა შუათანა ქალი შარა გზაზედ გავიდა, გადუღდა გზაზედ.

— ამ საათში შუაზედ გაგაფავ, თუ არ დაბრუნდითო.

ქალს შიშით გული გაუსქდა, შემოიკრა ცხენს, ასეთი მოძუტვა სახლისკენ, სულ თავ-გადაგლეჯილმა. მობრუნდა მამაც, მოასწრო ქალს, გაიხადა, შევიდა თავის ოთახში და, ეითომ აქ არაფერიო, დაუწყო ლოდინი თავის ქალსა. შემოვიდა გულგახვთქილი შუათანა ქალი ცოტა ხნის შემდეგ.

— რა დაგმართვია, შეილო, რამ შეგაშინა, გზაზედ ხიფათი ხომ არაფერი შეგეშინებავო, ჰკითხა მამამ.

— როგორ არა, მამავ: აქედან რო წაველ და შარა გზაზედ გაველი, ერთი კაც გადამიღდა და მოკელას მიპრობდა, რომ არ გამოვქცეოდითო.

— ვერც შენ გამოდგები, შეილო, იქა, იჯექ სახლში, შენ თითის ტარი ატოილე, ხმალი რა შენი საქმეო, უთხრა მამამ.

შერე უმკროსი ქალი მივიდა მამასთან.

— მე წავალ, მამა ჩემო, მე უეფობას არ შეგამჩნევინებო.

— წადი, შეილო, მიგრამ ვაი თუ შენც ისევე დაბრუნდებ, როგორც შენი უფროსი დებო.

შეაქმანინა ცხენი, ჩაიკვა ვაჟურათ, შემოიკრა ხმალი, შეჯდა ცხენზე და გასწია.

შეაქმანინა მამამაც ცხენი და, სანამ ქალი მივიდოდა, გზაში ჩახაფრდა.

გავიდა თუ არა ქალი გზაზედ, გადუღდა ვაშიშვლემული ხელით წინ მამა და შეუტია: დაბრუნდი უკან, თორემ იცოდებ, ცოცხალი ვერ წამიხვალო.

— ე მანდ ვზიდან ჩამომეკალებ, თორემ სისხლისგან დაგვლიო. შეუტია ქალმა და ისეთი მარდათ მიადგო ზედ ცხენი, რომ მამა შეშინდა და საქაროდ გამოვშინაურა თავის ქალსა. გადაეხვია მამა თავის ქალსა და დაუწყო კონა: შენ ვენაცვალე, ჩემო მოხუცებულობის იმედო, შენა, რომ

მაგისტონა ყოჩალი შეეხარო. ამა როგორ და გავგზავნოს ხეაგან, რა დღე  
მართოს რამე, მაშინ რაღამ მანუგეშოს, შეილო!

— არა, მამა, მე არ დაედგები; თუ არ წაველ, არ იქნება, რაც  
მომივა, მომივიდეს.

მაშინ დააბრუნა მამამ, როგორ უნდა მოქცეულიყო.

— რაკი არ დაიშლი, შეილო, და წახეალ, გზაზედ ერთი დევი შეგხედე-  
ბა. ის დევი ჩემი მეგობარი იყო წინათა. ის შეგვიპატუებს სახლში, — ვიცი  
არ მოგეშეება. შეხეალ—საშინოა, არ შეხეალ—მით უარესი. თუ შეხვიდე,  
ძალიან ფრთხილად იყავ, არ შეგაცდინოს რითმე, თორემ ვერ მოიჩნები  
მთელი და უკირველიო.

გამოუთხოვა ქალი მამას და წავიდა. ბევრი იარა, თუცოტა იარა, მიადგა  
დევის სახლსა. არ შეიძლებოდა გზის ატყევა. გამოეგება დევა, დაუკირა  
კბენის სადავე, არ უშვებდა. ჰკითხა: ეისი ხარ, სად მისდინარო. ქალმა  
უთხრა, რომ მავანისა და მავანის კაკის ვაგი ვარ და მავანს და მავანს ხემ-  
წიყეს უნდა ვეშახტოო. დევი ძალიან გაიკვირა: ჩემ მეგობარს ვითომ  
ვაგი კო არა ჰყვანდა, ასე მალე როგორ მოსწრებინარო. შენი გაშეება  
როგორ იქნება, მეგობრის ვაგი ძლივ საღმე ვნახე და ეხლავე სად გავ-  
გზავნოო. ქალი მაინც აბირობდა წასელას, მაგრამ დევი ძალიან უარზედ  
დადგა. რაღა იქნებოდა; ქალს მტეი ღონე აღიარა ჰქონდა, უნდა დამდგარიყო.

იმ დევსაც სამი ქალი ჰყვანდა. იმ ღამეს ეს ქალი და დევის უფროსი  
ქალი შეიად მორთეს, შავს ოთახში შეიყვანეს და შავს ლოგინში დააწვი-  
ნეს: მოსვენეთ ერთად, შეიღებოყო. იმ ღამეს წუეს ეს ქალი ამ დევის  
ქალთან: რამდენიც ეს დევის ქალი იმისკენ მიიწევს, ის კიდევ უკან იწევს.  
გაათენეს, როგორც იყო, ის ღამე. მეორე დღეს დევი ჰკითხა თავის ქალს:  
აბა, შეილო, როგორი დროება გაატარეთ, როგორი რამ ბიჭი ყოფილიო.  
— არაფერი დროება არ გაიტარებთო, უთხრა ქალმა: როგორც დაწვა,  
ისევე ადგა, ახლოსაც არ მომეკარებთო.

მეორე ღამეს ახლა შუათანა ქალი მორთეს შავად, და ეს ქალიც შეიყვანეს  
შავს ოთახში და შავს ლოგინში ჩააწვირეს. როგორც წინა ღამე გაატარა  
უფროსმა ქალმა, ისევე ეს ღამეც შუათანამ გაათენა: მეორედღე რო გაათენ-  
და და დევის ქალი ადგა, მამამ ჰკითხა: აბა, ჩემო შეილო, როგორი დროე-  
ბა გატარეთ წუხელის: როგორი რამ ბიჭია; მოგეწონა, თუ არაო. — არ  
ვიცი, მამა. უნახუბა ქალმა, წუხელი მთელი ღამე ისე გაათენა, რომ ახლოც  
არ მომეკარებთო. როგორც ჩემი ძმისა არაფერი ვიცი, ისე შავისო.

მესამე ღამეს მესამე ქალი მორთეს შავად, შავი ტანისაჰოსი ჩააცვს;  
შეიყვანეს ეს ქალი და დევის უმცროსი ქალი და შავს ლოგინში დააწვირეს.  
— აბა ვინმლო ამდამ კარგათ მოსვენათო, უთხრა დევი. დაწვანეს ეს ქა-  
ლები, და ეს დევის ქალი გულთმისანია. შეატყო, რომ ქალია, და უკმე-  
ხოდაში არ ჩამართავა იმისი საქუელი. მაშინ უთხრა: ვიცი, რო ქალი ხარო,  
და მაშინვე ვერ გადაარჩები, თუ ამაღამაც ისეთი პასუხი მიიღო, როგორც  
წინა ღამეებშიო. მაგრამ თუ პირობას მომცემ და შემომთვალავ, რომ ჩემს  
მტეს ცოლს არ ინდომებ, თუ ვაჟად იქეცი, ვიშველიო. შევთვალა ქალმა.

მაშინ დევის ქალმა უთხრა: მამაჩემი წაგიყვანს და დაგატარებს ოთახებსაო. თავის სიმდიდრეს გაჩვენებსო; გეტყვის, რაც გინდოდეს, ის აირჩიეო. შენ პირველად ოქრო-ვერცხლს და თვალ-მარგალიტს მნახე, მაგრამ არ მოსტყუედე; იქვე ერთი რკინის ბუკედი ძვეს, და ის აიღეო. მერე სხვაგან შეგიყვანს, გიჩვენებს, რომ სულ ოქროს იარაღი და აბჯარი აწყვეია; შენ არც ერთს არ წაეტანო; იქ რომ ერთი რკინის ხმალია, ის აიღეო. მერე ქცენების ჯოგში წაგიყვანს და ცხენებს გიჩვენებს. გეტყვის, აირჩიე, რომელიც გინდაო. ერთი მეორის უკეთესია, ყველა მოგეწონება და ნურც ერთს ნუ წაიყვან; ბოლოს რო გამოვა, იმას წააღეო ხელი და ის წამოიყვანეო. მეორე დღია რო გათენდა, აღდგენ.—აბა, შეილო, როგორი დროება გაატარეთო, პკითხა მამამ, როგორი ბიჭი ყოფილაო. — ისე კი დროება გავატარეთ, მამა, ისე ვისიამოვნე, რომ ზემ დებს სიზმარშიაო არ მოგწვენებათო. — კარგო, უთხრა მამამ, წამოვიდეს ჩემთან ჩემი ძმობილის ვაგი, ძღვენი მიუძღვნაო.

წაიღა ქალა-ბიჭა (ასე ლაუქაბოთ ზენ მოგზაურსა) დევთან. შეიყვანა დევმა ერთ ოთახში, — სულ საესეა თვალთა და მარგალიტთ; რას ინატრებს კაცი, რომ იქ არ იყოს! — აბა, შეილო, რაც მოგეწონოს, ინებეო. ქალა-ბიჭამაც რკინის ბუკედი აიღო, ეს შეყოფაო.

კიდევ გაატარა ოთახები და ახლა სხეა ხახლში შეიყვანა, — სულ ოქროს იარაღით არის საესე.—ინებე, შეილო, რაც მოგეწონოს, აირჩიე, აბა რომელიც უფრო კარგი იყოსო. ქალა-ბიჭა პირველად ვითომ უარზედ იდგა, მერე, კი რკინის ხმალი აირჩია და წამოიღო.

დევმა ახლა ცხენის ჯოგთან წაიყვანა. — აირჩიე, შეილო, რომელიც მოგეწონოსო. ისეთი ცხენებია, რომ ერთი მეორესა სჯობია; ერთი რომ მოიწონოს, სხე უკეთესია. სულ მასკვლავებს ვიამაშებიან! სდებს ეს ქალა-ბიჭაც და ელის, ვერ არ ირჩევს. ელის, რომ სულ გამოვიდეს ჯოგი. როცა ჯოგი გამოიღია, ბოლოს ერთი კვიცი ცხენი გამოვიდა. სწედა ქალა-ბიჭა და დაიჭირა. — აი თუ მიბოძებთ, ეს ცხენი მიბოძეთო. დევიც რაღა უარს ეტყობდა.

მოვიდა ქალიან ქალა-ბიჭა. — ეხლა კი უნდა წაიღე, ჩემი აქ დგომი აღარ შეიძლებაო, უთხრა დევის ქალსა. — წაიღო, უთხრა ქალმა, და, როცა გაჭირვება დაგადგეს, იკოდე, მოდი და მნახეო.

გამოეთხოვა ქალა-ბიჭა თავის შენაფიცარ ქალსა, დევსა, შეგდა. წამოიღო თან რკინის ხმალი, ბუკედი, წამოიყვანა კვიცი და გამოსწია ხემწიფესთან. ხემწიფეს ძალიან იამა თავის წინანდელი ერთგული კაცის შეიღის ნახე; ძალიანაც შეიყვარა, რომ თავის შეიღებში არ არჩედა. ხემწიფეს ერთი ვაგარდნილი ქალი ჰყვანდა, და ცალკე კოშკში ცხოვრობდა. შეესმა ამ ქალს, რომ მამაჩემთან ერთი ღამეში ვაგი მოსულაო. აბა ეს ქალა-ბიჭა ქალია ახლად შედგრებული, ვინ იცის თუ, ვაგი არ არის, და ნიადგ მოეწონებათ, მამას შემოუთვალა ამ ქალმა, რომ შენ სამხახურად რო ახალგაზდა ემაწეილი მოსულა, ვე ჩემთან გამოგზავნე, აქებენ, და მინდა ვნახოკო.

ქალა-ბიჭა წაიღა ხემწიფის ქალიან. ქალი ძალიან აღერსიანად დაუხედა, იმ ღამეს აღარ გაუშეა და თავისთან დაიწინა. ქალა-ბიჭა ქალია, რას მოსურვილებს ამ ქალსა! ქალი კი ეხვევა და ესურვილება, ის ღამე ისე

გაქირვებით გაათენეს. გამწყრალმა ქალმა დაითხოვა ქალაბიჭა და თავი მოიკიდებოდა. მამას შეუთვალა: ავადა ვარ და ამა და ამ ადგილას, ანუ ვინა ზღვისა და შავ ზღვას შუა, რომ დაწერილი მარმარილოს ქვაა, თუ იმას არ წაიკითხავ, არ მოვრბებო. იმ ქვას ვერაინ მოიტანს, თუ არ ვე შენი ახლად მოსული მოსამსახურეო. ხემწიფეს ქალის სიტყვები ძალიან ეწყონა: მე ეს უმაწვლილი იმახედ ნაკლებ არ მიყვარს, და, იმისთანა ადგილას რომ ვგზავნის, რას სობრივე მოსდისო. მოკედეს, თუ მოკედებო. ბოლოს მაინც შეიღოს სიყვარულმა დასძლია, ქალაბიჭის უბანა, წადი, თუ შეგიძლიან, მოიტანეო.

წაიდა დაღონებული ქალაბიჭა თავის დანიშნულ დევის ქალთან. ქალმა რომ დაღონებული ნახა ქალაბიჭა, ძალიან შეშინდა, ხომ არაფერი დაემართათო. — რას დაღონებულხარო, ჰკითხა. — რას არ დაღონებულხარ, ხემწიფის ქალმა შეშოყვითა, შავსა და თეთრ ზღვას შუა რომ დაწერილი მარმარილოს ქვაა, ის უნდა მომიტანოეო. მოუყვა და დაწერილებით უამბო თავის თავგადასაყალი. — შეგისათვის რას შექმნივსო. მაშინვე ერთი კი სთქვა, და ორმოცი ჰჯი იმასთან დაიბადა.

— რას გეობძანებო?

— უნდა წახვიდეო და, შავსა და თეთრ ზღვას შუა რომ დაწერილი მარმარილოს ქვაა, ის მოიტანოთ და ხემწიფის კარებზედ დააგდოთო, უბანა ქალმა.

— ორმოცი რომ არ დაგეძახეთ, განა ორი კი ვერ მოვიტანდითო, სთქვეს ჰჯებმა. მაშინვე გაძვრნენ და გათენებისას დაწერილი მარმარილოს ქვა ხემწიფის კარებზედ ეგდო. გამოცხადდა, რასაკერაღია, ქალაბიჭა.

— დიდებულო ხემწიფეე, მოვიტანე, რაცა ბანა თქვენმა ქალმაო. ოჰ, ძალიან გაიხარა ხემწიფე, შეიღოც გადამორება და ეს ვაიოც გადარჩა განსაცდელსაო. შიართვეს ხემწიფის ქალს წასაკითხად.

კიდევ მოიკიდა თავი ხემწიფის ქალმა. რა ვიშველის, რა ვიშველისო. — მე არაფერი ვიშველის, თუ არ ამა და ამ ალაგას შიამში რა გორას ტელა ტახი არის. იმის გულ-ღვიძლი არ მომიტანეთო. ვინ მოიტანსო, და, ხემწიფეს რომ ახალი მოსამსახურე მყავს, მარმარილოს ქვა რომ მოიტანა, იმის შეტი ვერაინ მოიტანსო.

მოახსენეს ხემწიფეს. ხემწიფემ ძალიან იწყინა: რასა სულელობს ის ჩემი ქალიო: ხომ არა ჰგონია, რომ ის ამ ვაიზედ შეტად მიყვარდესო. ძალიან ენანებოდა ხემწიფეს ქალაბიჭა. მაგრამ კიდევ გულს იმითი იმაგრებდა, რომ, თუ მარმარილოს ქვა მოიტანა, იქნება იმ ტახის გულ-ღვიძლიც მოიტანოსო.

უთხრეს ქალაბიჭს, უნდა წახვიდეო და, ამა და ამ შიამში რომ გორას ტელა ტახია, იმისი გულ-ღვიძლი უნდა მოიტანოეო. ამ ტახის ხსენებაზედ ქალაბიჭის თმა სულ ყალყს დაუდგა. რაღა იქნებოდა, ვასწია თავის დანიშნულისკენ, დევის ქალისკენ.

— რას დაღონებულხარ, ჩემო სიციხელივე, რამ შეგაწყუნაო, ჰკითხა დევის ქალმა.

— რამ არ დამაღონა, ხემწიფის ქალმა თავი მოიკიდებოდა, თუ, ამა და ამ ალაგას რა გორას ტელა ტახია, იმის გულ-ღვიძლს არ მომიტან, ვერ მოვრბებო. ახლა არ ვიცი, როგორ მოვიტანოეო.

— შეგისათვის რას დაღონებულხარო, უთხრა ქალმა: გაიკეთე რკინის ბეჭე-

დი, ის რკინის ხმალი შემოიკარ, მამიძემისეულ ცხენზედ შეჯექ და წაიღო. ლორის ალაგს მიხედვ, შენ მიწა ამოთხარე, იმაში ჩაიმაღე, ცხენი გაუშვი და თვითონ იცისო. დაიღურსება ცხენი ტახის მოახლოებამდე, მერე უცებ წინა ტოტებს დასცემს და მოჰკლავსო. შენც ანეხე და გამოაცალე გულ-ღვიძლიო.

წავიდა ქალა-ბიჭა, შეჯდა დევისეულ ცხენზე. რომევიდა, სადაც ლორი ბუნავობდა, ამოთხარა მიწა და შიგ ჩაჯდა. ცხენს წამოჰყარა აღვირი და გაუშვა. დაინახა თუ არა ტახმა ცხენი, მაშინვე გაჯარი აშალა და კბილ-ვალესილი გამოეკანა ცხენისკენ. ცხენი დაიღურსა, დაილია, სულ მუშტის ტელა ვადა; როცა ტახი ახლოს მოვიდა, უცებ ვეცხენი, დასცა წინა ტოტები და დაახეთქა ძირს ტახი, ამოხტა ქალა-ბიჭაც, ამოიძრო რკინის ხმალი და იქვე აეწეა ტახი; ამოაცალა გულ-ღვიძლი და წამოიღო; მოუტანა ხემწიფეს. შეკაზმა ქალმა და ეთოშადა ზორჩა.

მ. გრამ ისევაც მალე გახდა ავად. შეიწუხა გული.

— რა უშველის, ენ მოარჩენს, შესწუხდნენ იმის შლებლები. ენ გიშველისო, ჰკითხვენ.

— ენც გაქვავებული ქალაქის ამბავს მომიტანს, ის მომარჩენსო.

— ენ მოიტანს, ენ უნდა წავიდესო. — ენც დაწერილი მარმარილოს ქვა მოიტანა და ტახის გულ-ღვიძლი, ისევ ის თუ შეიტყობს, თორემ სხვა ვერაფერია. მოახსენეს ხემწიფეს, რომ შენი ქალი ისევ ავად არის, და ენც გაქვავებული ქალაქის ამბავს მომიტანს, ის მომარჩენსო. იმის ამბავს შენი ახალი მოსამსახურე ემაწიელის მეტი ვერაფერ მოიტანსო.

წავიდა ქალა-ბიჭა თავის დანიშნულ დევის ქალითან დაღონებული. დევის ქალმა, რომ დაინახა დაღონებული ქალა-ბიჭა, ჰკითხა: კიდევ რამე გაგიჩნდებოდა თავში საცემი, რას დაუღონებიახარო. — რას არ უნდა დაეღონდე, ახლა გაქვავებული ქალაქის ამბავი შემიტყუო. არ ვიცო, სად წავიდე, როგორ მოვიტყე. ქალმა უთხრა: ნუ გეშინიან, შეჯექ შენ ცხენზედ, მიუშვი სადაც, ნურც აქეთ მისწევ, ნურც მოსწევ. ცხენი თვითონ მიგიყვანს სადაც გაქვავებული ქალაქია ადგა ქალა-ბიჭა, შეკაზმა ცხენი, შეჯდა და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, ნახა თეთრი გაქვავებული ჯარი. წავიდა, კიდევ იარა, შეჰხედა ახლა წითლად ჩაცმული ჯარი, მაგრამ ისიც სულ გაქვავებული იყო. გასცდა ამ ჯარსაც და მერე გაქვავებული შავი ცხენოსანი ჯარი ნახა. ქალა-ბიჭის შიში შეეპარა გულში. მერე გაიარა და მიადგა გაქვავებულ ქალაქსა. ქუჩებიც კი დაქვავებულა, შედუქნებებიც, როგორც მსხდარან ან მღვარან, ისე გაქვავებულან. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაქვავებულია, არსად სიცოცხლე არა სჩანს. ბოლოს იარა და შუა ქალაქში ნახა ხემწიფე, წელს ზევით კოცხალია, წელს ქვევით გაქვავებულია. მივიდა ქალა-ბიჭა ხემწიფესთან და დაუწყო კითხვა, რათ არის გაქვავებული ეს ქალაქი, ენ გაქვავა, ან რა მიზეზიაო.

ხემწიფემ უთხრო: ამ ქალაქის ხემწიფე მე ვიყავ, მე მყვანდა ლამაზი ცოლი; თურმე ჩემი ცოლი ქაჯეთის ხემწიფეს მყვარობდა; მე არ ვიცოდი. ცხენები მყვანდა სანაქებო, სულ ქიშმიშს ეკმევდით, მაგრამ ძალიან დახდნენ.

მიზეზი ვერ გაივსო. თურმე ჩემი კოლი, როცა დავიძინებდი, აღგებოდა, შექმნაზაედა, შეჯდებოდა, წაიყვანდა ბიქსა და წავიდოდა ქაჯეთის ხემწიფესთან. ისურვებოდა, მერე შეჯდებოდა ისევ, მოვიდოდა და ისევ ლოგინში დაწებოდა. რაკ ცხენები დახდნენ, მე შეჯინიბეს დაეწყე ლანძღვა: ეგ ცხენები მაგრე რად დახდნენო. შეჯინებემ მითხრა: მე რა ვქნა, მე ვუყრი, მაგრამ არა სუჭლებიანო. მაშინ აედექ მე, შეჯინიბის ტანისამოსი ჩაიცევი, იმის ჩემი ჩავაცევი. მე ბოსელში ცხენებთან დავწექი, ის ჩემს ლოგინში დაეაწინენ. შუა ღამე რო შეიქნა, ჩემი კოლი აღგა თურმე, შემოვიდა ბოსელში, წამოქრა წიხლი: ადგე, აქამე, წაიღეთო. მეც აედგე, ვაქამე, შევექმნე ცხენები, შევსხედით და წავედით. როცა ქაჯეთის ხემწიფესთან ისურვოდა, ისევ უკან წამოვედით. მე ცხენის თოფრა იქ დავაგდე. შუა გზაზედ რომ მოვედით, მე ვუთხარი: ვაიმე თოფრა იქ დამჩვენია; თუ არ დაებრუნდი, არ იქნება, მეთქი, მე უკან დაებრუნდი, მოვკერ თავი ქაჯეთის ხემწიფეს, ჩაედე თოფრაში, საჩქაროდ გამოვკეროლე, წინ გადმოვასწარ, ის თოფრა და თავი ბოსელში დავკიდე. შეველ, ავაყენე შეჯინიბე და დავწექ. მოვიდა ჩემი კოლი და, ვითომ არაფერი ამბავიაო, ისე დაწეა. — ქალო, სადა ხარ, ამ დროს რა დროს საირუღია, სად ყოფილხარ, ეკითხე მე. — შარდისთენ აღარ გამოშვებო, შემომიტია კოლმა.

მეორე დღეს ამდგარა შეჯინებე, ქერი უნდა დაუყაროს ცხენებს, თოფრა ჩამოიღო, და შიგ კი ქაჯეთის ხემწიფის თავი დამხედა. წაუღო და ქაღბატონს აწენა. ვაცეცხლებულმა ჩემმა კოლმა დამწყველა, მე ასე გამხადა, როგორცა, შეედაე, და ჩემი ქალაქი და ჯარი კი გააქცევაო...

გხლა ჩემი კოლი მარტო შეადლის დროს მოდის, ხანს ლუქმას ჩამიდებს და მერე ისევ წავა ხოლმეო.

თუ აქვე დაიძალევი ისე, რომ არ დაგინახოს ჩემმა კოლმა, უთხრა ხემწიფემ. რო მოვიდეს, მიეპარე, სტაცე თმებში ხელი. ვადმოიქნიე და ძირს დასცემო; მერე რასაცა სთხოვ, ავისრულეხსო.

ქალა-ბიჭა დაიძალა იქვე. მოუსადა და, როცა შეადლის დრო მოვიდა, ჩამოვიდა ხემწიფის კოლიც. ერთი ლუქმა კი შექამა ხემწიფეს, მეორე ლუქმანედ კი სწედა ქალა-ბიჭა დედა-კაცს თმაში, დასცა და დასცა ძირსა და დააჯდა ზევიდამ. — რას მიკერ, შენც ქალი ხარ და მეცაო, უთხრა ხემწიფის კოლმა, ამიშვიო. ქალა-ბიჭამ არ აუშვა: ხანამ ამ ქალაქს ისევ არ გააცოცლებ და შენ ქმარსა, არ ავიშვებო. მაშინა სთქვა ხემწიფის კოლმა: ქალი ხარ, ვაჟად იქეცი, და ვაჟი ხარ — ქალადაო... მერე ქალაქს გააცოცხლა და ხემწიფეც. იქცა ქალიც ვაჟად. მოუსვა ხმალი და მოსქრა თავი ხემწიფის კოლსა. მერე ადგა და გაემგზავრა თავის ხელმწიფისკენ. ხემწიფეს ძალიან გაეხარდა ვაჟის დაბრუნება, მაგრამ ვაჟი იქ აღარ დადგა, წავიდა, შეირთო დევის ქალი და წავიდა თავის დედამამსთან.

ისეთი ქორწილი ქნეს, რომ მთელი ქვეყანა იწვიეს. მეც იქ მელვინედ ვახლდით და კარგად ვავატარე დროება.

ქირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

(არტეს ფელდამუქას ხანობა, 1895 წ. 28 ინვარს)



# 18. --- ბოქმის ეკავილი

იყო და არა იყო რა, ლუთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგა-  
ლობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, იყო შეიდი ძმა. ძალიან მდიდრები  
იყვნენ, აუარებელი სარჩო-საბადებელი ჰქონდათ; თვალისა და მარგალიტისა  
აჩვარიში არ იყოლენ. მუდამ ღებინა და გახარებაში იყვნენ, მაგრამ ერთი  
არც მტერი ჰყვანდათ და არც მოკეთე; ქვეყნისა არაფერი არ იყოლენ. ბოლოს  
სიტყვს ძმებმა: ასე სიცოცხლეც არ შეიძლება, მოდი წავიღეთ, ან მტერი  
ვინმე შევიძინოთ და ან მოკეთო! სიტყვს და აასრულეს. აქილეს შეიღ-  
ესენ შეიდი საბაღნე თვალ-მარგალიტი, აისხეს თითონაც იარაღა და წავიდ-  
ნენ,—ან მტერი შევიძინოთ და ან მოკეთო. ბევრი იარგეს, თუ ცოტა იარგეს,  
მოვიდნენ ერთ დიდ ტრიალ მინდორზედ. გაიხედეს; სხვა არაფერი არა  
სჩანს, მთელი მინდორი მარტო ცხვრით არის თეთრათ დაფარული და ერთი  
მეტყვარეც უღვია. ძმები მაშინვე მოვიდნენ იმასთან და უთხრეს, რომ ესა ჩვენი  
საქმე, გვინდა დავიმოკეთოთ ვინმეო. მეცხვარეს გაუხარდა, მაშინვე მიიპატიო  
სახლში და მშვენიერად გაუშვინა. შეიდი ჰყვანდა შოსანათლი, ისიც  
მოანათლია, და დანათესაიდნენ. როცა ძმებმა წასვლა დააპირეს, მეცხვარემ  
იმდენი ცხვარი გაატანა, რამდენსაც კი შეიძლებდნენ და წაასხამდნენ. წამო-  
ვიდნენ გახარებული ძმები, რომ კარგი მოკეთე იშოვეს. ცხვარი კი არ უხა-  
როდათ, იმტომ რომ თავის სარჩოც ბევრი ჰქონდათ. გავიდა კარგი ხანი.  
აღარც არაფერი ძმებმა იყოლენ მეცხვარისა, აღარც მეცხვარემ იმათი. ერთმა-  
ნეთი აღარ ენახათ. ბოლოს ძმებმა სიტყვს: მოდი, წავიღეთ, ჩვენი ნათლული  
და ნათლიმაჟა ენახოთო. წავიდნენ, ნახეს,— აღარსად ნათლიმაჟა, აღარსად  
ნათლული, აღარსად ცხვარი, აღარც საღმე მეცხვარე. ძალიან გაუკვირდათ;  
ბევრი ეძებეს, ბევრი თავიც შეიწუხეს. ბოლოს ერთი ბებერი ნახეს, კე-  
თხეს: მაინი და მაინი მეცხვარე თუ გაგიგონია, რა იქნა, სად წავიდაო.  
ბებერმა უთხრა, რომ, ღმერთმანი, ეგეთი მეცხვარე დიდი ხანია ამოსწყდა,  
ერთი შეილა დარჩა; სამიღლოთ ხან ენ აქმევს და ხან ვინაო. დღეს ერთთან  
გაქდება, ხვალ მეორესთან; სადაც დაულამდება, იქ გაუთენდება, ერთი  
თავშესაფარი არა აქვსო. ძმებმა სთხოვეს ბებერს, რომ ერთი ის ბიჭი გვი-  
პოვნე, და, რასაც გეთხოვ, მოგცემთო. ბებერმა მოუყვანა ნათლული: კარგა  
მოზრდილი ბიჭი იყო. ძმებს ძალიან გაუხარდათ. წამოიყვანეს სახლში. ასვეს,  
აკამეს, ჩააცვეს, დააზურეს, დაჰმანეს და გაურცხეს. გაუშალეს ბუმბულის  
ლოგინი და უთხრეს, მოსვენეო. მაგრამ ბავშვა უარი უთხრა: მე არ შემო-  
რლიან, მაგაზედ ვერ დავიძინებ; ბანზედ ავიღ და იქ დავიძინებ, ერთ საბანს  
კი დავიხურავ ზველიამო. ძმები რაღას თავს შეაწყენდნენ, როგორც გენებოსო,  
მოახსენეს. ავიდა ბიჭი და დიძინა ბანზედ. თურმე იმ ღამეს ერთ ხემწიფის  
ქალს და ხემწიფის შეილს პირობა ჰქონდა, იმ ბანზედ უნდა მოსულიყვნენ  
და მერე წასულიყვნენ ჯვარის დასაწერათ. მოვიდა ქალი პირველი. ნახა,  
არსად დაპირებული. მოვიდა, ასწია საბანს, იქნება ეს იყვესო; ის არ გამო-  
ნდა, ქალმა დიღბანს უკადა კიდევ. ბოლოს რა არა და არ მოუყვია ხემწიფის



შეილი, ქალმა სთქვა: ხომ ძინც მომატყულო და მომატყულო, შემარცხენა, და, რასაც ლმერთი მიძღვებს, მოდი ნუ დავყარგავო. აუწინა საბანა და ჩაეხუტა ვაჟსა. გააღვიძა და უთხრა: ჩქარა წავიდეთ, ჯვარი დავიწეროთ, მე შენ ქმრად მინდობარო. ვაჟი დასთანხმდა რის ვაი-ვაგლახით, — ერთი ღარიბი კაცი ვარ, რასაც არა მხედავ, ამხედ მეტი არც სახლი მაქვს, არც კარი, არც სარჩო-საბადებელი, არც საქმელი, სასმელი და საცმელიო. — არაფერი უშავსო, უთხრა ქალმა, ყველაფერი მე მაქვსო. წაიყენა ქალმა ვაჟი თავის სახლში. შერე წავიდნენ იქილამ და ერთს ხემწიფის ქალაქში მივიდნენ. იქირავეს ხემწიფისაგან სახლი და დადგნენ იმაში. ის ქალი ისეთი ღამიზია, რომ ხემწიფე გაგიტდა იმის სილაძისით. დაიბარა ნაზირ-ვეზირი და უთხრა: მე ისეთი კოლი მყავს, რომ ქრისტიან კაცს ჰური არ ექმევა იმასთან და დახვთ იმ მთიულს როგორი ღამიზი კოლი მყავსო. — რა უყოთ, დიდებულო ხემწიფეო, უპასუხეს ნაზირ-ვეზირებმა, ძალით ხო ვერ წავეართმევთო. ხემწიფემ უბრძანა: ნაზირ-ვეზირებმა ისეთი ღონე იღონეთ, რომ იმს ის კოლი წავეართვაო. ნაზირ-ვეზირებმა იფიქრეს, იფიქრეს და მოახსენეს: ის მთიული კაცია, არაფერი არ უნახია, სადილათ მოვიპატროთ, ის წესზედ ვერ მოიტყვევ, ვერ ადგებ-დადგება. გაურისხდი და წაართვი კოლიო. მაშინვე გაუტყავნეს ვაჟს კაცი, რომ ხვალ ხემწიფე გეპატიება სადილზეო. ვაჟი კ-ტა არ იყოს შეფიქრიანდა: რა ვიცი, არაფერი მინახია, ან როგორ უნდა ადგომა და ადჯღომა, ან სხვა საქციელიო. კოლმა დაარვივა: რა შეხვიდე, არ გაიცნო. ვინც გაიცნოს, შენც გაიცნე, დაიღამარაკონ, შენც დაიღამარაკეო. ბოლოს ექვსი ვაშლი მისცა. სადილი რა გათავდეს, ეს ექვსი ვაშლი თვეშზედ დააწყე და მართვი ხემწიფესაო. ხემწიფე ისევ შენ დაგიბრუნებს, შენ დასტერი და ისევ ხემწიფეს მოსთავაზეო. საქმელი რა მოგტანონ. ყველა საქმელილამ თითო ლუკმა ბილე და გადადგო. შერე ადგე, დაუქარ თავი და წამოდიო. ვაჟი სწორეთ ისე მოიტყა, როგორც კოლმა დაარვივა. სადილი რა გათავდეს, ადგა, დაუქრა თავი და წამოვიდა. ხემწიფე ძალიან გაურისხდა ნაზირ-ვეზირებს: თქვე ვირებო, ვირები მართლა თქვენა მყოფიღახართ და არა ის მთიულიო, რაზედ შემარცხენით და მომჭერთი თავიო! ეხლა სხვა რამე მოიფიქრეთ, თორემ კოცხლები ვერ გადამბრუნებთო. ნაზირ-ვეზირებმა უთხრეს: სასვირნოთ წამბანდით და ისიც დაიბარეთ, რომ თან გახლდესთო. ან წინ წაყა, ან უკან დაბრუნება, არაფერი არ ეკოლინება, და გაურისხდითო. მაშინვე დაიბარა ვაჟი და უბრძანა, რომ სასვირნოთ მიედიეარ ხვალ, და შენც თან უნდა მიხლდეო. ვაჟს მეტი რა ღონე მქონდა: წამოვიდა სახლში კოლითან დაღონებული. რის დაღონებულხარო, უთხრა კოლმა: ამა ეს ძეა, ეს ბურთი ჯიბეში ჩაიდე და, როდესაც იმით მიუახლოვდტ, ძეა გამოხსენიო. წავიდა ვაჟი, წაიღო ძეა და ბურთი. დანიშნულ ადგილას რა მიხვიდეთო, უთხრა კოლმა, უკებ მოატრიალე რა ბურთი ამოხტება ჯიბილამ და თამაშობს დაიწყებსო. რაშიც იმს დაუწყებს თამაშობას, და ხემწიფეც შენ დაგიწყებს შემოკტერასაო. გზაზედ ეს არა და არ ჰქნა და ან წინ არ წაისწრო და ან უკან არ წამორჩეო. გააქციონ ცხენები, შენც გააქციე, დააყენონ, შენც დააყენეო.

წავიდა ვაგი და წაიღო ძუა და ბურთი. როდესაც ზემწიფე და დიდებულნი სესიერნით გამოვიდნენ, გამოსნა ვაგმა ძუა, და ერთი შვენიერია რა... ში მაშინვე იმასთან დაიბადა. მოახტა ვაგი რაშისა და ამოუდგა გვერდში ზემწიფეს. გააჩქარებს ხემწიფე, გააჩქარებს ვაგიც; ნელა წავა ხემწიფე, ვაგიც ნელა წავა. იარცს და, როდესაც დანიშნულ ადგილას მივიდნენ, უცებ რაში მოახტრილა და მოახტუნა. ამოხტა ბურთი უბილიმ, და დაიწყეს რაშმა და იმან თამაშობა. მთელი დიდებულები და ზემწიფეც იდნენ და პირ-და-ღებულები შესტკვროდნენ რაშისა და ბურთის თამაშს. როდესაც მორისა თამაშობას, დაუკრა ვაგმა თავი ხემწიფეს და სახლში გააშურა. ხემწიფე ეხლა უფრო მტრადაც გაუწყრა ნაზირ-ვეზირებს; თქვე ვირებო, შეეც ვარაი ვამბიდეთ და გამაბრიყვეთო. იმაზედ კარგი და შესატყვევი შედარა ვის უნა. ხიო! თუ ისეთი არაფერია არ მოიგონეთ, რომ იმას არ შეეძლოს გაკეთება, ვაი თქვენს ტყავსო! ნაზირ-ვეზირებმა ბევრი იფიქრეს, ეჭირეს და ბოლოს გადასწყვიტეს, ბოემის ყვაფილი მოვტანათო, იქიდან კი ვერა გზით ველარ მოვიო. წავიდნენ და მოასვენეს ზემწიფეს. ხემწიფესაც ძალიან გაეხარადა. დაიბარა მეორე დღეს ვაგი და უბრძანა, ბოემის ყვაფილი უნდა მომიტანოყო. ვაგმა დაუკრა თავი და გამობრუნდა. მოვიდა კოლთან და უთხრა: ესე, ესე არის ჩემი საქმე და რა ვქნაო. კოლმა უთხრა: წადი, ზემწიფეს ცხრა თვე, ცხრა დღე და ცხრა საათი გამოსთხოვე ეადა და ჩემთვის კიდევ სასმელსა-კუელიო. წავიდა ვაგი ზემწიფესთან და ყველაფერი ესენი გამოსთხოვა. მოვიდა კოლთან, მოუტანა ცხრა თვის სახრდო და თვითონ კი წავიდა ბოემის ყვაფილის მოსატანად. ბევრი ექება, ბევრი იარა, რა სოფელზედაც გავიღიდა, იკთახედა, ბოემის ყვაფილი ხომ არ იკით, სად არისო, და ყველა ერთ პასუხს აძლევდა: ჩამვლელი ბევრი გვინახია ბოემის ყვაფილის მოსატანად და ამოვლილი ბოემის ყვაფილით აღარც ერთიო.

ვაგმა ბევრი იარა, თუ კოტა იარა, შავიდა ბოლოს ერთ ადგილას, —სამი დღის ყანა სდვას, სამი ძმა მკის, ერთი ბოლოს სდვას, ერთი შუახედ და ერთიც თავში, მშვიან და ვერ მოუშკათ. მივიდა ქვევითა კაცთან ვაგი და შეესალმა. ერთმანეთს გამარჯვება უთხრეს და ამბავი ჰკითხეს. ვაგმა უთხრა, რომ ბოემის ყვაფილისთვის ვარ წამოსული და იქნება იცოდენ რამე, მასწავლეო. ის კაცი ისეთი ბებერი იყო, რომ თეთრი დახატებული წვერი წელზედ ედო. ამ ბერიკაცმა უთხრა: შე კი არ ვიცო, და ვგრე იარე. ზეით რომ ყანასა მკის, ის ჩემზედ უფროსი ძმა არის, და იქნება იმან კი იცოდესო. გადუხადა ამ კაცს მაღლი ვაგმა და წავიდა, შუათანა ძმასთან მივიდა, ნახა, იმ კაცს თეთრი ძლივს უჩვეია, ყოჩაღად არის. მიესალმა, გამარჯვება უთხრეს ერთმანეთს, დახდნენ, დახდენეს. სამი დღე აქ მოუგვიანდა ვაგს, სამი იმ უმტროს ძმასთან, ცხრა თვე გასულია და მკესი დღეს, სამი დღე და ცხრა საათ-ღა დარჩა ეადა. ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი, და ვაგმაც უამბო ყველა თავისი თავგადისავალი და უთხრა, რომ ეხლა ბოემის ყვაფილის მოსატანად ვარ წამოსული და არ ვიცო, გავიშარჯვებ, თუ ვერაო. იქნება შენ იცოდენ, სად არის, როგორია, როგორ იშოკება, მასწავლეო. კაცმა უთხრა, რომ მე კი არ ვიცო, და იქნება ჩემმა უფროსმა ძმამ კი იცო.

დესო. ვგრე ზევით რო იხული, ის არის ზემი ძმაო. გამოვთხოვა ამასაც ვა-  
ტი, მაღლი გადუხადა და წაიღია უფროს ძმასთან. იმას ეძინა. კარებში იმისი  
კოლი დახედა, შშვენიერად მიიღო, პატრიე სცა და გამოჰკითხა ასე შორს  
წასვლა-მოსვლის მიზეზი. ვაგმა უთხრა, რომ ბოკმის ყვავილის მიძებარი  
ვარ, და იქნება თქვენმა ქმარმა იცოდესო. ქმარსა სინავესო, უთხრა დისახ-  
ლისმა, გავადიდებ, ვეთხოვთ, იქნება რკოდესო. ახადა სკივრს, ამოიღო იჭი-  
დამ ცხრა წლის ნიშნობის ქოშები, ზაიცვა და გვიარა და გამოარა ქმარის  
ოთახის კარებზედ, ეგება ქოშების ხმამ გაადღ-ძოსო. ვაგელვისა ქმარს და  
კოლს უსაყვედურა, რათ ვამადიდებო. ზაიხედა საარკეში, და ერთი თეთრი თმა  
გამოპრეოდა, გამოიგლიჯა და გადაავდო. კოლმა უთხრა: ესე, ეს ყმაწვი-  
ლი ბოკმის ყვავილისათვის არის მოსული, და ხომ არ იცი, სად არისო.  
მოიცადებო, უთხრა იმ კაცმა, ჯერ ვისადილოთ, დროება ვავატაროთ, და  
მერე ვასწავლიო, მაგრამ ადვილი ვი არ არის იმისი მოტანაო. ვაშაღეს  
სუფრა. სადილს რო შორანენ, ქმარმა უთხრა კოლს, ზადი და ერთი ნესვი  
ამოიტანებო. კოლი ორსულად იყო და უკანასკნელ თვეში იდგა. ზავიდა  
კოლი ნესვისათვის ძირს, მეოთხე სართულში, ამოიტანა ერთი ნესვი; ქმარ-  
მა დაუწუნა, ეს არ ვარგა, სხვა ამოიტანებო. ზავიდა მეორედ კოლი, ამოი-  
ტანა კიდევ, ქმარმა ისიც დაუწუნა, მესამედ ზავიდა კოლი. ატყობდა ვატი,  
რომ კოლს ძალიან უჭირდა, სულ ოფლი დაისხა. ქმარი მაინც არ მოეშვა,  
სინამ ცხაჯერ არ ზავუნა, ამატანინა და ზაატანინა. ვატი ვხვეწებოდა  
იმის ქმარს, ნუ აწუხებ კოლს, კოლს არისო, მაგრამ იმან არ ვაუგონა.  
ბოლოს უთხრა, რომ ხომ ნახე, ზემი უმცროსი და შუათანი ძმები, როგო-  
რები იყვნენო, და მე როგორა ვარო. მე ერთხელ ზემ უნებურად ვამადვიდა  
კოლმა და მაშინაც თუარი თმა გამოპრეოდაო. ისინი უფროსები ვგონებ  
კაცს და მე უმცროსიო, იმიტომაო, რომ ასეთი სიამოვნის კოლი მყავსო.  
ცხრა წელიწადია და ზემ კოლს ზემთვის ერთი ზემი უნებური სიტყვაც არ  
ამოჰდენიაო. მე ამ ზემ კოლზე დანიშნული ვიყავ, ზემი ძმები შემეცოლი-  
ნენ, დიდხანს არ ვანებებდით ერთმანეთს, ბოლოს ღმერთმა ზამოიარა და  
ვაგვისამართლაო: ვინც პირველი დინიშნეთ, კოლი იმისი არისო. მას შემ-  
დედ ზემ უმცროს ძმას ძაღლის ყვეის მეტი არაფერი ესმის თავის სიკაც-  
ხლეში, შუათანას—ვირის ყოყინის მეტი და მე — მამლის ყვილის მეტი,  
—ღმერთმა ასე ინებაო. მერე უთხრა, ბოკმის ყვავილი სადაც იყო; ერთი კლდე  
უჩენა, თავი თეთრი ჰქონდა, შუავული წითელი და ძირი შავი, ისეთი მა-  
ღალი კლდე იყო, რომ ქანდრის წვერი ვერ აუწვდებოდა. —იმ კლდეზედ ქაჯთ  
ქალი დაჯდება და ვადმოჰუენს თმებს, იმ თმაზედ სულ ბოკმის ყვავილი  
ასხია; იმისი თმა კლდის ძირზედ დაეფინება, ვინც მივია, იქ დაიმაღება და,  
თუ იშოვნის, მაშინ იშოვნის იმ ყვავილსაო. ბევრი ახალგაზდა ვატი დაღუბა  
და დაანელა იმანაო. შენ რო მიხედე, ის თმა ხელზედ დაიხვიე და თითონ  
იცი მერე, მოგვლავს, თუ დაგარჩენსო.

წავიდა ვატი და დაჯდა კლდის ძირას. გამოვიდა ქაჯის ქალი და ვადმო-  
ჰფინა თავის ოქროს თმა კლდეზედ. ათასნაირი ყვავილით აქრელებული და  
აუვავებული. მივიდა ვატი, დაიხვია, დაიხვია: იმისი თმა მკლავზედ და უნდობა

დატერა. ქალმა სიმძიმე იგრძნო, ვაიგო, ვინც იყო მიზეზი, აიწია, აკრიფდა თმები და ვაგი თავის ოთახში გადასტყარსა. თვითონაც თან მიჰყვა. ვაგი უცნებლად ფეხზედ იდგა. ქალმა ჰკითხა: რა გინდოდა, რისთვის მოხვედ, რამ გავაბედინა აქ მოსვლაო?

— ბოგმის ყვავილი მიწადა, უბასუხა ვაქო. — ეცო, რადაც გინდაო, უთხრა ქალმა, ნულარ დავიგვიანებთ, ცხრა საათილა არის დარჩენილი, წაივლეთ, მეც წამოვილო. შესხდნენ ნიავერის ცხენებზედ და გაეშურნენ. დამე იყო, რომ იმის ცოლთან მივიდნენ. ჩამობტნენ კარებზედ, და ვაქო კარები დაუთაკუნა ცოლსა. ქალი გულ-გახეთქილი წამოვიარდა, იმას გგონა, ხემწიფიანი მოვიდნენ ჩემს წასაყვანადაო.

— თქვე უღმერთოებო, ვათენებას მაინც მოუცდიდით, რა გაუძლები გვირისთო! კარებს უკან გასანთლული თოკი ჰქონდა ჩამობშული, თუ ვადა ვადვიდოდა, და ქმარი არ დამბრუნდებოდა, გაპყოფდა შიგ თავს და დაიხრჩობდა. ქაჯის ქალმა უთხრა ვაქო: არაფერი გაქვს განა შენი ცოლისა, რომ ახეგნო, არ შესწუდესო. ვაგი, ხელზედ ბეჭედი ჰქონდა, გამოიძრო და კარებიდამ შეღგდო ქალსა. ცოლს საშინლად გაუხარდა, გაულო კარი და გადაეხვია თავის ქმარსა.

მეორე დღეს ქაჯთ ქალმა გაუგზავნა ხემწიფეს ბოგმის ყვავილი და შეუთვალა: დიდებულა ხემწიფე, ეს როგორი ხემწიფე მყოფილხარ, ზღვაზედ გამოვიარე და ხიდი არ იდოვო. სამი ქალი მიშოვე და გამამიგზავნე, მე ხიდს აუშენებ, აშრონ და ვადონ ზღვაზედო. როგორც იყო ის სამი ქალი უშოვა ხემწიფემ და გამოუგზავნა. აქცია თავის ნაწნავები ხეებად და უბძანა იმ ქალებს, ზღვაზედ ხიდათ გაეღოთ. აშროს ქალებმა და გააკეთეს ხიდი. თვითონ ქაჯთა ქალიც იქვე ჩაეცა. ხიდა იმისთანა, რომ კაცი უკეთეს ვერ რნატობა. შეუთვალა ქალმა ხემწიფე, რომ შენ ცოლს გარდა წამოიყვანე შენი დიდებულები და ნახე ხიდიო.

ხემწიფე წავიდა თავის დიდებულებით, ნაზირ-ვეზირებით, ხიდის სანახავად, შედგნენ ზედ და გაისფარ-გამოისფირნეს. მართლა ძალიან მოეწონათ. მესამედ რა ვაიარეს და შუა ადგილას მივიდნენ, აშრო ხიდს ქაჯთ ქალმა, აქცია ხეები თმებად, შეიკტა და ხემწიფე თავის ნაზირ-ვეზირ, დიდებულებით წყალში კი გადაუძახა. იმათი ლეშით თევზები დააძლო. ვაგი ხემწიფედ დასვა, ცოლიც იმას დაუნარჩუნა, ხემწიფის ცოლი კიდე ხელზე მოსამსახურედ დაუყენა. გამოემშვიდობა და წავიდა თითონ კი თავის ადგილას.

ქირი იქა, ლხინი იქა,  
ნაცარი იქა, ფქვილი იქა.

ელასა, ბიჭო, მელასა  
კოკა მგვიდა ყელასა,  
მაქმელსა და გამგონებელსა  
ძილი გეამოს ყველასა.

უნაგირი მცხეთას დამრჩა,  
მოსართავი არავგვხვდა,

ღწერთმა ყველა გადღეგრძელოსთ,  
ვინცა სხედხართ ალაგზედა.



ჩიტი გაფრინდა ცხრა ფრთანი,  
ასი ტყუილი, ერთი მართალი.

(სოფ. ხელთუბანი გორას მახრა. მხელი იაშვილის ნაპირი.)

## 19.—ცეროდინა

(ცერის ტოლა ვაგი)

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კოლი და ქმარი. კოლი ორსულაით იყო. ქმარი გუთანზედ იყო, ხნავდა. კოლმა ერთხელ სადილი წაუღო; ბურჯინი გადიკიდა მხარზედ, შიგ მკადები ეწყო და ქრლით მაწონი ედგა. შუა გზას რომ მივიდა, მუცლიდამ დაუძახა ვაგმა: დედავ, მომეც, მე ავიკიდებ ბურჯინსაო.

— სადა ხარ, შეილო, საილამ აგკიდოვო, უპასუხა დედამ.

— აი, დედილო, აქა ვარო, მოესმა დედას დაბლა მიწილამ. დაიხვდა და ცერის ტოლა ვაგი კი დაინახა, ხელები გაეშვირა და იდგა.

— მომეცი დედი, მე წამოვიღებო, არ ეშვებოდა ცეროდინა დედასა.

მისცა დედამაც.

აიკიდა ცეროდინამ ბურჯინი, მაგრამ რას წაიღებდა? ბურჯინი დაიწვა ზვედივ, კინალიმ დაიხრჩო. წავედნენ დედა და შვილი მამასთან. გუთანი რო დაინახა, ცეროდინამ გაუჩივა მამას: მამილო, შენ ჩამოდი, მე უნდა დაუჯდო.

— შენ რა ხარ, შე ჩემო პაწაწკინაო, უთხრა მამამ, შენ რა უღელზედ დასაჯდომი ხარ, ხომ ჩამოვარდა, და გაგკუყლიტეს ხარებშიო.—არა უნდა დაუჯდე და უნდა დაუჯდო. აინიყა ცეროდინამ.

ჩამოვიდა მამა. ცეროდინა დაუჯდა, მაგრამ გადმოვარდა და კამეჩის პატყვი ჩაეარდა. ეძება მამამ, ურია ზიარით, მაგრამ აბა! ვერ იპოვნა და ვერა. დაიკარგა ჩვენი ცეროდინა, ვინ იცის, რამე მარკველმა დაფარა, თუ რა მოუვიდა. დალონდა დედაცა და მამაც. ბედად ცამ მოიღრუბლა, წარბი შეიკრა, შავი ღრუბლების ბეწარი გადიბურა, დაიქუხა, დაიგრიალა, გააგრიალ-გამოაგრიალა თავისი რკინის ბურთები ცაზედ და ერთი კოკის პირულაით წამოუშვა წვიმა. წამოვიდა წყალი და კამეჩის პატყვიც წაიღო. გაშალა, გაფანტა, და ჩვენი ცეროდინა უფნებლად კი ამოვიდა. გამოიჩრცტა პირი, ყურები და ისევ ის ბიკი დადგა. ბედზედ ერთი წვეტიანი ჯოჯი იშოვა. კოტათი კიდევ შესცოვდა. წამოვიდა და ვახუშის ქვეშ ცეცხლი დაინთო. მოუჯდა გვერდზედ და თებოდა. ერთიც ენახოთ, მშვიტი მგელი მოძუნტულდა, დაინახა ცეროდინა და ესამოვნა,—ერთი ლუქმა მაინც გამომივაო, მივიდა ცეროდინასთან და უთხრა: რომ შეგკამო, რას იზამო.

— ვერ შემქამო, უპასუხა ცეროდინამ გულადთ, წამოხტა და მგელს თავისი წვეტიანი ჯოხით შეუტია. მგელმა პირი გააღო და გადაყლაპა მგელი ცეროდინა თავის ჯოხიანად.

მგელს ძელების ხერაში ერთი კბილი მქონდა ახლად მოტეხილი და საშინლად სტკიოდა. საჯდა შიგ იმ ნაკბილარში ცეროდინა და დაუწყო ჯოხით ჩხვლეტა მგელს პირში. მგელს საშინლად სტკიოდა, ეწვეებოდა, და ღრიალი მორთო.

— გამოდიო, — შეეხეწა ცეროდინას მგელი.

— ვერ გამოვალ, შენ გინდა ისევ შემქამო, კბილებში როგორმე მიგდოვო, უპასუხა დინჯად ცეროდინამ, მე აქაც კარგა თბილათა ვარო.

მგელს კბილი ძალიან ეწოდა. შეჰფიცა ცეროდინას, რომ ოღონდ გამოდი მანდღედამ, და პირიქით ერთს ოქროს მატყლიან ერკემალსაც გაიწუქებო. გამოვიდა ცეროდინა კბილიდამ. მგელსაც დაუაშლა ტკივილი. აჩუქა ერთი ოქროს მატყლიანი ერკემალი ცეროდინას და თითონ თავის გზაზედ გასწია. ცეროდინა უღვია თავის ოქროს მატყლიან ერკემალს და აძოებს, თან იმღერის და უკრავს ხალის სტვირსა. ყაჩაღებმა ჩამოიარეს, საყდრის გატება უნდოდთ, მაგრამ, რადგან საყდრის კარები შეკნიდამ იყო დაკეტილი, ვერაფერი მოეხერხებინათ. ცეროდინა რო დაინახეს, ძალიან გაუხარდათ.

— წამოდიო, უთხრეს ცეროდინას, საყდარში გადაგვამთ ფანჯრებიდამ, კარები გავვიღე და, რასაც გამოვიტანთ, შენც გვიწილებთო. — არა მცალიან, ჩემ ერკემალს რაღა ვუყოვო, უპასუხა ცეროდინამ, ხო მგელი შესქამს, მარტოც რო დავეგდოვო.

ყაჩაღებმა არ დაშალეს, ნახევარს მოგკემთო, უთხრეს და, როგორც იყო, დაიყოლიეს, წაიყვანეს და გადასკეს ფანჯრიდამ. ცეროდინამ გაუღო კარები. როცა ყველაფერი გამოაღიგეს, ცეროდინამ უთარა ყაჩაღებს: მომცით ჩემი ერკემალი და დაპირებული ნახევარო. ყაჩაღებმა ნახევარზედაც უარი უთხრეს და ერკემალიც წაართვეს. დარჩა ცარიელი ცეროდინა.

ცეროდინა მაშინვე სოფლისკენ გაიქცა ყვირილით:

— მღვეარი, მღვეარი, ჩქარა, ყაჩაღებმა საყდარი გაცარკვესო. მაშინვე დიდი, პატარა გამოგვიდნენ ყაჩაღებს, დახოცეს, ის ოქროს ერკემალიც წაართვეს და ის ნაპარფეი ნივთებიცა.

ქირი იქა, ლხინი აქა,

ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

(სინა ფალელაშვილის ნაუბარი ს. ხელთუბანს, გორის მახრბა)

## 20.—სამი და.

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა,  
 იყო ერთი მგალობელი,  
 ღმერთი ჩვენი მწყალობელი.  
 ღმერთს ღიღება,  
 ჩვენ მშვიდობა,  
 ღმერთი მალაღი,  
 კაცი დაბალი,—

იყო ერთი ცოლი და ქმარი; ჰყვანდათ სამი ქალი. ძალიან ღარიბად იყვნენ, არაფერი ებადათ; შამული არა ჰქონდათ და დედული. ერთხელ იმ კაცის ცოლი თაროსა სწმენდდა; თაროს წმენდის ღრის ძირს სამი პურის მარცვლი გადმოვარდა წაიღეს ეს მარცვლები, გაჩიტუნეს მიწა და დათესეს. ყანა მოვლდა, ყანა, რომ ავი თვალით არ შევხედებოდა, ზღვასავით იწვა. თავთავისაგან მისხეპილი და მიწოლილი და იყო. ცოლ-ქმარიც ძლიერს შესცქეროდნენ; სიხარულით ცას ეწეოდნენ. აი დამწიფდა მარცვალიც, შემოვიდა ყანა. ყველანი წავედნენ მოსამყალად. მომკეს, შეყონეს და დადგეს ექვს ფეხიანი უზარმაზარი ძნა. დაანებეს თავი და წამოვიდნენ საბლზო. მეორე დღეს მამამ გავზავნა უფროსი ქალი ძნის სანახავად. მივიდა ქალი, შეხედა, ძნის ერთი უზარმაზარი გველაშაპი შემოჰკვრია, სულ შემოჰწვდენია იმ გქისფეხიან ძნის და კული პირში უჭერია. ქალს შიშით გული წაუვიდა. მოვიდა მამასთან, უთხრა, რომ ასე არის საქმეო. მამამ ახლა შუათანა ქალი გავზავნა, ჰკითხე, რა უნდა რისთვის მოვიდაო. ქალი შიშით კინაღამ მოკვდა, ვერაფერიც ვერა ჰკითხა. მერე უმცროსი ქალი გავზავნა მამამ. ქალი მივიდა გველაშაპთან და ჰკითხა:—რა გინდა, რისთვის მოსულხარ, შეგვატუპობინეო. გველაშაპმა უთხრა: წადი, მამაშენს უთხარი, ერთ ერთი ქალი მომცეს ცოლათაო. ქალი წავიდა მამასთან და უთხრა გველაშაპის დანახარები. მამამ უმფროს ქალს უთხრა, გაჰყვები, თუ არა, შეილოვო.—აბა რაო, უპასუხა უფროსმა ქალმა, აღარაფერს დაუვკლებ, მე მაგას ცოლად გავყვევო. შუათანამაც ისა სთქვა. ጆერი უმცროსზედ მიდგა. უმცროსმა ქალმა სთქვა, რომ გავყვებო. წამოიყვანა გველაშაპმა ეს ქალი და წამოვიდა. წინ გველაშაპი მისცურავს და უკან ქვდი მისდევს. რო გაჰკლდნენ იმ სოფელს, გადიძრო გველაშაპმა ტყავი და ისეთი ვაჭაკაცი გამოდგა, რომ უკეთესი აღარ იქნება. ქალს ძალიან გაუხარდა. ქმარმა უთხრა: ჩვენს ქვეყანაში ქაჯურათ ღაპარაკობენ; ჩემმა დედამ რო გითხრას, კოკა გატებო, უნდა მიუტანოვო. რო გითხრას, წყალი დაიჰკიე, უნდა მიუტანოვო. რო გითხრას, თონე დაამტერიე, შენ უნდა გაახუროვო. რო გითხრას, სუფრა ააღაგე, შენ გაშალეო. რო გითხრას, ჯამები დაამტერიე, შენ მოიტანეო. ასე დაარბა ცოლი



და წაიღინენ. რო მივიდნენ ქაჯების ქვეყანაში, დედამთილმა დასაქმა ახალი რძალი, წყალი დააქცეო; რძალმა აიღო და მიუტანა. ყველაფერი ისე აასრულა, როგორც ქმარმა დაარჩია. ძალიან უჯვირდა ყველას: ებლა მოსული არის, და როგორც აქის ყველაფერი აქაური რიგი და წესიო. ყველას მოსწონდა და შეიყვარეს. ქალი დაორსულდა. მშობიარობის დროს რო მოახლოვდა, წინაწევად მამის სახლში, სამშობლოში წაიყვანეს. დებს ძალიან შეშურდათ იმისი ქმარი და იმისი ცხოვრება. მოილოცინა ქალმა, ვაგი გყოლა. ქმარიც მოუვიდა. როცა წასვლა დაამტკიცეს, უფროსმა დამ გყოლა მოინდომა. დამ უთხრა, ნუ წამოხვალ, ჩემი დედამთილი ბოროტია, შენ ის არ მოვასვენებსო. ქალმა არ დიშალა და გაძევა. გზაზედ რო მიდიან, კოლის დამ უთხრა სიტყვ: ბავშვი დედას უქირავს ხელში, ბავშვს მე გამოვართმევ, შენ წინ წადი, და მოგეწეითო. ვაგი წაიდა წინ, და დები უკან მიდიან. გზაზედ ერთი მსხვიარე ვაშლი შეხვდათ. ძალიან მძალი იყო და გლუვი, უტოტო. დამ უთხრა უმცროს დას: მოდი, დო, ჩემი ტანისამოსი ჩაიცივი, მე გიზურგულეებ, აღარ დაგეხევა შენი ტანისამოსი, და აღი ამ ვაშლზედ, დაკრიფე, სანამ ჩამოხვალ, ბავშვს მე დავიჭერო, რას იფიქრებდა საბრალო დედა? შეილი დას მიხცა, დამ უზურგულა, და ქალი ისე აიღო ვაშლზედ. იმან ვაშლს დაუწყუ კრეფა; ქალმა. აიყვანა ვაგი ხელში და გზას გაუდგა. ტირის ბავშვი, ტირის, სულ მუშტის ტოლი კრემლებს აბნებს. პაგრამ ვინ უდგებს ყურს! ვაშლზედ ზის ქალი და ესმის შეილის ტირილი. ვერ გაძლავებს და დაუძახებს დასა:

დაო, დაო, ძეძუ ძაღლო,  
 ნუ მიტირებ წულსა ყრმისა,  
 შევომიცი ქანდარისა,  
 მოგიწოვებ პატარასაო.

სიტე რო დაინახა, დაუძახა ამ ქალმა: მოიცადე, იდმინაო, რძე გამიშრა, და ბავშვი მიტარისო. დაუცადა კაცმაც. იმასაც თავისი კოლი ჰკანია. რაკი ისე არის, შორთულა, როგორც იმისი კოლი. წამოვიდნენ შინ და წამოიყვანეს ვაგიც. და რაღა უყავ, რო აღარ არის აქაო, პკთხა გველა-შაჰმა. — მე ვუთხარი, რომ ჩემს დედამთილს ვერ გაუძლებო, და უკან დაბრუნდაო. მივიდნენ სახლში. დედამთილი ეუბნება: რძალო, ლიტრა გატეხეო. ისიც აიღებს, დასცხებს და ჩახსუნს! ჯაზები დაამტკრიეო; ისიც აიღებს, დასცხებს და ამტკრეფს. თონე ვატეხეო. აიღო კული, დასცხო და ჩახსუნს! სულ ერთიანათ დაამტკრია ქურქელი. ყველამ ეჭვი შეიტანა, აქ რაღაც აბზავიაო. რაკი რძე არა ჰქონდა, ერთი ძროხა ჰყვანდათ, და იმის რძით დაუწყეს ბავშვს ზრდა. როდესაც კოტა მოიზარდა, წაიყვანდა ხოლმე თავის ძროხას მინდორში და თვითონაც იქ ედგა და ამოვებდა. დედა ვაშლზე რო დარჩა, იმდენი იტირა, იმდენი იტირა, რომ კრემლადა და სისხლადა ჩამოიშალა მიწაზედ. სადაც იმისი სისხლი და კრემლი მოხვდა, ისეთი ლერწამი მოვიდა, როგორც ტყე. ათას ნაირი ყვავილი და ბალახი გაიშალა. ერთხელ პატარა ბიჭმა წაიყვანა ძროხა და იმ ვაშლიან მივიდა. მოტეხა ერთი ლერწამი

წამი, ფხილით გააკეთა სტვირი, დაუკრა და დაუკრა. სტვირი უკრავდა და თან იძახოდა:

სტვირო, სტვირო,  
რასა სტვირო?  
მე დედაშენი ვშავლები,  
შენ ჩემი შვილი მძანდებიო!



სტვირი სულ ამას იძახდა. ვაჟმაც მიიკრა გულშია სტვირი და აღარ იშორებდა გულიდამ. სახლში რო მოვიდა, მოიტანა, დაუკრა; და სტვირმა ისევ ის სიტყვები დაუკრა... ქალს გულზედ ცეცხლიდ ეწია. წაართვა სტვირი ბავშვს და დაუმტერია. მაგრამ ნატები სტვირი ისევ უკრავდა და იძახდა: სტვირო, სტვირო, რასა სტვირო, მე დედაშენი ვშავლები, შენ ჩემი შვილი მძანდებიო. ქალმა გაიგონა კიდევ, წაართვა ნამტერეგებოც ბავშვსა და თონეში ჩაყარა. ნამტერეგები რო დაიწუნენ, ნაცრისა ქალის სახე გაკეთდა და მიესვენა თონეზედ. ბავშვიც იქვე იჯდა და ჩასტიროდა თავის სტვირსა. ჩაიხედა იმ ქალმაც და დაინახა თონეში ქალის სახე. გაკეცხლდა, გაბრაზდა, ამოადებინა ნაცარი და ბანზედ დააპნენინა. ბანზედ ერთი მშვენიერი ალვისხე ამოვიდა. ნახა გველაშაჰმა, ძალიან გაუხარდა; აატანინა ლოგინი და დაიდგა იმის ქვეშ. ღამე რო დაეძინებოდა, ჩამოშრიდა ალვისხე ტოტებს და ჩაეკონებოდა მძინარე ქმარსა. ქალი კი სიბოროტითა კვდებოდა. მოივადმყოფა თავი და უთხრა ქმარსა: თუ მაგ ალვისხეს მოსპირით, მაგის ვარკლს გააკეთებთ და შიგ იმ ვარკლში მძანებთ, ხომ კარგი, მოგჩაგები, თუ არა და—მოგკედებიო.—ჯანაბას შენი თავი, თუ მოკედებიო, უბასუბა ქმარმა, მოკვდი, მოაჩი და მომასვენეო. გველაშაჰი სანადიროთ წავიდა. ცოლმა მუშებს დაუძახა და მოაპრეგინა ალვისხე, გააკეთებინა ვარკლი, მაგრამ არ ებანა კი, რო ავიდ არ იყო, რის ებანებოდა? მოვიდა ქმარი, ძალიან ეწყინა და გაჯავრდა, მაგრამ ჯავრობით რაღას უშველიდა. ერთი იმ ალვისხის ნაფოტი ერთი უშვილო ბებრის ბანზედ დაეცა. იმოგინა ბებერმა, შეიტანა და სახაშეს დააფარა. ბებერი რო სადმე წავიდეს, ის ნაფოტი იქცევა ქალად, დაჰგვის, დაარაკრავებს იქაურობას, დაწმენდავს ჯამკურკელს, დააღაგებს, იქცევა ისევ ნაფოტად და დაეფარება ისევ სახაშესი. მოადის ბებერი, ჰხედავს დაგვილ-დაწმენდილ სახლს, დარეცხილ დასუფთაებულ კურკელს, უყვრის; მიდის მეზობლებში და ზოგ ვის ეუბნება მადლობასა, რომ მაგრე უფლით ჩემს სახლსაო, ზოგ ვისა. ბოლოს ყველამ უთხრა, რომ შენს სახლში ფეხოც არ შეგვიდგამს, არც დაგვიგვია და არც დაგვისუფთაებიაო. იქნება ვინ იყოს, უყარაულე და მოატანე სახლშიო. რო გამოხვიდე, კარებს უკან დაიმაღლე და უცქირგო. ბებერმა სწორეთ ისე ქნა, როგორც უთხრეს. დაიმაღლა კარებს უკან და დაუწყო ცდა. ნაფოტმა რო იფიქრა, რომ ახლა კი წავიდა ბებერიო, იქცა ქალად და დაუწყო სახლს გვა და წმენდა. მიებარა ბებერი, ჰყვება და დაიკირა.—ვაიმეო! დაიწვილა ქალმა.—ნუ გეშინიან, შვილო, შენ შვილი და მე დედაო, უთხრა ბებერმა, ღმერთმა სხვა შვილი არ მომცა, და შენ მაინც იყავ ჩემი შვილიო. ქალსაც

ძალიან გაუხარდა; იყვნენ ამას იქით ერთად და სცხოვრობდნენ ტყვიანობაში.  
ერთხელ ქალი შეტყვევდა ბებერსა: შენი ჰირიმე, ჩემო დედავ, აქ რა ვეშა-  
პია, ის დაეიპატივოთ, იმის ცოლიც და შეილიცაო. ბებერმა ნება დარ-  
თო.—რატომ, შეილოვო, ვინც გინდა, მე რა წინააღმდეგი ვაგებდები, და-  
ვიპატივოთ, თუ კი ვინმე გესიამოვნებაო.

გამართა ქალმა სადილი და შიიპატივთა თვისი ქმარი, შეილი და და-  
სადილზედ სადღეგძელოები რა ჩამოარიგეს, და ყველამ შიირთვია, ქალმა აიღო  
ქიქა, დასხა ღვინო და დალოცა: ღმერთმა გაცოცხლოს შენ, ჩემო ქმარო,  
შენც, ჩემო შეილო, და შენც, ჩემო დაო! ქმარს აქამდინაც ეცნობოდა ეს ქა-  
ლი, გულიც შეუვარდა და ეხლა კი დარწმუნდა, რომ იმის ცოლი ეს იყო.  
ქალმა დაწერილებით უამბო ყველაფერი. მოაბა ქმარმა ის მოღალატე ქალი  
ცხენის ძუას და დააჩქლეთინა, თვითონ ისვე თავისი წინანდელი ცოლი შე-  
ერთო და, რაც სიტყბო დააქლდათ წინათ, ეხლა შეისრულეს.

ქირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.  
შთას ურემი ავიტანე,  
წამოვიდა გორებითა,  
აქ სიცოცხლით გამიძეხით,  
საიქიოს ცხონებითა.

(სონა ფალელაშვილის ნაუბარი.)

## 14.—„მუქა ნახევარი“

იყო და არა იყო რა, ღვთის უცეთესი რა იქნებოდა, იყო ორი კაცი.  
ერთი ქოთანს ჰქონდათ, ლობიო, მარილი კი აღარა ჰქონდათ, რომ შექამა-  
დისათვის დაეყარათ. შეჯგეს შექამადი; ერთმა უთხრა მეორეს: ხომ მხედავ,  
მარილი არა გვაქვს, წადი ქალაქში და იყიდე მუქა-ნახევარი მარილიო.  
—დამავიწყდებაო, უპასუხა მეორე კაცმა, როგორ დავიხსოვოეო.—წადი  
და გზაზედ სულ ის იძახე: მუქა-ნახევარი, მუქა-ნახევარიო. წაიდა ეს  
კაცი მარილის საყიდლად ქალაქში. გზაზედ ერთი კაცი დაინახა, მოუხნავ  
მამული, პურსა სთესავს და თან იძახის: ერთი ათასად, ერთი ათა-  
სადო. გაიარა კაცმაც და ყვირის თან: მუქა-ნახევარი, მუქა ნახევარი! მთეს-  
ველს ბრახი მოუვიდა:—მე ერთი ათასად მომივიღდეს, იმასა ვთხოვ ღმერთსა,  
და შენ მუქა-ნახევარს ამბობო, დაიქირა, უღო და უღო. გული რო მოიფე-  
რა, თავი დაანება. კაცმა უთხრა: შე უღმერთო, შენა, რათა მცემ, რა დავი-  
შავე, კინაღამ მომკალიო!—იმიტომ გცემ, უპასუხა მთესველმა, რომ მე ეძა-  
ხი, ერთი ათასად, და შენ—მუქა-ნახევარსო.—მაშ როგორ უნდა მეთქვაო?  
ჰკითხა კაცმა.—ერთი ათასად, ერთი ათასადო, და ბევრსაც დავიშაღლებდიო,  
უპასუხა მთესველმა.



წავიდა აქედამ შარილის მყიდველი და ერთ სოფელში მივიდა, კაცი ვინმე მომკვდარა და ჰმარხვენ. გაუარა გვერდზედ ამ კაცმა და დაუძახა: ერთი ათისად, ერთი ათისადაო! გამოუხტნენ ეს მკედრის პატრონები, მიატყეს და მიაყოლეს. გული რო მოიჯერეს, თავი დაანებეს. — რაზედ მკლავთ, თქვე უღმერთოებო, მაშ როგორ უნდა მეთქვაო? ჰკითხა შარილის მყიდველმა. — როგორა და ისე უნდა გეთქვა, უნდა მოჰსულიყავ, ქუდი მოგებადა და გეთქვა: ღმერთსა ვთხოვ, რომ ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოს თქვენ ოჯახშიო! ბევრსაც პატივსა გცემდით და გაგისტუმრებდიოო. წამოვიდა იქიდანაც მუქა-ნახევარა და ერთ ადგილას მაყრიონ-ნეფიონს შემოხვდა. მოიხადა ქუდი, დადგა და დაუძახა: ღმერთსა ვთხოვ, რომ თქვენს ოჯახში ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოსო. გადმოუხტნენ მაყრები, დადეს და აიღეს, მიატყეს და მიაყოლეს, რაც სიგარძე ჰქონდა, ის სიგანე მისცეს. გული რო იჯერეს, თავი დაანებეს. მუქა-ნახევარამაც როგორც იყო მოიბრუნა სული და უთხრა მაყრებსა: რაზედ მკლავთ, რა დაგიშავეთ, მე ვგრე მასწავლეს, მაშ როგორღა უნდა მეთქვაო. მაყრებმა უთხრეს: უნდა ქუდი მოგებადა, მოჰსულიყავ და სუ „ნეფიონს გაუმარჯოს, ნეფიონს გაუმარჯოს!“ გვეყრიო. ამით რო გადარჩა მუქა-ნახევარა, ისეე თავის გზას გაუდგა. იმათ ცემისაგან გვერდები სტკიოდა. იმსლა ფიქრობდა, როგორა ეთქვა რომ ვინმე შემომხვდესო. გზაზედ ერთ მონადირეს შემოხვდა. მიწაზედ მტრედები სხედან, მონადირეს შემოუყენებია ჩახმაზი და ეპარება მტრედებს. მუქა-ნახევარამ მაშინვე მოიგლიჯა ქუდი და „გაუმარჯოს“ ძახილით გაიქცა მონადირისაკენ. მტრედებმა რო დაინახეს თავისკენ მიმავალი კაცი, აფრთხილდნენ და გაფრინდნენ. წამოხტა მონადირე და გაიქცა კბილების კრაქუნით მუქა-ნახევარისაკენ. ჰლო და ჰლო თოფის კონდაბი ზურგში. იმდენი სცემა, კინაღამ სული ამოაპარა. ბოლოს გული რო მოიჯერა, დაანება თავი. მუქა-ნახევარამ ჰკითხა: ღმერთი აღარა გაქვს, კაცო, რო მცემ, რათა მცემ, რა დაგიშავე, მაშ როგორ უნდა მოვტყუელიყავ, ან რა მეთქვა, ან რა მტკნაო? მონადირემ უთხრა: ხმა არ უნდა ამოგელო, უნდა დაჰკუზულიყავ და ისე გაგველოვო; მტრედები ვეღარ დაგინახაენდენ, და აღარც ეს კონდახები მოგხედებოდაო. მიღის მუქა-ნახევარა და ლობეს მიადგა. დაიკუზა და ისე მიიპარება ლობის ძირზედ. ოთხ კაცს ფულიანი ქისა დაღკარგნით და ეძებენ. მუქა-ნახევარა რომ დაინახეს, რო მიიპარება, გამოუდგნენ, სტაცეს ხელი ჩოხის ბოლოში და დაიჭირეს: სად მიიპარებდი, შე ყაჩაღო, არამხადა შენო! იპოვნე და ჰმალავო! უღეს და უღეს. იმდენი სცემეს საწყალ კაცს, რომ შინამდინ ფეხები ვეღარ მიათრია... იმისი ცოდო ნუ დაუღიოს მიძინებამა და მოწყალე გორი ჯვარმა, ჰოდე!

ქირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

(სონა ფაღვლაშვილის ნაუბარი ხ. ნელთუბანი)

## 15.—სოცდაგარი და გლახა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი სოცდაგარი; ჰქონდა ბევრი ფული. ერთხელ სოცდაგარი ერთ დიდს შარაზე მიდიოდა; წინ გლახა შამოძხვდა და გაუშვირა ხელი მოწყალებისთვის. სოცდაგარმა შებუდა გლახას, და პატროსან კაცად ეჩვენა; იფიქრა: მოდი, რაც იქნება, იქნება, და ერთი შავს კი გავამდიდრებო, მიუბრუნდა გლახას და უთხრა: ღმერთს ვნდვ, ეხლა არა მაქვს ფული ჯიბეში, ამა და ამ დღეს ამბობ რე ამ გზაზე, იმ დიდ ქვის ქვეშ მნახავ ფულს, გამოიღე და წაიღეო. გასცდა სოცდაგარი გლახას და წავიდა თავის გზაზე. გამოვლის დროს მართლა ერთ პარკში ჩაყარა ასი თუმანი, ასწია ქვას და ამოუღო ქვეშ. გამოიარა გლახამ, აქწა ქვასა და მართლაც იპოვა ფულიანი პარკი. გლახას ძალიან გაუვიწყრა: მოწყალება ერთი კაპეიკა, ორი კაპეიკა, ერთი შაურია, ბევრი-ბევრი ერთი მანეთია, და ეს ასი თუმანი რა ხათაბაღია არისო. იქნება აქ სხეც რამ იყოსო. აიღო ბარი და დაუწყო თხრა. კარგა რო გათხარა მიწა, ბარი ქვევრის სარკველზე აჩამდა, ამოთხარა გლახამ და ამოაჩინა უთვალავი ხაზინა. გლახამ მაშინვე ის ფული გაზიდა ქალაქში, ააშენა სახლები, შეირთო ცოლი და ხეშვიფესავეთ ცხოვრება დაიწყო.

გავიდა რამდონიმე ხანი. ამ ხაზინას, თურმე ეშმაკი ჰყვანდა დაპატრონებული. გლახას ვერაფერი დაეკლო, სოცდაგარი კი დაკუნკა, გაავიდა, ააჩინა ბნედა. სოცდაგარმა მთელი თავისი ცხოვრება სულ აქიმებზე გადაიგო, მაგრამ არ იქნა—ვერაფრით მორჩა. გაღარიბდა, გასაწყლდა, აღარა ებადებოდა რა, რომ გქამა, დადიოდა და თხოულობდა მოწყალებას. ქალაქი შეაწუხა ამის თხოვნამ, ბოლოს მოინდომეს გაძევება. იმ ქალაქში წინანდელმა ნაგლახავარმა ააშენა გლახებისთვის სახლი და აქმედა და ისმედა, აცმედა და ინახავდა ყველა გლახას, ვინც იმას კარებზე მიადგებოდა. გაიგონა ნასოცდაგარალმა, რომ ამა და ამ ადგილს გლახებს მოწყალებას აძლევდნო; თვითონაც იქ წავიდა და მივიდა იმისაგან გამდიდრებულ გლახის კარზე. იცნო ნაგლახავარმა, შეიყვანა შინ და დაუწყო ძმასავეთ ვლა. საიღობზე და ვახშამზე დაისვამდა გვერდზე და თავისთან აქმედა პურს. მართლა ბევრს ეუბნებოდა „ცოლ-შვილს ნაგლახავარი, ამისაგან გავმდიდრდითო, მაგრამ ცოლ-შვილს ეზიზღებოდა ის გიჟი. ბევრი ფული დახარჯა ნაგლახავარმა იმის მოსარჩენად, მაგრამ არაფერი ეშველა. ბოლოს ერთი აქიმი გამოჩნდა. იმანა სთქვა, მე მოვარჩენ შეგსავო. გლახას ძალიან გაუხარდა, მაგრამ მალე აქიმმა უთხრა: თუ შენ შეიღობ და მხოც და იმათ სისხლში ვაბანებო.—მორჩება, არა და—არაო. დაფიქრდა ნაგლახავარი და სთქვა: დიდება შენთვისა, ღმერთო, ვე სოცდაგარი რო არა ყოფილიყო, ხომ არც ჩემი შეიღობი იქნებოდნო. შეაყვანინა შეიღობი ოთახში; დაკლეს, და აბანეს გიჟი იმ ბავშვების სისხლში.



სოციალური გასაღდა მიშინე. სადილზე დასხდნ და მაიშვიარულეს თავი, ნაგლახივარი კი დაღვრემილი იჯდა. ცოლმა ჰკითხა: რას დაუშვარებინარ; ის ბავშვები რატომ გვერდზე არ გისხედან ჩვეულებისამებრ? — შედი, გამიყვანე, იმი ოთახში არიანო, მიუშვირა ჰმარმა ხელი, სადაც დახოცილი ბავშვები ეყარნენ, და ახლა შენ დაისხიო. შევიდა დედა. ბავშვები თამაშობდნ და ხტუნაობდნ. დედამ ბავშვები მოუსხა სუფრას; აქიმი კი გაქრა. დარჩა გაკვირვებული ნაგლახივარი და ღმერთს მადლობა შესწირა, აჩუქა სოციალისტის ათასი თუმანი და გაისტუმრა.

## 16.—ზღაპარი უხეიროსი.

იყო და არა იყო რა ღეთის უკეთესი რა იქნებოდა,

იყო შაშვი მგალობელი,  
ღმერთი ჩენი მწყალობელი.  
ღმერთს დიდება,  
ჩენ მშვილობა.  
ღმერთი მალალი,  
კაცი დაბალი.

იყვნენ ცოლ-ჰმარნი ღარიბები და უქონლები. ერთი ვაჟი მიეცათ, და არტყეს „უხეირო“, მაგრამ ვერ გაზარდეს, ძუძუ არა ჰყოფნიდა. წაიყვანეს ქალაქში, იქნება სამადლოდ ვინმემ აიყვანოსო. ხემწიფემ აიყვანა და დაუწყუო ზრდა. მაგრამ ეს ბავშვი ისეთი მქამელი გამოდგა, რომ ძლივ აძლობდნენ. როცა მოიზარდა, თითო თონე ჰური და თითო სხვარი არა ჰქმაროდა. როცა ვაგაკი გაბდა, მიშინ ხომ ვეღარაფრით ვეღარ აძლობდნენ. რაჰდენიმე ხარს ერთად შესქამდა და იმდენსავე კაკა ღვინოს დაჰლოვდა, მიინც ისე იყო, თითქო არაფერი უქამიაო. გახეზრდა ხემწიფე, ხაბაზები ჰურის გამოცხოხას ვერ ასწრობდნენ და მზარეულები მოზარშვას.

რაკი გახეზრდა, ხემწიფემ დაიბარა უხეირო, მისცა ორასი თუმანი ფული, ერთი გუთნეული და გავზაენა მამასთან. მოვიდა დედ-მამასთან უხეირო, მაგრამ ერთი-ორი დღეც ვერ დარჩა. რა უნდა ექამა, რით უნდა გაეძლო მუცელი? ადგა და ისეე ხემწიფეს მადლა კარებზედ. ხემწიფეს უხეიროდა, ეგ არის მოვიშორე თავიდეგანო, მაგრამ, რაკი ისეე კარებზედ მიავდა, რადას იტყოდა! იფიქრეს, ამას ძალით ვერ გავივადებთ, და ისეე ისა სჯობია, ხერხით მოვიშორეთ როგორმეო.

სამინელი ღონიერი იყო უხეირო, რომ იმისი გამწევი კაცი არ გამოვიდოდა. უბძენეს უხეიროს: ამა და ამ ადგილას რომ დიდი მთა არის და მთაზედ ტყე, იმ ტყიდან უნდა შემე მოატანოეო... ის ტყე ორ ას თავიანს დეეს გეუთნოდა; იმათ შიშით ნიავიც კი ვერ გაიშურებდა, ფრინველიც ვერ შეფრინდებოდა იმ ტყეში.

— მომიტანეთ ცულიო, დაიძახა უხეირომ. მოუტანეს აღმასის ცული.

შემოქცა იქვე კედელს და სულ მიფშენიტა. გაუყეთეს ათ ფუთიანი, ისიც მიმტვრია. ბოლოს ოც ფუთიანი გაუყეთეს, გაიდვა მხარზედ და გასწია დევეების ტყისკენ. მივიდა ტყეში, შემოქცავეს წიფლებს, სულ ჩხირებივით ამტვრევს. სდავს ერთი ლეწა-მტვრევა და ჩახი-ჩუზი. გაიგვს დევებმა და გამოქანდნენ მაშინვე არ მოგვიკედეთ უხვირო, არც შემდრკალიყოს და არც გაქუთულიყოს. სტაცა ორივე დვეს ხელი, ამოიჭარა ილლიის ძირში, მიიყვანა, შეაბა კამეჩებივით, დაუწყო ეს მთელ-მთელი წიფლები და დაირეკა. სულ გუგუნო მიატანინა ხემწიფის კარებზედ.

მახსენეს ხემწიფეს: გამობძანდი, რამდენი შეშა მოიტანა უხვირომია. გამოვიდა ხემწიფე, კინაღამ გული წაუვიდა ამ დევების დანახვებზედ. მოხსნა შეშა უხვირომ დევეებს, ახსნა უღელი, გაუშვა ნებაზედ და უთბრა, კაცის ნათესაის ამას იქით აღარა ავნოთ რაო.

გავიდა ხანი. დაუწყეს უხვიროს, უნდა წაზეიდე და უკვდავების წყარო მოიტანოვო. უხვირო რა უარს იტყოდა, ეს იყო, რომ არ იცოდა საითკენ იყო ის უკვდავების წყარო. ამ უკვდავების წყაროს ორი ბულა კამეჩი მყარაულობდა. რა დანახვადნენ ეს კამეჩები იქითკენ მიშავალ კაცს, გაექანებოდნენ, დეეჯახებოდნენ და გასქულებდნენ.

უხვირომ უთბრა: წავალ, და მომვციოთ, რით მოვიტანოვო. მოუტანეს გოხაურები. სთხლიშა ერთმანეთს და დაამსხვრია.—ბაეშვი ხომ არა ვარ, ამეებით სად წავიდეო, მომიტანეთ დიდი რამეო. ახლა ქვევრები მოუტანეს. ჰკრა ეს ქვევრებიც ერთმანეთს და დაამსხვრია.

— მომიტანეთ დიდი რამეო. მაშინ მოუტანეს ორი ას-ას კოკიანი რუმბი. გადიწყო მხარზედ და გასწია. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა უკვდავების წყაროსთან. გამოექანნენ კამეჩები, უნდა დაეეჯახნენ და გაქულობონ. სტაცა უხვირომ ყურებში ხელი, დაგრია სქელი ხეები, მოგლიჯა ერთი ქანდარი, დაადო კისერზედ უღლად, მერე რუმბები დაავსო, დასცხო და დაირეკა კამეჩები ხემწიფისკენ.

ხემწიფეს მოახსენდა, უხვირო ოვითონაც უქირველი მოვიდა და იმ კამეჩებისთვინაც ის რუმბები მოუბამ და მოიტანაო. რა დანახა ხემწიფემ ეს კამეჩები, კინაღამ გული გაუსქდა: ჯერ უხვიროს ვერ ვუძლებდი, მაგით სადღა ვაეუძლოვო; უთხაროთ, ე კამეჩები ისევე გაუშვასო. უხვირომ გამოუშვა კამეჩები, მოსცხო თითო-თითო საბრე და გარეკა: გასწით, როგორც გიცხოვრიათ, ისევე ისე იცხოვრეთო.

მარც კიდევ არ დაწმნდა ხემწიფის წყალი. კიდევ ეძებდა მიზეზს, სად-მე იმისთანა ადგილს გაეგზავნა უხვირო, რომ დაღუპულიყო. ერთ ადგილას ელიას ყანა იყო. ასი დღის მიწას გარს სულ ვალაყანი ევლო, და შიგ ყანა ეთესა. უხვიროს უთბრეს: უნდა ეს ცხვირის ფარო ელიას ყანაში გაპრეკო და აძოვო. გაირეკა უხვირომ ერთი ფარა ცხვირი ელიას ყანისკენ. შერეკა ყანაში, ფარას თავი მიანება, თვითონ წამოწევა და დაიძინა. ვადმოინებდა ელიამ, მხედავს, იმის ყანას ცხვირი შეპსევია და აობრავს; დაუშვა და დაუშინა სეტყვა, ისეთს ისვრის, სულ ხის ტოტებს ამტვრევს. ეს ფარა ისე გასწყვიტა, რომ ერთი თხა და დარჩა, ისიც სადღაც ჯაგებში შემძვრალა

და იმიტომ გადაჩენია. ამ უხვიროს კი აინუნშაიკ არ მოსდის, სძინავს გულიანად.

რაც ძალი და ღონე ჰქონდა არახუნა ელიამ სეტუვა, მაგრამ მაინც ვერ გააღვიძა. მაშინ გარისხებული გადმოვიდა და დააწვა უხვიროს ზევიდამ. წამოდგა უხვირო, გადობრუნა ელია და დააჯდა ზევიდამ.

— ამიშვიო, უთხრა ელიამ.

უხვირო არ უშვებს.

— ამიშვიო, სთხოვა კიდევ ელიამ.

— დამლოცე, და აგიშვებო, უთხრა ელიას უხვირომ.

მაშინ დალოცა ელიამ, რომ ჯერზედ ნახევარი პური ექამა, ნახევარ ჩარეკი ღვინო ესვა და ნახევარ გირვანქა ხორცი ექამა. აუშვა უხვირომ და გამოსწია თავის გზაზედ.

ებლა კი დედ-მამისკენ წამოვიდა, — იმათი ნახვა მოუნდა. ცოტა ხანს იყო უხვირო თავის დედ-მამასთან, ისევ გმირობის სურვილმა მოუარა, ვეღარ დადგა დედ-მამასთან, ადგა და წავიდა თავის თავის საცდელიად. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, თავის სახემწიფო გაათავა, უცხო ქვეყანაში გავიდა. შეგხედოთ, ერთი დევი მორბის და თან ერთი გორა უქირავს და ბურთივით მოაქვს. დადგა უხვირო და დაუწყო ცქერა: კაცო, მე ლამის ჭალამნებიც გაეიხადო, და შენ მაგოდენა გორა სად მიგაქვსო. — უნდა, ხემწიფის კარზედ რომ უხვიროა, ის გამოეცადოვო. გამოართვა ეს გორა უხვირომ, მაიქნია და სამი მთის იქით გადასროლა. მერე უთხრა დევეს: მემომბი თუ შეემომბიო? — გემომბიო, უთხრა დევემა. ემპო დევი, და ორივენი წავიდნენ.

მოდინ, და ერთი დევი მორბის, ხელში ორჯელ იმაზედ დიდი გორა უქირავს და მოათამაშებს. — სად მიხვალ, კაცო, მე ლამის ჭალამნებიც გაეიხადო, ფებებს ვერ დავათრევ, და შენ მაგოდენა გორას მაიარბეიენებო, ეკითხება უხვირო. — ხემწიფის კარზედ რომ უხვიროა, ის უნდა გამოეცადოვო. გამოართვა უხვირომ გორა და ორ მთას იქით გადასროლა. მერე უთხრა: შეემომბი თუ მემომბიო? — გემომბიო, უპასუხა დევემა. ემპო და წავიდნენ.

მოდინ, და ახლა მესამე დევი შემოხვდა, იმასაც ორჯელ მტტი გორა დაუქვრია, ვიდრე მეორე დევესა, და ბურთივით მოაქანებს. — კაცო, სად მიგაქვს მაგოდენა გორა, მე ცარიელამ ლამის ჭალამნებიც გაეიხადოვო, ეუბნება უხვირო. — ხემწიფის კარზედ რომ უხვიროა, იმას აქებენ, და იმის საცდელიად მივდივარო. — შორს სიარული რათ გინდა, უპასუხა უხვირომ, უხვიროც მე ვარო. გამოართვა გორა, მოიქნია და ერთი მთის იქით გადააგდო. — შეემომბი, თუ მემომბი? ჰკითხა დევესა. — გემომბიო, უთხრა დევემა. ემპო, და წავიდნენ ოთხნი ძმად შეფუციებულნი.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ თეთრი დევის სამეფლომელოში; ტყეში დადგნენ, არც პური აქვთ, არც ცეცხლი. უხვირომ უთხრა: უნდა წახვიდეთ და სადაც იყოს შეშა და პური იშოვოთო. დეგები ისე და შინდნენ, სულ კანკალმა აიტანა. — შიმშილით რო დავიხოცნეთ, თეთრის დევის შიშით იქ რა მიგვიყვანსო? ადგა მაშინ უხვირო და თვითონ წავიდა, მე თვითონ მოვიტანო.



შორს დაინახა ცეცხლის ბოლი, მიჰყვა, მიჰყვა და დევის დედასთან მივიდა: დედაშვილობას, ორიოდე პური და ცეცხლი გამომიტანე, პური შშიანო.— შენ ვინა ხარო, უთხრა დევის დედამ, ჩემის შვილის შიშით ფრინველსაც ვერ გაუფრენია ცაში, და რა სულიერი ხარ, აქ რომ მომსულხარო. წადი ჩქარა, თავს უშველე, თორემ ჩემი შვილი სანადიროდ არის, მოვა და შეგკამსო.— რა მხარზედ არისო, ჰკითხა უბერიომ. ბებერმაც ასწავლა.— თუ წყალს გაასწარ, არა გიშავსო, უთხრა დევის დედამ, და თუ წყალს აქეთ მოგასწრო, კი იყოდე, ვერ გადურჩებიო. უბერიო სწორეთ იქით წავიდა, საითაც უნდა თეთრი დევი მოსულიყო.

შორიდგანვე დაინახა უბერიომ თეთრი დევი, რომ სანადიროდ ყოფილა, ერთი ხარ-ირემი მოუკლავს, ერთი ქანდარი მხარზედ გაუდვია და ისე მოდის ღლინით. უბერიო ჩაიმალა ზიდის უურთან და, ცხენი რო მოუახლოვდა, ამოპოყფს თავს უბერიო, „ყვიტ“ იტყვის, და შეუფთხება ეს ცხენი დევის უჯავრდება თეთრი დევი, მაგრამ ცხენი ფრუტუნებს და წინ არ მიდის.— აჩუ, შე ოხტრო; ხემწიფის კარზედ რო უბერიოა, იმას მოეკლავ, და მანდ ვინა ზის, ვინ გაშინებს ისეთი, რომ შე ვერ მოგერიოვო. მაშინ ამოდგა უბერიო და დაუძახა: აბა თუ მომკლავ, უბერიო შე ვარ, და ჩამობძანდიო! შეიბნენ უბერიო და თეთრი დევი, დაახტოა უბერიომ ეს დევი და მოკლა. შერე დააკრა ცხენს მკედარი და გააგლო დევის დედისკენ, აბა თუ თეთრი დევი მძლავრიო.

წამოიღო ცეცხლი და პურები. ისეთებიც ეს დეგები, სადღა აქეთ იმედი, თუ უბერიო კიდევ ცოცხალი მოვა. დასბდნენ, დაანთეს ცეცხლი, კამეს პური, შერე ისევ წავიდნენ. გზაზედ აღარა შემთხვევით რა, სანამ წითელი დევის საბძანებელში არ მივიდნენ. დადგნენ აქაც ტყეში, მაგრამ არც პური ჰქონდათ და არც ცეცხლი. უბერიომ შეფთვალა დეგებს: წადით, აქ ახლო-მახლო ესახლება ვინმე, გამოაართვით ორიოდე პური და ცეცხლიო.— აქ წითელი დევი სახლობს, და ჰგენ არ შეგეძლიან ფეხი მივდგათ იქას; წინათაც გვიდღია, მაგრამ მაშინაც ძლივ გადაერჩით ცოცხლებიო.— კარგი, და შე წავალო, სოჭვა უბერიომ.

წამოვიდა და წითელი დევის დედასთან მოვიდა.— დედი, ორიოდე პური მომეც და ცეცხლიო.— აქ რამ მოგიყვანა, ძე-ბორციელს აქ ვერ გაუვლია ჩემი შვილის შიშითაო, უთხრა დევის დედამ, წადი, სანამ მოსულა, ესოდე წყალს გაასწრო, თორემ, თუ აქეთ მოგასწრო, გაგაფუჭებსო. მისცა პურებიც, ცეცხლიც და წამოვიდა. არ გავიდა ზიდსა, აქეთვე დადგა. მოდის წითელი დევი, მხარზედ ერთი წიფელა გაუდვია, ცხენისათვის ხარ-ირემი გადუკიდნია.— შენ ვინა ხარ, აქ ჩემის შიშით ძირს ქიანქველას ვერ გაუვლია და მალლა ფრინველს. რა სულიერი ხარ, რომ აქ მომსულხარო! ჩა-მოუხტა დევი და შეიბნენ. აბრძოლეს კარგა ხანს, მაგრამ დასცა უბერიომ და მოკლა ისიც. გადაჰკიდა მკედარი ცხენს და დედას გაუგზავნა, აბა თუ შენი შვილის შიშით აქ ვერაიენ გაივლისო.

ასქრა ირემს სამწვადეში, წამოიღო პური, ცეცხლი და მოიტანა თავის ამხანაგებთან. იმ დღესა და იმ ღამეს კიი დროება გაატარეს. მეორე

დღეს ადგნენ და გზას გაუღვნენ. სულ იმისთვის კი დადიან, რომ თავი სკადონ, რამდენიც მიდიოდნენ, ამ დღეებს შიშით გტყობოდათ. ბოლოს ერთ ქვეყანაში მივიდნენ. შავი მთაა, შავი ტყე და, შავი ფრინველი დაფრინავს, დადგნენ, დაისვენეს. ჩვეულებრივ შეუთვალა უხვირომ ამ დღეებს პურისა და ცეცხლის მოტანა. ისინი კი შიშით კინაღამ დაჭრნენ.—ამ შავ მთას ხომ ჰხედავო, უთხრეს უხვიროს, იქ შავი დევი სცხოვრობს, იმისი მომრევი ჯერ არავინ არისო, და იმას თვალთ რაგორ დაევენახვებითო. ის გვიჩვენია, ავღვეთ, წივიდეთ, გავეცალნეთ ამ დაწყველალ ადგილსაო. ერთხელ ჩვენც ვეომეთ მიგას, მაგრამ ცოცხლები ძლივ გადავჩინითო.

— არა, ძმაო, მე უკან ველარ დაფიხე, თუ თქვენ არ წახვალთ, მე წავალ, და მე მომკლას იმ შავმა დევმაო. ბევრს უხეფნენ ძმობილები, ნუ წახვალო, მაგრამ არ დაიშალა. წაიღა და მივიდა შავი დევის დედასთან. — დედაშვილობას, ორიოდე პური მოგვეც და ცეცხლიო. — ვინა ხარო, უთხრა დევის დედამ, პური არ მიძეხს, ცეცხლი არ მინთია, წადი, საიღამაც მოასულხარ, თორემ ჩემი შვილი მოვა და შეგკამსო. — რა მხარედან მოდიხარო. ასწავლა დევის დედამაც. შევიდა უხვირო, გამოიტანა ძალით პურები, ცეცხლიც წამოიღო და წამოვიდა სწორეთ იმ მხრისკენ, საიღამაც შავი დევი უნდა მოსულიყო. წყალოან რა მივიდა, ხედის ყურთან დაიშალა. ამ დროს მოდის შავი დევიც, ხარ-იჩემი მოუკლავს, ერთი წიფელა მხარზედ გაუღვია და მოლიღინებს. ხიდზე რა შედგა, უხვირომ თავი ამოყო და „ყვირ“ დაიძახა. ცხენი დაფთხა, ფრუტუნე დაიწყო. ერგება დევი ცხენს, უჯაერდება, მაგრამ ცხენი ფრუტუნებს. ფეხს არ იცვლის ადგილიდგან.

— ანუ, შე საოხარო; ხემწიფის კარზედ რომ უხვიროა, ისიც კი ცოცხალი ვერ მომრება, და ვინ გაშინებსო. — აბა, თუ ვერ მოგჩვენაო, და ამოუხტა კიდევ უხვირო. შეიბნენ. ძალიან დიდხანს იბრძოდეს. უხვირო დაიღალა და თითქო გაუქირდა შავი დევის მორგვა. ბოლოს, როგორც იყო, მოიკრიბა რაც ჯანი ჰქონდა, დასცა და იქვე სული გაანთხეინა. დააკრა მკედარი ცხენს და იმის სახლისკენ გაავლო. ასკრა სამწიფედები ირემს, წამოიღო და მოვიდა. დევებს ძალიან გაუხარდათ, რა ცოცხალი ნახეს უხვირო. — როგორ გადამჩინო, ვკითხვოდნენ. არ იჯერებდნენ, თუ უხვირო შავ დევს მოერგოდა. კაი პური კამეს და დაისვენეს.

მეორე დღეს დევებმა უთხრეს უხვიროს: ჩვენ გზას დასასრული არ უჩანს, აღარ შეგვიძლიან შენ მოგყევთ, ჩვენ აქ დაეჩვენებითო. — კარგო, უთხრა უხვირომ, მე უთქვენოდაც ვისაქმებო. წაიყვანა ეს დევები, ერთს თეთრი დევის კოლი შეპართო, მეორეს — წითლისა და მესამეს — შავი დევისა. სამივეს გამოეთხოვა და უთხრა: ნუ დამივიწყებთო; აი ამ ბურთს დაეკიდებ, უტკირეთ და, როცა სისხლმა დაიწყო წვეთა ამ ბურთიდგან, მაშინ იცოდეთ, მიპირს, და მომეშველენითო.

წაიღა უხვირო. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ ქალიქში მივიდა ჰხედავს, რომ ეს ქალიქი როგორღაც მანქემბულია. ექვსი წლისაზე ზევით კაცს ვერა მნახავ ბავშვების მტყა. უხვირო ერთ ბებერთან დადგა. ეს ბებერი ძალიან უფთხილდება უხვიროს, თავის შეფილივით ინახავს. — რათ მოხ-

ველ, შეილო, აქ რა გესაქმებაო? უხეირო მოუყვა და უამბო თავის თავგებულად საველიო.

მეორე დილით შეგხედავს უხეირო, რომ ეს ბებერი სადაც რამ ქუჭრუტანებია ჰლესავს, რო შუქი ვერ შემოიპარება. უხეიროს გვეი აღებრა. ჰკითხა ბებერს: დედილო, მითხარ, რატომ არ არიან დიდი კაცები ამ ქალაქშიო?—რა ვიცო, შეილო, რადღაც არა რჩებიან, სულ იხოცებიანო. არ უნდა, რომ უთხრას, მართალს არ ეუბნება. კიდევ ბკითხა უხეირომ, კიდევ არ უთხრა ბებერმა. ბოლოს უხეირომ უთხრა: დედი, ჰუჭუ უნდა მომწიფოვო.—რადღა დროს შენი ჰუჭუა, შეილო, ვაცაკი ხარ, უთხრა ბებერმა. უხეირო არ მოეწეა. რა ჩაიდო პირში ჰუჭუ, მოუკირა კბილები: მითხარ მართალი, რათ არის გაწყვეტილი ამ ქალაქში კაცები, რომ ბავშვები და დარჩენილანო? რადღა იქნებოდა? ბებერმაც უამბო: შეილო, ამ ქალაქის ახლო ზღვაში ერთი რკინის კაცია; იმ რკინის კაცს ერთი მოტაცებული ქალი უნის კოჭეში, რომ, როცა ის ქალი გარეთ გამოვა, შუქი ქალაქში შემოდგებაო. ხო გასსავს სახლის კედლებს რა ვლესდი, არ მინდოდა შენ იმისი შუქი დაგნახნა; ახალგაზდა ხარ, წაგახდენდაო. ამ ქალაქის ბემწიფეს უნდა ის ქალი, ეოშება რკინის კაცს, მაგრამ ვერას აკლებს. იმ რკინის კაცმა ისე გაუწყვიტა ჰვენ ბემწიფეს ხალბი, რომ ექესი წლისაზე ზევით აქ მაშაკაცს ველარა ჰნახავო. იმის ვერავინ ვერ მგერგეო.

—მაშ რადღა ბიკი ვყოფილვარ, სიქვა უხეირომ, აუ ის ქალი არ წიერათეო. იმ ლამეს ისევ ბებერთან გაათი, მეოკე დღე რა გათენდა, გამოვიდა გარეთ. კოტა ხნის უკან გამოვიდა კოშკიდგან რკინის კაცის კოლოც, და შუქი შემოადგა ქალაქსა. გასწია უხეირომ და მივიდა კოშკთან. რკინის კაცი ამ დროს ცაში იყო წასული სალოცავედ. უხეირო ქალთან ავიდა.

—აქ რათ მოსულხარ, რა ხარ, რა სულიერი ხარო? ჰკითხა ქალმა. რკინის კაცმა რა აქ მოგასწროს, ხო მოგვლა და იღარ დაგარჩინაო. დადის უხეირო ამ ოთახში, და იმის ნავალზედ სულ ვარდი იშლებს. ქალს ჰალოინ მოეწონა, მაგრამ რკინის კაცს როგორ ვადურჩებოდნენ კოცხლები.—მაგის ფიქრი ნუ გაქვსო, უთხრა უხეირომ, შე ვიცო და რკინის კაცმაო. რა მოდიოდა ქალისკენ, ბებერმა უთხრა უხეიროს, რომ იმ ქალს შეგხეწე, და ის გამოჰკითხავს, რა მოკლავს რკინის კაცსაო. მართლაც შეგხეწეა უხეირო ქალსა: მითხარ, რა მოკლავს რკინის კაცსაო?—შე არ ვიცო, უთხრა ქალმა, ის არავის არ ეტყვისო.

კიდევ შეგხეწეა ვეი ქალს, რა რკინის კაცისთვის როგორმე ეთქმინა.—კარგიო, უთხრა ქალმა, შენ წადი, დამიდე, და შე ვიცო თითონაო. შეადღის დროს რკინის კაციც მოვიდა. ჩამოვიდა ველზედ ქალი, დაუწყუ აღერსი და კითხვა: მითხარ, გენაცვა, ამდენი მტრები გყავს, და შენი სიკოცხლე მუდამ საფრთხეშია, რა მოგვლავს შენაო, რომ შენს თავს უფრო გაუფრთხილდეთო. რკინის კაცმა უთხრა, რომ ჩემ მარდში დასველებული იარაღის მტეი შე ვერაფერი მომკლავსო, ისიც თუ ილლიის ძირში დამკრესო. თუ ილლიის ძირში არ დამკრეს, არ მოგვედებო.

ადგა ქალი ამ ლამხარაკის შემდეგ და, როცა დრო იპოვა, სადაც დევი

შარდზე ღვებოდა, იქ ორი დიდი ცული შიაცუდა. მართლაც დევი ზედ მიმდგარიყო შარდზედ, ექვი ვერაფრისა აეღო. როცა რკინის კაცი წაივიდა კიდევ სალოცავად, შოვიდა უხეიროც. შოამზადა ორივე ნაჯახი და დადგა საომრად. მოვიდა რკინის კაცი, და შეიბნენ. დიდხანს იბრძოლეს ძალიან, ოფლი სულ წყალივით სდიოდათ. ბოლოს დასცა უხეირომ და დასცხო ილღიის ძირში ნაჯახი, მაგრამ ერთი ნაჯახი გატყდა; მაშინ მეორე დასცხო და იქვე სული გაანთხინა. ამის შემდეგ დაიწყო ქალთან კოშკში ცხოვრება და ფეხს აღარსადა სდგამდა, აღარა მშორდებოდა ქალსა.

გაიგო ხემწიფემ, რომ რკინის კაცი მოკლეს, და ის მზეთუნახავი ეხლა სხვა კაცსა პუავსო. შეკრიბა ნაზირ-ვეზირები და უბძანა: უეჭველად ის ქალი როგორმე უნდა ხელში ვიგდოვო. — ომით ვერას გავხდებითო, სთქვეს ვეზირებმა, ისევ ხერხით როგორმე თუ შევძლებთ მაგ მიიმე საქმესაო.

ამ დროს მოვიდა ხემწიფესთან ერთი ბებერი და მოახსენა: დიდებულო ხემწიფეე, დამაკარით ფიცარზედ, ჩამავდეთ ზღვაში, და მე მოვიყვან იმ ქალსაო. ხემწიფეს ძალიან გაეხარადა, მაშინვე დააკრეს ბებერი ფიცარზედ და შეაკურტეს ზღვაში. მიკურდა ბებერი კოშკის ძირში და დაიწყო ყვირილი: მიშველეთ, ვინა ხარო ქრისტიანი, გამომხედეთ, ზღვაში ვიხრხოზი, თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ რამეო. გამოიხედა უხეირომ, დაინახა ფიცარზედ დაკრული წყალში ჩავიდებული ბებერი. ქალს უთხრა: ჩავალ, გამოვიყვან, მადლიაო.

— ის ჩვენი მტერია, თავი დაანებეთ, უთხრა ქალმა.

უხეირომ მაინც არ დაიშალა, ერთმა წვინტლიანმა ბებერმა რა უნდა მიუოსო.

— რო ინანო, მე ნულარ დამაბრალებო, უთხრა ქალმა. ჩავიდა უხეირო, გადაარჩინა ბებერი და ამოიყვანა კოშკში.

ბებერი ემსახურება ერთგულად, ყველაფერს მშვენიერად აკეთებს. ამ დროსთვის იშოვა ბებერმა ბანგი, შვაზავა ღვინო და შეინახა. გაუყეთა ერთხელ სადილი და მოართვა ეს ღვინოც. თითონ ღვინოსა მსევამ ბებერი, ქალ-ვაგს კი ბანგ-ნარევს ასმევს. ცოტა ხნის შემდეგ ქალსაც და ვაგსაც მიეძინათ.

ეს ბებერი კუდიანი იყო. იცოდა, რომ უხეიროს ვერაფერი მოჰკლავდა, თუ, თავში რომ სამი თმის ბეწვი, მქონდა, იმას არ ამოაძრობდნენ. მივიდა, ამოაძრო თავიდან ის სამი ბეწვი. შეახვია წითელ შვიარში და ზღვაში გადუძახა. უხეიროც მოკვდა მაშინვე. მერტ შეუკრა ფეხები, მოაბა ერთ კანდარს ფეხებით და ყელთავე ქვევრში ჩაჰკიდა; ქალი კი მოიგდო ხელში, ჩაისვა ნაეში და მოუსვა ხემწიფისავენ. გამოიღვიძებს ქალი, მიიხედ-მოიხედა, მხედავს, რომ თავის სახლში არ არის, მიხვდა ყველაფერს და დაიწყო ტირილი. მერტ ჩაჯდა საბნელეში და ხმა აღარავისათვის გაუტია. ეფერება ხემწიფეც, ცდილობს მოიგოს როგორმე იმისი გული, მაგრამ ტყუილია.

ამ დროს დევებთან დატოვებული ბურთი სისხლის წყეთას დაიწყებს. — უხეიროს უქარსო, სთქვეს დევებმა. მაშინვე წავიდნენ უხეიროს საქმენელად, მოსდევნენ იმის ნავალზედ გაშლილ ვარდს და მოვლენ ამ კოშკთან. გადავ-

ლენ და მანვეგენ, რომ მეკადარი უხეირო ყელთავქვე ჩაკიდებულია ქვეყნისა  
შემოიკრეს თავში და პირში, მაგრამ ტირილით რას არგებდნენ? — მოლოდინს  
სთქვას: უნდა შევიტყოთ, ის თმები სად არის, ვის ხელშიაო. ერთმა სთქვა:  
მე ხმელეთზე გავეიგებ, თუ სადმე არისო. მეორემა სთქვა: მე ცაში შევიტ-  
ყობო. მესამემა სთქვა: მე ზღვაში მოვჭებნნიო. ეჭვებს ხმელეთზედ, არ იყო;  
აძებნინა მეორე დღემა ფრინველებს ცაში, არც იქ იყო.

მესამე დღემა ზღვის თევზთა ნეფე სიძე იყო. დაუძახა სიძეს და სთხოვა:  
აბა შემიტყე, სამი ბეწვი თმა ხომ არაეის ჩაუყლაპია შენ სიბაძანებულშიო.  
დაუძახა თევზთა ხემწიფემ თევზებს, დიდსა და პატარას მოვიდა და მოვიდა  
თევზი. — აბა და ანაირი ბეწვები ხომ არაეინ ჩაჰყლაპეთო, ჰკითხა ხემწიფემ.  
ყველამ უარი სთქვა, არაფერი არ ჯეინაბიო.

— ხომ არაეინ გაკლიათო? ჰკითხა ხემწიფემ.

— როგორ არა, დიდებულო ხემწიფე, ერთი ბებერი თევზი გვაკლია,  
ზღვის ძირზედ წევს, სიბერით ვერ იძვრისო.

ხემწიფე მაშინვე იმისკენ დაეშვა.

ბებერმა თევზმა უთხრა: ეს არის ეხლა მოიტანა წყალმა წითელ ჩვარში  
შეხვეული, და მე ჩავყლაპეო; ნუ მომკლავთ, კი და კიკუნიები ჩავიდნენ ჩემ  
მუცელში და ამოიღონო. ჩაგზავნეს კიკუნიები, ამოიტანეს ეს ბეწვები და  
მიუტანეს დევეს. მიუს-მოუსვეს თავზედ ეს ბეწვები უხეიროს, გაუხსნეს  
ფეხები, და სალ-სალამათივით მაშინვე ფეხზედ დადგა უხეირო. — ოჰ, რა ბეერი  
მძინებიაო, სთქვა. — ბევრი მაშინ გეძინებოდა, რომ ზეენ არ მოესულიყავითო,  
უთბრეს დევებმა.

ოთხმა მეგობარმა გამოსწიეს ქალისაკენ. სულ აიკლეს ხემწიფის საცხოვ-  
რებელი, ხემწიფეც მოკლეს და ქალიც წამოიყვანეს. იქორწილა უხეირომ,  
შეირთო ცოლად ეს მზეთუნახავი, და მრავალ წელს ბედნიერად იცხოვრეს.

ქირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

—

მთას ურემი ავიტანე,

წამოვიდა გორებითა,

აქ სიცოცხლით გამოძებით,

საიქიოს ცხოვებითა.

(აბრეშა ფელელაშვილის ნაამბობი, 1898 წ. 31 იანვარი).

## 17—ზღაპარი ბუღბუღლის ცოლისა და ქალისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდ-  
ბული ხემწიფე, ჰყვანდა სამი ვასთხოვარი ქალი. ერთხელ ეს ქალები სხედან  
ცალკე ოთახში და ლაპარაკობენ. ხემწიფე მივიდა და ყური დაუდგო.

უფროსმა ქალმა სთქვა: მამა ჩემმა ნეტავი მიკიტანს მიმთხოვოსო, შეუ-

თანამა სთქვა: ნეტავი მამა ჩემმა, ვეზირი რა ჰყავს, იმას მიმცესო. უპროს-  
მა სთქვა: მამა ჩემმა ნეტავი ბულბულს მიმათხოვოსო.

დაიბარა ხემწიფემ მაშინვე მიკიტანი და უბძანა: ჩემ ქალზედ უნდა ჯვა-  
რი დაიწეროვო.—რაზედ მირისხდებიო, დიდებულო ხემწიფე, რა დამიმა-  
ვებიო, მოახსენა შეშინებულმა მიკიტანმა.—რას გირისხდები, ჩემ ქალს გაძ-  
ლევ ცოლიაო, უბძანა ხემწიფემ. დასწერა ჯვარი და გაისტუმრა.

მერე დაიბარა ვეზირი და უბძანა: უნდა ჩემი ქალი შენ მოგცეო.—რა-  
ზედ მიწერები, დიდებულო ხემწიფე, რა დავაშავე ისეთიო.—არ გიწერები  
კი, ჩემ ქალს გაძლევ ცოლიაო, უბძანა ხემწიფემ. დასწერა ჯვარი შუათანა  
ქალზედ და გაისტუმრა.

მერე გაგზავნა შესატყობათ, სადა ცხოვრობდა ბულბული მივიდნენ  
ერთ ქვეყანაში, იკითხეს ბულბულის მამაზე. უთხრეს, რომ ამა და ადგილას  
არის ბულბულიო, წადით, დილით თენებაზედ ბულბული გალობისათვის გა-  
მოვა, დაჯდება ხეზედ, და დაიკირეთო. ისეთი მგალობელი იყო ეს ბულ-  
ბული, რომ კაცს ძილი მოუვადოდა იმის გალობაზე. ჩაუსაფრდენ ბულ-  
ბულს და, როცა ის დილით გალობისათვის დაჯდა, მივებანდნ და დაიკირეს.  
ბულბულმა უთხრა: ნუ წამიყვანთ, მე იქ ვერ გაძლევ, მოვკვდებიო.—უნდა  
ხემწიფის ქალზედ ჯვარი დაგწეროთ და მერე აქვე მოგიყვანთ, რა მოგკლავ-  
სო, უთხრეს. წამოიყვანეს, დასწერეს ჯვარი, და წამოვიდა. ეს ვეზირი და  
მიკიტანი გაღარიბდნენ, ბულბული კი ისე გამდიდრდა, ისე, ისე, რომ თავ-  
საყრელი ჰქონდათ საჩხო.

ამ ვეზირსა და მიკიტანს ჰშურთ, ჩვენ ღარიბები ვართ, და ბულბული  
მდიდარიო. ამ ქალებსაცა ჰშურთ.

წავიდნენ ვეზირი და მიკიტანი და, სადაც ბულბული ჯდებოდა, იქ  
სულ აღმასები დაავტეს, ბულბული დაჯდება, ან ფეხს გაიჭრის და ან მუხლ-  
სა და მოკვდებიო.

დილით რო აფრინდა ბულბული და თავის ადგილას დაჯდა, დაიკირა  
ფეხები და ძირს მკვდარი ჩამოვარდა. გალობა რო აღარ შეესმა, ცოლი გა-  
მოვიდა, ნახა მკვდარი ბულბული და წითელი სისხლიანი ფეხები, ბევრი  
იტირა, ბევრი, მაგრამ ამა რაღას უშეგლიდა?

ბულბულის ცოლს ძალიან ღამიანი ქალი ჰყვანდა, ერთხელ დაინახეს,  
რომ ურია მოდიოდა. ბულბულის ცოლმა უთხრა ქალსა: მე აღმასის ხან-  
ჯალს დავიქტერ, შენ ბევრი ჩითები ააჩივ, მე ვაგიჯავრდები, სადა გვაქვს  
იმდენი ფული, რომ ვე წითები ვიყიდოვო, აღმასის ხანჯალს შემოგიქნევ,  
ურიას მოვარტყამ, მოვკლავ, და იმისი ჩითები სულ ჩვენ დავგვრებო. და-  
უბძანა ურიასა, აქ მოდი, ჩვენ გვინდა რამეგებიო. ააჩივა ქალმა ბევრი ჩითები.  
—მაგდენი ჩითები რათ მინდა, რით ვიყიდო, სადა მაქვს ფულებიო, უთ-  
ხრა ვაჯავრებით დედამ, შემოოქნია ხანჯალი, მოვარტყა ურიას და თავი  
მოხდებინა. ასო-ასო დასქრა, ხურჯინში ჩააღიგა, ზედ ორიოდ ჩითი და-  
ფარა, გადაჰკიდა ცხენსა, დაჰქრა და გააგდო. წავიდა უპატრონო ცხენი და  
ურიის კარებზედ მივიდა.

ცოლმა ნახა უპატრონო ცხენი, გულში თქვა, იქნება ან ცხენი გამო-

ეხარა, ან იქნება ჩითები მოჰპარეს, და ლაპარაკში გაერთოვო. მოჰხადეს ცხენს, ნახეს ბურჯინი, და შიგ დაქრილი ურია კი ძვეს. ბევრი იტირა ურიის ცოლმა, მაგრამ ამა რაღას უშველიდა!

— შენ საბლს დაუდქო, უთხრა ქალს ურიის ცოლმა, საპენტელს წავიღებ, ვიკითხავ, ვისა აქეს საპენტავო ბაშაო, და ვინც დამიძახებს, იმას გუოლებო ურია მოკლულო. წაიღო საპენტელა და მივიდა ბულბულის ქვეყანაში. დაიძახა: არავისა ვაქვით ბამბა დსაპენტავიო? ბულბულის ცოლმა შეიფანა და ბამბა დააპენტრა.

მერე საბნებს რა დაუწყო კერვა, ურიის ცოლმა იცნო ჩითები; როცა შეეკრეს, ბულბულის ცოლს უთხრა: შენი ქალი გამატანე, უნდა ჩემ ქალს გავაქროვო. ჩააცვა ლამაზათ, სულ ახლებით მორაო ბულბულის ცოლმა თავისი ქალი და გაატანა ურიის ცოლსა.

შინ რა მივიდნენ, თანე გაახურეს. ქალს უთხრა ურიის ცოლმა: მე თონეს გავახურებ, თქვენ შედიო, დადქით, ვკრავ ზელს ბულბულის ქალს და თონეში ჩაეწვაფო. რა გაახურა, გავიდა და გარეთ დადგა. ქალები თონესთან დადგნენ. ბულბულის ქალმა გაიხადა ახალი ტანისამოსი და ურიის ქალს ჩააცვა: იმ ურიის ქალმა საბოვა, რომ დედაქმეი შენ თონეში ჩაგადებებს და ეგ ახალი ტანისამოსი მე ჩამაცვია. ჩააცვა თავისი ურიის ქალს და იმისი თვითონ ჩაიცვა. შემავიდა ურიის ცოლი, ჰკრა ზელი თავის ქალს და ჩაგდო თონეში.

ეს ბულბულის ქალი მოკბის, მორბის, და ეს ურიის ცოლიც უკან მოსდევს. უსიერის მითს მოატანა ბულბულის ქალმა, და იქ ერთა უკარო საყდარი იყო.

— საყდარო, კარი გამიღეო! შესთხოვა ბულბულის ქალმა საყდარსა. საყდარმა კარი გაუღო და ისევე დაიკეტა. შეუტია ახლა ურიის ცოლმა საყდარსა: საყდარო, კარი გამიღეო! მაგრამ საყდარმა არ გაუღო კარი. იღგა, იღგა ურიის ცოლი და მერე შინ წავიდა.

ამ საყდარში ერთი ვაჟი იყო. დღე მკედარი იყო და ღამე გაცოცხლდებოდა. ერთი კუბო იყო, და იმაში იწვია. რა დაღამდა, ადგა ვაჟი, იანთო სანთელი და, ეს ქალი რა დაინახა, ჰკითხა: რა ხარ, რა სულაერი ხარ, რომ ამ უბანო და უკაროში შემოჰსულბარო?

— ვაზოვო, უთხრა ქალმა, გაჭირვებული ვიყავ, საყდარო, კარი გამიღეო, გამიღო და შემოველო.

ქალი კარგა ხანს დარჩა საყდარში. მერე ვაჟმა ერთი ბეჭედი მისცა და უთხრა: წადიო, ერთ საბლთან მიხვალ, გარს ასასების გაღავანი აულოო, ერთიკ ბატებისა და ზველიამ კაქკაქების ბანი აფარიაო. ასასების პირის დაღება და შენი ჩაულაპვა ერთი არისო, გაუშვირე ბეჭედი, და შეგატარებენო. ბატების მხრის შემოქნევა და შენი სიკვდილი ერთი არისო, გაუშვირე ბეჭედი, და შეგიშვებენო. კაქკაქების დაზხველება და შენი მოკვლა ერთი არისო, გაუშვირე ბეჭედი, და შეგიშვებენო.

გავლო საყდრის კარი, გამოვიდა ქალი და წამოვიდა. მოვიდა იქ, სადაც ასასები იყო. დააღეს პირები ასასებმა, უნდა ჩაეულაპათ ქალი, მაგრამ



გაუშვირა ქალმა ბექედი, და გაუშვეს ასახებმა. მერე ბატების კედელთან მივიდა. ის არის უნდა შემოპყრან მზარი და გაგლიჯონ ქალი, გაუშვირა ბექედი, და შეატარეს. უნდა დაეჩხავლათ კაქკაქებს უცხო ქალის დანახე-ზედ და მოეკლათ, მაგრამ ქალმა დაიანახე ბექედი, და შეატარეს.

სახლში ერთი ქალბატონი იყო და სამი მოსამსახურე ქალი ჰყვანდა. შევიდა ბულბულის ქალი და მოახლევებს სთხოვა: დამაყენეთო. დააყენეს. ბულბულის ქალი ორსულად არის, და აქ მუცელი ასტკივდა, ერთი ვაჟი მიეცა. მოვა დამე ის ვაჟი, საყდარში რო იწვია, და ჩასძახებს ბანიდგან ბულბულის ქალსა:

როგორ შენ და შენი ძეო?

— კარგად მე და ჩემი ძეო,

ჩალა-ჩულა ქვეშ გვიძეო!

ასძახებს ქალი. ესმით მოახლევებს ეს დამახება და ძალიან ეშინიანთ. ქალბატონს უთხრეს: ღამე ვილაკ მოდის და ბანიდამ ჩამოძახებს: როგორ შენ და შენი ძეო? აქედამ ვილაკა უპასუხებს: კარგად მე და ჩემი ძეო, ჩალა-ჩულა ქვეშ გვიძეო! მერე ქალბატონმა უთხრა: ერთი ღამე კიდევ მოითმინეთ და, თუ კიდევ ჩამოგძახოსთ, მერე თქვენ ჩემ ოთახში დაწექით, მე თქვენ ოთახში დაეწეები და მე უყარაულეებო. იმ ღამესაც დაწვენენ მოახლეები. კიდევ მოვიდა ის ვილაკა და კიდევ ჩამოსძახა.

მერთზე ღამეს ქალბატონი თითონ დაწვა მოახლეების ოთახში. კიდევ ჩამოსძახა: როგორ შენ და შენი ძეო, და კარგად მე და ჩემი ძეო და ჩალა-ჩულა ქვეშ გვიძეო. დაიბარა ქალბატონმა ასახები, ყარაულეები და უთხრა: რათ შემოუშვით ეს ვილაკა არის, რომ იძახის, როგორ შენ და შენი ძეო? კარგად მე და ჩემი ძეო, ჩალა-ჩულა ქვეშ გვიძეო. დაიჭირეთ და ჩემთან მოიყვანეთო.

უყარაულეს ყარაულეებმა და დაიჭირეს ქალიც და ვაჟიც. იცნო თავისი ქალი ქალბატონმა, გადაეხვია და დაჰკონა. ეს ვაჟიც ამ ქალის ქმარი გახდა. ეს ქალბატონი ბულბულის ცოლი იყო და ურჩის ცოლის შიშით შემოგვლო ასახებისა, ბატებისა და კაქკაქების ვილაგანი, რომ ვერ შესულიყო. რაჟი თავისი ქალი ცოცხალი ნახა, ძალიან გაიხარა.

ქირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

(გოგა გაგნიძეს ნამუშობი, 3 თებერვალი 1895 წ.)

## 21.—ქალის გული უფრო ზღვა არის თუ ვაჟიკაცისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდებული ხემწიფე, ჰყვანდა ერთი ქვიანი და ღამაზი ქალი. ერთხელ ხემწიფემ



უბნანა თავის ვეზირებს: მითხარით, ქალის გული უფრო ზღვა არის თუ ვეზირი  
კაცისაო?

ვეზირები დაფიქრდნენ, არ იცოდნენ რა ეთქვათ. ხემწიფეს ვადა სთხო-  
ვეს, მოვიფიქრებთ და მოვახსენებთო. ხემწიფეც დასთანხმდა. დადიან ეს  
ვეზირები, ხან ვისა ჰკითხვენ და ხან ვისა. ვერაფერ ვერ უთხრა. მიდის ვადაც.  
დადიან დაღონებულენი, თუ ვადაზედ გადაკრილი პასუხი არ მოახსენეს,  
თავს მოსპირის ხემწიფე.

— რას დაჰლონებულხართო, ჰკითხა ხემწიფის ქალმა, მე გეტყვით, თუ  
არ გამოთქვამთო. ოჰ, გაუხარდათ ამ ვეზირებს, სიხარულით ცას დაეწივნენ.—  
თუ კი გვეტყვი, არავის არ ვეტყვითო. მისცეს ძირს დედამიწა თავლებად და  
მადლა ცა.

— ვატიკაცის გული უფრო ზღვა არისო, უთხრა ხემწიფის ქალმა.  
წამოვიდნენ ვეზირები. ხემწიფეს მოახსენეს, როგორც ქალმა ისწავლა.  
გაცუხლდა ხემწიფე.— ვინ გითხრათო? ჰკითხა ერთხელ.— არაფერია, შეჭყი-  
ტეს. კიდევ მეორედ ჰკითხა: ვინ გითხრათო? კიდევ უარი უთხრეს. შესამე-  
დაც რო უთხრეს უარი, ხემწიფემ დაიღრიალა: გასწით, ჩქარა საკირე ანთეთ,  
უნდა ესენი ჩაეყაროვო, ენახათ არც მაშინ იტყვიან, ვინ ასწავლა! შეშინ-  
დნენ ვეზირები, გატუხეს ფეცი: დიდებულო ხემწიფე, შენმა ქალმა გვასწავ-  
ლაო.

დაიბარა ხემწიფემ მაშინვე ერთი ქაჩალ-მენახირე და შერთო ცოლად  
იმას თავისი ქალი.— წაიღო, უთხრა თავის ქალს, შენ მაგისი ღირსი ხარო.  
წამოიყვანა ქაჩალ-მენახირემ თავისთან ხემწიფის ქალი. რა ჭკობას გაუწევს,  
„ქალბატონოს“ ენახის. ღარიბადა ცხოვრობენ, არაფერი არ ებადებათ, ქვა  
ქადა ჰგონიათ.

ერთხელ უთხრა ცოლმა ქაჩალ-მენახირეს: წაიღი, კაცო, ტყეში, ფიჩხი  
მაინც მოსპერაი, ცეცხლი ავაბოლიათო.

წავიდა ქაჩალ-მენახირე, მოსპერა ფიჩხი, დაერა კონებად და დააღაგა  
გზის ახლო ტყეში ერთ კლდეზედ, თითონ სახლში წამოვიდა. გავიდა ხანი,  
გახმა ფიჩხიც. ამ გზით ერთხელ ერთი ურია მოდიოდა, გზაზე გაუადარდა,  
დაასველა და გაყინა. ნახა ურიამ ქაჩალ-მენახირის ფიჩხი, გაეხარდა, სთქვა:  
აჲნათებ ცეცხლს, გავთბები და გაეშრებო. მიუკრდა ცეცხლი და სულ ერთი-  
ნად დაწვა.

ცოლმა უთხრა ქაჩალ-მენახირეს: წაიღი, კაცო, ნახე, ისევ არის ის ფიჩ-  
ხი, თუ წაიღო ვინმეო.

წავიდა ქაჩალ-მენახირე, ნახა, რომ სულ ერთიანათ დაწვარა ფიჩხი. კლდე-  
ში ოქროს მადანი ყოფილა, გახურებულა ცეცხლისაგან და ჩამომდნარა ძირსა;  
იმოდენა ყრია, ფეს ვერ აუტყვეს კაცი. ქაჩალ-მენახირემ სთქვა: მოდი ერთი  
ამ ყვითელ ქვას წავიღებ, ვაჩვენებ ქალბატონსაო. გამოიხვია ერთი ოქროს  
ზოდი და წამოიღო.— ფიჩხი ვილასაც დაუწვია, და იი ეს ლა ყრია იქაო,  
უთხრა ცოლსა. ნახა ქალმა, რომ ოქროა; ამა არ გაუხარდებოდა?

წამოვიდნენ და მთელი ორი თვე ნაქირავეები ჯორებით ზიდეს. ისეთი  
სახლები წამოკიმა ამ ქალმა, რომ წვერი ცაის სწედება. ცხოვრობს მდიდ-

რულად. ქაჩალ-მენახირე კი ვერ შეეთვისა ახალ სიმდიდრეს.— თუ მოჯამბ-გირედ არ გაველ სადმე, ვერ გავძლებო, უთხრა ცოლსა. ცოლი: უშლიდა, მაგრამ არ დაიშალა. ამ დროს იმათ კარებზედ ურია მოვიდა, ქარაიანი მიუ-დიოდა, სავაქრო მიქმონდა.

— მოჯამბგირე არ გინდა, დავიდგებო, უთხრა ქაჩალ-მენახირემ.

— რატომო, ძლიან კარგი იქნებაო, უპასუხა ურიამ, რა მოგცე წე-ლიწად შიო?

— ორი თუმანი მომცეო, უთხრა მენახირემ. შეთანხმდნენ, და ქაჩალ-მენახირეც მაშინვე თან გაჰყვა ქარაიანსა. თან ერთი კუდა ხმალი აქვს და ერთი სტვირი.

ქარაიანს ისეთ ადგილას მოუხდა მგზავრობა, რომ არაფერი არ მოი-პოვება: არც წყალი, არც ბალახი, არც ხე, არც სულიერი, მარტო ტიტვე-ლი რიყეა და ქვიშა. შესწუხდა ხალხი, მოშივდათ ცხენებსაც. რა ქნან? საშოყარი კი არსად რაა. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს ამ უდაბნოში, ერთი ცხრა თავიანი დევის სახლთან მივიდნენ. თივაც ბევრი აქვს ამ დევისა და ბალახიც. მაგრამ ქარაიანს რა არგოს, ვინ მივა იქ შიშით? ვე-რაიენ ვერ გაბედა ბალახისათვის მისვლა. ქაჩალ-მენახირემ სთქვა: მე წავიდა და ვნახოთ, რას მიხამს დევი.

გაირეკა რაც ცხენები იყო, მიუშვა თივაზედ. ისეთებია ეს ცხენები, სულ შიგა გორაობენ. თვითონ ქაჩალ-მენახირეც ზის და სტვირს უკრავს.

საღამო ხანზედ მოვიდა ცხრა თავიანი დევი. დაინახა თივაზედ ცხენები, და იქვე ქაჩალ-მენახირეც ზის და სტვირს უკრავს. სულ ცეცხლი მოედო სიბრაზით.

— რა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ ჩემი შიშით ძირს ქიანქველას ვერ გაუვლია და მალლა ფრინველს, შენ ცხენები ზემ თივაზედ დაგიყენებია, ზიხარ და სტვირს უკრავო. გამოვივლი, და ლუკმად არ მგყოფიო, დედმაბა გატეხლბულმა დევმა.

— აქ მოხვალ—პასუხს მოგცემ, არ მოხვალ და—მანდემამ რამდენიც გინდა იყბედო, გასძება ქაჩალ-მენახირემ. გამოვიდა დევი. დასძრა ამ ქაჩალ-მენახირემ თავის კუდა ხმალით ეს დევი. წინ დევი, უკან ეს ქაჩალ-მენახირე. დევი სახლში შეეხწია. მივიდა წიებვია, საბანში და წაწვა. შევიდა ქაჩალ-მე-ნახირეც. დევს ერთი შოტაცებული ქალი ჰყვანდა ცოლად. ქაჩალ-მენახირე ჰკითხავს: ქალო, აქ ერთი კურდღელი შემომივარდა, და ხომ არ გინახიაო.

— რამ გავასულღლა. კაცო, აქ კურდღელს რა უნდა? ცხრა თავიანმა დევმა რო დაგინახოს, ხომ გავაფუქაო.

— ფიქრი ნუ გაქვს, მტე იმას ვეძებო, უთხრა ქაჩალ-მენახირემ. აჩება ეს ცხრა თავიანი დევი, ქონი ამოაქალა და საცვეთში ჩაიღო. გამოსწია და წამოვიდა.

ისეთია ეს ქარაიანს უფროსი ურია, სიბარულით ფეხზე დაღარა დგას, ეს რა კარგი კაცი ვიშოვეო; გულში ათი თუმანი დაუნისა ჯამაგირად ორის მაგივრად, ამ ურიას ისეთი შეუუვარდა ქაჩალ-მენახირე, რომ გვერ-დიდამ დაღარ იშორებს. ახლა თორმეტ თავიანი დევის სახლთან მივიდნენ.

ქაჩალ-მენახირებ აქაც დღვის თივაზედ მიუშვა ცხენები. ის თორმეტთავიანი დღვიც მოკლა და იმის ქონიც საცვეთში შეინახა. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ვაუჭირდა ახლა უწყლოობისაგან ქარავანს. ხალხი და საქონელი თოკება წყურვილით ერთი ჭა არის, უნდა ჩავიდეს კაცი და იქიდან ამოიტანოს წყალი. მაგრამ ძნელია თუ ცოცხალი ამოვიდეს. ვინ ჩავა, ვინ ჩავა? ვერაიერ ვერ გაბედა ჩასვლა.

ბოლოს ქაჩალ-მენახირებმა სთქვა: მე ჩავალ, მომამბით თოკები, ჩამი შეითო, შობებს ამ ქაჩალ-მენახირებს თოკი და ჩაუშვებს. ძირს რო ჩავიდა, შეხვდა, ოთახებია სულ მშენიერად მოწყობილი, გაკვირვებული იქით-აქეთ იბედება. ამ დროს ერთმა კაცმა სტაცა ხელი და დაიჭირა. — აქ რო ჩამოსულხარ, რათ ჩამოსულხარ, არ იცი, რომ ეს წყალი უპატრონო არ არისო? შეხედა ქაჩალ-მენახირებ ამ დამჭერ კაცს, და ისეთი თვარი იყო ეს ვაგი, რომ ქაჩალ-მენახირებ იმის შუქისგან პირქვე დაეცა. როგორც იყო ვაგმა შობარუნა და ააყენა. შეიუვანა შიგნით ოთახებში, და იქ ერთი ბაყაყი ზის.

ვაგმა ჰკითხა ქაჩალ-მენახირებს: მე ვჯობივარ, თუ ეს ბაყაყი? იმ პასუხზე იმისი სიცოცხლე დამოკიდებული.

შეხვდა ქაჩალ-მენახირებ ბაყაყსა და ვაგსა. ვინ იტყვის რომ, ბიჭი არა სჯობია, მაგრამ ღმერთმა აგონა, და სთქვა: მართალია, შენ კვი ვაგიკაცი ხარ, შენ კაცი ვერ შეგედრება, მაგრამ ის ბაყაყი გჯობიაო.

კიდევ ჰკითხა ვაგმა: მე ვჯობივარ, თუ ის ბაყაყი?

— მართალია, შენ კვი ვაგიკაცი ხარ, მაგრამ იმისთანა ვერა ხარო, უთხრა ქაჩალ-მენახირებ.

ვაგმა შესამედაცა ჰკითხა. შესამედაც ისეთი პასუხი მისცა ქაჩალ-მენახირებ.

ამის თქმა იყო, და ბაყაყმა გადიძრო ტანისამოსი, და ისეთი ქალი გამოდგა, როგორც დილის მზე.

— ღმერთმა გიშველაო, უთხრა ქალი ქაჩალ-მენახირებს. რამდენი კაცის ცოდო დამედო, რამდენი ვაგიკაცი გაუჟკდა აქაო. შენ რო ვეთქვა ჩემის ძმისათვის, შენა სჯობიხარ ბაყაყსაო, ცოცხალი ვერ ახვიდოდიაო. ის ბაყაყი იმ ვაგის და იყო, ქალი იყო, და ბაყაყის ტუფი კი ეცვა. რაკი ისე უბასუბა ქაჩალ-მენახირებ, ვადარხა და ააწოდა და ააწოდა წყალი, რამდენიც კი უნდოდათ. მერე თითონაც დააპირა ასვლა, მაგრამ ქალმა არ გაუშვა, ამადამ აქ უნდა იყოფო. იმ დამეს დაჰმანა თავი უკვდავების წყლით, და სულ ოქროს ქოჩორი ამოუფიდა. მერე დაარია: შენ ცოლს აქალმატრონო აღარ უთხრიაო. თურმე ის ქალი გულომისანი იყო. მეორე დილით ჩამოუშვეს თოკები და აიყვანეს ქაჩალ-მენახირებ შალა.

როცა მზავრობა გაათავეს, ქაჩალ-მენახირებ უთხრა ურიას: ეხლა კი მომეც ჩემი ორი თუნანი, სახლში წავილაო. ურიამ ათი თუნანი შეაძლია. ქაჩალ-მენახირებ არ იტერდა, მაგრამ ურიამ ძალიად მისცა. წამოვიდა ქაჩალ-მენახირებ ცოლითან. ისეთია აქალრობა, თავის სახლი ვეღარ იპოვა, ისე გაუშენებია იმის ცოდსა. ბოლოს როგორც იყო იპოვნა თავის სახლი. ისეთი ვაგიკაცია ეხლა ქაჩალ-მენახირებ, რომ მნახველს თვალი ზედა რჩება. ცოდსაც ძლიან გაეხარდა იმისი მოსვლა და გალამაზება.

— უნდა ღვთის წირვა ვქაით და ზემო დედმაშა დავბატოთო, სთქვა ქალმა. არამც და არამც ფეხზედ კი არ აუდგეთ, როცა მოვიდნენ, წვერიც თიხის ჯამზედ დაუსხით და ისე მიართვითო. მართლაც დაჰპატარეს ხევწიფე თავის ცოლით. გაკვირებული ხემწიფე თვალებს აცეცებს. ასე რამ ააშენა ჩემი სიძეო...

ამის შემდეგ „ქალბატონო“ აღარ უთქვამს ცოლისთვის, და ბედნიერად იცხოვრეს.

ქირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(ფილი ბუენაშვილის წამბობი, სოფ. სვენთში, 8 თებერვალს 1895 წ.)

## 22—გმირების ზღაპარი. მონადირე.

იყო და არ იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მონადირე, ძალიან მძლავრი კაცოც იყო, დადიოდა და ნადირობდა. ერთხელ გზაზედ მოდის და დაინახა, რომ მებურკებებს ღვინო მიჰქონებიათ, ურმები ტალახში ჩასცივნიათ, ეწვევიან, ვეღარ ამოუტანიათ. თითო ურემზედ სულ ათ-ათ კოკიანი რუმბები უწყვიან.

— კაცო, რას ეწველებით, მე რო ამოგიტანოთ. რას მომცემთო, უთხრა მონადირემ.

— ღვინოს დაგაღვინებთო.

მეტიდა ურემს და უღელი გატეხა. მერე თათებში მოავლო ხელი და ისინიც დაამტკრია. როგორც იყო, ორივე ამოიტანა, დააღვინეს ღვინო. მოეპოქა, ერთი რუმბი სულ გამოცალა.

— კიდევ დამაღვინებთო.

— არ დაგაღვინებთო.

— კიდევ დამაღვინებთო!

— არაო!

მოუვიდათ ზუზუნი. აიყვანა, ერთი ერთ ზეჰმის ყელში ჩაისვა, მეორე— მეორეში და წამოვიდა.

ჩამოიარა სოფელზედ. ერთი ქალი ძროხებსა სწველის. ცხრა მოწველა, მეთე ფურკამეშა უკრა წიხლი და დაუქცია. სტაცა ამ ქალმა ფურკამეს ფეხებში ხელი, აიყვანა და ეზოს გარეთ გადმოსვა. მონადირეს ძალიან მოეწონა ეს ქალი.—თუ არ შევირთე, არ იქნებაო. მივიდა ქალთან: უნდა ცოლად გამომეყვეო. ქალი ჯერ უარზედ იდგა, მერე უთხრა: თუ შემიტყობ, ჩვენ გვერდზე რომ სისხლის წყალი ჩამოდის, საიდან მოდის, გამოგუებო ცოლადა, თუ არა და—არაო.—კარგო, უთხრა მონადირემ. იმ დამეს დინიშნა ქალზედ, მეორე დღეს გამოემშვიდობა თავის დანიშნულს და შეჰყვა სისხლის წყალსა. მიდის და მიდის, ამ სისხლის წყალს თანდათან ემატება. ნახა, რომ ერთი გმირი შუბზედ აბჯენია, სთვლემს; რამდენსაც დათვლემს, იმდენს

შუბს შუბლს დაჰკრავს, თვალს გაახელს და ცისკენ იხედება.—ეს სისხლის წყალი იმისია. მივიდა მონადარე გმირთან, დადგა და შესცქერია.

—კაცო, უთხრა იმ გმირსა, რათა შერები მაგრე, რომ სისხლის რუს იდენ, რატომ არ დაიძინებ, ცისკენ რას გაიხედუებო?

—მეო, უთხრა გმირმა, ერთი თვის ძილი მქარს; დევმა უნდა ქალი გამოატაროს, და არ მინდა, რომ დამეძინოს, მინდა ევოპო, იმიტომ ევხიზ-ლოპო. ამ შუბზედ თავს იმიტომ ვახლი, რომ, როცა შუბი შემერტობა, მატყენს, და გამომეღვიძებაო.

—დაიძინე, და მე გაგაღვიძებო, უთხრა მონადირემ.

—შენ მე ვერ გამაღვიძებ, ბეგრიც რო იყვიროვო.

—აბა დაიძინე, თუ ვერ გაგაღვიძებო.

დაიძინა გმირმა, უყვირა მონადირემ, უყვირა და მაინც ვერ გააღვიძა. მერე ზმლის ყუა სცემა შუბლში და ისე გააღვიძა.

—ყოჩალო, უთხრა გმირმა მონადარეს, რო გამაღვიძეო! კარგი, მე დაევიძინებ, შენ მიყარაულე და, როცა დევს ქალი მოჰყავდეს, გამაღვიძეო. დაიძინა გმირმა. მონადირე ღვას და გასცქერია დევს გზასა. გამოჩნდა დევიც.

ერთი ისეთი დაუყვირა მონადირემ, რომ გმირი სამჯერ შეხტა და დევცა, მაინც არ გაეღვიძა. მერე დაუშინა შუბლში ზმლის ყუა და ძლივს გააღვიძა. წამოდგა გმირი, მოამზადა იარაღი, დაემზადა საბრძოლელად.

დევს დაუძახა: მაგრე რო მისდინარ, ეგ კი არ არის ბიჭობა, ჩამოდი, მეომე, და რომელმაც დასძლიოს, ქალიც იმას დარჩესო. მობრუნდა დევი. დასვა ქალი, და შეეკოვდნენ რკინის კალოზედ შესაბმელად. იბრძაოლეს და ორივენი მბრტყამდე დასხდნენ. გმირმა დაუქაზა მონადარე: მოდი, იილე ხანჯალი და ამა და ამ ალაგას წეც ამ დევსაო. მივიდა მონადირე, წასცა ხანჯალი და მოკლა დევი.

მერე იფიქრა: მე რო დევი მოვკალ, გმირი ქალს რას მიწილებსო, მოვკლავ მაგასაც, და ქალი მე დამჩნებაო. მოკლა გმირიც. ქალს უთხრა, უნდა ცოლად შევირთოვო. ქალმა ცივი უარი უთხრა. მონადირე მაინც არ მოეშვა. ქალმა უთხრა: ჩემ დედ-მამას ცხრა ვაგი ჰყავს, და მარტო ერთი ქალი მე ვყვარო; წადი, იკითხე ჩემი ცხრა ძმა, თუ მოგცენ ჩემი თავი, მეც უარი იღარ შემძლიანო.

წამოვიდა მონადირე იმით საქმზელად. მოდის. ბევრი იარა, თუ ცოცა იარა, ერთ მინდორზე კაცი დაინახა, ხელში ბარი უქარავს, წყალი უღის, ხნულსა რწყავს. ისეთია ეს კაცი, ერთი უზარმაზარი დევ-გმირია. წავიდა მონადირე იმისკენ. მონადირე ცხენზედ ზის და ისე მიდის. მივიდა წყლის ნაკადელთან. დევ-კაცმა დაუქაზა: კაცო, ემა წყალში არ შემოხვიდე, მოგიტაცებსო. მონადირემ მაინც არ დაიშალა და შევიდა. შუა წყალში რო მივიდა, მოიტაცა წყალმა და წაიღო. მივიდა მიწის მრწყეველი, ამოსდო ბარი და ცხენი და კაცი ნაპირზედ გადმოყარა.

—რა ღარ, რა სულიერი ხარ, აქ რისათვის მოსულხარო, ჰკითხა მონადირესა. მონადირემ უთხრა თავისი თავგადასიფილი დაწვრილებით და მოს-



ვლის მიზეზიც: დღეი მოკვალი, ქალი მიპყვანდაო, ის ქალი მე დამარჩა, მი-  
ნდოდა ცოლად შემერთო, მაგრამ ქალი უარზედ არისო. ამბობს, მე მცხრა  
ძმა მყავს, და სანამ იმით არა მნახავ, არ შევირთავო.

მრწყეულში უთხრა. სწორეთ მე ვარ იმისი ძმაო. ჩემი რვა ძმა სანადი-  
როდ არიან; მოიკადე, დედაჩემი სამხარს მომიტანს, იმას გაყვეც სახლში, და  
სალამოზედ მეც მოვალო.

დაჯდა, დაისვენა მონადირებ. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა ამ გვირის  
დედაც. თავზედ ხაზალი ადგია, ზედ სამხარი უძევს: ერთი თონე პური, ერთი  
ცხვირი და ერთი კოკა ღვინო. დადგა ძირს და დაჯდა თითონაც. შეიღმა  
უამბო დედას მონადირის ამბავი; უთხრა, რო წახვიდე, შინ წაიყუანე, და, რო  
მოვრჩები რწყევას, მეც მოვალო. როცა ქამას მორჩა, დედამ ხაზალი ისევ  
თავზედ შეიდგა, მონადირეც წაიყვანა და შინ წავიდა.

გზაზედ ერთი მდინარე დაჰხვდათ. რას გავა მონადირე? იმისაც დაახრ-  
ხოზს და იმის ცხენსაც. მობრუნდა დეე-გვირის დედა, მონადირე ერთ ილლია-  
ში ამოჩარა, იმისი ცხენი მეორეში და ისე გატოპა; ნაპირს რო გავიდა,  
მშრალზე დასხა, ესლა თქვენ იარეთო. ისეთია, ეს მონადირე მიიქნებს  
ცხენს, მაგრამ კიდევ ვერ ეწყევა. მივიდნენ ქალის სახლში. რვა ძმა სანადი-  
როთ ყოფილიყვნენ, მოვიდნენ, თითო ირემი და თითო ქანდარი მოიტანეს.  
სალამოზედ მეტრე ძმაც მოვიდა, ხნულს რო რწყავდა.

მონადირეს უთხრეს: ჩვენ ისეთი სასტიკი მამა გყავს, რომ, სანამ არ  
დაიძინებს, ვახშამს ვერა გქამთ, და, სანამ არ გაიღვიძებს—სადილსაო. გვინდა  
თავიდგან მოვიშროთ, არ ვიცით, რა ვუყოთო. ადგება მიშინვე მონადირე,  
როცა ბერიკაცი დაიძინებს, მივა და დაჰკრავს თავში ხმალსა, მაგრამ ერთ  
ბეწევი ძლიეს გასქრა; დაჰკრა მეორედ, მეორედ მეორე თმა ძლიეს გასქრა;  
მესამედ დაჰკრა—მესამე ძლიეს გასქრა. წაშოდგა ბერიკაცი, ჩამოივარცხნა  
თმა, და სამი თმა ჩაშოიტანა სავარცხელში.—თქვენ ცხარანი ხართ, აქ შეი-  
თეცა ყოფილა; მითხარით ვინ იყო, თორემ ვაი თქვენი ბრალიო, უთხრა  
შვილებს

წამოხტა მაშინვე მონადირე, მორბას, მორბის თავ გადაგლეჯილი. მოსდევს  
ცხრა ძმის მამაც უკან. ტრიალი მინდორია. შუაზედ წყალი ჩამოდის. დადონდა  
მონადირე, სად დაიშალოს? საფარი არაფერია. მიხედ-მოიხედნავს და დაინა-  
ხავს, რომ წყალში ერთი კაცი თევზაობს ბადით, მიირბენს იმასთან.

— კაცო, რა ხარ, რა სულიერი ხარ, დამშალე, თუ ღმერთი გწამსო.

— შენ ვინა ხარო? მკითხა მებადურმა.

— ქრისტიანი ვარ და დამშალე შენი ღვთის გულისათვის, თორემ იმ  
ბერიკაცს ვერ მოვრჩები; ხო ხედავ, მომდევსო.

მადლომა ღმერთს, თუ ქრისტიანი კიდევა ვნახო, უთხრა მებადურმა. რა  
გეყო, რაში დავმალო, ხო მხედავ. ცარიელი მინდორიაო. არა ქნა, არ მოე-  
შვა მონადირე. მებადურმა უთხრა: მოდი, დავმალოვო, ოარი კბილი ჰქონო-  
და მოტეხილი, ერთი გრთ: მხარეს, მეორე—მეორე მხარეს.

— მოდი შემომიძვერ პირში, უთხრა მონადირეს. მონადირეც შეძვრა. ერ-  
თი ერთ კბილში დააბინავა, ცხენიც მეორე კბილში. მოვიდა ცხრა ძმის მამა.

— რა იქნა ის კაცი, აქ რო მოვიდა, სად დაიშალაო? შეუტყუა მებადურსა.— მე არ მინახავსო, ეუბნება მებადური. კაცი არ ვხედავ, გაუქირა საქმე. დასცხო მებადურსა ამ გმირ კაცს ბადის ტარი და იქვე გააგორა— მონადირემ რომ სამი თმა ძლივ გაუქრა, — მერე ჩამოსხაძირს მონადირეც და იმის ცხენიც. — გზა გასწი შენს გზაზედაო.

მონადირეს ძალიან გაუკვირდა ამოდენა უზარ-მაზარი კაცი. მოუნდა შეტყობა, თუ რამ მოსტება ამ დევ-გმირს ეს კბილგბიო. მოექიდა ზოხის ბოლოზედ მებადურს: უნდა მითხარა, რამ მოგტება ეს კბილგბიო.

— გასწი, შენ გზაზედ, თორემ შენც იმ ცხრა ძმის მამის დღეს დაგაყენებო, დაგაქუჩა მებადური.

მონადირე მაინც არ ეშვებოდა, გაუქირა საქმე.

მებადურმა უამბო:

ჩვენ ორნი ძმანი ვიყავით. ერთხელ გზაზე მოვდიოდით, და გაგვიფდარდა. არაფერი იყო, თავი შეგვეფარა. გზაზედ ერთი კაცს თავის გოზა დავინახეთ, იმოდენა იყო, რომ მე და ჩემი ძმა შიგ შევძევით. ერთი ერთ თვალში და მეორე მერეში. იქ ვადმოვიყარეთ ავდარი. ამ დროს თურქე იქ ახლო-მახლო ერთ მეცხვარეს ცხვარი ჰყვანდა, მიეპარა მგელი და ცხვარი ჰკლავდა. არაფერი ჰქონაოდა მეცხვარეს, რომ მგლისათვის ესროლა. თურქე დაინახა ის თავის გოზა, ჩვენ რომ ვისხედით, მოაელრა ხელი, ესროლა მგელსა, ჩემი ძმა გამოძვრა თვალიდგან და სად გადაიარდა, ვეღარაფერი გავიგებ, შე კიდე შიგ შევრჩი. თავის გოზა კლდზედ დავუკა, და ეს ორი კბილი იქ მომტყდაო. რომ ვაიფელი, კანკები გზადაც იქა ყრია, მინახავო, იმ კაცისაო, და ის გოზაც იქვე არისო.

წამოვიდა მონადირე. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ამ მთიან და კლდიან ადგილში. ჰხედავს, რომ თითო ისეთი კანკი გლია, რომ კაცი ზედ ვერ გადაილაკებს. ძალიან გაუკვირდა და შეეხარა მონადირე მადლიანი იყო და ღმერთს შესთხოვა: ღმერთო, ერთი გააცოცხლე ამ კანკების პატრონი, ვნახო რა სულიერი იყოვეო, და თვალებს კი ნუ მისცემ, თორემ შემქამსო! მართლაც უსმინა ღმერთმა ლოცვა, უცებ ძვლებიდან ერთი საზარელი რაღაც აიყავა, ისეთი, ისეთი უზარმაზარი, თავით ცხა სწვდება! მონადირემ თავამდე თვალი ვერ შეუწვდინა. — რა ხარ, რა სულიერი ხარ, დამენახე, ან მოდი ხელი მოკტიდგო, დაიძაბა აყაყულმა დევ-გმირმა.

აილო მონადირემ ერთი დიდი კლდე, უჩვენა. მოუქირა აყაყულმა კაცმა ხელი, დაფშენიდა და ჩაოყარა. — ეს ხო კლდეო.

მერე ისევ ინატრა მონადირემ: ღმერთო, როგორც იყო, ისევ ისე ვახადგო! უცებ დაიგრილა ამოდენა კაცმა, და ბრახე მოსდგა. დედამიწა შეიძრა, ცამ ქუჩა-ქუჩილი დაიწყო.

ამოდენა სინახავის მნახველი მონადირე წაივიდა ახლა იმ მეცხვარის საძებნელად. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, შეხედა იმ მეცხვარეს. ახლა იმას ჩამოეკიდა: თუ არ მითხარ, არ იქნება, რათ ესროლე ის თავის გოზა მგელსაო.

— ჩამომხსენ, შენთვის არა მცალიან, თავი დამანებეო, ეუბნებოდა მეცხვარე.

მონადირე არ ეშვებოდა, მოგვიდა ბოლოზედ. მოთმინებიდამ გამოსულმა მეცხვარემ გაიქნია ჩოხის ბოლო, ცხრა მთას იქით გადისროლა და მოკლა. შემოეხევიენენ მესობლები ამ მეცხვარეს, და არცხვენდა ყველა: სიარული არ არის, იმაზედ რა ვაგაკობასა სკდიდიო. დანანდა თითონ მეცხვარესაც, მაგრამ რაღას უშველიდნენ საწყაღ მონადირეს.

ეს დევ-გმირები კი დღემდის ცოცხლებია და კარგადაცა ცხოვრობენ.

ქირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(საფ. ზელთხანში მცხოვრებელი ისაქ ილარიონის (გვარია) წააბაბი. 1895 წ. 28 თებერვალს).

## 23—დათვი და მელა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხიკაცი. ერთი ქალის მეტი და ერთი ფარა ცხვრისა არაფერი ებადა. მეწველ ცხვარში თვითონ დადიოდა და ბატკანში ქალსა ჰგზავნიდა.

ერთ დღეს ქალს დაუცხა; აღრე ვერ გარეკა ბატკანი; ფარა დაემურა \*) და აღარ შეეძლო გაშლა, იჯდა და ტირიდა. ამ დროს ახლოს მელიამ გაიარა და ჰკითხა: რა გატარებს, ქალო, რა დაგმართვიაო?—ცხვარი დამემურა და ველარაფერი მიქნიაო, უპასუხა ქალმა.—თუ ერთ ბატკანს მე მომცემ, უთხრა მელიამ, ბატკნებს მე გაგიშლიო. ქალმა უთხრა: მოგცემო. მელიას მისაცემი ბატკანი გაიყვანეს და დააბეს ხეზედ. მელია შევარდა ბატკნებში და დაიწყო ქნევა თავისუფლათ კულისა. ბატკნები დაფთხნენ და გაიშალნენ. მელიამ წამოიყვანა ბატკანი და სიხარულით ფეჭზედ ძლივდაიდგა.

მელიას ძალიან უყვარდა თავის ბეკეკა და მუდამ პირით უზიდივდა ბაღახს. გაუყეთა ერთი სახლი და ჰყვანდა იმაში. საღამოზედ რომ მოვიდოდა სახლში, ეთამაშებოდა თავის პატარა ბეკეკას. ერთ დღეს დათვმა შენიშნა, რომ მელიას ბეკეკი ჰყავსო; იფიქრა, როგორმე უნდა შეგვეპოვო. მელია, რო დაბრუნდებოდა სახლში, ფეხს შეუყოფდა კარებში ბატკანს და დაუძახებდა:

ბეკეკო კარი გამიღე,  
მე დედა შენი ვარია,  
პირში ზალახი მიჭირავ,  
ბუძღებში რძე არია.

ბატკანიც დაინახავდა მელიას პატარა თათს და გაუღებდა კარებს. ეს სიტყვები დათვმაც დაიხსომა; მივიდა ერთხელ, როდესაც მელია სხვაგან იყო, ბატკნის სახლთან და დაუძახა დიდი ხმით:

\*) დამურა—ერთად შეკრულა.



ბეკეკო, კარი გამოიღე,  
 შე დედა შენი ვარია,  
 პირში ბალახი მიჭირავ,  
 ძუძუებში რძე არია.

ბატკანში დაუძახა: აბა ერთი თათი შემოყავო. დათვიმე შეყვა თათი, მაგრამ დიდი თათი ჰქონდა; იცნო ბატკანში და დაუძახა: წადი, მე ჩემი დედობილის თათს კარგა ვიცნობ, შენ ის არა ხარ, იმას პატარა თათი აქვს და შენ დიდიო.

დათვი წავიდა გაწილილებული. იფიქრა, უნდა როგორმე შე ის ბატკანი ხელთ ვიგდოო, წავიდა ტყეში. აედრიაანი დღე იყო. შწყვესებს ცუცხლი ჭნთო და ირგვლივ უხსდნენ. დათვი გადაუბტა, დააფრთხო ეს შწყვესები, თვითონ ნაცარში ამოითუთხნა, გაიტყუა თათი და წავიდა ბატკანის სახლისაკენ. მივიდა კარებთან, შეყვა კუპურუტანაში თათი და დაუძახა:

ბეკეკო, კარი გამოიღე,  
 შე დედაშენი ვარია,  
 პირში ბალახი მიჭირავ,  
 ძუძუებში რძე არია.

ბატკანში გაუღო კარი და შევიდა დათვი. მაგრამ მაშინვე არ შეტანა ბატკანი, უნდოდა მიზეზი რამ ეპოვნა. გადაგორდ-გადმოგორდებო ბატკანის წინ, გაიჭარბა და იტყვის: ბეკეკის მამასაო.—დათვის მამასაო, ეტყვის ბეკეკი.—სუ ბეკეკო, თორე შეტკამო, ეტყვის დათვი.—ფხებსაყ ვერ მომქამ, მიუგებს ბეკეკი. გაგორდებო დათვი, გაიჭარბა და იტყვის: ბეკეკის მამასაო.—დათვის მამასაო, უძასუხებს ბეკეკი.—სუ, ბეკეკო, თორე შეტკამო, დაემუქრება დათვი.—ფხებსაყ ვერ მომქამო, ეტყვის ბეკეკი. მერე დათვიმე დაიკირა ბატკანი, მაგრამ ისევე ეშინოდა მელიასი და ეჭოა ჰქამდა. მერე-კი შეტკამა, მაგრამ ნახევარი მელიას შეუნახა.

გამოვიდა დათვი იქიდგან, და მოვიდა მელიას. მელა მაშინვე მიხვდა, რა ამბავიც მოხდებოდა. დათვიმე დაუძახა: ძმისწულო! ნახევარი შენ შეგინახე, ბატკანში გამაჯგრა, შეგვამეო!—მადლობელი ვარო, მაახსენა მელიამ ეშმაკობით, შე ბატკანის ხორცს არა ექამ, ბიძავ, ჩემი საკმელი ქათამი და თავვიაო, ისიც შენ შეტკამეო. ეხლა მინდა, რომ აქ ახლოს ქორწილია და იქ წავიდეთ, ერთი ნასუტი დგეულის ხორცი მეცა ექამო და შენც გატკამო; ვერაფერს გაიგებენ მთერალი მაყრები, და შეგვარჩებო. დათვის ძალიან გაუბარდა. უთხრა, წავიდეთო.

წავიდნენ მართლაც, შევიდნენ ბოსელში, გახეთქეს ერთი მსუქანი დეკეული; მიძდა დათვი და უთხრა მელიას: მოდი ერთი, ჩვენც შემოვძახოთ მაყრულიო. მელიამ უთხრა: მე ხმა ჩამიწყდა გზისაგან და შენ ბოხი ხმა გაქვს და შენ შემოძახებო. დაიღრიალა დათვიმე თავისებურად; გაიგონეს დათვის ღრიალი მაყრებმა, გამოუტყვიდნენ ამ მონადირეებს; მელიამ ფხაკა გაადინა კარების ძირიდგან და უშველა თავს, დათვი-კი დარჩა მაყრების

ხელში. მეორე დღეს გამოიყენეს ჩვენი „ბიძა“ და მეფის შესაქცევად ტყავი გააძრეს. მაგრამ ტყავ გაძრობილმა დათვმა როგორღაც მოასწრო გაქცევა და იაეს უშველა.

დათვი ძალიან გაჯავრებული იყო მელიაზედ და ეძებდა, უნდოდა ჯავრი ამოეყარა. დათვმა მალე ნახა მელია, რომ ერთ ეკლის ჯაგთან გორაზედ იჯდა, და წაიღია იმისაკენ. მელიამ დაინახა და, თითქო ვერ იცნო, ჰირი მოარჩია. დათვმა დაუძახა: აბა დამიკადე, მე მინდ მოვალო. მელიამ დაუძახა: ხმა ჩემი ბიძისა, და ეს წითელ-ყვითელი საცმელი კი არ არის იმისო. მივიდა დათვიც და გამოუდგა მელას დასაჭერად. მელა გაძვრებოდა ეკლების ძირში ნელ-ნელა და კუდს მიუშვერდა დათვს, რომ შეეტყუილებინა ჯაგებში; შეძერებოდა შუა ჯაგში და იქ დაჯდებოდა; შეტყუებოდა დათვიც, იკაწრებოდა, ჰდიოდა სისხლი და ყვიროდა; მელია კი გაძვრებოდა და ახლა სხვაგან შეძვრებოდა.

მერე მელიამ დაუძახა: ოღონდ ნუ მაწვალებ, და მე თვითონ მოვარჩენო.—როგორაო? დაუძახა დათვმა.—როგორა და იმ გორა, რომ ხომ გინახია, მეტყუარებს მგელი რო ცხეარს დაუფლევს, რას უშვრებიან ნაგლევსაო. წადი შენ, სახნის-საკვეთი მოიტანე, გაეახურებ, დაგდაღე და მორჩებო. მართლა წაიღია დათვი, მოიპარა სახნის-საკვეთი და მოუტანა მელიას. მელიამ გაახურა სახნის-საკვეთი, დაუძახა მწყემსებს, შეაყვრვინა ფეხები დათვისათვის და უთხრა მწყემსებს: ნუ მომიკლამთ ჩემ ბიძას, უნდა დავდალო და მოვარჩინო. დაუწყო დაღე მელიამ, და დაიწყო ყვარლი დათვმა.

როდესაც ყარა აღრილა „ბიძა“ მელიამ, გაუხსნა ფეხები და უთხრა: ეხლა მე მოვინახე გოდორს, ჩაეიგებ შიგ თივა-ბუმბულს და ჩავსვამ შიგ, რომ ბეწვი ამოგივიდესო. მართლაც მოაქსოვინა ერთი გოდორი, ჩასვა შიგ და გაავგორა; მაგრამ დათვი გამოძერა შიგნიდგან და გამოუდგა მელიას. მელიამ უთხრა: აბ, შენ ჩემო თავო, დამიგორდი, ბიძავ, პატარა გოდორი იყო. ეხლა კი დიდი გოდორი უნდა მოვაქსოვინო და ჩავათუნო შიგაო. დაუჯერა დათვამც. წაიყვანა მელიამ ერთ კლდის ზევით მწყემსები, მოაქსოვინა გოდორი, ჩაუგო ზალა-ბუმბული, ჩასვა ეს დათვი, გადაუწინა პირა და გამოავგორა კლდებზედ: თავად კლდის წვერზედ დაჯდა და დაშლერა:

ახტება და დაბტება  
ე სულ-ბოროტიანი,  
დაჯდება და უსკერის  
ხოსრო დოვლათიანი!

## 24.—დათვი და მელია

იყო ერთი მელია. მუდამ მარტოკა დატუნტუნებდა. ბოლოს მოაწყინდა მარტოს ცხოვრება და სთქვა, ერთი მობილი უნდა ეიშოვნო. ადგა

და წაიდა. გზაზედ დათვის შეჭვდა. მელიამ უთხრა, დაემოხილდეო...  
კარგო, უთხრა დათვმა. მაგრამ შენ რას მოიტან, მე მუდამ თითო ცხვარს  
მოიყვანო. — მე ყოველდღე თითო ქათამს მოვხარგვო, უთხრა მელიამ. დათვის  
გაუხარდა; დაემოხილდნენ.

დათვს მოჰქონდა თითო ცხვირი. მელია აიღებდა ქონს, გადაადნობდა  
და ჩასხამდა ქოთანში. დათვმა ჰკითხა: მაგას რასა შერებდი, მელია, რად  
გინდა ქონიო? მელიამ უთხრა: ძმობილო, მუდამ ასე მადლარი კუჭი არ გვე-  
ქნება, ერთხელაც იქნება ცხვირ-ქათამი შემოგვაკლდება და მაშინ რა უნდა  
ვქაზოთ, თუ არაფერს შევიჩაბავთო. — კარგია ძალიანო, უთხრა დათვმა, მაგ-  
რამ უჩემოდ-კი არ შეტყამოვო.

ერთხელ მელიამ და დათვმა ვერაფერი იშოვნეს საჭმელად. ძალიან მო-  
ქშინდათ. მელიამ იფიქრა, მოდი, დათვის მოვატყუებ და მე თვითონ მივა-  
ძღები მარტოკაო. აუღარი იყო, მელია ავარდა ბანზედ და დაიწყო სიბზილი,  
ვითომ ჰზეპაედა, რომ წვიმა არ ჩამოგვივიდესო. ზოგჯერ მელია გაჩერდებო-  
და და დიძახებდა: „არა მკალიან, ეგრე წამოვიღო!“ დათვმა გაიგონა და  
ჰკითხა: რა არი, ძმობილო, რას იძახიო? — ნათლობაში შექახინ, და მე-კი  
არა მკალიანო, უთხრა მელიამ. — წადი, წადი, ჰქარა, უთხრა დათვმა. მელია  
მართლაც წაიდა, მაგრამ იქ ნათლობა არაფერი იყო, თვითონაც იცოდა.  
დაბრუნდა და დათვის უთხრა: რა ნათლობა, ერთი ხშიდი მქონდათ, აგო-  
რებდნენ, ჩაგორებდნენ, ზუკუსის კარზედ მიაგორებდნენ; ერთი საღვინე  
მქონდათ და შიგ არაფერი ედგათო. მეორე დღეს უთხრა დათვს: ერთ ქო-  
რწილს გამოუარე, და დამაჭიფესო; რადგანაც მე ნათლობაში ვიყავ, შენ  
იქ წადიო.

წაიდა დათვი, მაგრამ რა ქორწილს შეკვებდებოდა? ერთ მეცხვარეს-  
თან მივიდა. — მეცხვარე, აბა მაკამეთ რამე, ქორწილი გქონიათო. მწყემსმა  
წამოაღლო ჯოხს ხელი და ერთი თუ ორი: შე ამყრალებულაო, აქ ქორწილს  
რა ხელი აქვსო. დათვმა შთელი ჭურჭი ძლივს გაასწრო.

სანამ დათვი მოვიდოდა, მელიამ ამოკამა ერთი ქოთანი, ჩაუარა ნაცარი  
და ჩადგა იქვე. მივიდა დათვი და უთხრა: მე შიშშილით მოვეკედი, ამიღე,  
ქონი ექაზოთ, რაღა შავი დღისთვის იჩაბავო. მელიამ უთხრა: შენ დიდი  
სული ვაქვს, შეუბერე, ზედ ნაცარი დავაყარე, მოაშორე და ექაზათო. შეუ-  
ბერა დათვმა და ნაცარი თვალზეში-კი შეეყარა. იტაცა დათვმა თათი თვა-  
ლებზედ და დაიწყო წმენდა.

ა დროს მელიამ გაასწრო და გაიტყა, დათვმა არ შემკამოსო. ჩახვრი-  
ტა მიწა და მოსერილი დაჯდა სოროს პირზედ. ამ დროს გამოიარა დათვმა  
და ჰკითხა, ხომ არაინ გინახავს ამაზედ გველილიო? მელიამ უთხრა: ამა-  
ზედ ვაიარა ერთმა მელიამ, იმასა და დათვს ჩაუბი მოსვლოდათ და სადღაც  
პირბოდაო. გაიკვინა მელიამ დათვი, დაბრუნდა ისევ უკან და ამოკამა მე-  
ორე ქოთანიც, აავსო დათვის ზონზორიკით, დააყრა ზედ ნაცარი და  
უნდა წისულიყო, მაგრამ ამ დროს დათვიც მოვიდა.

მელია სადღა წავიდოდა? დათვს ვეღარსად ვაგტკეოდა. მელიამ ხერ-  
ხი იხმარა, დათვს უთხრა: ბიძია, ეს ერთი ქოთანი ქონი ვაქვს, შეტამე,

მშვიერი იქნებო. დათემა უთხრა: აბა ახლა შენ შეუბერე ნაცარს, მე კინალამ თვალეები გამოავითხარეო. მელიამ უთხრა: მე კოტა სული მაქვს, ვერ შეუბერავ, ისევ შენ შეუბერეო.— რაო, უპასუხა დათემა, აუცილებლად შენ უნდა შეუბერავო! მელიამ შეუბერა კოტად, მაგრამ ვერ გადაყარა ნაცარი და უთხრა დათეს: მე ვერ რა პირი მაქვს, რა სული მედგმისო. მე სული კულში მიდგა და აბა კულში სიღლიან შეუბერავო.— მაშ რაგორა ექნაო? ჰკითხა დათემა, თვალეები დამეთხრება, რა კიდე ნაცარი შემოცივდესო. მელიამ უთხრა: თვალეები დააქციტე და ისე შეუბერეო. დატყვიცა დათემა თვალეები, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და შეუბერა. ნაცარი ესე თვალეებში და გამობლვა თვალეები. დათემა დაიწყო თვალეების წმენდა, მაგრამ რას უშეგლიდა?

მელიამ უთხრა დათეს, წავალ, დამიკადე აქ და ექიმს მოვიყვანო. წავიდა მელია. მოიყვანა ერთი თოფიანი მწყემსი და აჩვენა დათვი. მწყემსმა მოკლა დათვი და ტყავიც წაიღო და ხორციცა. მელიასათვის კი სამ დღეში ერთი ქათამი უნდა ეძლია. მწყემსმა ორჯელ კი მისცა მელიას დედლები, და მერე კი უარი უთხრა. ბევრჯელ სთხოვა მელიამ მწყემსს: მომეც ჩემი დედლები, თორემ ღმერთი არ შეგარჩენსო! მწყემსმა აინუნშიაც არ ჩააგდო მელიის სიტყვები. მწყემსს კორჭა ბატკნები ჰყვანდა საბატკნეში; შეეჩვია მელია და ყველ დღე მიჰქონდა თითო. მწყემსი ჰხედავდა, რომ აკლდებოდა მუდამ დღე ბატკანი, მაგრამ არ იკოდა მიზეზი. ბოლოს ერთი ბანი დახურა, მეორე ახლილი გაუშვა, იმის ქვეშ მახე დააგო. მიიპარა დამით მელია, ნახა, რომ ერთი ბანი ახლილი იყო, ჩახტა შიგ, მაგრამ ხაფანგში გაეხა...

მეორე დღეს შევიდა მეცხვარე, ნახა მელია, დაავლო კულში ხელი, გამოათრია გარეთ და უნდა ტყავი გაეძრო. მელიამ უთხრა: კაცო, არ მომისმენ? განა აქ მოსამართლედ არ არის, რომ გაგვასამართლოსო?

მოიყვანეს ორი მწყემსი და შესჩვილა მელიამ: მოისმინეთ, კეთილნო მოსამართლენოსო! ღმერთმა საწყლად დამბადა, არც მამული მამცა, არც სახლიო. დავებეტები ესე ქვეყანაზე, ზოგან თავეს შეეხედები, ზოგან ქათამს და იმას ეკამო. დღისით მშვიერი ვარ, გარედ ვერ გამოვდივარ, რომ ყველა ამ ჩემი ტყავისთვინა მტრობსო. ესე ღამე გამოვდივარ და მეც არ ვიცი, სად დავდივარო. ღამე გამოვიარე მეცხვარის ბანზედ და ბანში კი ჩავვარდიო, აბა მე აქ რა მესაქმებოდაო, მწყემსმა გამომათრია, უნდა მოვეკალიო. ეხლა თქვენ იცით, როგორც გაგვასამართლებთო, კოცხალიც თქვენ ხელში ვარ და მკვდარიცაო. მოსამართლეებმა გაამართლეს მელია და გაუშვეს. გაიდერა მელიამ კული და გაეშვა მინდვრისკენ.

მელია ეხლაც კოცხალია და ჰლოცავს მეცხვარეებს.

## 25.—მგლის ბერად შედგომა

ერთი საწყალი მგელი ლეშით გაძღა, გაიზმორა და იფიქრა: ბიჭო, აქამდინ სუ კოდებს ვშვრებოდი, მოდი. ეხლა სულის საქმეზე დაედგები, იერუსალიმში წავედ, ბერად შევდგებიო. იფიქრა და საქმეს შეუდგა. ახსენა ღმერთი და შეუდგა იერუსალიმის გზას.

გზაზე ერთ მოზვერს შეხვდა. გამარჯვება, — მოზვერო! დაუძახა მგელმა. — გაგიმარჯოს მგელო! უბასუხა მოზვერმა, სად მიექანები, რა საქმე გამოგჩენია? — ბერად შევდგე, იერუსალიმს მივედ სულის საცხონებლათ. — ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მგელო, თუ იზამ ბერობასო! დაუძახა მოზვერმა.

გასცდა მგელი და წავიდა. გზაზედ ორ ერკემალს შეხვდა, ყანას სძოვდნენ; დიდი ღუმელები ჰქონდათ, მაგრამ მგელს მაინც ვერ დასძლია ეშმაკმა. — გამარჯვებათ, ერკემლებო! დაუძახა მგელმა. — გაგიმარჯოს, მგელო! უბასუხეს ერკემლებმა, სად გამგზავრებულხარ, რა გზა მიველისო? — იერუსალიმში მივედვარ, ერკემლებო, სული უნდა ვაცხონო, ამთენმა კოდებში წელი მომწყვიტაო. — ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, დაუძახეს ერკემლებმა. გასცდა მგელი და წავიდა.

გზაზედ ვირს შეხვდა. იმინაც გამარჯვება უთხრა და დაულოცა იერუსალიმის გზა. წავიდა მგელი იერუსალიმში და ბოლოს მივიდა კოდეს.

მგელს ამისობაში მოშვიდა. იერუსალიმი ღელეში იყო. მივიდა მგელი და გადიხდა სერიდგან. იერუსალიმი სუ საყდრებით იყო სავსე, აქეთ-იქით არგინანი ბერები მიდი-მოდიოდნენ. მგელმა იფიქრა: ამ იერუსალიმში რომ მოველი, საყდარში ხომ არაფერ შემიშვებს, იტყვიან მგელითო, და რა კება დაეჭქვი, რომ არც არაფერი მოზვერს უყავ და არც არაფერი ერკემლებსა და ვირსაო.

გამობრუნდა ეს სულზე დამდგარი მგელი ვირის, ერკემლების და მოზვერის საქმენელად. მგელი გზაზე მართლა ისევ შეხვდა ვირს. ეხლა კი აღარ მოპგონებია „გამარჯვება“ და პირდა-პირ მიუხდა ვირს შესაკმელად.

ვირმა გაიკვირვა: აკი იერუსალიმს მიხვიდოდი სულის საცხონებლად, რადღა მქამო? — როდესაც მუცელი ცარიელია, იქ იერუსალიმს რა ხელი აქვს? — უთხრა მგელმა: მოეშადავ, ეხლავე უნდა შეგკამოვო. ვირმა უთხრა: კარგი, მგელო, შეშქამე, მაგრამ საწყალმა ჩემმა პატრონმა ჩემზედ გუშინ ფული დაბარჯა, ნაღები დამიკრა, და ამჟამე ისინი მაინც, რომ ორნაირი ზარალი არ მიეცესო.

მგელი დააფრინდა კბილებით ფეხზე ვირს და დაუწყო ნაღებს ყრა. ვირმა უტყუა, გააგორა ჩვენი ბერი კბილებ ჩამტყრეული და გაოთხდა. კოტა ხნის შემდეგ მგელი გონს მოვიდა, წამოდგა და სთქვა: აბა რა ჩემი საქმეა ნაღბანდობა, ახია ჩემზედ, რომ ასე მომივიდოო.

ადგა მგელი და წავიდა ცხერების საძებნელად. იმ გზაზედ აიარა, რა-  
ზედაც ჩამოიარა, და შეჰხვდა ისევე იმ ერკემლებს. მგელი მიუღდა, უნდა შე-  
გუამოთო. ერკემლებმა უთხრეს: ეს ყანა ჩვენი პატრონებისაა, ჩვენი პატ-  
რონები ძმები არიან, გაიყარნენ, გაიყვეს ყველაფერი, ზვესც გაგვიყვეს,  
ერთი ერთასა ვართ, მეორე—მეორესიო; მხოლოდ ეს ყანა დარჩა გასაყოფა,  
ეხლა არ ვიცით, რომელმა უნდა ეძოვოთ ეს ყანა; თუ ისეთ სიკეთეს  
იზამ, რომ დასდგები და გაგვიყოფ, მერე რაც უნდა გვიყავიო.—მე როგორ  
გაგვიყოთო, ჰკითხა მგელმა, მე რა მედიატორე ვარო. ერკემლებმა უთხრეს:  
შენ დადექ, ჩვენ გამოვიქცევით, ერთი მხრით, ერთით, მეორე მეორე მხრით, და,  
რომელიც ადრე მოვალთ, იმან ძოვოს ეს ყანაო. დადგა მგელი, გაიქცნენ  
ერკემლები, დაეჯახნენ მგელს და კინაღამ გამოჰკლიტეს. წაიქცა მგელი და  
დაიწყო ფეხების ქნევა. ერკემლები გაიქცნენ და უშველეს თავს.

როგორც იყო, ადგა მგელი და წაებტა მოზერის საძებნელად.—რა  
ჩემი საქმე იყო, მე რა მედიატორე ვიყავ, რო მამულს უყოფდი, რატომ არ  
წაუსვი ზელი და დუშები არ ჩამოვგლიჯე იმ ერკემლებსაო, ჰლანძღავდა  
თავს მგელი.

მგელი მოზვერთან მივიდა და უთხრა: მე შენ უნდა შეგუამო, მომ-  
შივდაო. მოზვერმა უთხრა: კარგი, რაღა ამეცილება, და ერთი ეს სიკე-  
თე მიყავ; მე საკრავებისა და სიმღერის ხმა ძალიან მიყვარს; მე მიიხრეს,  
რომ შენ კარგა მღერი, და ერთი იმღერე და მერე შეშქამეო. მოზვერი გაუ-  
ძღვა წინ მგელს, იყვანა ერთი კლდის წვერზედ და დაიწყო მგელმა ყმული.  
უსმინა, უსმინა მოზვერმა, მიეხარა, ამოჰკრა რქები და გადაიჯდო კლდეზედ.  
თვითონ თავს უშველა.

დაღეწილ-დამტვრეული მგელი წავიდა და მიეხირა თავის სოროში,  
დაჯდა სოროს პირზედ და დაიწყო თავის თავის ლანძღვა: რა მრჯოდა, რა  
ჩემი საქმე იყო სულზე დადგომა, ან რა ნაღბანი ვიყავ, რო ნაღების  
ჭრა დავუწყე ვირს, ან რა მედიატორე ვიყავ, ან რა მომღერალი და მოსა-  
კრავე, რო მოზვერს დავუჯერე და გავყვეო. ეხლა რო ერთი კაცი იყოს აქ  
და ერთი კარგა მიმბერტყოს, რა მადლი იქნებოდაო.

ერთი მამასახლისი გამოჰქცევითო ჩაფრებს და შემძვრალიყო მგლის სო-  
როში. გაიგონა ეს მგლის ნატვრა, და ერთი თუ ორი, მიარტყა და მიარ-  
ტყა; გაიქცა მგელი და სთქვა: ამ ტიალ ქვეყანაში თავის კარზედაც ველა-  
რაფერი უთქვამს კაცსაო.

ეს ზღაპარი მამასახლისმა იმ მგლისაგან გაიგონა, იმან მე მოამბო, და მე  
თქვენ.

## 26. მელია, მამალი, ბატკანი და ჩიტა

ერთი მელია, მამალი, ბატკანი და ჩიტა დამშობილდნენ. წავიდნენ გზას.  
დაულამდათ და დადგნენ ერთ ადგილს; დაანთეს ცეცხლი. მელიამ უთხრა

შამალს: აბა მამალო, მოდი ვიქიდაოთო. დაიჭიდნენ. მოპგლიჯა მელლიამ თაეი და ჩაახრამუნა. მერე ბატკანიც შექაში.—მელლიავ, მე მარტო ცარიფლა ქონი ვარ, პირი ვააღე, ჩაგვიარდები, და შემქამეო, უთხრა ჩიტმა, გაალო პირი მელლიამ, აილო ჩიტმა ერთი მუგუზალი და შიგ პირში ჩაძარა და გამოსწო პირი. მელლიამ ევლარ შექაში ჩიტი.

ჩიტი გაფრინდა. გზაზედ ორ კაცს შეჭხვდა, ერთ ძაღლს სცემდნენ. ჩიტი მივიდა და სთხოვა: მე მომეცით ეგ ძაღლი და რაც გინდათ, იმას მოგცემთო. კაცებმა უთხრეს: ოღონდ ეგ მოგვაშორე და პირიქით ჩვენ მოგცემთ ფულსაო. წამოიყვანა ჩიტმა ძაღლი.

ძაღლი მშვიერი იყო. ჩიტმა უთხრა: აის დედაკაცები რო სხედან და მაწონს შეექცევიან, ხო ხედავო.—ეხედავო, უპასუხა ძაღლი.—მაშ მე მივალ, დავიწყებ ნელა ფრენას, ისინი დასაქერად გამოშიდგებიან, მიღი შენ და მაწონს მიადებო. ჩიტმა მართლა გაიტყუა დედაკაცები. ძაღლი კარგა გაძღა.

წამოვიდნენ იქიდგან. გზაზედ მელიის შეჭხვდნენ: ჩიტმა ძაღლი დამოლა. მელიის დაუძახა: გამარჯვება, მელლიავ, მოგირჩა პირი თუ არაო. მელლიამ დაუძახა: პირი კი მომირჩა, მაგრამ ლეში კი აღარსად მიქამაიაო. ჩიტმა დაუძახა, აქ წამო, აქ არის ლეშიო; ძაღლს უთხრა: წაწექ გზის პირზედ და, როდესაც მელია მოვა საქმელად, წამოუხტი და ტყაყი გააძრეო. მივიდა მელია და დასწედა ძაღლს კუდზედ. წამოუხტა ძაღლი და შემოაქალა ქურკი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 27.—დათვის, მგლისა და მელიის ამბავი

ერთ დათვის ორი ბელი გაქეცვიანებო, გამოიყვანა მზეზედ და უხილავედა ბეწეს და ჰეხანდა. მელლიამ გამოიარა და კითხა დათვის: ბიძიავ, რას აკეთებო.— შეიღები მყავ ავით და იმითა ეწამლობო, უპასუხა დათვი.—არ იცი, ბიძიავ, მე როგორი აქმი ვარ, მე რატომ არ დამიძახებო.—აბა თუ რასმე მიშველი, ეხლაც შენ ხელთა ვარო, უთხრა დათვი: მომირჩინე შეიღები და მიმსახურეო. მელლიამ უთხრა: წადი, ერთი დედალი მომიტანე, ერთი ქადა, კოტა მშთან, შედექცევი კოტამატას და მერე უფრო უაქიმებო. თან ერთი ქვაბი წყალი მოიტანე და ცეცხლი, ოფლს მოვადენ შენ შეიღებსო.

წავიდა დათვი, ითხოვა, მოეტანა ერთი დედალი, ერთი ქვაბი, წყალი და ცეცხლი. როდესაც ყველაფერი მოიტანა, მელლიამ უთხრა: წადი ეხლა და, ის ნიში რო ჩანსო,—უჩვენა ერთ მთაზე—ერთ წანგრევებზედ.—ილოცე ჩემთენაო, გაგზავნა დათვი, აადულა წყალი, აილო ეს ბელები და ჩაუარა წყალში. თვითონ ქათამი აილო, ქადა ყვლზედ ჩამოიცეა და გასწია.

მიდის მელია და გზაზე ერთ მშვიერ მგელს წააწყდა. მგელმა ჰკითხა: თუ ღმერთი გწამს, ან მაქამე ვე დედალი და ქადა, ანა და მასწავლუ: სად იშოვეო.—ქმევით ვერ ვაქმვე, რადგანაც მეც არ მყოფიო, უთხრა მელიამ, და გასწავლი კი, სადაც ეიშოვენო. უთხრა: ესე პირდაპირ რო წახედიე, ერთ დათეთან მიხეილო, ორი შეილი დაქორწილა, მილი შექმეულე, შეუთამაშე, და ქადასაც მოგკეშე და დედალსაცაო. მეც იქ ვიყავ, და ეს დედალიც და ქადაც იმან მომცაო. მგელი გაბარებული წავიდა და მელია თავის გზას გაუდგა.

ამ დროსთვის დათვი სახლში დაბრუნდა, ნახა, რომ იმის შეილები მოხარულეები ჰყრიან ქვაბში, ხორცი ცალკე წასულა და ძვალი ცალკე. შემოიკრა თავში და ივაგლახა. მივიდა მგელიც, მიუხალოვდა, შექმეულა, შეუთამაშა. დათვმა ჰტაცა თათი ამ მგელს, დაიღო და ერთი თუ ორი, დაეცეა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ძლივს დაძძერა მგელი დათვს ხელიდამ და უშეველა თავს.

წამოვიდა გაშფოთებული მგელი მელიის საძებნელად. მელიამ შორითვე იცნო მგელი და ერთი ხერხი მოიგონა; ჩახტა თხილებში და წერილ წნელებს და წყებლებს დაუწყო მტერევა. მგელი მივიდა მელასთან და უთხრა: შენ არ იყავ, რომ დათეთან გამგზავნეო. მელიამ უთხრა: მე შენთან რა ხელი მქონდა; შეილო, ტუქილად ნურაფერს მძბარლებ, მე შენ თვალთაც არ მინახებარო.—მაგას რას აკეთებო, ჰკითხა მგელმა.—რას ვაკეთებ, ხომ ხედაე აი ქვევით ქათმებს, გოდორი უნდა გადვიცეო თავზედ, დავეგორდე და ჩავიდე ქათმებთან, მოვიტაცებ ერთ დედალს, შევითრეე გოდორში და ქეიფს ვაქწეო.—თუ ღმერთი გწამს, მე გადამაქსოვე თავზედ გოდორიო, უთხრა მგელმა, ცხვარი რო ჩანს, იქითენ დავეგორდებო.

გადამაქსოვა მელიამ თავზედ მგელს გოდორი და დაგორა. ჯერ ხო ისე დაიეცეა, მერე გამოუცვიედნენ მეცხვარები და ერთი თუ ორი, ზოგმა ხანჯლით დაუწყო ჩხვლტა, ზოგმა ჯოხით, ისე რომ ბოლოს რის ვაი-ვაგლახით გამოძერა მგელი და გაიქცა.

მგელი ისევ მელიის საძებნელად წავიდა. მელიამ ისევ შორიდანვე იცნო მგელი. გადახტა კანაფებში, დაუწყო ურა კანაფს და ბაწრებს გრება. მგელი მივიდა და დაუღრიალა: შენ არ იყავ, ჯერ დათეთან რო გამგზავნე და მერე გოდორი გადამაქსოვეო.—არაო, უთხრა მელიამ, მე შენთან მოკეთებობის მეტი არაფერი მქონია, შენ ვილასაც მიმამგზავსე და ეხლა გინდა ალილმართალ კაცს ხათაბალი გადამკიდოვო; როგორც იყო დააჯერა მელიამ მგელი. მგელმა ჰკითხა: მაგას რას აკეთებო.—მე ხარაზი ვარო, უთხრა მელიამ, თოკებს ვგრებ; მერე ნახევარზედ მშვიერი დავდივარ, მუდამ საკმელს ვერსად ვბოულობ; უკანა ტანს გავიყრავ; ერთხელ რო ექამო, გარეთ აღარ მომინდება ვასვლა, რადგანაც ნაკერი არ გაუშვებსო, და მუდამ მაძლარი ვიქნებო.—თუ ღმერთი გწამს, შევედრე მგელი, მეც გამიყრე ეს ოხერი და ტიალი, თორემ ჩემ მუცელს რა გააძლობსო. დაუდგა მელია და გაუყრა უკანა ტანი.

წავიდა მგელი თავის გზაზედ. მგელს მიღე გარეთ ვასვლა მოუნდა,



გაუქირდა საქმე, დაიწყო ყვირილი, როგორც იყო, გამოიგლიჯა უკან და დაიბრუნა და შორხა. მგელმა სთქვა: შენი სასაცილო ვიყვე, მელიავ, თუ არ გვადი-  
გინადოყო.

გამოუდგა მელიას და დაუწყო ძებნა. ბოლოს იპოვა და გამოუდგა. დაიძრა მელია, შავრა ველარ გაასწრო მგელს; წამოეწია მგელი, მოაქრა კულზედ კბილი და მოაწყვიტა. წავიდა უკუდო მელია. მელია დაღონდა: ეხლა ველარსად დაეგვალეები მგელსო. იფიქრა, იფიქრა მელიამ და მოი-  
გონა. ამოისურსნა ტალახში და წაწია გზაზედ. მაყრები მოდიოდნენ, დაი-  
ნახეს მელია, ჩამოხტნენ ცხენიდან, აიღეს მელია და პატარძლის უკან გა-  
დაადევსებენს, ხვალ გავატყავოთ და გამოგვადგებო. მელია მალე მოცოც-  
ხლდა; დაინახა, რომ პატარძალს, თითებზედ ბეჭდები აქვს; მელიამ უთხრა:  
პატარძალო, ეგ ბეჭდები მე მომეც, თორე გაეიქარები და მაყრებს ეგონე-  
ბათ, პატარძალი გაიქარო. მისცა ბეჭდები, გადმოხტა მელია და მოძებო.

გაიარა გზა, ერთ ვაქარს ცხენით სოფელში თევზი მიჰქონდა; მელია  
გზაზე გაიძაბა, სულ-ტყავი განაბა. გამოიარა ვაქარმა, დაინახა მელია, ძა-  
ლიან გაუხარდა, აიღო და ცხენზე დაკრულ დოშებს დააკრა. მელია მალე  
მოცოცხლდა. გაიხსნა ფეხები, მერე ერთი დიდი დოშააგლიჯა და გადმო-  
აგდო გზაზე. გადმოხტა თვითონაც და გასწია.

ერთ ადგილს ერთი ორმოცამდი მელია დაინახა, ქორწილი ჰქონიყოთ.  
ვაიყვთა ჩვენმა მელიამ ეს პატარძლის ბეჭედი მოგლეჯილ კულზედ,  
მოიბა დოში და ჩაერია მელიების გროვაში. მსუქანმა დოშმა ბევრ მელიას  
მოკვარა პირში ნერწყვი, შემოეხვიენენ მელიას და დაუწყეს თხოვნა, გვა-  
ქამე თვეზიო. მელიამ ყველას ცივი უარი უთხრა: თქვენთვის როდი ვიშ-  
რომე, შეილოსან, წადით და თქვენც დაიქირეთო.—როგორ დაეიქირეთ,  
ის მაინც გეასწავლეო, უთხრეს მელიებმა. იანვარი იყო. მელიამ უთხრა:  
წადით აქა და აქ რო ერთი ტბა არის, ჩაყავით კულები, მოგებმიან თვეზები  
და მერე ამოიღეთო. წაისხა ამ მელიამ სადამოზედ ეს მელიები, ჩაიყვანა ტბა-  
ზედ, ჩააყოფინა კულები წყალში და უთხრა, დილამდე აქ ისხედითო. დი-  
ლამდის მელიებს ჩაყვინათ წყალში კულები და საძრავი აღარა ჰქონდათ.

უკუდო მელია გაიქცა და ერთ მინდორზე გავიდა. თავადიშვილებს  
მწვერები გამოეყვინათ და ნადირობდნენ. მწვერებს მელია დაეინახე. მწვე-  
რები გამოუდგნენ, მელიამ მოცბრილა, მივიდა და გადაერია ამ ჩაყინულ  
მელეზში. გადააყვენ მწვერებიც. რაკი დაინახეს მწვერებმა ეს ამთენი  
მელეები, ზოგი მოიგლიჯა და უკუდო გაიქცა ერთის ვაი-ვაგლახით, ზოგსაც  
მწვერებმა შემოაფხრიწეს ქურკები. ეხლა ჩვენ მელიას აღარ ეშინოდა, რად-  
განაც ბევრნი იყენენ უკუდო მელიები.

კარგა ხანს ისერია უკუდო მელიამ, შავრამ აქაც მოაგნო მგელმა. შე-  
ყარა ეს მელიები, ხან ერთსა პტაცებდა პირს და ხან მგორეს, შენ მომიტ-  
ყუეო, შავრამ ყველა მართალი გამოდგა. ბოლოს ამ მელიას სტაცა პირი.  
მელია, ცოტა არ იყოს, შეკრთა, შავრამ თავი შეიმავრა და უთხრა: რას  
ამბობ, მგელო, აღალ-მართალს რაზედ მაწვალებ, ჩემზედ აღალი შვის ქვეშ

ვერაეინ გაივლის, და შენ კი შარებს მიღებო.—კარგო, გაუშო მგელმა და წამოასხა ეს მელიები.

ერთ წყალზედ ცალფეხა ხიდი იდო, იმ ცალფეხა ხიდზედ უნდა გაეტარებინა. რო მივიდნენ ხიდთან, მგელმა სთქვა: ღმერთო, ჩემო გამშენო და ჩემო სიაღალ-მართლევ, რომელიც ჩემი მოღალატე იყვეს, გადავიარდესო. გაიარეს მელიებებში და არაეინ გადავიარდნილა. ჯერი ჩვენ მელიაზედ მიდგა. როგორც კი მივიდა შუა ხიდზედა, აუკანკალდა ფეხი და წყალში გადავიარდა, გადააყუა მგელიც, დააჯდა ზევიდამ და წაუჭირა ყელში.

მგელი კარგა ხანს ჰკბენდა მელიას. კაკაკებში მოფრინდნენ, გაიგონეს მელიას ყვირილი, უნდოდათ ზორცის ჰამა. მოფრინდნენ სხვა ჰრელი ჩიტებიც წყლის სასმელად. მელიამ კაკაკებს და ჩიტებს ხელი გაუჭნია: წადით, წადითო! მგელმა ჰკითხა: მელიაე, რას ეძახი მაგ ჰრელ ჩიტებსო.—ეგ ჩიტები ჩემი შეგირდები იყვნენ, მე დავაჰრელე, უთხრა მელიამ, გაუგონიათ ჩემი კენესა და საშველათ მოფრინდნენო; ეხლა იმის ვეუბნები: წადით, ველარას მიშველით, ჩემო შევლებო, აქ უნდა მოგვედგო.—გაგიშვებო, უთხრა მგელმა, თუ მეც დამაჰრელებო.—კარგო, უთხრა მელიამ, წადი, შამფურები მოიტანე, ცეცხლი და დაგაჰრელებო.

მგელმა ყველაფერი მოუტანა. მელიამ გაუკრა ფეხები მგელს, გაიხურა შამფურები და დაასო ამ მგელს; შამფურებს სუ შიშინი გაჰქონდა სისხლში, იბრძოლა მგელმა და გაიხსნა ფეხები. მოცხრილა მელიამ, მაგრამ მგელი ძალიან დამწვარი იყო და ველარ მოეწია.

## 28. ნახევარ-წიწილის აშხავი

იყო ერთი საწყალი ნახევარ-წიწილი. გზაზედ მიდიოდა; ფეხში ეკალი შეგრქო; მივიდა მეპურესთან და სთხოვა: ფეხში ეკალი შეგრქო, მიდლი ქენ და ამოაძრეო. ამოაძრო მეპურემ ეკალი და ჩაადგო თონეში. მეორე დღეს ნახევარ-წიწილი მოვიდა მეპურესთან და მოსთხოვა თავის ეკალი. მეპურემ უპასუხა, შენი ეკალი ჩაეწეო. ნახევარ-წიწილამ ჩხუბი დაუწყო: აუცილებლად ჩემი ეკალი უნდა მომცეო; არადა, ერთი კაი წითელი პური უნდა მომცეო. მისცა მეპურემ ერთი კარგი პური.

ნახევარ-წიწილა სიხარულით წავიდა თავის გზაზედ. ერთ ადგილის ნახა, რომ მეცხვარეებს პური მოჰშინებიათ, მოუწვევლიათ რძე და უპუროთ ჰქამენ. ნახევარ-წიწილამ მისცა პური და უთხრა: ამა, სქამეთ, კარგი პურიაო. მეცხვარეებში გამოართვეს პური და შეეკცენენ. როდესაც მოარჩნენ, ნახევარ-წიწილამ მოსთხოვა თავის პური: ან ერთი ცხვარი მომცეთ, ან ჩემი პურიო. რას იხამდნენ მეცხვარეები, მისცეს ერთი მსუქანი ვრკეპალი და გაისტუმრეს. წამოვიდა გახარებული ნახევარ-წიწილა და წამოიყვანა დუმიანი ცხვარი.

გზაზედ ერთ ქორწილში მივიდა, ნახა, რომ წამოუქცევიათ ერთი ვირო და ჰკლავენ. ნახევარ-წიწილა მივიდა და უთხრა: მაგ ვირს-კი ნუ ჰკლავთ, აი ეს ერკემალი დაკალითო. შექორწილდებო გაუხარდათ, გამოართვეს ეს ერკემალი და დაკლეს. მეორე დღეს ნახევარ-წიწილამ მოსთხოვა თავის ერკემალი: ან ჩემი ერკემალი მომეცით ან პატარაძალიო. რას იზამდნენ, მისცეს ეს პატარაძალი. ნახევარ-წიწილი მიდის გზაზედ გახარებული.

ერთ ვაგს შეჰხვდა, გაუყეთებია ბალახის სტვირი და უკრავს. ნახევარ-წიწილი მივიდა და უთხრა: კაცო, ვგ შენი სტვირი მე მომეცი და ეს პატარაძალი შენი იყოსო; გამოართვა სტვირი, შეგდა ხის ტოტზედ, ჩაჰბერა სტვირს და დაჰმღერა:

კვალი პურზე გავსვალე,  
პურით ერკემალს ვეწიე,  
ერკემლით ლამაზი ქალი,  
ქალით ლამაზს სტვირს ვეწიე.

## 29. მღვდლისა და იმის ქალის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მღვდელი. ცოლი რომ უკვდებოდა, ერთი წყვილი ქოში დაუტოვა და უთხრა: მღვდელო, დიდხანს ქვრივად ნუ იქნები, ეს ჩემი ქოშები წაიღე და, ვისაც კარგა მოუყვიდეს, ის შეირთვო. ცოლის სიკვდილის შემდეგ მღვდელი სამ დღეს არ ყოფილა სახლში. მაშინვე აიღო ცოლის ქოშები და წავიდა საცოლოოს საქმენელად. დიდხანს ეძებდა, მაგრამ ვერსად შეხვდა იმისთანა ქალს, რომ კარგად მოჰსვლოდეს ის ქოშები; დაბრუნდა მღვდელი სახლში და დაიწყო ცდა.

მღვდელს ერთი ლამაზი ქალი ჰყავდა. ერთხელ მღვდლის ქალს ჩაცვა ფეხებზედ დედის ქოშები და კარგად მოჰსვლოდა. მღვდელმა ნახა, რომ იმის ქალს კარგად მოჰსვლია დედის ქოშები, და გადაეკიდა, შენზედ უნდა ჯვარი დავიწეროვო!...—რამ გვაგაგიყა, მამავ? უთხრა ქალმა, თავის ქალზე ჯვარს როგორ დაიწერა, რას იტყვის ან ღმერთი, ან ქვეყანა. ჩვენსა ვილას ექმევა ან პური და ან წყალი ვის დაეღვავაო.—რას ამბობ ნეტა, ქვეყანა ფეხებზედა მკიდია, უთხრა მღვდელმა, შენზე მაინცა და მაინც ჯვარს დავიწერო.—კარგიო, უთხრა ქალმა. მაშ თუ არ იშლი, ახალი სახლი მაინც ააშენე, რომ შიგ ვიქორწინოთო.

გახარებული მღვდელი მაშინვე შეუდგა საქმეს. სამ კვირაში მღვდელმა მშვენიერი ღარბაზი დადგა, მარტო დედამოძი ლა აკლდა. ქალმა დაიბარა ხუროები და უთხრა: ერთ თუმანს კიდევ მე მოგცემთ, და ისეთი ბოძი გააკეთეთ, რომ შიგ შევიდეთ, შევიტანო სასმელ-საქმელიც და ვერაიან მნახოსო... გააკეთეს ისეთი ბოძი ხუროებმა, როგორიც ქალმა შეუკეთა. შევიდა ქალი ბოძში და დაიწყო იქ ცხოვრება.



მღვდელმა ეძება ქალი, მთელი ქვეყანა გადააქოთა, მაგრამ არასდროს ქალი. მღვდელმა იფიქრა, უთუოდ ის ქალი ამ სახლში სადღაც დაიშალა, თორე სხვაგან სად წავილაო. და მღვდელმა მაშინვე სახლი და გადააურვინა წყალში.

დღემბოძიკ გადაადღეს წყალში, წყალმა წაიღო და, ერთგან ბატონის მრეცხავები ტანისამოსს რეცხდნენ, იქ გარიცა. მრეცხავებმა შეატყობინეს ბატონს ეს ამბავი. ბატონი შეიღოს საქორწილოდ სახლს აშენებინებდა და მარტო დედა-ბოძი უკლდა. მაშინვე სიხარულით შეაბმენია კამერები და აათრიეს დედა-ბოძი ახალის დარბაზისთვის. როდესაც დარბაზი დაასრულეს, მაშამ უთხრა შვილს, შედი, შეილო, და დაიძინე ი დარბაზში, ენახოთ, როგორ სიზმარსა ჰნახაო.

ვაჟმა დაიდგა ორი სანთელი თავით და ფეხით. როდესაც დაეძინა ვაჟს, სანთელი, რომელიც თავთან ედგა, ქალმა ფეხებთან ვადიტანა, და რომელიც ფეხებთან—თავთან. მეორე დღეს, ი ვაჟმა რო გაიღვიძა, ნახა შეცვლილი სანთლები. მეორე დღესაც იქვე დაიძინა. წაიღო ნემსი და, რომ არ დასძინებოდა, იჩხელეტდა თვალებში. შუადამე რომ მოვიდა, გამოვიდა ქალი და, როდესაც თავით ნადგამი სანთელი უნდა გადაედგა, ვაჟმა ჰტაცა ხელი მკლავზედ და დაიჭირა. ქალმა უთხრა, რომ გამიშვი, ისევ ბოძში შევეალ, სანამ არ მოგწადები საქორწილოდო. ვაჟმა გაუშო.

მეორე დღეს ჰკითხეს ვაჟს, რა ჰქენ, ნახე რამ თუ არაო.—ენახე კიდევ და ვისიამოვნე კიდევო, უთხრა ვაჟმა. მღვდელმა საქორწილოდ ყველი-ფერი მზად იყო. დაიწერეს ჯვარი ამ ქალ-ვაჟთ და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება. ვაჟმა ერთი წელიწადი და გაუჩნდა ერთი ლამაზი ვაჟი.

ვაიგო მღვდელმა, რომ ჩემი ქალი ბატონის რძალი გამზადარაო, იღო ჯობი და გასწია იმათენ, მივიდა, მოეფერა, მოკატუნა თავი და სთხოვა, პური მაჭამეთო, ქალმა იცნო თავის მამა, მაგრამ ვაჟი რას იცნობდა. ცოლმა უთხრა ქმარს: ნუ გინდა, სახლში ნუ შეუშვებ მაგ კაცს, თორემ ინანებო. ქმარმა უფრო არ უგდო ცოლის სიტყვებს, მიიღო მღვდელი სახლში და აქმედა და ასმედა.

ერთხელ მღვდელმა დრო იხელთა, ამოიღო თავის ქალის ჯიბიდან დანა და გამოსკრა იმის პატარა ვაჟს ყელი აქვანში; მეორე დღეს ბავშვი მკედარი იპოვეს, ეძებეს მომკვლელი, მაგრამ არავინ სჩანდა. ბოლოს მღვდელმა სიტყვა: მოდი თუ ერთი, დაუშინჯეთ ყველას ჯიბეები; ენახოთ, ვის უძვეს სისხლიანი დანაო. გაუჩხრიკეს ყველას და ამ ბავშვის დედას, მღვდლის ქალს-კი უპოვეს ჯიბეში. მაშინვე იღო ქმარმა მკედარი ბავშვი, გაუხვია კალთაში თავის ცოლს და გაავდო. ცოლი ბევრს ეფიცებოდა, რომ მართალი ვარო, მაგრამ ქმარმა არ დაუჯერა.

წავიდა ქალი, წაიღო შვილი და დაიწყო ტყეში ხეტიალი და ტირილი; ბოლოს ერთ წყაროსთან დაჯდა და სტორადა. წყაროს პირზედ სამი მტრედი დაჯდა ხეზედ. უცებ ერთი მტრედი ჩამოვარდა და მოკვდა. ჩამოხტა მეორე, დაავლო ნისკარტი ამ მკედარ მტრედს, მიათრია, აბანა წყაროში და ვაიცოცხლა. ქალს ძალიან გაუხარდა, ადგა, აბანა მკედარი შვილი წყო-

როში და გააცოცხლა ბავშვი. იმის შემდეგ ცხოვრობდა ქალი ტყეში და  
 ვრდებოდა შვილიც. შვილი სანადიროდ დადიოდა, მოჰქონდა წვრილი  
 ნადირი და აქმევდა დედას.

ერთხელ ბატონი და მღვდელი სანადიროდ წავიდნენ, ბევრი იარეს,  
 მაგრამ ნადირს ვერ შეპყდნენ. გავიდნენ ბოლოს იმ ტყეში, სადაც დედა-  
 შვილი ცხოვრობდა. ბატონი ვატიც სანადიროდ იყო, დაინახა ბატონის კა-  
 ცები და შეეშინდა, მივიდა და უამბო დედას, რომ ესეთ-ესეთი კაცები ვნახე,  
 მარტბუდაც მოხრილები რაღაც გვიდათო. დედა მაშინვე მიხვდა, ვინც  
 იყვნენ ისინი, და შვილს უთხრა: წადი, შვილო, და იმათ უთხარ,  
 რომ აქ მოდიოთ, დედა-ჩემი გთხოვსთო. ვატი წავიდა და უთხრა ყველაფერი  
 დედის დანაბარები. ბატონი და მღვდელი წამოვიდნენ.

ბატონმა კოლი ველარ იცნო, მღვდელმა-კი იცნო. ქალი კარგა და-  
 უხვდა სტუმრებს, გაუმასპინძლდა და, როდესაც ისტუმრებდა, ქმარს წაღია-  
 ში ბურთი ჩაუდო. როდესაც წავიდა, დედამ გამოუყენა ვატი და უთხრა:  
 სირცხვილი არ არის, შავით მიხდით სიკეთესო!—რა არისო? იკითხა ბა-  
 ტონმა.—ის არის, რომ ჩემი შვილის ბურთი მოგვიპარიათო. ბატონმა ფიცი  
 მოართო, რომ ჩვენ არაფერი მოგვიპარიაო. თუ გინდათ, აი გაგვშინჯე-  
 თო.—აბა მაშ წაღები გაიხადეო, უთხრა კოლმა. გაიხადა ბატონმა წაღა  
 და ბურთი კი გამოეარდა იქიდან. რაღის იზამდნენ!

დედაცკმა უთხრა, ხო ჰხედავთ, როგორ ძნელია ცილის წამებაო. და-  
 სხედით; ვლიპარაკოთ ჩამე, ზღაპარი ვთქვათო; მღვდელი-კი აშურებს,  
 წავიდეთ, თორემ დაგვიღამებო, მაგრამ ბატონს თელი შეუვარდა ამ თა-  
 ვის ნაკოლარზე და ველარ ჰშორდებოდა. რიგი ქალს ერგო. ქალმა დაიწყო  
 და უამბო, რაც თავს გადახვდა. მღვდელი ძალას ატანდა ბატონს, წავიდე-  
 თო, მაგრამ ბატონი არ მისდევდა.

როდესაც ქალმა გაათავა, ვატი იცნო თავისი კოლი, იმრო ხმალი და  
 უნდოდა მოეკლა მღვდელი, მაგრამ კოლმა უთხრა, კაცზედ ხელს ნუ მიი-  
 ლებო. გააგდეს მღვდელი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

## 30.—ზღაპარი ივანე ცისკრისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა; იყო ერთ ქალაქში  
 ერთი მკვდელი. შვილები არა ჰყვანდა, და გულით კი უნდოდა. ერთხელ  
 მკვდლის კოლი წყალზე იყო. კოკას რო აესებდა, ნახა, რომ წყალს სამი  
 ვაშლი მოჰქონდა. მკვდლის კოლი დაეწოდა ვაშლებს, ამოიღო წყლიდან  
 და წაიღო სახლში. ერთი ვაშლი ქმარს მისცა, ერთიც თვითონ შეჭამა და  
 ერთიც შუაზე გაიყვეს.

დაორსულდა მკვდლის კოლი, და დადგა მცხრე თვე; ატკივდა მუ-  
 ცელი და დაუძახეს ბებერს, რომ შობავში ეშველნა. საღამოზე დედის მუც-

ლიდგან დაიძახა: წადით, მღვდელი მოიყვანეთ, რომ მომნათლოთ, თორე დავიბადები თუ არა, გაფრინდები ცაშიო. მართლაც ბინდზედ დაიბადე ვაგი, მონათლეს და დაარქვეს ივანე სალამოსი. მოწოვა ვაგმა ძუძუ და გაფრინდა ქარივით ცაში. ის იყო, მღვდელი უნდა წასულიყო სახლში, რომ მეორე ვაგმა დაიძახა: მღვდელი არ წავიდეს, შუალამის დროს მეც დავბადებო. შუალამის დროს დაიბადა მეორე ვაგიც; მონათლეს და დაარქვეს ივანე შუალამისა. მოწოვა იმანაც ძუძუ და გაფრინდა ცისაკენ. თენებაზე, ცისკარზედ დაიბადა მესამე ვაგი. მონათლეს და დაარქვეს ივანე ცისკარი. მოწოვა ივანე ცისკარმა და გასწია ცისაკენ.

ამის შემდეგ ძმები სცხოვრობდნენ ღრუბლებთან და დასრიალებდნენ ვარსკვლავების ახლოს. დედასთან მარტო დღეში ერთხელ მოფრინდებოდნენ ხოლმე ძუძუს მოსაწოვენლად. ივანე სალამოსი სალამოზედ მოფრინდებოდა, ივანე შუალამისა შუალამის დროს და ივანე ცისკარი ცისკარზედ. მოწოვდნენ ძუძუს და გაფრინდებოდნენ ისევე, რომ ერთხელ არ უნახავთ ძმებს ერთმანეთი.

ვაგიდა კარგა ხანი, და მოიზარდნენ ძმებიც. ეხლა, რაკი ძუძუს არა სწოვდნენ, გვიან-გვიან მოდიოდნენ სახლში. მოვიდოდნენ კვირაში ერთხელ, წაიღებდნენ საკმაო პურს და წავიდოდნენ ისევ.

იმ ქალაქში ერთი ხემწიფე იყო, ხემწიფეს სამი მზეთუნახავი ქალი ჰყვანდა. ქალები არ გამოდიოდნენ გარეთ არც დამე და არც დღე; ეშინოდათ, არ მოგვეკიდოს ან მზე და ან სიცივეო. ერთხელ მამამ უთხრა ქალებს: შეიღებო, მულამ სახლში ჰსხებხართ, გადით გარეთ, ნახეთ მზე, ქვეყანაო. ქალებმა უსმინეს მამას და გამოვიდნენ სასერიანოთ. შუალდე იქნებოდა, რომ უცებ მოიღრუბლა, დაიწყო ელვა-ქექა და ჩამობნელდა. მოფრინდა ერთი დევი, მოიტაცა ეს ქალები, შეისხა მზრგებზედ და შეერია ღრუბლებში. ვივარდა ხმა ქალაქში, ხემწიფის ქალები დაიკარგნენო.

შესწუბა მთელი ქალაქი, დალონდა ხემწიფეც; შველა აღარსაიდან იყო. ვაგზავნეს მამებრები, ვაგრამ კვალი ვერსად იპოვეს. ბოლოს მოვიდა ბებერი—ბებია ივანე ცისკრის დედისა და უამბო ხემწიფეს, რომ ამ ქალაქში ერთ მკედელს სამი ვაგი ჰყავს, სამივე ცაში ცხოვრობენ, როგორც ფრინველები, ცაც იმათ ხელშია და ქვეყანაცაო, თუ ეცოდინებათ, ისევე იმათ ეცოდინებათ, რა იქნენ შენი ქალებიო. ხემწიფემ მაშინვე წვეულობა გამართა და ვაგზავნა მკედლის შვილების დასაპატიყებლადაც. დედამ პირობა მისცა ხემწიფის კაცს, რომ დაეპარუნებ სახლში და გამოევგზავნი ხემწიფესთანაო.

სალამო ხანზე მოვიდა ივანე სალამოსი, უფროსი ვაგი. დედა ძლივს დაესწრო შვილის ნახვას, ასეა-აქემა და, როდესაც შვილი უნდა წასულიყო, დედამ დაუწყო თხოვნა, დარჩი, შეილო, ჩემთან ამაღამ, ხეალ ხემწიფეს წვეულება აქვს და დაგპატიყათო. დარჩი ივანე სალამოსი დედასთან; დედამ დაუწო ლოგინი და დააწინა. შუალამის დროს ივანე შუალამისა მოვიდა. იმისაც გაუმსაპინძლდა დედა და პთხოვა, დარჩი აქ ამაღამ, ხეალ უნდა ხემწიფესთან წახვიდეთო. ივანე შუალამისა დასთანხმდა დედის თხოვნას და

დარჩა. სახლში მძინარე კაცი ნაბა და ჰკითხა დედას, ეს ვინღა არის, რომ აქა სძინავსო? დედამ უთხრა: ეგ შენი უმფროსი ძმა არისო, ორნივე ერთ ღამეს დაიბადენითო. დაიძინა ივანე შუალამისამაც. თენებას ივანე ცისკარიც მოჰყვია. იმასაც გაუმასპინძლდა დედა და დაწვივნა ისიც ძმების ახლო.

თენება იყო. უმფროსი ძმა ივანე საღამოს ძლით იყო გამოძახებული, ივანე შუალამისა შუა ძილში იყო, და ივანე ცისკარს მაშინღა ჩაეძინა. უმფროსი ძმა ადგა და, რა ნაბა ორი უცხო კაცი, ძალიან გაჯავრდა: სხვას რა ხელი აქვს, რომ ზემ სახლში შემოდიან ზემ დაუკოთხაედაო. უნდოდა იმათი დახოცა, მაგრამ არც ისარი ჰქონდა და არც ხმალი. მივიდა და დაეწოდა ივანე ცისკარის ხმალს (აბჯარი მარტო ივანე ცისკარს ეშოვნა), მაგრამ ძერა ვერ უყო. დედამ დაინახა ივანე საღამოსი, რომ ხმალს ეზიდებოდა და შეწინებულმა ჰკითხა: რად გინდა, შეილო, ხმალი, აქ რა მტრები გაწუხებხსო!—ესენი ვინ შემოგიყვანია სახლშიო, ჰკითხა ივანე საღამოსამ.—ეგენი შენი ძმებია. სამივე ერთ ღამეს დაიბადენით და ეგენიც მოვიდნენ პურის საკმელად და დაეპარუნეო.

გამოიღვიძეს ძმებმა, გადაებვიდნენ ერთმანეთს და გადააკოცნეს. მერვე წავიდნენ ხემწიფესთან, ხემწიფემ დიდის პატრივით მიიღო ძმები და უბრძანა, რომ კარგად გამასპინძლებიყვნენ, იმათ. სადილის ბოლოს ხემწიფემ ჰკითხა უმფროსს ძმას, ივანე საღამოსას, ცაში დაძლიხარ, ქვეყანას ჰხედავ, მნახავდი, ზემი ქალები სად არიანო. ივანე საღამოსამ უარი უთხრა, შე არ მინახია არსად ისინო, ივანე შუალამისამაც ისე უთხრა. ივანე ცისკარზე მიდგა ჯერი.

ივანე ცისკარი წამოდგა, დაუკრა თავი ხემწიფეს და უთხრა: ბედნიერო ხემწიფე, ერთ მაღალ მთის წვერზედ ვიწექ, ცას ვუჯურებდი და ღრუბლების რევასო. უცებ მომესმა წივილი და ქალების ტირილიო. შევხედე და დაეინახე, მოფრინავს დევი და მოაწივლებს ქალებსაო. შე მაშინვე შშვილდს მოვავლე ხელი, მაგრამ მაღე ისევე დაეგადე, დევეს მოვკლავდი, ჩამოვარდებოდა, და ქალებიც დაიხოცებოდნენო; წავიდა და წაიყვანა ქალებიო. მას შემდეგ აღარაფერი არ გამოვიგაო.

ხემწიფეს გაუხარდა, რომ ბოლოს კვალი იპოვნა თავის ქალებისისა. ივანე ცისკარს უთხრა: წადი, იპოვნე ზემი ქალები, და თქვენ მოგცემთ ცოლებადო. უნტროსი ისეთი ღამაზია, რომ მზეს შემუერდება იმის სიღამაზე, ის შენი ცოლი იქნებაო.

ივანე ცისკარი დათანხმდა. იმან ახრით იცოდა, სადაცა სცხოვრობდა ის დევი, წაასა ძმებიც და გაუდგა გზას. იარეს ცოტა თუ ბევრი და მივიდნენ ერთ მთასთან. მთას ერთი ფეხი ზღვაში ედგა და მეორე—მეორე ზღვაში. მაღალი, წამოხურული კლდე იყო, რომ თვალი ვერ აწევდებოდა. კლდის ძირს ერთი კარავი ნახეს. კარავში ერთ რკინის კაცს ეძინა, თავი მთასავითა ჰქონდა.

ივანე ცისკარმა გავზავნა ძმები, წადით, გააღვიძეთო. მივიდნენ ძმები გამოსაღვიძებლად დევთან, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს, მობრუნდნენ და უთხრეს ივანე ცისკარს, რომ ვერ გავაღვიძეთო. ივანე ცისკარი მივიდა დევთან და ჩაქრა თავში შშვილდი. რკინის კაცმა სთხოვა ივანე ცისკარს,

მიძვეო და გამოგადგებო. ივანე ცისკარმა უთხრა: შენი თავი იმაში მტკი-  
რება, ეს კლდეზედ აგვიყვანო. რკინის კაცმა უთხრა: შენ მჭედელი ხარ,  
გააკეთე ერთი დიდი ჯაჭვი, შეტყუარცნოთ ზევით, მოვლოთ კლდეს და  
ავიღეთო.

— ივანე ცისკარმა მოიტანა ბლომად რკინა, კვერები, მაგრამ გრდემლი-  
კი დაჰეწყვებო. რკინის კაცმა უთხრა: აი ჩემი თავი იყოს გრდემლიად,  
და ამაზე გამოკვერე ის ჯაჭვიო. დადგა ივანე ცისკარი და გამოკვერა უზარ-  
მაზარი ჯაჭვი. ჩასეეს ერთი ღალი შარგილი, დაამაგრეს იმაზედ ერთი პირი  
ჯაჭვისა, მეორეზედ ჩანგლები მოაბეს, და უთხრა ივანე ცისკარმა ძმებს: აბა  
ეცადეთ, შეაგდეთ, იქნება შეუწყოთო. მივიდნენ ივანე საღამოსი და შუა-  
ღამისა, მაგრამ ვერც-კი დასძრეს.—აბა ახლა შენ, რკინის კაცო, უთხრა  
ცისკარმა. რკინის კაცმა მოავლო ჯაჭვს ხელი, შეტყუარცნა, მაგრამ ერთი  
სამი-ოთხი ადლი კიდევ დააკლდა წვერამდის.—ეგ არის შენი ღონეო, ჰკი-  
თხა ცისკარმა.—ეგ არისო. მაშინ ცისკარმა მოავლო ხელი, ატყუარცნა და  
იყვანა წვერამდის. შეეკიდნენ ყველანი, მოედო ჩანგალი კლდეებს, გაში-  
გრდა ისე, რომ ასეღა კარგათ შეიძლებოდა. აგზავნა ძმები ცისკარმა, მაგ-  
რამ ძმები ვერ ავიდნენ, კინალამ ჩამოკვიდნენ შიშით. შერე რკინის კაცი  
აგზავნა და უთხრა, არ ჩამოიხედო, თორე ჩამოვარდებო. წავიდა რკინის  
კაცი და ცოტაღა უკლდა ასეღას, რომ ჩამოიხედა ძირს, თავმა დაქძლია და  
კინალამ ჩამოვარდა. რის ვაი-ვაგლობით ჩამოვიდა ძირს.

შერე დატოვა ძმები ცისკარმა და უთხრა რკინის კაცს, თუ რამ დაუ-  
შედეგია ამათ, შენი კისრიდგან ამოვიღებო. ავიდა ცისკარი და გასწია დე-  
ვის გზაზედ. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ სპილენძის სახლთან.  
სპილენძის სახლი სპილენძის დევისა უფილიყო. შევიდა სახლში, ნახა ერთი  
ღამაში ქალი. ვაგმა გამოჰკითხა ყველაფერი. გაიგო, რომ ეს ქალი ხეშწი-  
ფის უფროსი ქალი უფილიყო. ქალმა დაღონებულმა უთხრა: ნეტავი არ  
მოასულიყავ, შეიღთავა დევი მოვა და მოგკლავსო.—ნუ შესწუხდები, მე  
ვიცი და იმანო, უთხრა ცისკარმა.—მაშ მე შენი ცოლი ვიქნებიო, უთხრა  
ქალმა.—არაო, უთხრა ცისკარმა, შენ რძალი და მე მახლიო.

საღამო ხანზედ შეიღთავა დევი ცხენით სახლში მოდიოდა. რა მიუ-  
ახლოვდა დევი სახლს, ცხენმა დაიბორძიკა.—აიუ, შე სახბროვ, რა ივანე  
ცისკარი დაგხედება სახლში, რა გაშინებსო. მოვიდა შინ და მართლა და  
ივანე ცისკარი კი დახვდა სახლში. ცისკარი საჩრდილობელში იჯდა გა-  
რეთ. დევმა დაუძახა: ცისკარო გამაგებინე, სამტროდ მოსულხარ თუ სამო-  
ყვროდაო.—შენთან სამოკეთო რა მაქვსო, მიუგო ცისკარმა, სამტროდ მო-  
ველო. გადმოხტა ცხენიდან სპილენძის დევი და დაუძახა, შეუბერე ემანდ  
მიწასაო.—შეუბერე კიდევ და, რაც გინდა, ისა ჰქენო, უთხრა ცისკარმა.  
და შეუბერა დევმა და ფეხის სამაგრებლად აქცია მიდამო სპილენძად. დაი-  
კიდნენ კიდევ. მოიქნია ცისკარმა და ჩასვა მუხლებამდე, მოიქნია დევმა  
და ჩასვა მუხლებამდე. მოიქნია ცისკარმა და ჩასვა წელამდინ, მოუსო ხმალი  
და მოსჭრა სამი თავი. გაყოფდა დევი, დაიქნია ცისკარი. ჩაიყვანა საზარ-  
დულამდე. ამოუფრინდა ისე ივანე და მოსჭრა ის ოთხი თავიკ, გამოართვა



ქალს ბეჭედი ძმისათვის, გამოეთხოვა და წაიღია ახლა ცხრათავა დევთან, რომელსაც შუალა და ჰყავდა.

იარა ცისკარმა და მივიდა ვერცხლის სასახლესთან. აქ შუალა და დამხვდა. აქაც საგრილობელში დაისვენა და ელოდებოდა დევს. ქალი ებვეწებოდა, წადი მოგვლავსო, მაგრამ ცისკარმა არ დაუჯერა. მოდის საღამოზედ ცხრათავა დევი, და უცებ ცხენმა დაიბორძიკა.—აჲ, შე სატილოვ, რა ივანე ცისკარი დაგხედებოა. მოვიდა სახლში და მართლაც ივანე კი დამხვდა წამოწოლილი ხის გრილში. დაუძახა: ცისკარო, სამტროდ მოხველ თუ სამოკეთოდაო.—მე შენთან სამოკეთო რა მაქვს, უთხრა ცისკარმა.—მაშ შეუბერე მიწასო.—არცაას შეუბერავ და არც არაფერიო, უთხრა ცისკარმა. ცისკარმა მალე მოკლა ცხრათავა დევი. დანიშნა თავის ძმისათვის იმისი ცოლი; გამოეთხოვა და წაიღია თორმეტთავიან დევთან.

მივიდა იმის სახლში ცისკარი, მიდამო სულ ოქროსი იყო. შევიდა ვაფი და ნახა იქ უნცროსი ქალი. მივიდა ცისკარი, გადაეხვია თავის საცოლოს და დაუწყო კოცნა. ქალს შეუუვარდა ცისკარი. ცისკარმა უთხრა: მე მოველ, ის დევი უნდა მოგვლავსო. ქალმა ტირილი დაიწყო: ნუ, თორე მოგვლავს, შენ იმას ვერაფერს უზამ, იმის მამრევი არ არისო. ცისკარმა უთხრა ქალს: ნუ გეწინიან, თორმეტთავიანი დევი მე ვერ მოგვლავსო. გავიდა და დაჯდა ხის ძირში და დაუწყო მოლოდინი დევს.

დევი საღამოზედ მოდის შინ, და დაიბორძიკა ცხენმა.—აჲ, შე სატილო. იქნება ივანე ცისკარი გაწინებესო; შენა მნახავ, რომ იმის მამრეს ყორნები ჰკამდნენ და იმის სისხლი ღვარივით მიდიოდესო. მოვიდა დევი შინ, დაინახა ივანე და შეჰკვივლა: ცისკარო, სამტროდ მოხველ, თუ სამოკეთოდაო.—სამტროდ მოველი, უთხრა ცისკარმა, შენთან მოკეთობა რას გამომადგებოა.—შეუბერე მიწასო. დაუძახა დევმა.—შეუბერე, შინდა ხარო, უპასუხა ცისკარმა.

გადმოუხტა დევი, და ცისკარიც მიეგება, შეუბერა დევმა და აქცია ადგილი ოქროდ. იბრძოლეს. დაიყვანა საზარდულამდე დევმა ცისკარი, და ცისკარმა დევი მხრებამდე და ცხრა თავიც მოსჭრა. დევი დაიღალა. ცისკარსა ჰკითხა: როგორ იციან თქვენში ომიო.—ჩვენში ომობენ და დაისვენებენო, უპასუხა ცისკარმა.—მაშ დამასვენეო, მთავა დევმა. ცისკარმა იფიქრა, ეს რო დაეისვენო და ამომასწროს, ხო მოშკლიო. ამაფრინდა მიწიდგან და მოსჭრა ის სამი თავიც დევს. ეს კი ვაფაკობა აღარა ქნა ცისკარმა: სამი თავი დაღატით მოსჭრა.

წამოიყვანა ქალი ცისკარმა და წაიღია. რო გამოჰკდნენ სახლს, ქალმა უთხრა: ცისკარო, გაიხედე, რამდენი ოქრო რჩება ტუულიდაო.—დევებს ოქრო ვინ მისცაო, უთხრა ივანემ; ვე სუ თვალის მოტყუება არისო. იმან მოგაჩვენა შენ, რომ ამ სიმდიდრით მაინც გართობილიყავ, რაკი მამის სახლს მოშორდიო. შეუბერა ივანემ და აქცია შტვრად. მოვიდნენ შუალა დასთან, იქაც შტვრად აქცია ვერცხლის სახლი; წაიყვანა შუალაც, უფროსიც და მივიდნენ კლდესთან.

ცისკარმა ჩაუშვა ჯერ უფროსი ქალი და დაუძახა უფროს ძმის, მოჰკიდე მავს ხელიო. ჩაუშო შუალა და და ის კიდე შუალა ძმის ჩააბარა. მერე

თავის საცოლეს უთხრა, მაგრამ ქალი არ უჯერებდა, ის რკინის კაცი გელა-  
ლატებო. შენთვის ამომდის შვეც და მთიარეც, რო გელალატოს, მე მაშინ  
რალა ვქნაო. ცისკარმა არ დაუჯერა და ჩაუშვა. ჩავიდა თუ არა ქალი, რკინის  
კაცმა შემოჰკრა ჯაქვის ლაბტი და გაწყვიტა.

ღარჩა ივანე ცისკარი მალლა. რაღას იზამდა. ჩამოვიარდნილიყო, მოკ-  
დებოდა. მაგრამ ილარც სხვა გზა იყო. ქალმა დაუძახა, ივანე, წადი, იმ  
დღეს ერთი რაში ჰყვანდა, ზღვაში რო ცხვირივით ვლდე დგას, იქ აბია,  
რადგანაც ერთხელ ჩამოავდო და იქ დაიბაო. წადი, ჰკარ წიხლი, იმ ვლდეს  
გადიანგრევე, და იქ არის ის რაშიო. წავიდა ცისკარი, ჰკარ წიხლი კლდეს,  
გადიანგრიო და ნახა რაში. ხელის სისქელ მტვერი და ქუქკი ელო ზურგზედ.  
რაშიმა უთხრა, რადგანაც მტვეველი იყო: სამ დღეს შეე მთახედ გამიშვი,  
რომ ღონე მოვიდგა, თორე დასუსტებული ვარ და ვერა გზიდაო. გაუშვა  
ცისკარმა სამ დღეს რაში. მესამე დღეს მოიყვანა, შეკაზმა და შედგა ზედ  
ფეხი, მაგრამ რაშიმა ერთი ფეხით წაიბორძიკა. რაშიმა კიდევ უთხრა: ამაღამ  
კიდევ დამასვენეო. იმ დამესაკ დასვენა რაში ცისკარმა. მეორე დღეს შე-  
კაზმა, შეჯდა და გასწია სანქაროდ. რაში გაფრინდა ისარივით და ორი დღის  
წინ, სანამ რკინის კაცი მივიდოდა, ქალაქში შოილო ხუილი.

როგორც რაშიმა დაარბო, ცისკარმა შეკაზმა რაში, დააკრა ზედ თავის  
აბჯარი, გამოაძვრა სამი ძუა და გაუშვა ისევ შეე მთახედ. თვითონაც ჩაი-  
ცვა ერთი ძველი ფარაჯა და დაიწყო ქალაქში სიარული. ბოლოს ერთ მკე-  
დელთან მივიდა და უთხრა, შენი არაფერი არ მინდა, ვიმუშავებ, ოღონდ  
პური მაქამეო. მკედელმა უთხრა: ძალიან კარგო. ცულს აკეთებდა მკედელ-  
ლი, უთხრა: მოიტა, კვერი დამიკარო. ცისკარმა მოაელო ცალი ხელით ერთ  
დიდ კვერს ხელი, დაარტყა იმ გრდემლს და კუნძს-კი გააგდებინა. მკედელს  
ძალიან გაუკვირდა იმის ღონე, გააკეთეს დიდი გრდემლი დიდ კუნძში, და  
დაიწყო ცისკარმა მუშაობა, მკედლის ხუთი დღის საქმეს ერთ საათში აკე-  
თებდა. მკედელს ძალიან უხაროდა, რომ ამისთანა მუშა იშოვა.

ბოლოს მოვიდა რკინის კაციც და მოიყვანა ცისკარის ძმებიც. დანი-  
შნეს ქორწილის დღეც, მაგრამ მეორე ბეკედი ილარ გამოაჩნდა უფროს დას,  
რადგანაც ივანე ცისკარმა გამოართვა. გაგზავნეს ეს ბეკედი, რომ ამის-  
თანა ბეკედი უნდა სხვა გაგვიკეთონო, მაგრამ უველა მკედელმა უარი უთ-  
ხრა. მერე ცისკარის აღსთან მოიტანეს. იმანაც უარი უთხრა, მაგრამ ცის-  
კარმა უთხრა, გამოართვი. მე გაეკეთებო. იმ დამეს დაიძინა მკედელმა. ცის-  
კარმა კოტა-მატა მიარაკუნ-მოარაკუნა, ამოილო შენახული ბეკედი, შეა-  
ხვია და შედო მალლა თაროზედ. მეორე დღეს შევიდა მკედელი და წაჰკრა  
წიხლი: რა ჰქენ, იქნება ხემწიფესთან შემარცხვიეო. ცისკარმა გადმოულო  
ბეკედი და მისცა.

გაგზავნეს ბეკედი, მკედელიც წავიდა ქორწილში, ივანესაც ეუბნა, მაგ-  
რამ ცისკარმა უარი უთხრა. როდესაც უნდა გამოსულიყვნენ ეკლესიიდან  
უფროსი ძმა იმისი და უფროსი ქალი, ივანე გამოვიდა მინდვრად, შეტრუ-  
სა ძუა რაშისა და რაში იმასთან დაიბადა. შეჯდა ცისკარი და უთხრა: წა-  
დი და ცას მიეკარ, იქიღამ უნდა დავეცე და ერთი სილა ვაეკრაო. აფრი-

ნდა რაში და მიეკრა ცას. როდესაც გელესიიღვან გამოვიდნენ ცოლ-ქმარნი, ჩამოვეს ივანე და ერთი სილა სახლშია თავის უფროს ძმას.

მერე გაუშო ისეც რაში, დაბრუნდა სახლში და დაჯდა, ვითომ არაფერი არ მოუბდენიაო. მოვიდა შვედელი და უამბო ყველაფერი: ცხენმა ზოგი ფეხით ვაიტანა, ზოგი კამპითაო.—აბა, რო წამოვსულიყავ, ხო შიშით მოვევლებოდნო, უთხრა. ცისკარმა.

მერე ცისკარმა მეორე ბეჭედიც ისე გაუკეთა. ქალებმა იცნეს, მაგრამ არაფერი სთქვეს, უნცროსი ქალი კი ტიროდა, თუ მოვიდა, რატომ არ გამოიხსნის კიდევაცაო. შუალი ძმასაც ერთი სილა უთავაზა.

ებლა ჯერი რკინის კაცზედ მიდგა. დაუძახა თავის რაშს ცისკარმა, შეჯდა, აიღო ლაბტი და უთხრა, აფრინდიო. აფრინდა რაში და მიეკრა ცას. რკინის კაცი რო მიდიოდა გელესიაში და მიჰყვანდა ქალი, დაეშო ივანეც კიდევან. ის იყო საყდარში უნდა შესულიყვნენ, რო მოვიარდა ივანე, მოუქნია რკინის კაცს ლაბტი, დაარტყა თავში და სულ-ზორციანად მიწაში დაკარგა. გადმოხტა თვითონ, გადაეხვია თავის საკოლეს და გადაჰკუნა, ყველაფერი უამბო ხეშეიფეს. შერთო უნცროსი ქალი და, როდესაც ხეშეიფვე მოკედა, თვითონ გაბდა ხეშეიფედ.

ქირი იქა, ლხინი აქა,  
პატო იქა, ფქვილი აქა.

## 31.—ახრაკას წყარო

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხიკაცი. ჰყვანდა ერთი შვილი. ერთბელ მამა-შვილნი ტყეში იყვნენ. წყალი მოსწყურდა შვილს და უთხრა მამას: წყალი მწყურჩიან, სად დავლიოვო? მამამ უთხრა: აი ვაშლს ვავაგორებ, და ეს თვითონ მიგვიყვანს იმასთანაო.

ვაგორეს, ვაყვნენ, და მიიყვანა ვაშლმა ერთ წყაროსთან. დალიეს წყალი, მოეწონათ და წამოიძახეს: ახ რა კაი წყაროა!—რა გინდათ, მე ვარ ახრაკო? გამოხტა წყაროდან ერთი კაცი და ჰკითხა გლეხკაცს.—რა უნდა შინდოდეს, წყარო მომეწონა და ისა ვსთქვიო.—მაგ შვილს მოჯამაგირედ ხომ არ დაიყენებო, ჰკითხა ახრაკამ.—ვის უნდა დაეუყვნო, სახლი არსად არის და კაროო.

ახრაკამ წაიყვანა გლეხიკაცი, ახდა მიწას და ჩავიდა თავის სახლში. ახრაკას ორი შვირიდი ჰყავდა. გლეხკაცს უთხრა: შენი შვილი მოჯამაგირედ დამიყენე. ჯამაგირს არ მიეცემ, მაგრამ სამ ხელობას ვასწავლი, და ის ხელობა აცხოვრებსო. მესამე ვე იქნება, ორი კი მყავსო. სამი წელი მეყოლება და მერე მოდი, თუ იცნობ, წაიყვან, თუ არა—მე დამჩნებოო. გლეხი დათანხმდა. ვაჟმა უთხრა, შენ მე სხვაზედ ვერაფერზედ მიცნობ, როდესაც წასაყვანად მოხვალ, მე სადილზე სამსახურს დავიწყებ, და იმით გაიგე, რომ შენი შვილი ვარო.

გავიდა სამი წელიწადი და მოვიდა მამა შვილის წასაყვანად. თავის შვილი ვერ იცნო, სინამ მსახურება არ დაუწყო. ახრაკამ ჰკითხა: ამა რომელია შენი შვილი? გლახმა უჩვენა თავის შვილზე.—კარგო, ხო ვიცი, როგორც იცან შენი შვილი, წაიყვანეო.

მამა და შვილი წავიდნენ სახლში. გზაზედ თავადებს კურდღელი გამოჰქექეიყო და მოჰდევდნენ მწვერები. ვაგი იქცა მწვერად და გამოუდგა. ისეთი ლამაზი მწვეარი იყო, რომ თავადები სუ გაგიყდნენ. გლახკაც უთხრეს: მოგვყიდეო. გლახკაც ნათქვამი ჰქონდა შვილისაგან, რომ გამოყიდეო. გამოართვა ორმოცდაათი თუმანი და მიჰცა. გასწია გლახმა, და გაიგდო მწვერამაც კურდღელი, გადააბინა ერთი მთა, იქცა ისევ კაცად და მოეწია მამას. თავადებმა ეძებეს, ჰკითხეს მამა-შვილს, მაგრამ იმათ უარი უთხრეს, ჩვენ არაფერი გვინახიაო.

წამოვიდნენ და გზაზედ ერთი მეცხვარე დაინახეს, იქცა ვაგი ოქროს ერკემლიად და გაუძღვა წინ მამას. მეცხვარეს მოეწონა და შეევაჰკრა. გლახკაცი ვერ უარზე იდგა, მაგრამ მერე დაუთმო. მოსხლიტა ასი სოლი ცხვარი, გაირეკა წინ და წაასხა. ვაგი ცოტა ხანს იყო ერკემლიად. როგორც კი გადაეფარა გორას, იქცა კაცად, ხელში წაღდი გვირა და დაუწყო ჰრა ფიჩხს. მოვიდა მწყემსი, ეძება ერკემლი, და არსად იყო. ჰკითხა ვახს. ვაგმა უარი უთხრა: მე არაფერიც არ მინახიაო.—არა, შენის მეტი აქ არაყინ მოსულა, უთუოდ შენ მომპარადიო, დაიწყო მეცხვარემ.—ხომ არ გავიგდდი, უთხრა ვაგმა; თუ მოვიპარე, ექ არ იქნებოდა, ჯიბეში ხომ არ ჩაეისებლიო? ბოლოს დაინება თავი მწყემსმა.—აღბათ ვეშაყი თუ იყოეო.

ვაგი წამოვიდა და დაეწია მამას. ქალაქს მიუახლოვდნენ. შვილმა უთხრა, მე ვხლა ცხენად ვიქცევი, და, ვინც ფულით დამფარავს ყურებამდე, იმას მიმყიდეო, მაგრამ აღვირი კი არ გამოყოლოეო. იქცა ცხენად და ზედ გლახი შეჯდა. ისეთი ცხენი იყო, რომ მთელი ქალაქი იმას უტკებოდა, ბევრი შეევაჰკრა, დიდ ფულს იძლეოდნენ, მაგრამ გლახმა არ გაყიდა. ბოლოს იმ ვაგის ოსტატი მოვიდა, ის შეევაჰკრა. გლახკაც ნათქვამი ჰქონდა შვილისაგან, რომ თუ წინა კბილი აკლია, ნუ მიმყიდო. გლახმა ნახა, რომ წინა კბილი აკლია, და უარი უთხრა.—ჰო, ვიცი, ვიციო, სთქვა ოსტატმა და წავიდა მაშინვე ოქრომქედელთან. ჩაასმინა კბილი და მივიდა. გლახმა ველარ იცნო და მიჰყიდა ცხენი: ყურებამდე დაუმალა ფულით. აღვირი უნდა წამოეყარა, მაგრამ ლანძღვა დაუწყეს, მაგოდენა ფული მოგვცეს, და აღვირიც არ გინდა გაყოლოეო. რაღას იზამდა გლახი, გაყოლოა აღვირი.

წამოიყვანა ამ ოსტატმა, დაბა, დაუწყო კარგა კვება, მაგრამ ცხენმა პირიკ არაფერს ახლო. ჩამოხმა, მარტო ძელები დარჩა, დაუწერილდა თავი, წამოიყარა აღვირი, იქცა მტრედად და გაფრინდა. იქცა ოსტატი კორად და დაედგენა. ის იყო წამოეწია, იქცა ვაგი ფეტვად და გაიბნა დაბლი. იქცა ოსტატი კრუხად და დაუწყო კენკეა. იქცა ვაგი საზანდრად, მოვიდა ხემწიფის კარზედ და ჩაპტერა სტვირს. მოვიდა ოსტატიც. იქცა ვაგი ვაშლად და ჩაუვარდა ხემწიფეს კალთაში. ოსტატმა თხოვნა დაუწყო. ვაშლი შეებეწეწა, თუ მიმცემ, გამოგორეო. გააგორა ხემწიფემ, იქცა ვაგი

ნემსად, ოსტატი ბაშის ძაფად და გაეყარა შიგ. გაფარდა ვაგი სეხლში და დაწვა ეს ოსტატი.

წამოვიდა ვაგი და მოვიდა მამასთან. როდესაც ხემწიფე მოკვდა, ამო-  
არჩიეს ის ხემწიფედ, და იმეფა ტკბილად.

## 32. — ზღაპარი-გამოცანა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე, ჰქონდა ორი დღის მიწა. მოახენვენი ხემწიფემ მიწა და დაათესინა პური, დაიკირა თორმეტი კაცი და დაუყენა საყარაულოდ ნახნავს. ერთი კაცი შუაზე იდგა, თერთმეტი კაცი მთელი დღე უწელიდნენ, მაგრამ ვერ ეწოდნენ.

ერთხელ გაზაფხულზედ, როდესაც კარგი ჯეჯილი ამოვიდა, ნახნავში ერთი ხარი მოვიდა, დაუწყო ჯეჯილს ჰამა, სულ ერთიან მოწმინდა ორ-სამ ლუკმად. მაგრამ რაღაც განგებით ჯეჯილის შებქის შემდეგ წაიჭა და მო-  
კვდა. მკვლარ ხარს ტანი ხემწიფის მამულზედ ედო, ფეხები, კუდი და თავი-  
კი სხვის მამულზედ. მზისაგან მკვლარ ხარს სუნი აუვიდა.

სუნზედ ერთი ყორანი მოფრინდა, დააჯდა ხარის მძოვრს, ჩაქვიდა ბრკეა-  
ლი და წაიღო ზუღეში. გზაზედ მეცხვარეს ცხვრები ჰყვანდა. ყორანს აღგილი მოეწონა, დააჯდა ერთი ციკნის რქაზედ, დაიღო ხარიც და დაუწყო ჰამა. ყორანმა ხარი მთლად შეჭამა, მაგრამ მინც ბეჭი დაუვიდა.

ბეჭი კარგა ხანს ეგდო მიწაზედ. უცებ ერთხელ ქარი ამოვიარდა, მოი-  
ტაცა ეს ბეჭი და ამ მეცხვარეს თვალში-კი ჩაუგდო. მეცხვარეს სამი სიძე ჰყვანდა: ფრინველთ ხემწიფე, ნადირთ ხემწიფე და ზღვით ხემწიფე. წაივიდა მეცხვარე ფრინველთ ხემწიფესთან და შემჩივლა: არ ვიცი, თვალში რაღაც ჩამივიარდა და ლამის გამომეთხაროს, მიშველე რამეო. შეგზავნა ფრინველთ ხემწიფემ თვალში ფრინველები საძებნელად; ფრინველებმა ეძებეს, იარეს ორი კვირა, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვერ იპოვეს. გამოვიდნენ ისევ ცა-  
რიელები.

მეცხვარე ახლა ნადირთ ხემწიფესთან წავიდა, იმანაც შეგზავნა ნადირნი, მაგრამ ვერც არაფერი იმათ იპოვეს.

ბოლოს შეღონებული მეცხვარე ზღვით ხემწიფესთან წავიდა. ზღვით ხემწიფემ გახსნა ზღვები და მდინარეები და მიუშო მეცხვარის თვალში. წყლებში მეცხვარის თვალში ორი კვირა იდინეს და ბოლოს გამორიყვეს ეს ხარის ბეჭი.

დაისვენა ამის შემდეგ მეცხვარემ და თვალიც მოუჩინა. ბეჭი ერთი ზღვის ახლოს ეგდო. ერთხელ გამოიარეს იმ ბეჭის ახლოს სომეხებმა, მოეწონათ ბეჭი, იმათ მიწა ეგონათ და ააშენეს ზედ დიდი ქალაქი, დაიწყეს ტკბილად ცხოვრება. მაგრამ აი უბედურება, თურმე ბეჭზედ ხორცი დარჩენილიყო; მოვიდა მელია და დაუწყო ხერა ამ ძვალს; რამდენსაც გამოსწყედა ბეჭს,

იმდენი სომხების სახლები იქცეოდნენ. შესწუხდნენ სომხები, დაუწყეს კაცს ძებნა, რომ ვისმეს გამოეხსნა ისინი ამ განსაცდელისაგან.

ბოლოს ადგა ერთი სამი დღის ვაფი, მივიდა სომხებთან და უთხრა, სამი ტყეია მომეცით, და მე გადაგარჩინო მაგ უბედურებასაო. სომხებს გაუხარდათ, მისცეს მაშინვე სამი ტყეია. წავიდა სამი დღის ვაფი, ესროლა მელისა და მოკლა.

წამოიღეს მელია, გაატყავეს და უთხრეს ვაფს: რა მოგცეთ, რა ეგ მელია მოკალ და გადაგვარჩინო?—ნახევარი მომეცით მაგ მელიის ტყეისაო, უთხრა ვაფმა; მისცეს სიხარულით, და ნახევრისა მთელმა ქალაქმა შეიკრა ყველამ ტანისამოსი და კიდევაც დარჩათ.

ვაფმა აიღო მელიის ტყეია, შეიკრა ტყეია, მაგრამ წინა კალთები, გული და სახლები-კი დაუკლდა.

ვინ უფრო დიდი ყოფილა, ხარი, ყორანი, ციკანი, მტეხვარე, ის ძვალი, ის მელია თუ ის ვაფი?

(ის ვაფი, იტყვიან)

### 33. ღვთის გალი

იყო ორი ღარიბი ცოლ-ქმარი, ღვთის განაჩენი არაფერი არა ებადათ რა; შიშნით სული ამოპლიოდათ. წინათ მდიდრები ყოფილიყვნენ, მაგრამ გაღარიბებულიყვნენ.

შიშნითმა რა შეაწუხა, ადგა კაცი და წავიდა ღმერთის საძებნელად, უნდოდა გეითხნა, რადა მკლავ შიშნითთაო? იხრა, იხრა და ერთ მინდორზედ გავიდა. მინდორზედ ერთი წმინდა კაცი შეჰხვდა, და ჰკითხა: სად მინდობარო?—ღმერთს ვეძებო, უპასუხა გლახამ.—შენ ღმერთს მიწაზედ ვერ იპოვნე, ღმერთი ცაში არისო, უთხრა მოხუცმა. თუ რამე გინდა ღმერთისაგან, მე ავალ იქ, დამაბარე და მოგიტან ამბავსო. გლახამ უთხრა: რას ამბობ, როგორ თუ რა საქმე, მშიერი ვედეები, ან მომკლას, წაიღოს ეს თავის სიკოცხლე, და არა და მომკეს შეძლებო, რომ ვიცხოვროყო.—კარგო, უთხრა მოხუცმა, მე ავალ და შეგიტყობო.

მოხუცი ავიდა ღმერთთან და უამბო ყველაფერი ამ კაცის ამბავი. ღმერთმა უთხრა: იმ ცოლ-ქმარს დღეში დანიშნული აქვს სამი ფული და იმათ, რაც უნდა, ქანაო. მოხუცი დაბრუნდა და უამბო ყველაფერი გლახას. გლახამ სთხოვა: რაკი ეგეთი სიკეთე მიყავ, ბარემ ესეც ამისრულე, აღი ისეც და სთხოვე, გამომიგზავნოს ერთბაშით, რაც ერთ წელს მერგება, რომ ერთხელ მიინც გავძლე და მერე გინდ მოკვდე და გინდ დავრჩეო. წავიდა მოხუცი და მოუტანა თორმეტი აბაზი ფული.

გახარებული გლახა დაბრუნდა სახლში, იყიდა ორი მანეთის თბილი პური, ხორცი და ღვინო, დასხდნენ ცოლ-ქმარი და ივანშმეს კარგათ. ორი აბაზი კიდევ ჰქონდა. მფორე დღეს ადგა დილით გლახა და უხრა ცოლს:

მოდით ერთი, საყდარში წავალ, რა ხანია აღარა ვყოფილევარო.— კარგო, უთხრა ცოლმა.

ჯერ კიდევ აღრე იყო, რომ გლახა მივიდა ეკლესიაში, ჯერ მღვდელი არ მოსულყო. მოხუცი ხალხი ისხდა ეკლესიის კარზედ და ლაპარაკობდნენ სულის საცხონებელ საჭმეზე. ერთმა მოხუცმა სთქვა: ღმერთზედ გაცემული ველი არ დიკარგება, და ღმერთი ერთი ათასად მისკემს მუდამ კაცსაო.— როგორ უნდა გავცეთ ღმერთზედ ფულიო? ჰკითხეს სხვებმა.— უნდა საყდარში სანთელი ანთო, გლახებს მისკე გასაკითხი და ღარიბს შეეწიო, უპასუხა მოხუცმა. ეს გაიგონა გლახამ და სთქვა: თუ კი ღმერთი ერთს ათასად მომცემს, მოდი და ამ ორ აბაზს დაეხარჯავო. მართლაც იყიდა ერთი აბაზის სანთელი, გააჩალა შანდლებზედ. ერთი აბაზიც დაურთავა გლახებს და თვითონ მთელი წირვა მარტო ღმერთს გვედრებოდა, სხვას უფრს არავის უფლებდა.

გამოვიდა წირვა, დაბრუნდა გლახა სახლში გახარებული, რომ ღმერთი ერთს ათასად მომცემსო. იმ დამეს კიდევ ჰქონდა საკმელი, ნარჩენი სადილისა, მეორე დღეს კი შემოვილია საკმელი და ისევ კუჭი შეუჭკნა. ითმინა, ითმინა გლახამ, რომ ან ეხლა გამომიგზავნის ფულსაო და ან ეხლაო, მაგრამ ღმერთი იგვიანებდა, და შიშშილი კი თვისას შერებოდა.

გლახამ ველარ მოითმინა და წავიდა ისევ ღმერთის საქმენელად. დაუწყო ცას ყვირილი, ჯოხების სროლა: ღმერთო, ღმერთო, ან მომეცი, რაც უნდა მომცე, და ან ჩემი ფული გამომიგზავნეო. ბოლოს ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: მე ამდამ შენთან მოვალ სტუმრად, წადი სახლში და მოგიტანო. წავიდა გლახა და უთხრა ცოლს, რომ მოამზადე ვახშამი, პურები საღმე ისესხე, ამდამ კარგი სტუმარი გვეყოლებო. გლახის ცოლი წავიდა და ითხოვა ორი პური. ვისთანაც მივიდა, ყველამ უარი უთხრა: თვის დღეში თონე არ ვაგებურებიათ და როდის უნდა მოგვეყო. ბოლოს ერთ საწყალ დედაკაცთან მივიდა. ერთი ხანაბი ფქვილი საღმე ეშოვნა, გამოეცხო პურები და ამოეყარა თონის პირზე. იმისთან მივიდა და სთხოვა: ერთი კარგი სტუმარი მყავს და ორი პური მისესხეო. დედაკაცმა მისცა პურები და გაისტუმრა. იშოვეს ცოლ-ქმარმა მარილი, ცოტა შვენილი, პური და მოუმზადეს ღმერთს ვახშამი. მოვიდა ღმერთი და დასხდნენ ვახშამზედ.

ღმერთმა უთხრა გლახას: აიღე ეგ სურა და ორმოც კოკიანი ქვევრი, რა გაჭკვს, ახადე და ღვინო მოიტანეო.— რას ამბობო, უთხრა გლახამ, ეს ორმოცი წელიწადია, რაც იმაში არაფერი არ ჩამიხსამ, მეზობლები ხან ბზეს ჩაპყრიან და ხან ჩალასაო.— არა, წადიო, უთხრა ღმერთმა. ადგა გლახა, წავიდა და მივიდა ქვევრთან; მოხადა და სისხლივით წითელი ღვინო კი დაახედა. ამოიღო ცივი ნუნუა გლახამ, მოუტანა სტუმარს, ივახშმეს კარგა. როდესაც მორჩნენ ვახშამს, ღმერთი ადგა და უთხრა დედაკაცს: აიღე, აილიგე სუფრაო. აიღო გლახის ცოლმა პურები, წაიღო შესანახად, და სუფრაზედ ორი პური კიდევ იღო, ზიდა და ზიდა პურები, გაავსო ყველაფერი, რაც რამ ებადა.

გლახამ იფიქრა: ეს ამოდენა პური და ღვინო მომცა ღმერთმა და ერთ-



თი ფული კი არა მაქვსო. ღმერთმა გაიგო გლახის ფიქრი და უთხრა: წადი და, იმ დიდი ქვევრის გვერდზედ რომ ერთი ქოცოა, იქიდგან ღვინო ამოიღეო. გლახამ უთხრა: ის ცარიელია, იმაში არაფერი არა სდგაო.—წადიო, უთხრა ღმერთმა. წავიდა გლახა და ნახა, რომ იმ ქოცოდგან ამოდის წყალივით ოქრო და ვერცხლის ფული. შობრუნდა გლახა და უნდაოდა ღმერთს ფებებზედ მოხვეოდა, მაგრამ აღარსად იყო სტუმარი.

გამდიდრდა გლახა. იმისთანა მდიდარი ერთი აღარავინ იყო. მოდიოდნენ საწყლები სასესხებლად ფულსა, მაგრამ ნაგლახავარი არ ასესხებდა კო, აბლევდა მუქთად ოც-ოც და ორმოც თუმნობით. გაუვარდა სიმდიდრის სახელი და მოწყალებისა. მთელი ქალაქი იმის მადლობელი იყო.

ერთხელ ნაგლახავარი კარებზედ იჯდა. ამ დროს იმ ბერიკაცმა გამოიარა, რომელიც ვაგვზავნა ღმერთთან. ნაგლახავარი მიეგება წინ და სთხოვა, შობრძანდი ჩემთანო. ეს ბერიკაცი ღვთის წინასწარმეტყველი იყო და ყოველ დღე ღმერთს უზიდავდა ქვეყნიურ ამბებს. ნაგლახავარი დიდად გაუშასპინძლდა ბერიკაცს, მიართვა ყველაფერი სასმელი და საკმელი. როდესაც შორჩნენ პურის ქაშას, ბერიკაცმა უთხრა: რა ხანია ამ ქალაქში დაედივარ, და ჩემთვის ერთი ლუკმა პურიც არავის შოუკია, და შენ რა სიკეთე გიყავ ისეთი, რომ ასე გამომსპინძლიო? მაშინ გლახამ უთხრა, რომ მე ისა ვარ, ღმერთისაგან თორმეტი აბაზი რო ჰამომიტანეო.

ბერიკაცი გაკვირვებული წავიდა ღმერთთან. უნდაოდა ღმერთისთვის სიტყვა მოეგო და უთხრა: დალოცვილო ღმერთო, ქვეყანაზე ერთი გლახა იყო, შენგან სამ ფულზედ მეთი არა ჰქონდა დანიშნული. და ეხლა კი ისე გავიმდიდრებია, რომ მთელი ქალაქი იმისიაო. ღმერთმა უთხრა: იმ კაცმა ჩემზედ ვასცა და ის მიიღო ჩემგან და იმით გამდიდრდაო.

## 34.—სამი ქახალი

იყო სამი ქახალი, წავიდნენ გზას. იარეს და მივიდნენ ერთ სახლში, არც ევლლები ჰქონდა, არც კერი, არც კარები. დაანთეს ცეცხლი, ფებეს, ემბეს და იპოვნეს ერთი ქოთანაი, არც ძირი ჰქონდა, არც გვერდები, არც ყური და არც სარკველი. აამსეს წყლით და შემოდგეს ცეცხლზედ და წავიდნენ საძებნელად.

იარეს და ერთ ადგილს ერთი მკვდარი კურდღელი იპოვნეს. წამოიღეს და დაუწყეს ხარშვა; ფოჩი გაუვიდა, წვენი შიგ დაჩა. მერე სთქვეს: ვინც ყველაზედ კარგ ტყუილს იტყვის, იმან შეკამოს კურდღელიო.

პირველმა დაიწყო: ჩვენ ბევრი ცხვარი გყვანდა, ცხრა მთას იქით ვაძოვებდით და ბევრი მწყემსებიცა გყვანდნენო. იქიდგან მიღები იყო გამოყვანილი ჩვენ სახლში, რძე ჰამოდიოდა, კეთდებოდა, ზოგი ყველად ამოდიოდა, ზოგი ერბოდ და ზოგი ხაქოდ, და იმას ვკამდითო.



მეორემ დაიწყო: მამანემს ასი ძირი ფუტკარი ჰყვანდა, ყოველ დღე ჩამოეთვლიდით და ვიტყვამდით, ყველანი იქ იყვნენ თუ არაო. ერთ დღეს ჩამოეთვალე და მესამე საცაში ერთი ფუტკარი გვაკლდა. მაშინვე წაველ საძებნელად, ვეძებე, ვეძებე და ბოლოს ერთ მინდორზედ დავინახე, გუთანში შეგებათ და ჰხანდუნო. მაშინვე დაებრუნდი სახლში, შეეკაზე კამჭი, შეეჯექ და გავიქნეო. მიველ გუთანთან, მოვიკლე ხელი ყურზედ და უნდა წამომეყვანაო. ამ დროს მოსწყდა კისერი და თავი ხელში შემჩაო. მაშინვე ამოვიღე ნიგოზი და მოუხვი კისერზედ. კისერზედ კაკლის ხე ამოუვიდა. უშველლებელი ხე იღგა, სამ-სამი ურემი კაკალი ჩამოგვეკონდა მუდამ წელსა ერთი ყვავი შემოტყეია ამ კაკლს. ერთხელ გავაფრთხე, არ გაფრინდა, მეორეზედ დავაფრთხე, არ გაფრინდა, მესამედ ავიღე და ბელტი ვესროლე. ბელტი კაკალზე დარჩა, გადიდდა, გადიდდა და გახდა სახნავე-სათიბი, ტლაც ვხნავთ, ვთესავთ იქ და ორასი კოდი პური მოგვაქსო. გაათავა მეორემ.

— ვგ არაფერიო, დაიწყო მესამემ: მე იმას გვიპობთ, მამანემსა, როდესაც დედაჩემი შეირთო და ქორწილი გვეკონდა, იქ ვიყავ, ბევრი სტუმრები გვეყვანდნენ. სადილი კარგი მოვამზადებთ, დავსხით ხალხი, ჩამოურიგეთ პური ყველას და ნახევარზედ დაგვაკლდა. რას ვიზამდით? იმ წამს წამოვბტი, შევეკაზე ბატი, ავკილე ზედ პურით სავსე ტომრები, გადავჯექ ზედ და მოუხვი წისქვილისკენ. კარგა გზა გავიარე და უცებ ერთი მგელი გადმომიბტა. მომეწია, დააჯდა ბატს და გამომიქამა გვერდი. რას ვიზამდი, გადმოვბტი, გაუჩხიბე გვერდი ბატს წნელებით, წავიღე წისქვილში, დაფუქვი, გადავჯექ ისევ, გავაქანე სახლში, მოვხილეთ და დავაკართ პურები და, ვიდრე პირველ სადღევრძველოს დაძლევდნენ, თბილი პურები ჩამოურიგეთ. ვგრე იყო ზემი ამბავი.

ყველამ მოიწონა მესამე ქაჩლის ზღაპარი, და უფრო წვენი კურდ-ღლისა მესამე ქაჩლის დარჩა.

ქირი იქა, ლბინი აქა  
ფჭვილი იქა, ქატო იქა.

## 35.—ეშმაკის და იმის შეგირდების ამბავი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მთხოვარი; იმსა ჰყვანდა ერთი ვაგიშვილი.

შვილმა უთხრა მამის: მამი, ტყუილად შინა ვგდივარ და არაფერს ვაკეთებ, პურსაც ვქამ, თავისთეის ერთ ლუკმა პურს ძლივისა ჰშოულობ. წამიყვანე, ერთ ვცს მიმბარე, ვისწავლო რამე; რო გავიზღები, ჩემთვის ერთი ლუკმა პური ვიშოვოო. მამამაც გაუგონა ბიქს სიტყვა, წაიყვანა და მიბარა ერთ ეშმაკს იმ პირობით, რო ექვს წელს უნდა ყოფილიყო ეშმაკთან.—



ექვსი წელი რომ ვითარდებოდა, თუ მაშინ არ მოხვედოდა, შენ შეიძლება აღარ მოვ-  
ცემო, უთხრა ეშმაკმა.— კარგო, უთხრა მთხოვარმა და წაიღო შინი.  
ამ ეშმაკს თვითმეტე სხვა შეგირდი ჰყვანდა, სულ ვერც დარჩობილები,  
რო შამის ველარ ეცნო.

გავიდა ექვსი წელიწადი და გაიქცა ეშმაკთან ბერიკაციც. რომ მიუხ-  
ლოდ ამ ეშმაკის სხლს,— ერთი წყარო ჩამოდიოდა ახლო,— თურმე  
ამ დროს ამ მთხოვარის შეილი წყალზე არი. ამ ბიჭმა-კი იცნო თავის მამა,  
და მამამ-კი ვერ იცნო თავის შეილი. ბიჭმა უთხრა: მამი, მოდი ერთი, კო-  
ყების აკიდება მიშველგო. მივიდა, უშველა კოყების აკიდება. რა იცოდა, თუ  
მართლი იმის შეილი იყო. ბიჭმა უთხრა: მამი, მე შენი შეილი ვარო, და გა-  
დაცხვივინენ ერთმანეთს. შეილმა უთხრა: შენ მე ვერ მიცნობ, და აი ნიშ-  
ნად თითზედ წითელ ბაწარს შევიბამო.

რო მივიდა ბერიკაცი, ეშმაკმა დაჰპატიოდა და დააღვიძა ღვიწრო, აქამა  
პური. მერე დაუძახა შეგირდებს და უთხრა: მწყროვზე დადგითო. დადგნენ  
მწყროვად. ბერიკაცმა აუბრა და ვერ იცნო, ჩამოუბრა და იცნო თავის  
შეილი, გამოიყვანა და უთხრა ეშმაკს: ეს არის ჩემი შეილიო.— მართალია,  
ეგ არიო.— არ დამილოცე მინცაო?— ღმერთმა ისე გიკოცხლოს, როგორც  
შენ გინდოდესო.

წამოიყვანა, გზაზე ბიჭი ერთ ბარდს უკან გადახტა, და გამოვარდა  
ოქროს კვერცხი, და გადმოხტა ბიჭი— ემ, შეილო, შენ იღბალი არა გქო-  
ნია, ტყუილად წამოგიყვანეო, სთქვა მამამ.— არა უშავს რაო, უთხრა ბიჭმა.

კიდევ გაიარეს. ახლა მეორეში გადახტა. გამოვარდა ოქროს ქათამი,  
დაურბის ბერი-კაცი, მაგრა ვერ დაიჭირა. გადმოხტა ბიჭი ისევ ბარდიდგან.  
მამამ კიდევ ისე უთხრა შეილს: იღბალი არა გქონია, ტყუილად წამოგიყვა-  
ნეო.

წაივინდნენ კიდევ გზაზე. ახლა მესამე ბარდში გადახტა, გამოვარდა კუ-  
რდღელი ოქროსი. გამოუდგა ბერიკაცი კურდღელს და ისევ ბარდში შეუ-  
ვარდა და გადმოხტა ბიჭი.— შეილო, იღბალი არა გაქვს, ისევ იქ წადიო,  
უთხრა მამამ.— არა, მამავ, ის ოქროს კვერცხიც მე ვიყავ, ოქროს ქათამიც  
და ოქროს კურდღელიცაო.

მივიდნენ შინ, ბიჭმა უთხრა მამას: მამი, ოქროს კვერცხად ვიქცევი,  
წამიღე და გამოვიდო. ბიჭი იქცა ოქროს კვერცხად. წაიღო და გაყიდა.

შინ რომ მოვიდა, ბიჭი ისევ შინ დაუხვდა მამას. ბებერს კაცს ძალიან  
გაუბარდა. ახლა ოქროს ქათამი იქცა, და გაყიდა მამამ. მერე კურდღლად  
იქცა, წაიყვანა და გაყიდა; რამდენჯერაც გაჰყიდა, იმდენი სახლში უხე-  
დებოდა შეილი და ამდიდრებდა მამას.

ახლა კიდევ იქცა ოქროს რაშიად და უთხრა: წამიყვანე და გამოვიდე,  
ავშარა კი არ გამაძანო თანაო, რამდენიც უნდა ფული გაძლიონო. წავი-  
და ეს წამთხოვარაი კაცი, შეჯდა რაშხედ. რაში გაფრინდა და მივიდა ერთ  
სახემწიფოში. იქ თურმე ეშმაკია. გაიგო, რომ ჩემი წამშვირდალი ასეთ-ასეთ  
საქმეებს ვწევო. მივიდა იმ კაცთან და უთხრა: რა მოვცე მაგ რაშიაო.— ფუ-  
ლიო, უთხრა ბერიკაცმა. მისცა ათისი თუმანი.— მოიტა, ეგ ავშარაც მე

მოპყიდე, მაგაში კიდევ ოთხას თუმანს მოგცემო. მისცა ამ ბერიკაცმა ეს აფშარა იმასა, ისევ შინ დამიბედებო, მაგრამ შინ აღარ დაუბედა.

ეშმაკმა კი აკიდა მარილის ქვები, შეჯდა ზედ და წაეიდა შინ. როცა მივიდა, ერთ კვირას სულ მარილზედ ება, არც წყალს ასმევდნენ და არც თივის აქმევდნენ. ერთხელ ეშმაკი დაბატივებული იყო სხეაგან. ეშმაკის დედამ აუშო რაში და წაიყვანა წყალზე. რო მიყვანა, რაში არც სეაშს და არც ბრუნდება.

გამოიარა ერთმა მთხოვარმა და უთხრა: დედი, აფშარა წამოპყარე და დაპლევს წყალსაო. წამოპყარა აფშარა, რაში იქცა მიშინოდ, იმის ოსტატი ქორად და გამოუდგა. მიშინო იქცა ვაშლით, ქორი დანათ; ვაშლი დადეს სუფრაზედ და დანაც იქ დადევს, და როცა უნდა გაეკრათ, ვაშლი იქცა ნემსად, დანა ძაფად, ააგეს ძაფი ნემსზედ, ზაუვარდათ ცეცხლში, ნემსი გაძერა იქით ნაპირას და დაწვა თივის ოსტატი. იქცა ისევ კაცად და უფრო გაამდიდრა თივის შამა.

ქირი იქა, ლხინი იქა,  
ქატო იქა, ფქვილი იქა.

## 36.—პური და სენა-თესვა

იყო ერთი ძალიან მდიდარი სოფლაგარი. მიდის გზას და მნახავს, რომ ერთი გლეხიკაცი ზნავს. საღამოს არ მისცემს. ისევ გუთნისდგა ეტყვის. —კაცო, ეტყვის სოფლაგარი, შე საცოდავო, რას ებრძვი მაგ მიწას და წელს იწყებტა. ზო ჰხედაე, არცა ვნაე, არცა ვთესაე, მაგრამ არც პური მაკლია და ხარჩოც უთვალაეი მაქვსო. არაფერს ეტყვის გუთნისდგა, გასცლება სოფლაგარი და წაეა თივის გზაზედ.

ჩამოვა რამდენიმე წელიწადი. დადგება საშინელი შიმშილობა მოუსაელოობისაგან: აღარსად არის პური სასყიდელი. სოფლაგარსაც გაუთავდა პური. მშინ კოლ-შვილსაც და თვითონაც. ადგება, წაიღებს ბევრ ფულს და წაეა პურის სასყიდლად. იელის, იელის და აეი იმ კაცს მიადგება კარზედ. სთხოვს, უნდა პური მოპყიდოეო.—რამდენიც გნებავს, მიირთვიო, ეტყვის გლეხიკაცი.—ერთი ოცი კოდი ამიწყე და რასაც მთხოვ, მოგცემო. შეაძლია ფული, მაგრამ გლეხმა არ დაუპირა, მე ფული არ მინდაო.—მაშ რა მოგცეო? ჰკითხავს სოფლაგარი.—შენ კოლს თუ მომცემ, ეტყვის გლეხიკაცი, მოგცემ, თუ არა და—არაო.

დაფიქრდება სოფლები სოფლაგარი, იფიქრებს, იფიქრებს და მერე ეტყვის: კოლი-კი არა მყავს, მაგრამ შამიდა-კი მყავს და, თუ გინდა, იმას მოგცემო. იცრუეა სოფლაგარმა და კოლი შამიდა გახადა.—კარგო, უთხრა გლეხმა, ავიყვანო. აუწყო, რამდენსაც წაიღებდა. მოუყვანა კოლი სოფლებმა.

ეს გლეხიკაცი ისე ინახავს ამ სოშის კოლს, როგორც თივის საკუ-



თარ შვილსა და დასა: კარგს აკმევს, კარგს ასმევს, კარგს აცმევს. ჰყავს ცალკე მოსვენებით სუფთად.

გაეიდა რამდენიმე ხანი, ერთი თუ ორი, წელი, არის სოცდაგარი სახლში და კედლებს შესტკერის, გრძნობს გულში, რომ ამ მდიდრულათ მორთულ სახლში, ამ ოქროთ სავსე სკივრებთან ერთი ვილაც აკლია. შემოგყრება გულს, დაპნანდება თავისი ცოლი და შერაცხვება.—რა ოხრად მინდა ამოდონა ფული, ან პური რად მინდა, ვის ვაჭამო, თუკი ზემო ცოლი აქ არ იქნებაო. ადგება მაშინვე, ჩაიცვამს, მოირთვის, წაიღებს უთვალავ ოქროს და ფულს, გასწევს ცოლის გამოსასყიდლად. მიეა იმ გლეხთან, მოეგებებიან. შეიპატოებენ და გაუმასპინძლდებიან მშვენიერთათა, გაშლიან სუფრას, აიღებს სოცდაგარი ფაფუკ თეთრ პურსა და ეტყვის ლექსად:

პურო, ზემო სულო და გულო,  
ცოლი მაშიდად გამიბდა,  
ვაჰმე, სულო დატანჯულო!!!

მისცა გლეხმა სოცდაგარს ცოლი. როგორ გაეხარდა სოცდაგარს, როცა თავისი ცოლი მშვენიერად შენახული და გაუუპატიურებელი ნაბა. შესწირა გულითადი მადლობა გლეხს და ამის იქით ზენა და თესვის პატოვის მცემელი შეიქნა.

## 97—სოცდაგრის შვილი, თხ ეთმეტ წელიწადს რომ ბერად იყო

იყო ერთი მდიდარი სოცდაგარი, ჰყვანდა ერთი ვაგიშვილი. მოკვდა სოცდაგარი და თავისი სარჩო შვილს დაუტოვა. შვილმა ფიქრი დაიწყო: მა-მაზემი მოკვდა, თან არაფერი წაიღო, ყველაფერი აქ დარჩა; მაშ იმისთანა რამე უნდა ვქნა, რომ თან გამყვესო; სიმდიდრე მიწიერი ყოფილიაო. ადგა, გაეიდა ყოველივე, რაც ებადა, გასცა გლახაკებზედ და წავიდა უდაბნო-ში სალოცავად. ერთ უვალ და უდაბურ ალიგას დასაბლდა, არის იქა, არა-ფერს ქვეყანაზედ არა ფიქრობს, მხოლოდ ლოკულობს და შარბულობს. ამ ყოფით თხუთმეტი წელიწადი გაატარა. ერთ დღეს ზის ჩდილში და წყარო-სკენ იცქირება. უცებ პენებით წყაროზედ ერთი ცხენოსანი მგზაფერი მო-ვიდა. დაჯდა, დალია წყალი, ამოიღო მერე და დაიწყო ფულების თელა. მერე უცებ წამოხტა, შეჯდა ცხენზედ და მოკურცხლი. ფულიანი ქისა იქ დარჩა. გამოვიდა ხანი, ახლა მეორე მგზაფერი მოვიდა ქვეითად, დალია წყა-ლი, დაინახა ქისა, დააელო ზელი და, თუ ერთ გზაზედ უნდა წასულიყო, მეორეზედ გადაუხვია და ვაქტრა. მეუდაბნოე კი ზის და უკვირს. გამოვიდა ცოტა ხანი, ახლა მესამე კაცი მოვიდა, დალაღული, დაოსებული, ჰამოგლე-ჯილი, ჩამოფლეთილი. ამოიღო ხმელი პური, დაასველა წყალში, დაჯდა, და-

ინერა პირ-ჯვარი და დაუწყო პუტს ქამა. ცოტახნის უკან ცხენის ფრენით მოვარდა წყაროზედ ის კაცი, რომელსაც ქისა დაჩა. დაუწყო საყოდაც კაცს დავი-დაჩაბა: მომეცი ზემი ქისა, რა იილეო. საწყალი კაცი ეფიციებოდა, არაფერი მიწახიო. წამოუწო მგზავრმა ხმალი, მოსჭრა თავი, გააბრუნა ცხენი და გასწია.

— აქაც ცოდვა ვნახეო, სიტყვა მეუდაბნოემ, ადგა, დაავდო ის ადგილი და წავიდა გზას. ბევრი იარა. თუ ცოტა იარა, შემოაშვედა გზაზედ უბრალოდ ჩაცმული ქრისტე-ღმერთი. ერთმანეთს ამბავი ჰკითხეს. მეუდაბნოემ რა იყო და, ვინ იყო იმისი ამბანავი. ქრისტე-ღმერთმა ჰკითხა მეუდაბნოეს ამბავი, მეუდაბნოემაც თავისი თავგადასავალი უამბო. მერე წავიდნენ და გზაზედ საში კაცი მოხოვარი შემოაშვედათ. ისინიც გაიამბანავეს და გასწიეს.

ჩამოიარეს ერთ ადგილას. ბევრი ქვა გყარა. ქრისტე-ღმერთმა ჰკითხა თავის ამბანავებს, სად მისდინართ? რა გინდათ? არაფერს ინატრებთო? — ნეტავი ეს რიყე ცხვრად იქცეს, მე პატრონად და უკან მადღენაო, ინატრა ერთმა. იქცა ქვები ცხვრებად, კაცი მწყვესად და გაჰყვა თანა. — ღმერთი არ დაივიწყოეო, უთხრა ქრისტე-ღმერთმა.

დანარჩენები წავიდნენ. ერთ ქალასთან მოვიდნენ. ქრისტე-ღმერთმა უთხრა: კიდევ არაინ ინატრებთ რასმეო? — მე ვინატრებ, ეს ქალი ვენახად აქცია და მე იმის პატრონადაო, სიტყვა მფორემ. იქცა ქალა ვენახად და კაცი პატრონად.

— ღმერთი არ დაივიწყოეო. უთხრა ქრისტე-ღმერთმა.

მერე შესამესა ჰკითხა: შენ რაღას ინატრებო? — მე არაფერს ვინატრებ, ალალი დედის ძუტუ ნაწოენი ქალი მომცა ცოლადაო. — აბა ჰქარა წავიდეთო, უთხრა ქრისტე-ღმერთმა, თორემ მერე გვიან იქნებაო. მაშინვე გასწიეს და მივიდნენ იმ ქალის მიმასთან. ნახეს, საქორწილოდ მზად არიან, მფეფს ლა ელიან, მოვიდეს, ჯვარი დასწერონ. მაშინვე წადგება ქრისტე-ღმერთი და ქალის მიმას ეტყვის, რომ შენ ქალზედ ამ კაცს უნდა დაწვერო ჯვარიო. — აბა როგორ შეიძლებაო, ეტყვის მამა, ქალი და სასიძო მზად არიან, ჯვარი უნდა დაიწერონო მაგრამ რაკი ღვთის ბრძანება იყო, დაიყოლია მამა, ისე რომ უნდა ქალს ენახა და რომელიც მოეწონებოდა, იმას გაჰყოლოდა. წიყვანეს ჩამოგლეჯილი კაცი და დააყენეს, მოვიდა სასიძოც. ერთი იმისი ჩაცმულობა და შეხედულობა ღირდა ერთ ვაეკაცად. გამოიყვანეს ქალი, უნდა აერჩია: ეს მშვენიერი მორათული ვაეკაცი და ეს ჩამოგლეჯილი. მაგრამ რაკი ბედის წერა იყო, ქალმა ჩამოგლეჯილი ირჩია. გადიწერეს მაშინვე ჯვარი. — ეგ ხომ შენც გულის წადილი ავისრულდაო, უთხრა ქრისტე-ღმერთმა, და ღმერთი-კი არ დაივიწყოეო.

მეუდაბნოე და ქრისტე-ღმერთი კი თავის გზას წავიდნენ. იარეს, ბევრი იარეს, თუ ცოტა, დაუღამდათ, ჩამოიარეს სოფელში და ერთ საწყალ კაცს ესტუმრნენ. საწყალმა კაცმა, რაც რამ კი ებადა, მოუტანა, მაგრამ რაც არა ჰქონდა, რას მოუტანდა. რაც ებადა კი, არაფერი დაიშურა. იმ ღამეს მეუდაბნოემ და ქრისტე-ღმერთმა იქ გაათიეს. საწყალ კაცს ერთი აზარტეში ჰქონდა; ის წასვლის დროს მოიპარა ქრისტე-ღმერთმა და წაიღო.



მეორე ლამეს ერთ ძალიან მდიდარ კაცს ეწვივნენ,—დაგვაყენო, სთხოვეს. მდიდარმა საქათმეში მისთავაზა ბინა. იმ ლამეს საქათმეში გაითქვს შშიერ-მწყურვალეობა. მეორე დღეს ადგა ქრისტე-ღმერთი, დიდი მადლობა გადუხადა და ის აზარფეში იმათ აჩუქა, რადგან კარგათ დაგვიხვედითო.

იქიღამაც წამოვიდნენ და მოდიან. მდიდარი კაცი მომკვდარა, და გზაზედ მიაქეთ, მისდევს იმდენი ხალხი უკან. ქრისტე-ღმერთმაც ტირილა დაიწყო. მეუღაბნოე უცქერის და ჰგანია, ნამდვილად შეშბრალდა, რომ ასე უდროოდ მომკვდარა ეგ მდიდარიო. გასცდნენ ამასაც და წავიდნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ნახეს, გზაზედ ერთი საწყალი კაცი მიაქვთ დასამარბავეთ და რამდენიმე კაცი მისდევს კუბოს აწვევი. ქრისტემ იმის დანახვაზედ ერთი კარგა გაღიზიანება. მეუღაბნოე შესცქერის და უკვირს, ეს კაცი რას შერებო.

ამასაც გამოსცდნენ და წამოვიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მოვიდნენ იმ ადგილას, სადაც ცხვრით გამდიდრებული კაცი იდგა.—არ დაგვაყენებთო, ჰკითხა ქრისტე-ღმერთმა.—გასწით, დაიკარგენით მანდღემ, თორემ პანღურით დაგხეთქავთ, ჩემი ცხვრებისთვისაც არა მაქვს ადგილი, თქვენ სად უნდა დაგაყენოთო. გამობრუნდა ქრისტე-ღმერთი, გადასწერა პირჯვარი, და იმოღენა ცხვარი და სახლ-იარი ისევ რიყედ იქცა.

გამობრუნდა იქიდან ქრისტე-ღმერთი და გაკვირვებული მეუღაბნოე დახედე ვლახა ამპარტავეანს, ღმერთს აღარ მოიგონებს, თუ ერთი ლუკმა იშოვავო, ფიქრობდა უღაბნოელი. მერე ჰკითხა ქრისტე-ღმერთს: ის რათა ჰქენ: საწყალმა კაცმა დაგვაყენა, რაცა ჰქონდა, ჩვენ გვასვა-გვაქამა, შენ აზარფეში მოჰპარეო? მდიდარმა საქათმეში შეგვერეკა, და სამაგიეროდ შენ იმათ აზარფეში უთავაზუო?—ეგ იმიტომო, უპასუხა ქრისტე-ღმერთმა, იმ საწყალ ოჯახში ერთი ცოდვა ტრიალებდა, ის ცოდვა იქიდგან წამოვიდე და მდიდარს მიუტანეო; მდიდრის ოჯახში ერთი მადლი ტრიალებდა, და ის მადლი იმ საწყალი კაცის ოჯახს შევძღვენიო.

—საწყალი კაცი რო მომკვდარიყო, მიჰქონდათ, და შენ სიცილი დაიწყე, ის რათა ჰქენო: მდიდარი მიჰქონდათ დიდის ამბით, და შენ ტირილი დაიწყო, ჰკითხა მეუღაბნოემ.—ეგ იმიტომო, უპასუხა ქრისტე-ღმერთმა, რომ ღარიბის სული ანგელოზებს მიჰყვანდათ სამოთხეში და მე სიხარულით ვეღარ მოვიტმინე და გავიციეო. იმ მდიდრის სულს ეშმაკები ეწეოდნენ, ჯოჯოხეთში მიჰქონდათ, ქრისტიანი სული დამეკარგა და ტირილის მეტე რაღა მმართებდაო.

იარეს, იარეს და, ვენახად რო ქალა ინატრა და აუსრულდა, იმასთან მივიდნენ. რთველი ჰქონდა.—ყურძენი გამოგვიტანეთ, მგზაფრები ვართ, დავიღალეთ, პირის გასველება გვინდაო, დაუბახა ქრისტე-ღმერთმა. ბიქებმა პატრონს მოახსენეს.—წავიდნენ, დაიკარგნენ მანდღემ, თორემ თუ გამოველ, კაი ყურძენს მივცემო, დაუყვია ვენახის პატრონმა. რა იქნებოდა, გამობრუნდნენ მეუღაბნოე და ქრისტე-ღმერთი. გადასწერა ჯვარი ქრისტემ, და ის იმოღენა ვენახი ისევ ქალად იქცა.—ებლა ხო გაძღება შენი თვალი, ძუნწო გლახაკო.

მოვიდნენ იმ კაცთან, რომელმაც ინატრა ალილის დედის ძეგზე წაწოვნი ცოლი. კაცი შინ არ იყო. ცოლს შეეკითხნენ, არ შეიძლება დავისვენოთ და პური ეჭამოთო?—როგორ არა, მობრძანდით გენაცვალეთ, მობრძანდითო, მოგვბაცოლი. მაშინვე შეიყვანა სახლში, გაუშალა ორბოა ხალიჩები და დასვა ზედა. სუფრაც მოართვა, თან-კი გაიჭკა და,—ერთი ძალიან გასუქებული დეკეული ჰყვანდათ, იმის ქმარს ძალიან უყვარდა,—დააკვლინა და დაუწყო მზადება ეახშამსა.

როცა ხორცი მოიხარშა, სუფრა გააახლეს, დედამ უთხრა თავის ერთ ეახს,—იმ კაცს ორი ერთმანეთზე უკეთესი ვაჟი ჰყვანდა,—შედი, შეილო, ლენო ამოიღე და გამოიტანეო. შევიდა ის ბიჭი და შიგ ქვეერში-კი ჩაეარდა და ჩაიხარხო. იმან რა დაიგვიანა, ახლა მეორე შეგზავნა, მეორეც ჩაეარდა და ჩაიხარხო. ისინი რა არ მოვიდნენ, დედა ადგა და თვითონ შევიდა; ის თქვენმა მტერმა ნახოს, რაც იმანა ნახა: ოროლი ვაჟი შეილი ქვეერში ჩამხრჩველან!

მოსწყდა წელი და გული, მაგრამ ერთი სამღურაეის სიტყვაც არ უთქვამს. ამოილო ლენო, შეიმავრა გული და ღიმილით მოართვა სტუმრებსა. ზოდიში მოიხადა, თქვენ შიირთვით, გენაცვალეთ, და მეც ამ საათში გიახლებით, ცოტა საქმე მაქვს მარანშიო. მობრუნდა, შევიდა მარანში, და სიცილით კი პოეგებნენ თავისი ორივე შეილი. გაშალა ხელები და ღმერთს მიდლობა შესწირა საწყალმა დედამა.

ამ დროს ქმარიც მოვიდა. მიეგება წინ ცოლი და უთხრა: მომკალ, გენაცვალე, მოკალ, შენი საყვარელი კვებულა დეკალ, სტუმრები მოგვივიდნენო. მოვიდა კაცი, ნახა, იცნო თავის ამხანაგები.—შენი ჭირიმე, ჩემო ცოლო, რომ უჩემობა არ შეაშინეინე ჩემ სტუმრებსაო. მოგხიენენ ნაამხანაგრები ერთმანეთს და გადაპოცნეს. დასხდნენ და უკეთესი დროება გაატარეს.

როცა იყო და იჭადამ წამოვიდნენ, ქრისტემ ჰკითხა მეუღაბნოეს, შენ რაღას ინატრებო. მე სხვას არაფერს ეინატრებ, ჩემი სული მარად შენთან იყოსო.—ამინო, უთხრა ქრისტემ, და ორივენი გაჰქრნენ სამოთხისაკენ.

## 38.—ქურდი და თული

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ქურდი და ერთი თული. ერთი ძალიან ლამაზი ქალი იყო, ორივეს უნდოდა იმისი შერთვა, მაგრამ არც ერთმანეთის წყენება უნდოდათ; ბოლოსა სთქვეს: მოდი, ნათქვამია, ქუდი დადე და სამართალი ისე ჰქენო, რომელმაც კი ბიჭობა ქნას, ჭალი იმას დარჩესო; წაეიღეთო.—ძალიან კარგი იქნებაო.

გავიდნენ საქარავნო გზაზედ. თულმა უთხრა ჭურდსა: აბა დადექ და უფრო დამიგდე, რა ბიჭობასა ვიჭო. შემოჰკრა ცხენს, დააოთხა. წინ თორამეტნი ურები მიდიოდა მეურმეებით, დართული, დაბარგული-დადებული. გა-



დუღა ურმებს წინ, შეაყენა წინა მურმის ხარები და დაიყვირა: ამ საათში ჩამოდით ურმებიდგან, გაიხადეთ, რაც გაცეით; თვითონ გამოუშვა ხარი და კამეჩი. მურმეებსაც რა მეთი ღონე ჰქონდათ: ოღონდ წუღავებაც, და ყველაფერი შენი სანაცვლო იყოსო. თავმოწონებულმა თულმა ჩამოუარა ქურდს და დაუძახა: მოდი, ნადავლი წაიღეო. როცა ქურდიც მოვიდა, თულმა ჰკითხა: აბა, ბიჭო, რას იტყვი, კი ბიჭობა ეჭენ თუ არა,— თორმეტი მურმე და ურემი გავტარეო. ქურდი რაღას ეტყოდა, ჰოს მეთსა: მართალი ხარ, კი ბიჭობა ჰქენო. ქალი შენ გერგება, თუ მეც სამაგიერო არა ეჭენ რამეო.

მოდინ თავმოწონებული თული და დაფიქრებული ქურდი.—რას იზამს ამისთანა ბიჭობას ეს ქურდი, როგორც მე ეჭენო, ჰფიქრობს გულში თული, ეხლა ის ქალი უცილოდ ჩემია და ჩემო. ქურდიც ცუდად არა ფიქრობდა. გზაზედ ისიც სხვა-და-სხვა აზრებს აწყობდა.—აბა თულო, შენ ხომ ეგ ბიჭობა ჰქენ, და თუ მეც სამაგიერო ვერა ეჭენ, უნდა შენ დაგრჩეს ქალიო. წამოდი, წამომყე, სადაც მე წაიღეო, უთხრა ქურდმა.

ერთი ხემწიფე ბრძანდებოდა, დღესა და ღამეს სულ სიამოვნებაში ატარებდა. როცა ქვიფის დრო იყო, ხომ ჭეიფობდა და, როცა ძილის დრო მოუვიდოდა, ნაზირ-ვეზირებს დაიყენებდა გვერდს, არაკებსა და ანდაზებს ილაპარაკებდა. ქურდმა მოიყვანა თული ხემწიფის სახლთან, ცხრა კლიტული კარები გააღო, შეიპარა შიგ, შეაპარა თულიცა, და ორივენი ხემწიფის ტახტ ქვეშ შეძვრნენ და იქიდან უკრს უგდებდნენ. კარგა ხანი გავიდა; ხემწიფეს თვლები დაუწყო, ვეზირსაც ძილი მოეკიდა; რო არ დამეძინოსო, ვეზირმა კევი ჩაიღო პირში და იმასა ჰღებდა, თან ძილი ერგოდა და თვლებს ჰხუჯავდა. გამოძვრა ქურდი, ნელ-ნელა მიეპარა და ვეზირს პირში ცალი წვერი ძაფისა ჩაუგდო. ცალი წვერი ხელში ეჭირა ქურდსა. ვეზირმა ვერაფერი გაიგო და ძაფი კევი ჩააღებო. გამოსწია ქურდმა ძაფს ნელა-ნელა, გამოსწია და გამოაცალა პირიდან კევი. რაკი პირში კევი აღარ ედო, ვეზირს დაეძინა. იქვე ტახტზე გაიშხაართა. წამოხტა ქურდი და დაჯდა იმის ადგილას. რაკი ზღაპრის თქმა შესწყდა, ხემწიფემ თვალეზი გამოაქყიტა.—რად შესწყვიტე, რატომ არ მიამბობო.—ამ საათში მოგახსენებ, დიდებულო ხემწიფეო, მოახსენა ქურდმა, თითქო ვეზირი იყოსო.—თქვი, რაღას ელიო, უბრძანა ხემწიფემ. ქურდმა დაიწყო:

„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი თული და ერთი ქურდი, იმათ ორივეს ერთი ქალი უნდოდათ. წაიღნენ თავის საცდელად: რომელიც კი ბიჭობას იქს, იმას უნდა დარჩესო. თული წავიდა, დახვედა გზაში და თორმეტი ურემი და კაცი დაცარცვა, ხარი და კამეჩი გამოიარეცა.

ქურდი კიდე აღვა, ერთი თქვენსავით დიდებული ხემწიფე ბრძანდებოდა, ის თულიც თან წამოიყვანა, და იმ ხემწიფის სახლში შეძვრნენ და ხემწიფის ტახტ ქვეშ დაიმაღნენ.—აბა, დიდებულო ხემწიფე, ჩვენ-კი ვინ შემოგვეპარება!—ხემწიფეს ჩვეულებადი ჰქონდა, ძილის დროს არაკებს ათქმევინებდა ხოლმე ვეზირსა. იმ დროს ვეზირს ძილი მოეკიდა, როცა ეს ქურდი



ამ ტახტ ქვეშ იჯდა, პირში კვეცი ჩაიდო, უფრო აღარ დამეძინებო. ქურდი მიეპარა, ძაფი ჩაუღო ამ ვეზირს პირში, გამოსწია მერე, კვეცი გამოაცალა, ვეზირს იქვე დაეძინა, თვითონ დიუჯდა ხემწიფეს და არაკების შობა დაუწყუო, თავის თავგადასავალი უაშბო. ამ ლაპარაკში ხემწიფეს დაეძინა, აღგა ეს ქურდი, იმ ხემწიფეს ოქროს ინდაურები ჰყავდა, დაიპარა და წამოვიდაო.

რას მიბრძანებ, დიდებულო ხემწიფე, რომელს ერგება ის ქალი, იმ თულს, თორმეტი კაცი და ურმები რომ გაკარცვა საქარავანო გზაზედ, თუ იმ ქურდსაო?

— იმ ქურდს ერგებო, უბრძანა ხემწიფემ.

მართლაც ამ ლაპარაკში ხემწიფეს დაეძინა. აღგა ქურდი, მოიპარა ხემწიფის ოქროს ინდაურები, გამოაძვრინა თულაც, გამოაპარა და უთხრა: ხო გაიგონე, ხემწიფემ რაც ბრძანა, ქალი ვისაც უნდა ერგოს, ესლი ნულარაფერს დამემღურები, ხემო ძმავო!

გათენდა მეორე დღე, მოიკითხეს ხემწიფიანთ ოქროს ინდაურები, პირს კატა უკათ! ისეთი ხალხნი იყენენ ქურდი და თული.

ჭირი იქა, ღზინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 39. ხემწიფისა, იმისი სამი ქალისა და გაქვავებული ქალაქისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,

იყო შაშვი მგალობელი,

ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა,

ღმერთი მაღალი, კაცი დაბალი.

იყო ერთი დიდებული ხემწიფე. ღმერთს ძე არ მიეცა, ძალიან ნადვლობდა, ქალები-კი სამი ჰყვანდა, სამივე მზეთ-უნახავი. ვაჟობას ქალები რას გაუწეიდნენ. საწყალი დარდობდა ხოლმე. ხემწიფე ძალიან კარგი მზედარი და მეომარი იყო და შეილსაც ისეთსა ნატრობდა. ერთხელ მოინდომა თავის ქალებს გამოცდა, ენახოთ, რომელსა აქვს მეფობის უნარი, ჩემ შემდეგ ჰყვანას რომელი უბატრონებსო.

უთხრა თავის ქალებს: შეილემო, ჩვენი ქალაქიდგან გასაველ გზაში ერთი კაცი სდგას, გამვლელს არ უშვებს, და ამა რომელს შევიძლიანთ იმის შეებრძოლოთ და გასცდითო. ქალები მაშინვე საშხადისს შეუდგნენ.

აღგა უფროსი ქალი, შეკაზმა ცხენი, აისხა იარაღი, შეილესა და გასწია ქალაქს გარედ. სანამ ქალი გავა ქალაქიდგან, ხემწიფემ გაიხიდა სახემწიფო

ტანისამოსი, შეჯდა ცხენზედ და წინ მოასწრო თავის ქალს. დაუდგა წინ და აღარ უშეებს. ქალი რას იცნობს, თუ მამა არის.—გამიშვიო, ეუბნება.—არ გაგიშვიებო, უბასუბებს მამა. ქალმა გაიძრო ხმალი და შეუტია. შემოუტია ხემწიფემაც და ერთ წამში თავის ქალი ცხენიდან გადმოაგდო. ქალი რო გადმოვიარდა, გადმოხტა ხემწიფეც და სანქაროდ მიჰვარდა თავის ქალსა, —არ შეგეშინდეს, შეილო, მე ვარ, მამა შენიო; ნუ გეშინიან, ადგე, წავიდეთო. ააყენა ქალი და წამოიყვანა შინა. თან უთხრა, რომ არავისთვის არ გაეშვილა ეს შემთხვევა. შემოეხვივნენ დები უფროს დას, დაუწყეს კითხვა: რა ჰქენ, ვერ გაუხველ, ის ვილაკ კაცი სდგასო?—ვერაო, უბასუბა უფროსმა დამა, მაშინვე ცხენიდან გადმოაგდო, კანაღამ მომკლავო.

მეორე დღეს ჯერით მეორე, შუალა, ქალი უნდა წასულიყო. გათნდა. შეეკაზა ცხენი, შეილესა იარაღით და გასწია. რას გაუვა, ეხლავე ეტყობა, რომ შინით კანკალეებს, ჩაიცვა ხამწიფემაც სანქაროდ, შეიხვია პირი, შემოიკრა იარაღები და გასწია თავის ქალის დასახვედრად.

ჩადგა ხემწიფე და ელის თავის ქალს. გამოჩნდა ქალიც. ხემწიფე დაუდგა წინ, გადულობა გზა.—ჩამოდექ, გზა მომეც, თორემ გაგკერ შუაზედ, შეუტია ქალმა, გაიძრო ხანჯალი და გააჭანა ცხენი. მაგრამ ხემწიფემ სულ ადვილათ დასძლია შეშინებული ქალი. გადმოვიარდა და გული წაუვიდა. მიჰვარდა მაშინვე მამა, მოეხვია და დაუწყო მობრუნება.—ნუ გეშინიან, შეილო, მამა შენი ვარ, არ შეგეშინდეს, ადგე, წავიდეთო. ადგა ქალი, შეჯდა ცხენზედ და გამოსწიეს.

გაიგო უმცროსმა დამ, რომ უფროსი დები შერცხვენილები დაბრუნდნენ, გზიდან ვერ მოიკალეს, ვილაკ კაცია, და ვერ გაიარეს, გული მოუვიდა. რა იცის იმან, თუ ის კაცი მამა არის. მამასაც ის უნდა, რომ ისეთი ქალი გამოადგეს რომელიმე, რომ მამას აჯობავ.

ადგება უმცროსი ქალი, ჩაიცვას ვაჟურ ტანისამოსს, შემოიკრავს ხმალს, დაიკერს ხელში შუბს, შეჯდება ცხენზედ და გასწიეს. დანიშნულ ალაგას დახვედბა მამა და გადულობავს გზას.—რო მოდიხარ, იცი, რომ გაივლი? გაგიშვებ ახლა, რომ მაგრე ამაყად მოდიხარ, გკითხება ქალსა.—ემა გზიდან ჩამომეცალე, თორემ ხო მხედავ ამ შუბს, ეხლავე ზედ წამოგაგებ ბუზიეთაო, შეუტია ქალმა. გადუდგა წინ მამა. იძალავა ქალმა და გაიარა გზაზედ. ჩამოეცალა გზიდან მამა და გაუშვა.—წადი, სადამდეც გზამ მიგიყვანოსო, მიაქაბა ქალსა, ღმერთმა მშვიდობა მოგცესო.

ქალი როცა სახლიდან წამოვიდა, თავის დებს ერთი დანა დაუგდო, მალლა დადო: გაშინჯეთ ხოლმე, ჩემო დებო, თუ სისხლიანი იყოს, წამოღლით ჩემ საძებნელათ, იცოდეთ, მიქარს რაზე; თუ არ იყოს სისხლიანი, და ჩემთვის ნურაფერს ინაღვლებთ, მშვიდობით მიგულეთო.

წავიდა ქალი, რაკი ამ კაცს გაუვიდა. და მიდის გზასა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, დაიდალა, მოშვიდა, მოსწყურდა, დასვენება მოუწდა. გზაზედ ერთი საესე ვენახი ნახა, შევიდა, დაკრიფა ყურძენი, რაც უნდოდა, ქამა, რაც არა—ზოგი მარჯვნივ უბეში ჩაიწყო, ზოგი მარცხნივ, ზოგი წინ, ზოგი უკან. არ გამოსულა ვენახიდან, რომ ერთი ლანძღვა და გა-

ერობა მოესმა. შეხვდა, ერთი კაცი მორბის, ხელში ჯოხი უჭირავს და პირდაპირ ქალისკენ მოდის. ქალმა აღარ დააცალა მოსვლა ამ მებაღეს, სწევდა და დაიღო ქვეშა. ამ მებაღემ ამოიღო რაღაც წყალი და გადაასხა ამ ქალსა. — ამიშვი, ქალი იყო, ვაჟად იქვე, და ვაჟი იყო — ქალაღარა. მაშინვე იგრძნო ამ ქალმა, რომ ქალის ბუნება დაგვარდა და ვაჟად იქცა. გამობრუნდა მაშინვე და წამოვიდა თავის გზაზედ.

ამ დროს ამ ქალის უმჯროსმა დებმა შენიშნეს, რომ იმათი უმჯროსი დის დანა სულ სისხლში გაიბანა: მაშინვე გული მოსწყუდათ. აღარ დაუბანებიათ, შესხდნენ და წამოვიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთ ადგილას ერთი ბებერი ზის, ხელში ტარი უჭირავს და ართავს. იმის წინ კი, ირგვლივ, მთელი ქალაქია გაქვავებული. როგორც ვინა ყოფილა, ისე გაქვავებულია: მგზავრი ფეხზედ მდგომი გაქვავებულია გზაზედ, სხვა ზის და აღარ იძერის, მთელი ქალაქი უსულოდა გდია, არც არავინ შედის ამ ქალაქში და არც არავინ გამოდის. ირგვლივაც მთელი მინდორი სულ სავსეა გაქვავებული ადამიანებით, ქალით და კაცით. ამ ქალებმა მაშინვე იფიქრეს, თუ გააქვავებდა ეს ბებერი ჩვენ დას, თორემ იმას სხვა არაფერი უჭირსო. — ბებერო, გვითხარ, ჩვენი და შენ გააქვავე, თუ არა? იცოდე, თუ არ გვეტყვი, ამ საათში დავკუწავითო. — მოდი, შეილო, მოდი თ ახლო, ბრმა ვარ, ვერა გხედავთ, ვინა ხარ, ეღუბნება ბებერი. — უნდა მიიტყუილოს ისინი და ამ ქალაქის საქმე დაშართოს.

მივიდნენ, მივიდნენ ცოტა ახლო, ბებერმა გადაისხა სიკვდილის წყალი და იქვე გააქვავა. თვითონ არხეინად დაჯდა ისევე და დაუწყო ტარს რთვა.

ვლადა თავის დებს ეს ვაჟად ქცეული ქალი, იცდიდა, რომ იმის დები იმის საძებნელად გამოვიდოდნენ, და, რაკი არ მივიდნენ, წამოვიდა იმათ საძებნელად. ბუჭი იარა, თუ ცოტა იარა, მოვიდა გაქვავებულ ქალაქთან. ამოდენა გაქვავებულმა ხალხმა თავზარი დასცა. — სწორეთ ჩემი დებიც აქ არიან გაქვავებულებო, იფიქრა. გამოიარა და იმ ბებერთან მოვიდა. ზის ეს ბებერი და ართავს ტარსა. ქალის მოსვლაზედ თავი მალღა აიღო და ქალის შეხვდა.

— რა გინდა, შეილო, რათ მოსულხარ აქაო!

— ორი ჩემი და წამოვიდნენ ასე, და შენ ხომ არ გააქვავებო? ჰქიათა ქალმა ბებერსა.

— არა, შეილო, მე არავინ მინახიაო.

— როგორ არა, შენის მეტი იმათ არავინ გააქვავებდაო.

— მოდი, შეილო, ახლო გავსინჯო, ვინა ხარ, როგორი ხარ, ეღუბნება ბებერი.

ეს ქალიც მიდის ნელა-ნელა ამ ბებერთან, თან ელაპარაკებოდა და თან უნდა სწევდეს, სანამ ბებერი სიკვდილის წყალს ხელს მოავლეტებს. უცებ ისკუბა, სტაცა ხელი ამ ბებერს, წააქცია და დააქცია ყელში ხანჯალი.

— აბა, ბებერო, თქვი ეხლავე, რა უყავ ჩემი გაქვავებული დები, მითხარ, თორემ ამ საათში მოგკლავო.



— მართალია, მე გავაქვავე და აი ეს წყალი წაიღე, გადასხე და რასაც გადასხამ, სულ იმე ვამს გააცოცხლებიანო. უჩვენა, რომელ წურჭელშიც იდგა ის წყალი.

იდგა ეს ქალი, წამოიღო, გადასხა და გააცოცხლა ყველა. გაიღვიძა ისევ ქალაქმა, დაიწყო ხმაურობა. მგზავრმა გზა გააგრძელა; დასვენებული, ვინც გაქვავებულიყო, წამოდგა და გასწია გზასა. ფრინველებმა ხეებზედ დაიწყეს ფრენა და გილობა, ნიავეც დაიძრა და დააშრიალი ისევ გააცოცხლებული ხეები. იპოვნა თავის დებიც ამ ვაჟად ქცეულმა ქალმა, გადასხა წყალი, გააცოცხლა და ააყენა.

— ოჰ, რა ბევრი გეძინებიაო, ჩემო დამო! წამოიყვირეს ორივემ, აქ რა გეინდა, სადა ვართ?

— ბევრი მაშინ გეძინებოდათ, რომ მე არ მოვსულიყავიო, უთხრა დამ; მოუყვა და უამბო თავის თავგადასავალი დაწერილებით, და ან ისინი როგორც იყვნენ გაქვავებულები და როგორ გადააჩინა.

სამივემ სიხარულით გამოსწიეს სახლში. მოხუცებული ხემწიფის სიხარულსაც საზღვარი არა ჰქონდა, რაკი თავის ქალი ვაჟად ქცეული ნახა. როცა კვდებოდა, ხემწიფობაც იმას დაულოცა.

ჭირი იქა, ლბინი აქა.

ქატო იქა, ფჭილი აქა.

## 40—ემშაკის ლაგამი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საძაგლად ძუნწი, მაგრამ ძალიან მდიდარი კაცი. აუარებელი ცხვარი და საქონელი ჰყვანდა, შინაც საჩჩო მრავალი ჰქონდა. ისეთი ძუნწი იყო, რომ სულ მშვიერი და ტიტველი დადიოდა, არაფერს არ იცვამდა ტანზედ, კოლა-შვილსაც შიმშილით ჰხოცდა. მწყემსებს არ იჭერდა, თვითონ დასდევდა ცხვრებსა,—მწყემსები დაქველდნ და შესაემენ რასმეო. მოკვდებოდა რამე და—არც თვითონა სჭამდა და არც სხვებს აქმევდა, ისე უნდა გაფუჭებულიყო. არც მებობლისა და არც სტუმრისა სახლში შეყვანა არ იცოდა.

ერთხელ ეს ძუნწი კაცი მინდორში ცხვრებს მიერგებოდა. შეხებდა, მგელს მოუტაცნია ერთი უსახელო, ემშაკის პატარა შვილი, უჭირავს პირში და მიაბრუნებს. მეცხვარემ მოიგლოჯა თაფი, გადურბინა მგელს წინ, ესროლა და გააგდებინა. მერე მივიდა და წამოიყვანა თანა.

უსახელომ უთხრა: რაკი გადამარჩინე, ჩემ დედ-მამისთან თუ არ წავიყვანე, არ იქნება. ისინი გადაგიხდიან ჩემ მაგიერ სიკეთესაო. იღარ მოეწევა უსახელო ამ ძუნწსა. დაუყენა ძუნწმაც ცხვარს კაცი და გაყვა. გაუძღვა უსახელო, ისეთ ღადა-ღუდაზედ ატარა, ისეთ კლდეებზედ მიჰყავს, რომ ეს ძუნწი სულ იკაცება და წევბა. ამოაქრავს ხელს და სულ ისე მიჰყავს.

იარეს და იარეს ამ კლდეებზედ, უსკდება გული ამ ტუნწსა, ფიქრობს: ვაი თუ ამ ეშმაკმა გამიტყუილოს და გადამჩეხოსო. უსახელომ უთხრა: ჩემ დედამამს დიდი სარჩო აქვს, ბევრ ოქრო-ვერცხლს შემოგაძლევინ, და არ დაუქირო. შენ უთხრა: ჩემი ქონება მომეცითო.

მივიდნენ ეშმაკის სახლში. უამბო პატარა ეშმაკმა, როგორც გადაარჩინა ამ მტკვარემ მგელსა. ეშმაკებმა დიდი სიამოვნებით მიიღეს ტუნწი, შეიყვინეს ოთახში, სულ ოქროთი და ვერცხლით სავსეში.

— აი, შეილო, წაიღე, რამდენიც გინდა, აკრიფე, ჩაიყარეო.

მისდის სული ტუნწს, უნდა აკრიფოს ეს ოქრო-ვერცხლი, გაივსოს გუდა და წაილოს, მაგრამ პატარა ეშმაკი თვალს უშვრება.

— აკრიფე ოქრო და ვერცხლი, რამდენიც გინდაო, ეუბნებიან ეშმაკის დედ-მამა.

ტუნწი ყოყმანობს, ხმას არ იღებს.

— წაიღე ოქრო-ვერცხლი, რამდენიც გინდაო, ეუბნებიან.

ის კიდევ ჩუმიდ არის, არ იღებს ხმას.

— მაშ რას ითხოვ? რა მოგცეთ? გვითხარ და აგისრულებთ, შენთვის არაფერს დაეიშურებთო.

— ჩემი სარჩო მომეცითო, უთხრა ტუნწმა.

ეშმაკებს როგორღაც ემძივთ ტუნწის სათხოვარი. შეყოყმანდა ეშმაკიც, მაგრამ მერე ისევ მივიდა ტუნწთან და წაქრა ერთი ქისტო კისერში. ამ ტუნწს პირიღგან ლაგამი კი წაქვარდა. დაავლო ამ ლაგამს ხელი ეშმაკმა და შეინახა.

ეს კაცი კი თითქო ეხლი გამოერკვაო, მიიხედ-მოიხედა.—სადა ვარ, აქ რას ვაკეთებ, ვინ მომიყვანა ამ სახლში. დიხედა ტანზედ, მხედავს ტიტველი თითქმის, ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილია, თავის თავი თვითონ შებზიზღდა, გამოსწია ფეხ-აკრფით, მოდის გზაზედ და ფიქრობს თავის თავზედ; მოაგონდა მაშინ, რომ ცოლშვილიც ისე საკოდავად ჰყვანდა შვიერ-ტიტველი და საკოდავები, დაჰანდა, გაუჯავრდა თავის თავსა. სულ ეხლა წარმოუდგა თვალ წინ, რაც თავის სიძუნწით გაქირეება და ნაკლებულობა გასწია.

მოვიდა ცხვართან; უბრძანა ბიჭს დაეცლა ერთი კარგი ქედილა, გაგზავნა სახლშიაც საკლავი; შეუთვალა ცოლს, ტანისამოსი გამომიგზავნეო. იყიდა ყველაფერი თავის ცოლშვილისთვის და გაგზავნა. სანამ ტანისამოსი არ მოუვლიდა, თვითონ ვერ წავიდა სახლში, სცხვენოდა. უსარიან ცოლშვილს: ეს რა ხასიათი შესცვლია იმ კაცსაო. დიჭირა მოჯამაგირები, გაგზავნა ცხვარში, მობრუნდა სახლში, დაუდგა თავის სარჩოს და დაიწყო კეთილად ცხოვრება.

ამ რიგად იმის ქონება ეშმაკებს აღარ დარჩა და თვითონვე მოხმარა.

## 41—მუხა-გლეჯია სიდერისა და სიმამრისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი გლეჯიკაცი, ჰყვანდა ერთი ვაჟიშვილი. როცა ეს ვაჟი მოიზარდა, მოინდომა მამამ იმისი დაქორწინლება, მოლალა მაქანკლები, შემოიარა ქვეყანა, მაგრამ ტყუილად არ იქნა, იმისი ბედი არ გაიხსნა.

იდგა ბოლოს ეს ბიჭი და წავიდა მკითხავთან. აკითხვინა. მკითხავმა უკითხა: წადი, ამა და ამ ადგილას რომ ერთი მუხა სდგას და იმ მუხის ძირში წყარო გამოდის, იქ მიდი, იმ წყაროზედ პირი დაიბანე, შეიხებდე მალა, იქ ერთ ქალსა პნახავ, წაიყვანე, და ის იქნება შენი ბედიო.

წამოვიდა ბიჭი. როგორც მკითხავმა უკითხა, ისე მოიქცა. იპოვნა დასახლებული მუხა, მივიდა იმის ქვეშ და დაიბანა პირი, მერე აიხედა და ხეზედ ერთი ქალი დაინახა; ჩამოიყვანა და წაიყვანა სახლში ცოლად.

ის დალოცვილის გაზრდილი საკვირველი სულერი გამოდგა; თითოჯერზედ სამ თონე პურსა სჭამდა. ცოტა არ იყოს, ძალიან შესწუხდა ამ ქალის ქმარი, სადა ჰქონდა იმდენი, რომ ის გამოეკვება.

— ეისი ქალი ხარ, სადაური ხარ, ვინ არის შენი დედ-მამაო, მკითხავს ქმარი, უნდა წავიდე შენი დედ-მამა ვნახო, ან მოსაკითხი წავუღოვო.

ცოლმა ასწავლა, სადაც უნდა წასულიყო, რა მხარეზედ ექებნა სიმამრი. გამოაცხო ექვსი თონე პური, დაეღა საკლავი, ქათამ-ინდაურები ჩააღაგა, შეჯდა ცხენზედ და წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა თავის სიმამრთან. ხნულში წყალი უღიოდა. უნდოდა იმ წყალში გასვლა, მაგრამ მოიტაცა წყალმა თავის ცხენიანად და ჩაიტანა ბოლოში. ფანთხალებს ეს კაცი; ცდილობს გამოვიდეს, მაგრამ ლამის დაიხრჩოს. შეეცოდა ამ სიმამრს, ამოსდო პირი და გადმოაგლო თავის ცხენ-ხურჯინიანად მშრალზედ. წამოდგა სიძე კაცი, მიეხალმა თავის სიმამრს, გამოემცნაურა.

— კაცო, რაზედ დაიხრჩობოდი, ჩემი სიძე ჰყოფილობარ, წამო და დავისვენოთ; შენი სიდერიც მოვა, სადილს მოიტანს, პატარა კიდევ შეეკამოთ რამე.

დასხდნენ, ამოიღო, რაც რამ ნამცხვარი ჰქონდა, და ქათამ-ინდაურები, მოსაკითხად წამოღებული, ამოაღაგა. დაუსხდნენ, დაუწყეს ჰამა. სიმამრმა მიუსე-მოუსეა, მიქამ-მოქამა ყველაფერი, ლუკმა აღარაფრისა გადარჩა, მერე უღვაწებზედ გადისო ხელი. შესტკერია ეს კაცი, შიშით სული სცაგავა, ექმეც არ ჩამყლაპოსო.

ამ ხანად სიდერიც მოვიდა. არც ის იყო პატარა ტანისა. თავზედ ერთი ხახალი ედგა, ზედ ექვსი თონის ნამცხვარი ეწყო, ხელში ერთი ქილა შექვანდი ეჭირა, იქნებოდა ესე სამი კოკის ტელა.

— მოიტანე, ადამიანო? ძლივ არ მოხველ, რა დაგეშართა აქამდე  
ლაშის შიმშილით მოგვედღე, უთხრა ქმარმა ცოლსა.

მოიხადა ხახალი დედაკაცმა, ჩამოდგა ძირსა, დაუდგა ის შვეპმანდიანი  
ჭლაც.

— ცოტა დამიგვიანდა, შვეპმანდი არ იყო მოხარშული, უთხრა ცოლმა.  
იი ეხლა მიირთვიო.

თვითონაც გვერდით მოუჯდა.

— ჰამე, კაცო, მე შინა ვქამე, აქ განა იმიტომ დავეჯექ, რომ ვქამო  
რამე, შენა ჰამე, დაღალული ხარ.

დაუჯდა ეს სიმამრი, დაუწყა ქამა. თითო პურს თითო ლუკმად იღებდა.

— რატომ არა სქამ, სიძე კაცო, ეუბნება სიძეს სიმამრი.

რასა სქამს, შიშით მუშტის ტოლი გამბდარა, მეც არ შემაყოლოსო. ეს  
ეკვსი თონე და ეს იმოდენა შვეპმანდი სულ ერთიანად შვეპამა, უღვაშები  
გადიწმინდა. საღამო ხანზედ სახლში წავიდნენ. სიძეც გაიპატოვეს. მოდიან  
გზაზედ. სიდედრი და სიმამრი ფეხით არიან, სიძე ცხენით მობრძანდება, მაგ-  
რამ ვერ ეწევა, მაკტენებს ცხენს, მაგრამ მიინც ვერ ეწევა. შეეცოდა სიდედრს  
მავისი სიძე.

— აქ მოდი, სიძე, მოდი, ხახალზედ დაჯექ, ცხენიც აქ დასვი, ხომ  
ხვდავ, დავარდი.

მოუცადა სიდედრმა, ჩამოდგა მიწაზედ ცარიელი ხახალი, თავის ცხენი-  
ანად სიძე აიყვანა და ზედ დასვა. მერე ისევ შეიღვა თავზედ და მიიჭეს.

გზაზედ ერთ მუხას გაუარეს. სიძე კაცი მუხაზედ წკებლას მიეწოდა მო-  
სატებად. ხელი წაივლო. მაგრამ რაკი სიდედრი მოდიოდა, ვეღარ მოასწრო  
ხელის გაშვება და ზედ შერჩა. რაკი სიძე კაცი ხახალში ვეღარ დაინახა,  
სიდედრი მობრუნდა: რა მეჭნა, სად წავიდაო. დაინახა სიძე, რომ მუხის  
ტოტზედ აკონწილიო.—რას აკეთებ მანდ, სიძე ბატონო? ჰკითხა სიდედრმა.  
სიძეც ვერ ჩამოსულა მუხიდან და გაკორცებული ძლივსა ქშითინებს.—არა-  
ფერს, ჩემო სიდედრო, ცხენისთვის წკებლა მინდოდა მომეტებნა და ამ  
მუხაზედ ვაველო. მოგლოჯა მუხა ძირიანად სიდედრმა და დაიდვა ხახალზედ  
ისიც. ახლა კი, ცოტა არ იყოს, ფახაკი მიეცა სიძე-კაცსა.—აქ ხერიი არ  
არის, თუ თავს არ ვუშველვო, იფიჭრა გულში.

— სიდედრო, წყალი მინდა ცხენს დავალენო, ჩამოგვსვი ძირს და მა-  
ლე მოგეწვიოთ ისევო, თქვენ წადით, ნუ მომიძლითო. ჩამოსვა სიდედრმა  
ხახალიდან თავის ცხენიანად.

ცოტა დაიცადა სიძე-კაცმა და, როცა სიმამრ-სიდედრი კარგა მან-  
ძილს გასცდნენ, მოახტა თავის ცხენს და მოძუტვა სახლისკენ გულ-გახეთ-  
ქილმა.

## 42—ხუთი ძმისა და ერთი დისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ ზუთნი ძმანი; იმათა ჰყვანდათ ერთი და, ძალიანაც უყვარდათ, რომ იმის თავს არავინ ვრჩენდათ.

გაითხოვეს და, მისცეს ერთ კაცს, მაგრამ მალე დაქვრივდა, ორი ვაჟი ღარჩა. ქვრივი და ძმებმა თავის შვილებით შინ მოიყვანეს და აცხოვრებდნენ. ძმების სახლში ქვრივ დას ქვრივობა სულ დაავიწყდა, ნაკლებულობა არაფერში შესტყობია. საკმელიც მრავალი ჰქონდა და საცმელიც.

კოტა რძლებს ჰშურდათ და არ ესიაბოყენებოდათ, რომ იმათ ქმარ-მაზლებს ისე უყვარდათ იმათი მული. რაკი ერთი გულში ეშმაკი შეეშუვეს, მტრე სულ იმას ცდილობდნენ, როგორმე ძმების პირში ჩაეგლოთ ქვრივი, ხან რას უგონებდნენ და ხან რასა. მაგრამ ქმრებს გული ვერ შეაძველვეინეს. ბოლოს რომელიც კარგი კამეჩი ჰყვანდათ და ძმებს უყვარდათ, ის დაჩხბეს ბოსელში. ქმრებს ამბავი მიუტანეს, რომ თქვენმა საყვარელმა დამ დაჩხბაო. ძმებმა შუბლიც არ შეიხარეს: დაჩხბა, დაჩხბა, იმის ჭირის სანაცვლო იყოსო. რაკი ამითაც ვერას გახდნენ, გააღმასებულმა რძლებმა ახლა, რომელიც კაი ცხენი იყო, ის დაჩხბეს. ქმრებს კი ამბავი მიუტანეს, რომ თქვენმა დამ დაჩხბაო. ძმებმა არცარა ამაზუნდა სთქეს: იმისი ჭირის სანაცვლო იყოსო, ის იყოს კარგად, ჩვენ ვიყვენეთ კოცხლები, საქონელი ჩვენი შეძენილი არ არისო.

რაკი არც ამან გასქრა, გამოპოტებულმა რძლებმა ახლა სულ სხვა ღონეს მიჰმართეს. უმფროსმა რძალმა გადასწყვიტა, ისეთი საზარელი საქმე ჩაედინა, რომ მართლა სამაგალითო ყოფილიყო. ერთ ღამეს, როცა ყველას გულიანად ეძინა, ადგა უმფროსი რძალი, მივიდა, გამოჰჭრა ყელი თავის ერთად ერთ ვაჟს და სისხლიანი დანა მუღს ჩაუღო ჯიბეში.

მეორე დღე გახანდა, ვინ რა იცის, ყველა არხენად არის, მოკლული ბავშვიც ისევ ღოგინში წევს, საბანი აქვს წახურული. კარგად რა წამო-მალდა მზე, შემოვიდა სახლში უფროსი ძმა, ნახა, რომ ბავშვი ისევე წევს.

— ადამიანო, ხომ არაფერი სტკივა ამ ბაღლსა, ამოდუნა ძილი რა არისო? ეკითხება კოლსა.

— არა, კაკო, დასძინებია და აღარ გავაღვიძე, დამენანაო.

ელოდნენ კიდევ, მაგრამ ბავშვი მაინც არ იღვიძებს, მივიდნენ, გადახადეს—და ყელ-გამოპრილი კი დამხვდათ. ბავშვის დედას ყასიდად გული წაუვიდა, ძლივ მოასულიერეს ვითომ, დაიწყო ვაება და ტირილი, თავში ცემა და თმის გლეჯა. დაიწყეს ძიება და ძებნა მკვლელისა. დედამა სთქვა: უნდა ყველა გავშინჯოთ, ვისაც დანა უძვე სისხლიანი, მკვლეელიც ის იქნებაო. იმათი ქვრივი დაც იქ არის. საწყალი იკლავს თავს, ტირის თავის ძმისწულს: რა იცის, რა ამბავია იმის თავსა.—გავშინჯოთ ყველანი, გენაცვათ, გავშინჯოთ. იქნება ღმერთმა ქნას, და ვიპოეოთ მკვლეელიც, ამბობს ისიც.



დაუარეს ყველას, არაგის არ ამოაჩნდა. ბოლოს აქი დის ჯიბეში არ იპოვეს! მოსწყდა გული საცოდავ ქალს. იფიცა ბევრი, იტირა, ივაგლახა, მაგრამ ვინღა დაუჯერებდა?

ახლა კი მოსდო გული ცოლმა ქმარსა: აბა, შე ბრმა და ყრუო, შენა, შენი და ანგელოზი გვეგონა, ჩვენ არაფერს არ გვიჯერებდით და კამეჩისა და ცხენის დაჩება რა შერჩა, არ იკოდით, ამასაც იზამდა. წადი და ებლა ქვა იეც მაგ სულელ თავშიო.

გაჯავრებულმა ძმებმა დასთხარეს დას თვალეზი, გააყოლეს თან თავისი ორი ვაჟიც და ეს ბრმა ადამიანი ერთ წყლის პირას მირეკეს და დაანებეს თავი.

დაჯდა საცოდავი ბრმა, დაისმა გვერდს თავისი შვილები და ტარის. არც პური იმათთვის და არსად ბინა. მაგრამ ღმერთი თავის გაჩენილს არ დაჰკარგავს. გააკეთეს პატარა ნემსკაეები და დაიწყეს თევზაობა. ებმინ პატარა თევზები, ამოჰყავთ, სწევენ და სკამენ. როცა უმარილო მოსწყინდათ, შვილებმა დედას უთხარეს: დედა, აგე იჭით შეცხვარეს ცხეაჩი ჰყავს, წავალთ, მარილი იქნება ჰქონდეს, გამოვართმევთ, დავაყაროთ ზოლმე და ისე შევწვათო. წავიდნენ პატარა ბიჭები შეცხვარესთან, გამოართვეს მარილი და მოუტანეს დედას.—მოიტათ, შეილო, ვნახო, მართლა მარილია, თუ სხვა რამე. თვალით კი რას დაინახავდა, აუსვა ენა და ისე ნახა. მარილია, შეილო, დააყარეთ და ისე შეწვიეთო.

ერთხელ ძმები რა თევზაობდნენ, ერთი კაი მოზრდილი თევზი გამოათრის. ძალიან გაუხარდათ: ეს ერთი თევზი საშივეს გვეცაფაო. ის იყო უნდა გამოეწლიათ, მარილი დაეყარათ და შეეწვათ, რომ თევზმა კაცის ენა ამოიღვა და უთხრა: გამიშვით და სიკეთეს გადაგიხდითო. გაკვირვებული და შეშინებული ბალები მაშინვე დედასთან გაიქცნენ: დედა, ერთი დიდი თევზი დაფიქრეთ, უნდა შეგვეწვა, ენა ამოიღვა და ვეითხრა, გამიშვით და ბედსა გწევთო. რას იტყვი, დედა გაეუშვათ, თუ შევწვათო?

— გაუშვით, შეილო, გაუშვით, უთხრა გაკვირვებულმა დედამ.

ბალებმა მოიყვანეს თევზი და როცა უშვებდნენ, თევზმა უთხრა: სადაც გამიშვათ, დადგით იმ ადგილას და მომელოდინეთ, სანამ არ მოვიდეთ, არსად წახვიდეთო.

გაუშვეს ბალებმა ხელი. თევზმა გაუტყლაშუნა ბოლო წყალსა და ჩაეშვა წყლის გულში. იდგნენ ბავშვები და ელოდნენ. დიდი ხანი არ გასულა, რომ მოზრუნდა თევზი და ორი თვალის კაკალი მოუტანა ბალებს: ეს კაკლები დედათქვენს მოუსვით თვალეზზედ, და ისევ აეხილება თვალეზი, როგორც იყოო. ვადაქრა თევზმა ბოლო და გადაეშვა მორევეში.

ბალები წამოვიდნენ დედასთან, წამოილეს თან თვალის კაკლები. მოუსვეს დედას თვალეზზედ და ბრმას ისევ აეხილა წინანდელივით თვალეზი. გახარებული დედა გადაეხვია შვილებს და დაუწყაო კოცნა. იქვე ახლო დასახლდნენ. დიდგეს სახლი. იმდენი იმონავრეს და ყაირათი ვასწიეს, რომ ერთი უღელი ხარი იყიდეს. ეს ობოლი ძმებიც მოიზარდნენ; დაიწყეს ხენა და თესვა. იმოდენა კირნახული მოჰყვანდათ, რომ ბევრსაცა ჰყიდდნენ, თორემ შინ საქმელად ხომ ჰქმაროდათ.



ისე მოხდა, რომ ამ ქალის სამშობლოში ერთ წელიწადს ტირანბული აღარ მოვიდა, ხალხი დიმიწა და ამ ვაყების დედის ძმებსაც საყიდელი გაუზღდათ პური. გაიგეს, რომ ამა და ამ ქვეყანაში ამა და ამ კაცებს ბევრი პური აქვთ გასაყიდო. წამოიღო ფული უმფროსმა ძმამ და წამოვიდა პურის საყიდლოდ. მოვიდა თავის დისთან, მაგრამ რას იცნობს, რა მოაგონებს, თუ თავის და კოცხალი იქნება საღმე და ან იმისი შვილები. დამ კი იცნო და გულიც შეუქროლდა. რამდენიც უნდოდა, მიჰყიდეს პური და აუწყეს.

როცა პურსა სწავდნენ, დედამ უბრაა შვილს, მისცა თან თავისი ბეკედი: ეგ შენი ძია არის და ეს ბეკედი ჩემად ჩუსტში ჩაუგდეთ. ვაჟმა მართლაც პურის წყვის დროს დედის ბეკედი ძიას ჩაუგდო დებ-საცმელში. როცა ამ უფროსმა ძმამ დაუღო პურები და წაიღო, გამოუყენა ამ დამ შვილები და შეუთვალა: ურემი დააყენე, ჩემი ბეკედი მოგიპარია, წაგიღია და უნდა გაგშინჯოთო.

რაკი გული აღილი ჰქონდა, დადგა ეს კაცი, ეფიცება: ღმერთი, ხატი, რჯული, არაფერი მომიპარნია, მალლა ცა, ძირს დედა-მიწაო.

— არა, ჩემო ძმაო, უნდა წამოხვიდე, ჩვენ ცარიელ სიტყვას არ ვენდობით, თუ არ გაგჩხრიკეთ, არ იქნებაო.

წამოვიდა ეს უმფროსი ძმა, მობრუნდა ისევ ამ დის სახლში. თავის დამაც როგორც უცხოს ისე დაუწყო ლაპარაკი.

— აბა, ჩემო ძმაო, სიკეთის მავიერი იყო, პური მოგიყიდეთ, შენ კიდე ჩემი ბეკედი მოგიპარნია და წაგიღია, რა ნამუსია კაცისაო.

ეფიცება ეს კაცი: ღმერთი, ხატი, რჯული, არაფერი არ მიწახია, ქრისტიანები ხართ, რა ღმერთი გამიწყრებოდა, ბეკედი მომიპარაო.

— არა, ბიჭო, არ იქნება, გაშინჯეთ, ენახოთ, თუ ზედ არ ამოაჩნდეს მაგას ის ბეკედიო! უბრძანებს შვილებს დედა.

გაჩხრიკეს ეს კაცი და დაკარგული ბეკედი ჩუსტიდამ კი ამოაკალეს. გაშრა ეს კაცი, მაგრამ რაღა ვაეწყობოდა.

— ღმერთმან ზომ იცის, მართალი ვარ, მაგრამ ეხლა თქვენ ხელში ვარ, რაც გინდათ, ის მიყავითო.

— აბა, ჩემო ძმაო, როგორც შენ არ მოგიპარნია ეგ ბეკედი, და ძალიად ჩაგიდევს ჩუსტში, ისე მე არ ვიყავე მკვლელო შენი შვილისა, და ძალიად დამწამა ნაკილი შენმა კოლმა, თვითონ მოკლა ბაშვი და სისხლიანი დანა მე ჩამიღო ჯიბეშიო!

გადაეხვივნენ ერმანეთს და დაუწყეს კოცნა, მერე უამბო დამ თავისი თავგადასავალი, ან თვალეუბი როგორ აეხილა.

გახარებულმა ძმამ დაც და ძმისწულელებიც წამოიყვანა შინა და კოლი კი ცხენის ძუას მოაბა და სულ ისე დაგლიჯა.

ქირი იქა, ღზინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა,

თაბალა იქა, დიირა აქა.

## 43—ზღაპარი მღვდლისა და პელონი

იყო და არა იყო რა, ღმთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი მღვდელი და ერთი გლეხი. ამ მღვდელს და გლეხს გუთანი ერთად ებათ. მღვდელმა უთხრა გლეხსა: ში-დი, ჩემო ძმაო, ვისი გუთანი ებას, იმის კოლთან დაეწვეთ; შენი გუთანი ებას, შენ კოლთან მე დაეწვები; ჩემი გუთანი ებას—ჩემ კოლთან შენ დაწვეკიო.

შეაბეს გუთანი. პირველ დღეს გლეხისა ხნეს. მოიტანა გლეხის კოლმა სამხარი. მღვდელი დაუწვა და თავის გუნების საქვე ქნა.

მეორე დღეს ახლა მღვდლისასა ჰხენენ. მღვდელმა წინა დღითვე დარბა კოლი: სადილი რა მოიტანო, ქვეით ვიყენეთ—შეკამადი ზევით დადგი და ზევით ვიყენეთ—ქვეითათაო. იქ არა და არ მოხვიდე, სადაც ჩვენ ვიყენეთო. მეორე დღეს მღვდლისასა ჰხენენ. მოიტანა სამხარი მღვდლის კოლმა და, როცა გუთანი და მებრე—გუთნის დედები ქვეით იყენენ, ზევით დადგა და თვითონ შინ წაივია.

როცა ხნეს და გუთანი გამოუშვეს, გლეხმა უთხრა მღვდელსა: ვგრე რათა, მამაო, რატომ შენი კოლი ჩემთან არ დაწვიაო.—რა ექნა, შეილო, ის შეჩვენებული, ხო პნახე, ზევით დადგა შეკამადი, აქამდინ არ ჩამოვიდაო. რაღა იქნებოდა.—მეორე დღეს უნდა გიხნაო, უთხრა გლეხმა.—ძალიან კარგიო, უბასუბა მღვდელმა. მოიტანა კადვე სამხარი ღვდლის კოლმა და, როცა ისინი ზევით იყენენ, იმან ქვეით დადგა შეკამადი და თვითონ სახლში გასწია.

რო დაღამდა, გუთანი გამოუშვეს, გლეხმა უსაყვედურა მღვდელს: რათ მატყლებ, მამაო, შენი კოლი რატომ არა დგებოაო.—რა ექნა, შეილო; ხო ჰხედავ, იმ დროს მოდის, როცა ჩვენ იქ ვართ და სანამ ჩვენ მოვალთ, შინ მდისო. გლეხი დაღონდა.—ხედაც ისევე შენ უნდა გიხნაო, უთხრა მღვდელსა.—ძალიან კარგი, შეილო, ვხნათ, ის შეჩვენებული ხვალ მიინც დაგიწვესო. მაგრამ ტყუილი იმედი ჰქონდა. მღვდლის კოლმა იმ დღესაც მოიტანა სამხარი, დადგა და სამქაროდ გასწია სახლში. დაღონებული გლეხი საღამოზედ სახლში მივიდა. ისეთი დაღარდიანდა ეს გლეხი, გაჭადა, მადა დაეგარგა...

ამ გლეხს სამი ვატი ჰყვანდა. შვილებმა რომ მამას დაღონება შეატყვეს, დაუწყეს გამოკითხვა, რათა ხარ, მამა, დაღონებული, გვითხარიო. მამა არ ეუბნებოდა. მიინც და მიინც შვილები არ მოეშვენენ და ათქმევინეს. უფროსი ვატი ადგა მაშინვე, უნდა წავიდე და სიმაგიერო გადაუტბადო იმ წუწკს მღვდელსაო. დაირქვა სახელად პელო, ჩაიკვა ქალურად, ჯერ უწვერულია და ძალიან ლამაზიც გამოჩნდა. წავიდა მღვდლის სოფელში, ჰაიარა და კითხულობდა, მოახლე არავის გინდათო? იქით-იქით უთხრეს, რომ მღვდელს ენდომებო.

მივიდა პელო მღვდელთან.—მოახლე არა ვნებათო, სოფელში აქეთ-იქნ გამომასწაველესო. მღვდელს ძალიან მოეწონა, დაიყენა პელო და იმსა-



ხურებენ. მღვდლის უმცროსმა ქალმა სთქვა, უნდა პელოსთან დავწვეო. დაიწინეს. იმ ღამეს ღამაზად ისაამოვნა პელომ. მეორე ღამეს რადს და წვება ეს ქალი, წუბელიც მკბენარმა შემაწუხაო. ახლა შუათანა დაწვა. ვაგმა იმასაც ის დღე დაიყენა. მეორე ღამეს იძახის ეს ქალი, პელოს მკბენარი ჰყოლიაო. მერე უმფროსი დაწვა, იმასაც ისეთივე საქმე დაჰმართა პელომ.—ქა, რა დაგეშართათ, სად რა ჰყავ მა ქალს მკბენარი, რო იძახითო, უთხრა ფოფოდიამ. მე დავიწვენ, თუ თქვენ კბენარი გაწუხებთო. დაიწინა ახლა ფოფოდიამ. ვაგმა ეს ფოფოდიაც ქალებს მიაცოლა. რაღა იქნება, რომელი იტყვის, პელო ქალი არ არისო. ყველა ერთმანეთს უმაღავს. მღვდელს ქალი ჰგონია.

ერთხელ მღვდელმა თავის ცოლშვილი სულ საყდარში წაიხსა, საუფლო დღე არისო, მარტო პელო დააგდეს სახლის მოსაფელელად. ეკლესიაში რო მივიდნენ, მღვდელმა შინ წასვლა მოიმიზეხა; რაკი ყველა გიგულა, უნდა მოახლესთან საქმე დიქიროს. თავისებს უთხრა: მე შინ წავალ, ოღარი დამეიწყებია და ამ საათში მოვალო. მოვიდა და პელოს შესძახა: ღამაზო პელოჯან, კარები გამიღეო.—აბა თუ მღვდელი ხარ, წვერი შემოყავო. შეყვა წვერი მღვდელმა, დაუქირა პელომ წვერი და დაულურსმა კარებზედ. თვითონ ხალაგა, რაც კარგი და კარგი ნიეთი იყო, და გამოსწია შინა. უამბო მამას და ისე გაახარა, რომ ეს დაავადებული კაცი მაშინვე ზეზე წიმოღდა.

ქირი იქა, ღზინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 44—და-მშობაზე

იყო და არა იყო რა, ღვთის უყვთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მღვდელი. ოც წლამდე შვილი არ მისცემია. მერე ვაფი ეყოლა და კარგა ღვთის შიშშიაც ზრდიდა. ოცი წლისა რო გაუხდა, დედ-მამამ მოინდომა იმისი დიქორწილება. თვითონ ვაგს არ უნდოდა გულით, მაგრამ დედ-მამის ხათრს როგორ გასტეხდა. მამამ ვაგზაენა: წადი, შვილო, გაშინჯე ქალები; სადაც მოგეწონოს, შეგრაფეო.

წავიდა ვაფი ქალების გასაშინჯად. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სოფელში, დაიღალა, მოსწყურდა და ერთ წყაროს პირს დაჯდა. ზის, და ამ დროს იმის წინ ერთმა პირზეხვეულმა ქალმა გამოიარა, ცხვირის მეტი არაფერი არ უჩანს, კოკა უქე მხარზედ. წყალი რო აავსო, ვაგმა უთხრა, და-მშობას, წყალი დამალევიწყო. დაალევიწა წყალი და წავიდა თავის გზაზედ; არც სოფელი დაუხსომებია, არც ადგილი. მივიდა სახლში.—ვერაინ მოიწონე, შვილო? მკითხა დედ-მამამ.—ვერა, მამა, მე ცოლი არ მინდაო.

მამა რას დაიშლიდა. ჩაიკვა, ჩაიღვა ფული და გასწია სარძლოს საძებნელად. მოვიდა სწორეთ იმ სოფელში, სადაც იმისმა შვილმა წყალი დალია, ნახა ის ქალი, რომელმაც იმის შვილს წყალი დაალევიწა და ძალიან

მოეწონა.—თუ ეს ჩემი რძალი არ გავხადე, არ იქნებაო. მიუგზავნა კაცი ქალის დედ-მამას, შერე თვითონაც მივიდა. ქალის დედ-მამა ცოტა ჩაკლულად ცხოვრობდნენ და, როგორც უხლაც იციან, ფეხი დააპირეს, წლუღლ დრო არა გვაქვს, ვერ გავაბოხებთო.

— რა დრო არა გაქვთ, ყველაფრით შეგაძლებინებთ, ყველაფერს ჩვენ ეუყილით, ოღონდ-კი მოგვეცითო. მისცა ათი თუმიანი ფული, სხვითაც ყველაფრით ხელი შეაწია, დრო აღარ დაახანა, და ჯვრის წერაც მალე მოხდა.

როცა დაწოლის დრო მოვიდა, ქალი და ვატი ცალკე ოთახში დააწინეს. სანათი რო ჩააქრეს და ჩაწინენ ლოგინში, ვაჭმა უცებ იგრძნო, რომ სული მოსდის. მაშინვე უკან დაიწია.—ღის სული მომდისო. ქალმაც უთხრა, ძმის სუნი მომდისო. დაიწყეს გამოკითხვა, ბოლოს ქალმა მოიგონა, რომ შენ ისა ხარ, მე რო წყალი დაგაღვიე და შენ და-ძმობა მიუთხარიო. იმ დამეს ისე იწინენ ერთმანეთთან, როგორც და და ძმა. გათენდა დილა, არავის არაფერს არ ეუბნებია.

გავიდა ხანი, გავიდა ოცი წელიწადი, როგორც და-ძმა ისე ცხოვრობდნენ. სწუხან ვაეის დედა და მამა, უშვილო გამოგვიდგა რძალიო.

ამ დროს ომიანობა გაჩნდა, არეულობა, ლეკებმა ტყეები მოიტაცეს.

ამ კაცის გვიარდაწერილი ცოლიც ლეკებმა დაატყვევეს და დაღესტანში წაიყვანეს. როცა ომიანობა გათავდა, მოვიდა წერილი, დაიხსენით თქვენი ტყვეებიო. ყველა წავიდა დასახსნელიად, ამა ან ეს კაცი რაღას დადგებოდა. შემოიკრა ფული და გასწია ლეკეთისკენ. იკითხეს ტყვეები, იპოვეს, მარტო ამან ვერ იპოვნა. კითხვა-კითხვით გაიგო, რომ იმისი ცოლი სამეტოში ნაიბს წაიყვანა, მაგრამ ნაიბი მომკვდარიყო და იმის ცოლს ემსახურებოდა. მივიდა ვატი და უთხრა, რომ აქ ტყვე არის ჩემი და მიიწვეთ, მინდა დავიხსნაო.

წავიდა ნაიბის ცოლი და, რო მიღის, ამ კაცის ცოლი უკან მისდევს; ქმარი რო დაინახა, გაცინა. დაიწყეს ლაპარაკი. შესტკერია ეს თათრის ქალიც. ამოდის ვაეის ყელიდგან ნათელი და ქალის პირში ჩადის. ნაიბის ცოლი კარებში სდგას და ჰხედავს ამას. ძალიან გაკვირდა, აქ რამე მიზეზი უნდა იყვეს, რომ ასეთი სასწაული ხდებაო. კარებში ჩადგომა მაგით არ ვარჯა, რომ შეიძლება კეთილ ანგელოზს შემოსვლა მოუშალოს.

— თუ ღმერთი გწამსო, ჰკითხა თათრის ქალმა ამ კაცს, ეს დედაკაცი შენი რა არისო? ზოგს „თუ ღმერთი გწამს“ სუბუქ ფიცად მიაჩნიათ, ის-კი არ იციან, რომ ამაზედ მიიშე ფიცი აღარ იქნება; თუ ღმერთი არა მწამს, მაშ რაღა მწამს? კაცი ეუბნება, ჩემი და არისო.

სამჯერ უთხრა თათრის ქალმა, მითხარ, „თუ ღმერთი გწამს“, რაარის შენი ეგ ქალიო. რაკი დამალვა აღარ შეიძლებოდა, მოუყვა ვაეიც და სულ დაწერილებით უამბო თავის თავგადასავალი, როგორ გვირგვინით ცოლ-ქმარნი იყვნენ და სიტყვით-კი ისე შეკრულნი და-ძმასავით. მაშინ თათრის ქალმა უთხრა: ეგ ყველა კარგია, შეილო, ღვთის საამური, მაგრამ ჯვრის წერას პირველი ღამე ეკუთვნისო. შენც შენ ცოლითან უნდა დასწვე ერთხელ, შერე ისევე თავი დაანებო; თქვენ მოგვეცემით ვაეი; ის დიდი ბრძენი და წმინდა იქნებაო. ოცი წლისა ხეწიფის ქალს შეირთავს, მღვდლით ეკუ-

რთხება და ზემს სულს ის გამოიყვანს ჯოჯოხეთიდანაო. მოკედებო, შავრამ იმის სიკვდილს სამაგილითო იქნებაო. უნდა პატივი სცე გვირგვინს და, თუ ჩემი დი-ძმობა გწამს, ასბრულეო. ასბრულეს იმისი სიტყვა.

წლის მიწურულში ვაგი ეყოლათ. შინა ზრდიდნენ, სავრამ სობრძნე მაინც არ აკლდა. სკოლაში ნასწავლები ვერ დაედარებოდნენ. ვაგიდა ხანი, მოვიდა ვაგი ასაკში, ქუთით და მშვენიერებით ბადალი არავინ არა ჰყვანდა. ოცი წლისა რო შესრულდა, დაიბარა ხემწიფემ თავის ქალაქში, თავისი ქალი ცოლიდ შექრითო და ღედლადაც აქურთხებინა.

ეკლესიაში წირვია დანიშნული, ამ ვაგმა უნდა სწიროს. ეკლესია საესეა ხალხით, შთელი სამღვდლოება აქარის, და ხემწიფეც იქა ბრძანდება. ლოცულობს ახალგაზდა მღვდელი და მოიხსენია ის თათრის დედაკაციც, როგორც იმის მამას ჰქონდა დავალებული. ბარბიშ-ფეშუში რო მოაბრუნა, უცქერის, რომ ტრაპეზის წინ ბიამთან უცებ გაიარდა და გამოჩნდა სისხლის ზღვა, შიგა გღია თათრის დედაკაცი და იხრჩობა. ილოცა, ილოცა მღვდელმა, ლოცულობს სასოებით; სადა ახსომს, თუ აქ ამოდენა ხალხია, ლოცულობს, რომ ოღლი ჩამოსდის; მხედავს, რომ ეს თათრის დედაკაცი ნაპირს უახლოვდება. ვაგიდა ლეკოს ცოლი ნაპირს და გაათავა მღვდელმაც ლოცვა. მობრუნდა, ჩამოილოცა, და მზეც ჩადის. წირვა რო გამოვიდა, გამოვიდა თვითონაც და უთხრა შეყრილ ხალხს: ხელო ამა და ამ დროს მოვედები, შეაბით ჯერ უბმელი მოზერები, დაუღეთ ჩემი გვამი და გაანებეთ თავი; სადაც დადგნენ, იქ ააშენეთ ეკლესიაო. შესცქერის გაკვირვებული და შეშინებული ხალხი; ზოგი ტირის, ზოგი იციინის, რა სიტყვაო.

მეორე დღეს მართლაც დანიშნულ ვადაზედ განისვენა. დაუღეს იმისი ტანი ურემზე, შეაბეს ჯერ უბმელი მოზერები და მიანებეს თავი. გასწიეს მოზერებმა თავისთავად, მიდიან და მიდიან; იარეს, იარეს და ერთ ადგილას გაიტანეს და დადგნენ. მიჰყვნენ კაცებიც, რო შეეტყობთ, სად გაჩერდებოდნენ, სცემენ მოზერებს, ერეკებიან, შავრამ ისინი არ იძერძინ. შამან მოხსნეს მკვდარი და იქ დააგდეს და მოზერებს თავი გაანებეს. გამობრუნდნენ ეს მოზერები და სულ შაერში მიღრინენ. დაასაფლავეს იქ მღვდელი, ააშენეს ზედ საყდარი, და ვახდა სალოცაეი.

## 45—მუქა-ნახევრის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღეთის უყვეთსი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლი და ქმარი. ერთი ქოთანი ჰქონდათ, მუქა მარლის უზამდნენ, დამლაშდებოდა, ნახევარ მუქას—დააკლდებოდა. ძალიან შეწუხებაში იყვნენ. დალონდნენ, ვერაფერი მიახერხეს. ბოლოს ცოლმა ქუთხრა ქმარსა: წადი, მკითხავს აკითხვინე, იქნება იმან ვასწავლოსო. წავიდა კაცი მკითხავთან. მკითხავმა უთხრა: „მუქა-ნახევარიო.“—რა ვქნა, როგორ დავისწავლო, იქნებ

გზაზედ დამავიწყდეს, სანამ შინ მივიდეთ, უთხრა კაცმა.—რო წახვიდე, გზა და გზა სულ „მუქა-ნახევარი“ იმაზე და აღარ დაგავიწყდებოა.

წამოვიდა ეს კაცი. მოდის გზაზედ და იმახის: „მუქა-ნახევარი, მუქა-ნახევარიო!“ გზაზედ ყანისა ჰმკლდნენ, გაიგონეს: ეგ ოხერი რას გვეწვევლისო, მუქა-ნახევარის შერი არ უნდა გამოგვივიდესო.

მისდგნენ, იმდენი სცემეს, სულ „ვამ დედა“ იმახეს.

— რათა მცემთ, კაცო, რა დაგიშავებთო, ჰკითხავს საწყალი.

— რათ იმახდი „მუქა-ნახევარიო“, იმიტომ გცემთო.

— მაშ რა უნდა მეთქვაო?

— ბარაქაო.

მოდის გზაზედ და იმახის: „ბარაქა, ბარაქაო!“

გზაზედ მკვდარი მოჰქონდათ. გაიგონეს, ეს კაცი რას დაგვეცინისო. დაასვენეს მკვდარი, დაიკირეს, უღეს და უღეს.

— კაცო, რათა მცემთ. რა დაგიშავებთო?

— რათ იმახდი „ბარაქაო“.

— მაშ რა ვთქვაო?

— მკვდრის სული გიცხონოსთ, დარჩომილები გაცოცხლოსთო.

მოდის ეს კაცი და იმახის გზაზედ: „მკვდრის სული გიცხონოსთ, ცოცხლები გაცოცხლოთო“. ერთი ენახათ, გზაზედ ნეფიანი მოდიან. გაიგონეს ამ კაცის სიტყვა.—ეს კაცი სწორეთ გიეთაო. ვადმოხტნენ, დაიდეს და იმდენი სცემეს, სანამ მოსწყინდებოდათ.

— რათა მკვლავთ, კაცო, რა დამიშავებია იმისთანაო?

— რათ იმახდი „მკვდრის სული გიცხონოსთ, დარჩომილები გაცოცხლოსთო“, ვერა ჰხედავ ნეფიანი მობრძანდებიან.

— მაშ რა უნდა მეთქვა, თქვე დალოცვილებო, მასწავლებთო.

— ნეფიანს გაუმარჯოსო, უნდა ქუდი მოგეხადნა, დაგებთქებინა ძირს და დაგეძახნაო.

— კარგი ახლა კი დაეხსომებო, სთქვა გლეხმა და წამოვიდა.

მოდის და მოიმახის „ნეფიანთ გაუმარჯოსო“, თან ქუდს ძირს ახეთქებდა.

ერთი კაცი მტრედებს ეხარება, ის არი ჩახმახი უნდა დააცემინოს, რომ ამ დროს გამოჩნდა ეს კაცი და დაიმახა: „ნეფიანს გაუმარჯოს“, თან ქუდი ძირს დაახეთქა. მონადირეს მტრედები დაუფრინდა. მობრუნდა გაჯავრებულნი, დაიღო და სიგძით სიგანე მისცა, მანამდი სცემა, სანამ ზეწწნა არ დაუწყო, გაშიშვიო.

— რათა მცემ, შე უღმერთო, რა დაგიშავებო, ჰკითხა, როცა წამოდგა.

— რათ იმახდი „ნეფიანს გაუმარჯოსო“, რათ დამიფრთხებ მტრედებო!

— მაშ რა უნდა მეთქვაო.

— უნდა დაქუზულიყავ და ისე გაპარულიყავო.

— კარგი, მაშ ეხლა დაეხსომებო.

მოდის გზაზედ. წინ მგზავრები მოდიან. მუქა-ნახევარა მაშინვე დაიკუზა და ისე მიიპარება. მგზავრებმა დაიმახეს: ეგ სწორეთ კაც კაცი არ იქნე-

ბა, რომ მაგრე მიიპარებო, გადმოუხტენ და დაუწყეს ცემა, სულ ძროხასავით აბლავლეს.

— რათა მკლავთ, კაცო, რა დავიშავით ისეთიო, ჰკითხავს დაბევილი მუჭა-ნახევარა.

— თუ შენ კაი სწორე კაცი ხარ, რას მიიპარებოდი დაკუჭულიო?

— მაშ რა შექნაო.

— უნდა სწორეთ იაროვო.

წამოვიდა მუჭა-ნახევარა გადრეცილი, თითქო სარიაო, მივიდა შინა და კარებში ველარ შევტია.

ჭირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 46—ორი მონადირე

ორი მონადირე ტყეში ნადირობდნენ; მოკლეს ირემი; ჰური ჰშიოდათ; ხორცის შეწეა მოინდომეს, ცეცხლი არა ჰქონდათ; ერთი ცეცხლისთვის წავიდა.

ბევრი ეძება, ბევრი იარა, ვერსად იშოვა. ბოლოს ერთ ადგილას დაინახა ცეცხლი. იარა მონადირემ, იარა, მაგრამ რამდენსაც ის შიდიოდა, ცეცხლიც ჰშიორდებოდა. როგორც იყო, მივიდა ცეცხლთან. ცეცხლის პირაზედ ერთი კაცი იჯდა; მონადირემ ცეცხლი სთხოვა. კაცმა დაიწვია, დაჯექო. კარგი დარი იყო, დაღამდა და მთვარეც ამოვიდა. კაცმა უთხრა: ცეცხლს არ მოგცემ, სანამ არ მებტყვი, ის მთვარე საიდრო არის თუ სადაროვო? მონადირემ არც აკრე და არც აცხელა, პირდაპირ უთხრა: სადარო არისო!— შე ვირო, საიდან იცი, რომ სადარო არისო, უთხრა კაცმა, და მონადირე ვირად იტყა. თურმე ის კაცი ღმერთი იყო; დააბა ღმერთმა ვირი და დაჯდა.

უცადა მონადირემ ამხანავს, უცადა, რო არა და არ მოუვიდა, ადგა თვი-თონაც იმის საქმენგლიდ წავიდა. ბევრი სიარულის შემდეგ იქ მივიდა, ღმერთს რო ცეცხლი ენათო. ვერ ამხანავის ამავე ჰკითხა: ამხანავი ცეცხლისთვის გამოგწავნენ და ხომ არ ვინახიაო? ღმერთმა უპასუხა: მოდი, შეილო, ვერ ეს მითხარ, ის მთვარე საიდრო არის, თუ სადარო, და მერე გეტყვიო!— შე კაი კაცო, უპასუხა მონადირემ, მე ხომ ღმერთი არა ვარ, მე საიდან მებტყინება, დარი იქნება თუ ავდარიო.— მოდი, შეილო, მოდი, ცეცხლიც წაიღე და ეს ვირიც შენთვის მიჭუტებია, წადი, სხვამ რო ორ და ოთხ ვროშად ზიდოს კოკა, შენ ერთ გროშადა ზიდეო!

წავიდა მონადირე, წაიყვანა ვირიც. ვირც ორ კაპიკად ჰზიდავს, ის კაპიკად ჰზიდავს. გაუკირა საქმე ვირსა, მერე აღარ შეეძლო. ტყუა ჰქონდა კაცისა, მაგრამ ენა არა ჰქონდა და ვერაფერს ამბობდა. იმ ქალაქში ერთი წესი იყო, შუა ქალაქში ერთი ბოძი იდგა, ბოძზედ ერთი ზარი ეკიდა. ვისაც ძალიან გაუ-



კირდებოდა, მივიდოდა იმ ბოძთან, შენაძრევედა, ზარი დაირეკებოდა. მაშინვე ყველა იფიქრებდა, რომ უთუოდ ძალიან გაქირვებია, და უშველიდნენ, ვირმაც ისე ჰქნა; წავიდა, დარეკა ზარი და დადგა იქვე. მოვიდა ხალხი, ნახეს ვირია. რას იზამდნენ. აღბათ ძალიან თუ გაუქირდა და ღვთის განგებით მოვიდაო. მაშინვე მოძებნეს იმის პატრონი, აპოენეს და უთხრეს, რომ ცოდვა არის, რადა სტანჯავ ასე ამ პირუტყვეს, გვერდები აღარა აქვსო.

— ესე, ესე, ეტყვის ის კაცი, ორი ამხანაგი ვიყავით, ტყეში ცეცხლი დაგვიქირდა, გაეგზავნე ცეცხლის მოსატანად ერთ კაცთან და აღარ მოვიდა. მერე მე წაველ, ვნახე ის კაცი, ვთხოვე ცეცხლი და მკითხა: ამა ის მთვარე საედრო არის თუ სადაროვო. მე უთხარ, ღმერთმა იცის, მე რა ვიციო. იმ კაცმა ცეცხლიც მომცა და ეს ვირიც და მითხრა, რომ, რაც შეიძლებოდა, ძალიან გამესარჯა.

იქ მდგომმა ხალხმა მაშინვე იფიქრა, რომ უთუოდ ეს ვირი ამის ამხანაგი იქნება, ის კაცი ღმერთი იქნებოდა. ეს ვირი აეჭირათულებს რასმე და მხარჯავდა და იმის გამო არის ასე ვერად ნაქცევით. მაინც უთხრეს, რომ შეგნებით შეინახე, ცოდვა არის, პირუტყვია, ვერ იტყვის, რა უქირსო.

კაცმა წამოიყვანა ვირი. მოვიდა ღმერთი იმასთან და უთხრა: კაცო, შენ მგონი ამხანაგი გყავდა, რატომ არ ეძებ, სირცხვილი არ არისო?!

— რა ვქნა, შენი კირიმი, ბატონო, უპასუხა იმ კაცმა, შენი სიტყვით მე აქ წამოველ და მე მგონია, რომ ის შინ ცოლთან მივიდოდა, და ჯერ იქ არ წავსულვარო. ღმერთმა უთხრა, წადი, ნახე, იქნება მივიდაო. წავიდა კაცი. ვირიც თან მიიყვანა. სახლს რო მიუახლოვდა, გამოეცხადა ისევ ღმერთი და უთხრა: ეს ვირი აქ დაიბი და შენ იმ ამხანაგის სახლში შედო. ის კაცი იქ შევიდა.

თურმე ამ ვირის ცოლს ეურო ჰყოლია და დროებს ატარებდნენ. იგრძნო ვირმა და დაიწყა ყოყოყინი. ღმერთი მიუახლოვდა, გადასწერა ჯვარი და აქცია კაცად. მერე უთხრა (ერთმომ გაგონებით იცის და თვითონ ღმერთი არ არის): შენ რომ ერთმა კაცმა გკითხა, ის მთვარე სადარო არის თუ საედროვო და შენ რო უპასუხე, სადარო არისო, საიღამ იცოდი შენ, რო ის სადარო იყოვო? თუ მაგრე გულთმისანი იყავ, ის რატომ არ გაიგე, რომ შენი ცოლი სხვას ჰყვარობდაო? ის უფრო ახლოს არ იყო და მუდამ გვერდს გეწევა. მალლა ცაზედ შენ საიღამ შეიტყობდიო?! შედიო, უბრძანა, და ნახე შენი ცოლიო.

შევიდა კაცი სახლში, თან ერთი მოჭნილი სახრე შეიტანა, მიარბილა ღამისათ ცოლი, ამოქრა კიტლაყი და გაავლო.

## 47 — ორი სოვდაგარი

ერთ ქალაქში გვერდის გვერდ ორი სოვდაგარი ეაქრობდა. ერთს დიდი ვაქრობა ჰქონდა გამართული, აუარებელი მუსტარი მისდიოდა, და მეორეს კი ცოტა. საღამოთი ვაქრობას რო მორჩებოდნენ, დაკეტავენდნენ დუქნებს.



ერთი ას თუმანს ვაქრობდა დღეში, მეორე კი ხუთ მანეთს. როგორღაც ას თუმანს ვაქრობდა დღეში, საღამოთი რო დუქანს დაკეტავდა, გულამოსა კენით იტყოდა: ოჰ დღესაც ვიზარალე, ზარალის მგები არაფერი ყოფილაო! მეორე კი ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ეს ხუთი მანეთი ვივაქრო.

ხუთი მანეთის მოვაქრეს ესპოდა ასი თუმნის მოვაქრის სიტყვები და უკვირდა. უგდებდა ყურს. რამდენი დღეც დაღამდებოდა, ასი თუმნის მოვაქრე დაკეტავდა დუქანს და ისევ იმის ვტყუოდა. ითმინა, ითმინა ხუთი მანეთის მოვაქრემ, ველარ მოითმინა და ერთხელ უთხრა: კაცო, მე ხუთ მანეთს ძლივ ვვაქრობ დღეში, შენ კი—ას თუმანს და კიდევ ზარალს იძახი, მგები რაღა გინდა, ღმერთი არა გაქვსო!

— ეჰ, ჩემო ძმაო, უბასუბა ასი თუმნის მოვაქრე სოვდაგარმა, მგები ზარალი განა შეიძლება კიდევო? რამდენი დღეც მიღის, იმდენი ჩვენ სიკოცხლეს აკლდება და იმდენი უფრო ახლო და ახლო მოდის სიკვდილი. თუნდა ათასი თუმანი ვივაქრო დღეში, წარსულ დღეს რაღას ვუშველი, როგორღა დავაბრუნებო. რამდენიც უნდა ვივაქრო, ეს დღეები კი თავის წესით მიდიან და მიკლდებიანო.

## 48—ხემწიფის შვილისა და ხემწიფის აბბავი.

ერთი დიდებული ხემწიფე იყო; როდესაც დაბერდა და სიკვდილის ემშ მიიწია, დაუძახა თავის ერთადერთ მემკვიდრე შვილს და უთხრა: შვილო, ხო ჰხედავ შენი თვალით, დღეს არა, ხვალ მოვეცდები, ფეხი სამარეში მიდგია, ქვეყანა შენ ხელთ უნდა მოტყე, შენი თავიც შენ უნდა ჩაგაბარო, წადი ეხლა და ყველა ქვეყანაში თითო სახლი აიშენე, რომ გაჭირვება იქნება თუ სხვა რამე, დროზედ თავი იქ შეაფარო.

შვილმა გაუგონა მამის ბრძანება, ხანის დაოხანებულად ადგა მაშინვე, წაიღო ფული და წავიდა თავის სახემწიფოში. სადაც მოეწონება ადგილი, მთა იქნება, გორა, სოფელი თუ ტყე, მშენიერი სახლები ააშენა, როცა ყველგან მორჩა, დაიღვა თითო სასახლე, გულ-დასვენებული დაბრუნდა მამასთან.

მამამ დაუძახა თავისთან შვილს და გამოკითხა ყველაფერი: რა ჰქენ, შვილო, ააშენე ყველგან სახლები, როგორც ვითხარ, ყველგან გვექნება თავშესაფარი გაჭირვებაშიო?—ავაშენეო, უბასუბა გულ-დამშვიდებით შეილმა, სადაც ან მთა ან კორღი მომეწონა, ყველგან თითო მშენიერი სასახლე დაეფუტო.

— ეჰ შენს მტერსა, შვილო, შენ ის სახლები არ ააშენებია, რაც მე ვითხარო. ცარიელი სახლები, შვილო, გაჭირვებაში კაცს ვერ შეიფარებენ. მე ის ვითხარი, წადი, ყველა ქვეყანაში თითო პატროსანი კაცი გა-

იმგობრე, შეიყვარე, და შენი სახლი ის იქნებოდეთ. რა ჭეყანაშია კაცის კარგი და მატეოსანი მგვობარი ჰყავს, იქ იმისთვის სახლიც არის და მიწა-წყალიცაა...

## 49 დედაბრის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე, ამ ხემწიფეს დიდბანს არა ჰყვანდა ვაჟი. ბოლოს ეყოლა ვაჟი. ხემწიფე თავის შვილს ძალიან უფთხოვლად ეზობდა და არსად არ უშვებდა სასახლის გარედ. ერთხელ ხემწიფის შვილი სწორებში მშვილდ-ისრობას თამაშობდა. ამ დროს წყლიდან ერთი ბებერი მოდიოდა და წყლიანი კოკა გამოატარა ბავშვების ახლოს. ბიჭებმა უთხრეს ხემწიფის შვილს, აბა აი კოკას ვერ გაუტეხ იმ ბებერსაო. ხემწიფის შვილმა ჩააგდო ისარი კელოში და ესროლა. ისარი მოხვდა კოკის ძირს, გატეხა, და წყალი კისერზე გადაესხა ბებერს. მობრუნდა ბებერი, უნდოდა დაეწყველა კოკას გატეხი, მაგრამ რატო დაინახა, რომ ხემწიფის შვილი იყო, უთხრა: ხემწიფის შვილო, დასაწყველად მენანები, დედის ერთა ხარ, მაგრამ გატეხი: ცხრა ძმა დევს რომ და ჰყავს, იმის სურვილიც ჩაკვარდნია გულშიო. ხემწიფის შვილმა ყველა ეს დაიხსოვა.

ხანი გადიოდა; ხემწიფის შვილი გაიზარდა. ეხლა ხემწიფე იმის საცოლესათვის-ლა ზრუნავდა. გაუგზავნეს ხემწიფის შვილს საკითხავად, ვინ გინდა ცოლად, რომ შეგროთათო. ხემწიფის შვილმა უთხრა, რომ თუ იქნება ცხრა ძმა დევებს რომ და ჰყავს, ის იყვეს, თორე მე არც ცოლი მინდა და არც ხემწიფობაო. დალონდა ძალიან ხემწიფე: ცხრა ძმა დევების და საიდგან უნდა მოეგვარაო ჩემ შვილსაო.

ხემწიფემ დაიბარა შვილი და უთხრა, რომ შენგან არჩეულ საცოლეს მე ვერა გზით ვერ მოგგვრიო. შვილმა უთხრა, დედაბრის შვილი და მე წავალთ და მოვიყვანთ იმ მზეთუნახავსაო. ხემწიფე ჯერ არ დაჰყვა, შვილი როგორ უნდა გავგზავნო დევებთანაო; ბოლოს დაიყოლია, როგორც იყო, შვილმა. ხემწიფემ დაიბარა დედაბრის შვილი და უთხრა: ჩემ შვილს შენ გაბარებო. დედაბრის შვილი და ხემწიფის შვილი სწორები იყვნენ და ერთად იზრდებოდნენ.

დედაბრი შვილი ძალიან ღონიერი იყო; ჰქვას რომ ხელს მოუქერდა, მაშინვე ფქვილად აქცევედა, და ძალიან ჭკვიანიც იყო. დედაბრის შვილმა უთხრა: შვილდ-ისარი გამოკეთეთ რკინისა, და წავალთო. მაშინვე დაიბარეს მკედლე-ბი, გააკეთებინეს ხუთმეტრი ლიტრიანი მშვილდი და მიუტანეს დედაბრის შვილს. მოსწია დედაბრის შვილმა და მიგრიბ-მოგრიბა. გაუკეთებინეს ოც ლიტრიანი, იმასაც ასე უყუო; ოცდახუთიანი—იმასაც. ბოლოს გაუკეთებინეს ორმოც ლიტრიანი. ეს კი კარგა მოხვდა ხელში დედაბრის შვილს; გადიოდა მხარზედ, და გაუღვინე გზას.

სანამ იმათ სახემწიფო იყო, ივნებდნენ გზას, მაგრამ მერე კი აღიარ იყოდნენ, საითკენ წასულნიყვნენ. ბოლოს, დედაბრის შვილმა უთხრა: გაეც-

რავ ისარს, და ჩვენც ვიყუევით იმის კვალსაო. ჩააგდო კილოში ისარი, მო-  
პზიდა ბაწარს და გამსტყორცნა. წავიდა ისარი, გადაიარა ცხრა მთა და  
დაერქვა შეიდ ძმით დევეების ბაღში. დედაბრის შვილი და ხემწიფის შვილი  
გაპყვნენ ისრის კვალს: ზოგან ხე იყო ისრისაგან მოტეხილი, ზოგან მთას  
პკონდა მოგლეჯილი პირი. იარეს, იარეს და მიადგნენ დევეების სახლქარს,—  
დევეებს ვენახი პკონიყოთ, ღვინო ესვათ,—შევიდნენ შიგ, ხილსა ხილობ-  
დნენ და ჩრდილსა ჩრდილობდნენ.

დევეების დედა მალა იჯდა ბანზედ, კანდარივით ტარი ეკირა ხელში  
და ზედ დოლაბი პკონდა კვირისტავად. დევის დედამ სთქვა: ვინ არიან  
ეგენი, რომ აქ მოსულანო, ზემი შეილებს შიშით ცაში ფრინველს ვერ  
გაუფრენია, დედამიწაზე კიანჭველასა, და ეგენი-კი მანდ დასეირნობენო.  
აილო და ვადმოაგდო კვირისტავი და დაუძახა დედაბრის შვილს: წამო-  
დი, შეილო, კვირისტავი ვადმომივიარდა და ამომაწოდეო. მივიდა დედა-  
ბრის შვილი, მოაელო ხელი დოლაბს, ესროლა ამ ბებერს და კბილები  
შეამტერია. ბებერმა დაუძახა, შე დამეხილო, რატომ ფრთხილად არ ამოაგ-  
დეო.—აი შე, სულელო ბებერო, დაუძახა დედაბრის შვილმა, იქნება შენა  
გგონია, რომ მე მომატყუებ, ვანა არ ვიცი, რადაც ვადმოაგდეო.

სადამოზედ მოვიდნენ შეილნი ძმანიც, მოიტანეს შვიდი ირემი, შვიდი  
კანდარი და დაყარეს კარებზედ. დევებმა დაინახეს დედაბრის შვილი და  
ხემწიფის შვილი და უთბრეს ერთმანეთსა, კარგი ვახშმის ჩიტებია, რატომ  
საშამფურკები არ მოვიტანეთ, რომ შეგვეწვაო. მერე დაუძახეს: ჩვენი ში-  
შით ცაზედ ფრინველი ვერ გადივლის, და თქვენ როგორ გაპბედეთ, რომ  
ჩვენ ვენახში ხილსა პხილობთ და ჩრდილსა ჩრდილობათო. დედაბრის შვილმა  
დაუძახა: თქვენ ბაღში გვიშლით სიარულს, და მე ვახშმადაც თქვენსას ვიქ-  
ნებოი. დევებმა იფიქრეს, თუ ღონიერი არ იყვეს, ვერე გულადად არ ილა-  
პარაკებდო. დაატყვეს ირმები, ჩააფეს ქვაბში და დაუძახეს დედაბრის  
შვილს, წამოდი, ქვაბი შემოგვიკიდეო,—გამოცდა უნდოდათ დედაბრის  
შვილისა. დედაბრის შვილი მივიდა, მოაელო ხელი ქვაბს და შედგა ცეცხლ-  
ზედ. მოიხარნა ირმები; მიიტანეს დევებმა ვახშამიც, დედაბრის შვილმა უთ-  
ხრა: მე უღვინოდ არ შემოძლიან ქვაბი და არც ამ ხემწიფის შვილსაო. დე-  
ვებმა უთბრეს, ღვინო გვაქვს, მაგრამ ძალიან ძირს არის ჩადგმული და, სა-  
ნამ ვავთხრით, კიდევ გათენდებო. დედაბრის შვილმა მოითხოვა, ბარი მო-  
მიტანეთო, და ასწიელებინა, სადაც ღვინიანი ქვევრი იყო; მივიდა, ჩაან-  
გრია ქვევრის ნაპირები, გადააქალა ზვეიღვან მიწა, ამოსწია ოთხმოც ჩა-  
ფიან ქვევრს, ამოიღო რლიის ძირში და მოიტანა კერაზედ. იმ ღამეს ძალიან  
დალიეს; დედაბრის შვილიც იქ იყო იმ ღამეს.

მეორე დღეს გასწიეს თავის გზაზედ. დედაბრის შვილმა აგდო ისევ  
ისარი; ისარმა გადაიარა რვა მთა და დეცა რვა ძმა დევეების კარებზედ.  
გაპყვნენ ისრის კვალს და მიადგნენ დევეების სახლს. შევიდნენ ბაღში და  
ხილი იხილეს. იმ ღამეს რვა დევებთანაც ისე გაატარეს. მეორე დღეს დედა-  
ბრის შვილმა აიღო ისარი; ისარმა გადაიარა ცხრა მთა და ჩაერქო დევეების  
სახლის კარებში. გაპყვნენ ისრის კვალს და მივიდნენ ბოლოს ცხრა ძმით

სადგომთან. შევიდნენ ბაღში, მიიარ-მოიარეს და ვაშლთან მივიდნენ; ვაშლის ძირში კიანი ვაშლი ეყარა. ხელმწიფის შვილმა აიღო და დაუწყო ჭამა დედამბრის შვილი გაუჯივრდა: განა ვაშლი დაიღია, რომ კიანელსა სკამო. მოავლო ერთ რიკს ხელი, ესროლა ვაშლს, ჯერ ზევით აახვეტიან ვაშლის ტოტები, მერე ძირს წამოვიდა და ჩამომტვრია. ვაშლი ყვითლად გაიშალა ხელმწიფის შვილის ფეხებთან.

დევების დედა მალა მჯღადარყო და ერთო. დანახა თუ არა ბაღში დაუბატოებელი სტუმრები, დაუძახა: თქვენ რა ხალხი ხართ, რომ ჩვენ ბაღში შემოსულხართო. ჩემი შვილების შიშით ცაზედ ფრინველი ვერ გადივლის, მიწაზედ კიანქველა, და თქვენ ხილსაც მხილობთ, ჩრდრლსაც მჩრდილობთ და ვაშლსაც ამტვრევთო.— ამაღამ ვახშამსაც თქვენთან ეჭამთო! დაუძახა დედამბრის შვილმა. დევების დედამ იფიქრა, თუ არ შეეძლოს, აგრე ამაყად არ ილაპარაკებდაო. შოდი, კვირისტავს გადევჯდებ, და თუ მეტრია და ისეე ამაწია აქნობამდე, ღონიერი იქნებაო. გადმოავლო კვირისტავად წადები დოლაბი და დაუძახა დედამბრის შვილს: აბიკა, კვირისტავი გადმომივარდა, და რომაწოდო. მივრდა დედამბრის შვილი, მოავლო ხელი დოლაბს და გაანება თავი ბუქრისკენ. დოლაბი მოხვდა კბილებში ბუბერს და სულ ერთიანად ჩააღწია. დევების დედას ერთი კბელი ქვესკნელში ჰქონდა ჩაშვებული და ერთი ცაში ჰქონდა მიბჯენილი.

საღამოზედ მოვიდნენ ძმანიც, მოიატანეს ცხრა ირემი და ცხრა ზეხმელი. დაინახეს დედამბრის შვილი ბაღში და გაუხარდათ, საქმელი გაგვრნია ერთ ძმის შინ შესვლა მოუნდა, მაგრამ შეიკვდა, ევლარ შევტია: დედამბრის შვილის ისარს ნახეირი კარები დაეკრია. დევემა დაუძახა ძმებს, ისარს ებრძოლეს ამოსადებლათ ბევრი ძმებმა, მაგრამ ვერ ამოიღეს დედამბრის შვილის ისარი. ბოლოს იფიქრეს, ეგ ძალიან ღონიერი უნდა იყოს, რომ ისარიც ვერ დავდართ იმისო. ბოლოს იშთაც ისა სთქვეს: დაფუძახოთ და ქვაბი შევიდგმეინოთო. ჩაყავს ირმები, ჩაყარეს ქვაბში და დაუძახეს დედამბრის შვილს: შენ ქართველი იქნები, წამოდა, ერთი თქვენებურათ მოგვიხარშე ხორციო.— ჩვენებურად მოგიხარშავთ და ჩვენებურად ეჭამთო, მიუგო დედამბრის შვილმა, აიღო ოთხ ურია ქვაბი, რომელსაც ოთხი ძმანი ძლივს დგამდნენ ცეცხლზედა, შედგა ზედადგარზედ. ვახშამზე დედამბრის შვილმა ღვინო მოითხოვა, ჩემი ხემწიფე უღვიწოდ ვერა სქამს პურსაო. დევებმა იფიქრეს: თუ ყმა ასეთი ღონიერია, ხემწიფე რაღა იქნება, შოდი, მიეფერნეთ, რა არ დაგვხოცონო.— ერთი წლის სათვალავი გვაქვსო, მიუგეს დევებმა, და ღრმად არის ჩაფლული, და თუ ამოიღებ, დაელოთო. შირკვა დედამბრის შვილმა დევები, ამოათბრევინა ქვევრი, დაავსეს რუმბები, მოიტანეს და დაიწყეს სმა ღვინისა. დედამბრის შვილი გამომხრავდა ძვალს, შიარტყავედ ერთ-ერთ დევს და დაუბიტბდა: ქართულად მოეხარშე და ქართულად გიხლებითო.

ბოლოს დედამბრის შვილმა გამოუცხადა დევებს: მე ვავიგე, რომ თქვენ კარგი და გყავთ, და თუ იმას მისცემთ ჩემ ხემწიფეს, ხო კარგი, არა და— გაწყვეტოთ. დევებს მტრ ღონე აღარა ჰქონდათ, უნდა მიეცათ და ხემწიფის შვილისთვის.



მეორე დღეს ხემწიფის შვილი და ქალი ერთად დაადგეს მარტოკები, და დედამბრის შვილმა კი დევები სანადიროთ წაასხა, როდესაც წავიდნენ აველანი, ქალ-ვაეთ ბევრი უაღერსეს ერთმანეთს, ქალმა ყველა გასაღებები მისცა თავის ქმარს, დაატარა ოთახები და აჩვენა თავის ძმების სარჩო. ბოლოს დაღალულს დაეძინა ვაეთს კალთაზე.

ვაემა თმების ქვეშაში და იღერსში, ერთ ნაწინავის ძირში იპოვნა ერთი პატარა გასაღები. ვაემა იფიქრა: უყურე ამ მოუნათლავს, ჩემთვის რო ყველაფერი არ უთქვამსო, აიღო, შეეხსნა გასაღები და წავიდა ოთახებში. გარკარა რვა ოთახი საესე ოქრო-ყერცხლით და თვალ-მარგალიტით და მიადგა ერთ ოთახს. ოთახის კარი დაეკეტილი იყო გარედგან. ვაემა იფიქრა, აქ რაღაც იქნებოა, გააღო კარები და რა ნახა! შეიღ-ეყო გაჭყვებით დაბმული იყო დევ-კეთიანი დევი.

დევ-კეთიანი ცხრა ძმით დევების მტერი იყო, დის მოტაცება უნდოდა და ღრუბლით ეომებოდა დევებს; დევ-კეთიანი იმტომ ერქვა, რომ არც ისარი და არც ხმალი არ მიეკარებოდა, არაფრით მისი დაჭერა არ შეიძლებოდა; ბოლოს ცხრა ძმა დევებმა დაიჭირეს და დააბეს. დევ-კეთიანმა რაკი დინახა მზის სხივი, მიიწიგ-მოიწია, მოჰხიდა გაქვებს, მიწყვიტ-მოწყვიტა, გამოვიარდა ვარეთ, გაიტაცა ქალი და გაუდგა გზას. ვაეს გული შემოეყარა: როდესაც გონს მოვიდა, ადგა და მოჭებნა ქალის ოთახი, მაგრამ საღდა იყო ქალი! დაიწყო ტირილი ხემწიფის შვილმა, მაგრამ ტირილით რასღა უშველიდა.

დედამბრის შვილმა ერთი სწოლით გაატაინა ცხრა ირემა, მოჰკიდა დევებს და წამოვიდნენ შინ. დედამბრის შვილმა ნახა ნამტირალევი ხემწიფის შვილი და მაშინვე გულში მოჰხვდა, აქ რაღაც უპედურება მომხდარაო. ხემწიფის შვილმა ყველა უამბო, რაც მოხდა. დაუკრიტეს კბილები დევებმა ხემწიფის შვილს, მაგრამ დედამბრის შვილმა უთხრა დევებს: მე წავალ იმ დევის მოსაძებნელად და ხემწიფის შვილს აქ დაგიგდებთ; ოცი დღე რა გავა, თუ მოველ, ხო რა კარგი, ვერა და—რაც გინდათ, ის უყავით ხემწიფის შვილს,—თქვენი ტყვეო!

ადგა დედამბრის შვილი, აიღო თავის ორმოც-ლიტრიანი, ასენა ღმერთი და შეუდგა გზას. იარა დედამბრის შვილმა, იარა და მივიდა ერთ სახემწიფოში. შეხვდა, ერთ მღვდელს ზურგზედ ეკიდა საყდარი, ხან ერთ სოფელში დადგამდა ილოცავდა, ხან სხვაში. დედამბრის შვილს გაუვიარდა და უთხრა: შენ ძალიან ღონიერი იქნები, რო საყდარი მოგიკიდნია ზურგზეო. მღვდელმა უთხრა: ღონიერი მე კი არა ვარ, ღონიერი დედამბრის შვილია, რო ცხრა ძმა დევს და წაართვა და თავის ხემწიფეს დაუწვა ცოლადაო. დედამბრის შვილმა უთხრა: მე ვარ ის დედამბრის შვილიო. მღვდელს ძალიან გაუხარდა და მოახსენა: ან მიძმედა ან მიყვეო. დედამბრის შვილმა იძმო, და გაწიეს.

იარეს, იარეს და მიადგნენ ერთ დიდ მდინარეს. მდინარის პირს ზის ერთი დაღონებული კაცი, მივიდნენ მღვდელი და დედამბრის შვილი და ჰკითხეს: რას დაღონებულხარ, ან ამ წყალთან რას ზიხარო. კაცმა უთხრა: წყა-

ლი მწყურიათ და ვერ დამიღვვია, ერთი ყლუპი რო გამომივიდეს, მეორე აღარ გამომივაო. დედამბრის შვილმა უთხრა: კაცო, ჩვენ ვასვლავ არ შეგვიძლიან, და შენ სისმელადაც არ გყოფნისო. წყალიხერტიაშ უთხრა: მე რა ვარ, რაც არის დედამბრის შვილია, ცხრა დევს და რო წაართვა და თავის ხემწიფეს ცოლად დაუსვიაო. დედამბრის შვილმა უთხრა, ის მე ვარ, და გაგვიყვანე წყალსო. წყალიყლაპიის ძალიან გაუხარდა და მთხოვა დედამბრის შვილს, ან მიყმე და ან მიძმო. დედამბრის შვილმა იძმო, და წავიდნენ სამნი.

კარგა გზა გაიარეს და ნახეს ერთი კაცი, მიწაზედ გაწოლილია, და დუღვია ყური მიწისთვის და იცინის. დედამბრის შვილი მივიდა იმასთან და ჰკითხა: რის იცინი, ან მიწაზედ ყური რად დავიდვიაო!—როგორ არ გავიცინოო, უთხრა იმ კაცმა, გე წამოგწექ, მინდოდა დამესვენა, ხმა რაღაც მომდისო, აღარ მსვენებს, ერთი აღიქოთი დგაო. დავადევ ყური მიწას და გავარჩიე: ქიანქველევს ომი აქვთ, ერთ ქიანქველეს ბარძაყი მოსტეხეს, იმას უხვევენ, და ის მაინებსო.—ჩვენ კაცის ფეხის ხმა ვერ გაგვიარჩევია დედამიწაზედ, და შენ კი დედამიწის ძირში ქიანქველეების ომსაც ურს უგდებო; საკვირველი კაცი ჰყოფილხარო, უთხრა დედამბრის შვილმა.—საკვირველი მე კი არა ვარ, საკვირველი დედამბრის შვილია, რომ ცხრა დევს და წაართვა და თავის ხემწიფეს დაუსვა ცოლადო.— მე ვარ ისაო, უთხრა დედამბრის შვილმა. ქიანქველეების მავურებულმა უთხრა: ან მიძმე და ან მიყმეო, მე შენთან მინდა ყოფნაო. დედამბრის შვილს ძალიან გაუხარდა: სწორედ ისეთ კაცებს ჰპოულაოდა, როგორც იცინისთვის იყო საჭირო; მაშინვე იძმო, და გაუდგნენ გზას.

ნახეს, კაცი დგა, აუღია თავი და შეიკვირება ცისაკენ.—რას დგებარ და ცაში რას იკვირებო? ჰკითხეს იმს. ცაში მაქვერალმა მოახსენა: შარშან ისარი შევაგდე. ესლა დამარუნდა, და ველი, როდის ჩამოვარდება ან საითკენ მიხვრის ჰართო. როდესაც დედამბრის შვილმა და იმისმა ამხანაგებმა გაიკვირეს იმის თვალის გაჭრა, იმანაც უთხრა: მე კი არა, საკვირველი დედამბრის შვილია, რომ დევებს და წაართვა და თავის ხემწიფეს ცოლად დაუსვიაო. დედამბრის შვილი გამოემუნაურა, იძმო, და წავიდნენ.

ესლა გასწიეს ხუთთ. გზაზე ერთ კაცს შეხვდნენ,—მოჰგლეჯდა ერთ გორას, აიტანდა სხვა მთაზედ და დაგორებდა. დედამბრის შვილმა ჰკითხა: მაგას რადა შერებო?—სხვა ველარაფერი მომიგონებია ჩემ გასართობადი და გორებს და ვგლეჯო, უთხრა გორგლეჯიამ. ესეც იძმეს და გაწიეს.

ერთ კაცს შეხვდნენ გზაზედ, ფეხებზედ დოლაბები ჰქონდა წამოცმული, დაძვედა წერილიანში კურდღლებს და იჭერდა. ესეც იძმეს და წავიდნენ.

ესლა უთხრა დედამბრის შვილმა: ჩვენ უნდა გავიგოთ, ვერ სად არის დევ-კაციანი, მიწაშია თუ ცაშიო, და ისე მოვძებნოთო, თორე ვერც წარაუგონათ სიარული რას გვარგებსო. ცაქვერტიას უთხრა: ამა იხედღე, იქნება ცაში იყოსო. ახებდა ცაქვერტიამ, ბევრი ეძება და ბოლოს სთქვა: ცაში არსად არისო. ახლა ქიანქველეების მავურებულმა ჩაიხება ქვესქნელში,



დაადო ყური დედამიწას და გაუძღვა წინ ამხანაგებს, დევ-კაციანთან შე მი-  
გაცვანთო.

იარეს, იარეს და ერთ გორას მიადგნენ. გორაში საშინელი ხმა ისმო-  
და. ჭიანჭველების მაყურებელმა უთხრა: აქა აქვს ბინა დევ-კაციანსა, და  
როგორ უნდა ჩავიდეთ, კარი არა აქვს და ერთი და მეორეო. დედაბრის  
შვილმა უთხრა: ამა გორიგლეჯივ, თუ რამ შეგიძლიან, ეხლა გამოიჩინეო.  
გორიგლეჯივ მოხდო გორას ხელი, მოგლიჯა და გადმოაგორა. მღვდელმა  
მოიკლა და გაიტანა შორს. მიადგნენ ციხის წვერსაც. ციხის წვერიდგან ალი  
ამოდიოდა. თურმე დევ-კაციანი როდესაც ამოისუნთქებდა, ცეცხლს ამო-  
პყრიდა.—ვინ უნდა ჩავიდესო, დაიწყეს ამხანაგებმა. ვერაინ ვერ გაბედეს ჩსვ-  
ლა. დედაბრის შვილმა უთხრა: მე მომაბიო თოკები და, როდესაც ცეცხლი  
ჩადგება, ჩამიშეთო. მოაბეს თოკები და ჩაუშვეს. დაიძაბა დედაბრის შვილმა:  
დავიწვიო! მაგრამ უფრო ჩაუშვეს. ბოლოს დედაბრის შვილმა ფეხები დაადგა  
მიწაზე და ამოიქცია სული. გაიარა დევის ოთახები და ქალის ოთახს მიადგა.

ქალს კლდე გაუხარდა დედაბრის შვილის მისვლა და კლდე გაჯავრდა:  
აქ რამ მოგიყვანაო, უთხრა ქალმა, დევ-კაციანი ხო მოგკლავსო.—მომკლავს  
და მომკლასო, უთხრა დედაბრის შვილმა, თუ შენ ვერ წაგაცვან და ჩემი  
ხემწიფის სურვილს ვერ ავასრულებო. ქალმა უთხრა: იმან ხუთი დღე ძილი  
იქცის, და მაშინ თუ რასმე უნაშს კაცი, თორე უიძისოდ იმას არაფერი მო-  
პკლავსო, მაგრამ არც მძინარე მოკვდება, რადგანაც იმის სული სხვა რაღა-  
შიაო არისო. დედაბრის შვილმა უთხრა: თუ გინდა ხემწიფის შვილი, გამოიგე,  
რაში უდგა სული დევ-კაციანსო. ქალმა დედაბრის შვილი დამალა.

ქალმა დევ-კაციანს დაუწყო აღერსი: ვერე რო მიჯვარხარ, რატომ არ  
მეტყვი, შენი სული რაში არის, რო ის სალოცავად გავიხადოო. დევ-კაცი-  
ანმა იფიქრა, რაღა ეხლა შევეყვარდი ამ ქალს, აქამდე თავისთან ახლოსაც  
არ მიკარებდო, იქნება მკლადესო, აიღო და ასწავლა: ჩემი სული ე მაგ  
ქოთნის ნატებში არისო. ქალმა იმ დროსთვის, როდეს დევ-კაციანი ნადი-  
რობილგან მოვიდოდა, აიღო ქოთნის ნატები, გარეცხა, გაწმინდა, შემოსა  
აბრაშუმის ბალდადებში და ჩადო კიდობანში. როდესაც დევ-კაციანი დაბ-  
რუნდა, ქალმა აჩვენა ქილის ნატები: აი როგორ ვინახავ შენ სულსოო,  
დევმა უთხრა: შე საწყალო, ჩემი სული მაგაში კი არა, ცოცხშიაო. მეორე  
დღისათვის ცოცხიც ისრე მორთო ქალმა. მერე კი თქვა დევმა,—უთუ-  
რღ აღარა მკლდისო, და ასწავლა: აქა და აქ ცხრა მთას რო გადავა კაცი  
და ერთ დიდ ველში რო ჩავა, იქ შეიდი მთიბელი სთიბსო; ის მთიბლები  
უთიბენ ირემსოო. ის ირემი შუადღემდე შეე მთაზედ არის, შუადღისას ჩა-  
მოვა და, თუ საქაო არ არის გათიბული, სულ ფეხით გაჭთელავსო. იმ  
ირემს ვერაინ ვერ მოპკლავს, არც ისარა და არც ხმალი, თუ ზემ შარდ-  
ში არ არის ნაწრთობიო. თუ იმას მოპკლენ, იმაში შველი ზის და ახლა  
ის გაიტყვეაო; თუ შველს დაიტყვენ, და იმაში კურდღელი ზისო. კურ-  
დღელში ყუთია, და ყუთში სამი ჩიტია: ერთია სული, ერთი ჯანი და  
ერთიო გონიო. როდესაც ისინი დაიხოცებიან, მაშინ მცე მოკვდებიო.

ქალმა ეს ყველაფერი დედაბრის შვილს შეატყობინა. იპონეს ნატები-



რი და დადგეს იმ ადგილს, სადაც დევი მიდგებოდა ხოლმე შარდისფერ ღედაბრის შვილმა აწრთო ისრები და საჩქაროდ გასწია ირმის საქმენველიადა. გაიარეს ერთი მთა, მეორე, მესამე, მეოთხე, მეექვსე, არსად არის ირემი. გაიარეს მეშვიდე და მერვე, მეცხრე გადაიარეს და გადაიხედეს, იქით ერთი უშველებელი ველია გაჭიმული, არსად ბოლო და არსად სიგრძე და სიგანე. შორს სადღაც კი სჩანს შვიდი რაღაც შავად. ღედაბრის შვილს გულში მოჰხედა, მთიბლები იქნებიანო, და დაეშვა იმათკენ.

მოვიდნენ მთიბლებთან; მთიბლებს გაუყვლეფით ერთი უშველებელი ადგილი და ნათიბი დაუგროვებიათ გროვა-გროვად. ღედაბრის შვილმა ჰკითხა: რისთვის მთიბთ მაგოდენა თივასო. მთიბლებმა უთბრეს: აიმ შავ მთაზედ ირემია, გვიტყობის, შუადღისას ჩამოვა, თუ საკმაო არ დახედება მოთბული, სუ ფეხით გაგვიტანსო. ღედაბრის შვილმა უთბრა ფეხდოლბას: ამა შენ შეეშაღდე, და დავიმაღნეთ აქვე თივის უყანაო.

მოვიდა შუადღე, და მოვარდა ირემიც. ირემმა შეხედა, მერე მოავლო პირი და ერთი ბულული თივა ერთ ლუკად გადაყლია. მერე ისევ თავი აიღო და დაუწყაო ტყერა ერთ ადგილს,—სული თუ დაიყარა. დაბრუნდა ირემი ვასატყვევად, და დაიდენა ღედაბრის შვილმა ისარი. ირემმა დაიწოჭა, დაეცა მიწაზედ და დალია სული. ღედაბრის შვილმა გასტრა ირემი; იქილამ მართლა ამოხტა შველი და გაიქცა მინდორაზედ, მაგრამ ფეხდოლობამ ჰაღე მოიკრიფა. დაიჭირეს შველი, გასტრეს; და მუკლიდგან კურდღელი ამოვარდა, მაგრამ ფეხდოლობას კურდღელი ვეღარსად გაეხვეწა. დაიჭირა კურდღელი, გასტრეს და ამოაცალეს ყუთი; გააღეს ყუთი, და შიგ ჯერ უბუშბულიო ჩიტის ბარტყები ისხდნენ.

დევი სანადროდ იყო. გულმა გაუგო, რა ირემს რაღაც დევიართაო, და გასწია შინისკენ გაცეცხლებულმა, რომ დაესაჯა ქალი. მივიდა ხერელის პირზედ, ისწია გორას და უნდა შესულიყო, მაგრამ ამ დროს ღედაბრის შვილმა ჯანის ჩიტს მოსწყვიტა თავი. მაშინვე დადუნდა დევი და ბოძად მიედგა გორას. მერე მივიდა ღედაბრის შვილი და უთბრა: გვითხარ, რა გაქვს ამ სახლში, სხვა ხო აღარავინ მოიტაცეო. დევმა თქვა, სიკვდილს ისევ სიკოცხლე სჯობიაო, მისცა გასაღებები და უთბრა: ამ გასაღებით რა ოთახს გააღებ, ექვსი ქალია, და გამოიყვანეთ; ამ გასაღებით გააღებთ ერთ ოთახს და იმაში შვიდ ცხენს ნახეთო, გამოიყვანეთ და ღმერთმა მოგებმაროსთო. მოკვლიჯა გონების ჩიტსაც თავი ღედაბრის შვილმა, აერია გონება დევიკაეიანს და ვეღარაფერი გაიგო. გააღეს ოთახები და ნახეს მზეთუნახავი ქალები, გააღეს სხვა ოთახი, და იქ რაშები ება. დაურბიგა ამბანაგებს ეს ექვსი მზეთუნახავი ქალი, დაითოოვებს რაშები, წამოიყვანეს ქალი და წავიდნენ. წასვლის დროს სულსაც მოსწყვიტა თავი, და დარჩა დევი ბოძად.

მიიწურა ღედაბრის შვილის შისვლის დროც, და მიიწურა და მიიწურა იმათი გზაც. დევები ძლივს ელოდნენ დაღამებას, რომ დაგვლიჯათ ხემწიფის შვილი ნაწილ-ნაწილ. ხემწიფის შვილი კი იჯდა და გამტკეროდა გზას, სად როდის გამოჩნდება ღედაბრის შვილიო. ბოლოს გამოჩნდნენ. წინ დედაბრის შვილი მოდიოდა, უკან მოსდევდნენ ექვსნი სხვანი და მოჰყვანდათ



ქალები. მომგვარეს ხემწიფის შეიღის მზეთუნახავი; გააჩაღეს დევებმა ქორწილი, მოჰხადეს ასკოკიანებს.

ქორწილის შემდეგ გასწიეს ხემწიფესთან. იქაც გაღიხადეს ლხინი და იცხოვრეს ყველამ ტაბილად. მალე ხემწიფის შეილი ხემწიფედ გახდა; დღაბრის შეილი თავის ვეზირად გაიხადა და სხვებიც უფროსებად, ზოგი რისა და ზოგი რისა.

ქირი იქა, ლხინი აქა,  
 ქატო იქა, ფქვილი აქა.  
 მთას ურემი წამოვიდე,  
 მოგორავდა ქიქინთა,  
 აქ სიკოცხლით დაგვიძებით,  
 საიქიოს ცხონებითა!

შაშვი იყო მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი.

## 50—მიწა თავისას მოცთხვს

იყო ერთი ქერივი დედაკაცი, ჰყვანდა ერთი ვაგი. ვაგი იზრდებოდა და ჰხედავდა, რომ იმის გარდა ყველასა ჰყვანდა მამა, მარტო ის ვერავის ეტყუოდა მამობას. შეილი გადაეტოვა დედას: დედაც, ყველას მამა ჰყავს და მეც რატომ არა მყავსო. დედამ უთხრა: მოკედა, შეილოო.

— მაშ ალარ მოეაო? ან რა არის სიკედილიო? ჰკითხა შეილმა.

— ის კი ალარ მოეა, შეილო, და ზვენ კი წავალთ იმასთან; სიკედილს ვერავინ მოერჩებოთ, ყველა მიწად ეიჭტევით, დაეიხოცებოთო.— მე არ მოთხოვნია ღმერთისთვის გამაჩინო, და რაკი გამაჩინა, რადღა უნდა მომკლასო, სთქვა ვაგმა; ისეთ ადგილს უნდა წავიდე, სადაც სიკედილი არ არისო.

დედამ აბრუნა შეილი, მაგრამ არ დაიშალა. მოიარა მოელი ქვეყანა, სადაც მივიდოდა, ჰკითხავდა, არის აქ სიკედილიო? ყველასგან ერთი პასუხი ესმოდა „არისო“. დაღონდა ვაგი, ადგილი არ იყო, რომ სიკედილი არ ყოფილიყო.

ამ დროს ვაგი ოცის წლისაც გახდა. ერთხელ ერთ მინდორზე მიდიოდა; გაიხედა წინ და შორს ერთი ირემი დაინახა; იმის რქები ღრუბლებში იყო აწვდილი. ვაგი მიუახლოვდა ირემს, მგწმონა ძალიან იმისი რქები და ჰკითხა: შენი გამწენის მადლს, არ იცი იმისთანა ქვეყანა, რომ სიკედილი არ იყოსო? ირემმა უთხრა: მე ღვთის მოციქული ვარ და ღვთის ნაწესობს ვასრულებ, სანამ ჩემი რქები ცას არ მიეხირება, მეც ეიცოცხლებ, მისწვდება ჩემი რქები ცას და—მეც მოკვდებაო; თუ გინდა შენც ჩემთან იყავ, და სანამ მე ეიქნები, შენც იცოცხლებო. ვაგმა უთხრა: თუ ეიცოცხლებ, უნდა მუდამ ეიცოცხლო, თორე აქ მოუსვლელიადაც მოკვდებადო.

გასცდა ვატი და გაუღდა გზას; გაიარა მინდორი, ველები და მებეზ ტყიანი და კლდინ ადგილს. ერთ ხვეს შიადგა: სუ პიტალო კლდე იყო და ისეთი ღრმა იყო, რომ თვალი ვერ წასწედებოდა იმის ძირს. ხვეის პირზედ კლდეზედ იჯდა ყორანი და ასკინტლებდა ხვეში. ეს ყორანიც ღვთის მოციქული იყო. ვაჟმა პითბა ყორანს: არ იცი იმისთანა ქვეყანა, სადაც სიკვდილი არ არისო? ყორანმა უთხრა: მე ღვთისგან დამწერილი მაქვს სიკოცხლე მინამდისინ, სანამ სკინტლით ამ ხვეს არ ამოვაგებო. თუ გინდა ჩემთან იყავ და შენც კოცხალი იქნები, სანამ მე არ მოგვედებო, არაფერზედ არ დაგვეორდებო ზრუნვა ყველაფერი შუა გვექნებაო. ვაჟმა ჩიხედა ხვეის უფსკრულში, მაგრამ მაინც კოცხად ვჩვენა.—გასწი, გასწი შორსაო, ეუბნებოდა რაღაც.

ამასაც გაესცა ვატი და მიათავა ხმელეთიკ და შიადგა ზღვის პირს; აუ-არა და ჩაუარა ზღვას. ერთი დღე იარა, მეორე და ვერაფერს შექმნდა. მესამე დღეს დაინახა შორს საღდაც მზღვინაფი სარკე. ვატი წაეიდა იმისაკენ და ნახა, რომ ეს მზღვინაფი სარკე სელი მინის სახლი იყო. შემოუარა ვაჟმა და ვერსად უპოენა კარები. ზოლოს ერთგან შენიშნა პატარა ხაზი, მი-ედი იმისთან და ნახა, რომ კარი იყო; გაიღო და შევიდა. ოთახში ისეთი ღამაში ქალი იწვა, რომ მხვს შექმურდებოდა იმის სელამაზე. ვაჟს ძალიან შეეწონა ქალი და ქალსაც ვატი.

ვაჟმა პითბა ქალს: მშვენიერო, მე სიკვდილს გამოვექცე, და არ იცი იმისთანა ადგილი, რომ სიკვდილი არ იყვესო? ქალმა უთხრა: მაგისთანა ადგილი არსად არის. რას ეძებ, ჩემთან იყავო. ვაჟმა უთხრა, მე შენთან კი არ წამოვსულვარ, იმისთვის წამოველ, რომ იმისთანა ადგილი ვიპოვნო, სადაც სიკვდილი არ არისო. ქალმა უთხრა: მიწა თავისას მოითხოვეს, შენ მაინც უკვდაობას ვერ შეიფერებო. ამა მითხარ, რამდენი წლისა ვიქნები მეო. ვაჟმა დაჰხვდა: ქალის ახლად აკოკრებული შვერდი, ვარდის ფერი ლოკები ისეთი საუცხოვო იყო, რომ ვაჟს ერთ წუთში დააფიწყდა სიკვდილი. ვაჟმა უთხრა: ბევრი-ბევრი ხუთაშეტი წლისა იყავო.—არაო, უპასუხა ქალმა, მე ქმნილების პირველ დღესა ვარ გაჩენილი და აქამდე სულ ასე ვარო. მე „ტურფა“ მქეინ და არც როდის დაებტრდები, მუდამ ესე ვიქნები და არც მოვედებო. შენ აქ იქნებოდი ჩემთან, მაგრამ ვერ შეიფერებ, ისეე მიწა მოგიტხოვესო. ვაჟმა პირობა დაუდგა, რომ არა დროს არ მოჰშორდებოდა. დაიწყეს ქალმა და ვაჟმა ერთად ცხოვრება. წლები წუთებოვით ფრინადდნენ; ბევრი რამ გამოიკვალა, ბევრი მოკვდა, ბევრი დამიწდა, ბევრი გაჩნდა, დედამიწა იცვლიდა პირს, ეტყობოდა; მაგრამ ვატი ვერ ამჩნევდა დროს ფრენის. ქალი ისეე ისეთი ღამაში იყო და ვატი ისეთივე ახალგაზდა.

გაფრინდა ათასი წელი. ვაჟს მოუნდა თავის ქვეყნის ნახვა; თავის დედისა და ნათესავების დანახვა მოჰწყურდა. ქალს უთხრა: უნდა წაფიდე და ენახო ჩემი დედა და ნათესავებო. ქალმა უთხრა: იმათი ვხლა ძელებიც აღარ იქნებო. ვაჟმა უთხრა: რას ამბობ, ეს სამი-ოთხი დღე არის, რაც მოვსულვარ, და როდის დაიხოცებოდნენო. ქალმა უთხრა: აქი გითხარ, მიწა თავისას მოითხოვესო. კარგი, წადი და, რაც მოგივიდეს, შენ თავს დააბრალეო. მისცა სამი ვაშლი და უთხრა, როდესაც იქ მიხვალ, მაშინ შექამეო.



წავიდა ვაგი და იი შემოხვდა ნაცნობ ადგილებს. იი ხვეიცის უბნით უფსკრული. ყორანი მაშინ-ლა მომკვდარიყო, ამოვესო ხვეი და თვითონაც გამხმარი იჯდა კლდის წვერზედ. ვაგს თვით დაუბნელდა, მოაგონდა კალის სიტყვები, გაბედა უკან დაბრუნება, მაგრამ მიწა, ბედისწერა არ უშვებდა. ისეე წინ წავიდა. გასცდა კლდეებს და გავიდა ნაცნობ მინდორზედ. გაიარა, გაანახევრა და ნახა, რომ ირმის რქა ცას მიჰყუდებოდა. ის იყო მინდორი მომკვდარიყო ირემიც. ახლა კი დარწმუნდა ვაგი, რომ მართლა კარგა ხანი გასულაო.

მაინც გასწია თავის ქვეყნისაკენ. მივიდა, მაგრამ ნაცნობი კი აღარაინ იყო. იკითხა დედა, მაგრამ იმის გამგონიც კი აღარაინ მოიპოვებოდა. ბოლოს ერთი ბერიკაცი ნახა. ჰკითხა თავის დედის ამბავი და უამბო ყველაფერი, მაგრამ ბერიკაცმა არ დაუჯერა: ის დედაკაცი, როგორც მამა-პაპის უთქვამს, ათასი წლის წინად ყოფილა და როგორ შეიძლება; რომ იმის შვილი ეხლა ცოცხალი იყოსო. ხალხს არა სჯეროდა და ამბობდნენ, ეგ ღმერთისაგან არის გამოგზავნილი საიქიოდგანაო. გავარდა ამაზე ხმა სოფლებში, და ხალხი კალიასავით ედებოდა ამ ვაგს სინახევად. ბოლოს ვაგი მივიდა იმ ადგილს, სადაც იმათი სახლი იყო; სახლის ადგილს ყვითელ ხეის მოკლებული ქვითკირის კედლები კიდევ დახვდა.

ვაგს მოაგონდა ყველაფერი, თავის დედა, თავის ბაღლობა, დაღონდა; ბოლოსა სთქვა: მოიტა, ერთი შევექამ ერთ ვაშლსო. ამოიღო, შექამა, და ხავსივით წვერი ერთ წიშში დაეკოდა წელამდე, შექამა მეორე და მოეშვა მუხლები, ველარ გაანძრია ხელი, გახდა კუტი მოხუცი. თავი შეზიზღდა; დაინახა ახლოს ერთი ვაგი და დაუძახა, მოდი, ჯიბეში ერთი ვაშლი მაქვს, და ამომიღეო. ბაღლმა ამოუღო ვაშლი, შექამა ბერიკაცმა და განუტყევა სული. გაიტანა სოფელმა და სამადლოდ დამარხა.

## 51. — პატროსანი მეცხვარე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი, ცხვართა და ძროხით გაძლიერებული კაცი. ძალიან მდიდარი იყო, ძალიან ბევრი ცხვარიც ჰყვანდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მწყემსი და სარქალი არ დაადგავინც დაიჭირა, ყველა ქურდი და ხელმარული გამოდგა. ბევრი ეძება პატროსანი სარქალი და ბოლოს ერთ კაცს შეხვდა.

— გამარჯვება! — გაგიმარჯოს! — ილაე, მგონი, თქვენ სარქალს ეძებთ, და მე დავიდგებიოთ. — შეე, ზემო ძმავ, უთხრა აღამ, ისეთი სარქალი მინდა, რომ თავის ხელით არაფერი დამაკლოს, აღალად და მართლად მოიქცეს, და ჯამაგირს, რასაცა მთხოვს, მიეცემო. — ძალიან კარგო, უთხრა სარქალმა. ზემგან შენ არაფერი დავაკლდება და არც მოგატყუილებო. გარიგდნენ ჯამაგირზე. სარქალმა ცხვარი ჩიბარა და აღა სახლში წავიდა.

გავიდა ხანი. აღა მუდამ თვე და თვე ჩამოუფლის სარქალს:

- გამარჯვება!
- გადღეგრძელა ღმერთო!
- როგორა ხარ ან შენ და ან შენი ცუარი?
- როგორც ღმერთს უნდაო.
- ჩემი საყვარელი ყოჩი როგორ არისო?
- ძალიან კარგათ ვახლავსო.
- ესა და ეს ცხეარი როგორ-ღა არისო?
- ისიც კარგათ არისო!

ისე ვავიდა კარგა ხანი. მეცხვარეს ერთი ციკნის ყური არ დაქლებია. ალა ძალიან ვახარებულა, რომ ასეთი ადამ-შართალი სარქალი იშოვა. ერთხელ წვეულებაში არიან. მასპინძელს ერთი ქეთხუდა სომეხიცა ჰყავს დაპატრებული. როცა პურის ჰამაში შევლენ, ალა დაიკვებებს, მე ასეთი და ასეთი სარქალი მყავს, ავდენი ხანია ერთი ციკნის ყური არ დაუკლიაო. გაიგონა ეს ქეთხუდა სომეხმა და უთხრა: რას გადიხდი ხანადლეოს, რომ მე ვაღალატებინოვო?—არც გინდა, ვადაშხდელი ვარ, თუ ის მე მიღალატებს და ან მომატყუილებსო. დანადღევენ ხუთას თუმანზედ. თუ სარქალი აღის საყვარელი ყოჩს დაქლავდა და დაუმილავდა აღის, ხუთასი თუმანი ამ ქეთხუდას სასარგებლოდ უნდა გადაეხადნა აღასა. თუ არ დაუმილავდა, და მაშინ ქეთხუდას უნდა მიეცა ხუთასი თუმანი აღისთვის.

გათათვეს თუ არა პურის ჰამა, ქეთხუდამ მაშინვე სახლში გასწია. წიყვანა თან თავისი ღამაში ცოლი და ჩამოუარა სარქალსა.—გამარჯვება შენო!—გავიპარჯოს ღმერთმომო!—სტუმარი არ გინდო? ჰქითხა ქეთხუდამ.—თუ კი მიკადრებთ, მობძანდით, სტუმარი ღეთისაო, უპასუხა სარქალში. მიიწვია ჰობში, გაუშალა ნაბდები,—დაბძანდითო. ქეთხუდამ ჰქითხა: ვახშად არათერს დავეიკლავო?—რატომა, ბატონოვო. ცხეარი აქვე მიყენია, შორს რბენა არ დამპირდებაო. მაშინვე შევიდა ფარტში, დაუქირა ერთ კი ცხვარს რქები და გამოათრია.—ეგ არ მინდა, სხვა უკეთესი დაკალიო, უთხრა ქეთხუდამ. სარქალი შევიდა და სხვა უკეთესი გამოიყენა.—არც ეგ მინდაო. მოდიო, უთხრა, თუ გემეტება, შენ აღას რომ ყოჩი უყვარს, ის დამიკალიო.—რა ვქნა, ბატონო, სხვის, რომელიცა გნებაეს, დაგიკლავ და იმის-კი ვერაო.

—აი ეს ჩემი ცოლი ამაღამ შენი იყვეს, და ოღონდ ის კი დაგვიკალიო. სარქალმა იფიქრა, ამ ქალის ერთი კოცნა მთელ ფარადა ღირს, და ერთი ყოჩი რა უნდა იყოს, ხომ ვერ მომკლავს ალაო. გამოათრია და დაუკლა. იმ ღამეს სარქალი ქეთხუდას ცოლთან დარჩა, ქეთხუდა კიდევ სიხარულით ყოჩის ხორცს შეეტკეოდა. მეორე დღეს ქეთხუდამ გასწია ვახარებულმა აღასთან, შორიდანვე დაუყვირა: მოვიგე ხუთასი თუმანი, აბა წადი, შენი ყოჩი მოიკითხეო.

სარქალი კიდევ დაღონდა და საგონებელში ჩავარდა, რაკი ქეთხუდა სომეხი წავიდა: ეს რა ვქენ, რაზედ შავირცხვინე თაეო. მერე ისევ გული გაიკეთა: ვეტყვი, დაეკარგე ან მგელმა მომტაცაო. მაინც გულმა არ მოუსვენა. დააუღდა ჯოხი, ჩამოაცო თავზედ თავისი ქელი და, ვითომ თვითონ აღას, ჩამოუარა.



— გაშირჯეება! — გაგიმარჯოსო! თვითონ იძლევა პასუხსაც. — ცხვიარი როგორა გყავსო? — კარგითა, ბატონოვო. — ჩემი ყოჩი როგორ არისო? — დავკარგეთ, ბატონოვო. არ მოუსვენა გულმა, კლდე ჩამოვარა, კლდე ისე ჰკოთხა. — მგელმა შემიკაშიაო. — მიჰქარავე, შენ შეგეკაშია და მიმაღავო, თვითონვე ამბობს. კლდე არ მოუსვენა გულმა. შესამედაც ჩამოვარა, კლდე ისე ჰკოთხა. — ემ, ბატონო, ერთმა ქეთხულამ ჩამოიარა, თავისი კოლიმე დამითხო, და მე კლდე შენი ყოჩი დავეუკალიო... ამის შემდეგ მოუსვენა გულმა.

მართლაც მალე მოვიდა ალაც, შოიყოლა მოწმები, მოკოთხა ცხვირის ამბავი: როგორა გყავს ცხვირიო? — ძალიან კარგითაო. — ჩემი ყოჩი როგორა და გყავსო? — შენი ქირიმე, ლავე, ერთი მღრღარი კაცი შეწვია, მოახსენა სარქალმა, ეახშნა ჩემთან დარჩნენ, თავისი საყვარელი კოლი იმან მე დამითხო, და შენი საყვარელი ყოჩი იმას მე დავეუკალიო, გინდა თავი გამოგდებინო.

მაშინვე გადაეხვია ალა და დაუწყო კოცნა: შენი ქირიმე, რომ ტყუილი არა სთქვი და არ მიღალატეო.

ქეთხულა სომეხა-კი ხუთასი თუმანიც დაკარგა და კოლიც სხვის გააღლეთინა, სარქალმა-კი ტყუილი არა სთქვა.

## 52 — ნახევარ-ქათმის მხავე

ერთი ნახევარ-ქათამი და ერთი მელაი დამშობილდნენ. წავიდნენ გზას. გზაზედ მელიამ ნახევარ-ქათამი გააჯაფრა. ნახევარ-ქათამმა უთხრა მელიას: მელია, სუ, თორე ჩაგულაპავო. მელიამ გაიცინა და უთხრა: ჩამულაპეო. გაალო პირი და გადაყლაპა მელია.

წამოვიდა გზაზედ; ერთ მგელს შეჰხვდა. მგელსაც დაუშობილდა. წავიდნენ გზას. გზაზედ მგელმა გააჯაფრა ნახევარ-ქათამი. ნახევარ-ქათამმა უთხრა მგელს: მგელო, ჩაგულაპავე, თუ თავი არ დამანებეო. — ჩამულაპეო, უთხრა მგელმა. გაალო ნახევარ-ქათამა პირი და მგელიც მელიასთან ჩააბძანა.

წამოვიდა ნახევარ-ქათამი ისევ. გზაზედ ერთ დათვს შემოჰხვდა. — დათვო, ჩაგულაპავო, უთხრა ნახევარ-ქათამმა. დათვმა რაღაც დაიბუტბუტა და ხმა არც კი გასცა. გაალო პირი ამ ნახევარ-ქათამმა და გადაყლაპა დათვეც მელიასთან და მგელთან.

წავიდა ნახევარ-ქათამი და მივიდა ერთ ზღვასთან. დაღონდა ნახევარ-ქათამი, როგორ უნდა გადავიდო: იფიქრა, იფიქრა, გაალო პირი, და ჩაყლაპა ეს ზღვა და მშრალზედ გავიდა ზღვის ვაღმა.

იქ ამოეფარა ერთ კამჩის ნებეს და დაიწყო ძახილი: დიდებულო ხე მწიფე! დიდებულო ხემწიფე! გამოგზავნა ხემწიფემ ნაზირ-ვეზირები, წადით, ვინ იძახისო. წამოვიდნენ ეს ნაზირ-ვეზირები, ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვნეს. ხემწიფეს მოახსენეს, ეძებთ, მაგრამ ჩვენ იქ ვერაფერი ვიპოვნეთო.

ნაზირ-ვეზირები რომ გაქმორდნენ, ნახევარ-ქათამმა ისევ მორთო ცვი-რილი; დიდებულო ხემწიფე! დიდებულო ხემწიფე! წამოვიდა ეხლა მთვლი-თან ხემწიფე, ეძება ეს მუვირალა და კამეჩის ნებვის უკან იპოვა; წაიყვანა შინ, მისკა კარის კაცებს და უთხრა, საჭათმეში შეაგდეთო.

წაიყვანეს ნახევარ-ქათამი და შეაგდეს საჭათმეში; ნახევარ-ქათამმა ამო-უშო მელია მუცლიდგან. მელიამ დაქამა ქათმები და გასწია თავის გზაზედ. მეორე დღეს შევიდნენ, ნახეს, ქათამი ერთი აღარ არის. დაიჭირეს ნახევარ-ქათამი და შეაგდეს საბატეში.

ამოუშო ნახევარ-ქათამმა დამე მგელი. მგელმა დაქამა ბატები და წავი-და თავის გზაზედ. მეორე დღეს შევიდნენ საბატეში, ნახეს, რომ ერთი ბა-ტი აღარ დარჩენილა, ნახევარ-ქათამი კი ქანდაკაზე წის.

გამოიყვანეს და დაამწყვდიეს სამცხერეში, ეგები ერკემალმა გატყლი-ტოსო. ამოუშო დათვი ნახევარ-ქათამმა ცხერებში. დათვი დაქამა ცხერები და გასწია თავის გზაზედ. მეორე დღეს ხემწიფემ შეგზავნა კაცები, ნახეთ, იმ ეშმაკმა რა ჰქნაო? შევიდნენ, ნახეს, ცხვარი აღარ არის.

გაჯერდა ხემწიფე, უბრძანა იმის დაკვლა, მოახრაკინა და შეკამა. მუ-ცელში გაუცხლდა ნახევარ-ქათამი და დაიწყო ხტუნაობა და მღერა. ხემ-წიფე გაეღა ფეხის ადგილზე, უბრძანა ნაზირ-ვეზირს და მეომრებს, აიღეთ ხმლები და დაუდევით კარზე, როდესაც გამოეარდება, მოაღლითო. გამო-ვარდა ნახევარ-ქათამი და გაიქცა ბაღში. გამოუდგნენ მოსაკლავად. ამოუ-შო პირიდგან ნახევარ-ქათამმა ზღვა და ჩაახრჩო ხემწიფეც და ნაზირ-ვე-ზირიც.

## 53 — ჭუჭულის ზღაპარი

იყო ერთი წიწილი, ჰქვა ნაცარი, იპოვა ფეტვის მარცვალი. წავიდა მანდორში, დათესა, მოუვიდა ფეტვი. ყოველ დღეს თვალს ავლებდა. ერთ-ბელ მოასწრო ხემწიფის ცხენებს, წაასხა და კლდებზე გადაჟარა, დაბოცა. იქიდგან წავიდა, და ხემწიფის კარებთან ერთი ლეღვის ხე იდგა, ჩაჯდა შიგ და დაიძახა: „ხემწიფიანო!“ და ჩაიქუჯა. გამოვიდა ვეზირი, ნახა, არავინ არის, შევიდა და უთხრა: აქ არავინ არისო. გაისმა კიდევ ხმა: „ხემწიფიანო!“ გამოვიდა კაცი; რა გინდა, წიწილიაო? — ერთი ხემწიფესთან მიმიყვანეთ, და მე ეციე, რაც მიინდაო.

მიიყვანეს ხემწიფესთან. მიუბრუნდა ხემწიფეს და უთხრა: შე ოჯახ დაქ-ციულო ხემწიფე, რაზე დამიღუპე ეგ ფეტვიო? ხემწიფემ უთხრა: მოსქე-რით თავი და შემიწეთო! მოჭკრეს თავი და დაუცხუნეს ცეცხლზე. როცა სწვადნენ, ჭუჭული ამბობდა: მციოდა და გავთბი, მციოდა და გავთბიო! მიიტანეს ხემწიფესთან, ხემწიფემ შეკამა. ჩავიდა თუ არა მუცელში, ამბობ-და: „სამოთხეში ჩასული მიინდოდა და ჩაველო!“

როგორც იყო იქიდგან ამოვიდა. ახლა ხაზინაში ჩაგდეს. იმ დროს ერთი მათხოვარი მოდიოდა. — მათხოვარო, მოდი ერთი, რა ბედი გწიოვო; ე



ფქვილიანი ტომრები და გულები დაცალეო. დაცალა ტომრები და გულები და მივიდა წიწილასთან. წიწილამ, რაც ფული იყო, სულ იმას მისცა.

ხემწიფემ უთხრა ბიჭებს, წადით, მოკვდებოდა, აუროლდებოდა, გადაგდებოდა. მივიდნენ, ნახეს და უთხრეს: ქუჭული იქა კუნტია, და ფული აღარ არისო.—წადით, საცხენეში შეაგდეთო, ცხენები გასკვლავტენო.

შეაგდეს საცხენეში. ამოუშო მგელი და სულ დააქამინა ცხენები. ხემწიფემ უთხრა: წადით, აუროლდებოდა, გადაგდეთო. მივიდნენ, ნახეს, ცხენები აღარსად არის, და ქუჭული იქა კუნტია.

—წადით, ახლა საბატეში შეაგდეთ, ბატები სისინით გამოუდგებიან და მოკვლავტენო. ჩააგდეს. ამოუშვა ტურა და სულ დააქამა. გავიდა ერთი დღე-ღამე. ხელმწიფემ უთხრა: აუროლდებოდა, გადაგდეთო. მივიდნენ, ნახეს, ქუჭული იქა კუნტია, და ბატები კი აღარსად არის.—წადით, ზღვაში გადაგდეთ, იქ დაიბრძობაო.

გადაგდეს ზღვაში. ზღვამ უთხრა ქუჭულას: დაგძირო თუ მაღლა ამოგაგდოეო. ახლა ქუჭულამ უთხრა: სრუტე გიყო თუ წრუტეუო? და უყვა სრუტე და ზღვა დააშრო. ხემწიფემ უთხრა: წადით, ნახეთ, რა მოუვიდაო. მივიდნენ, ნახეს, ქუჭული იქა კუნტია, და ზღვა კი აღარსად არი.

—წაიყვანეთ და თონეში ჩააგდეთო. წამოიყვანეს და ჩააგდეს. ამოუშვა ზღვა და ჩააქრო თონე. ამოვიდა, გაქეკა ნაგავი, იპოვა კრილოსასანი და დაიძახა: ერთი რამა მაქვსო, ხემწიფეს არა აქვსო. ხემწიფემ უთხრა: მიდი, წაართვითო. მივიდნენ, წაართვეს.

ქუჭულამ დაიძახა: შეშურდა და წამართვა! შეშურდა და წამართვა.

— მიეცი თ ისევო.

— შეეშინდა და მომცა! შეეშინდა და მომცაო!

## 54—ორი მელის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბრუციანი და ერთი ორივე თვალით სალი მელია. თვალიანი მელია დადიოდა, ქათმებს იპარავდა და სკამდა. რასაც ბუმბულს გააყრევიანებდა, მიუტანდა ბრუციან მელიას და ეტყოდა, ამდენ-ამდენი ქათამი შევექამეო, და აზიზლიანებდა. ერთხელ უთხრა ბრუციან მელას: წამოდი, ქათმები დაეიპაროთ და ექამოთო.—აგრეთ, უთხრა ბრუციანმა მელამ. წავიდნენ.

იარეს, იარეს, მივიდნენ საქათმესთან. იქ ახლო-მახლო ქა იყო გამართული, მიიყვანა იპასთან და ნაპირს დააყენა, ჰკრა ხელი და დააბრჩო. თავად კი შეძერა საქათმეში და კარგა გამოძლა. იქიდგან წავიდა და მივიდა თავის სოროში. მეორე დღეა აღრიან დაიწყო გზა-გზა ხეტიალი, იპოვა მკედარი კამეზი და კარგა მიადლა.

იმ დროს დაინახა, რო ურემი მოდის და ზედ ღვინიანი რუმბები უდევს და ერთი ახალი პატარძალიც უზის, მივიდა და გზის პირას გაიშოტა. რო-



ცა ურემი მოუახლოვდა, პატარძალი დაუძახა მახლს: მაზლო, მაზლო, ერთი შეხედე, რა ლამაზი ქათიბის ბეწვიაო. იმის მაზლი გადმოხტა ურემიდგან და მიუტანა რძალს მელიო. პატარძალი უკან დიდო მელიო. ამ დროს პატარძალს კ... დასძვრა. მელია წამოდგა და უთხრა პატარძალს: ეგ შენი ათი ბექელი მომე, თორე შეგარცხვენო. მისცა პატარძალი ათი ბექელი, მელიამ რუმბი გახერიტა, და ღვინომ იწყო გამოდენა. მელია გადმოხტა. შესძახა: ოლონდ იმ კამეჩის ხორცი სულ ჩემ სოროში ამიტანე, და რაც იქ ღვინო არის, სულ შენ შემოგწირავო. პართლაც აატანია.

გავიდა რამდენიმე ხანი, ნახეს ნადირებმა, რომ მელის კულზე ბექლები აქვს. გადაეკიდნენ, ვინ მოგკაო. მელიამ უთხრა: წყალში ვიჯექი და კულზე ამომესხაო. წაიღიდნენ ისინიც, ჩასხდნენ წყალში, ზოგი დახრჩო წყალში, ზოგი გადურჩა. ვინც გადურჩა, ისინი მივიდნენ მელისთან და უთხრეს, არ იგეებსაო. მელამ უთხრა: ბეწვიმდინ შიგ უნდა ჩაძვარებულყვენიო, და მაშინ იგებსშოდათო. წაიღიდნენ, ჩასხდნენ წყალში და სულ დაიხრჩენენ.

## 55.—საიქოს ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. როდესაც მოკვდა, შვილებს ანდერძად დაუდო: კოლის შერთვაზე ნუ შეიწყნოთ თავს, თქვენ ნუ ეძებთ კოლებს, ისრები გაპტყორცნეთ, და სადაც დაეცემიან, წამოიღეთ იქ-დგან ისრები. და თან ქალებიც გამოპყვებინათ. ძმებმა იგლოვეს ძმა: მერე სთქვენს, როდესაც კარგა დრო გავიდა, კოლის შერთვის დრო არიო. გაისროლა უფროსმა ძმამ ისარი. ისარი დაეცა ხეშვიფის ბანზედ. წაიღო უმცროსი, მოიტანა ისარი, და მოჰყვა თან ქალი. გაისროლა შუალა ძმამ ისარი და დაეცა თავადის ბანზედ. შუალა ძმამ თავადის ქალი წამოიყვანა.

ბოლოს უმცროსმა ძმამ გაპტყორცნა. ისარი ქაობში ჩავარდა. მიჰყვა უმცროსი ძმა ისარს, მივიდა ქაობში, ამოაძრა. ისარს ერთი ბაყაყი გამოპყვა. რას იზამდა ვაგი. წამოიყვანა ბაყაყი შინ და მოიყვანა ძმებთან. ძმები და რძლები დასცინოდნენ უმცროს ძმას, რა კარგი კალი გყავს, უთუოდ ხემწიფე შეგეცილება, კოლს არ შეგარჩენსო. როდესაც სადილზე დასხდებოდნენ, ბაყაყსაც იქ დაისვამდნენ, მაგრამ რძლებს გზიზღებოდათ და ბოლოს გამოაგდეს კიდევ უმცროსი ძმა სახლიდგან.

უმცროსი ძმა ცალკე დადგა. დღისით დადიოდა, მონადირობდა და ბაყაყს შინა პტოვებდა. ბაყაყი ვაგის წასელაზედ ვადიხდიდა ბაყაყის ტყავს და ისეთი ქალი გამოაჩნდებოდა, რომ მზეს იმის სილაპაზე შექმურდებოდა, დაჰვიდა სახლს, დაილაგებდა, მოუშნადებდა სიქმელს, ჩაიცივამდა მერე ისევ ბაყაყის ტყავს და ჩამოჯდებოდა ცეცხლთან. ვაგი დაბრუნდებოდა სახლში და, მნახავდა რა სახლს დაგვილ და სიქმელს მოშნადებულს, წაიღოდა და მადლობის ეტყოდა რძლებს, რომ ვერე ყველაფერს მიკეთებთო.—თუ



ვგრე ყურადღების მომაქცევდით, რისთვის და გამომავდეთო, ჰკითხა ვაჟმა ძმებს და რძლებს. რძლებმა და ძმებმა გალიანძღეს უნცროსი და გამოავლეს: რის ყბედობ, ვისა აქვს შენი ჯავრი, ჩვენ შენი სახლისა რა ჯავრი გვაქვსო. დაბრუნდა ვაჟი სახლში, ბაყაყს უთხრა, რომ მე სანადიროდ წავალო. ადგა წასასვლელად, მაგრამ იქვე დაიშალა. როდესაც ბაყაყი დაბრუნდა, რომ ახლა კი წაიდა ვაჟი სანადიროდო, გაიგდებინა ბაყაყის ტყავი და დაუწყო გვა სახლს. ამ დროს შემობრუნდა ვაჟი, გადაეხვია ქალს და დაუწყო კოცნაი. ბაყაყის ტყავი ცეცხლთან ვგდო, ვაჟმა დაავლო ხელი ცეცხლში ჩასაგდებად. ქალი ვხვეწა, ნუ ჩამიწვევ მაგ ტყავს, თორე ინანებო, მაგრამ ვაჟს ვერაფერი შესძინა.

მალე გაეარდა ამ ქალის სიღამაზის სახელი და ბოლოს მივიდა ხემწიფესთანაც. ხემწიფეს უნდოდა თავისთვინ წაეყვანა ცოლად ის ქალი და მიზეზს ეძებდა, რომ იმ ვაჟისთვის წაერთმია. ხემწიფეს ერთი ბებერი შეუჩნდა, რომ მე ვიშოენი იმ ქალსაო. შენ რა ათასის დღის ხოდაბუნი გაქვს, უთხარი იმ ქალის ქმარს, რომ ერთ დღეს მოგბნას; ხომ ვიცით, ვერ მოხნავს, და წაართვი ცოლიო. ხემწიფემ გაუგზავნა ვაჟს კაცი, რომ ათასი დღის ხოდაბუნი მაქვს, და ის ერთ დღეს უნდა მომიხნაო; თუ ვერ მოხნავ, შენი ცოლი მე დამრჩებაო.

ვაჟი დაღონებული მივიდა ცოლთან და ყველაფერი უამბო. ქალმა უთხრა, აჟი ვხვეწე, ნუ ჩამიწვევ, თორე ინანებო. მერე უთხრა: ნუ იჯავრებ, წადი იქ, საიდანაც მე მომიყვანე, და უთხარ: ქალმა შემოგიფთვალათ, ეგ უღელი ხარი. ნიშა და ნიკორა, რა გყავთ, გამომიგზავნეთო. წაიდა ვაჟი, მისცეს ხარები, დაბრუნდა, შეაბა გუთანში და მოუღო ხოდაბუნებს. ხარებში მალე გაარღვიეს მიწის გული, მინდვრის ოდენი კვალი გადმოჰყარეს. სამხრობამდემორჩა ვაჟი ხენას, დასაფარცხილა ჰქონდა და დაძინა. ვაჟს დიდხანს ეძინა. მზეს ერთი შუბის ტარი და უკლდა. შუბხედეს ხარებში მზეს და სთქვეს, რომ უნდა უშველოთ რაჟე ჩვენ პატრონსაო. ნიშამ უთხრა ნიკორას: შენ დაიყვირე, რაც ძალი და ღონე გაქვს, რომ პატრონმა გამოიღვიძოს, მე მზეს კედს შემოეკრავ და სასადილოში მივაყვებო. დაიყვირა ნიკორამ, და გაიღვიძა პატრონმა. ნიშამ შემოჰკრა მზეს კუდი და სასადილოში მიიყვანა. ადგა მალე ვაჟი და დაიწყეს ფარცხვა. სამხრობამდემორჩა ფარცხვასაც და გამოუწო გუთანაი.

ხემწიფემ კაცი გაგზავნა სანახაყად, მოხნა თუ არა ხოდაბუნებო. ბიჭმა ამბავი მიუტანა, რომ მოხნავ და დაუფარცხავსო.

ხემწიფემ ისევ დაუძახა ბებერს და ჰკითხა: ეხლა რალა ექნათო? ბებერმა უთხრა, რომ ის მარცვლები უნდა აკრიფოს და ისევ ორმოში ჩაყაროს, რომ ერთი მარცვალი არ დააკლდესო. ხემწიფემ ისევ დაუძახა ვაჟს, რომ რაც მარცვალი დაგიფთვია, სულ უნდა აკრიფოვაო.

ქალმა უთხრა ვაჟს, რომ წადი ისევ ჩემი მაშის სახლში და უთხარ, რომ ის ყუთი, რომ გაქვთ, გამომიგზავნეთო, და არამც და არამც გზახე არ გახსნაო. ვაჟი წაიდა ქალის მაშის სახლში, მისცეს ყუთი, და წამოიღო. როდესაც თავის სახლის დერეფანში შევიდა, სთქვა, მოდი ერთი გავსხნი, რა

არის ამ უტუთშიო. გახსნა, ამოვიდა შავად ჭინკველა, დაედვა ვაეს და სამოთხ თვალის დახამხამებში გაათავეს. მარტო ერთი ფეხის ძელი დარჩა და თავის ძვლები. ამ დროს გამოვიდა ქალი და ნახა ვაეი, შემოიკრა თავში ხელი და დაიწყო ტირილი, მაგრამ მალე მოაგონდა, ამოიღო ჯიბიდან ხელსახოცი, წაუსვა ვაეს და გააკოცხლა. ვაეი ადგა და სთქვა, ოჲ - რა ბევრი მძინებიაო... უფრო ბევრი გეძინებოდა, რომ დროზე არ მომესწროყო, უახრია კოლმა, კიდევ კარგი, რა ეგ თავის ძვლებიც არ შეუქამიათ, თორე მერე არ შეიძლებოდა შენი გაცოცხლებაო.

ქალმა აიღო ორი ხმალი, დასდო ჯვარედინათ უტუთზედ, და ჭინკველები ყველა ჩაიკრიფა შიგ. მისცა ვაეს და უთხრა: წაიღე და იმ ნახანეში გახსენიო, ორმოზედ გადადე ხმლები ჯვარედინადაო. ვაემა წაიღო და ისე ჰქნა, როგორც ქალმა უთხრა. მზის ჩასვლაზედ აამსეს ჭინკველებმა ორმო, და ბებერიც იქ იყო. ერთი მარცვალი დაქლებიყო, და ბებერმა დაიძახა, რომ, ხემწიფე, ქალი შენია, ერთი მარცვალი აკლიაო. — „აჲ ვარ, აჲ, მომაქვსო!“ მოისმა ერთი ჭინკველის ყვირილი. ფეხი შეეკრა ხმლისათვის და კუკლობის გამო ჩამორჩენილიყო უკან და ძლიეს მიკინკილებდა. მოიტანა იმანაც ის ერთად ერთი მარცვალი. ხემწიფე ისევ ხელ-ცარიელი დარჩა.

მერე ხემწიფემ ზღვაზედ შეუკვეთა ხილის გაკეთება. ქალმა დაიბარა მამის სახლიდან ხუროები და მტურაეები. ერთ ღამეს ეტენ, და დილისთვის მხათ იყო. მეორე დღეს ვაეი ავდა ხილზედ, გაიარ-გამოიარა, თითქო ასწორებსო.

ხემწიფემ ბებრის სიტყვით ახლა ხეხილის გაქნა შეუკვეთა. მებაღეებიც ქალმა მამის სახლიდან დაიბარა, და ერთ ღამეს გაუშენეს ტურფა ხეხილი. ხემწიფეს ახლა მგალობელი ფრინველები უნდა გაეჭინა ამ ტყეში. მეფრინველენიც სახლიდან დაიბარა ქალმა, და მეორე დღისითვე ათასი ჩიტი გალობდა და ვაქანდა გლივილი ხეხილში.

ზოლოს ხემწიფემ რო ველირ მოიგონა, ვაეს უთხრა: დედაჩემმა საიტიოს ერთი ბეჭედი წაიღო, იქ უნდა წახვიდე და ის ბეჭედი მომიტანოყო. ვაეი დაღონდა, დაბრუნდა კოლთან და უთხრა ყველაფერი. კოლმა უთხრა: აი ამ ერთ ვაშლს მოგცემ, გააგორე და, სადაც მივა, მიკეყო. მისცა ვაშლი და გაგზავნა. გაგორდა ვაშლი, და გაქევა ვაეი.

ერთ ადგილას ვაშლმა ერთ კლდეს გაუარა გვერდზედ. კლდეში ერთი მსუქანი ხარი ება. არც წინ ედო საქმელი და არც არაფერი ახლო-მახლო იყო. ვაემა ჰკითხა: ეგ რა არის, რა წინ არაფერი არ ვიდევს, საღ კლდეში აბიხარ, და მსუქანი კი ხარო. ხარმა უთხრა: ჩამავალი ბევრი მინახია, ამომავალი კი არაინაო. თუ ამოვიღო ისევ ამაზედ, მაშინ გაიმზობ ყველაფერსაო.

გაპტდა ვაშლი, გაქევა ვაეი. იარეს, იარეს და ერთ ადგილზე კოლქმარი ნახეს, ლეიბზე იწვნენ. ერთმანეთზე გადახვეულები იყვნენ და კიდევ ერთმანეთს ეუბნებოდნენ, აქეთ მოწეო. ვაემა იმითაც ჰკითხა, ეგ რა არის, რომ ერთმანეთზე ხარტ გადახვეულები და კიდევ ერთმანეთს ეუბნებით, აქეთ მოწეო. იმითაც ის უთხრეს, რაც ხარმა.

გასტდნენ ამთავ და ერთ ადგილას ერთ ვაგს შეხედნენ, ყელში მატყლი ამოჰდიოდა, მაგრამ არ იღვოდა, ამასაც ჰკითხა ვაგმა: ეგ რა არის, რომ პირიდგან მატყლი ამოგდისო. იმანაც უთხრა: ამვლეელი ბევრი მინახავს და ჩამომვლელი-კი აღარაო. თუ ამოივლი, მაშინ გაიშობო.

გაქცა ამასაც ვაგი და წავიდა. გზაზე ერთ მღვდელს შეხვდა. ზურგზე საუღარი გვიდა, დადიოდა, უკან მლოცვაეები დაჰყვებოდნენ; სადაც მზე უკრს მოჰკრავდა, დაძვამდა და ლოცულობდა. ამასაც ჰკითხა ვაგმა, მაგრამ არც არაფერი იმან უთხრა; იმანაც უწინდელი პასუხი მისცა. ამასაც დაინება თავი ვაგმა და წავიდა.

გზაზე ერთ კოლ-ქმარს შეხვდა. კამეჩის ტყავზედ იწვნენ, მაგრამ ერთ-მანეთს კიდევ ეუბნებოდნენ, იქით მიწეკო. ამით ჰკითხა მიზეზი ვაგმა, მაგრამ ვერც არაფერი გაიგო და გაუდგა გზას.

გაიარა კარგა გზა და ერთ მშვენიერ მინდორზე, მორთულზე ათას ფერად და მშვენიერი ბალახით დაფარულზედ, ერთი ხარი ნახა. ისეთი მკლე იყო, რომ კაკაკი ვერაფერზე გამოეზიდებოდა. ვაგმა ამასაც ჰკითხა მიზეზი: ეგ რა ამბავია, რო ყველაფერი მზათა გაქვს, ბალახი, წყალი, და ვერც გამოხდარი კი ხარო. ხარმა უთხრა: როდესაც ამოივლი, მაშინ გეტყვიო, ჩამვლელი ბევრი მინახია და ამოვლილი კი არაივინაო.

გაქცა ამასაც და ახლა ერთ კაცს შეხვდა, თოკზე კვერცხებს აწყობდა და აწყობდა, მოიკიბებდა, მაგრამ საბელი კვერცხებს როგორ დაიკერდა, ისევ ჩამოუცივდებოდნენ. ვაგმა ამასაც ჰკითხა მიზეზი, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგო. გასტდა ამასაც ვაგი და წავიდა.

ბოლოს მივიდა შავეთში. შავეთში ხემწიფის ღედა ნახა. მივიდა იმასთან და ყველაფერი შეჰჩივლა. ისიც უთხრა, თუ რად გამოგზავნა ხემწიფემ. ხემწიფის ღედამ უთხრა: წადი, ამა ბეკელი, და ვერც უთხარ ჩემ შვილს, შენ იქვე კურდღლად, შენი ბებერი მწეგრად და ერთმანეთი დაქამეთო, და გამოისტუმრა საქაოს.

ვაგი იმ კაცს, რომელიც კვერცხებს აწყობდა, შეხვდა. ეხლა იმან უამბო: შე ქურდი ვიყავ, კვერცხებს ვიპარავდო; ეხლა მთხოვენ, აი მიმაქვს, ვაწყობ თოკზედ, მაგრამ თოკი არ იქერს და ისევ იპნევა, ვერა და ვერ მიუტანე და მუდამ კი მაჩქარებსო.

ამას გამოსტდა ვაგი და მივიდა მკლე ხართან. ეხლა მკლე ხარმა ყველაფერი უამბო: შე საწუთროს ქვეყანაში პატრონს არაფერს არ ვუკეთებდი, ხარმაკი ვიყავ, უღელში არ ვეწეოდი და კალოში არ ვჯირგოდი, ქამით ბერსა ვკამდო. ეხლა საქმელ-სასმელი ბევრი მიქვს, მაგრამ ვერცა ვსვამ და ვერცა ვკამ, და ესეთი მკლეცა ვარო.

ამასაც გაქცა ვაგი და ახლა კამეჩის ტყავზე მწოლიარე კოლ-ქმართან მივიდა. იმათ უთხრეს: საწუთროს ქვეყანაში ჩვენ ერთმანეთი არ გვიყვარდა, მუდამ ვჩხუბობდითო, ეხლაც აი როგორ ვწევართ, ერთმანეთი გვეჯავრება და გვიანდა მოვშორდეთ ერთმანეთს, მაგრამ ვერა ვშორდებითო. ამთავ დაინება თავი ვაგმა და წამოვიდა მღვდელთან.

მღვდელმა უთხრა, რომ შე საწუთროში არ უსრულდები მლოცველებს

თხოვნასაო. მე რომ საზიარებელი ან მოსანათლი მყოლიყო, მივბოდი, სადაც კარგი რიგი და ქორწილი მგვულებოდაო; ლოცვაზე მზის ამოსვლამდე არ წაიღოდი. აი ესლა ყველას უნდა ულოცო, ყველას უნდა უწირო, სადაც მზე ყურს მოჰკრავს, საუდარი იქ უნდა წაიღოყო.

დაანება მღვდელსაც ვაგმა თავი და მივიდა იმ კაცთან, მატყლი რომ ამოჰდიოდა ყელში. იმან უამბო: მე სიცოცხლეში ვიპარავდი, მწყემსი ვყავ და აი ესლა უნდა მიუტანო ის მატყლი ჩემ ალას, მაგრამ ხო ხედავ, არც იღვეა პირიდგან მატყლი და არც არა ხელში მჩაგება, ქრებაო.

ამასაც დაანება თავი ვაგმა და მივიდა, ლეიბზერო ცოლ-ქმარი იწვენენ, იმათთან. იმათ უთხრეს: ჩვენ წუთისოფელშიაო ძალიან გვიყვარდა ერთ-მანეთი და აქაც გვიყვარს, იმიტომ ვეუბნებით ერთმანეთს, აქეთ მოწვევ, გვეშინიან, არ გავეშორდეთ ერთმანეთსაო.

ამასაც გამოჰრდა ვაგი და მოვიდა ხართან, რომელიც ძალიან მსუქანი იყო და ხალ კლდეში ება. იმ ხარმა უთხრა: მე ჩემი პატრონი კარგა მგეტყვოდა, კარგა მიეღიდა, მეც უღელში ხარს არ უღალატებდი და აი აქ არც არაფერს ვკამ, არც არაფერს ვსეამ და ესე მსუქანი ვარო.

გამოჰკლა ამას ვაგი და გამოვიდა საწუთისოფლოში. მოვიდა ბოლოს ხეშწიფესთან, მიუტანა ბეკედი და უთხრა: დედამ დაგიბარა, რადგანაც შენ აქაც მისწუხებ და არ მძალე მოსვენებას, იქვე კურდღლად, ვგ შენი ბებერი—მწვერიად, შენი მსახურები—მგლებად, შენც შეგკამონ და ვგ ბებერიცაო. მართლაც იქცა ხეშწიფე კურდღლად, ბებერი—მწვერად, მოსამსახურები—მგლებად, გაიგდეს შინდორზედ და გაგლიჯეს.

წამოვიდა ვაგი ცოლთან, თვითონ გახდა ხეშწიფედ, და ესლაც მშვილობით მგუობენ.

ქირი იქა, ლხინი იქა,  
ქატო იქა, ფქვილი იქა.

## 56—სოვდაგრის შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მდიდარი ქალაქი. ქალაქში ბევრი მდიდარი სოვდაგარი ცხოვრობდა. ერთხელ სოვდაგარები სიეპროდ დაემზადნენ. ამ ქალაქში ერთი სოვდაგარი იყო, ერთი ვაგი ჰყვანდა. შვილმა უთხრა მამას: მომეცი ოციოდეთუმანი, მეც გავეუვები, იქნება ბედს ვეწიოვო. დთანხმდა მამაც. როცა სოვდაგარები წაიღნენ, ისიც თან გაჰყვა.

ბებერი იარეს, თუ ცოტა, გზაზედ ორ კაცს შეჭედნენ: დაუჭებოით ერთი ყვდარი კაცი და, რაც ძალი და ღონე აქვთ, სცემენ. სოვდაგრის შვილი უკან დადგა, მივიდა იმ კაცებთან და ჰკითხა, თუ რათა სცემენ იმ მკვლარსა. კაცებმა უთხრეს: ამ კაცს ჩვენი ოცი თუმანი ვიპართა, ცოცხალმა არაფერი მოგვცა, და ესლა მკვლარზედ ვიყრით ჯავრსაო.—ზოდი, მაგ

ოც თუმანს მე მოგცემთ, და ე მედარი მე მომეცითო, უთხრა სოვედაგრის შეილმა.—ძალიან კარგო! დაუთვალა ოცი თუმანი; კაცები თავის გზაზედ წაყიდნენ, სოვედაგრის შეილმა კიდე მოიწვია მღვდელი და ქრისტიანული წესით დამარბა. მობრუნდა სახლში. მამას უამბო რაც გადახდა. მამამ არ დაუწუნა,—იქნება ეგ უფრო მაღლიც იყვესო.

გავიდა ხანი. დაბრუნდნენ სოვედაგრები სავაქროდან; ვისაც ოცი თუმანი წაეღო, სამოცი მოგვო, ვისაც ორმოცი—ასი და მეტი. ახლა კი შემოგყარა გულს სოვედაგარს და შეილს უსაყვედურა: წაბეულ, ოცი თუმანი ტყუილიდ გადაჭარე, როცა სხევებმა ამდენი და ამდენი მოიგესო. ვაჟი შესწუხდა, მაგრამ მაინც სთხოვა მამას: ერთხელ კიდე მომეცი ოცი თუმანი, კიდე ეყდი ბედს, და ვნახოთ, ღმერთი რას გაიმეტებს ჩემთვისო. მამამ კიდე მისცა ოცი თუმანი და, როცა სოვედაგრები სავაქროდ წასასვლელად მოემზადნენ, იმათ შეუაშანაგდა სოვედაგრის შეილიც. სულ ოცდა ერთი კაცი გახდა. წაყიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა, მიყიდნენ იმ ადგილს, სადაც სოვედაგრის შეილმა საწყალი კაცის გეამი გამოისყიდა მოვალეებისგან. წინ ერთი საწყალი კაცი შეხვდათ. სთხოვა, იქნება ვისმე თქვენგანს კაცი ეჭირვებოდეს, მოჯამაგირედ დამიყენეთო. არავინ ინდობა. სოვედაგრის შეილმა უთხრა: წამო, ძმაო, ჩემთან, მე იმდენი თანხა კი არა მაქვს, რომ ჯამაგირი გაძლიო, და ოცი თუმნით რაც მოვიგოთ, ნახევარი შენ და ნახევარი მეო.—ძალიან კარგო. გაჰყვა, წაყიდნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ ალავს გაულამდათ, დადგნენ. თურმე ისეთი უღაბნო ალაგია, რომ სამი დღის სავალზედ ცვარია წყალი არ მოიპოვება. მოსწყურდათ სოვედაგრებს წყალი. ასეთებია, ღამის დაიბოცნენ.—ოღონდ წყალი მოგვიტანოს ვინმემ და რასაცა გვთხოვს, მივცემთო.—ოროლი თუმანი მომეცით კაცის თავს, უთხრა სოვედაგრის შეილის მოჯამაგირემ, და მე მოგვიტანო წყალსო. აბა როგორ არ მოსცემდნენ. იყიდა ერთი დიდი ტიკი, იქა სულად და გაფრინდა, სადაც წყარო ვგულეზოდა. ისეთია ეს წყარო, სულ კაცის თავების ვალავანი არტყია. ვადავიდა ვალავანზედ და წყაროს პირს დაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ წყაროში ერთი ყუთელი ბაყაყი გამოკურდა. იყვანა ხელში, გასჭრა, და შიგ კი ორი გველის თვალი აღმოჩნდა. ვამსო ტიკი წყლით, წამოიღო ნატერის თელეზიც და ხელად სოვედაგრებთან დაიბადა. მიცეს ყველამ ოროლი თუმანი. ეს ორმოცი თუმანი და გველის თელეზი აბან სოვედაგრის შეილს ჩააბარა.

იკლავან წამოვიდნენ და ერთ ქალაქში მოვიდნენ. ერთ აივანზედ სოვედაგრის შეილმა ერთი მზეთუნახავი ქალი დაინახა; იმის სილამაზით კინალამ გული წაუვიდა. მოჯამაგირე რომ არ მიშველებოდა, წაიჭყვოდა. ქალმა იკითხა მიზეზი. მოჯამაგირემ უთხრა, თუ შენ ცოლად არ გაჰყვები ჩემ ბატონს, უტყველად მოკვდებო.—კარგო, უთხრა ქალმა, ერთ გამოცინას გეტყვით და, ვინც გამოიცნობს, იმას ვაყვევები ცოლითო.—კარგო, უთხრა მოჯამაგირემ, მაშ ვინც ვიპასუხოს, იმას ვაყვეო.

ქალმა პითხა: თავი—ოქრო, ბოლო—ვერცხლი, შუა გული—სპილენძი-

აო. მოპყენენ უფროსიდან მოჯამაგირამდე, ვერავინ ვერ გამოიცნო. ბოლოს მოჯამაგირემ სთქვა: თავი შემოდგომაა, შუაგული ზამთარია და ბოლო ზაფხულიაო. ქალს რა მტეტი ღონე ჰქონდა, დათანხმდა ცოლობაზედ.

სოვედაგრის შვილი ისეთია, გული უღონდება, ისე უყვარს ეს ქალი. დაიწერა ჯვარი მოჯამაგირემ ქალზედ, დაწეა იმ ღამეს ქალთან, თავთან და ფეხებთან სანთლები დაიდგა, ამა რას მიეკარება, მკედრის სულია, და ეინც იმ ქალს მიეკარება, მუცელში არწივი ჰყავს თურმე, ამოვა და ჩაყვლიაბავს კაცსა. იმ ღამეს ისე გაატარეს, კალთაც არ მიკარებია იმისი ქალსა. როცა სოვედაგრებმა ივაქრეს, მისცეს ქალს პატრონებში დიდი ძალი თვალი და მარგალიტი და გაისტუმრეს. ისეთია სოვედაგრის შვილი, დაღონებული მიჩანალებს.

იმ ადგილს რომ მოახწიეს, სადაც მკედარი გამოისყიდა სოვედაგრის შვილმა და დამარხა, მოჯამაგირემ დააყენა სოვედაგრის შვილი და უთხრა: აი, ძმაო, ეს ის ადგილია, სადაც მე და შენ პირობა დაედეთ, რაც გვეშოვნა და გვეშოვნა, შუა გაგვეყო. აი, ძმაო, ეგ ორმოცი თუმანი ფული, ორი გველის თვალი, ეს ამოდენა დატვირთული ჯორ-ქაღვრები და ეგ ქალი, ყველა ისე უნდა გავიყოთ, რომ ერთი ბეწვის ტელა არაეისყენ მტეტი არ წაიფიდესო. სოვედაგრის შვილს ძალიან უყვარდა ქალი და უთხრა: ოღონდ ეგ ქალი მე მომეცი და ეგ გველის თვლებიც და დანარჩენი სიმდიდრეც სულ შენი იყვესო.

მოჯამაგირემ უთხრა: არ შეიძლება, უნდა ქალიც შუა გავჭრათო. ამოიძრო ხმალი და დაიქნია დასაკრავად. არწივმა, რომელიც ქალში იჯდა, იფიქრა, ამა რომ ხმალი დაჰკრას, ხომ მეც შუა გამეყვითაო, ამოფრინდა ქალის პირიდან და გაიქცა. გამოუდგა მოჯამაგირე, დაჰკრა ხმალი და იქვე მოკლა. მობრუნდა და კიდევ დაულირა ქალს დასაკრავად ხმალი. ქალს აერია გული და ახლა არწივის ბუდე წამოარწეო. გამოჰბანეს პირი, ყელი, და დარჩა ქალი საღსალამათო.

მოჯამაგირემ უთხრა სოვედაგრის შვილს: აი, ძმაო, შენ ხომ გახსოვს, აქ რომ ოც თუმანად მკედარი დაიხსენი, შე იმ საწყალი კაცის სული ვარ, მე არც ფული მიწა და არც ქალი, წაიყვანე ქალიც და, რაცრამე ვიშოვეთ, ისიც შენ წაიღე, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო.

წამოვიდა გახარებული სოვედაგრის შვილი სახლში. დაიწერა ჯვარი და დაიწყეს ბედნიერად ცხოვრება.

## 57 — გლახების აზბავი

ერთ ქალაქში ხუთი გლახა ცხოვრობდა. დადიოდნენ ქალაქში და თხოულლობდნენ. ბოლოს ერთად შეერთდნენ; ერთი უფროსად ამოირჩიეს, გაუშვეს ქალაქში, თვითონ სხვან წაიფიდნენ სათხოვნელად, რასაც იშოვიდნენ და იპოვიდნენ, უნდა იმისთან მოეტანათ.



წავიდნენ გზას, ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შეხედნენ ერთს გლახას, თურმე ქრისტე-ღმერთთა გლახად ჩაცმული. როცა მიესალმნენ ერთმანეთს, ქრისტე-ღმერთთა უთხრა: არ შეიძლება, ძმებო, რომ მეც გამოიპხინავთო?—რატომო, უთხრეს, მხოლოდ ქალაქში გვეყავს უფროსი, იმას დავეკითხებით, და მერე მოხდინდით.—ქარგო, უთხრა ქრისტე-ღმერთთა, და მას სანამ ქალაქს წავიდოდეთ, ერთი თქვენგანი წავიდეს, ემან სოფელში ერთი დედაკაცი პურს აცხობს, ერთი თბილი პური გამოართოს და მოიტანოსო. ქრისტე-ღმერთთა, რომელიც ხელმწიფი იყო, ის ამოირჩია გასაგზავნად. დედაკაცმა ერთი პურის მაგივრად ხუთი კაი ცხელ-ცხელი პური უთავაზა და გაისტუმრა, მაგრამ სანამ ქურდი გლახა ამხანაგებთან მიიტანდა, ერთი პური გზაზედვე შეკამა და ამხანაგებს კი დაუშალა.

ქრისტე-ღმერთთა გაყო ოთხი პური ხუთად, თავისი წილიც ქურდ გლახას მისცა და ჰკითხა: მართლა ოთხი მოგცა თუ ხუთი, მართალი სიტყვიო.—რას ამბობ, კაცო, გაჯავრდა ქურდი გლახა, რის ხუთი, ოთხი პური მოგცა და ოთხი მოვიტანეო. ქრისტე-ღმერთთა აღაჩაფერი უთხრა.

წავიდნენ უფროსთან. უფროსმა დიდი სიამოვნებით მიიღო ქრისტე-ღმერთი. რა იცოიან, თუ ქრისტეა, იმათ გლახა ჰგონიათ. ქრისტე-ღმერთთა უთხრა უფროსს: ჩვენ გავიყრებით, სხვა და სხვა მხარეს უნდა წავიდეთ. თორემ ერთად რომ ვიარათ, ამა რას ვიშოვითო. ვგ სამძი ერთად წავიდნენ, და მე და ეს, ქურდ გლახაზედ მიუთითა, ერთად წავალთო.—ძალიან ქარგო, უთხრა უფროსმა.

წავიდნენ ყველანი. სამნი ერთ მხარეზედ, ორიც მეორე მხარეზედ. ქურდი გლახა და ქრისტე-ღმერთი ერთ ქალაქში მოვიდნენ. ქალაქს შავი ჰქონდა გადაფარებული. იკითხა ქრისტე-ღმერთთა ამ მწუხარების მიზეზი. უთხრეს, რომ ხემწიფეს ერთად-ერთი ვაგი ავადა ჰყავს, ათასი რამე აცადეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს, სიკვდილის პირად აჩისო. ქრისტე-ღმერთთა უთხრა: ხემწიფეს რომ შეილი მოვეურჩინო, ხომ მოგცემენ აქ თხოვნის ნებასო.

ხემწიფეს მოახსენეს, აქ ერთი გლახაა, იძახის, მე მოვარჩენ ხემწიფის შეილის, თუ ამ ქალაქში გლახაობის ნებას მომცემსო. მაშინვე დაიბარა ხემწიფემ გლახებები: თხოვნის ნებას კი არა, რასაცა მთხოვ, მოგცემ, ოღონდ შეილი მოვირჩინეო, უთხრა ხემწიფემ. მოატანინა ქრისტე-ღმერთთა დანა, მოაყვანინა ხემწიფის ავადმყოფი შეილი, დასჭრა ასო-ასოთ, დაალაგა თაბახზე, გარეცხა, გასუფთავა, გადასწერა პირჯვარი და გააცოცხლა საღისაღამათი ვაგი. ხემწიფის სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. მისცა ორი გულთვალ-მარგალიტი და დიდი მადლობით გაისტუმრა.

ქრისტე-ღმერთი თავისი ხელმწიფი ამხანაგით დიდხანს აღაჩ დაჩა ამ ქალაქში, ახლა სხვაგან წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მოვიდნენ ერთ ქალაქში. ამ ქალაქსაც ისევე შავი აქვს გადაკრული. იკითხეს ამის მიზეზი. უთხრეს, რომ, ღმერთთაწინ, ამ ქალაქის ხემწიფეს თავის დედის ერთი შეილი სიკვდილის პირადა ჰყავს და იმას ვგლოვობთო. ბევრი რამა უწამლა, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველაო.



— მაშ შე რომ მოვარჩინო, ხემწიფე ხომ მოგვეცემს ნებას ამ ქალაქში ემიტხოვაროთო მე და ზემმა ამხანაგმაო.

მოახსენეს ხემწიფეს: თქვენ ქალაქში ორი გლობა მოვიდა, ისინი ამბობენ, ოღონდ ნება მოგვეცეს, რომ ამ ქალაქში ვითხოვოთ, და ზვენ მოვარჩენთო.

— თხოვნის ნებას კი არა, ნახევარ სახემწიფოს მივცევი, ოღონდ შეილი მოპირჩინონო, სთქვა ხემწიფემ. მოიყვანეთ, ვნახო ვინ არიან ის ღვთის ხალხიო?

მოვლდნენ ქრისტე-ღმერთი და იმისი ამხანაგი, ხელმწიფე გლობა, ხემწიფესთან მოაყვანინა. ავადმყოფი ხემწიფის შეილი ქრისტე-ღმერთმა, შეიყვანა ერთ ოთახში, მხოლოდ ერთ ხემწიფის მოჯამაგირეს მისცა ნება იქ დარჩენისა. დასკრა ავადმყოფი, დარტყხა და დაალაგა თაბახზედ. შერე ამხანაგ ხელმწიფე გლობას უთხრა, მე დავიძინებ და სანამ გავიღვიძებდეთ, ხემწიფის შეილი მოაჩინეო. აბა რას მოაჩინდა ქურდი გლობა? ზის, დაუღია პირი.

ხემწიფეს მოახსენეს: შენი შეილი დასკრა გლობამ, დაალიგა, კი არ მოარჩინაო. გაბრაზდა ხემწიფე, უბძინა მოყვანათ გლობა და დაეხრჩოთ. გამოიყვანეს ქურდი გლობა, ისეთიო, სული ელევა შიშითა. როცა სახრჩობელაზედ აიყვანეს, გლობამ დაიღრიალა: მე რათ მალრჩობთ, აგერ იმ ზემმა ამხანაგმა დასკრა, დაალაგა და კი აღარ მოარჩინაო. მაგრამ ყური არავინ უგდო. ქრისტე მივიდა გლობასთან და ჩუმად ჰკითხა: ე ხო გახრჩობენ, გაღრჩობენ, და ეხლა მარც მითხარ მართალი, იმ დედაკაცმა ოთხი პური მოგცა, თუ ხუთიო?.. იმან ისევ ცივი უარი უთხრა: იმ დედაკაცს ოთხი პურის შეტვი არ მოუციაო. — კარგო, უთხრა ქრისტე ღმერთმა.

— დიდებულო ხემწიფე, ეგ გლობა გაანთავისუფლეთ, ნუ დაღრჩობთ, და მე მოვარჩენ შენ შეილსო. მართლაც გადასწერა ჯვარი და გააკოცხლა ხემწიფის შეილი. ხემწიფემ დიდძალი თვალ-მარგალიტი შეაძლია გლობებს, მაგრამ ქრისტე-ღმერთმა უარი სთქვა, არაფერი არ გვინდაო.

ამის შემდეგ წამოვიდნენ ამხანაგებთან. იმათაც სამი გულა ფული ეშოვათ, და ამათაც ხომ ორი გულა მოიტანეს. გაიუვეს ამხანაგებმა ხუთი გულა ფული ექვსად. ქრისტე-ღმერთმა თავის წილი ფულიც ქურდ გლობას მისცა და უთხრა: ისე იცოცხლეთ, როგორც მართალი შენ იყოვო! ქრისტე-ღმერთი გაჰქრა. ხოლო გლობები წავიდნენ თავის გზაზედ. რამდენიმე გუთნის გაშლია არ გაველო ქურდ გლობას, რომ წაიქვა გზაზედ და ამოსძვრა სული.

## 58—იღბალი

იყო და არა იყო რა, ერთ ქვეყანაში ერთი მდიდარი კაცი ცხოვრობდა, თავის შრომით და გარჯილობით დიდი ქონება შეგმიწა. სიმწვევისთან დიდად ალაღ-მართალიც იყო და არავისას არაფერს არ ინდომებდა. ამიტომ



ღმერთიცა სწყალობდა. იმისი ცხვარ-ძროხის ფარები მთაში და მინდორში სულ უპატრონოდ დაიარებოდნენ, არც მგელი იტაცებდა და არც მტერსა.

იმევე ქვეყანაში ერთი მეტის მეტად ღარიბ-ღატაკი კაცი ცხოვრობდა, მეტად გაურჯელი და ზარმაცი რამ იყო, ხელის განძრევა ესიკვდრებოდა; როცა სხვები მუშაობდნენ, იმის მხარ-თემოზედ ეძინა.

მიდოდა გზაზედ ერთხელ ზღადარი და ეს საწყალი კაცი შეხვდა. მიესალმა, ამბავი ჰკითხა. — ჩემი ამბავი რა საკითხავიო, დაიჩივლა ღარიბმა კაცმა, სიღარიბით სული მაქვს გამწარებულიო. — მოდი ჩემთან, უთხრა მღიღარმა, ერთ წელიწადს ჩემთან იყავ, კალთში და რთველში მომეხმარე, უღელ კი ხარს მოგცემ, ხან-თესე, და ღმერთი გიშველისო.

ზარმაცმა რფიქრა: ამის ზომ ერთი წელიწადი არ ვემსახურო და ტყუილ უბრალოდ არ ჩამოვიღალო, წავად, სადაც მღიღარი კაცის საქონელია, ვინ დამიშლის, ავარჩევ რამდენც მინდა და წამოვესაზმო. ისეც მოიქცა.

აგერ გამოჩნდა მთის ფერდობებზედ შეფენილი ცხვრისა და ძროხის ფარები. უხალდეება ზარმაცი საქონლის ფარებს და თან გული უფანცქალებს. მაგრამ დაინახა თუ არა საქონელმა უცხო კაცი, მაშინვე სტყენა მოისმა. დაიძრა ამოდენა საქონელი და მიძბიან ერთ ადგილს ბლავილით. ეს ამოდენა ცხვარ-ძროხა სულ ერთად მოგროვდა. ისეთია, ეხვევიან ვილასაც. ღარიბი კაციც იქითკენ წავიდა. მივიდა, ჰხედავს შუაზედ ერთი პატარა კაცუნა სდგას, ეს ამოდენა ცხვარ-ძროხა სულ იმას ეხვევა, ზოგი სახეზედ ლოკავს, ზოგი ხელეზზედ. ისაც ზოგს მკოცნის, ზოგს ხელს უხვამს, ვიღერსება. შეერთა ღარიბი კაცი.

— კაცო, დაუძახა პატარა კაცს, წყლან სად იყავ? არსად ჩანდი, ელთა საიდანღა გამოჩნდიო?

— მე ამ საქონლის პატრონის იღბალი ვარო, უთხრა კაცუნამ, ამოდენა საქონელს მე ვპატრონობ, არც მგელს ვიტაცებინებ და არც მტერსაო.

— მაშ ჩემი იღბალი სადღა არისო? ჰკითხა ზარმაცმა კაცმა.

— შენი იღბალი ამა და ამ მთაზედ, ამა და ამ ჩორგე ქვეშ განისვენებსო, უთხრა მღიღარი კაცის იღბალმა.

— მაშ ვიპოვნი მც ზემ იღბალს, რომ წაყიდო?

— იპოვი, თუ კი წახედა და მოსძებნიო, უთხრა იღბალმა.

წაყიდა საწყალი კაცი, დანიშნულ ალავას პეფრი ეძება, მაგრამ იქ თვისი იღბალი ვერსადა ნახა. დაწვა ერთი ხის ქვეშ და დაიძინა.

კარგა ხანს ეძინა. როცა გამოვლვიდა, ერთი მხრიდან კენესა შემოესმა. ვილაც კენესის. მზეც ჩასვლას ეპირება. ადგა საწყალი კაცი, დაუწყო ძებნა, ვინა კენესისო. ერთი ჯაგის ძირში ერთი საცოდავი, გამხმარ-გამძვალ-ტყავებული კაცი გდია და იკვლანქება.

— კაცო, ვინა ხარ? რა სულიერი ხარ? აქ რას უგდებარო? ეკითხება ღარიბი კაცი.

— მე შენი იღბალი ვარო, უბასუბებს კურტი კაცი.

— შე ოხერო, და თუ კი ჩემი იღბალი ხარ, აქ რასა გდებარ? მე სიმშლით და სიტყვით ვკვდები, რატო ყურს არ მივდებ და არ მამდიდრებო?

— შე კაი კაკო, უთბრა იღბალმა; შენ სწევებარ და გძინავს, მეც ვწევ-  
ვარ და მძინავს. შენა ზიბარ, მე უარესად. ადგე, გაისარჯე, ხელი გაინძ-  
როე, მაშინ მეც შენთან გავიარჯები, და მდიდარი შეიქნები.

წამოვიდა საწყალი კაცი, დაიწყო მუშაობა, გაისარჯა, და იღბალმაც  
ხელი მოუმართა. გამდიდრდა, შეიერთო კოლი და დაიწყო ტკბილი ცხოვრება.

## 59. გლებკაცის ამბავი

იყო ერთი გლებკაცი. ჰყვანდა ლამაზი კოლი. იმის კოლს მამასახ-  
ლისი ჰყვართბდა. გლებმა იცოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. ერთხელ კოლს  
უთბრა: წადი, თაფლი მოუტანიათ გასაყიდი, მხოლოდ ორნაირი თაფლი  
აქვს: ერთნაირი თაფლი აქვს, ის მაშინვე დაებრმავებს კაცს, და ის არ იყი-  
დოვო!—ოჰო, სთქვა კოლმა, ახლა-კი ღმერთმა მიშველა, ვიყიდი დამაბრ-  
მავებელ თაფლს და ჩემ ქმარს დავაბრმავებო. წაიღა დედაკაცი თაფლის  
პატრონთან.

— დამაბრმავებელი თაფლი არა გაქვსო? ჰკითხა მეთაფლესა.

— როგორ არა, რამდენიცა გნებავსო, უბასუხა მეთაფლემ.

იყო ერთი ქილა თაფლი და მიუტანა ქმარსა.

— დამაბრმავებელი თაფლი ხომ არ იყიდვო? ჰკითხა ქმარმა.

— არაო! უბასუხა კოლმა.

დაჯდა ქმარი, დაუწყო თაფლს კემა.—ვაიმე! ვაიმე! დაებრმავდი, დაე-  
ბრმავდიო, დაიწყო ყვირილი ქმარმა. შე უღმერთო დამაბრმავებელი თაფლი  
რად იყიდვო. კოლი ისეთია, უბარბან, ეგ არის, ახლა-კი ველირაფერს დაი-  
ნახავსო.—ეჰ, რაკი დაებრმავდი, ამ თაფლს მაინც სულ შეეკამ, რომ ახლა სხვა  
არ დაებრმავდესო, სთქვა ქმარმა და მოტელიბა ის ქილა თაფლი.

კოლი წაიღა მამასახლისთან: ჩემი ქმარი დაებრმავე, და აბა დრო ეხ-  
ლა გვაქვს, მოდიო. მობრძანდა მამასახლისი, დაკლეს კაი მსუქანი დედლები.  
დედაკაცს წყალი დააკლდა, მოსატანად წაიღა. მამასახლისი კი დაწვა და  
დაიძინა. როცა დედაკაცი წაიღა, ქმარი ადგა, იღო აღუღებული წყალი,  
მძინარე მამასახლისს უღოში ჩაასხა და დაიღრჩო. მოვიდა დედაკაცი, დააკეთა  
დედლები, მოხარმა, მოაშინადა. მერე მამასახლისს დაუწყო ღვიძება: ადგე,  
ვასუში ეკამოთო. ჩემმა შტერმა გაიღვიძოს, როგორც იმან გაიღვიძა. დედა-  
კაცი ძალიან შეშინდა. ქმარს უთბრა: ამდენს და ამდენს მოგცემ, ე მამა-  
სახლისი გოდორში ჩადე და წყალში გადაავდევო.

ადგა ქმარი, მოიკიდა მკედარი მამასახლისი, მიიტანა მამასახლისის ბან-  
ზედ და ბოხის ხმით ჩასძახა, ვითომ ქმარია: დედაკაკო, კარი გამიღევო!

— აი, შე ისეთო და ისეთო, შენა, დაქთერები, ი კახასთან წახვალ, გამო-  
ფხიზლდები და იქ მოჩერებებო. იყავ მანდ, არც კარს გაგიღებ და არც  
ფეხს მოვიცვლიო!

— გამიღე, თორემ ბანიდან ჩამოვარდებო, ჩასძახის გლებიკაცი.



—ჯანი გაგვარდეს, ჩამოვარდი, თუ ჩამოვარდებო.

ჩაუშო გლებ-კაცმა მამასახლისი და კერაზედ ბრავეა მოაღინა. თითონ მობრუნდა და იქვე შორი-ახლოს დაიშალა. ცოლი მივარდა, ნახა, მამასახლისი მკვდარი. —ვაიშო! მორთო ღრიალი, ეს ხომ ჩემი საბაბით მოკვდა, და აბა მე რაღა ხერხს დამაყრიან!

შევიდა გლებ-კაცი. —რა გატირებს? რა დაგმართვიაო. ვითომ და ახადერი!

—ეს-ესე იყო, შესტირა მამასახლისის ცოლმა, მგვისი სიკვდილი ჩემი ბრალია, და მიშველე რამე, ამ ხათაბალიდან დამიხსენია.

—თუ ოც თუმანს მომცემ, მე წავიღებო, —უთხრა გლებ-კაცმა.

მისცა ოცი თუმანი, მა რა მერტი ღონე ჰქონდა. მოიკიდა გლებ-კაცმა მამასახლისი ზურგზედ, ერთი წისქვილი იყო, და იქ წაიღო. გადუგდო წისქვილს წყალი, მამასახლისის იღლებში ჯოხები მისცა და რუზედ დააყენა. თვითონ შორი-ახლოს დაიშალა და სერს დაუწყო ცდა.

წისქვილი რომ დადგა, გამოვარდა გაბრაზებული მეწისქვილე, მამასახლისის ეგონა წყლის დამწყვეტი, მოჰლო კეტი და ძირს დასცა. ნახა, კაცი მოკვდა. დაიწყო ტრიალი: ე რა ღმერთი გამიწყრაო. გამოჩნდა გლებ-კაცი. —აბა ე კაცი რომ მოკალი, ახლა ნახე შენი სერიო! მეწისქვილე შეგებეწა: ოღონდ ნუ გამცემ, ე მკვდარიც სადმე წაიღე და ოც თუმანს მოგცემო.

მისცა ოცი თუმანი, წამოიკიდა გლებ-კაცმა მამასახლისი და ახლა ერთ სამრეკლოსთან მიიტანა, დააყუდა, მისცა ხელში ზარის თოკები და თვითონ ზარებს დაუშინა. დარეკავს, დარეკავს და მერე დაიშალემა. ითმინა მღუდელმა, ვეღარ მოითმინა, წამოავლო კეტს ხელი, გამოუხტა, დასცხო თავში და იქვე წააქცია. ნახა მღუდელმა, —კაცი გაციებულა. ძალიან შეშინდა, დაფიქურდა დასამალად. მაგრამ ამ დროს გამოჩნდა გლებ-კაცი. —ტყუილად გარბიხარ, მამაო, ე კაცი შენ მოკალი და უნდა ზღო კიდევყო.

მღუდელი შეგებეწა, ოღონდ ნურაეის ეტყვი, მკვდარიც გამაშორე და რასაცა მთხოვ, მოგცემო. —ორმოცდაათი თუმანი მომცეცი, ერთი ჯორიც, რომ აეკიდო და წავიღებო. მისცა ფულიც და ჯორიც.

შესვა გლებ-კაცმა მკვდარი ჯორზედ, გაუძღვა წინ, და ერთ სოფელში ძმებს კალო გაულეწიათ, ხეაეი დაუნიავებიათ და ისე გაუშვიათ, მიიყენა ჯორი და ზედ დააყენა ხეაზედ. თვითონ შორი-ახლოს დაიშალა. ჯორი კარგად მიიძღა ხეასა. ამ დროს მოვიდნენ ძმებიც. ნახეს, ჯორი ხეაზედ დგას, ზედ კაცი ზის და არ აშორებს. ძალიან გაბრაზდნენ. —აი, შე უღმერთოე, მხედაე, ჯორი ხეაზეა სკამს, და შენ ხმასაც არა სცემო. წამოუელეს ჯოხებს ხელი, ერთი თუ ორი. მიაყოლეს და მიაყოლეს, სანამ ძირს არ გადმოვარდა მკვდარი. ამ დროს მოვიდა გლებ-კაციც და ჰკითხა: რათ მოკალით ეს კაციო? ძმებმა უთხრეს: ოღონდ ნუ გავცემ, ოცდაათ თუმანს მოგცემთ, წაიღე სადმე, მოგვაშორეო.

წაიღო მკვდარი მამასახლისი გლებ-კაცმა, ჩაავლო მიწაში, თვითონ შვილობიანად სახლში დაბრუნდა, გამოავლო ცოლი და დაიწყო თავისთვის მოსვენებით ცხოვრება.

## 60—მელიის ზღაპარი, იერუსალიმს რო წავიდა

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მგა-  
ლობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, ღმერთი მაღალი, კაცი დაბალი, იყო  
ერთი მელია. იარა, იარა და შეხვდა ერთ მამალსა.

— გამარჯვება, მამალო!

— გაგიმარჯოს, მელია!

— სად მიდიხარ, მამალო?

— არსად. ჩემ პატრონს ორმოც-სამოცი დედალი ჰყავს, ჩემს მეტი მა-  
მალი არ ურევია. ჩემი პატრონი იძახის: ეს მამალი დაბერდა, რიგიანად  
ვეღარა ვებლავს, უნდა დავეკლო! გამოვიპარე, უნდა მინდერად ვიქბოვ-  
როყო. შენ სადღა მიდიხარ, მელიავ?

— მეც იერუსალიმს მივდივარ, სული უნდა ვაქბონოვო.

— მეც შენი ამხანაგი ვიქნებო.

— კარგო, უპასუხა მელიამ.

წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა, შეხვდნენ ერთ ბატსა.

— გამარჯობა, ბატო!

— გაგიმარჯოს, მელიავ და მამალო!

— სად მიდიხარ, ბატო? რა გაგვირება?

— ეჰ, რა სად მივდივარ. ჩემ პატრონს ათი-თორმეტი ქუკია გავუწარ-  
დე, თითქმის ჩემოტოლები გავბადე; ახლა იძახის: აე ქუკიები შევიანხოთ  
და ეს დედა ბატი კი დავეკლოთ. დაბერდაო. აედგქ და გამოვიპარე. მინდ-  
ერად უნდა ვიქბოვროყო, უპასუხა ბატმა.

მელიამ უთხრა: იერუსალიმს მივდივართ, და მოდი, შენც ჩვენი ამხანა-  
გი იყავიო.

— ძალიან კარგო!

წავიდნენ სამივენი. ბევრი იარეს თუ ცოტა, შეხვდნენ ძერასა.

— გამარჯობა, ძერავ!

— გაგიმარჯოთ, მელიავ, მამალო და ბატო!

— სად მიდიხართო!

— იერუსალიმს მივდივართ, უნდა სული ვაქბონოთო.

— მეც თქვენი ამხანაგი ვიქნებო.

წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა, შეხვდნენ ერთ ოფოფსა.

— გამარჯობა, ოფოფო!

— გაგიმარჯოთ, მელიავ, მამალო, ბატო და ძერავ! სად მიდიხართო?

— იერუსალიმს, სული უნდა ვაქბონოთო.

— მეც თქვენი ამხანაგი ვიქნებო.

— ძალიან კარგო.

წავიდნენ. იარეს, იარეს და მოვიდნენ მელიის სოროსთან.—აი მოგე



დით იერუსალიმსაო, მობრძანდითო. ისინი რომ სოროში შევიდნენ, თვითონ კარებში ჩადგა და უთხრა: მამალო, აქ უნდა ვილოცოთ და სულნი ვაცხოროთო. მამალმა სიხარულით ყვილი მოართო. მელიამ უთხრა: შენ ვინ მოგცა იმდენი ნება, შუადამისის ყვილს დაიწყობ, შე რომ საქათმესთან მოვალ, შენ ხალხს აღვიძებ და მე პირ-ცარიელს მაგდებო? მოგლიჯა თავი და დადო ძირსა.

მერე დაუძახა ბატსა: მოდი, ბატო, აქო. მივიდა ბატიც.—შენ ვინ მოგცა იმდენი ნება, უთხრა მელიამ, შუალამე რო გადავა, შენ საათობლიც დაიწყებ ყიყინსა და ხალხს აგებინებ, შე რომ საქათმესთან მოვალ და პირ-ცარიელს მაგდებო. მოგლიჯა თავი და დადო.

ძერას უთხრა: მობრძანდი აქო. მივიდა ძერა.—შენ ვინ მოგცა იმდენი ნება, უთხრა მელიამ, ერთი საწვალთ დედაცატი ერთ-ორ წიწილას ძლიეს გამოზღის, მიხვალ და მოსტაცებ, შე კი ხელცარიელს მიშვებო. მოგლიჯა თავი და დადო ძირსა.

დაუძახა ოფოფსა. ოფოფმა უთხრა: ოლონდ კი ნუ შემქამ, ჩემი შექმა აბა რა გაგიბდება, და ერთს კარგათ გაგამლობ, კარგათ გაცინებ და ისე გარბეინებ, რომ შენ დღეში ისე ძიენ არ გაქცეულიყოფო.—ძალიან კარგო.

გამოუძღვა ოფოფი, ატარა, ატარა, და ერთ დედაცაც გუთანზედ სადილი მიჰქანდა. ოფოფი მივიდა და დედაცაც წინ დაუჯდა. დედაცაცმა სთქვა: ეს ოფოფი თუ არ დაეკირე და ჩემი გოგოები არ გაეხარე, არ იქნებაო. ჯერი ძირს დადგა და თვითონ ოფოფს გამოუდგა. ოფოფი ნელ-ნელა დაფრინავდა და დედაცატი კარგა შორს გაიტყუა. მელია მივიდა, გადააბრუნა ქოთანნი და ერთი ღონიერად მიიძღა. დედაცატი მოვიდა, ნახა ცარიელი ქოთანნი, თავსა და პირში წაიშინა: უი, დამიდგეს თვალები, ახლა რაღა ქვა ვქნაო!

— გაძებ, მელიავ, თუ არაო? ჰკითხა ოფოფმა.—ოჰ, შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, ისე გაძებ, რომ თავის დღეში ასე არ გაემძღარეარო.

— მაშ მოდი, ახლა ერთი კარგა გაცინებო. ოფოფი გაუძღვა მელიასა და ერთ საყდართან მიიყვანა. საყდრის კარებთან ორი თავმოტყელები ბერი სდგას; ორივეს ჯოხები უჭირავს. ოფოფი მივიდა და ერთ ბერს თავზედ დააჯდა. მეორე ბერი გაცეცხლდა: ოი, შე წყველო და შეჩვენებულოვო! დაუქნია ჯოხი, უნდა ოფოფი მოეკლა. ოფოფი აფრინდა, და ჯოხი-კი ბერს მოსდო თავში და გაუხლიჩა. ოფოფი ახლა იმ ბერს დააჯდა თავზედ. გააჯერებულმა თავგატეხილმა ბერმა მოუქნია ოფოფს ჯოხი, უნდა მოეკლა, ოფოფი აფრინდა, და ჯოხი-კი თავის ამხანავ ბერს მოსდო და თავი შუაზედ გაუხლიჩა. მელია-კი იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

— ხომ კარგათ იცინე, მელიავო? ჰკითხა ოფოფმა.

— უჰ, შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, ამდენი ჩემ სიცოცხლეში არ მიცინიაო.

— ე ხო გაცინე, მელიავ, და სირბილიც მალე იქნებაო.

წაიყვანა მელია და ერთი ძეძვის ქვეშ დასვა, აქ მოიცადეო და მალე იქნებაო.

წამოვიდა ოფოფი. მონადირეები მწვერებით კურდღლობდნენ. — იქ წამოდით, მე გასწავლით კი ნადირსაო, უთხრა ოფოფმა. გაუძღვა და მელიას კი ზედ წააყენა: აბა, მელიავ, ახლა გაქცევის ვადაც მოვიდა, ადევ, რაღასა ზიხარო. მელიამ რო დაინახა გაღმასებული მწვერები, ზეზე წამოიჭრა და გულგახეთქილმა მინდვრებისკენ მოცხრილა. — ახო, სთქვა მელიამ, შენმა დედამ რა მიყოს, ოფოფო, რომ პირველს შენ არ მოგაგლიჯე თავიო.

აბა რა ხეირსაც დააყრიდნენ მწვერები მელიის, კარგათ მიხედებით.

კირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფეხილი აქა.

## 61.— ამბავი მელიისა, თუ როგორ მოარჩინა კაცი დათვისა

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი. ნადირსა ხნავდა. მოვიდა ერთი დათვი.

— გამარჯობა, კაცო!

— გაგიმარჯოს, დათო!

— რას აკეთებ, კაცო?

— ნადირსა ვხნავო.

— შენ სადღა მიღიხარ?

— შენთანაო.

— რათაო?

— ადრე გამოხნავ, ადრე გამოგზავ; გვიან გამოხნავ, გვიან გამოგზავო.

ცოლი მოვიდა, სამხარი მოუტანა. კაცი დაღონებულია. ცოლს უამბო თავისი ამბავი. წაეიდა ცოლი, მიდის და ტირის გზაზედა. შემოხვდა მელია, ზურგზედ ტომარა ჰკიდია.

— რათა სტირიო? ჰკითხა დედაკაცსა.

— იმისთვისაო, რომ ქმარი დათემა უნდა შემიკამოსო.

— რას მომცემ, რომ ქმარი მოგიჩინოვო? ჰკითხა მელიამა.

— ბატსა, იხესა, ქათამსა და ინდოურსაო.

წაეიდა მელია დათეთან.

— გამარჯობა დათო!

— გაგიმარჯოს, მელიავ!

— მოდი, დათეო, ტომარაში ჩავსევამო.

— ნელა ჩამუსი, არაფერი მატკინოვო! დასცინა დათემა.

— მოდი, ერთი პირი მოგიხლართოვო!

— ნელა მოხლართე, არა მატკინოროო.

— მოდი, ერთი დავახეთქოვო!



— ნელა დამახეთქე, არა მატკინო რაო! უთბრა დათემა.

დაახეთქა მელიამ დათვი მიწაზედა და მოკლა. მისცა დედამაცმა მელისა: ბატი, იხვი, ქათამი და ინდოურბი. ჩაისვა მელიამ ტომარაში და გასწია გახარებულმა თავის სოროში.

ჭირი იქ დავაგდე,  
 ლხინი აქ მოვიტანე,  
 ნაკარი იქ დავყარე,  
 ფქვილი აქ მოვიტანე.

## 62—ნათლია ყვავი და მელია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩიტა-ჩიორა. კატა-ფშატებში ბუდე ჰქონდა. აღირსა ღმერთმა შეილიერობას, კვერცხები დადო და ბარტყები გამოჩეკა. დაიყარა სული მელიაში. მივიდა ჩიტთან და აღერსიანად დაუწყო:

— ჩიტო, ჩიტო-ჩიორავ, გავიგე, რომ ბარტყები დაგიჩეკნია, გა მებარდა შენი ბედლიანობა; შენი მოკეთუბოა გულთი მინდა. მოველ, შეილები მოგი-ნათლოვო. რაკ მე შენი ნათელ-მირონი ვიქნები, შიში აღარაფრისი გექნებაო.

— მადლობელი ვარ, მელიავ, შენი გულკეთილობის ამბავი ვიცი, შენი ნათელ-მირონობისა რა ღირსი ვარ, რაზედ მოგიჩიდებდი, მაგრამ დიდი ხანია ზემი შეილები ზემ სენა ყვავს მოვანათელინეო. ტყუილად ნულარ გაირჯებოო.

იწყინა მელიამ ჩიტის პასუხი. ცარიელი მუცელი უნდა გაეძლო. გაჯავრებული გამობრუნდა და დაემუქრა ჩიტსა: დამაძალე, მე შენ რა გიყოვო! გასწია გაცრუებულმა მელაში.

კოტა ხნის შემდეგ მოვიდა ჩიტის ბუდესთან მელია და შესძახა ჩიტს რიხიანად:

— ჩიტო, ჩიტო-ჩიორაო!

— რისთვის მოსულხარ, მელიაო?

— ერთი შეილი გადმომიგდე, თორემ შეე დღეს დავაყენებო.

— რას მიზამ, აქ ხომ ვერ შემომწედეზებო?

— ეულსწმოვიტან ეუნტულსა,

ენოსა და ეუნკურასა,

ხესაე მოვჭრი, ხის ძირსაე,

შენე შეგქამ და შენ შეილსაე!

ჩიტე ძალიან შეშინდა. ისე ეგონა, ამ სათში მოსჭრისო, და გადმოუგდო ერთი ბარტყი. მელიამ პირი დაიედო და გადაეცაპა.

დაღონებული ჩიტე სენა ყვავთან წაიდა.

— რა საქმე გაგჭირებია, ნათლიდედ? რას დაღონებულხარო? ჰეთხა ყვავმა.



ჩიტი თავის ამბავს მოუყვა ნათლია ყვავისა: ზეს მოჭრას უპირებს და ყველას დაგვეკამსო.

— დაიკარგოს ის წუწკი, ისა! უთხრა ნათლია ყვავმა, ვინ მიიქვია იმას ან ცული, ან ცუნცულა, ან ერო და კუნკურაო? რო მოვიდეს, მაგრე უთხარიო.

წავიდა ჩიტი შეილებთანა. მოვიდა კიდევ მელია და კიდევ ისე შესძახა ჩიტსა.

— დაიკარგე აქედამაო, ჩამოსძახა ჩიტმა. ვინ მოგაქვია შენ ან ცული, ან ცუნცულა, ან ერო და კუნკურა? შენ რა ხე უნდა მოსტრა, გაიხანხლე მანდედანაო!

— აბა თუ ვერ მოვტრიო, დაემუქა მელია და შეაჯანჯღურა კატა-ფშატა.

ჩიტი შეშინდა და გადმოუგდო ერთი ბარტყია.

მერე ისევ ნათლია ყვავთან წავიდა საჩივლელად ჩიტი-ჩიორა.

წამოპყვა ყვავი ნათლიდედს და დაჯდა ბუდესთან.

მოვიდა კიდევ მელია და შესძახა ჩიტსა.

გაჯავრებულმა ყვავმა შეუტია მელიასა: დაიკარგე აქედან, შე წუწკო, შე მისხარავ, შენა. ვინ მოგცა შენ ან ცული, ან ცუნცულა, ან ერო და კუნკურა? ე მანდედან დაიკარგე, თორემ შე ვიცი შენო.

წავიდა გაწმირებული მელია. გულში-კი სხვა რასმე ფიქრობდა. იქიდან წასული ტალახში ამოიგანგლა, მოისყარა, მოითხვარა, მოვიდა ტალახიანი და, სადაც ნათლია-ნათლიდედა ბრძანდებოდნენ, იმათ ახლოს კატა-ფშატის ქვეშ წამოწვა. წვეს მელია. არც იჭრის, არც სუნთქავს, სულ-ტყავი გაუქრია.

უცქირა ყვავმა, უცქირა და, რაკი ნახა, მელია არ ინძროდა, სთქვა: უნდა ერთი მელიას ზორცის გემო ვნახო, როგორც იმან ჩემი ნათლულენის ზორცი იგემო.

დააჯდა ყვავი მელიასა და დაუწყო კენკვა. კიდე არ ინძრევა; როცა ყვავი თავზედ დააჯდა და, ის იყო, თვალში უნდა ჩაეცხო, წამოხტა მელია, სტაცა პირი და დაიქირა ნათლია ყვავი.

აბა რაღა იქნებოდა. ასეთია ყვავი, შიშით სული ეღვევა, ან ეხლა შემქამს და ან ეხლაო. მელიას უთხრა: მელიავ, ვიცი, შენ ხელში რაც მომეღლის, მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს და სიკვდილის წინათ ეს მიინც ამისრულდო. ემანდ რო სოფელია, იმაზედ არ ჩამატარო, ამ ზაფხულ სულ გაეციე, წიწილებიდანა და კუთებიდან სულ გაეციენე, ნუ შემატარებენ, იქ არ ჩამატარდო.

მელიამ სწორედ სოფელზედ გასწია: ერთი ამ ყვავს თავს ლაფი დავასხა და მე კიდე ჩემი ბიჭობა გამოგაჩინდო. ყვავის წახვილზედ გამოცვიედა ხალხი და ძაღლები. ძაღლებმა რო მელია დაინახეს, გამოეკიდნენ, მელიას რაღა ყვავის დარდი ჰქონდა? ყვავმა თავს უშველა, და მელიას-კი რაც სიკვებ ჰქონდა, ის სიგანე მიტყეს.

კირი იქა, ლხინი აქა.

ქატო იქა, ფქელი იქა.

## ნვ—სამი მტევანი ყურძნის ამბავი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საწყალი მეწისქვილე. როგორც თვითონ იყო საცოდავი, ისე საცოდავი წისქვილი ჰქონდა. დიდი მოგება არაფერი ჰქონდა. ეგ იყო შიმშილით არა კედებოდა ან კი რა მოჰკლავდა? ცალი ირ აწუხებდა და შვილი. კაცმა მართალი უნდა თქვას, ცალი კი ძალიან უნდა, რო შავრთო. გვერდზედ ერთი პატარა ვენახი ჰქონდა, შიგ სამი ვაზი ედგა, სამი მტევანი ება ამ ვაზებს. ჩამოუვლიდა მეწისქვილე ვაზებს: თქვენ უნდა დამაქორწილოთ, სამ მტევანს სამი კოცა ღვინო გამომივაო. ისეთი იმედი ჰქონდა, თითქო დაწურული ქვევრში ედგესო. ძალიანაც უფრთხილდებოდა, ბუხს არ აყარებდა ახლოს.

ერთხელ მეწისქვილესთან მელია მოვიდა.—მეწისქვილე, უთხრა მელიამ, ყურძენი მაქამე და ბედსა გწევო.—რა ბედს უნდა მწიო, შვილოსა, ჩემმა სამმა მტევანმა ცალი უნდა შემართოსო, სხვა არაფერი მინდაო.—კარგიო, უთხრა მელიამ, მაქამე და მე შეგართაო.—რო არ შემართო, მერე რა გიყოვო.—თუ არ შეგართე და ბედს ვერა გწიე, შენ ხელთ არ ვიქნები, რაც გინდა, ის მიყავო, უთხრა მელიამ.

მეწისქვილემ გერ ერთი მტევანი მოუგლიჯა. შეჯამა მელიამ.—მწიე ბედსა, მელიავო, ეუბნება მეწისქვილე.—მგორეც შემაქამეო! შეაქამა მეორეც.—მწიე რაღა ბედსა, თორემ ამ კეტს ხომ უკატერი, დაგცებ და დაგარტყანებო, უთხრა მეწისქვილემ.

—მოიცა, ჩემო ძმაო, მესამე მტევანიც შემაქამე, და ბედს მერე გწევო. შეაქამა ის მტევანიც.—თუ არა მწიე ბედს, ელა კი ცოცხალს აღარ გავიშევებო, დაუყვირა გულმოსულმა მეწისქვილემ, რაკი ცარიელი ვაზები დაინახა.

გაუბღვა მელია მეწისქვილეს, გაიყვანა მინდორში, სულ დიდლო და ყაყაოებით აპტრელა.—უნდა ხეშწიფის ქალი შეგართოვო. იარეს, იარეს და ერთ ტლაპოიან წყალს მიადგენ. ზედ ცალ-ფება კაცის ხიდი იდო: ცალი ხე იდო. შედგენ ზედ, დანძრია მელიამ და ეს კაცი შიგ ტლაპოში ჩაადგო. როცა მეწისქვილე კარგა მოისვარა, ჩამოხტა მელია და გამოათრია მეწისქვილე ნაპირზედ.—შენ აქ დამიკადე, მე წავალ და ამ საათში ისეთ ტანისამოს მოგიტან, თავის დღეში არ გენახოსო. დაჯდა მეწისქვილე და ელის. მელია მივიდა ხეშწიფესთან და მოახსენა: დიდებულო ხეშწიფე, თქვენთან სისიძო მომყვანდა, გზაზედ ხიდიდან გადამივარდა, ტანისამოსი მოესვარა და სირცხვილით ვეღარ მოსულაო: რაც ეკადრებოდეს, ერთი ხელი კი სამეფო ტანისამოსი გვიბოძეთო. უბანა მაშინვე ხეშწიფემ, მიეცათ ერთი ხელი კი ტანისამოსი თავის მორთულობით.

წამოვიდა, წამოიღო მელიამ, ჩააცვა მეწისქვილეს, მორთო და მოიყვანა ხეშწიფესთან. ასეთი ეს მეწისქვილე, თავის დღეში ასეთი ტანისამოსი,

ზედ კი არა, თვალთაც არ უნახნია. სულ ზედ იხედება. ზედ რო იხედებოდა, როგორღაც ეუხსოვით კარის კაცებს. მელიას ჰკითხეს: მელიამ, რა ხამივით იტკირება იმ ტანისამოსზედაო.—თქვენები არ მოეწონა, უკეთეს არის დაწვეული და ველარ უწყვეინებია თქვენთვისაო.

ზის მეწისქვილე და დარღშია. ყველა, ყველა, მაგრამ ეს მეტორწილე ხალხი სად უნდა წაახსნას, სად, ვის სახლში შეიყვანოს. ფიჭობს და ვერაფერი მოუგონია. ზუმად მელიას უთხრა, რო გაგივგონ, ზომ შენც უნდა დაიღუპო და მეც დამღუპო; რა ექნათ, ეხლა რაღა გვეშველებო.—შენ არხეინად იყავ, მე მოვახერხებო, გაუმაგრა გული მელიამ. შეისევს ქალი და წამოვიდნენ, იმოდენა ნახირ-ვეზირი სულ თან გამოჰყავა. მელიამ დაიწინაურა, მაყრებს უთხრა: მე უნდა წინ მახარობლად წაივდე და თქვენ ფეხი ცოტა მძიმედ ატარეთო.

გამოსწია მელიამ. ერთ კარგ დევების სახლთან მოვიდა. შიგ გამრავლებული, სარჩოთ სავსე დევეები სცხოვრობდნენ.—არიკით, ძმებო, ლაშქარი მოდის, თუ არ დაიძაღვით, სულ აგიკლდებენო. ჩქარა თავს უშველეთო.—რა ექნათ, მელიამ, გვიჩიე რამეო, შევედღრნენ დევეები.—წამოდიო, უთხრა მელიამ, აი დიდი თივის ზეინი რო დგა, იმაში შეძვერით. იმათი ლაშქარი რო გამოივლის, ცხენების პრაწი-პრუწს გაივგონებთ, თქვენც პრაწი-პრუწი დაიწყეთ, თავი გარეთ არ გამოჰყოთ, თორემ სულ გაგვღუტენო. დაანებეს თავი დევეებმა პაშინვე სახლს, გულგახეთქილები შეძერნენ თივაში. მელიასაც ეს უნდოდა: მიუკიდა ამ თავსაც ცეცხლი. დგა პრაწი-პრუწი, ცეცხლის ალი ტრიალებს. ერთი დევი-ღა ვადარჩა ცოცხალი, სხვები სულ დაიბუგნენ. იმანაც თავს უშველა. სახლისკენ რაღა მიახედებდა.

შევიდა მელია დევეებს სახლში. მართლა და რა არ იყოს იმათ სახლში, რასაც გული ინატრებს და გონება მოიგონებს. კერზედ სულ ოქრო და ვერცხლის ვარსკვლავები ისხდნენ. ავიდა მელია და სამი ვარსკვლავი ჩამოიღო და დაიძაღა. მოვიდნენ ნეფიანნიც. გააკვირდნენ ნეფის მოწყობილებით. მეწისქვილე-კი გაკვირვებული იხედებოდა აქეთ-იქით, ხან კერში შესიკვრია.—რას იხედება ეს კაციო, დაიწყეს ჩურჩული. აქ მელია წამოდგა და მოახსენა: კერში იმიტომ იტკირება, რომ წელან მე განჯეს სამი ვარსკვლავი ჩამოეხსენ და იმათა კითხულობსო. ისეთი ქორწილი ქნეს, რომ სულ მთა და ბარი შესტრეს.

როცა ქორწილი გათავდა და ხალხი წაიღ-წამოვიდა, მელიამ უთხრა მეწისქვილეს: აბა, ჩემო ძმაო, მე ამისთანა ზედსა გწიე, და შენ რაღა სიკეთეს მიზამო?—საქათმეში დავმარხაე, რო მოაკვდებო, უთხრა მეწისქვილემ. მელიამ სიკეთე, თუ არ გამოეცაიდე, მართლა საქათმეში დამმარხავს თუ არა, არ იქნებაო. ერთი კვირის უკან თავი მოიმკვდარუნა, სული განაბა, ფეხები გაფიქა, კუდი ვაკიმა. მოვიდა მეწისქვილე, ნახა მელია მომკვდარა, დაეღო კუღში ხელი და სანთვეში გადისროლა. წამოხტა გაბრაზებული მელია და დაუწყო ფურთხება მეწისქვილეს: კაგრე უნდა სიკეთის ვადახდაო, არა გცხენიან, მაგრე ასრულებ შენ დაპირებასაო? ამ სათაში წაივალ და ხეშვიფეს ვეტყვი, რომ შენ მეწისქვილე ხარო, შე საძიგელოეო.



აბა რას ეტყოდა, ხემწიფე მელიას უფრო წინდაწინვე არ მოჰკლავდა: მაქან-კალი შენ იყავ და, თუ მეწისქვილე იყო, რაღადა მაქანკლობდი.

— აღარა, მელიავე, აღარა ვიქ, ვუბნება მეწისქვილე, საქათმეში დაგ-მარხავო.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი, კიდევ თავი მოიპყდარუნა მელიამ. იილო მეწისქვილემ და ისევ გადისროლა. წამოხტა მელია და უარესი დღე ეხლა დააყენა. კიდევ შეპფილა მეწისქვილემ, თუ არ დაგმარხო, მერე წადი და რაც გინდა, მიყავიო. ამის შემდეგ კარგა ხანს იცოცხლეს მელიამ და მეწისქვილემ. როცა მელია მოკვდა, მეწისქვილემ საქათმეში დამარხა და მელიას ანდერძი აღარ გაუტეხა.

## 64—გათრეული ცხვარი

კოლს შენი გულის პასუხი არ ანდოვო, უთხრეს კაცს, და უნდოდა გავგო, მართლა გამეცემს, თუ არაო. სალამო ხანზედ წამოვლა ერთი ცხვარი, მოავლო ხელი ფეხში და შეათრია ისე სახლში. თან კოლს ვუბნება: ადამიანო, ღმერთი არ გავიწყურეს, ყელი არ გამოშტრა, არ დამღუპო, კაცი შემომავედა, არაეის არ უთხრაო.

— უი ქა, უწინამც დღე გამოქრებაო.

— აქვე ორმოში უნდა დავმალო არსად წამოგცდეს.

— არა, არა, გიცი ხომ არა ვარ, ქვეყანაზე ვიყვიროვო.

იმ დამეს კოლი ლოგანში ტრიალებს, არ ებნება, ძლივ შევლის, როლის იქნება ვათენდეს, გარეთ გავიდეს. ვათენდა თუ არა, ამოძვრა ლოგინიდან, მოიადო კოკა მარზედ და გასწია წყაროსკენ. დგას წყაროს პირს, დაუკრეფია გულ ხელი და ოხრავს: ოჰ, ოჰ, რაღა ექნათ, რაღა გვეშველები, იყენს შუბლებზედ ხელსა.

— რა ამბავია, ადამიანო, რა დაგემართა: რასა ოხრავ, შეეკითხნენ დედაკაცები.

— ეჰ, ქალო, უბედურება, სხვა არაფერი.

— მაინც, ქალო, რა ამბავია, რა დაგემართეთათ?

— დაო, აქ მოდი, ცალკე გეტყვი, ჩემ თავს კი ხელში მოგცემ; რო გავგეტყვა, სულ დავიღუპებით: წუხელ ჩემ ქმარს კაცი შემოავედა და ორმოში დამალა, შინა გვეყავსო.

ოჰ, სანამ ეს დედაკაცი შინ მივა, მთელმა სოფელმა გავგო, მოადგა მთელი სოფელი კარზედ, უყვირიან იმ კაცსა: შე ოხერო, კაცი მოჰკალ და კიდევა ჰმალავო, გვაჩვენე, ეინ მოჰკალ, რად მოჰკალო? კაცი კი სდგას და იტინის: ეინ დაგაჯლდათ სოფელში? რატომ არ მოიკითხეთო?

— რას იტინი, კაცო, რაღა გატეს საცინელიო?

— ხალხნო, რა კაცი, რის კაცი, რა შეკდარი; კოლის გამოცდა მინდოდა, ცხვარი დავკალ, შეფიტანე, ეხლაც ქვევრში ჰკიდიო. აბა მოდი და ნახეთო.

## 65—გადმოცემა ალექსანდრე მაკედონელზედ

ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო: აღარ დარჩა არც ქალაქი და არც სახემწიფო, რომ ალექსანდრეს ხმაღს არ შეენძრია იმის კედლები. მაკედონელის თვალი და გული მაინც ვერ გაძლია. იმას უნდოდა, რომ სულ ახალ-ახალი სახემწიფოები დაეპყრო. დიდხანს არ შეეძლო უომრად ყოფნა.

მაკედონელს ვეზირად სოლომან ბრძენი ჰყვანდა. ერთხელ დაუძახა სოლომან ბრძენს მაკედონელმა და უთხრა: ომი მინდა, არ იცი ან ქალაქი, ან სახემწიფო, რომ ზენ ხარჯს არ გეაძლევედესო? სოლომანმა მოახსენა, რომ ეგ ამ სამი წლის წინ გეკითხნა, გასწავლიდი ერთ მდიდარ ქალაქს, თბილი კი ის ქალაქი გაქვავებულია. იმ ქალაქს სპილენძისა ეძახიან, რადგანაც ვიღავანი, სახლები; ციხეები სუ სპილენძისა აქვსო. შეიღ წელს იქ უა იყო შეკრული. არც მოსულა წვიმა, არც ამოსულა ბაღიხი, არც ხეები; შეიღებს აღარა ქშობდნენ დედაკაცები, არც ნადირი და საქონელი, ქათამიც კი კვერცხს აღარა ჰდებდა, ხეები აღარა ყუაოდნენ და ნაყოფი არ მოჰქონდათ. წყლები და ხალხი გაქვავებული არისო. აგრეთვე გაქვავებულია იმთი ხემწიფე. სახლები ოხრად არიან დარჩენილი, ოქრო და ვერცხლი უთვალავია. მაგრამ ისეთს ადგილს არის, რომ იქ ცოცხალი კაცი ვერ მივაო... ერთი მხრივ მთუვალი ზღვა აქვს და მეორე მხრიდგან ისეთი მალაღი მთა, რომ იმის თოვლიან წვერზედ ფრინველებიც კი ვერ აფრინდებიანო. მაგრამ თუ გახვრიტა ის მთა, მაშინ კი შეიძლება იმ ქალაქში შესვლაო.

მაკედონელმა მაშინვე უბრძანა ჯარებს მზადება, და მალე გაუდგნენ სპილენძის ქალაქის გზას. ალექსანდრეს ჯარი ცხრა წელიწადი იდგა იმ მთასთან და ჰხვრეტდა. მეცხრე წელს გახვრიტეს და გავიდნენ სპილენძის ქალაქში. ალექსანდრესთან სოლომან ბრძენიც იყო და არიგებდა მუდამ, როგორც უნდა მოქცეულიყო. ჯარი მიადგა ქალაქის კედლებს, მაგრამ არსიდგან არ შეიძლებოდა შესვლა.

ქალაქის კარებზედ ერთი სპილენძის შემოაბრული ცხენი იდგა. ალექსანდრე მივიდა იმ ცხენთან და დაუწყო ფაფარზედ ხელის სმა: ნეტავი ცოცხალი იყვე, რომ ზედ შეგგდომოდითო. როდესაც ალექსანდრე ამას ამზამდა, სოლომანი იდგა იმის გვერდზე და კარების თავზედ მდებარე ქვის კითხულობდა. ქვანედ ეწერა: „ცხენს მარჯვნივ შემოაბრუნებ, კარი გაიღება, მარცხნივ—დაიკეტებაო.“ სოლომანმა ეს მაშინვე მოახსენა ალექსანდრეს. შემოატრიალეს მარჯვნივ ცხენი, და გაიღო კარი ქალაქისა. შევიდა ჯარი გაოხრებულ ქალაქში და დიფანტნენ სახლებში ოქროს და ვერცხლის საშოვნელად. აუარებელი ოქრო, ვერცხლი და თვილ-მარგალიტი იშოვა ჯარმა. გაივსეს ურნები, დატვირთეს აქლემები და ჯორები სიმდიდრით. ჯარი სპილენძის და უბრალო ფარხას ზომ აღარ კადრულობდა, მარტო ოქრო და ვერცხლს ხვეტდა.

ილექსანდრეს თვალი მაინც ვერ გაძღა. სოლომანს უბრძანა, იქ წავიდეთ, სადაც ხეშეწიფის სასახლეაო. წავედინე იქ. გზაზე ხალხი სულ გაქვავებული ჰხედებოდა: მკედლებს ჩაქუჩები ეჭირათ ხელში და ისე გაქვავებულიყვნენ, მგზავრები ცხენზედ ისხდნენ, მეწულებს ზურგზე კოკები ეკიდათ და ისე იყვნენ გაქვავებულები. ბოლოს შევედინე ხეშეწიფის სასახლეში. მეფე და დედოფალი ტახტზე ისხდნენ. მეფეს პირში ყალიონი ეჭირა; იმს უკან ერთი კაცი იდგა, ხელში კომბალი ეჭირა; დედოფალს ხელში წიგნი ეჭირა და იმას კითხულობდა, ისიც ისე გაქვავებულიყო. გაცარცვეს მთელი სასახლე და გაიტანეს რაც რამ იყო.

ილექსანდრე გამოვიდა, მაგრამ სოლომანს უთხრა: მართალია ამდენი სიძლიდრე მიგვაქვს, მაგრამ იმ გვირგვინების ფასი არაფერია, ისინი უნდა წავიღოთო.—არ გინდა, მეფეო, უთხრა სოლომანმა, გვირგვინი შენიც გეყოფაო. მაინც არ დაიჯერა ილექსანდრემ, უნდა შევიდეთო.—მაშ გერ წავიკითხოთ, რა ჰწერია იმ წიგნში, და მერე ისე მოვიქცეთო, უთხრა სოლომანმა. წიგნში ეწერა: ვინც ჩვენს ქალაქში მოხვალთ და მნახათ ჩვენ სიძლიდრეს, წაიღეთ ყველაფერი, ნურაფერს ნუ გააწირავთ, მაგრამ ამ გვირგვინებს-კი ნუ მოგვხდით, ღვთისგან დადგმულია, და კაცმა როგორ უნდა მოგვხადოსო; და თუ არ დაიშლის და შეგვცხება ვინმე, ინანებსო.

ილექსანდრემ თავი დაანება და გამოვიდა გაჯავრებული, მაგრამ ისევ შებრუნდა: უცხლები რას მიზამდნენ, მკედრები რას მიზამნო, მოვხდი გვირგვინებს და ერთს მე დავიდგამ და ერთს ჩემი ცოლიო. შევიდა და გერ მეფისთვის უნდა მოგხადნა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ის მიეწოდა ხეშეწიფის გვირგვინს მოსახდელად, იმის უკან კომბლიანი კაცი გაუცხლდა, მოუქნია კომბალი და ჰდრუზა ილექსანდრეს თავში და ისევ ქვის კაცად იქცა. გასისხლიანებული ილექსანდრე ძლივ შოგანეს კარს კაცებმა. სოლომანმა უთხრა: აკი გითხარ, არ გინდა, თავი დავანებოთო, კიდევ კარგი, რომ დედოფლის გვირგვინს არ შეგებ პირველად, თორე ის ქვის კაცი ხმაღს მოგიქნედა და მოგჭრიდა თავსაო. დაჰკრივა კბილები ილექსანდრემ, მაგრამ რას უზამდა ქვას? დაინება ილექსანდრემ იმ ქალაქს თავი და დიდი ნადავლით დაბრუნდა თავის სახეშეწიფოში.

## II

ილექსანდრეს აღარაფერი გადარჩა უზარჯოდ. ერთი ზღვა და იყო, რომელიც ხარჯს არ აძლევდა იმსა. ილექსანდრემ იფიქრა: მოდი ერთი, ამითაც ვადიდებ ჩემს სახელს და ზღვის ხარკს გამოვიართმევო. შეკრიბა ჯარი: უბრძანა თივისა და ნავთის მოტანა, გადააყრევინა ზღვაში, და გადაასხმევინა ნავთი და მისცა ცეცხლი.

ცეცხლი მალე მოედო ნავთს, და ბოლი შეიკრა ზღვის პირზედ. ყველა ცხოველები ზღვისა შესწუხდნენ. ყველა ზღვის სულდგმული სამჯერ მაინც დაინახეს ცას, ამოფრინდებო წყლიდგან, ეხლა კი ცეცხლის და ბოლის შიშით ევლირავინა ჰხედავდა ამოფრენას. ბოლოს რო შესწუხდა და შესწუხდა ზღვის სამეფო, გამოუგზავნეს ილექსანდრეს ერთი პატარა კაცი სა-

თხოვნელად, რაც უნდა გამოგვირთვას და თავი კი დაგვიანებოსო. მოცურდა  
 კაცი ზღვის პირს, სადაც ალექსანდრე იყო, და უთხრა: რა გინდა ჩვენგან,  
 რას გიკამთ? ნახნავს არ გაფუჭებთ და ნათესაო, თივა არ გვინდა თქვენი და  
 პურიო; რატომ არ დაგვესწები და არ დაგვიანებებ თავსაო? რა გინდა ჩვენ-  
 გან, რა მოგვცითა? ალექსანდრემ უთხრა: მე არაფერი არ მინდა, მე მინდა  
 ერთი რამე მომცეთ მცირე, რომ ჩემს შემდეგ შეფეხებმა სთქვან, მაკლო-  
 ნელმა ზღვასაც კი ხარჯი გამოართვო. კაცმა გამოუტანა სამი მარცვლი,  
 მისცა და უთხრა: ამა წაიღე მაშ და ერთ მარცვლს რომ შექვიმ, თთხმო-  
 ცი წლისა რომ იყო, ოცი წლისა გახდები, მეორე რო შექვამო, მეცნიერი  
 იქნები და მესამე რო შექვამო, რო ვაიარო, ყველა ბალახი დაგიძახებს, რის  
 წამალიც არისო. გახარებულმა ალექსანდრემ მაშინვე შეგზავნა მცურავები  
 და დააღეგებინა თივა ზღვას.

წამოიღო ალექსანდრემ ის სამი მარცვალი, მიუტანა მებურეს, გააცე-  
 თებინა სამი გუნდა, ჩაატანებინა შიგ და უთხრა: ეს პურები რო გამოც-  
 ხვება, მომიტანე, წყეულება შექნება, წინ დამიწყო. ალექსანდრეს უნდოდა  
 თავის ხალხის წინ გამხდარიყო ახალგაზდაც და ბრძენიც; მაგრამ ისე არ  
 მოხდა. დაიკრა თუ არა მებურემ იმის გაცეთებული გუნდები, მაშინვე ნა-  
 ტარში ჩაცვიდნენ, წყალოვით წვეთ-წვეთად ჩაიკრიბნენ ცუცხლში. შეშინ-  
 და მებურე, რომ ასე გაფუჭდა ალექსანდრეს პურები, მაგრამ იფიქრა: ვი-  
 ნა მე მებურე არა ვარ, ვინა სხვას კი ვერ გავაცეთებო. გააცეთა მართლა  
 სამი სხვა გუნდა, გამოაცხო მშვენივრად და მიართვა ალექსანდრეს. შექვა-  
 მა ერთი პური ალექსანდრემ, არაფერი არ მოუვიდა, შექვამა მეორე, მესა-  
 მე, მაგრამ ისევე ის ალექსანდრე იყო.

ამ დროს ერთი გლაბა იყო იმ ქალაქში, მოხუცებული, კუტი, ვირზედ  
 იჯდა და ისე დადიოდა სოფლით სოფელს; ჩაუარა ხემწიფის მებურეს და  
 პთხოვა პური. მებურე გაუჯავრდა: რა შენი დრო მაქვს, ხემწიფის პურები  
 გამიფუჭდა, წადი, გამეცალო. გლაბამ უთხრა: ე კუტების ნამცეცები მაინც  
 მაქვს, შენ რად გინდა, მე წყალში დავიღობო და გვამო. მებურეს გაუხარ-  
 და კიდევ, რომ მოიშორებდა ამ ნამტრევეს, აკრიფა ალექსანდრეს პუ-  
 რის ნატეხები და ჩაუყარა პარკში.

წავიდა გლაბა შინ, ჩააღობო ეს პურები და, როდესაც დაღობა, ამოიღო,  
 დაუწყო კამა; შექვამა სამივე ნატეხი და თეთრი გრძელი წვერის მაგიერ  
 ლოყაზედ ამოუბუსუსდა პატარა წვერ-ულევაში, გაიპართა წელშიაც და ფე-  
 ხებშიაც. შექვამა და შეიქმნა მეცნიერი, შექვამა კოდევ და სადაც გაივლიდა,  
 ბალახები უყვიროდნენ, მე ასეთი ვარ და მე ასეთიო. მაშინვე დაანება გლა-  
 ხობას თავი, ჩაიცვა მშვენივრად და დაიწყო თავისთვის ტკბილად ცხოვ-  
 რება.

ალექსანდრე წავიდა მებურესთან და ჰკითხა: შენს სულზედ სთქვი, ის  
 პურები მომიტანე, რომლებიც მე გამიკეთე, თუ არაო. მებურემ უთხრა  
 ყველაფერი, როგორც იყო. მაშინ ალექსანდრემ გაგზავნა კაცები იმ გლა-  
 ხის სიძებნელად, მაგრამ არსად იყო. მეორე დღეს ალექსანდრემ წაიყვანა  
 მებურე და აჩენა გლახები: ამა იცან, აქ არის თუ არაო. მებურემ დაითვა-



ლიერა გლახები, მაგრამ ვერსად ნახა ის გლახა. ბოლოს ალექსანდრემ ჰკითხა: ყველანი აქა ხართ თუ არაო? გლახებმა უთხრეს: მაშ, შეფევე, არ შეკარგოთ გიტყვიოთ, წუხელ რა ამბავი მოხდაო.—რაო? ჰკითხა მაკედონელმა. გლახებმა უთხრეს, რომ წუხელ თქვენს მებურეს ეუტები მიუცია ერთი მოხუცი გლახისთვის, უკმაია თუ არა ის პურები, ახალგაზდა გაშადარა, ბრძენი და ექიმიო, ეხლა აღარა გლახობსო და ტყბილად სცხოვრობს თავისთვისაო.

ალექსანდრემ უბრძანა, წადით, შესვით ის იმავ ვირზედ, ჩააცვით ისევ ის ტანისამოსი და მოიყვანეთ ზემთანაო. წავიდნენ, გაჩაჩხეს ვირზედ და მოიყვანეს ალექსანდრესთან. ალექსანდრემ ჰკითხა მებურეს: ეს იყო თუ არაო. მებურემ უთხრა, რა ვქნა, ბატონო, ვირი ის არის, ტანისამოსი ის აცვია, მაგრამ ეს ახალგაზდა არის, და ის ბებერი იყოვო. მერე ალექსანდრემ თვითონ გლახას ჰკითხა. გლახამ ყველაფერი უამბო.

დატოვა თავის აქიმიად ალექსანდრემ ის გლახა და მუდამ ჰკითხავდა თავის სიყვდილზედ. ალექსანდრემ მკლავი გააშინჯა თავის აქიმს და ჰკითხა: რამდენს ხანს ვიცოცხლებო. აქიმმა უთხრა, ხანამ ცა სპილენძად არ იქცევა და დედამიწა რკინად, იცოცხლებო.

ალექსანდრეს გაუხარდა, მაგრამ კარის კაცებს არ უყვარდათ ის, რადგანაც სასტიკი კაცი იყო, და მოწამლეს. საწამლაემა დაასუსტა მაკედონელი და კედებოდა. დაუძახეს აქიმს. აქიმმა უთხრა, ერთი დღის სიცოცხლე გაქვს, მაგრამ მე სამ დღეს კიდევ გაცოცხლებ ჩემი წამლებითაო. ალექსანდრემ ჰკითხა, აქი იმას შეუბნებოდი, ხანამ იცოცხლებ, ვიდრე ცა სპილენძად არ იქცევა და დედამიწა რკინადაო.—დაიცადეო, უთხრა აქიმმა, მაგას სიყვდილის წინა მხახაო.

სამი დღე კიდევ იცოცხლა ალექსანდრემ. მესამე დღეს მთავარი ჰკუთ დაკარგა; უთხრა კარის კაცებს, ჩამიყვანეთ უქანასკნელად ჩემს ბაღშიო. ჩამიყვანეს ალექსანდრე ბაღში, გაისერა-გამოსიერა და უთხრა, წამიყვანეთ ჩემს საჩრდილობელშიო. იმის საჩრდილობელს სპილენძი ეხურა და ძირს რკინა ეგო. დააწვინეს ლოგინზედ ალექსანდრე.

ალექსანდრემ დაინახა სპილენძი.—ოჰ ცა ქვეულა სპილენძადაო, დაიძახა ალექსანდრემ, ჩამიყვანეთ, ჩამიყვანეთო! ჩამოიყვანეს რკინის იატაკზედ.—ოჰ, მიწაც ქვეულა რკინადაო! დაიყვირა ალექსანდრემ, და ამოუვიდა სული. ექიმი კი გახდა ხეწიფედ იმის მაგიერ.

## 66—სოლომან ბრძენზედ

სოლომან ბრძენს ერთი ვინიანი, თავის ნებისა და გუნების ცოლი ჰყოლოდა. აუტყდა სოლომანს, უნდა ფრინველების ტარბი შექარიფო, მასიამოენონ რამე, საჩრდილობელი გამიშარათონო. დაუძახა ფაშკუნჯს სოლომანმა და უთხრა, შექარიფე ყველა ფრინველები, სადაც რამ არის, და უნდა მზეზედ დაუჩრდილოთ დედოფალსაო.



წავიდა ფაშუნჯი, მოკრიფა ყველა ფრინველები, მგალობლები, მტაცებლები, დიდი, პატარა, გაწუნენ ჰაერში და აფეარნენ მზის შუქსა. ერთი ჩხიკვი ვერ იპოვნა ფაშუნჯმა, იყო შემძვრალი თავისთვის ჩირგვებში. დედოფალი ბაღში დასეირნობს, და ფრინველები მზეს უჩრდილებენ, მაგრამ დაბე, ჩხიკვი რომ ჰკლებია, იმის ადგილი ცარიელი დაჩენილა, და მზე შემფურიებით ჩაეშვა დედოფლისაკენ.—ოჰ, იტკიცა დედოფალმა, როგორ თუ მზე დამადგაო. უბრძანა ფრინველების დამწყვდევა.

დამწყვდევის საწყლები. ვიწროობა: ზოგი კვდება, ზოგი მოკვდა, ერთმანეთსა სკყლეტენ. ერთი საცოდაობაა. ენახოთ ჩხიკვინით მოფრინდა ჩხიკვი.—რა ამბავია, სად იყავ შე, ჩხიკვი, ამოდენა ცოდოს კისერზე რას იღებო? ჰკითხა გაჯაფრებულმა ფაშუნჯმა.—რა მექნა, შენი ქირიმე, დიდებულა ხემწიფე ფაშუნჯო. ცხრა მთას იქით ცხრა ძმა დევი იყრებოდნენ, იმათ შუა კაცად გაბლდით და იპიტომ დამიგვიანდაო; ყველას თავთავის ადგილი მივეც; გაფარიცე ერთმანეთშიო.

ეს ოო გაიგონა სოლომან ბრძენმა, მოინდომა იმის გამოცდა და ჰკითხა ჩხიკვს დაცნვით: აბა რო მაგრე კვიანი ხარ და მაგეთი გონებანი, გვითხარ, ქვეყანაზედ ვინ უფრო ბევრია, დედაკაცი თუ კაციო?—მართალია, უპასუხა ჩხიკვმა, კაცი და დედაკაცი თითქმის თანასწორეთ არის, მაგრამ მოგესხენება, ბევრი კაცი დედაკაცის სიტყვის მისდევს, იმის კეკისა ხდება და ისიც დედაკაცად ითვლება და მამასადამე დედაკაცები მეტნი არიან ვიდრე მამაკაცებო.

ამ სიტყვაზედ სოლომან ბრძენმა ცოტა ნეკზედ იკბინა, მაგრამ უღური არ გაიტება და კიდევ ჰკითხა: რა უფრო ბევრია, ცოცხალი თუ მკვდარიო?—მართალია, უპასუხა ჩხიკვმა, ცოცხალი მეტია მკვდარზედ, მეტი იბადება ერთითაო, მაგრამ ბევრი უნებური და ძალათ მკვდარია ქვეყანაზედ; აი ებლაც ეს ფრინველები აქ იხოცებიანო, მკვდრებს ემატებიან, და მათ მკვდრები უფრო ბევრი იქნებო. ამ სიტყვაზედ სოლომან ბრძენმა ველარაფერი სიტყვა და უბრძანა გაეშვათ ფრინველები.

## 67—სოლომან ბრძენი და ქრისტე ღმერთი

ქრისტე-ღმერთი რო გოჯობთში ჩავიდა, დაუწყო კვლევს ნგრევა, სამი დაანგრია და მეოთხე დაუნგრეველი გაუშვა, ყველა გამორევა გოჯობთიდან და სოლომან ბრძენი იქვე დაადგო.

— შე რატომ აღარ დამიხსენ, უფალო? ჰკითხა სოლომან ბრძენმა.— შენ შენმა სიბრძნემ დაგისნასო, უბრძანა ქრისტემ.

მოვიდნენ ეშმაკები, დაუწყეს სოლომან ბრძენს კითხვა, რატომ შენ არ დაგისნა ქრისტე-ღმერთმა, აქ რათ დაგადგოვო.

— მეტე ვისხნი, საუთრად შენთვის მერე მოვალ და წაგიყვანო, ასე მიბრძანა ქრისტე-ღმერთმაო, უთხრა სოლომან ბრძენმა ეშმაკებს.

— ერთხელ იყო ქრისტე-ღმერთი, სამი კედელი დაგვიწვია, ეს ერთი რის ვაი-ვაგლახით გადავიარჩინეთ, ხვალაც რო მოვიდეს, ხომ სულ დაგვიწვიაო, სთქვებს ეშმაკებმა, წაივლეს სოლომან ბრძენს ხელი და გამოათრიეს ჯოჯოხეთიდან.

## 68.—სოლომან ბრძენი და ბუ

კოლმა შეუკვეთა სოლომან ბრძენს, ფრინველების სასახლე უნდა ამი-შენოვო. ამისათვის სოლომანმა გაგზავნა კაცები და დააჭერინა ყველა ჯუ-რის ფრინველი. მაგრამ რადგანაც ბუ ღამის ფრინველია და დღისით არ ჩნდება, ამიტომ ვერ დაეჭირათ, და არ იყო ფრინველებში, სოლომანმა გაგ-ზავნა კაცები ბუს დასაჭერად. დაიჭირეს, მოიყვანეს და გაუშვეს სხვა ფრი-ნველებში.

ბუ ფრინველებში არ დარჩა, გაფრინდა და ცალკე დაჯდა ღინჯად. სოლომანი გამოვიდა დასათვალიერებლად, ნახა, რომ ზოგი ფრინველი და-ღონებულაა, ზოგი ხტის, ზოგი იმღერის; ბუ კი ზის მარტოკა და არ იღებს მონაწილობას არაფერში.

სოლომანმა ნახა, რომ ბუს დიდი თავი აქვს, იფიქრა, ამა ერთი გამო-ვცდი, დიდი თავი რო აქვს, ჭკვიანიც იქნებაო. ჰკითხა: ბუ, ვინ უფრო მეტია ჭკვიანაზედ, კაცები თუ ღვდაკაცებო?—ღვდაკაცებო, უთხრა ბუმ.— არაო, უპასუხა სოლომანმა, კაცები ერთით მეტნი არიანო.— არაო, უპასუხა ბუმ, რომელიც კაცი კოლის ჭკუაზედ დადის, ისიც ღვდაკაციო! იქნება შენ შენი თავი კაცი გგონიო? სოლომანმა ველარაფერი სთქვა და უბრძანა გაშვება ყველა ფრინველებისა...

## 69.—სოლომან ბრძენი და ბერიკაცი

სოლომან ბრძენი თავის ორი კაცით სოფელზედ მიდიოდა. ერთ იღ-ვილს, სახლის კარებზედ ერთი დახვესებული ბერიკაცი იჯდა ჩაფიქრებული. სოლომან ბრძენი მივიდა და მიესალმა. ბერიკაცი ფეხზე აუდგა სოლომან ბრძენს და მადლი მოახსენა. სოლომანმა ჰკითხა: სხვა, ბერიკაცი, რასა იქ და როგორა ხარო?

— რა მიჭირსო, უპასუხა ბერიკაცი; თორმეტსა და ოცდათორმეტს მაინც ვერაფერი გადავიარჩინეო.

— ორზე როგორა ხარო? ჰკითხა ისევ სოლომანმა.

— დავსამდიო, უპასუხა ბერიკაცი.

— შორს როგორა ხარ?

— ახლოს მოველო.

— წისქვილები როგორ გაქვს?

— მგელმა დამიჯამა; რაც მგელს გადაჩნა, უწყოლო, უღარო დგანან და აღარაფერში მარჯიანო.

— მთაში თოვლი მოსულაო, უთხრა კიდევ სოლომანმა.

ბერიკაცმა ჩამოსო თეთრ წვერზედ ხელი და უთხრა: ბარშიც ჩამოსულაო.

— მაშ კარგიო, უთხრა სოლომანმა, მე ორ თხას გამოვიგზავნი და ვინძლო კარგა ვაძკრიკოვო.

— ისე გაეკრიკო, უპასუხა ბერიკაცმა, რომ ტყავის მეტი ზედ აღარაფერი შერჩესო.

გამომეშვიდობა სოლომანი ბერიკაცს და გასწია სახლში. შინ რომ მივიდა, თავის მხლებლებს ჰკითხა: გაიგვთ რაზე, რაც მე უთხარ ბერიკაცსაო.

— არაო, უთხრეს მსახურებმა. თქვენ სუ იგაეებით ჭლაპარაკობდით, და აბა ჩვენ რას გაიგებდითო. ის ბერიკაცი ვერაფერს ვერ გიპასუხებდაო, უთხრეს მხლებლებმა, ერთი საწყალი გლეხიკაცი იყოო.

— სტყუითო, უთხრა სოლომანმა, ის ბერიკაცი სუ ყელში მიჭრიდა სიტყვასაო; თუ ეხლავ არ წახვალთ და არ გაიგებთ, რასა ნიშნავს იმის სიტყვები, ეხლავე თავებს დაგკრიითო.

მხლებლები მაშინვე წავიდნენ იმ ბერიკაცის საძებნელად. იპოვეს და ჰკითხეს:

ერთი გვითხარ, ბერიკაცო, რა ილაპარაკეთ შენ და სოლომანმაო?

— ჩვენ არაფერი გვილაპარაკნიაო, უპასუხა ბერიკაცმა, თქვენ ტყუილად გარჯილხართ, მე არაფერს გეტყვითო.

სოლომანის მხლებლებმა დაუწყეს თხოვნა.

ბერიკაცმა უთხრა: სანამ ოც-ოც თუმანს არ მომკვებით თითო სიტყვაში, არ გასწავლითო. რას იზამდნენ კარის კაცები. ფულს შინც სიკოცხლე სჯობიაო, სიტყვს იმით და წავიდნენ; სადაც რამ ეგულებოდათ, წამოიღეს ბერიკაცთან. ოც-ოცი თუმანი რომ მისცეს, ბერიკაცმა უთხრა:

პირველად რა შითხრა: რასა იქ და როგორა ხარო? და მე რა უპასუხე, რომ თორმეტსა და ოცდათორმეტს ვერაფერი გადავარჩინეო, ის არის, რომ თორმეტი თვე არის წლისა და ოცდა თორმეტი კბილებიო. კაცმა რაც უნდა იშრომოს, მუცელს ვერაფერს მოაჭარბებსო.

მეორე სიტყვა რომ შეითხა, როგორა ხარო, და მე რა უპასუხე, დავსამდიო, ის არის, რომ სანამ ახალგაზნა ვიყავ, ორის ფეხით დავდიოდდი და ეხლა უჯობოდ ვეღარ გაივილიო.

— მესამე სიტყვაო, ჰკითხეს კარის კაცებმა.

— ამოიღეთ კიდევ ოც-ოციო, უთხრა ბერიკაცმა.

იმითაც ამოიღეს ეს მესამედ.

ბერიკაცმა საჭეა: მე რა უპასუხე, შორ ვიყავ და ახლოს მოვედიო, ის არის, რომ წინათ კარგათა ვებდავდი, ეხლა კი თვალებს შავლო და ახლო ძლივღა ვებდავო.

მეოთხე: წისქვილები — კბილებია, მგელი — ჭიაა. რაც ჭიამ დაჭამა კბილები, ხომ გამოუსადეგარნი არიან, და რაც იმის გადაჩნა, არც არაფრად ისინი ვარგანანო.

მეხუთე: მთავი თოვლი მოსულაო, რო შიბრა, და მე რო უპასუხე, ბარად ჩამოსულაო, ხომ ჰხედავთ, თმაც თეთრი შაქს და წვეროც, ეს არაო. შეეძქვსედ რო ამოიღეს კარის კაცებმა რაც რამ-კი ებადათ, ბერიცაცმა უთხრა: ის ორი თხა თქვენა ხართ, ზაიყავით ჯიბეში ხელი, გაქვსთ კიდევ რამ, თუ არაო; წადით და გვრე მოახსენეთ სოლომანსაცაო.

## 70. რქიანი ხემწიფე

ერთ ხემწიფეს თავზედ რქა ჰქონდა, არაინ არ იცოდა, არც არავის ენახა. რამდენ დალაქსაც თავს მოატრეკინებდა, სულ თავებსა სჭრიდა, რომ ამბავი არავის არ გაეტანა.

ბოლოს ერთ დალაქზედ მიღვა ჯერი; ეზიარა; გამოეთხოვა ცოლშვილს, სიყვდილისათვის მოემზადა და ხემწიფესთან ისე წავიდა. რო ჰკრეკავს თავს, და რქა დაინახა. როცა შორია თავის კრეკას, ხემწიფემ უთხრა: ხო მნახე, რაცა შაქს თავზედ, თუ იტყვი და გამტემ, თავს მოგჭირო, იმითმა ეხოსავ დალაქებსაო. შეეხვეწი დალაქი, ოღონდ ნუ მომკლავ, და არ ვიტყვიო; თუ ვიტყვი და შერეც აქ არ ვიქნები თქვენს ხელთ, თქვე დალოცვილო, სად გაგებხეწებიო.—კარგო, უთხრა ხემწიფემ, და თუ სადმე წამოგადენია, ვი შენი ბრალო.

წამოვიდა ეს დალაქი, ამა რას იტყვის, პირს უქერს, კრინტს არა სძრავს, არავის არ ანდობს. მაგრამ წაყვითლდა და ჩაყვითლდა. გაიბერა, რუმბივით გახდა, მუცელი ნიკაბთან მიადგა. სძლო, სძლო და წავიდა შერე ერთ ლელიანში; მოიბედა, რო ვერაინ დაინახა, ლელს ჩასძახა: „ლელო, ჩვენს ხემწიფეს თავზედ რქა ანაო“. ამის თქმა იყო, და ამ კაცის დაფუტეა. შორია ისევ ეს კაცი, ისევ ისე გახდა, როგორც წინანდელ დროს იყო საღადა.

გამოიარა მგზავრმა და მოსკრა ეს ლერწამი, გააკეთა სტეირი და უკრავს. უკრავს სტეირი, მაგრამ სულ ერთსა და იგივეს ვაიძახის: „ხემწიფეს რქა აქვს, ხემწიფეს რქა აქვს“.

ვაიგონა ხემწიფემ, ძალიან გააცეცხლდა, დაიბარა ეს დალაქი და უნდა თავი მოსკრას.

— როგორ გაძვედე შენა და ჩემთვის მოკემული სიტყვა გასტეხე; რათა სიტყვი, თუ მე რქა შაქსო.

— არა, დიდებულო ხემწიფე, მე არავისთვის მიტყვაშო.

— მაშ სტეირს რო უკრავენ, რად აძახებენ, რომ „ხემწიფეს რქა აქვსო“.

— ამა თუ მე მტყუანი ვარ, დაიბარეთ ის კაცი, ის სტეირი გამოაართვით, თქვენ ჩაძებრეთ, და თუ მაშინაც ვე არ დიძახოსო.

დაიბარა მაშინვე ხემწიფემ სტეირის პატრონი, გამოართვა სტეირი და ჩაძებრა. სტეირი მართლა იმის იძახდა. მაშინ დალაქმა უამბო, რომ ესე იყო, ესე, ესე ავად გაეხდი, ვკვდებოდი, ლელს ჩავძახე, და იმან გაგვცაო. რალის მოკლავდა ხემწიფე, მშვიდობით ვაისტუმრა სახლში.

## 71 თამარზედ

როცა ქართლის ტბა გასქდა და მინდორი დაშრა, თამარ დედოფალმა კარგი მინდვრად დასცა. ამ დროს ორი ჩხირი ჩამოვარდა და თამარ-დედოფლის კარებზედ დაეცა. ერთი სპილენძისა არის და ერთი ვერცხლისა. ააღებინა თამარმა, ბევრი იკითხა, ბევრი იძია, და ვერაფერ ვერ უთხრა, თუ რისთვის იყო საქარო, ან გამოსადევი. იქაბლო ერთი ურია იდგა, იმან გაიგო ეს ამბავი და სთქვა: ეი, კაცო, თამარ დედოფალმა რო იცოდეს, რათ არის გამოსადევი ვე ჩხირები, და მოიხმარებდეს, შთელ ქვეყანას დაიპყრობსო. გაიგონა თამარმა ეს სიტყვები ურიისა და გულში დაინახსოვრა.

გავიდა ხანი, და თამარს აღარ მოუსვენა გულმა, უნდოდა შეეტყო იმათი ძალა. ვერც ურიისთვის ეკითხნა—არ იტყუადა—ისევე იფიქრა და ეს მოიფიქრა. დაითხოვა ურია, შენს სახლში წადიო, თან ოთხი-ხუთი კაცი დაარჩავა: მიპყეთ იმ ურიას; ეს რომ შინ შევა, თქვენ ბანთან დამალდენით; ეს შინ შევა, ამის ძმები დაუწყებენ კოხეას, რათ მოხვედ, რა მიზეზითაო, მაშინ ეტყვიანო.

ისეც მოხდა. შევიდა დაღონებული ურია და დაჯდა კერასთან. გაგზავნილი კაცები ყველაფერს ჰხედავდნენ. ზის დაღონებული ურია. ძმებმა კითხეს: რაში გაგიკორდებოდა, ძმაო, ეუბნებოდა უმფროსი ძმა, თამარ დედოფალთან ცხოვრება, რათ წამოხვედ? თუ შენ აღარა გწაღიან, უმცროსს მისა, მე წაველ, უმფროსიო, და მე გაუძღებ იქაურ სიღუბლირისაო.

— არა, ძმავე, უთხრა გამოვდებულმა ურიამ, სიღუბლირისაგან ღმერთმა დაგვიფაროსო, მაგრამ თამარ-დედოფალი-ც გავარისხეო. იმის კარების წინ ორი ჩხირი ჩამოვარდა: ერთი ვერცხლისა და ერთი სპილენძისაო, იმათ მოხმარება მე ვიცი და არა ესთქვიო. ის სპილენძის ჩხირი რომ ძროხის რძეში ჩააყუდონ, რძე მაშინვე ვერცხლად იქცევაო, და ის ვერცხლის ჩხირი, რომ კამეჩის რძეში ჩააყუდონ, ოქროდაო: თამარ-დედოფალმა რო იცოდეს, შთელ ქვეყანას დაიპყრობსო.

ყველაფერი გამოგზავნილმა კაცებმა გაიგონეს და წმინდათ დაიხსომეს. მერე წამოვიდნენ გახარებულები.—რა ამბავი მოპიტანეთო? კითხა თამარმა.—ურიათ ასე სთქვა, უპასუხეს იმათ, სპილენძის ჯობი რომ ძროხის რძეში ჩააყუდონ, ვერცხლად გადაიქცევა, და ვერცხლის ჯობი თუ კამეჩის რძეში ჩააყუდონ, ოქროდ იქცევაო.

თამარ დედოფალმა მაშინვე უბრძანა მოეტანათ რძე ძროხისაო და კამეჩისაო საცდელად. მოიტანეს. ჯერ ძროხის რძეში ჩაუშვა სპილენძის ჩხირი, და მართლაც მაშინვე ვერცხლად შედგა. მერე ვერცხლის ჯობი კამეჩის რძეში ჩააყუდა, და ოქროდ იქცა. თამარის სიხარულს და გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ამის შემდეგ თამარ-დედოფალი ძალიან გამდიდრდა, სადაც კარგი ნაშენობაა, სულ იმის აშენებულიაო. თან მართო დიდი ქვაბები დაპყრნდათ

და ძროხები და კამეჩები დაჰყვანდათ, სწველიედნენ ძროხებს, კამეჩებს და ოქროს და ვერცხლს ღებულობდნენ. ამიტომ ააშენა იმდენი საყდრები და იმოდენა ოქროს და ვერცხლი შესწირაო.

## 72—ლეღქაში და კაცის მკვლელი

სამი ყასაბი იყო, და ამ ყასბებს ერთი სომეხი მშვეგარობდა, არაფერი არა მქონდათ იმასთან დამალული, ყველა იმათი საიდუმლო იცოდა. ერთხელ სომეხმა ნახა, რომ ერთმა ყასაბთაგანმა სახასი თუმანი ჩაიღო უბეში და სკონლის სასყიდლად წაიღო; წაიღო თვითონაც სომეხი, დაჰხელა გზაში, მოჰკლა ეს ძმობილი, ამოაცალა და, რომ ვერაიის გაეგო, მკვდარი ყასაბი მიწაში ჩაფლა. მოდის თვითონ გზაზედ, იქით-აქეთ იხედება, ზომ არაეინა მნახაო. მართლაც არაეინ იყო, შოლოდ უკან გზაზედ ლეღქაში (ლეღს და ნარს რომ ბუმბულივით ასხია) მოქონდა ქარსა, ჩაიკინა სომეხმა, ეს ლეღქაში კი არის მოწამე და სხეი კი არაეინაო, და არბენად წამოვიდა სახლში.

ჩაფარცხა ყასაბის მოკვლა, ვერ მიიგნეს და ვერა იმის მკვლელსა. შერჩა სომეხსაც ეს ფულები. გავიდა ხანი, დაცოლშვილიანდა ეს კაცის მკვლელი.

ერთხელ ფაიტონით იმ გზაზედ მოუბდა ცოლით გავლა, სადაც ყასაბი მოკლა და დაფლა. უცქერის სომეხი, რომ ქარს ლეღქაში მოაქვს, მოაგონდა ყასაბის მოკვლა და ლეღქაშის მოწმობა და ერთი გულიანად გაეკინა. ჩამოგვიდა ცოლი, უნდა მითხრა, რას იკინოდითო. ჯერ უარზედ იდგა ქმარი, არ ვუბნებოდა; რაკი ველარ მოიშორა, ადგა და უამბო ყასაბის მოკვლა.

არ გაუვლია სამდღეს, რომ ეს ამბავი მთელმა ქალაქმა იცოდა, სტაცეს ხელი და უკრეს თავი სადაც ღირსი იყო. ასე არ დაიძალგა კაცის ნაქნარი არაფერი.

## 73—ფაშასთან მიბარებული ფული

ერთ ქალაქში ერთი ფაშა იყო. ვისაც შესანახად უნდოდა რამე, წაიღებდნენ და იმას მიბარებდნენ. იმავე ქალაქში ერთი მუშა კაციც იყო. ხუთმეტრი წელიწადი მუშაობდა, აგროვებდა თითო-ორიოლა კაპეიკობით ფულსა, ოციოდ თუმანს მოუყარა თავი. იფიქრა, საწამ ცოლშვილში წავსულვარ, ვაი თუ ეს ფული შემაშებარჯოს, ავღებები და იმ ფაშას მივაბარებ, მერე წასვლის დროს გამოვართმევ, შევწინახებოა. აიღო ის ოცი თუმანი და მიბარა.

როცა ვადა გაუვიდა, შინ წასვლა დააპირა, წაიღო ფაშასთან, ფული მოსთხოვა. ფაშამ ძალიან იუცხოვა: რა მოგობარებია, რასა სთხოულობო? ვასწი, დაიკარგეო. ბევრი ვხვეწა მუშა, ნუ გინდა ჩემი და ჩემი ცოლშვილის

კლდო, მომეც გვ ფულებო, მაგრამ ტყუილად. გამოსწია, ტირილით წამოვიდა.

იმ ქალაქში ერთი ლეთისნიერი ღვთაყვანი იყო. იმან დაინახა მტრალი მუშა და ჰკითხა: რათა სტირი, შე საწყალოვო?—რათა ვტირი, ოცი თუმანი მოვავროვებ რის ვაი-ვაგლახით, ფაშას მივებარებ, მერე გამოვართმევ, მეთქი, მივღდი, და უარი მითხრა, აღარაფერი მომკა, ბევრეცა მცემო.—ნუ ტირი, შეილო, მე მოგიხერხებო, როგორც დაგარიგო, ისა მოიქცეო.

იმ ღვთაყვანმა ბიჭი დაირთვა: მე წავალ ფაშასთან, ძვირფას ნივთებს წაიღებ, ვითომ მისაბარებლად; მუშავ, შენ მოდი და, როცა მე ბოლხას ხსნა დაუწყო, მოსთხოვე შენი ფული, და შენ კიდევ, ჩემო ბიჭო, როცა ამ მუშას ფული მისცეს, იდროვე, შემოვარდი და თქვი, თუ ბატონი მობრძანდა და ჩქარა წამოდი-თქო. ამ ბირზე დადგენ და წაივინე.

შეახვია რაც რამ ძვირფასი ნივთი გვუღებოდა ამ ღვთაყვანს ხელსაბოცში და ფაშასთან გასწია. შევიდა და მოახსენა, რომ ჩემი ქმარი შინ არ არის და მეშინიან ქურდებისა და, ფაშავ, ეს ნივთები მიხდა შენ ჩავაბაროვო. ღვთაყვანმა ხელსაბოცს დაუწყო ხსნა. იმ დროს მუშაც შემოვიდა, მოიგლიჯა ქუდი და დაეღრჯვა ფაშას: შენი ქირიმე, ჩემი ოცი თუმანი რო გაბარია, მჭირდება, და მიბოძეო.—წაიღე, შეილო, შენს ფულს რად დაგიქეცრო, უთხრა ფაშამ. ფაშამ იფიქრა, ამას რო უფარი ვუთხრა, ეს ღვთაყვანი აღარ შენდობა, აღარ მომიბარებს და ამ ძვირფას ნივთებს დაეკარგავო. ამოიღო და დაუთვალა თავისი ოცი თუმანი. ამ დროს ღვთაყვანის ბიჭიც შემოვიდა.

— ქალბატონო, ბატონი მობრძანდა და ჩქარა წამობრძანდითო.

— ფაშა, მერე მოვიტან, ეხლა უნდა წავიდვო. შეკრა ხელსაბოც ღვთაყვანმა და ადგა.

გაბარებულმა მუშამ დაიწყო თამაშობა. გაშალა ხელები ღვთაყვანს და ჩამოტრიალდა, გაშალა ფაშამაც ხელები და დაიწყო თამაშობა.

— რა გათამაშებთო, ჰკითხა ფაშამ.

— მუშამ ოცი თუმანი ივდო ხელში, ის უხარინ; მე ქმარი მომივიდა ამდენი ხნის უნახავი, ის მიხარინ, და შენ რაღა გათამაშებსო? ჰკითხა ღვთაყვანმა ფაშასა.

— მე ის გათამაშებს, რო შენისთანა რვევენი ღვთაყვანისაგან მოეტყუედიო.

## 74 — თათარი და სალოცავი

ერთ თათარს თურმე შეილი არა ჰყავს. უთხრეს: გელათში რო წაზეიდე და ილოცო, უეჭველად მოგვეცემო. ისე უნდოდა თათარს შეილის უოლა, რომ წაიღებდა გელათში სალოცავად, წაიღო სანთელ-საწირავი და მიდის სასუბუთო: მიდის და გზაზედ კინტო ხალხი დაეწია.



გამარჯობა!—გაგიმარჯოს!—სად მიდიხარ?—გელათში. —რათა?—მინ თათარი და ვინ გელათიო, პკითეს ამ კინტოებმა.

— შვილი არ მყავს და მსწავლეს, იქ უნდა ილოცო და მოგვეცემო. მეც მივდივარ, რა შევებვეწო, ჩემზედაც გადმოიხედოს წყალობის თვალთათ.

კინტოებმა სთქვეს, ერთი ამის უყოთ რამე სამსახარავო საქმეო. რა მიდიან, და ერთ დიდ ქვასთან მივიდნენ. კინტოებმა უთხრეს, აი ეს ქვა არის გელათი, სადღა უნდა წახვიდეო.

თათარმა არ იცოდა, სად იყო გელათი, და მოტყუედა, დაემბო ეს თათარი ქვასთან და გულის წმინდით გულ-მხურვალედ ილოცა. მობრუნდა სახლში, დაორსულდა ცოლი და მიეცა ვაჟი. თათარი ისეთია, რომ სიხარულით ცას ეწევა. როცა წამებხარდა ვაჟი და ლოცვის დრო მოვიდა, წაიყვანა კურატი, ცხვარი ურძით, ჩახსა ცოლშვილი და წავიდა. მივიდა იმ ქვასთან, დაკლა კურატი, ცხვარი, აანთო სანთლები, დაჰპატიცა გამვლელი და გამომვლელი და გაატარა კარგი დროება.

ამ დროს ჰამოიარეს იმ კინტოებმა, წინა წლებში რა მოატყუილეს.—კაცო, რამ გაგასულელა, ეგ კი არ არის გელათი, გელათი სხვა არისო, შარშან მოგატყუილეთო.

— მე-კი ამინ მიშველაო, უთხრა თათარმა და მე რა შენადელეზბო. უმძველად იქ არის გელათი, თუ სხვაანაო.

## 75 — ოხერი კაცი

ერთი მარტოხელი კაცი იყო, ისეთი მშვენიერი ქალი შეჰხვდა, რომ იმის შექზედ კაცი პურსა სკამდა. ეს კაცი შესტყერია, შინიდან გარეთ აღარა ძვრება. შიმშილით იხოცებოან. ცოლმა უთხრა: კაცო, შიმშილით ხო ვერ დავიხოცებთ, წადი, იშოვე რამე, მოიტანეო. წავიდა ეს კაცი, განა საბუშოად: უნდა გავიგო, რათა ვარ ღარიბი, თავიდან სიღარიბე დამყვა და ბოლომდინ გამყვაო.

ბევრი იარა, თუ ცოტა, ერთი მგელი ნახა.—გამარჯვება!—გაგიმარჯოს!—სად მიდიხარ, კაცო?—სიღარიბე თავიდგან ველარ მოვიშორე, მივდივარ, გავიგო, რა არის მიზეზი, რა ცოდო მიმიძღვისო?—კაცო, უთხრა მგელმა, თუ ღმერთი გწამს, შემიტყე ერთი მცეა: რამოდენა სულ საქონელს ვაფუქებ, არ იქნა, ჩემი მუცელი არ ვაძლო, ისევე შშიან და ისე ვარო. ერთი შემიტყე, რა მიშველის, რა ვკამო ისეთი, რა აღარ მოშმივდესო, შეეხვეწო მგელი.

გასცდა გლებიკაცი. ერთი აღვისხე ნახა.—მოდი, დაისვენე ჩემ ჩრდილში, სად მიდიხარ, მითხარ შენი ამბავიო, დაეხმეურა აღვისხე. გლებმაც უამბო თავის ამბავი.—ახლა მივდივარ, ეგები გავაგო, რა შეწამლებო.—მაშ ჩემი ამბავიც შეიტყეო, შეეხვეწო აღვისხე. ამოდენა ხანია იქა ვდგევარ და მე



შტო ველარ გამოვიდეთ. ეგები შეშველოს რამეო, რო ჩამოვილი, ამბავი მომიტანეთ.

წაიდა გლეხი. მიდის, ერთ სახეშიდოში მივიდა, დიდი და მდიდარი ქვეყანა ყოფილა, მაგრამ მტერს შეუწულებია: არა აქვთ მოსვენება. ქალი ჰყავთ ხეშიფედ. ჰკითხვს მოსვლის ამბავი.—ესეა ჩემი საქმე, ესე, და მივდივარ ეხლა, უნდა შევერტო, რა არის ჩემი წამალიო. მაშინვე ხეშიფე-ქალთან წაიყვანეს. ხეშიფემაც ამბავი მოჰკითხა. ის იყო კიდევ მივლეთ სხვა ხეშიფისაგან წერილი, საომრად მოვდივარ და დამხვდითო. ხეშიფე-ქალი ძალიან დაღონებული იყო.—აბა მეც შემიტყე, რა მიზეზია, რომ ჩვენი ხმალი არ იმარჯვებსო.

წაიდა გლეხიკაცი. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ ადგილას თვითონ უფალი გამოეცხადა მკითხველ.—სად მიდიხარ, კაცო, მაგრე რა გაქირვება დაგდგომა, რომ ასე შორს წამოსულხარო. მე გაგიგებ ყველაფერსაო.—ასეა ჩემი საქმე, შენი კირიშე, უთხრა გახარებულმა გლეხმა, ერთი საწყალი გაქირვებული კაცი ვარ, თავიდან დამყვა სიღარიბე და ბოლომდის გამყვა; აღარ ვიცი როგორ მოვიქცე, რით მოვიშორო სიღარიბე, რა არის იმის წამალიო.—შინ წადი, და შენი დოვლათი იქ არისო, უთხრა მკითხველმა.

უნდა წამოსულიყო, მაგრამ მოაგონდა დამარბებული და მკითხვა: ერთი ქალი ხეშიფედ, მტერს დაურეგია ხელი, და შემეხვეწა გავუგო რამეო. მითხარ, რა ეშველება იმასაო.—იმ ქალმა კაცზედ დაიწეროს ჯვარი, მერე იმისი ხმალი ერთი ათასად მტე გასკრისო, მტერიც დაუმარცხდებაო. ხმალი კაცით არის ნაკურთხიო. კიდევ მკითხვა: ერთი ალვის ხე ვნახე, თავის დღეში შტო არ გამოუღია, რა უნდა იყოს იმის მიზეზიო.—ასე უთხარო, უბძანა უფალმა, შენ ძირში ერთი ქოცო ფულია, და ის საწყალ კაცს მოათხრევიენე, და შტო მერე გამოგივაო. მგლისა უთხრა: სანამ რეგვენს კაცს არ შესკამ, არ გაძლებიო.

წამოვიდა ეს საწყალი კაცი. მოვიდა ხეშიფე-ქალთან. უამბო, როგორც მკითხავემა უთხრა. ქალმა უთხრა: ჩემზე კარგ დოვლათს სადღა იშოვი, მოდი, მე შემიბრთე, და ამოდენა სახეშიფო სულ შენ ხელში იქნებაო.—არაო, ჩემი დოვლათი წინ დამხედებაო, უთხრა უარი გლეხმა. გასწია სახლისკენ.

ალვის ხეს უთხრა: ასე მითხრა მკითხავემა: შენ ძირში ერთი ქოცო ფულია, ერთ საწყალ კაცს მოათხრევიენე, და მერე გამოგივა შტოო.—საწყალიც შენა ხარო, უთხრა ალვის ხემ, მოდი, მოთხარე, წაიღეო.—რას ამბობ, რად მიწნდა შენი ფულები, ჩემი დოვლათი წინ დამხედებაო. გაიანება თავი და წამოვიდა მგელთან.

მგელსაც ყველაფერი უამბო ნახული და გაგონილი: შენი ასე მითხრა: სანამ რეგვენ კაცს არ შესკამ, არ გაძლებიო. მგელმა უთხრა: შენ ჩემო ძმაო, ხეშიფე-ქალი ქმრად გორთავდა, შენ უარი უთხარ; ალვის ხის ქვეშ ფულიანი ქოცო იდგა, არ ამოიღე; შენ კიდევ სხვა რაღაც დოვლათი გეგონა; შენზედ რეგვენი ვინღა იქნებაო. თუ შეცკამ, ისევე შენაო.

## 76.—„დღეს ეს მეყოფა, და ხვალ ღმერთი მომცემსო“

ერთ ქვეყანაში ერთი ძალიან მდიდარი კაცი სცხოვრობდა, ძალიან მაგარი და ხელმოკტრილი კაცი იყო. ერთ წელიწადს ძალიან შიმშოლობა ჩამოვარდა; სადაც იყო, ყველგან გასწყდა პირნახული.

იმ მდიდარს კაცს-კი ბევრი ჰქონდა.

შვიერი ხალხი მილიან ამ მდიდარ კაცთან პურის სასყიდლადა, თუ თუ-მანი ღირდა, ისინი ორ თუმანს აძლევდნენ კოდში, მაგრამ არა ქნა მდიდარმა, არაფის არ მიჰყიდა, არც გაიკითხა, არც ხელი მოუშარათა. როგორც შვიერები მოდიოდნენ, ისეთივე შვიერები ბრუნდებოდნენ უკანა.

ერთ ღამეს ამ კაცმა ნახა ჩვენება, გამოგცხადა ანგელოზი უფლისა და უთხრა: კაცო, შე გიბრძანებ, ხვალ რა აძღვე, ერთი თონე კარგი გამტკიცული პური გამოაცხოვინე და, ამა და ამ ადგილას რა ბერია, იმას მიართვიო! გამოელევა მდიდარ კაცსა, ლეთისა შეეშინდა, პირჯვარი დაიწერა და ადგა; გამოაცხოვინა კარგი გამტკიცული შოთ-ლავაშები, ჩაიღავა, გაიმსო ხურჯინი და გასწია იმ ბერისკენ, რომელიც ჩვენებას უთხრა. მივიდა ბერის კარებზედ, იკითხა, დაუკატუნა კარები. გამოვიდა თვითონ ბერი.

— რა გინდა, შვილო, რისთვის მოსულხარო? ჰკითხა ბერმა.

— ღმერთმანი, ესე იყო საქმე, ესე ჩვენება გამომეცხადა და ეს პურები შენ მოვართვიო. უთხრა, რასაკვირფელია, ანგელოზის ბრძანებაც.

მაშინვე ბერმა შეიკვანა შინა, დასვა ტახტი იქნებოდა, თუ სკამი. კიდევ პკითხა ბერმა: რათ მოიტანე, შვილო, ჩემთან ეც პურებიო.

— რა ექნა, მაშაო, ანგელოზმა მიბრძანა, და მეც მოვართვიო.

მაშინ ბერმა აშადა კღობანს, ერთი პური კღვევა სდებოყო. ამოიღო, უჩვენა პურების მომტიან მდიდარ კაცს და უთხრა: აი, შვილო, ეს მთელი პური კღვევა მაქვსო, დღეს შე ამ პურსაც ვერ შეგვამ, და ხვალ-კი ღმერთი მომცემს ხელის საზრდოსაო. წაიღე, შვილო, ჩემს ქვეით, ამა და ამ ადგილას ერთი ბერი სდგასო, და იმას მოუტანეო.

რადის იზამდა ეს მდიდარი კაცი, წამოიკიდა ისე ხურჯინი და გასწია იმ ბერისკენ. იკითხა, უჩვენეს სახლი, მივიდა, დაუკატუნა. გამოვიდა ბერი.

— რა გინდა შვილო, მობძანდი შინაო, რისთვის მოჰსულხარო.

— ესე-ესე იყო ჩემ თავს, ეს პურები ამა და ამ ბერს მივართვი ანგელოზის ბრძანებითაო, მაგრამ იმან შენთან გამოგზავნაო, ის უფრო გაკვირვებულაო. აი მომიტანია, და მიირთვი ეს პურებიო.

გადმოიღო ამ ბერმაც ერთი ნახევარ პური ჰქონოდა, უჩვენა და უთხრა: აი, შვილო, ეს ნახევარ პური მაქვსო, დღეს შე ეს საზრდოდ თავსაცა

მდისო, და ხელ ღმერთი სხვას მომცემსო. წაიღე, შეილო, ეგ პურები და ამა და ამ ადგილს რომ ესა და ეს ბერია, იმას მიუტანეო.

აიკიდა ისევ ხურჯინი იმ მდიდარმა კაცმა და ახლა იმ ბერთან წავიდა. იკითხა, ასწავლეს, დაუკაუნა კარები. გამოვიდა ბერი.

— რისთვის გაჩვილხარ, შეილო, ამ დროსაო.

იმასაც უამბო თავის თავგადასავალი ამ კაცმა და უთხრა თანა, რომ ეს პურები შენ მოგართვი, შენთან გამოშატანა ამა და ამ ბერმა, თუმცა მე იმასთან მივიტანეო.

— კარგი, დაჯექო, უთხრა ბერმა. ერთ ხელის ტოლა პურის ნატეხი კიდევ ჰქონდა, ამოიღო, უჩვენა ამ კაცსა და უთხრა: შეილო, ხო მხედავ, ეს დღე კიდევა ღამდებოა, და დღეს საზრდოდ ეს პური შეკოფაო, ხეალისთვის-კი ღმერთი კიდევ მომცემსო. წადი, წაიღე და, ვისაც დღეისთვის ლუკმა არა ჰქონდეს, იმას მიეციო.

გამობრუნდა ეს მდიდარი კაცი, დაფიქრდა ძალიან ღრმათა. სიტყვა: კაცი, თუ ამ საწყალ ბერს დღეს ამ ერთი ხელის ტოლა პურის მეტი არა აქვს რა და ხეალისთვის არა ზრუნავს, ის კიდევ სხვას თავისზე გაკირვებულს აზრალეზსო, თუ მაგას მისცემს ხეალისთვის ღმერთი, მე კი აღარ მომცემსო. წამოვიდა, მშიერიც გააძლო, გლაბაკიც გაიკითხა, გაკირვებულსაც ხელი გაუშვართა, ზოგსაც ასესხა: თუ გჭნება და მომცემს, ხო რა კარგი; თუ არ გჭნება, და მადლობა ღმერთსაო, აღბად უქონლობით ვერ მოიტანსო.

## 77 — მამის ანდერძი

ერთი კაცი ყდებოდა და შეილს ანდერძად დაუღო: შეილო, რაც უნდა გაკირვება გადგეს, რაც უნდა საქმეს ვშურებოდე, ეკლესიასთან რომ გაიარო და ლოცვა-წირვა იღგეს, ყველას თავი დაანებე, შედი და მოისმინეო.

გავიდა ხანი. ამ კაცმა რაღაცა დაიშავა, დაიჭირეს და ხემწიფესთან გაგზავნეს. ხემწიფემ იცოდა, ერთ საკირეს გაახურებინებდა და დაჰნაშავეს შიგ ჩააწვივინებდა.

უბრძანა ხემწიფემ ამ კაცსა: წადი და, ამა და ამ ადგილას რომ კირს სწავენ, ამბავი მიუტანე, ხემწიფემა ბრძანა, კარგა დაწვიო.

რა გულის ხმის მოვა ეს კაცი, იმის შირთალი ჰგონია და წავა შეაკირვებთან. რომ მიდის, ეკლესიის გვერდზედ გაივლის, მხაბავს, რომ ცისკარი სდგას. იფიქრა, მოდი და მამის ანდერძს ნუ გავტებ, შევიღე, მოვისმინო ლოცვა, უკან ხომ არავინ მომდევს, მერე ველარ მიუტან ამბავსაო! შევა და მოისმენს. რაკ დაიგვიანებს ცოტა, ხემწიფე კაცს გაგზავნის: შეიტყე, აქედამ რომ კაცი გაგზავნე, დაწვეს თუ არაო. მივიდა ხემწიფის კაცი: რა ჰქენათო, ხემწიფემ შემოთვალა, კარგა დასწვიათ, თუ არაო?

მესაკირეებს გვონათ. ეს კაცი სწორეთ ის არის, რომელიც ხემწიფემ გვაბრძანაო, სტაცეს საცოდავს ხელი და გადუქხბეს საკირეში.

მამის ანდერძის შემნახველმა მოსმინა წირვა და მერე წავიდა საკირესთან. უთხრა: ხემწიფემ შემოთვალა, ე საკირე კარგად დაწვითო. იმათ-ის ერთი კაცი რაკი დაწვეს, ამის რალა ხელს ახლებდნენ.

— ისე დაწვით, რო ნაცარიც აღარ დარჩა იმისო, ასე მოახსენე ხემწიფესაო.

წამოვიდა მამის ანდერძის შემნახველი ხემწიფესთან. ხემწიფეს იმედი აქვს, ჩემი კაცი მომივაო, და იმის მაგიერად კი ხემწიფესთან დასასჯელი მოვიდა ისევ უკირველი. ხემწიფემ მაშინვე კბილებზედ იკრა.

— ბიჭო, შენ რაც დაგავალე, რატომ არ აასრულეო, ჰკითხა ხემწიფემ გაჯაერებით.

— როგორ არა, დიდებულო ხემწიფეე, ვახლდით საკირესთან, თქვენი ბრძანება მოვახსენეო.

— კაცი არაინ შეგხედა ჩემი გაგზავნილიო.

— არაო.

— მაშ სანამდინ შენ სად იყავ, რო ადრე არ მისულხარო? უბანა ხემწიფემ.

— დიდებულო ხემწიფეე, მოახსენა ამ კაცმა, მამა ჩემი რო კვდებოდა, ანდერძად დამიგდო, რაც უნდა გეჩქარებოდეს, რაც უნდა გაქირება გადგეს და გზას მისდიოდე, თუ გზად გაიარო, და ლოცვა იდგეს საყდარში, ყველას თავი დაანებე, შეებრუნდი და მოსმინეო, მეც. თქვენ რო გამგზავნეთ, გზაზედ ერთ ეკლესიას გაეუარე, ცისკარი იდგა, შეებრუნდი, ლოცვა მოვისმინე და დამიგვიანდაო.

— წადი, შეიღო, მამის ანდერძს უშველია შენთვის, კვლიეოც არ გასტეხოვო, უბანა ხემწიფემ, ბევრიც აჩუქა და გაისტუმრა.

## 78 ნაამბობი ჩოფოლ-მონადირისა

იყო და ახა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საწყალი გლეხი. ერთ თავადიშვილს დაუღვა მოჯამაგირედ. როცა ძროხაში წავიდოდა, ყოველთვის ცოცხალი ნადირი მოჰყვანდა რამდენიმე სული. ერთხელ თავადიშვილს კამპანია ჰქონდა და უთხრა: წადი და ცოცხალი ნადირი მომიყვანე რამდენიმე სულიო.

წავიდა ის მოჯამაგირე; როგორც აღამიანი ძროხაში დადიოდეს, ისე დადიოდა ნადირში, მაგრამ ვერც ცოცხალი დაიჭირა და ვერც მოჰკლა. ბოლოს ერთ ირემს მოარტყა თოფი და გაატყავა, დასჭრა რამოდენიმე ასო და მხარზედ უნდა ატყიდნა: დიდება ღვთის ვანგებებს, ვაცოცხლდა ირემი და გაიქცა. იმ მონადირემ დაიწერა პირჯვარი და სთქვა: დიდება ღვთის ბძინეზას, ამისთანა საკვირველი ახა მინახავს-რა და არც არა სხვისა გამიგონაო. მოუბრუნდა ირემი და უთხრა: ეგ რა საკვირველი გინახავსო? საკვირველი ჩოფოლ-მონადირესა ჰკითხეო.

წამოვიდა და იმ მოჯამაგირემ თავადიშვილს უამბო თავის ვითარებას რაც ნახა; თავადიშვილმაც გაიკვირა. ყმაწვილმა თავადიშვილს უთხრა: რაც შერგება ჩემი სამოჯამაგირო, უნდა მომტე, ჩოფოლ-მონადირესთან უნდა წავიდე და ვკითხო, ვგეთი საკვირველი რა ნახაო. თავადიშვილმა მისცა, რაც ერგებოდა ფული; წამოვიდა ის ყმაწვილი და კითხულობდა, ჩოფოლ-მონადირე რომელ ქვეყანაშიაო. ერთმა ასწავლა, და ის ყმაწვილი წავიდა იმ ქვეყანაში, სადაც ჩოფოლ-მონადირე სცხოვრობდა, და მივიდა პირდაპირ იმის სახლთან. ჩოფოლ-მონადირე იჯდა დერეფანში და ურმის თელებს აკეთებდა. იმ ყმაწვილმა უთხრა გამაჩუბა; ჩოფოლ-მონადირემაც პკითხა: რისთვის წამოხველიო? იმ ყმაწვილმა უამბო თავისი ვითარება.

ჩოფოლ-მონადირემ უთხრა: აი, შეილო, რა საკვირველი ამბავი ენახე, რომელიც იმ ირემს უთქვამს. მეც ემაგრე შენსავით ყმაწვილ-კაცობაში, როცა ჩემი სურვილი იყო, უოველთვის კოცხალი მომეყინდა. ერთ დღეს წაველ სანადიროთ, ერთი ნადიროც ვერ დავინახე, რომ მომეკლა, დაჭერვის ვინა იტყუდა; საღამომდის ვიარე, დამიღამდა და შინ ველარ ჩამოველ; ერთ მუხაზე დავჯექ და ვუთხარი: მუხათ ანგელოზო, ამაღამ შენ გებარეზოდეს ჩემი თავი; თოფი და გულა მუხაზე დავკიდე და ისე ვიჯექ. ჯერ არ დამძინებოდა, და ერთმა ანგელოზმა გამოსძახა: მუხათ ანგელოზო, ამაღამ წველდება მაქვს, მეწვიეო! მუხათ ანგელოზმა გასძახა: ამაღამ ღვთის სტუმარი მყავს და თავს ვერ დავანებებო. ახლა ისევ დაუძახა, შენი სტუმრიანათ მეწვიეო. მუხათ ანგელოზმა შემისო ფრთას ქვეშ და გამაფჩინა. რა ვიცი, რამდენი მთა ვაღამატარა: მე ხომ აღარა მესმოდა რა ამ ქვეყნიერობისა შიშისაგან. მიმიყვანა ერთ მთის წვერზე, რომ იმ ვაკეს თვალი არ გადასწვდებოდა. მიმიყვანა ერთ დანთებულ ცეცხლთან; იმ ცეცხლზე იდგებოდა ათასობით ქები რამდენიმე ფერადისა. ექირათ ანგელოზებს ქაფქირი და ქაფაფდენენ საქმელებსა. მე როგორ შემიძლოან, გარეშემო ვაკე შეიღანზე რაც ნადირი იწვა, იმათი სახელების გამოთქმა, და ამას კი მოგახსენებთ, რომ რაც ქვეყანაზე ნადირის სახელი ვაგვიგონიით, სულ იქ იყვნენ თავმოყრილები. დიდი ღვთის ბრძანება არ იყო, რომ იმოდენა მტეცი ნადირები ვაჩუშებულნი იყვნენ! გაშალეს ათი ათასობით ხალიჩები, დაშწკრიდნენ ანგელოზები და ჩამისვეს შუაში. იმისთანა დროებას ვატარებდით და ძველს სიმღერებს ვმღეროდით! შერე დავწეკით და დავიძინეთ. მეორე დღეს რა გათენდა, ნაცეცხლური კი ეტყუბოდა და სხვა კი არაფერი მინახაერა. წამოველი შინ. მთელი ექვსი დღე ვიარეთ და ძლიეს მოვედიო სახლში. რასაკვირველია, შეილო, რომელი ირემიც შენ მოგიკლავს, ისიც იქ იქნებოდა და იმისთვის უთქვამს. დავწყველე, ჩემი შეილი-შვილიც სანადიროთ არ წავიდეს.

ასე უამბო ჩოფოლ-მონადირემ იმ ყმაწვილს.

კირი იქა, ლზინი აქა,  
ჭატო იქა, ფქვილი აქა.

## 79.—ორი ცრუპენტელა

იყო ორი ცრუპენტელა. ერთს ერჭვა დათუა, მეორეს პეტრიკელა. ერთხელ დათუა ცრუპენტელამ ერთი დიდი ტომარა მოიტანა, ხავსით მაგრა გატენილი, თავზედ მატყლი დაატენა და იმერეთში გასასყიდად წაიღო. კორტოხის წყერზედ (სურამის მთაზედ) რომ ავიდა და ტურფა იმერეთს გადახედა, სწორედ ამ დროს პეტრიკელა ცრუპენტელა შეშობხდა: ნიგვზის ნაქუცებით ხავსე დიდი ტომარა ეკიდა, მაგრამ ნაქუცების ზემოდან ნიგოზი ეყარა.

— გამარჯვება შენია! შესძახა დათუა ცრუპენტელამ.

— ღმერთმა გაგიმარჯოსო, მიუგო პეტრიკელამ.

— საიდან მოხვალ, ან სად მიხვალ?

— იმერეთიდან მოვდივარ ქართლში, გასასყიდად ნიგოზი მიმაქვს, მაგრამ ერთს გეტყვი, თუ დაიჯერებ: ტუვილ-უბრალოდ იქით-აქეთ სიარულს რას გამოუჩინებთ — ქალაქები დავეიცვება, სხვა არა იყოს რა. მოდი, ზენი საეპრო ვაეცვალოთ: შენ ეს მატყლი წაიღე იმერეთში, გაყიდე, და მე ნიგოზი მომეცი, ქართლშივე დავბრუნდები და გავყიდი.

— ძალიან კარგია, ძმობამ! გვირჩევნია ზენი ჩვენი სახლებსიკენ გავბრუნდეთ; თარეით რას გავხდებით. ახა ნიგოზი, და შენც შენი ტომარა მატყლი მომეცი.

ამ გვირად ორივე ცრუპენტელამ ტომარები ერთმანეთს გაუცვალეს და თავთაივით სახლისკენ გაბრუნდნენ. კოტა გზა გაიარეს და ერთმანეთს რომ ევლარ მხედვდნენ, სწრაფად თავთაივის ტომარები გახსნეს. ნახეს, ერთმანეთი მოგეტყულებინათ. ვაეიდა რამდენიმე ხანი, კიდევ შეხედნენ ერთმანეთს. მიემშვიდობა დათუა და უთხრა პეტრიკელას:

მე მეგონა, მარტო მე ვაყოლი ტყუილი, მაგრამ არც შენ ყოფილხარ, ძამიავ, ნაკლები.

— იმე! რა გაგვირგვებია, შე კაცო. თუ კი შენ იყოდი რამე, რატომ მეც არ მეცოდინებოდა?

— მაშ, მოდი, დავძმობილდეთ!

— ძალიან კარგი. იცი რა! მოდი ერთად მოჯამაგირედ დავდგეთ სადმე.

— შენი ნება იყოს.

ცრუპენტელები შეუდგნენ მოჯამაგირის ადგილს ძებნას. ბევრი იარეს, თუ კოტა იარეს, ზოლოს შეიტყეს, ერთ დედამბერს ორი მოჯამაგირე უნდაო, მივიდნენ იქა და ადგილი იკითხეს. დედამბერმა უთხრა: ერთი ძროხა მყავს და ეს სახლი მაქვს; ერთმა თქვენგანმა ძროხა უნდა ატაროს საბაღი-ხოდ და თანაც საღამური, ჩონგური და დიარა უნდა ჰქონდეს, რადგან ჩემმა ძროხამ ცეკვა იცის; მეორემ-კი აჭაურობა უნდა დაგაიოს, დაასუფთაოს და სხვის ეზოში გადაყაროს. თუ თანახმა ხართ და საშაბურს შეიძ-

ლებთ, დადგით.— თანახმა ვართ, როგორ ვერ შევქმლებთო, უკანსუხეს. მეორე დღეს პეტრიკელი შინ დარჩა სახლკარის მოსაველედად; დათუამკი პური, დიარა, საღამური და ჩონგური აიღო და ძროხას გაჰყვა...

პეტრიკელამ სახლკარი დაგავა, დაასუფთავა, ნაგავს თავი მოუყარა და, როცა სხვის ეზოში ჰყრიდა, პატრონებმა დაინახეს, მისცვიდნენ და შწარედ სცემეს: თქვენ ნაგავს ზენ ეზოში რატომ ჰყრითო. ცემისაგან გვერდებ დალურჯებული პეტრიკელი ბოსლის ტახტზედ დაეგდო.

არც დათუა ცრუპენტელას დაადგა კი დღე. გავიდა თუ არა ძროხა საბალახოდ, მაშინვე კენტრიში მორთო და საღამომდინ ფეხ ჩაუდებლად დარბოდა. საღამოს შინ მობრუნდა, დათუაც თან მოჰყვა. სირბილისა და შიმშილისაგან ისე დაქანკულიყო, რომ პურის ქამაც კი არ შეეძლო. შევიდა თუ არა ბოსელში, პეტრიკელას ჰკითხა:

რა დაგემართა, ძამიავ, აეიდ ხომ არ ხარ?

— აეიდ კი არა!

— აბა, რატომ წევხარ?

— ბოსელი და ეზო დაგვავე და ნაგავი სხვის ეზოში გადავყარე, და მინახეს თუ არა პატრონებმა, მიმიწვიეს და კარგად გამამსპინძლდნენ, ბევრი კახურის სმით თავი მიბრუნის, შენ როგორი და დრო გაატარე?

— მეც კარგ ქეიფზე ვიყავი... დაუკარი დიარა, ჩამოყარი თითები ჩონგურის სიმებს და ჩავაკიილე საღამური. ძროხამაც დაუარა მშვენიერი ფეხმარდი ლეკური. კაცი და ქალი აუარებელი მოგვაწყდა, ჩვენთან ისინაც მხიარულობდნენ. წარმოიდგინე, პური ისევე მთელი მოვიტანე: სხიარულით ქამაც კი არ მომგონებია.

— აბა, რახან ეგრეა, ძმაო, ზვალ შე გავყევები ძროხას, და შენ კი მეზობელს ეწვიე და ერთი ღაზათიანთ გამოთვერა.

— შენი ნება იყოს, არ გაწყენინებო, უთბრა დათუამ.

მეორე დღეს ისეთივე დღე დაადგა პეტრიკელას, რაც დათუას გადასხდა: საღამომდინ თავ-ქუდ მოგლეჯილი არბენია ძროხამ; დათუა კი ისე დაამყავეს ცემით, ძლიერს ბოსლამდინ წელი მიათრია.

იმ ღამეს რჩევა შეექნათ და სთქვეს: თუ აქედან არ გავიპარეთ, ან სი-მშოლს ვერ გაუძლებთ ან სირბილს, და ცემა ხომ ზედ მფტიაო. გადსწყვიტეს გაპარვა, მაგრამ კარებს საღამომობით თვითონ დედაბერი ჰკეტავდა გარედან. ეს გარემოება გულის წადილის შესრულებას ხელს ძალიან უშლიდა. პეტრიკელამ თქვა:

მოდე, ეს ძროხა დავკლათ, ტომარაში ჩავდჭათ; მერე ერთმა მეორეს უკიბოს, მაღლა ავიდეს, კერძიდან აძვრეს და თოკი ჩამოუშვას. მეორემ ტომრით ხორცი მიაწოდოს, შემდეგ თვითონაც მოგვიდოს და ავიდეს; მასუკან ერთად წავიდეთ.

— ეგ ძალიან კარგი იქნებაო! მოუწონა დათუამ. მე უფრო ღონიერი ვარ, ხორცსაც ავზიდავ და შენც ადვილად აგყვან.

უკბა პეტრიკელამ, ტომრის ცალი უური თოკით მაგრა გამოჰყარა, შიგორითად ნაქერი ხორცი ჩადვა, თვითონაც ჩაჯდა და დაუძახა: ხორცი ასწი

და ტომარა ისევ ჩამოუშვი! დათუამ ტომარა ზღვდა ასწია, ზურგზედ მოიგდო და მოკურცხლა. ყარგა დიდი მანძილი რომ გაიარებინა, დაიღალა და დასვენება მოუნდა. ტომარა ზურგიდან მოიხსნა და ძირს დაავლო.

— ნელა, შე ოჯახ-ქორო, არა მატკინო რა, შესძახა პეტრიკელამ და ტომრიდან ამოძვრა.

— თვითონ შე ოჯახ-დაქვეულო! წელი რათ ამომათრევინე?

— აბა ჩემი რა ბრალია: ნუ ვუღალატებთ ერთმანეთს, ნურკუ კირში, ნურკუ ლხინში და არც წელი მოგვეყდება და არც გული, უთხრა პეტრიკელამ.

ის იყო და ის—ერთმანეთის მოტყუებას თავი დაინებეს, ძმურად, სიყვარულით იწყეს ცხოვრება და ერთმანეთის გატანას არაფერი ერჩიათ.

## 30—„ბედი ვარ“-ისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საწყალი და უჭონელი მარტოხელი კაცი. წავიდა საზოჯამაგიროდ. ერთ ქალაქში მივლიდა და ერთ გვარიან კაცთან სამ თუმნად დადგა. ისეთი ბედი ჰქონდა ყველაფერში, რომ ერთ წელიწადში იმისი ალა, რაც იყო, ერთი ათასად მეტად გაიძღვრდა.

რაცა წელიწადი ვათავდა, მოჯამაგირემ დაპირებული სამი თუმანი მოსთხოვა. ალას ძალიან მოსწონდა და არ უნდოდა იმის ხელიდან გაშვება. უთხრა: რათ გინდა, შეილო, რომ სამი თუმანი ნოგცე და წაბვიდე; აი ჩვენ ერთი ქალის მეტი არაფერია გვეყვს, შეირთე, სილაშაზე არ აკლია, მახინჯი არ არის, ყველაფრით სრულია; სხვაე რომ აღარაფერი მოუშატო, რაც ზენ სარჩო გვაქვს, ისიც გვეყოფა საცხოვრებლად.

ბედივარმა, ასე ეძახდნენ მოჯამაგირეს, უარი უთხრა: რაც დაპირებული ხარ, ის მომეცი, მე შენი ქალი არ მიწავს. მაინც ალამ არ მისცა დაპირებული. ასე ეგონა, რაკი ფულს არ მივცემ, აღარ წავა, თავს არ დამანებებსო.

რაკი ვერაფერს გაბდა, ბედივარი ხემწიფესთან წავიდა საჩივლელად, მაგრამ ვინ მიუშვებს?! სდგას კარებთან, სცემენ და გამოავდებენ.

ხემწიფეს ერთი დღის ერთი ქალი ჰყვანდა, ძალიან გულკეთილი და პატიოსანი. ერხელ დინახა, რომ ბედივარს კარის კაცები სცემენ და მეფესთან არ უშვებენ. ძალიან შეეცოდა, წავიდა და მამას მოახსენა: მამა, ერთი კვირა აქ შენ კარებთან ერთი საწყალი მუშა კაცი მოდის, სდგას, სდგას, ელის სამართალს; შენი კაცები კი სცემენ და გაავდებენ. მეფე ბძინდები, უნდა სამართალი უბოძოვო.

მეფემ შეილოს სიტყვები საწყენად მიიღო, გაჯავრდა და გაავლო თავისი ქალი.

ქალი წავიდა ბედივართან: მეფის ქალი ვარ, შენი გულისთვის მამაჩემმა სახლიდან დამითხოვა, მე შენ მეცოდები და მიყვარხარ, წამოგვევები



კოლადა, წაყიდეთ შენ სოფელში და, როგორც ღვთის ნება იყოს, ისე ვიქ-  
ზარდობო.

ბედღიარს ძაან მოეწონა ქალი, მაგრამ მეტად ღირიბი იყო და არა  
გზავდა რა. შინც ქალი არ მოეშვა.

წაიყენა ბედღიარმა ქალი თავის სოფელში. იქ ერთი პატარა სახლი  
აიშენეს, მუშაობა დაიწვეს და ტკბილად ცხოვრობდნენ. ქალი დაორსულ-  
და. ბედღიარი დალონდა: უნდა წაყიდე სადმე, რომ კოლშიელს სახარდო  
მოვუპოვო, თორემ ასე მუშაობით კოლშიელს ვერ ვაცხოვრებო.

გამოეთხოვა კოლს და წაყიდა. ბევრი იარა, თუ კოტა იარა, ერთ  
ქვეყანაში მოვიდა. კი დიდი ქალაქია. ერთ მდიდარ ვაჭარს ხორცი უყი-  
დნია და სდგას, უნდა წააღებინოს ვისმეს და ვერც კაცს შოულობს. ბედი-  
ვარი მივიდა და მოახსენა: მიბოძეთ, ბატონო, ხორცი, მე წავიღებო. ვაჭა-  
რმა ანიშნა, ამა და ამ აღაგას რომ დიდი სახლია, იმ სახლში მიიტანე და  
შხარყულს გადაეკოო. წაიღო ბედღიარმა ხორცი, მივიდა ვაჭრის სახლში,  
მაგრამ იქ შხარყული ვერაინა ნახა. დიუდგა და თვითონ მოაშხადა მშვე-  
ნიერი სადილი.

მოვიდა ვაჭარი, სადილი ძალიან მოუწონა. უთხრა: ბედღიარ, მოდი, რა  
მოგცე, ერთ წელიწადს მოჯამაგირედ დამიდევო?

ვარისგდნენ წელიწადში ერთ აბაზად.

ისეთი ამ ვაჭრის ქონება, დულს და გადმოდის. თუ წინათ ათი იყო,  
ახლა ათასი გახდა.

გავიდა წელიწადი: გამოართვა ბედღიარმა ხეცდრი ერთი აბაზი. წაყიდა  
ბაზარში, ამით ზემ კოლს უყუდი რასმეს და გავეუგზანოო. მართლაც ერთი  
სარკე შეხვდა, მისცა აბაზი და, რადგან იმისი აღის ამინავი სოვდაგარი  
ბედღიარის ქვეყანაში მიდიოდა სავაჭროდ, ის სარკე იმას გაატანა.

სოვდაგარი გზაზედ ერთ ქალაქში ერთ მდიდარ კაცის ოჯახში დადგა.  
ხედავს, რომ, დილით ქალებმა რომ პირი დაიბინეს, სარკის შავივრად წააღ-  
ში იხედებთან. თურმე იმ ქვეყანაში სარკე არა სკოდნიათ. სოვდაგარმა  
ამოულო და აჩვენა, აბა გაიხედეთო.

ქალებს ძალიან გაუეკირდათ და ხელიდან აღარ უშვეებდნენ: უნდა მო-  
გვიყოლოო!—ვერ გავყიდიო, მოახსენა სოვდაგარმა, სხვისა გამოტანებულიოო.  
ქალები შინც არ მოეშვნენ. მისცეს ათი ჯორის სპალნე ფული. სოვდა-  
გარმა იფიქრა, ამ ფულს წავეუღებ, ამისთანა სარკე იქ კი კოტა იშოვებოო.

ბედღიარის კოლს ძალიან გაეხარდა ამოდენა ფული. სოვდაგარს კი  
პატერი სცა და ისე გაისტუმრა. ქალს ამ დროს უკვე წელნაბევრის ვაგი  
ჰყვანდა. ამ ფულით მშვენიერი სისახლე გადაქიმა და დაიწყო კეთილი ცხოვ-  
რება.

ბედღიარმა მეორე წელიწადიც ჰველ აღასთან გაატარა. ისე გამდიდრ-  
და აღა, რომ იმ ქვეყანაში ხემწიფის მეტი ვედარაინ სჯობია.

წლის თავზედ ბედღიარმა წაიღო მეორე აბაზი ბაზარში. ვნახოთ, ბაღ-  
ლებს კატის კნუტი დამყავთ გასასყიდად.—რა ღირსო? მკითხა ბედღიარმა.—  
ერთი აბაზოო. მისცა და წაიყვანა. იმის ქვეყანაში ვაჭრების ქარაყენა მიე-



მგზავრებოდა, შეხვეწა, ერთი კატის კნუტი მყავსო, მინდა ცოლს გავუგზავნო, და თუ შეიძლება, წაიყვანეთო.

სოვედაგრები დიდი სიამოვნებით დათანხმდნენ. წაიყვანეს,—რა ბედენად დაგვამძიმებსო. სოვედაგრებმა მგზავრობის დროს ერთ ქვეყანაში დაისვენეს. აქ დაპატარეა ისინი ერთმა ქალაქის დიდებულმა, სუფრა რომ გაშალეს, რამდენიმე კაცი ჯობით დადგა თავსა და ბოლოს. სოვედაგრებმა მიზეზი იკითხეს. მოახსენეს, რომ აქ იმდენი თავგი იცის, რომ პურს ხელიდან გეტაცებენ, და იმათ დასაფთხობად სდგანანო. მართლაც, როცა სადილზედ დაბანდნენ, იმდენი თავგი გამოცოცდა, რომ სულ დაფარა სუფრა. აღმაშინ სოვედაგარი და მოიყვანა კატა. კატამ დაინახა თუ არა თავგები, ცა და ასეთია, სულ ბური აადინა. კატის ხმაზედ ისე გაქრნენ თავგები, რომ წამლიად აღარ მოიპოვება. ისეთია სახლის პატრონი, აღარ იცის რაღა ქნას. —რაც უნდა დამიფასოთ, მოგართმევთ. და კატა კი მე უნდა დამითმოთო.

სოვედაგრმა უთხრა, სხვისა გამოტანებულია და ვერ გავუიღებოთ. მიიწე არ მოეშვა, მისცა თხუთმეტი ჯორის საკიდარი ფული და გამოართვა ის კატა.

სოვედაგრებმა მიუტანეს ბედივარის ცოლს აღებული ფული და უთხრეს, შენმა ქმარმა გამოგგზავნაო, ასე იყო, ასეო. გაუხარდა ბედივარის ცოლს და დაიწყო უფრო კეთილი ცხოვრება.

გვიდა მესამე წელიწადი. ბედივარმა რა იცის, რა ამბავია იმის ცოლის თავს. მიიღო შესამე აბაზი და გვიდა ბაზარში. ერთი კაცი დადის და იძახის: სამი ქუა შაქეს, და ვინ იყიდის?

— რა ღირს ეგ სამი ქუაო? ჰკითხა ბედივარმა.

— ერთი აბაზი!

მისცა ერთი აბაზი.

კაცმა უთხრა პირველი: გზაში რო მიდიოდე და გაგიაფარდეს, დაბლადგილს არ დადგე, ცაადე მაღალ ადგილზედ დადგეო.

მეორე: საწყენი რომ რამე შეგებდეს, ნამდვილი სანამ არ გაიგო, გულწინე მოხვალო.

მესამე: რო გკითხონ, რომელი სჯობიაო, ნურც ერთს ნუ აძაგებო.

ბედივარი თავის ქვეყანაში წივიდა. იქითკენ წივიდა იმისი აღაც სავაქროდ. ბევრი იარეს, თუ ცოტა. ერთ ადგილას დაუღამდათ. ის არის, ავდრობს. აღამ უთხრა—ერთი დაბლობი ქალა იყო—იქ დაედგეთ, უფრო მოფარებული ადგილია და ხეების ქვეშაც შევეფარებითო.

— არა, პატრონო, ნუ იქ შავას, მოახსენა ბედივარმა, თუ ჩემსას გაიგონებთ, ამაღამ იმ გორაკაზედ დავედგეთო.

იმ ღამეს მართლა ისეთი ნიღვარი მოვარდა, რომ სულ წალეკა დაბალი ადგილები და ის სოვედაგრებიც. გადარჩნენ ბედივარი და იმისი აღა.

აღამ უთხრა: რა უნდა მოცეცე, რომ ამ უბედურებას გადამარჩინეო? ჩემი სარჩოს ნახვეარი შენი იყოსო.

— მე მხოლოდ, რაც გარბევა გვაქვს, ის მომეცეო, მოახსენა ბედივარმა. მე შეტი არაფერი მინდაო.

იარეს, იარეს და ერთ უდაბნო აღავას მივიდნენ. ისეთია, უწყლოობით ხალხი სულ იხოცება. იმოდენა ქარავენს მოუყრია თავი, რომ ჰდგვა აღარ

არის. თუმცა ეს უოფილო ამოთხრილი, მაგრამ ვინც იმ ქაში წყლისთვის ჩახულა, ქოცხალი ვედარაინ ამოსულა. შეყრილიყენენ სოვდაგრებმა და თათბირობდნენ: ვინც ჩავა და წყალს ამოიღებს, ოცი ჯორ-აქლემის საპალნე ფულს და საქონელს მივცემო. მაგრამ მსურველი არაინ აღმოჩნდა.

ბედღიარმა რომ ვაიგო, რაშიაქ იყო საქმე, მივიდა და გამოუცხადა, რომ მე არაფერი სასყიდელი არ მინდა, მაგრამ ამოდენა ხალხი რომ წყურვილით იხოცება, ეს ვერ ვუტყვი ამოდენა საცრდაობას, შე ჩავალ და რაც იქნება—იქნებაო. ოღონდ თქვენ ერთი დიდი ქვაბი, ვძელი თოცები და წყლის ქურქელი მინახეთო.

ბევრი უშალა აღამ, მაგრამ არ დაიშალა: ამოდენა ხალხს რომ ერთმა კაცმა თავი შესწიროს, რა დიდი საქმე არისო.

უნახეს ყველაფერი. ჩაქდა ქვაბში და ჩაეშვა ქაში. სოვდაგრებმა უკვე მისცეს ოცი ჯორ-აქლემის საკიდარი ბედღიარის აღას: ის შაინც აღარ დაბრუნდება, და კოლშვილმა შაინც გამოაყენოსო.

ბედღიარი რომ ჩავიდა ქაში, ცალ მხარეზედ კაცის დასადგომი ნახა. დადგა, გაამსო ქვაბი და დაუძახა, ასწიეთო!

ამ რიგად მთელი სამი დღე აწოდა წყალი, სანამ არ გაამაეს, რაც წყლის ქურქელი მქონდათ.

რაცა თვითონაც ამირობდა ასეღას, ამ დროს ვაიგო გვერდიდან კარი, და ერთი კაცი გამოვიდა; მოხვია ბედღიარს ხელი და შეგნით წაიყვანა. ბევრი ოთახები გაატარა და ბოლოს ერთ ძვირფასად მორთულ ოთახში შევიდნენ. ტახტზედ ორი ქალი ზის: ერთი ისეთია, იმაზედ უკეთესს კაცის თვალი ვერა ნახავს, მეორე მახინჯი, როგორც ჯოჯო.

კაცმა მკითხა: ამა მითხარი, ამ ორ ქალში რომელი სჯობიანო? ბედღიარს მოაგონდა, რომ „თუ გკითხონ, რომელი სჯობიანო, ნურც ერთს ნუ ამაგებო.“ მახსენა: ყველა კაცს თავისი გემოვნება აქვსო, მე რომ მკითხოთ, აი ამას ვირჩევ, ესა სჯობიანო, და გაიშვირა გონჯიწვენი ხელი. ქალებმა გაიციენს.

გონჯი ქალი ადგა, შემოტრიალდა, ერთი გაიციანა და ისევე დაქდა. ისეთი ღამაზია, რომ ის მეორე ღამაში ამასთან სახსენებელიც არ არის. ბედღიარი ბედავს, რომ ვარეთ სულ სავსეა კაცის ძელებით.—ეს რა ამბავიაო? იკითხა.—ეგ ის არის, რომ ვინც აქ ჩამოვა და წყალს აავსებს, მეორე აქ შემოვიყვანთ, ეგ ქალი სახეს იცვლის და ეჭვენება. მკითხავენ: რომელი სჯობიანო? ხამი კაცა პირველზედ მიუთითებს, რა იცის, თუ მეორე სახე შეცვლილია. ეს ქალი ღანძღვად იღებს იმ დაწუნებას და ასე თავებს სჭრისო. შენ ან სიმართლე მიგიძღვის რამე და იმან გიხსნა, ანა და შენმა კუქამაო. ამა გეთხოვე, რაც გინდა, რომ მოგცეთო.

ბედღიარმა უთხრა: ოღონდ ისევე მაღლა ამიყვანეთ და თქვენი არაფერი არა მინდა რაო. დასევს ერთ ვერცხლის ხონჩაზედ და უბრძანეს, ამა ჩქარა მაღლა აიყვანეთო.

ბედღიარი რომ ამოვიდა, ქარაინი იქ აღარ დახვდა,—ქარა ხანი გასულიყო, ელოდნათ და წასულიყვნენ. ბედღიარი შეეხვეწა ხონჩას: რაკი მაგისთანა სიკეთე მიყავ, რომ აქამდე მომიყვანე, პარემ სახლშიაც მიმიყვა-

ნყო. აფრინდა ზონჩა და ერთ კობტა ქალაქში ერთ მშვენიერ სასაბუღლოში მიიყვანა. ბედივარი იცქირება აქეთ-იქით, ეს ვის სახლებში მოვედღოთ. ერთი ქალი გამოვიდა, თან ერთი ვაგი მოსდევს. ბედივარი უცქერის, ეცნობა, თავის ცოლს ჰგავს, მაგრამ აქ რა უნდაო, ამბობს გულში. იცნო ცოლმაც, გადაებვია და დაუწყო კონა, მიულოცა დაბრუნება და ვაგიც აჩვენა, აი ამოდენა შეილი გყავსო.

— ეს სახლი ვილასია, ან აქ რას აკეთებთო? ჰკითხა ბედივარმა.

— სახლიც ჩვენია და [ვენც] შენები ვართო, უთხრა ცოლმა, შენი გამოგზავნილი ფულით დავდგი ყველაფერიო.

— შე არაფერიც არ გამოგიგზავნიაო, უთხრა ბედივარმა. ისეთია ბედივარი, ექვით აღარ იცის, რაღა ქნას. ფიქრობს ცოლიც მოკლას და შეილიც. მაგრამ მოაგონდა მესამე კეუა, რომ იყიდა; „სანამ საქმე კარგათ არ გაიგო, გული არ მოგივიდესო“.

გამოჰკითხა ცოლს ყველაფერი. ცოლმა დაწვრილებით უამბო, საჩკისა, კატისა და, ჰაში რომ ჩისულიყო, იმისი ამბავი. იმის აღსაც ვაეგო იმისი მშვიდობით დაბრუნება, დიდი ძღენითა და საჩუქრებით ეწვია.

ამის შემდეგ ცხოვრობდნენ კეთილად. იპოვნეს ქალის მამა ხემწიფეც და, რადგან იმას სხვა ვაგი აღარ ჰყავდა, ამით დარჩათ ხემწიფობა.

ქირი იქა, ღზინი აქა.

ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 81.—ხემწიფე და „თხებით საგსე ყუჯლის ვენახი“

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდებული ხემწიფე. მოისურვა ვაეგო, ვინ იყო იმის სახემწიფოში ყველაზედ ჰკვიანი და გონიერი. ამიტომ გამოსცა ბძანება, ყველა ჩემი ქვეშევრდომი მოვიდეს, თითო სიტყვა სთქვას, და ვისი სიტყვაც მომეწონება, დიდად დავესაჩუქრებო.

მოდოდა ხალხი და ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. ზოგი თვითონ მეფეს აქებდა, შენზედ ჰკვიანი და ძრიელი ხემწიფე არ იქნებაო; ზოგი სამეფოს უქებდა, შენზედ დიდი და მდიდარი სამფლობელო არავისა აქვსო. ზოგი რას იძახდა და ზოგი რასა.

ხემწიფეს არავისი აზრი არ მოეწონა. ფარისევლები და პირში შეკებრები ზოგი ციხეში ჩაავდო, ზოგს თავი გაავდებინა. არ იქნა სიტყვა ვერაფერ მოაწონა.

ბალოს რიგი ერთ სოფელელ მღვდელზედ მიდგა. შენი მტერი იყოს, როგორც ზუცეს ფერი ეცვალა: ეგ არის, ეხლა კი ჩემი აღსასრულის დღე მოვიდამო!

მა თავის გოგრაში რა კეუა უნდა ჰგულებოდა, „მამო ჩვენოსი“ და შოლაფლავის ქიმის მეტი სხვა არა იყოღა-რა და არც არაფერზედ ფიქრობდა.

გამოეთხოვა ცოლზეილს, შეჯდა ცხენზედ და გასწია ხემწიფისკენ. მოადის და ფიქრობს, რა უთხრას ისეთი ხემწიფეს, რომ სიკვდილს თავი გადააბრინოს. ბევრი იფიქრა, ბევრი თავი იმტვრია, მაგრამ ვერაფერს აზრს ვერ დაადგა.— მომკლავს, მომკლავს! ობრადა. მღვდელი ვირ და ერთი ჰყვია-ნური სიტყვა როგორ ვერ უნდა მოეახსენაო.

ამ ფიქრით ერთ ხვეში გამოიარა. უცებ გველმა გზა გადაუჭრა (გზა გადაიარა). მღვდელი უფრო შეშინდა: ეს კარგი ნიშანი არ არის, ნამღვილად თავს მოშპრის ხემწიფეო. მიაფურთხა გველს, შემოჰკრა ცხენს საბრე და გაეშურა.

**გველმა** უცებ ენა ამოიდგა და დაუძახა: მამო, ნუ გეშინიან, დაიკადე და ბედსა გწეო!

მღვდელმა მოიკადა. მღვდელი გაშტერებული შესტკეროდა გველსა, თან პირჯვარს იწერდა, ალბათ ეშმაკული იქნება რამეო. შინც გული გაიკეთა: ე ხომ თავს მოშპრის ხემწიფე, და იქნება ამ გველმა გამოსადეგი მითხრას რამეო. დადგა და ყური დაუგდო.

— სად მიდიხარო? ქეთხა გველმა.

მღვდელი მოუყვა თავის თავგადსაეილს და ყველაფერი უამბო.

გველმა უთხრა: როცა ხემწიფესთან მიხვიდე, მიწიწებით სალამი მიართვი და, როცა გკითხოს, ასე მოახსენე: „უფლის ვენახი თხებით აივსო-თქო.“ ხემწიფე გკითხავს, ამხსენი, რასა ნიშნავს ეს სიტყვაო? შენ თამამად წადგე წინ და მოახსენე: „ქვეყანა წახდა-თქო“. აღარ არის აღარც ღვთის შიში, აღარც ერთმანეთის სიყვარული. ძმა ძმის აღარ ინდობს; ვაბშირდა ორბი-რობა. ღალატი, ჯაშუშობა, ცარცვა-გლეჯა, ერთმანეთის გაუტანლობა. ერთი სიტყვით თხების დრო დადგა-თქო“. ხემწიფეს მოეწონება შენი სიტყვა, მრავალ საჩუქარს მოგცემს, ასე გამოიარე და ნახევარი შე მიწილეო.

მღვდელი დღად გახარებული წავიდა. — რა ღმერთი გამოიწყრება, თქვენგან გაზედნიერდე და თქვენ კი არაფერი მოგვართვითო? ჩემთვის ისიც საკმაოა, რომ თქვენ გამო შე სიკოცხლე შემარჩესო!

მღვდელი მოვიდა ხემწიფის სასახლესთან. ხემწიფეს მოახსენეს, თქვენ რომ მღვდელი დაიბარეთ, ის მოვიდა, და რას გვიბძანებთო?

— მოიყვანეთ აქო!

მღვდელი თამამად წადგა მეფის წინა და სალამი მოახსენა და თავდაბლად თავი დაუჭრა.

— ჯერ ჩემს სახემწიფოში ისეთი კაცი არ გამოჩნდა, რომ იმისი სიტყვა და აზრი მომწონებოდა, და აბა თუ შენ იტყვი ისეთს რასმეს, იცოდე ივაშენებო, თუ არა და იცოდე, მარგილზე ჩამოგაგებო.

— შენი დღეგრძელობა და ბედნიერად მეფობა ინებოს უფალმა ღმერთმან. რასაც ღმერთი მაგონებს, იმას მოგახსენებო!

— ხქეიო! — უბძანა ხემწიფემ.

— ჩემი აზრი ეს გახლავთ, დიდებულო ხემწიფეო, რომ „ღვთის ვენახი თხებით აივსოვო“.

მეფეს მოეწონა მღვდლის სიტყვა და ახსნა უბძანა.

მღვდელმა მოახსენა: საითაც გაიხედავთ, ყველგან ერთმანეთის ყელგა-  
გლეჯია, უპირულობა, გაუტანლობა, შური, უნაშუსობა, ჯაშუშობა და ერთ-  
მანეთის დაუნდობლობა. ერთი სიტყვით, როგორც თხები ვენახში მშვენიერ  
ხეხილს გააოხრებენ, ისე ქვეყანა ცოდომ დაიქირაო.

ხემწიფეს მოეწონა მღვდლის სიტყვები, ერთი ხურჯინი ოქრო ატუქა  
და გაისტუმრა.

მღვდელი გახარებული წამოვიდა, გზაზედ მოაგონდა, რომ ნახევარი  
გველისათვის უნდა მიეცა. სიხარბემ დასძლია: აბა გველი ოქროს რაში გა-  
მოიყენებს, მე კი წერილშვილი ვარ და ზემთერს უფრო მადლიაო. აუქცია  
გზა, სადაც გველი იყო, იმ ადგილზედ აღარ გაიარა, შორს მოუარა და წა-  
ვიდა სახლში. აიშენა მშვენიერი სახლი, დაიწყო კეთილი ცხოვრება. ხემწი-  
ფემ დააფიწუდა, გველაც და თხებით აესილი უფლის ვენახიც.

ქარგა ხანი გავიდა. ხემწიფეს კიდევ მოუარა ფანტაზიამ, დაიბარა ხალხი  
და კიდევ უბძანა, ქვეყანი სიტყვა მიიხარით ვინმეო. მაგრამ არავისი სიტყვა  
არ მოსდიოდა ქვეყნი. ახლა ისე აღარა სჭრიდა თავს ხალხსა; ცოტა არ  
იყოს, შერცხვა, თუ ეცოდებოდა, რა მოგახსენოთ. რაკ ვერაფერს უთხრა  
რიგინი სიტყვა, ისევ ის ხუცესი დიბარა.

მღვდელს რომ ხემწიფის კაცი მიუვიდა, ხუცესი შიშით და ელდით გააცია  
და გაასტელა.— ვაი დაღუპულო ცოლო და შვილოვო! ახლა კი ველიარ გად-  
ვურჩები ხემწიფის მახელსაო! გველაც შავიმდურე, ვიხარბე, ააფერტი უწი-  
ლე, რაც ხემწიფემ მიწყალობა, და ეხლა რაღა პირით მივალ იმსთანაო.  
თუშკა ბევრი იღრიალა და თმა და წვერი იგლიჯა, მაგრამ წაუსვლელობა  
არ იქნებოდა.

აღგა, შეკახმა ცხენი, აკიდა ხურჯინი, გადიწერა პირჯვარი და წაიდა.  
წინანდელი გზით გაიარა. სადაც წინად ენახა, გველი იქვე დახვდა. მღვდელმა  
სიტყვილათ ველარც კი მიხედა გველისკენ.

გველმა დაუძახა: სად მიდხარ, მამაო? ძალი ხომ არაფერი დიგადგაო?

— ე რაღა საკითხავი ვარ მე, ცრუ და უპირულის! შენთან შევერცხვი,  
თავს ლაფი დავისბი და რაღა პირით მოვიდე შენთანაო.

— ნუ იღარდებ, უთხრა გველმა, დრო მაგეთი იყოვო. აი ეხლა რომ  
ვცხებენიან, დროც სხვა არისო. წადი და ხემწიფეს ასე მოახსენე, როცა  
გკითხოს: «უფლის ვენახი ხბოვებით აივსო-თქო!» თუ გიბძანოს. აზრი ამიხ-  
სენიო, ასე მოახსენე: «უფლის ვენახი ქვეყანაა და თუ ხბოვებით აივსო,  
სწინს. როგორც ხბო თხასა სჯობია და ნავლებად ვაქოტრინს ხეხილს,  
ისე ეხლა ხალხს უყეთესობა ეტყობა-თქო. ცოტა იმატა ნაშუსიანობამ,  
ძმობამ და სიყვარულმა, ისეთი გიერტი ცარცვა-ყელგეჯა და ერთმანეთის  
მტრობა აღარ არის-თქო!» ხემწიფემ რაც ვიწყალობოს, ეხლა მიინც არ და-  
მივიწყოო.

— რას მიბძანებ, ოღონდ ეხლა გადაფრჩე და შინიდანაც მოგართმევე,  
თორემ იმს კი აღარ წავიღებო.

წავიდა გახარებული მღვდელი. ცოტა იარა თუ ბევრი, მივიდა ხემწი-  
ფის სასახლესთან.

ხემწიფე გამობძინდა. მღვდელმა თავდაბლად თავი დაუქრა.

— აბა, ზემო ხუცესო, უბძანა მღვდელს ხემწიფემ, რას შეტყუებ ანურსაო? როგორც მაშინ მასიამოვნე, თუ ეზღაო ისეთი პასუხი მომეცი, გაგაკეთებო.

მღვდელმა მოახსენა: „უფლის ვენახი ახლა ხზოვებით არის სავსეო!“  
ხემწიფემ ახსნა უბძანა.

მღვდელმა მოახსენა: „უფლის ვენახი ქვეყანაა; წინათ თუ ცოდვილებით იყო სავსე, იმასთან შედარებით ეხლა სვინილისა და ერთმანეთის სიყვარულმა და ნამუსიანობამ უფრო იმატა. როგორც თხები ხეხილებს კორტნიან და ქერტვენს, ხზოვები ისე ვერ აფუტებენო.“

ხემწიფემ ძალიან მოიწონა მღვდლის სიტყვა, ერთი ხურჯინი ოქროს უწყალობა და გაისტუმრა.

წამოვიდა გახარებული მღვდელი. პირობის ძალით ნახევარი უნდა გველისთვის მიერთამია, მაგრამ სიხარბემ დასძლია, აუხვია გზა და სრულეობით სხვა გზით დაბრუნდა სახლში.

ისე გამდიდრდა მღვდელი, რომ იმ შიარემში იმაზედ მდიდარი აღარაინ იყო.

გავიდა დრო და ეპი. ხემწიფეს კიდევ მოუარეს ხუსტურებმა. დაიბარა ნახირ-ვეზირი და უბძანა: ისეთი კაცი უნდა მოიყვანოთ, რომ ქვეყანური სიტყვა მითხრასო.

მოკაყვდათ იმათი ხალხი და ჰკითხავდნენ. მაგრამ ხემწიფეს არავისი სიტყვა არ მოეწონა, თუმცა ბევრი თუ სისულელეს ამბობდა, ბევრი ძალიან ქვეყანურ აზრსაც მოახსენებდა ხოლმე. ახლა-კი სრულიად აღარა სჯიდა ხემწიფე სიტყვისათვის. ვისაც სიტყვა არ მოეწონებოდა, მშვიდობით გზანიდა სახლში. მოაგონდა წინანდელი ხუცესი. ხემწიფემ ბძანა: ისე ის მღვდელი მომიყვანეთ, თორემ სხვამ ვერაინ ამიხსნაო.

დაიბარეს ხუცესი ხემწიფესთან. ასეთია მღვდელი, სული შიშით ხორცს გაყვარა: ახლა რაღა უნდა ვუთ, ვაიმე ზემო დაღუპულო ცოლო და შვილოვო, ოჯახო დანგრეულო, კერაე დანელებულოვო! შე, ამ სულელმა, გველოც მოვიმდურე, სიხარბით სულაც წავეწყვიდე და ხორციცაო!

რას იზამდა? მეტი ღონე არ იყო, უნდა წასულიყო. ადგა შეგება ცხენი, აქიდა ხურჯინი და ნაღელიანად ვაუდგა გზას. როცა იმ ადგილს მიახწია, სადაც გველი გვულებოდა, სიბრძნეობით ვეღარ მიიხედა და ისე გასცდა.

გველმა დაუძახა: რათ მიმკიდლები, მაშაო, რა ამბავია შენს თავსაო!

— ზემო სიკედელი და თავსლავ დასხმაო! ისევ ხემწიფე მიბარებსო!

— ნუ გეშინიანო, ასწავლა გველმა, როცა გკითხოს, ასე მოახსენე: „უფლის ვენახი ცხერებით აივსო თქო!“ ახსნა რომ გკითხოს, ასე აუხსენი: „შემოვიდა ქვეყანაში ძმობა, ერთობა, სიყვარული და ერთმანეთის გატანა თქო. როგორც ცხერებს, ერთმანეთის გულისთვის ასე სწირავენ მსხვერპლად თავსა თქო!“ მოგიწონებს, საჩუქარს მოგცემს და ვინაშო ეხლა მიინც აღარ ვამიშო ისე, რომ არაფერი მიწილოვო.



წავიდა მღვდელი ხემწიფესთან. როგორც გველმა დაარია, ისე მოუ-  
ქცა. ხემწიფეს ძალიან იამა ქვეყნის გასწორების და გაუკეთების ამბავი.  
ერთი ხურჯინი ოქრო აჩუქა მღვდელს და გაისტუმრა.

მღვდელი წამოვიდა სახლში გახარებული. ახლა წინანდელივით კი აღარ  
აუქცია გზა გველს, პირდაპირ იმის ბუნაგთან მივიდა, გადმოიღო ოქროთ  
სავსე ხურჯინი და მიართვა გველსა.

— წინათაც მიეჭარე, ჩემმა სიხარბემ დამიბრძოვა და ეხლა მაინც დავი-  
შვდილო სვინდისთა.

გველმა ფულზედ უარი უთხრა, მე ფული არ მინდაო, მხოლოდ რაც  
მე გითხარი, წადი ია ქვეყნის გაუკეთების ობრს ემსახურეო. ესა სთქვა და  
იქცა ანგელოზად და აფრინდა ზეცაში.

## 82— „ლობიოს ქოთანი რო ჩუხჩუხებს, რას ამბობსო?“

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემ-  
წიფე. ძალიან სასტიკი და თავისნება კაცი იყო. რასაც იტყოდა, თუ არ  
აქსრულდებდნენ, ქვეყანას ამოხოცავდა.

ერთხელ ვეზირსა ჰკითხა: „ლობიოს ქოთანი რო ჩუხჩუხებს, რას ამ-  
ბობსო?“ უნდა ამხსნა, თორემ თავს გაგაგდებინებო.

ვეზირი ძალიან შესწუხდა; იყოდა იმისი მშანებელი რა ქვეყნისა  
ბძანდებოდა და ამიტომ იმისგან კარგს არაფერს მოელოდა. თვითონ გო-  
ნიერთი კაცი იყო, შიგნით შესაძლებელია ის არ ეთქვა, რაც ხემწიფეს სურ-  
და. ამიტომ ადგა, აღო ჯობი და გასწია ქვეყანაზედ, ვეზირი ვისმეს აქსნა-  
ეს ქართული. მიდის ვეზირი გზაზედ და ერთ კაცს შეხვდა.

— გამარჯვება!—გაგიმარჯოს! წავიდნენ ერთად. ბევრი იარეს, თუ ცო-  
ტა, დაიღალნენ. ვეზირმა უთხრა იმ თანამგზავრსა: მოდი, ან შენ ამიკიდე-  
ან მე აგიკიდებ, თორემ ძალიან დავიღალეო!

თანამგზავრმა გაკვირებით შეხვდა: შე დალოცვილო, საკეთარ ფეხებ-  
საც ძლიერს მივათრევე და შენ საიდან ლა აგიკლოეო?

წავიდნენ, იარეს. ამა რას ეტყვის ვეზირი. კიდევ კარგა გზა გაიარეს,  
დაიღალნენ. ახლო გზის პირზედ ტყე იყო. ვეზირმა უთხრა: შედი ტყეში  
და თითო ფეხი გამოიტანე, ერთი შენთვის და ერთიც ჩემთვისაო. სამი ფე-  
ხით უფრო კარგად ვივლითო.

— რასი ბძანებო, ეუბნება თანამგზავრი. ღმერთმა რომ გავვაინა, ორო-  
ლი ფეხი დავაყოლა, და მე ეხლა მესამე ფეხი როგორ შემოძლიან ტყეში  
გამოვკრაო?

ვეზირმა აღარაფერი უთხრა და წავიდნენ გზისა. ბევრი იარეს, თუ ცო-  
ტა, ერთი ყანა ნახეს. ისეთი, ღვთის თვალი შიგა ტრიალებს. ვეზირმა ჰკითხა:  
რას იტყვი, ეს ყანა მოპკლია, თუ მოსამკალიო?



— შე დალოცვილო, ვანა შენ არა ხედავ, რომ მოუშკალია აბა, რა-  
ღას შეკითხებო? ვეზირმა კიდევ არაფერი უთხრა და განაგრძეს გზა.  
კიდევ კარგა გზა გაიარეს. ნახეს, ხალხი მკვდარს მისვენებენ.

— რას იტყვი, ის კაცი მკვდარია თუ ცოცხალი? ჰკითხა თანამგზავის  
ვეზირმა.

ახლა კი მოთმინებიდან გამოსულმა თანამგზავრმა შეუტია: კაცო, შენ  
ან სულელი უნდა იყო და ან სულ კვიანიო. აბა რაღა კითხვა უნდა, რომ  
მკვდარია და არა ცოცხალიო.

იარეს, იარეს და მივიდნენ ვეზირის თანამგზავრის სოფელში. თანამ-  
გზავრმა მიიპატიო ვეზირი თავის სახლში. ვეზირიც დათანხმდა. იმ ღამეს  
კარგათ უძისპინძლეს და მერე ცალკე ოთახში მოასვენეს. რაკი სტუმარი  
ცალკე ოთახში დაიგულეს, ქალმა ჰკითხა მამას სტუმრის ვინაობა. მამამ  
უთხრა: ხემწიფის ვეზირი, მკვრამ ისეთ რამეებს შეუბნებოდა და მკითხავდა  
გზაში, რომ უთუოდ სულელი უნდა იყოსო.

ვეზირს მერე ოთახში სულ ესმის იმათი ლაპარაკი.

— მაინც რასა გკითხავდა? ჰკითხა ქალმა.

— გზაში რომ მოვდიოდით და დაეილაღეთ, მითხრა: რომ ხედავ დაეი-  
ლაღეთ, ან შენ ამიკიდ და ან შე აგაკიდებო.—მერე შენ რა პასუხი მიეცი?  
— როგორ თუ რა პასუხი, ცარიელიც, ძლივს მივათრევედი ფეხებს და ის სა-  
ღლა ამეკიდნა? იმასაც ვე მოვასხენო.

— იმას ის უთქვამს, მამა, შენთვის, ან შენა თქვი ზღაპარი რამე, ან  
ამბავი, ან შე ვიტყვი. გავერთობით და დაღლილობას ვეღარ გავიგებთო.

— მერე ერთ ტყვსთან მოვედით. ვეზირმა მითხრა: ე ორი ფეხი გვაქვს,  
დაგვეღლა, შედი და შესამეც გამოსტერიო.

— მერე შენ რა პასუხი მიეცი, მამა?

— რა პასუხი უნდა მიმეცა, ღმერთმა ასე გაგვაჩინა და შესამე ფეხი მე  
საიდან მოვიტანო-მეთქი?

— მაგრე კი არ უნდა ვეთქვა. იმას შენთვის უაზრებია, შედი, თითო  
ჯოხი გამოსტერ, დაეიჯინოთ და დაღლილობას ვეღარ შეგიტყობთო.

ვეზირს სულ ესმის ეს ლაპარაკი.

მამას, კოტა არ იყოს, ჭკუაში მოუვიდა ქალის სიტყვები და განაგრ-  
ძო: ვიარეთ და ერთი მშვენიერი ყანა ვნახეთ.—ეს ყანა მოშკალია, თუ მო-  
სამკალიო? მკითხებია ვეზირი.—რასა მძანებ, მკდი, თუ რა არის? ვანა ვე-  
რა ხედავ, რომ მოსამკალიო, ფუთხარ შე.

— ის ყანა, მამა, იმ კაცს უკვე წინდაწინვე გაყიდული ჰქონია და იმის-  
თვის მოშკალიც არის და შეკმულიცაო.

— გამოვიარეთ კიდევ, და ერთ სოფელში მკვდარს მისვენებენ. ვეზირი  
მკითხებია: ის კაცი მკვდარია, თუ ცოცხალიო? აქ კი მოთმინება დამეკარ-  
გა და შეუტია: ან შენა ხარ სულელი და ან შე მოვლი-სულელიადა, მეთქი,  
თორემ ვინ არა ხედავს, რომ მკვდარი არისო.

— არა, მამა, უთხრა ქალმა, შენ ტყუილად გაფხუციანებულხარ. თუ იმ  
კაცს შვილი დარჩა, მკვდრად არ ითვლება, და თუ უძეოდ გადაეგო—მკვდა-  
რი მაშინ არისო, რადგან ჩამომავლობა ესპობაო.

ვეზირმა ყველაფერი გაიგონა, ძალიან მოეწონა ქალის გონივრული ახსნა და თვითონაც იმედი მოეცა, ჩემი გაჭირვებიდან ვე ამოპყვანს, <sup>მამამხნანამ</sup> ხემწიფის სიტყვასაო.

მეორე დღეს ვეზირმა სთხოვა მასპინძელს: თქვენი ქალი მანახვეთ, მინდა ერთი სიტყვა რამე ვეთხოვო. მასპინძელმა მოუყვანა თავისი ქალიშვილი ვეზირს.

ვეზირმა ჰკითხა: შენ კვიანი ქალი სიანხარ და ერთი ეს სიტყვა ამბახენი: „ლობიოს ქოთანი რომ ჩუხჩუხებს, რას ამბობს?“

ქალმა მახსენა: ლობიოს ქოთანი რომ ჩუხჩუხებს, ცეცხლს ეუბნება: ცეცხლო! მაკმარე წეა და დუღილი, მე შენს სიცხეს მეტს ვეღარ გავუძლებ, თორემ გადმოვალ და ჩაგაჭრობო.

ვეზირს ძალიან მოეწონა ქალის ბრძნული პასუხი. ქალს ძვირფასი საჩუქარი მიართვა და წაეიდა ხემწიფესთან. აუხსნა, როგორც ქალმა ასწავლა. ხემწიფეს ძალიან მოეწონა ეს პასუხი და ჰკითხა, ვინ არის ის, ვინც ეს ახსნა გითხრავო. ვეზირმა ყველაფერი დაწერილებით მოახსენა.

მამან გაგზანა ხემწიფემ ვეზირი და მოაყვანიდა ის ქალი სასახლეში და დედოფლად გახადა. იმისი დედამაც გააბედნიერა.

ამის შემდეგ სრულიად გამოიკვალა ხასიათი ხემწიფემ და უფრო სათნო, ხალხის გულშემბატკივარი და ბრძენი და მოწყალე შეიქნა.

მთის ურემი აეგორე,  
წამოვიდა გორებიითა,  
აქ სიკოცხლით გამოიძებით,  
საიქოს ცხონებითა.

## 83 — ყსამართლითო მასამართო

იყო ერთი ხელოსანი, ჰყავდა ერთი ვაჟი-შვილი. მამამ შვილი სხვა ხელოსანს მიიბარა გასაწურთნად. შვილმა ვაითავე შევირღობა და შინ დაბრუნდა.

მამა და შვილი სხვა მხარეში წაიქნენ სამუშაოდ. კარგა გზა რომ გაიარეს, მამამ მოინდომა შვილის გამოკვლა, უსწავლია რამეო, თუ არა, და უთხრა: დაეილაღე: მოდი ჯერ შენ ამიკიდე და მერე მე აგაკიდებო.—კარგიო უთხრა შვილმა და მოუყვა ზღაპარს. შვილმა რომ ვაითავე, ახლა მამამ დაიწყო. ამასობაში ისე გაერთვნენ, რომ დაღლილობა სრულიად დაავიწყდათ.

გაიარეს კიდევ კარგა გზა. მამამ მისცა შვილს ექვსი შაური და უთხრა: წადი, ამ ექვსი შაურისა ცხენები იყიდე, შეესხდე და წაეიდეთო. შვილი წაეიდა და ერთი ხელადა ლეინო იყიდა. დალიეს და ხალისიანად გაუდგნენ გზას. გაიარეს კიდევ კარგა გზა. მამამ უთხრა შვილს: წადი, ერთი ამხანაგი შენთვის იშოვე და ერთიო ჩემთვისაო. შვილი შევიდა ტყეში, მოსპრა ორი ჯოხი, ერთი თავისთვის, ერთიო მამისთვის, და გაუდგნენ გზასა.

იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ალაგას. ნახეს ერთი ყანა, ყანა, რა ყანა ღვთის თვალი შიგა ტრიალებდა! მამამ სთქვა: „იშ, რა კარგია, რა კარგიაო!“ შეილი კი იძახდა: „რა მოკმულია, რა მოკმულიაო!“—არა, კარგიაო!—არა, მოკმულიაო! ვერ მორიდდნენ. მამამ უთხრა, წაეიდეთ და მკოდნე კაცსა ვეთხოვითო. წაეიდნენ გულმეცნიერის საძებნელად.

გზაზედ წყალში გასვლა მოუხდათ. წყალში მარბილი იყო და არა დნემოდა.—ეს რა მარბილია, რომ ამ წყალში არა დნება? ჰკითხა მამამ შეილს.—არ ვიციო, უპასუხა შეილმა. წაეიდნენ გულმეცნიერის საძებნელად. ერთი ქალისას ეტყვიან, ის გამოიცნობს ყველაფერსაო. იპოვნინ ქალს და ჩამოხდებთან იმის სახლში.

ქალი ისეთი ლამაზია, რომ იმაზედ ლამაზი... აღარ შეიძლება, მაგრამ ერთი თვალთ კი ვლამაზია. მამამ პირდაპირ კი ვერ დასდო წუნი და მიიხედ-მოიხედდა და სთქვა: სახლი კარგი ნაგებია, მაოლოდ ბანი კი მრუდე მოსვლია ოსტატსაო (ვითომ, ქალი ლამაზია, მაგრამ ვლამი კი არისო).—მრუდე იყოს რაო, უპასუხა ქალმა, ბოლი კი სწორედ აღისო და (ვითომ, რა ვუყო, რომ ვლამი ვარო, სწორედ კი ვხედავო და).

მამას იმა ასეთი პასუხი და უთხრა: შენთან ერთი საჩივარი მაქვს, კარგად გამასამართლებო. შეილი მიეპარე ოსტატს. მეგონა კარგად გამიწურთნიდა, და არა უსწავლელია კი რაო. გზად მოვდიოდით. ერთი ყანა ვნახეთ ისეთი, რომ მტერსაც თვალი ზედ დარჩებოდა. შე ვამბობდი: „რა კარგია, რა კარგიაო!“ ჩემი შეილი კი გაიძახდა: „რა მოკმულია, რა მოკმულიაო!“

— შენი შეილი მართალიაო, უპასუხა ქალმა: ეგ ყანა კარგია, მაგრამ პატრონისთვის კი მოკმულია: იმის პატრონს ვალი ჰმართებს, ყანას მოვალე წაიღებს, და პატრონი კი ცარიელი დარჩებაო.

მოეწონათ ქალის სიბრძნე მამასაც და შეილსაც და ახლა კიდევ ჰკითხეს: გზად ერთი წყალი ვნახეთ. შიგ მარბილი იდო და არა დნებოდა. ნეტავი რა უნდა იყოს ან ის წყალი, და ან ი: მარბილი?

— წყალი ცოლია და მარბილი ქმარიო, უპასუხა ქალმა: ავი ცოლი ისე აღნობ: ქმარს, როგორც წყალი მარბლსაო, და კარგი ცოლი კი იმ წყალსა ჰგავს, მარბილი რომ არ უდენიაო.

მამას ძალიან მოეწონა ქალი, გადაწყვიტა თავის შეილისთვის ცოლად შეერთო და იმ ღამესვე ჯვარი გადასწერეს.

ღრო რომ გაეიდა, მამა და შეილი ისევე სამუშაოდ წაეიდნენ. მივიდნენ ერთ ქალაქში და ხემწიფის სახლი აიღეს ასაშენებლად. ხემწიფემ ისეთი პირობა დაუდო, რომ, თუ მოეწონებოდა სახლი, მისცემდა სამუშაოს, თუ არა და—მამა და შეილი ხელსარიელნი უნდა წასულიყვნენ. სახლი კარგი გაეკეთეს, მაგრამ ხემწიფემ მაინც წუნი დასდო იმათ ნაკეთებს და უბრძანა: დაამწყვდიეთო და თავები მოსტერითო. ხელოსანი მიუხედა ხემწიფეს ოსტატობას და უთხრა: შინ ერთი მანქანა მაქვს და, თუ მოატანიებ, სახლს ისე გავსწორებ, როგორც შენ გინდაო. მაგრამ შინ ისეთი რძალი მყავს, რომ, თუ შენი შეილი არ გავზაენე მოსატანად, სხვას არავის ანდობსო. ხემწიფემ გავზაენა თავის შეილი, მხლებელნიც გაატანა, და ხელოსანმაც

დაბარა: ჩემს რძალს უთხარი, „სამართლოთ მისამართი“ გამოგზავნეთ. რძალმა სტაცა ხელი ხემწიფის შვილს და დაამწყვდია. იმის მსლებლები კი უკან დაბრუნდა. და დაბარა: უთხარით ხემწიფეს, მინამ ჩემი მამამთილი და ჩემი ქმარი არ ნოვლენ, შენ შვილს აქედამ აღარ გამოუშვებო.

ხემწიფე გაუსწორდა ხელოსანს და გაისტუმრა შინისკენ.

## 84 ნაცარ-ქექია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რძალ-მამული. მამული საშინელი ზარ-მაკი და ზორბა ტანისა იყო, არაფრის გაკეთება და მუშაობა არ შეეძლო. სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ჰქექავდა; ამისთვის ნაცარ-ქექია დაარქვეს. რძალი ეუბნებოდა: ეაცო, აქეთ მოდევ, იქით მოდევ, იმუშავე და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ მე შენი რჩენის თავი არა მაქვსო! რძალმა ევრადფერი ვერ გააწყო: მამული სულ ბუხართან იჯდა და კარში ევრას გზით ვერ გაიტყუა. აღდგომა დღეს ნაცარ-ქექია ძლივს წირვანზე წავიდა და წირვის შემდეგ სახლში რომ დაბრუნდა, რძალმა კარი ჩაუკეტა და შინ აღარ შეუშვა.

ნაცარ-ქექიამ რძალს საგზოდ ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ახალი ყველი სთხოვა და გზას გაუდგა. ბერი იხრა, თუ ცოტა იხრა—არ ვიცით, ერთ დიდ წყალს კი მიადგა და მეორე ნაპირს უშეგლებელი დევი დაინახა. დევი წყალს დასწაფებოდა და სევდა. ნაცარ-ქექია ძალიან შეშინდა, მაგრამ რა ეჭა: ერთი გზის მეტი არ იყოდა. იმ გზით ისევ შინ რძალთან უნდა დაბრუნებულყო, თუ არა და—დევის საუბრედ უნდა გამხდარიყო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ეს მოიგონა: ამა გავივლი და მტვერს დაეყუ-  
ნებო. ნაცარ-ქექიამ გუდას სადგისი უჩხელითა, გახვრითა და რომ გაიარა-მოიარა, დიდი მტვერი დადგა.

დევი გაჰქვირა. შეშინდა კიდევ, ქვა იღო და უთხრა: ამა, ამ ქვას წყალი გამოადინეო. ნაცარ-ქექიამ უცხად ახალი ყველი ამოიღო, მაგრამ ხელი მოუჭირა, თქრიალით წყალი გამოადინა და დღეს შესძახა: ამა აქეთ გამოდი, მხარს შემისიე და წყალს გამოიყვანე, რადგან ფეხის დასველება არ მინდაო. დევი მაშინვე გამოვიდა, ნაცარ-ქექია მხარზე შეისვა და უთხრა: ოჰ, რა ძალიან მუბუჭი უოფილხარო!—ეს იმითომ, რომ ერთი ხელი ცაზედ მაქვს მიბჯენილი და, თუ ხელი დაუშვი, მაშინ ევლარც კი დამძრავო.—რა კი ეგრეა, ამა დაუშვი ხელიო, უთხრა დევმა. ნაცარ-ქექიამ სადგისი ამოიღო, დღეს კისერში ჩაურჭო. დევმა საშინელი ყვირილი მოართო და სთხოვა, ხელი ისევ კისათვის მიეჭინა. როდესაც წყალს გავიდნენ, დევმა უთხრა: წამოდი, დღეს სადილად მეწვიეო. ნაცარ-ქექია შეშინდა, მაგრამ რას იზამდა, უთუოთ უნდა წაჰყოლოდა.

დევისას რომ მივიდა, ნაცარ-ქექიას დევის მოსახლობა ძალიან მოეწონა. დაინახა, ვეება კეცი ხშირად ბუხარში შედგმული იყო. დევი სადი-



ლის მოსამზადებლად წვიდა და ნაცარ-ქექიას დაუბარა ხშიადისთვის ყურადღებამ, არ დამწვარიყო. ნაცარ-ქექიას უნდოდა კვტი მოებრუნებინა, განდინახა, ერთი გვერდი ძალიან შეწითლებულიყო. როგორც კი კეცს ხელი ახლო, მაშინვე გადმობრუნდა, და ნაცარ-ქექია შიგ მოჰყვა. ბევრი ეწვალა, მაგრამ კეცის ქვემოდან ვერ გამოძვრა. ზოლოს დევები შემოვიდნენ ოთახში და ნაცარ-ქექია კვტი ქვეშ მოყოლილი ნახეს; გაჰკვირდნენ. — კაცო, ვგრა გიქნია? შეგითხა ერთი დევი. — მუცელი ძალიან ამტკივდა და თბილი კეცი მუცელზე დაიდებ. ეგება როგორმე ტყვიელმა გამოიაროს, მეთქი. ეხლა კარგად ვარ, და აილე კეცი, უთხრა ნაცარ-ქექიამ.

შემდეგ სუფრას რომ მიუსხდნენ, დევებს ღვინო შემოეღიათ. აიღეს ღვინო კოკა და ნაცარ-ქექიას უთხრეს: თუ ძმა ხარ, გადი ეზოში ქვევრია, ამ ხელადით ღვინო ამოილე და მოგვიტანეო. ნაცარ-ქექიას შეეშინდა, უშველებელი ღვინო კოკა რომ დაინახა, მაგრამ მაინც გავიდა ეზოში და დიდ ხანს აღარ დაბრუნდა. დევებს უდა მოსწყინდათ, გავიდნენ და ნახეს, ნაცარ-ქექიას ხელში ბარი აეღო და ქვევრის გარშემო მიწას სთხრიდა. — მაგას რას შერებო? ჰკითხეს დევებმა სჯობია, მთლად ამოვილო ქვევრი და ისე დაელიოთ, თორემ პაწაწინა ხელადით მოტანა ადამიანს მოსწყინდებაო. დევებმა იფიქრეს: ჩვენ ცხრა ძმით ძლივს ჩავსვით კარიელი ქვევრი, და ეს კი მარტო ამიტებს საესე ქვევრის ამოღებასაო. შემდეგ თვითონ დევებმა აივსეს ხელადა ღვინით და შეუდგნენ სადილსა.

ამ დროს ერთმა დევმა დაიხველა, და ნაცარ-ქექია ქერს მიეკრა. დევებმა მალე დახედეს და ნახეს, ნაცარ-ქექია ქერის კოკს ეკიდება. — კაცო, მინდ რამ აგეუწანა, რას აკეთებო? ნაცარ-ქექიამ უთხრა: როგორ გამხედდეთ ჩემ წინ დახველებმა! ეს წყვლი უნდა ჩამოვილო და სულ გვერდები აგეწვათო! დევები ძალიან შეშინდნენ: ჩვენ ცხრა ძმით ძლივს დაესძლიეთ თითო ხე, და ეს კი წყვლას ეძახისო! შეშინებული დევები სახლიდან გავიდნენ და დაიფანტნენ. ნაცარ-ქექია, როგორც იყო, ბობლვით ჩამოძვრა და დევების ოჯახს ათრეშობა და პატრონობა დაუწყო.

ერთ დღეს გზაზედ მგლა შეტვდა და უთხრა: დეეო, სად მიტბობხარ, რა დაგმართინია? — რალა სად მივრბივარ? ჩვენთან ერთი კაცი მოვიდა, კინალამ გადაგველდა. დევმა უამბო, როგორი იყო ის კაცი. მელისა გაცივინა. — ეს ხომ ნაცარ-ქექიაა, საცოდავი კაცი! რადგან არას აკეთებდა, რძალმა სახლიდან გამოავლო, შე იმით კარგათ ვიცნობ: რაც ქათმები ჰყავდათ, სულ შე გაუწანაგე. წამოდი, როგორ შეგაშინა მაგ ლაჩარმაო! ვერ გენდობიო, უთხრა დევმა. მელის ბევრს ეხვეწა. — მაშ, რომ არ მიღლიატო, მოდი, ამ თოკით წელზედ გამოვებო. მელამ თითონ მოიბა თოკი და მერე დღეს გამოაბა. დევი ისე დაბრუნდა თავის სახლში თოკ გამობმული.

ნაცარ-ქექიამ რომ მელისა და დევი დაინახა, ძალიან შეშინდა, მაგრამ რალს იხამდა. მაშინვე კარში გამოეგება და მელას უთხრა: აჰ, შე საძაგელო! ჩემი თორმეტი დევი გემართა და ბეთ მარტო ერთი მოგყავსო! დღეს ისე შეეშინდა, რომ თოკი დაგლიჯა, მელისა სულ მთლად დაფლითა და თვითონ ცხრა მთას იქით გადირბინა.

ნაყარ-ქეტამაც დევების სარჩოსა და სიმდიდრეს, რაც რამ ჰქონდათ, სუ მთლად მოჰხვია. აქლემებს აჰკიდა და თავის რძალთან წაიღო, რძელი გაამდიდრა, ერთად ტყბილად ცხოვრება დაიწყეს.

ქირი იქა, ლბინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.  
მთას ურემი ავიტანე,  
წიმოვიდა გორებითა,  
აქ სიკოცხლით გამიძებით,  
საიქოს ცხოვნებითა!  
ჩიტი გაფრინდა ცხრაფთანი...  
ისი ტყუილი, ერთი მართალი.

## 85 — ამბავი მზეთუნახავი ქალისა და იმის ძიძისა

იყო და არა იყო რა, ღეთის უყეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ ქალიაქში ერთი მზეთუნახავი ქალი. რაც ის ამ ქალიაქში ცხოვრობდა, ჯერ ძე ქრისტიანს თვალით არ ენახა, და ყველას კი ენატრებოდა იმისი დანახვა. ქალი და ძიძა ცხოვრობდნენ თავისთვის ხელმოკლედ, ქალი კი ფებს არა სდგამდა კარში. იმის სანახავად მრავალი ხალხი მოდიოდა იმ ქალიაქში, იქნება როგორმე დაეინახოთო, და დიდძალ ფულსაცა ხარჯავდნენ. ძიძას ბევრმა აძლია ქრთამი, შენი გაზრდილი დაგვანახვეო, მაგრამ ქალი არავის არ ეჩვენებოდა. ასე პატროსნად და თავშანახულიდ ცხოვრობდა ეს ქალი კი ხანსა.

ერთხელ ძიძას გაეცნო ერთი ახალგაზდა ვაჟი მშვენიერი შეხედულობისა და მდიდარი. მრავალ საჩუქარს აჩუქებს და ბოლოს გამოუცხადებს ძიძას, რომ ათას ოქროს მოგცემთ და ეგები ფანჯარაში მაინც დაეინახო ის ქალიო. ძიძა დათანხმდება, წაიღებს ათას ოქროს და ჩაუყრის ქალს კალთაში. — ეს რა არისო? ჰკითხავს ქალი. — ერთი ვაჟია, შეიღო, შენი ნახვა უნდა, ოღონდ ფანჯარაში მოვიდეს, დაშენახვოს და მე სხვა არა მიწადარაო. ქალი ჯერ უარხედ იყო, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, დაითანხმა. მოვიდა ვაჟი ძირს ქუჩაზე, ქალი მივიდა ფანჯარასთან; თვითონ არც კი გაუხედია. დაენახვა ვაჟსა და გამობრუნდა.

მესამე დღეს მოვიდა ისევ ის ვაჟი ძიძასთან და უთხრა: ათი ათას ოქროს მოგცემთ, გააღოს ფანჯარა და საღამო მოშტყებო. როგორც იყო, დაიყოლია ძიძამ ქალი, თუმცა კი ძალიან უარხედ იდგა.

მოვიდა ვაჟი, მოუტანა დაპირებული ოქრო. ქალიც გააღო ფანჯარა და საღამო მისცა. ვაჟმა პატრიე დაუწყო, ჩამოძანდი ჩემთანაო. მაგრამ ქალი მობრუნდა, არც კი შეუხედია.

გაეიდა რამდენიმე დღე კიდევ. მოვიდა ვატი და მოუტანა ძიძის ასი ათასი ოქრო: ეს ოქროები შენს გაზღილს მიუტანე, და ერთი თავის გვერდზე დაშვასო. ქალი ძალიან უარზედ იყო, მაგრამ ძიძამ გააბედდინა, რომ გვერდზედ დაჯდომით ხომ არაფერი მოგივა და იმოდენა ფული კი შეგვარჩებაო.

— კარგიო, დაეთანხმა ქალი.

მეორე დღეს მოიწვიეს ვატი სადილად და კარგადაც გაუმასპინძლდნენ. როცა სადილი გაათავეს, ქალმა თავის ოთახში წასულა დააპირა, მაგრამ ვატი არ მოეშვა, დაუჭირა ხელი: მეც უნდა წამიყვანოვო. ქალმა ძალიან იუარა, მაგრამ ვატი კიდევ არ ეშვებოდა: შენი გულისთვის ხაზინა გაეტყუე, რაც ვიშოვევ'და ვიპოვე, შენ მოგიტანე და რაღათ მინდა სიკოცხლე, თუ შენთანაც არ ვიქნებიო. მაინც მომკლავენ, რომ გამიგონ ხაზინის გაქურდვა, და მაინც, აზირ შენთან მოდევდეთო!

ქალმა იფიქრა: ამასთან ძალით ევრათურს გავყიდი, თუ არა მოვახერხებ რაო.— კარგიო, უთხრა ვატს, ჯერ მე შევალ და მერე, როცა დაგიძახო, მაშინ შემობძანდით. შევიდა ქალი, აიღო ერთი ტამბაჩა და დაუძახა: შე-  
მობძანდით! შემოდგა თუ არა ღები ვატი, გაეარდა ტამბაჩა, და იქვე დაე-  
ცა მკედარი ვატი.

ქალი და ძიძა ძალიან შესწუხდნენ, — აღარ იციან, რა უყონ მკედაჩა? ქალს ერთი მოძღვარი ჰყვანდა, სიჭვა. წაეღო, ზემ მოძღვარს გაეცნობი, იქნება მასწავლოს, როგორ მოვიტყუო. წაიყვანა ძიძა და წაიღდნენ მღვდელთან. მღვდელს ეძინა, როცა ესენი მივიდნენ და დაუკაკუნეს. მღვდელი გა-  
მოვიდა: რა გინდათ? ეინა ხართო?

ქალი გამოემყნაურა. უამბო ყველაფერი, ზემი მამაც შენა ბძანდები და ზემი სულის ჩამდგმელიცაო... მღვდელმა ძალიან გაიოცა: ოჰ, ეგ რა ძნელი საქმე მოგხვდიაო! ზემწიფის ხაზინა გაუტყუიათ, ფული გაუტანიათ, და ასლა ქურდებს ეძებს ხემწიფე, რომ მოვიდნენ, სახლი გაიგზირიკონ, ოქროებიც იქა ნახონ, ის მკედარი კაციც, დაბრძობის ველარ გადურჩებიოთ. (მღვდელი განგებ ეუბნება, არაფერი ხაზინა არავის არ გაუტყუიო).

— მაშ რა ექნა, მაშაო, რას მეტყვიო? შესწუხდა ქალი. აი ნახეარს შენ მოგართმეც, და ოღონდ-კი როგორმე დამიხსენი იმ საქმიდანაო.

მღვდელმა უთხრა: კაცმა რომ თავი გადადოს, ისეთი ქრთამი უნდა აიღოს, რომ ღირდეს კიდევაო.— მაინც რას ითხოვო? მღვდელმა შეიყვანა თავის ოთახში და უთხრა: ოქროები ხომ ისევ ზემია და შენც რომ ზემი გა-  
ხდე, იმას რა სჯობიაო!? თუ გინდა, რომ გიშველო, უნდა დაწებდეთო.

ქალი ისეთია, სირცხვილით და სიბრახით ხმას ველარ იღებს. დიდხანს იყო ასე განუშვებელი. იფიქრა და მერე უთხრა მღვდელსა: ძალიან კარგი, მხოლოდ ჯერ გული მოვასვენო, ის მკედარი იქიდან გაეცალო და მერე აქ არა ვარო? აი სამნი ვართ, სამი კოკა ავიღოთ, შენი კიდან წყალი ამო-  
ვიღოთ, წავიღოთ, ის მკედარი ტილოებში შევახვიოთ, იატაკი მოვრტყუთ, რომ სიხლის კვალი არ ემჩნეოდეს, და მერე რაც გინდა, ისა ქენიო!

მღვდელს გაეხარდა: ამა მაშ ჩქარაო! მივიდნენ ქასთან. მღვდელი ჩაე-  
წოდა ქას, ქა ძალიან ღრმა იყო და ვერ ჩასწედა თოკი. მღვდელი დაიხა-



რა, ამ დროს ქალმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჰკრა ხელი და ქაში ცო ჩაახრჩო.

წამოიღეს წყალი, იყიდეს ტილოები, შეახვიეს მკვდარი და ლოკინ-ქვეშ შედეს, ჰოლი გარეცხეს და მოწმინდეს.

მერე დაჯდა ქალი და ფიქრობს, როგორ მოაგვაროს საქმე. ფიქრში როა, ამ დროს გამოივლის ეტლით ერთი მშვენიერი ახალგაზდა. ქალი დაუძახებს. ვაჟი დააყენებს ეტლს. ქალი სალამს მისცემს. ეტყვის თავის ვინაობას და წინადადებას მისცემს, მომწონხარ და, თუ შენი ნებაც იქნება, ცოლად გამოგყვებიო. ვაჟს ძალიან გაეხარდა, რას არ დათანხმდება, თუ-კი ის ქალი იკადრებს! ვაჟმა უთხრა: ჩემთვის დიდი ბედნიერებაა შენი შერთვა, მხოლოდ ამ სამი დღით ხემწიფესთან ვარ დაბარებული, მოგბრუნდება და დიდი სიამოვნებითაო!—არა, უთხრა ქალმა, ერთი ისეთი ვინმეა გადაკიდებული ჩემზედ, თუ ამ ორ დღეში დასტური არ დავრთე, მერე გვიანლა იქნებაო, და სჯობია ეხლავე ჯვარი დავიწეროთ და მერე წადიო. ვაჟს კვავაში დაუჯდა, ხელად გადიწერეს ჯვარი, ვაჟი ხემწიფესთან წავიდა, ქალი შინ დაბრუნდა.

შესამე დღეს მოვა ქმარი, ქალი სიხარულით შეხედება. კაი ვახშაშს სკამენ და დაწვებიან. ქმარი დაღალული იყო, დაეძინა; ქალი ადგა, გაახრახა ძიძა, რაც რამ ძვირფასი იყო სახლში, სულ გააღავეს, მერე მისცეს ცეცხლი სახლსა. როცა კარგად მოეკიდა და გაქრობა შეუძლებელი და იყო, მაშინ გამოვიარდნენ კარში, შექნეს ყვირილი, გაიღვიმეს ქმარიც, გამოვიარდნენ მშვილობიანად ქმარიც და ქალიც. სახლს აბა რაღას გააქრობდნენ? სახლიც დაიწვა და ის მკვდარიც შიგა.

წამოვიდა და იცხოვრა თავის ქმართან ბედნიერად და ნამუსიანად.

კირი იქა, ლზინი აქა,

ნაკარი იქა, ფქვილი აქა.

## 86—ღურჯახნი

(კარიანტა კასეთში კაკონიდი „მზესაფენისა“)

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე და ხემწიფის ცოლი, მკვიანდათ ერთი მზეთუნახავი ქალი. ქალი სულ მართოკა მკვიანდათ და ისე ზრდიდენ.

შაჟნდა ერთი კუდიანი ბებერი ხემწიფის ცოლს და ეჩიონება: შენს ქმარს აღარ უყვირხარ და შენს თავს უწამლე რამეო.—რა ექნა? რა შავი ქვა უწამლო ამ ჩემ სამიწე თავსა, რაღა დროს ჩვენი, ერთმანეთის სიძულილიაო. რა ექნათ? რა შეგვაყვირებს ისე ერთმანეთსაო?—თქვენ რომ ქალი გყავთ, იმას თუ დაქლათ და იმის გულ-ღვიძლს შესჭამთ, ისევე შეგვიყვირდებათ ერთმანეთთო.



მოლაპარაკეს კოლ-ქმარში ერთმანეთში, დაიბარეს ქალი და უნდა დაქ-  
ლან.

მოდის ქალი, ისეთი უბარიან, ისეთი, რომ რა! ჩემ სიკოცხლზე დედ-  
მამასთან არა ვყოფილვარო,—უბარიან, ცას ეწევა.

ძირს რომ ჩამოვლიდა, იქ ლურჯა დახედა: დედმამასთან რომ მიდინარ,  
იმით გადაწყვეტილი აქვთ შენი სიკვდილი; რა შეხვიდე, ასე მახსენე: გა-  
ნა არ ვიცი, ჩემო დედაც და მამაც, რასაც მიპირებთ, რა ძალა შემძლიან თქვენ-  
თან, მხოლოდ ამას ვთხოვთ ამ სიკვდილის წინათ ვაჭურად ჩამაცვათ, ცხენ-  
ზედ შევჯდე, ქვეყანაზედ მაგიარ-მოვიარო უკანასკნელადო. ნებას მოგცე-  
მენ, გამოდი, შემჯექ, და მერე შე ვიციო. შევიდა ქალი დედმამასთან; რო-  
გორც რაშმა დაარია, ისე უთხრა. დედ-მამამ ნება მისცა. ჩავიდა ქალი სა-  
ლაროში, მოირთო ვაჭურად მშვენიერად, შეიკეცა თმები, დაიხურა ქული  
და დაიჭირა მათრახი.

რაშმა უთხრა: შემჯექ, სამი მათრახი ვადამოყარი, რომ სამი პირი ტყა-  
ვი მე ამძვრეს და სამი პირი შენა ხელზედაო. ეცადე, მაგრა-კი დაუდგო.

მოახტა ქალი ლურჯას, გადაქრა მათრახი, და გაფრინდა ლურჯა. იარა,  
იარა და ცხრა მთის იქით გადიდგანა. იქ ერთი ხემწიფის შვილი წადირობ-  
და, ქალი ძალიან მოეწონა და სთხოვა, გვეწვიე სახლშიო. ქალი დათანხმდა.  
იმ ღამეს კი ვახშამი აქამეს და მოასვენეს.

ვაცს როგორღაც ეჭვი შეუვიდა იმის ვაგობაზედ. დედას უთხრა: დედა,  
ეგ ვაგი ქალსა ჰგავს, ეგ ბიჭი არ არისო.—არა, შვილო, ამა მაგას როგორ  
ამბობ, ვაგი, მა რა არიო. ვაგი ინიტება, ქალიაო. დედამ უთხრა: მაშ  
კარგი და ხეალ ცხენები აჯირითეთ და განა არ შეეტუობა, თუ ქალია.  
მეორე დღეს ხემწიფის შვილმა უთხრა ქალსა: წავიდეთ, თუ სასამოცნოდ  
დავრჩება, ცხენები ვაჯირითოთო.

მივიდა ქალი ლურჯასთან: ხემწიფის შვილი ასე მეუბნება, და რა ეჭვა,  
ცხენზედ ჯდომისა მე რა შევი ქვა ვიციო!—შენ ნუ გეშინიანო, უთხრა  
ლურჯამ, ოღონდ შენ მაგრა იჯექ, არ ვადმოვირდებ; როცა საჯირითოთ  
გავალთ, ერთი ისეთი დამყარ, რომ შეც ტყავი ამძვრეს და შენცაო, და  
მერე შე ვიციო.

გავიდნენ საჯირითოთ. როცა ვაატენეს ცხენები, გადაქრა ლურჯას  
ქალმა მათრახი, გაეჭანა ლურჯა, აიტაცა ხემწიფის შვილი ცხენიანად, ცხე-  
ნი უკან შემოივლო და ვაგი წინა.

მოვიდა ვაგი დედასთან.—რა ჰქენითო?—დამამარცხა, დედიო, მაგრამ  
მაინც ქალიაო.—აკი ვითხარო, შვილო, რომ ვაგიო, ამა ქალმა ჯირითობი-  
სა რა იცნო? მაშ კარგო, უთხრა დედამ, სალაროში ჩაიყვანე და თვალი  
იდევნე: რა უფრო მოეწონება, თვალი რაზედ დარჩებო. ვაგმა უთხრა  
ქალს: ჩავიდეთ სალაროში, დაათვალიტე, იქნება მოგეწონოს რამეო.

ქალი მივიდა ლურჯასთან და ჰკითხა, ასე საქმე და როგორ მოვიქ-  
ცეო? ლურჯამ დაარია: სალაროში რა ჩახვიდე, ნურც მიიხედავ, ნურც  
მოიხედავ; შეხვალ თუ არა, მობრუნდი, კარებს უკან ერთი ხმალი ჰკადია,  
სთქვი: აი შენ გენაცვალე, ძველო პარო და ქარქაშოვო! ჩამოიღე და გა-  
დაიკიდევო.



ასეც მოიქცა. საღაროში რო შევიდა, არც მიუხედნია, არც მოუხედნია, კარებს უკან მიბრუნდა, და მართლა ერთი ძველებური ხმელთაშობა — უპ, შენ გენაცვალე, ძველის-ძველო პირო და ქარქაშოვო!

შევიდა ვაგი დედასთან: ესე, ესე ხმალი აირჩიაო. — აკი ვითხარი, შეილო, რომ ქალი არ არისო. ვაგი კიდე ინიცებდა: არა, ქალიაო!

დედამ უთხრა: მაშ უთხარი, შეილო, მოდი და ერთი დავლიოთო. თუ ქალია, აბა რას დავლევსო. — ძალიან კარგაო! ქალს უთხრა: შეგობარო, ერთი ამადამ უნდა კარგა დავლიოთ, აბა რომელი ვაჯობებთო.

ქალი შევიდა ღურჯასთან და უთხრა: ასეა ჩემი საქმე, და აბა სმისა შე რა შევი ქვა ვიყო.

რამე უთხრა: ასე უთხარ, დავლევთ, მაგრამ ჩემი ღურჯა თავს უნდა დამაყენო-თქო. რამდენიც სადღეგრძელო დალიო, გუნებაში თქვი: „შე ესვამ და ღურჯა ითრობაო!“ და რამდენიც გინდა დალიო, არ მოგეკიდებო.

დასტუნენ ვახშად. რამდენიც დალევს, იტყვის გუნებაში: „შე ესვამ და ღურჯა ითვრებაო!“ ისეთია ეს ქალი, არაფერი არა ემჩნევა რა, თითქო არაფერი დაუღვეიაო. სამღეთისშობლო რომ დალიეს, და ქალს აკი არ დაავიწყდა, რომ გუნებაში თქვა, — ეს მთელი ღურჯას სიმთვარელე სულ იმს არ დაიწვა! დითრო ქალი, დითრო, იჭვე სუფრანედ დაეძინა. ქუდი გადუვარდა, თმა ჩამოეშალა. გაუშალეს ლოგინი, ვახადეს, ნახეს ქალიღლით ძუძუები ულაგია. მაშინვე ის ვაგური ტანისამოსი დაუშალეს და სატუცხოვო ფარჩა-ოქრო ქსოილის ტანისამოსი დაუწყეს გვერდზედ.

მეორე დღეს გამოგლეიდა ქალს, ხედავს, აღარსად არის ვაგის ტანისამოსი. სამაგიეროდ გვერდზედ ქალის შორთულობა ულაგია. ძალიან შესწუხდა, დაიწყო ტირილი. ვაგიდა ღურჯასთან: ესლა რაღა მეშველებო? ღურჯამ უთხრა: რასა სტირი, მაგაზედ კარგს ვიღას მისთხოვდებიო! დაიწერეს ჯვარი და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

ვაგიდა ხანი. დაორსულდა ქალი. ხემწიფის შეილი სხვა ხემწიფესთან წავიდა სტუმრად. ცოლს უთხრა: შენი ღურჯა უნდა მათხოვოვო ქალმა უთხრა, შენს თავს კი არ შირჩეენია და ჩემს თავს კი შირჩეენიაო. წაიყვანე და იმ პირობით კი, რომ შეგინიბებმა მუდამ ატარონ, არ დაბანო, წავიდა ხემწიფის შეილი.

დაწვა ქალი და ეყოლა ერთი მშვენიერი ოქროს ქოჩრიანი ვაგი. დედამამ მაშინვე მახარობელი აფრინეს შეილთან: ოქროს ქოჩრიანი ვაგი გეყოლაო. ვაგზაენილმა კაცმა აკი ქალის დედ-მამის კარებზედ არ გაიარა! შეიპატოეს, გამოჰკითხეს: ვინა ხარ, სად მისდინარ, რათა მისდინარო? კაცმა წერილი აჩენა. ადგნენ ისინი, ის წერილი დახიეს და სხვა დასწერეს: შენს ცოლს ძაღლის ლეკვი და კატის კნუტი ეყოლაო, და ვაატანეს. მიუტანა ვაგს ეს წერილი. ვაგი სწერაღდა: რაკ არის, ჩემი არის და ჩემს მოსვლამდე კარგათ გაუფრთხილდითო.

იმ კაცს ღმერთი გაუწყრა და ისევ ქალის სამშობლოსს გამოიარა. გამოართვეს წერილი, დახიეს და სხვა დასწერეს: ვაახურეთ სამი დღე და

ლაშე საკირე და შიგ ჩაწვით თავის შვილიანადო. ეს წერილი რომ კოლხეთში  
ტანეს ვაჟის დედამამს, ისეთებია, სულ თავებს იხოცავენ. რას იზამენ? ვაჟი  
ხურებიანს საკირე და სწორეთ რა ღამესაც ის ქალი არ უნდა ჩავდონ,  
სწორეთ სანამდე უტარებიათ ეს ლურჯა მეჯინიბებს, მაშინ მიუყვანიათ და  
ფეხით დაუბამთ. ქალს რომ ლოგინიანად ასწიეს და საკირესთან მიიტანეს,  
ამ დროს გაიწია ლურჯამ, მოგლიჯა ფეხი, სამფეხა გაქანდა ტყვიასავეთ,  
დაავლო ქალს ლოგინიანად პირი და ერთ მაღალ მთაზედ აიტანა.

ქალს უთხრა: შე სამი ფეხით ვეღარ გაცხოვრებთ, უნდა დამკლა, ერთი  
ფეხი იქით დააუღლო, ერთი აქეთ და ერთიც კიდევ მესამე მხარეს, თავი  
შუაზედ დადგე, დადგე ზედ და სიტყვი: — ღმერთო და ჩემი ლურჯას სია-  
ლაღ-მართლევ, ისეთი საყდარი დაადგი, როგორც ჩემი ლურჯას ამავს შეე-  
ფერებოდესო!

ქალი ისეთია, ტირის, ტირის, თვალებს ითხრის: განა ჩემი კოცნილი  
თავით შენ დაგკლავო? არ მოეშვა ლურჯა, დაკლა ქალმა ლურჯა, დას-  
ქრა და დააღაგა, როგორც ლურჯამ დაარბია. ავიდა ლურჯას თავზედ და  
სიტყვა: — ღმერთო და ჩემი ლურჯას სიალაღ-მართლევ, ჩემს ლურჯას ისეთი  
საყდარი დაადგი, როგორც იმის ამავს შეეფერებოდესო! თქმა და ასრუ-  
ლება ერთი იყო. ისეთი მშვენიერი საყდარი აშენდა ლურჯაზედ, რომ იტ-  
ჯვი, ნეტავი თვალი მომცა და მაკტერინაო! იმათთვისაც სახლები დაიმართა,  
გამოაჩუჩნებებს იქვე მშვენიერი წყარო. რაც ქვეყანაზედ წადირია, მიდიან  
და ემსახურებიან, როგორც ვაი ადამიანები. იზდება ვაჟიც, დასდევენ თან  
მგელი, დათვი, მელია, მშველი, ირემი, ემსახურებიან და სდარაჯობენ...

ღამურუნდა ხეწიფის შვილი, იკითხა კოლხეილი. უთხრეს, რომ შენ  
ასე და ასე მოგწერია, და ზვენე შენი სიტყვა ვეღარ გავტებთო და როცა  
საკირეში უნდა ჩავვედო, დაეცა რაღაც, იტაცა და წაიყვანაო. ვაჟმა უთ-  
ხრა, თქვენც ისე მოგწერიათ, მაგრამ შე მოგწერთ, ჩემს ნოსელამდე კარ-  
გა შეინახეთო! შემოიკრეს თავისა და პირში. გადააფარებინა მთელი ქალი-  
ქისთვის შავები. ისეთია ვაგი, თავს იელავს.

რა გაუჭირდა და გაუჭირდა, ადგა ვაჟის მოხუცებული მამა, აიღო  
რკინის ჯოხი, რკინის ქალაშნები ჩაიყვა და წავიდა საქმენელად. ბევრი სია-  
რულის შემდეგ, მივიდა იმ წყაროსთან, სადაც დედა და შვილი იყვნენ.  
ხედავს, ერთი პატარა ბიჭი გამოარბის, თან მშველი და ირემი მოსდევენ და  
ყვირის: პაპა მოდის, დედა! ჩემი ბებელი პაპა მოდისო! ისეთია ეს ბერი-  
კაცი, გული აუნჯუდა და ტირის. წყალი რომ აიღოს ბიჭმა, პაპამ წაძრო  
ხელიდან ბეჭელი და ჩაუღლო ლიტრაში. უთხრა: შვილო, როცა წყალს უს-  
ხამდე დედაშენს, სულ ზედ წამოაპირტვევ, რომ ბეჭელი წამოყარდესო. მირ-  
ბის ეს ბიჭი და თან ყვირის: პაპა მოვიდა, დედა, პაპა! ჩემი ბებელი პაპაო!  
რომ იბანიწებს პირს და ლიტრა სულ მოაპირტვევია, და ხელებზედ მეფის  
ბეჭელი წამოგორდა. იცნო ქალმა მამათილის ბეჭელი, გამოგვება და წაი-  
ყვანა სახლში. ბერიკაცმა უამბო ყველაფერი. თან სთხოვა, რომ უნდა წა-  
მოხვიდეთო. ქალი დიდ უარზედ იდგა: იქ არ ვიყავ, რომ კინაღამ საკირეში  
ჩამწვითო.

შევიდა ქალი საყდარში და თქვა: ღმერთო და ჩემი ლურჯას სიღალღ-  
მართლევ, ეს სახლი სახლს მიაკარ და ქალაქი ქალაქსაო! შართლაც მიტევა  
სახლი სახლს, ქალაქი ქალაქს. დაიწყეს ცოლ-ქმარმა ბედნიერად ცხოვრე-  
ბა და, რაც ვაივადგაბი გადახდათ, სულ ვხლო გადაიყარეს გულიდან.

ქირი იქ დაეგდე,  
ლხინი იქ მოვიტანე.  
ნაყარი იქ დაეყარე,  
ფქვილი იქ მოვიტანე.

(სოფიო დათუნაშვილის ნაშრომი 1907 წ.)

## 87—ერთი ლიტრის ამბავი.

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმა-  
რი. ეს კაცი სულ კერის წინ იჯდა და ნაცარს ურგვდა. ცოლი ვახუშტე-  
ლი: კაცო, ან იქით წადი, ან აქეთ, რა ყური დაგივდიოა!

კაცი გაბეზრდა, სთქვა, თუ არ წაველ და თავი არ დავიხრჩე, არ იქნე-  
ბაო. წავიდა, იარა, იარა და შემოგყარა წინ ქრისტე ღმერთი. — გამარჯვე-  
ბა! — გაგიმარჯოს! საღ მისდინარო? — ასეა ჩემი საქმე და უნდა თავი და-  
ვიხრჩოყო.

— დაჯექ, დაისვენე, პატარა ლუქმა შეგვკამოთო.

— აბა რა უნდა გვამოთ, ერთი გამხმარი ლიტრა შენ გიკირავ და ერთი  
გამხმარი ჯობი მერ. — შენ რა გინდა, თვითონ მოვაო! დასხდნენ. ქრისტე  
ღმერთმა ლიტრას უთხრა: — ლიტრავ! ლიტრავ, შენსა მზესა, შენი გამომცე-  
მის მზესა! ერთი სუფრა გაგვიშალო!

გაგორდ-გამოგორდა ლიტრა, და ისეთ სუფრა გაიშალა, ხემწიფეს ეკად-  
რებოდა. ამ კაცმა სთხოვა ქრისტე ღმერთს: ოღონდ ეც ლიტრა მე მომე  
და რა გინდა ჩემგანაო. მისცა და წამოვიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, წინ ერთი ხმლიანი კაც შეხვდა. — გამარჯვე-  
ბა! — გაგიმარჯოს! — დაჯექ, ერთთ პური გვამოთო! — აბა რა გვამოთ? ერთი  
გამხმარი ლიტრა და ჯობი შენ გიკირავ, ერთი გამხმარი ხმალი მერ. — შენ  
დაჯექ, რასა კითხულობო?

დასხდნენ. ამ გლეხმა უთხრა ლიტრასა: ლიტრავ, ლიტრავ, შენსა  
მზესა, შენი გამომცემის მზესა, ერთი სუფრა გაგვიშალო! გაგორდ-გამო-  
გორდა ლიტრა და ასეთი სუფრა გაუშალა, რაც თავის დღეში არ ენახათ.  
ხმლიანმა ძალიან გაიკვირვა.

— შენმა ხმალმა რაღა იცისო? — ჩემმა ხმალმა ის იცის, ვისიც ჯავრი  
გკირდეს, რომ უთხრა: ხმალო რკინისაო, პირი გაქვს აღმასისაო, წადი და  
თავი მოსჭერიო! მაშინვე გაქანდება და თავს მოსჭრისო.

— მოდი გავეცვალოთო!

— ძალიან კარგიო! გაცვალეს.

როცა გაიყარნენ და კარგა ვზა გაიარეს, გლეხმა უთხრა ხმაღს: ხმალო რკინისაო, პირი გაქვს აღმასისაო, წადი და იმ კაცს თავი მოსტყერიო! გაქანდა ხმალი და მოსტყრა თავი. ლიტრაც ისევ თვითონ დარჩა და ხმალიც.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, შემოეყარა ერთ კაცსა, ერთი ხელსახოცი მიაქვს.—გამარჯვება!—გაგიმარჯოსო!—მოდო, დავსხდეთ, პური ვჭამოთო!

—რა უნდა ვჭამოთ, ერთი გამხმარი ლიტრა და ხმალი შენ გიჭირავს, ერთი ხელსახოცი მეო. დასხდნენ. გლეხმა უთხრა ლიტრასა: ლიტრავ, ლიტრავ, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ერთი სუფრა გავვიშალო!

გავგორდ-გამოგორდა ლიტრა, და გაიშალა მშვენიერი სუფრა.

—აბა ჩემმა ლიტრამ ეს იცის, და შენმა ხელსახოცმა რაღა იცისო?— ჩემმა ხელსახოცი რამ ბრძმს მოუსვა, თვალეები აწილენა, კუტი ფეხზედ გაივლის და ქანაღს თმა ამოუვლო.—მოდო გაეცეალოთო! გაეცალეს. როცა გაიყარნენ, ხელის პატრონმა უთხრა ხმაღს: ხმალო რკინისაო, პირი გაქვს აღმასისაო, წადი იმ კაცს თავი მოსტყერი და ჩემი ლიტრა აქვე მომიტანეო. აბრიალდა ხმალი, მოსტყრა იმ კაცს თავი და ლიტრა ისევ პატრონს მოუტანა.

წამოვიდა ეს კაცი შინა და დაუძახა ცოლსა: დედაკაცო, კარი გამოღეო.—კარს-კო არა, შავ ქვეს გაგიღებო! კაცმა უთხრა ხმაღს: ხმალო რკინისაო, პირი გაქვს აღმასისაო, ერთი აბრიალდი, თავს-კო ნუ მოსტყრი და ქვეა-კო კარგად ასწავლეო, აბრიალდა ხმალი, ჩახტა ბანიდან, მისდგა უვით და ერთი თუ ორი.—კარგი! კარგი! გავადებო! უვირის დედაკაცი. როგორც იყო გაუღო კარი. გლეხი შევიდა სახლში და ლიტრას უთხრა: ლიტრავ, ლიტრავ, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ერთი სუფრა გაშალო! ლიტრა გავგორდ-გამოგორდა და გამოშალა, რაც კი იმით ეკადრებოდათ. ასეთია, დედაკაცი გაევირებელი შესტყერია. ასეთებია, ბატონ-კაცურად ცხოვრობენ. ამ ხელსახოცით ვინ იცის რამდენი შოარჩინა.

აუტყდა ცოლი ქმარსა: კაცო, მოდი ერთი ხემწიფე დავპატრონოთო! დამპატრეც თავისი ჯარი-ჯარაშათითა. ხემწიფე ეწეო. გლეხმა უთხრა ლიტრასა: ლიტრავ, ლიტრავ, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ერთი როგორც ხემწიფეს ეკადრებოდეს, ისეთი სუფრა გამოშალო! გავგორდ-გამოგორდა ლიტრა. ისეთი სუფრა გაიშალა, რაც კი კაცი ინატრებდა. ხემწიფე ზის და პურს არ მიირთმევს. ნაწირ-ვეწირმა უთხრა გლეხს: ხემწიფე პურს არ მიირთმევსო. გლეხი ეხვეწება, მიირთვიო!—თუ შავ ლიტრასა და ხელსახოცს მე მომცემ, ვჭამ, თუ არა და—არაო! ეხლა მიირთვი, და თქვენი ფეშქაშიაო!

როცა წაიღნენ, ცოლმა დაუწყო წყევლა: დაგიდგა თვალი, ეხლა დაგეძ და უტყირეო!

—ეს ჩემი ხმალი რას მიეცებესო, სთქვა გლეხმა. ხმაღს უთხრა: ხმალო რკინისაო, პირი გაქვს აღმასისაო, წადი და ხემწიფესა და იმის მხლებლებს თავები დასტყერი და ჩემი ლიტრა და ხელსახოცი ისევ აქ მომიტანეო.

აბრიალდა ხმალი, დაფრია ხემწიფის ჯარს და ჯამათს და სულ თავები დასტყრა. წამოუღო და მოუტანა ლიტრაცა და ხელსახოციცა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფეხილი აქა!

## 88—ია ხათუნისა

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დედაკაცი; ჰყვანდა რვა ვაჟი და ერთი ქალი. ქალი ძალიან ლამაზი იყო; როგაიციანება, სულ ია და ვარდი გაიშლებოდა. ძმებს ძალიან უყვარდათ და აახიზებდნენ.

ეს ქალი რამდენჯერაც წყალზედ წავა, აუძღვება ერთი პატარა ჩიტი და შესძახის: ქალო, შენს თავს ბაღაო! ქალო, შენს თავს ბაღაო! როგაუჭირა საჭმე, ღედას უთხრა: რამდენჯერაც წყალზედ წავალ, ერთი ჩიტი ამიძღვება და შეძახის: ქალო, შენს თავს ბაღაო!—ვაიმე, შეილო, უთხრა ღედამ, ასე უთქვამ: შენს თავს ხათაბაღაო!

გავიღა ხანი. ხალხი დღეობაში მიდის. ქალმაც მოინდომა წასვლა. ძმებს უთხრა: რვა ძმას ერთი და გვევართ და მეც გულის მურაზს არ მისრულებთო! ღედასაც უსაყვედურა. ღედამ უთხრა: შეილო, თუ გააყვები, აგე შენი ძმები მიდიან და გააყუო. ძმები წავიდნენ, წაიყვანეს დაცა. ერთი ხიდი ჰქონდათ გასასვლელი. ძმები ერთად გავიდნენ, დაც უნდა გასულიყო, მაგრამ ამ დროს ერთი ციხე დაეღგა თავზედ. მოგწყვედა ქალი შიგა. არც კარი აქეს, არც ფანჯარა. ქალი ტირის, ტირის, სულ თვალებს ითხრის.

მევიდნენ შინ ძმები, უამბეს ღედას, რაც დაემართა იმათ დასა. ასეთებია, ისინიც სულ ტირიან.

ქალი როგა ტირის, ამოვიღის ამ დროს ერთი ბებერი კაცი, გაიღება ციხის კარები, ჰხედავს, ქალი ტირის.—რათა სტირა, შეილო? ვტყვის ბერიკაცი, რა ძალა დაგდგამია ისეთიო? ქალმა უამბო თავისი თავგადასაყალი.—წამო, შეილო, ზემთან, შეიდი ქალი მყავს, შერვე შენ მყაოლები, თუ მეტად არ შეუვარები, იმათზე ნაკლებად ხომ არ გაგიფრთხილდებიო.

გაჰყვა ქალი. ასეთია ქალებიც, ეს კაცი და ამისი ცოლიც, ისეთი უყვართ, უფრთხილდებიან, ციხე ნიავს არ აკარებენ. სულ ამის კითხულია ყველაფერი.

ერთხელ დედობილმა უთხრა: მოდი, შეილო, ერთი თავი მამიხილგო. მოუხილა ქალმა თავი, და ამ ღედაკაცს ამის კალთაში კი დაეძინა. ჰხედავს, თმაში ერთი გასაღები აქეს ჩატანებული. ქალი მუხლს გამააქლის, მუთაქის დაუღებს, თვითონ გასაღებს წაიღებს, გააღებს დაკეტულ ოთახს, და ერთი დევი კი შემოაქეცრავს თვალებსა. ქალი უცებ გამოუხურავს კარებს და გასაღებს ისევ თმაში ჩაატანს დედობილსა. თურმე ის დევი ჰყვარობს ამ ღედაკაცსა და იქ იმიტომა ჰყავ დაკეტული, რომ ვერაინა ნახოს.

ეს ღედაკაცი როცა დროს იპოვის და შევა ამ დევთან, აღერსის შემდეგ დევი ვტყვის: „შენც ლამაზი, თამარო, და მეც, მაგრამ ია ხათუნისთანა კი არავინ იქნებაო!“ ისეთია ეს ღედაკაცი, სულ ნაღველა დაგტკა. წამოვიღა, დამწვა, მოიავადმყოფა თავი, წევს და კენესის. ვკითხებთან, რა

გიშველისო?—მე სხვა არაფერი მიშველის, თუ ია ხაბთუნს დაქლათ და იმის გულ-ღვიძლს მაქმეეთ, შოერჩები, თუ არა და—მოგვედებო.

შესწუხდა ძალიან ეს კაცი. ძალიან უყვარს ია ხათუნი.—აბა როგორ დაექლათო, ეუბნება კოლს, შვილად ავიყვანეთ, თავის დედ-მამისათვის გვიცქერის, გვინდა, და ეხლა რო დაექლათ, ღმერთს რა ვუთხრათო.

აბა! წვეს ეს დედაკაცი და კენესის. ორი-სამი თვეა, აღარა დგება.

რო გაბეჭრდა ძალიან, ბერიკაცმა უთხრა მოჯამაგირეს: წაიყვანე მინდორში, დაკალ და გულ-ღვიძლი მომიტანეო. წაიყვანა ბიჭმა ია ხათუნი, ერთი გოშია ჰყვანდა, ის დაქლა, გულ-ღვიძლი ამოაცალა, ქალი გზაზედ დააყენა, წადი და ღმერთმა გიშველოსო! მოუტანა ის გულ-ღვიძლი. ქამა თუ არა იმ დედაკაცმა, მერცხაღვივით ზეზე წამოვიარდა სალი-სალამათი.

ია ხათუნმა კი იარა, იარა და ერთ ადგილას ცხრა ძმა დევი მღვარან, იმათ სახლთან მოვიდა. რვა ძმა სანადიროდ ყოფილან წასულები და, მეცბრე ძმა კოკლი ყოფილა, ის სახლში გაუშვიათ.

მივიდა ია ხათუნი და სდგას სახლის წინ და ტირის. გადმოიხედავს ეს დევი და გადმოსძახებს: რა ხარ? რა სურიელი ხარ, რომ ჩემი ძმების შიშით ცაში ფრინველს ვერ გაღუფრენია და დედამიწაზედ ქიანქველასაო, შენ კი მოსულხარ და მანდა სდგებარო.

—ესე-ესე არის ჩემი საქმეო, უთხრა ქალმა, და ახლა შენ იცი, რასაც მიზამთო. დეეს ძალიან გაებარდა: მაინც ჩვენ ცხრა ძმას და არა გვყავს, შენ—და და მე—ძმაო. მოვლენ ჩემი ძმებიცა, დაგმალავ და მერე გამოგაჩენო. დამალა ქალი. როცა მოვიდნენ ძმები, ჰკითხეს, ადამიანის სუნი მოგვედისო. —თქვენ თვითონ მოგვეუბნათო, უთხრა ძმამა, აქ ადამიანს რა უნდაო! როცა ირმები მოხარშეს და ჰურის საკმელად დასხდნენ, კოკლმა დევმა უთხრა ძმებსა: ცხრა ძმა ვართ და ერთი და არა გვყავს. არ გინდათ რო გყავდეთო?—ბარემ გინდა, მაგრამ აბა საიდან მოვიყვანათო? მაშინ გამოუჩინა ია ხათუნი ძმებსა. ყველამ დიდი სიხარულით მიიღო. ამის შემდეგ იახათუნი იყო სახლში დიასახლისი და ყველაფერი იმას ეკითხეოდა; უვლიდა სახლსა, უყვებოდა საქმელს. ისეთია დევები, ძლივ შესცქერიან...

დედაკაცი რო შევიდა თავის საყვარელ დევთან და იალერსეს, დევმა უთხრა:—შენც ლამაზი ხარ, თამარო, და მეც, მაგრამ ცხრა ძმა დეეს რომ დათ იახათუნი ჰყავთ, იმისთანა არაეინ იქნებაო!

ისეთია ეს დედაკაცი, სულ კოფებსა ჰყრის. მიუბუტა ქმარსა: აქი მოვაკლევინეო, იბზოდ, შე აბაღლებულო, შენა! ის ცხრა ძმა დევთანა ყოფილაო! თუ არ წასულხარ და რითაც იქნება, ან აქ არ მოგიყვანია, ან არ მოსწამლევ, შენი კოლობიდან ხელს ავიღებო. გაატანა მთელი ერთი კალათი სხვა და სხვა წერილმანი, ასე უთხარი, უფროსი ქალი გავაუბოვე და ქორწილში გვეწვიეო. თუ არ გამოგვეყვებ, გვ წერილმანი მივცი, ესენი მაინცა გქონდესო.

აიღებს ბერიკაცი ჯოხს, წაიღებს ერთ კალათ წერილმანს და წავა ცხრა ძმა დევებისაკენ. იმ დროს მივა, რომ ძმები სანადიროდ წასულან, მარტო ია ხათუნილაა შინა. დადგება ძირსა და ელის, როდის გამოვა კარზედ.

როცა გამოვა, მიესალმება ის კაცი: ია ხათუნო, შვილივით გვიყვარდა და განა ეტყე უნდა, რომ ჩვენსკენ ერთხელ აღარ შემოიხედდეს. შენმა დედობილმა გამამგზავნა: უფროსი ქალი გავათხოვე და ქორწილში შეწვიეო.— თუ ჩემი ქორწილში უფრო გინდოდით, შე იქ არ ვიყავი, რომ დაცულა დამიპირეთო. ტყუილად ვასჯილხარ, მე იქ აღარ წამოვადლო.— თუ არ წამოხვალ, შეილო, ე წერილმანი მინც აიტანეო.— ყველაფერი ბევრი მაქვს, მე თქვენი არაფერი მინდაო, ჩამოსძაბა ქალმა, თუ გაქვს, კვი კი ამომწოდებო. შობა თოჯნელ, ასწია და აიტანა კვი. დაღუპა და ჩაუვარდა ენა. ისეთია, აღარაფერი აღარ ესმის.

მოვიდნენ ძმები, ნახეს, საღვთა ქალი! აღარც ენა აქვს, აღარც გონება. ბევრი იმწუხარეს, ბევრი იტირეს, ბოლოს შეუკრეს ერთი კოდობანი, ჩააწივნეს შოგ და მისკეს წყალსა. ატარა წყალმა, ატარა და ერთ სახემწიფოში მიიტანა.

იქაურ ხემწიფის შვილს კოლი უნდა შერთონ; ხემწიფეს გამოუცია ბბანება, ვისაც ვასათხოვარი ქალი გყავთ, ყველამ მოიყვანეთ, უნდა კოლი შეერთდესო. ისეთია ეს ხალხი, მოდის და მოდის! სუ თავების მტერგვა, იქნება მე მომიწონოსო. ამ დროს დაინახვენ, რომ წყალს კოდობანი მოაქვს, შეგზანიან მკურავებს, გამოიტანენ ნაპირზედ, გახსნიან: ია ხათუნი უკვე გასაღებულა, ისეთია, კაცს თავის მოსტაცებს. აბა სხვა რაღას მოეწონებოდა. ხემწიფის შვილმა დაიწერა ია ხათუნზე ჯვარი. ცხოვრობენ ტკბილად და უღარდგელად.

დღდაკაცი რომ დევთან შევიდა, დევმა უაღერსა და უთბრა: ლამაზი ხარ, თამარო, მაგრამ ამა და ამ ხემწიფის შვილს რომ კოლად ია ხათუნი ჰყავს იმასთან კი ვერაინ მოვამ! ოპ, გაუსკდა გული დღდაკაცს. დაეტაკა ქმარსა, — გე შორედ გაუშვი ის ქალი კოცხალი, შე ამაღლებულო, შენაო! წადი და აუტეხე რამე, თორემ იცადე, კოცხალი აღარ დამენახოვო!

წავიდა ეს კაცი. ბევრი იარა, თუ კოტა იარა, მოვიდა იმ ქვეყანაში, სადაც ია ხათუნია. მივიდა ხემწიფის შვილთან და სთხოვა, მებაღელ დამიპირეთო. ია ხათუნმა უთბრა: ნუ გინდა, გაანებე თავი, თორემ ინანებო. არ დაიშალა ხემწიფის შვილმა: მაგან რა უნდა გვიყოსო! იარა ამ ბერაკცმა, იმდენი ძვრა, რომ ხელზედ მოსამსახურედ შეგზარა.

ამ დროს ხემწიფის შვილი სხვაგან არის სტუმრად, ია ხათუნი დაწვა და ოქროს ქორიანი ვაგი ვყოლი. ამ ბერაკცმა როცა დრო იპოვა, შევიდა, გაოსკრა უფრო დედა და შვილს და ერთ წყალში გადაყარა. მოყვანა თავისი უფროსი ქალი და დააწინა ლოგინში. ია ხათუნი წყალში ოქროს თევზად იქცა. ასეთია, სულ მზესავით ანათებს. ხემწიფის შვილი დაბრუნებულა და სწორედ ამ წყალზეთ გამოიარა. ეს ოქროს თევზები ასეთებია, სულ ზედ ასტებია. დაიჭირა და წამოიყვანა სახლში. ასეთია მფის შვილი, სულ ზედ დაქანკალებს ამ თევზებს. გაუყვითა აუზი, ჩაბნა შიგ და დღე და ღამე აღარა მშორდება.

ეს ქალი კი ჯოჯოსავით გამოიყურება ლოგინიდგან. ვახდა ივად. თუ მაგ თევზებს დაქლავთ და მაქმევთ, მოვრჩები, თუ არა და—მოვკვდებიო!



რას იზამს ხემწიფის შვილი? თუმცა არ ემეტება, მაგრამ დედამამს ხატოს არ უტრება.— ისე შექამეთ და ძვლები ისე აკრიფეთ, რომ ერთი ფხა არსად არ გადავივარდეთო, ბძანა ქალმა.

დაეღეს და მოუბარშეს. შავგროვა ფხებიც, მაგრამ ერთი ფხა მაინც გაპყლია ნავაგში. ამ ფხაზედ ისეთი ალვის ხე ამოვიდა, წვევრით ცასა სწევდება. ეს ხემწიფის შვილი დღევ იმის ქვეშ არის და დამეც. ჩამოღშეებს ეს ალვის ხე ტოტებს, ქვეშაც ეშობება და ზევიდამაც ეხურება.

გახდა ეს ქალი ავად. იხირა: თუ მე ალვის ხეს მოსქრით და შავის ნაფოტს ისე აკრიფეთ, რომ ერთი არსად გადავივარდეს, მოვრჩები, თუ არა და—მოკვდებიო! რა შეტი ღონე იყო, მოსქრეს, მაგრამ ერთი ნაფოტი ერთი ბებრის ეზოში გადავივარდა.

ისეთია ეს ბებერი, ამ ნაფოტს გადააბრუნებს, აკოცებს, გადმოაბრუნებს, აკოცებს. ეს ბებერი რომ წავა, იტყვევებს ეს ნაფოტი ქალად, დამგვის, დარჯცხავს, დაწმენდს, შეადგამს შექამანდს, იტყვევებს ისევე ნაფოტად და დაეხურება ქოთანსა. ისეთია ეს ბებერი, უკვირს, არ იცის, ვის დააბრალოს. მგზობლებში ამბობს, ესა ესე ზემ თავს და არ ვიცი, ვინ შემოდიხართ, ვინ უვლით ზემ სახლსაო.—უღარაჯგო, უთბრეს, და ნახე, ვინ არისო. შართლაც გამოვიდა ერთხელ ბებერი, ვითომ სხვაგან მიდის და იტყვევებს დამიძალი. ამ ნაფოტმა რომ სთქვა, ახლა-კი წაივიდა ბებერიო, გადმოხტა, იტყვა ქალად, დარჩალა და, ყველაფერი ხელად გააკეთა და რომ ისევე ნაფოტად უნდა ქვეუღიყო, შემოასწრო ბებერმაც: მე—დედა და შენ—შვილიო! გაეხარდა ამ ბებერს, ისეთია სულ თავს დასტრიალებს. უამბო ია ხათუნმა თავისი თავი გადასაყალი ბებერსა. ბებერმა უთბრა: დავხატოვოთ, შვილოვო!

— არა, დედი, ის არ გიკადრებს, არ მოვარო. ისევე ერთ წამალს გავაკეთებ, წადი, იმის ცხენებს გადააყარე; ისეთი კირი გაუჩნდებათ, რომ ჩვენის მეტმა ვერაფერს მოაჩინოსო. შართლაც მისცა წამალი, წადი ამ ბებერმა და გადააყარა ცხენებსა. გაუჩნდა კირი ცხენებს; ისეთია, სულ დაფქვა. მივიდა ბებერი ხემწიფისთან, შავსენა, შე მყავს ერთი ქალი და ის შარჩენსო.

წაუყვანეს ქალს ცხენები; გადააყარა წამალი და, როგორცაც წინათ იყენენ, ხელად ასეთებივე გახდა. გაუხარდა ძალიან ხემწიფის შვილს.— რა მოგცო? გვითხება ბებერს, რით დაგასაშუქოვო? ბებერმა უთბრა: შე არაფერი არ მიწადა, ჩვენსა წამომძანდი და ჩემს ქალს უბძანეთ შადლობა, იმან მოგიჩინაო.

მოვიდა ხემწიფის შვილი ბებერთან, ხედავს, ია ხათუნი იქ არის, გადაეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან. ქალმა უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა. ხემწიფის შვილმა ის კაცი და იმისი ქალი ცხენის ძუაზედ გამოაბმენინა და სულ ისე დააგლეჯინა. იახათუნზედ ხელმოკრედ დაიწერა ჯვარი და გაბეღნიერდნენ.

(სოფლიო დათუნაშვილის წამომბობი ს. ხელთუბანს).

## 89—მღვდელ ლელუაშვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა თქნებოდა, იყო ერთი მღვდელი. ზურგზედ საყდარი ეკიდა და სადაც მივიდოდა, დასდგამდა და ილოცავდა. ერთხელ სიზმარი ნახა მღვდელმა: უნდა საყდარი ამა და ალაგას წაიღოს, იქ დადგა და ილოცოვო. კარგა ხანი არ ელოცა მღვდელს, გათენდა თუ არა, აიკიდა საყდარი, გასწია და წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, წინ ერთი დათვი შეხვდა.

— გამარჯვება!—გაგიმარჯოს!

— სად მიგატყვს საყდარი? ჰკითხავს დათვი.

— უნდა ამა და ამ ალაგას წავიღო, იქ დავდგა და ვილოცოვო, უპასუხებს მღვდელი.

— ერთი ვატიშვილი მყავს, უთხრა დათვმა, ეგრე წმინდა კაცი ჰყოფილხარ, წაიყვანე, შენი სულის გულისთვის გაზარდე და წიგნი ასწავლეო.

— ძალიან კარგო! წაიყვანა მღვდელმა დათვის შვილი.

მოიზარდა ეს ბიჭი და სახელად „მღვდელ ლელუაშვილი“ დაარქვეს. ასეთი მკამელია, თითო ჯერად თითო თონე ჰური და თითო კოცა ღვინო არა ჰყოფნის. თუმცა მღვდელი კარგა მდიდარი იყო, მაგრამ მალე ისე გაღარიბდა, ერთი კაპტიკი აღარ გაჩნდა.

მღვდელმა სთქვა: მე ამას რილათი ვაცხოვრებ, მეც სიწმილით მოგვედუბი და ეგაც, თუ არაფერი ეიღონო. აღგა და წავიდა ხემწიფესთან.— ასე და ასე არის ჩემი შვილი და შენ თუ არ გამოკვებე, მე იმისი რჩენის თავი აღარა მაქვსო.

— მოიყვანეო, უბძანა ხემწიფემ.

დაბინავდა მღვდელ ლელუაშვილი ხემწიფესთან. მალე ისე გაუხადა საქმე, რომ მარანი და ბელღები დაუსარიელდა. ხემწიფემ კსერი მოიუხანა. რა ქნას, როგორ მოიშოროს თავიდან? აღარც იმდენი აქვს, რომ სულ ასვას და აქამოს. ერთხელ უბძანა მღვდელ ლელუაშვილს: „წადი, მაინც არაფერს აკეთებ, ამა და ამ ალაგას რომ ტყვა, ერთი ქმეული სახლი დადგი, და მერე ჩამოვიტანოთო!“

— შენ ისეთი ცული გამოკეთე, რომ ათი ლიტრა რკინა იყოს და ხუთი ლიტრა ფოლადი ედოს. მაინც არაფერს ვაკეთებ, წაველ, ხელს გაეანძრევო, უთხრა მღვდელ ლელუაშვილმა.

გაუკეთებინა ხემწიფემ, როგორც ცული შეუკეთა. გაუყარა ერთი ტრვის ხე, გაიღო მხარზედ და გასწია დევების ტყეში. ისეთია, რომ დაუშინა ამ ტყეს, ზარბაზნაივით ქუხილი გააქვს, როცა ცულს შემოჰკრავს. გაჩება და დაეწყო სახლს დადგმა.

გაუგონით დევებს, რომ ვიღაცა მოსულა ამით ტყეში და სკრის. გამოტყულან ოთხი ძმა დევი, დაინახეს მღვდელ ლელუაშვილი და დაუძახეს: ჩვენი შიშით ძირ კიანქველას ვერ გაუვლია და მალა ფრინველი ვერ გა-

დაფრენილი, და შენ რა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ მოსულხარ და ჩვენს ტყუას სწებაო?!

— აბა შორიდან რა გელაპარაკოთ, ახლო მოდით, და მე ვიყო, დაუძახა მღვდელ ლელუაშვილმა.

გამოიქცნენ გაბრაზებული დევები. დაიჭირა მღვდელ ლელუაშვილმა ოთხივენი, მოაკავე უზარმაზარი ნაძვები და იმათ წვერებზედ ჩამოკიდა ოთხივენი. თვითონ დაადგა და ერთი კობტა კდელული სახლი დადგა. როცა მორჩა სახლის დადგმას, ჩამოხსნა ოთხივე დევი, შეაბა ყვეარი, მოუბა სახლი და შიათრინა ხემწიფის კარებზედ.

ასეთია ეს ხემწიფე, შიშით სულ თახთახი გააქვს: მე ეგ იმტომ გავგზანე, რომ ვიფიქრე, იქ დევები მოკლავენო, და შაგან პირიქით ისინიც აქ მომიყვანაო. აბა რაღა იქნებოდა?

იფიქრა, იფიქრა ხემწიფემ და ბოლოს დასწერა წერილი მეორე ხემწიფესთან: „ამ წერილის მომტანი მოკალ, ცოცხალი აღარ გამოუშვაო!“ და გაატანა მღვდელ ლელუაშვილსა. წამოიღო აშანაც წერილი და წამოვიდა.

მოდის გზაზედ, და ერთი კაცი კურდღლებს ნაბიჯით დასდევს და იჭერს. ძალიან გაუვირდა, მივიდა ახლო და მიესალმა.

— კაცო, ეგ რა საკვირველი კაცი ჰყოფილხარ, რომ კურდღლებს ნაბიჯით დასდევ და იჭერო?

— მე რა საკვირველი კაცი ვარ, უბასუხა კურდღელთ კერიამ, საკვირველი მღვდელ ლელუაშვილი არისო, რომ ოთხი დევი დაიჭირა, შეაბა და სახლი ხემწიფესთან ჩაათრინაო.

— ის მღვდელ ლელუაშვილი მე ვარ, მოდი და დაეძმობილდეთო! დაძმობილდნენ და წავიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, შემოხვდით ერთი გუთნეული. გუთანი გაქიმულა, უკან გუთნის დედა მისდევს და ჰელაპავს, რაც ბელტი გადადის. ამათ ძალიან გაუვირდათ. მიესალმნენ.

— კაცო, შენ რა საკვირველი კაცი ჰყოფილხარ, რომ მეგოდენა ბელტებსა ულაპაეო? ჰკითხა მღვდელ ლელუაშვილმა.

— მე რა საკვირველი ვარ, საკვირველი მღვდელ ლელუაშვილია, რომ ოთხი დევი დაიჭირა, უღელში შეაბა, სახლი მოუბა და ხემწიფეს მიუთრიაო.

— მე ვარ ლელუაშვილი, და მოდი და დაეძმობილდეთო. დაძმობილდნენ: გაქცე თან ბელტიულაპაეო.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მოადგნენ ერთ მდინარეს. დასწაფებია ერთი კაცი ამ მდინარეს, სუამს და თან ქუშის ატანს. ზევით დიდი მდინარე მოდის და ქვემოთ ცვარიც აღარ მიდის. ძმობილებს ძალიან გაუვირდათ. მიესალმნენ.

— კაცო, რასა შერები! შენ რა ჰყოფილხარ, რომ მეგოდენა მდინარეს აშრობო?

— ემ, თქვე დალოცვილებო, მე რა საკვირველი ვარ, საკვირველი მღვდელ ლელუაშვილია, რომ ოთხი დევი უღელში შეაბა და ტყიდან ხემწიფეს სახლი ისე ჩაუთრიაო.

— მე ვარ მღვდელ ლელუაშვილი, და თუ გინდა, დაემშობილდეთ, წამოდი ჩვენთანაო! — ძალიან კარგო! გაქყვა წყალიხერტიაო.

იარეს, იარეს და მივიდნენ ხემწიფესთან, მიუტანეს წერილი. წაიკითხა ხემწიფემ ეს წერილი, უცქერის ამ გმირებს. წერილში ერთი სწერია, და აქ ოთხიღ მოვიდაო. — რომელი ხართ თქვენგანი მღვდელ ლელუაშვილიო? ჰკითხა ხემწიფემ. — მე ვახლავარ, რას მიბძანებთ, ბატონო? ჰკითხა მღვდელ ლელუაშვილმა ხემწიფეს.

— მე ერთი ფეხმარდი შიკრიკი მყავს, ამა და ამ წყაროზედ უნდა ვაგვხანოთ, ისა და ერთი თქვენგანი, და რომელიც უკან დარჩება, თავი უნდა მოეპრო, უბძანა ხემწიფემ.

— აბა, ჩემო კურდღელთ კერიავე, ეხლა მიჭირს შენი თავიო, უთხრა მღვდელ ლელუაშვილმა, გასწი, და არ ვაჯობოსო!

დანადღევდნენ. წაივდნენ. ისეთია ეს ხემწიფის შიკრიკი, გარბის, რაც ძალი და ღონე აქვს, ეს კი ნაბიჯით მიდის. ნახევარ გზა რომ გაიარეს, კურდღელთ კერია დაწვა და დაიძინა. წაივდა შიკრიკი ხემწიფისა, აავსო წყალი, მობრუნდა და მოდის. ისეთია, უხარია, მე ვაჯობეო. გაიღვიძა ამ კურდღელთ კერიავე, გასწია, აავსო წყალი, გამობრუნდა, დაეწია ხემწიფის შიკრიკს, კიდევ გაასწრო, მოუტანა და დაუდგა ხემწიფეს.

მოვიდა შიკრიკო. — რა ჰქენით? შენ აჯობე, თუ ამანაო? ჰკითხა ხემწიფემ. — შე დალოცვილო, რას ვაჯობებდი, მგას შუაგზაზედ ეძინა, როცა მე წყალი უკვე ავავსე და მომქონდა, მაგრამ ეგ კიდევაც დამეწია და მომასწრო კიდევაცაო!

რაღა იქნებოდა? ამით რომ ვერაფერს ვახდა ხემწიფე, მერე უთხრა: მე ჩემ ხაზაზებს დავაყენებ, ერთ კვირას ვაცხოზინებ პურს, და იცოდეთ, თუ არ შეგიტამიათ, თავს მოგჭრითო.

— ძალიან კარგო! დათანხმდა მღვდელ ლელუაშვილი.

— აბა, ძმავ ბელტიყლაპია, ეხლა მიჭირს შენი თავიო!

დაუწყეს ხემწიფის ხაზაზებმა პურს ცხოზა. იმდენია, სათვალავი არა აქვთ. დაადგა ბელტიყლაპია, ისე ყლაპავს, კდე გუნდებსაც ხელიდან გლეჯავს. გავიდა ერთი კვირა, — ისე გამოიბერტყა ხემწიფის ბელლები, რომ ბტვერი აღარ მოიბერტყება.

— ვერც ეხლა მოვიგვთ სანადღეო? ჰკითხა მღვდელ ლელუაშვილმა.

— მოგებული ხართო, უბძანა ხემწიფემ.

გავიდა რამდენიმე ხანი. ხემწიფე ძალიან დაღონებულია, აღარ იცის, რა უნდა მოუხერხოს. ბოლოს მოიგონა, დაიბარა მღვდელ ლელუაშვილი და უთხრა: მე ერთი ასკოტიანი ქვევრი მაქვს, და თუ ერთ დანაფებაზედ არ დალიეთ, იცოდეთ, წაგებული იქნებით და თავს მოგჭრითო.

— ძალიან კარგო! უთხრა მღვდელ ლელუაშვილმა.

— აბა, ძმავ წყალიწრუტიავე, ეხლა მიჭირს შენი თავიო!

— შენ არხინად იყავ, იქ წყალსა ვწრუტავდი და აქ ღვინოს ვერ დავლეო!

მიიყვანეს დანიშნულ ღღეს ქვევრთან; დაეპოკა და ქვევრიც კი კნა-

ღამ თან ჩაატანა, თორემ ღვინისა ხომ ცუარიც აღარ გაუშვა. ამა რაღა იქნებოდა? ყველადერი მოუგეს ხემწიფეს.

ხემწიფემ დაუწერა წერილი ისევ წინანდელ ხემწიფესთან: „მე ამას ვერა დაუგვარე რა და ისევ შენ, რაც გტეხბოს, ის უყავიო“, და გაატანა მღვდელ ლულუაშვილსა. მღვდელ ლულუაშვილმა სთქვა: ერთი გაეხსნი, წაეკითხავ, რასა სწერსო. გახსნა და წაეკითხა. ეს რომ გაიგო, რომ ჩემი მოკლა სდომებნითო, წამოვიდა, მოგლიჯა თავი ხემწიფეს და იმის ნაზირ-ვეჭირებს და თავიონ დარჩა მიღად იმისი სარჩო-სამადებელი და სახემწიფოც.

კირი იქა, ლბინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 90 — და-ძმობის ძალა

იყო ერთი ბიჭი. ერთხელ უცხო ქვეყანაში წავიდა. გზაზედ დაიღალა და წყალი მოსწყურდა. მდინარე არსად იყო და წყარო, რომ წყალი დაეღლია. ერთ სოფელს მიუახლოვდა. სოფლიდგან წყაროზედ ქალები ყოფილან წყლის მოსატანად. ერთ ქალსა სთხოვა: და-ძმობის, წყალი დამალეინეო! ქალმა იმევე წუთაში გადმოიღო კოკა და მიართვა: მიირთვი, ძმაოვო! ამ რიგად ქალმა და ვაჟმა ერთმანეთს და-ძმობა უთხრეს.

ვაჟმა დაღლია წყალი, მადლობა გადაუხადა ქალსა და წავიდა თავის გზაზედ. გავიდა ხანი. ვაჟი საქორწილო გახდა, ის ქალიც გასათხოვარი. ეს ვაჟი და ქალი იმ დღეს აქეთ ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. დედ-მამამ გადასწყვიტა ამ ვაჟის დაქორწილება. უფროსი ვაჟი გავხანა ქალის გასაშინჯათ. უელია ამ უფროს ძმას და სწორედ იმ სოფელში მოსულა, სადაც ამის ძმას ქალმა წყალი დააღვინა, და სწორედ ის ქალი დანიშნა ძმისათვის.

ვაჟმა რა რცხს, თუ ვინ უთხოვეს, ან სადაური, ან როგორი? ქორწილის დროც მოვიდა. წაიყვანეს ნეფე-დედოფალი ჯვრის დასაწერად. საყდართან რომ მიიყვანეს, ქალმა და ვაჟმა აქ-ღა შეხედეს ერთმანეთს. ვაჟსაც და ქალსაც როგორღაც ეცნოთ ერთმანეთი. ფიქრობენ, თუ სად უნახიათ ერთმანეთი, სად შეხედნენ პირველად. საყდარში რომ შეველენ, მოაგონდება ორივეს. ვაჟი ეტყვის, შენ ის არა ხარ, ამა და ამ სოფელში რომ წყალი დამალეინე და დობა გითხარო?—სწორედ ისა ვარო, უთხრა ქალმა.

დაიწერეს ჯვარი. კოლი და ქმარი წებებიან ერთად, მაგრამ ისე არიან, როგორც და და ძმა. არ შვლებეს და-ძმობა. გავიდა სამი წელიწადი, ამა რა შვილი გაუჩნდებათ? ისე წმინდათ ცხოვრობენ, რომ იმათზე მადლიანი აღარავინ იქნება. ლოგინი ერთად უშლიათ, მადლში წყალი ჩაუსხამთ, უკიდიათ თავით და ერთი წვეთი წყალი არა ვარდება.

ერთხელ ამ სოფელში ერთი გლახა მოვიდა და ღამე იმათსა დადგა. როცა დაწვნენ, ამ გლახამ შეხედა, რომ კოლი-ქმარს თავით ბადით წყალი



უკიდობით და ცვარი არა ვარდება. შესცქერია გლახა, აღარ მოუვიდა ძილი: მთელი ღამე არ დაუძინია. როცა გათენდა, გამოემშვიდობა და წავიდა: ისეთი თია, გაკვირებული. ვისაც ნახავს, ყველას ეუბნება, ეს რა სასწაული ვნახეო. იმ ქვეყანაში ერთი წმინდა ბერი ცხოვრობდა; ეს გლახა ახლა იმ ბერთან წავიდა: ვნახოთ, რა სასწაულს გამოაჩენს იმისი სიწმინდეო! იმ ღამეს იმ ბერთან დადგა.

— ამა რა დაიბინებს? უდგებს ყურს, ვნახოთ, რასა ვნახავო. მამლის ყივილის დროს ბერი სალოცავად ადგა ამ დროს მოფრინდა ორი ანგელოზი, შეუხებდნენ მხრებში, ასწიეს და ისე ალოცეს. როცა ლოცვა გათავა, ანგელოზები გაქრნენ. ბერი მობრუნდა და რაკი დაინახა, რომ სტუმარს გაუღვიძნია, თავისი სიწმინდის გამოაჩენა მოესურვა და პკითხა გლახას: ჰნახე, ანგელოზები როგორ მოფრინდნენ, მხრებში შეშისხდნენ, ამწიეს და ისე მალოცესო.

— ვნახეო, უთხრა გლახამ, მაგრამ ამა და ამ სოფელში რომ ერთი ცოლქმარია, იმათ რომ თავით ბადით წყალი უკადია და იმ ბადიდან ცვარი არ ჩამოვარდება, იმაზედ საკვირველი არა მინახია-რაო.

— მაშ კარგო, უთხრა ბერმა: შე სამ კვერს გამოვიცხოვ, გაგატან, შექამონ და თუ არაფერი დაუშვადებათ, მაშინ ვირწმუნებ, რომ მართლა წმინდანები ყოფილანო.

გამოაცხო, მოწამლა, შეულოცა და გაატანა.

მაიქეს გლახას კვერები და, რამდენიც დრო მიდის, ისე ხურდება ეს კვერები, სულ ცეცხლივითა სწვავენ. მიუტანა ცოლქმარს, ისე შექამეს, როგორც თაფლი და შაქარი, და იმათ არაფერი დაშავებიათ.

მერე უთხრა ქმარმა ცოლსა: მიდი და ერთი ლეჩაქი ამოიღე და მომიტანეო. მიუტანა ცოლმა ლეჩაქი. გამოყარა ცეცხლიდან ნაკვერჩხალი, შეახვია ლეჩაქში და გაუგზავნა წმინდა ბერსა. არც სწვავს ლეჩაქს და არცა, მიუტანა ბერსა. ძალიან გაუკვირდა, სთქვა, შე თუ არ წაველ და არა ვნახე, არ იქნებო. ადგა და წავიდა. იმ ღამეს იქ დადგა.

მასპინძელმა მიინდომა ამ წმინდა ბერის გამოცდა. სტუმარს უთხრა: —ამალამ წისკვილში უნდა წავიდე და შენ აქ უნდა იყოვეო. ამალამ ჩემი ცოლის გვერდზე უნდა დასწევო. ბერს რა მეთო ღონე ჰქონდა, იმ ღამეს იმის ცოლის გვერდზედ დაწვა. ზურგი შეაკცია და წვეს ისე. მაინც გულში ექვმა გაუარა. ვნახოთ, რომ ამ ბადიდან წყალმა წვეთვა იწყო. იძლო, იძლო ბერმა, გაოცებამ რომ შოატანა, სირცხვილით ადგა და გაიპარა.

მოვიდა კაცი, ნახა ბადიდან წყალს დაუწყია წვეთვა. — ნახეო, სთქვა, კიდევ იმდენად გული წმინდა არა ჰქონია, რომ წყალს წვეთვა უწყიაო! აალიფა ლოგინი, შეახვია კილოში და მიაყუდა კარებს უკან.

გავიდა იმის შემდეგ ცხრა თვე. გადმოიღო ამ ვაემა ეს კილოში და სთქვა: აღმერთო და ზემო სიმაართლევ, ერთი ვაეიშვილი მომეცი, ამ კილოშიდან გამოვარდეს და ჩემ ცოლს ძუძუებში რძე ჩაუდგესო!

გაშალა კილოში, და მართლა ხვედასავით ბიჭი კი გადმოვარდა. მოუვიდა ცოლსაც რძე და დაუწყო შეილივით ზრდა.

(მხოლო კიდევ არის, მთხრებ, მაგრამ ვერც იცოდა, ის ველარ ვნახე.)

(სოხე გავნიძის ნაამბობი სოფ. ხელთუბანში.)

## 91 — სოვედაგრისა და იმისი შვილისა, კაპიკ ნასეგრის დოვლათი რომ დაჰყვა

იყო და არა იყო რა, ლეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი სო-  
ვედაგარი და იმისა კოლი. ერთი სარკე ჰქონდა, იმაში რა ჩაიხედავდა, ყვე-  
ლაფერს დაინახავდა, რაც გადახდებოდა თავსა.

ამ სოვედაგარს ეაცი მიეცა, ჩაიხედა სარკეში და ნახა, რომ დღეში კა-  
პიკნახევრის საზღო და დოვლათი დაჰყვა ლეთისაგან. ძალიანა სწუხდნენ  
კოლი და ქმარი, მაგრამ შვილი იყო, ხომ ვერ გადაადგდებდნენ. ისევ გული  
იმითი გაიკეთეს, კოლს რა შეფრთავთ, იქნება დოვლათი იმას მოჰყვეს.

როცა ბიკი გაიზარდა, დააქორწილეს. ჩაიხედა სოვედაგარმა სარკეში.  
იმის რძალს სამი შაურის დოვლათი დაჰყვა დღეში. კიდევ ძალიან ეწყინათ:  
ეგენი შავით თავის თავსაც ვერ დაირჩენენ, და ჩვენ რილათი შეგინახვენო.  
მერე კიდევ გული იმითი გაიკეთეს, იქნება შვილს, დაჰყვეს დოვლათიო.

გაუჩინდათ შვილიც, ჩაიხედა სოვედაგარმა სარკეში და დაინახა, რომ  
იმის შვილი-შვილს ექვსი შაურის დოვლათი დაჰყოლია. ახლა-კი იმედი ვა-  
დაიწყვიტეს. ამა ექვსი შაური რას აცხოვრებდით? სოვედაგარს იმედი ჰქონ-  
და, ერთი დიდი დოვლათის მქონე ვინმე შეემატება ჩემ სახლს და გავზდი-  
ლადებით, მაგრამ ახლა იმედები გაუარსებდა.

გდასწყვიტეს შვილის მოშორება, მისკეს ერთი ურემი, შეუბეს ედელი  
ხარი და გაისტუმრეს სახლიდან: წადი, იქნება სხვა ქვეყანაში ღმერთმა დო-  
ვლათი მოგცესო.

ჩახსა ბიკმა კოლშვილი ურემში და გაუდგა გზახა. იარა, იარა და ერთ  
ქალაქში მივიდა. ნაობრები ყოფილა, იქ დააყენა ურემი და დაისვენა. ენახათ,  
რომ ამ ნაობრებში ნაგებზედ ძაღლის ლეკვები გადმოუყრიათ, ერთი შავი  
ლეკვი კოცხალი დარბობილა, დაკოცავს და საკოცად წაბუტუნებს. შეე-  
კოცათ, აიყვანეს, შეახვიეს მწერებში და ჩასვეს ურემში. — ეს ერთი შავი  
გვყავს, გავზდით, ამაზედ მაინც გაერთობაო.

კოლმა უთხრა ქმარსა: წადი ხემწიფესთან და ერთი სახლის ადგილი  
სთხოვე, რომ ერთი ჭობი მაინც ჩაეჭობოთ და თავი შეეფაროთო. მივი-  
და ეაცი ხემწიფესთან და სთხოვა ერთი სახლის ადგილი. ხემწიფემ უბძანა:  
წადი და სადაც ურემი დაგიყენებია, ის ადგილი მომიცია, ვათხარე და და-  
გი სახლიო.

წამოვიდა ეაცი გაბარებული. დაბინადნენ და დაუწყეს სახლის ადგილს  
თხრა. თხრის დროს ერთი ქვევრი სულ ოქროთი სავსე კი ამოუნდა. ვაგი-  
ხარდეს წუთი სოფელი, რომ იმან ვახარა ოქროს პოვნა. ასეთი სასახლე  
გადაქიმა, ხემწიფის სასახლე იმასთან რა სახსენებელია?! გაიძინა საქონელი,  
ცხვარი და ძროხა, ისე გამდიდრდა, რომ აღარ შეიძლება. ცხოვრობს ბა-  
ტონ-კასურად.



მოაგონდა სოვედაგარს შვილი. სიტყვა: აბა ერთი სარკეში ჩაეხიზნა ვენახით, რა ქნა ჩემმა შვილმა, საღ არის, რას აკეთებსო. ჩაიხიზნა და ჩაიხიზნა რომ ასე გამდიდრებულა იმისი შვილი, რომ ხემწიფეც კი აღარ არის იმაზედ შეძლებული. ერთი შავი ძაღლი ჰყავს ცხვარში და ეს ამოდენა დოკლათი სულ იმას მოჰყოლია. სოვედაგარს შემურდა შვილისთვის ის ძაღლი. სიტყვა: ჩემმა შვილმა რა ღვის, იმისი ქონება ვისი დოვლათის ბრალაა, წაეიღ, იმ ძაღლს ეთხოვე, მომცემს და იმისი დოვლათიც იმას გამოჰყვებო.

აღგა, მოემზადა და წავიდა შვილთან.

— შვილო, შენი ნახვა მომინდა, გავიგე, რომ შენთვის ბედნიერად სცხოვრობ, მოველ, მიხაროან შენი კარგაით ყოფნა, დაგაოვალაურებ და დედაშენსაც გავახარებო, უთხრა სოვედაგარმა მოკატუნებით.

შვილს ძალიან გაეხარა მამის დანახვა, ისეთი პატივი სცა, რომ უშეტესს კაცი ვეღარ ინატრებდა.

რაცა წასვლის დრო მოუვიდა, შვილსა სთხოვა, ცხვართან რომ ერთი ნაპოენი შავი ძაღლი გყავს, ის უნდა მჩუქოეო.

— ძაღლს კი არა, თუნდა მთელი ფარი მიირთვი, როგორ დაგიტერო, უთხრა შვილმა.

ძაღლი რა მოჰყავდათ, ერთ შავ თოხლს დედაში უკბინა, და იმისი იღბალი იმ თოხლს გადაეცა. წამოვიდა სოვედაგარი, წამოიყვანა ძაღლი. ასეთია, სიხარულით ცას ეწევა. გავიდა ხანი, მაგრამ სოვედაგარს ოჯახს უკეთესობა არა შეეტყო-რა. შვილი კი უფრო გამდიდრდა. სამი წელიწადი რა შესრულდა, სოვედაგარმა სიტყვა, რომ აბა ჩაეხიზნა სარკეში, ვნახე, ჩემ შვილს რა დაემართაო. ჩაიხიზნა: იმისი შვილი წინანდელზედ უფრო მეტად გაკეთებულა: ცხვარში ერთი შავი თოხლი ურჩევია, და დოვლათი სულ იმ თოხლზედ გადასულა.

აღგა მაშინვე სოვედაგარი და გასწია შვილთან. უნდა ის თოხლი როგორმე ან დააკლდინოს, ან დაატყუოს.

შვილს უფრო ძრიენ გაეხარა მამის ნახვა. დიდი წვეულება და პატრულობა გაუმართა. მამამ უთხრა: შვილო, შენი არაფერი არა მინდა-რა, იმ ცხვარში რა შავი ცხვარი ურჩევია, ის დამკალით და იმისი ჯიგარი საკუთრად შემწიწით და ცალკე მომიტანეთ, ძალიან მიყვარსო.

— მამე, რა შავი ცხვარი, რაც გენებოს, ბძანე და მოგართმეო. შავი ცხვარი არც კი ღირს დასაკლავადო.

ისინი წირვანზედ წაიღნენ, შინ ცოლს უბძანა, რომ იმ შავი ცხვრის ჯიგარი ცალკე მოხარე და არაიის არ შეაკაო, საკუთრად მაშაგმს უნდა მივირთვაო. ისინი სანამ წირვიდან დაბრუნდებიან, ქალი სახლში ფუსფუსებს, თან ამ ჯიგარსა სწეა. ერთი ძუძუთა ბიკი ჰყვანდა; რაკი ხორცი დაინახა, იუტყდა: დედაე, ჩიჩია! დედაე ჩიჩიაო! აღგა დედამაც და ერთი ნაქერი მიცა,—რას ვაიგებენ, და ე ბაღლი კი გაჩუმდებო. შექიმა ბიკმა ჯიგრის ნაქერი, და მთელი იღბალი სულ იმაზედ გადავიდა.

დაბრუნდნენ წირვიდან. დასბდნენ სადილად. ასეთია სოვედაგარი, სხვის პირს არ აკარებს არაფერს, სულ ამ ჯიგარსა სქამს. ასე ქნა, სულ მარტო-



კამ შექიმა. წაივიდა შინ გახარებული: ეგ არის, ახლა კი სულ ჩემზედ გადმოვიდა იმისი დოვლაათო. მოვიდა სახლში. გადის ხანი, მაგრამ სოვდაგარს სიკეთე არა შეეცყო რა, ისევ ის არის, რაც იყო. იმისი შვილი კი უფრო გამდიდრდა. გავიდა სამი წელიწადი. ჩაიხედა საარკეში სოვდაგარმა. ხედავს, რომ დოვლაათი იმის უმცროს შვილი-შვილზედ გადასულა და შვილი უფრო გამდიდრებულია. ადგა და წამოვიდა შვილთან, —ახლა შეილი უნდა სთხოვოს.

მოვიდა შვილთან. შვილმა უფრო კიდევ მეტად გაიხარა მამის მოსვლა. მამამ უთხრა შვილსა: შვილო, მე და დედაშენი დავბერდით, ერთი არაფერი გვეყავს, რომ ხმა გავეთო, მოგვეცი, შვილო, შენი პატარა შვილი, ჩვენც გავგართობს და თვითონაც ჩვენთან არა გაუქორღება რაო.

აბა რას დაუტერდა შვილსა, უთხრა, წაიყვანეო!

გამოთხოვებისას შვილმა დედას ძუძუ მოსთხოვა, უნდა პაპის გავუყვი, დედილო, და იქნება დიდხანს ველარა გნახო და ძუძუ მომიწოვეო. მოაწოვა დედამ ძუძუ და წოენის დროს ბავშვმა დედას ძუძუზედ აყოცა და უკბინა, მიუღი იღბალი დედაზედ გადავიდა.

წამოიყვანა სოვდაგარმა შვილი-შვილი, უხარიათ, ეგ არის, ჩემი შვილის სახლიდან იღბალი ჩემთან წამოვა, რაკი ეს ბავშვი იქ მყოფობაო. გადის ხანი, მაგრამ სოვდაგარის ქონებას მომატება არაფერში ეტყობა, შვილი-კი სამაგიეროდ უფრო და უფრო მდიდრდება.

გავიდა კიდევ სამი წელიწადი. იმ საარკის წესი იყო, რომ სამ წელიწადში ერთხელ უნდა ჩაეხედნა საარკეში, მაშინ დაინახავდა, უმისოდ ვერაფერსაც ვერას ნახავდა.

ჩაიხედა სოვდაგარმა საარკეში და ნახა, რომ იღბალი ამის რძალზედ გადასულა და ეს შვილი-შვილი-კი ტუულად წამოუყვანია. ძალიან ეწყინა, მაგრამ რაღას უშველიდა?

მაინც გულმა აღარ მოუსვენა და წაივიდა შვილთან. აბა შვილს ცოლს ხომ ვერა სთხოვდა და ისევ შორიდან დაიჭირა საქმე.

— ძალიან მოგბუცდით მე და დედაშენი, შვილო, ამ სიბერის დროს მაინც ერთად ვიცხოვროთ, რომ მოსვენებით გავატარო ჩემი უკანასკნელი დღეები, წამოდით ჩემთან, აქაურ ქონებას ვინ შეგეცილებათ და რაც მე მიქვს, ხომ ისიც შენია და შენი.

შვილმა კი პატივი სცა, კი დროება გაატარებინა, მაგრამ წასვლაზედ-კი უარი უთხრა, —მე იქ ვერ წამოვალ, თუ გინდათ, თქვენც აქ ჩემთან გადმოსახლდითო. ბევრი ეხვეწა მამა, მაგრამ შვილმა მტკიცე უარი უთხრა და გაისტუმრა. წამოვიდა შურით გაბორბტებული მამა, მაგრამ მოვიდა თუ არა სახლში, შურმა დააბრმავა და მალე თქვენი ქირი წაიღო.

ქირი იქა, ლბინი აქა,  
პატრო იქა, ფქვილი აქა.

## 92—მეცხვარე ბრმა დევისა და ფეიქრის შეგირდისა

(ქანაღ-მეპატესი)

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი; ჰყვანდათ ერთი ბიჭი. მაგრამ ისეთი ჯიუტი, კრპი და გაუგონარი იყო, რომ დედამას არაფერს არ უგონებდა, თავი შეაძულა თავისი სიზარმავით. აღგნენ და, რომ ველარა დააგვარეს რა, ერთ ფეიქარს მიაბარეს შეგირდად.

ერთხელ ფეიქარმა სახლში გაგზანა გორგლების მოსატანად. წამოიღო ამ ბიჭმაც გორგლები, საფეიქროში უნდა მიეტანა, მაგრამ დახე უბედურობას! გზაზედ ბიჭები წახა, რომ კოქაობდნენ. თვითონაც სულმა წახლდია, გორგლები იქვე დააწყო და თვითონ კოქს ჩაუჯდა. სანამ ის კოქაობდა, გორგლები ვილაცამ მოჰპარა და ცარიელი მიბძანდა ოსტატთან. ოსტატი აბა რა პირს დაუკონიდა, შერე ფეიქარი? სცემა და გაავლო.

წაიღა ბიჭი იქიდანაც. აბა დედ-მამასთანაც რაღას მივსვლებოდა? ძალიან მოშივდა. სავძალი არ ედო და ფული არ ებადა, რომ ეყიდნა და ექამა. გზაზედაც არავინ რა აქამა, ძალიან დაიღალა და მოშივდა. ერთ ადგილას წახა, რომ ერთ ბრმა დევს ერთი დიდი ფარა ცხერისა გამოუტრეკია და აძოვებს. ბიჭმა სთქვა: ერთი ავეციკატები, ეგები რამენაირად სახლში შევყვებ, რომ სიმშლით არ მოვედებ, თორემ აქ ახლო-მახლო არა ჩანს რა კაცის საზრდო. როცა დაღამდა, დევმა ცხვარი დაირეკა და წაასხა სახლში. დევს ხასიათად ჰქონდა, როცა ფარებში შერეკაედა ცხვარს, კარებში გაიღოჯებოდა, ცხვრებს ისე უშვებდა და თან ხელითა სთვლიდა, ხომ არაფერი დამაქლდაო. ბიჭი ერთ ერკემალს შეუძვრა ქვეშ და, როცა ერკემალი შევიდა, ისიც თან შეჰყვა. დევმა ზურგზედ გადაუსვა ხელი ერკემალს, რას იფიქრებდა, თუ იმის მუცელ ქვეშ ბიჭი იყო დამალული? დათვალა დევმა ცხვრები, დაკრტა კარები; ერთი ცხვარი გამოიყვანა, დაკლა, მოხრაკა, ნახევარი შეტემა და ნახევარი დილისთვის შეინახა; შერე დაწვა და დიძინა.

დევს რო დაქინა, ბიჭი მივიდა, შექამა ცხვრის ხორცი და ისევ დამალა. შერე დღეს დევს რო გამოეღვიძა, წახა ხორცი, უნდა ექამა და ცხვარი გაერეკა, მაგრამ იქ აღარაფერი დახედა.

დევს გული მოუვიდა, უნდოდა გაეგო, ვინ იყო იმისი ქურდი, და დაუძახა:—რა ხარ? რა სულიერი ხარ, ხორცი რომ შეგოქამია, მითხარ და არაფერს გერჩიო? ბიჭმა დაუძახა: მე—შეილი და შენ—მამაო! ამდენი და ამდენი ხანია მშვიფრი ვიყავ, შენს ცხვარს შემოვეყე, და ახლა შენ იცი, რასაც მიზამო.

—კარგიო, უთხარა დევმა, შენ—შეილი და მე—მამა, მაინც ღმერთმა სხვა ნუგეში არა მომცა რა, და შენ მაინც იყავ ჩემთანაო!

დარჩა იქ ბიჭი და დიიარბენი გული. დადიოდა ცხვარში და უფულოდა ერთფულად. ისე უფთხილდებოდა, რომ ერთი ციკნის ყურიც არ დაჰკლებია.

ერთხელ დევმა უთხრა ბიჭს: შავი მთა რაა, შეილო, იმ მთაზედ არ გარგვა ცხვარი, თორემ იქიდან კოცხალი ველარ დაბრუნდებო!

ეს რომ გაიგონა ბიჭმა, ძალიან მოუნდა იქით წასვლა. იმ ღამეს აღარკი სძინებია, გათენებას მოუთმენლად ელოდა. გათენდა თუ არა, გარგვა შავი მთისაკენ ცხვარი. შავ მთაზედ რომ ავიდა, ნაბა, რომ ერთი შავი მეცხვარე გამოვიდა, შავი ჩომბახი უკირავს, შავი ნაბადი ასხია, შავი ცხვარი ჰყავ და შავი ძაღლები. მეცხვარემ დაუძახა: ვინა ხარ? რა სურვილი ხარ, რომ ჩემ მთაზედ მოსულხარ და ცხვარს აძოვებო?

— ახლო მოდი, დაუძახა ბიჭმა, ჩხუბს და დავიდარაბას, ნარდი გეჭნება, მოიტანე, ვითამაშოთ და გავერთოთო!

— ძალიან კარგია! მოიტანეს ნარდი, ითამაშეს, და ბიჭმა ცხვარი სულ წააგო, მხოლოდ ათი სული და დარჩა. ბიჭმა სთქვა: მოდი კიდევ ვეთამაშები, იქნება ღმერთმა ახლა ჩემსკენ გადმოიხედოს და მოვიგო. თუ წააგებ და—დაკარავ ფებს და გავიქცევი, სად მიპოვნის ბრმა დევიო?

ითამაშეს, და ამ ბიჭმა სულ კი მოუგო მეცხვარეს ცხვარიც, ძაღლებიც, ნაბადიც და კომბალიც და სარიელი გაისტუმრა.

სიღამოზედ მორგეა ცხვარი და დევს დაუძახა: გამოდი, მამი, ჩადეკი კარებში და დათვალეო! გამოვიდა დევი, ჩადგა ფარების კარებში და დაუწყო თვლა. თავისი ცხვარი რომ სრულიად დათვალა, დევი უნდა წასულიყო, მაგრამ ბიჭმა შეაყენა, კდგა, მამი, დათვალეო! დევმა დათვალა და ერთი იმდენი კიდევ მომატებია, რაც დევსა ჰყვანდა.

— აბა, მამი, შენ რომ მითხარი, შავ მთაზედ არ წაასხა ცხვარიო, მე იქ წაასხი და ეს ცხვარი სულ ერთ შავ მეცხვარეს მოვუგე ნარდშიო.

— კარგი, შეილო, მაგრამ წითელ მთაზედ არ წაასხა, თორემ იქიდან კოცხალი ველარ დაბრუნდებო.

ბიჭმა არ დაიშალა და ახლა წითელ მთაზედ გარგვა ცხვარი.

გამოვიდა წითელი მეცხვარე, გამორგეა სულ წითელი ცხვარი და წითელი ძაღლები, თვითონაც წითელი ნაბადი ასხია და წითელი კომბალი უკირავს.

— ვინა ხარ, რომ ამ ზემ მთაზედ ცხვარს აძოვებო? დაუყვირა ბიჭსა.

— წამოდი, ერთი ნარდი ვითამაშოთ, რა დროს ვგენიო? დაუძახა ბიჭმა. წამოვიდა წითელი მეცხვარე და ითამაშეს. როგორც შავ მეცხვარეს, ამასაც სულ მოუგო ცხვარი.

რადი ბევრი გავაგრძელოთ, მერე თვით მთაზედ წაასხა და იმასაც ისევე მოუგო, როგორც შავსა და წითელსა. იმოდენა ცხვარი შეაგროვეს, აღარ იცან, სად დაპტონ? უხარიან დევს, რომ ამისთანა შეილობილი იპოვა.

ბიქს უთხრა: შეილო, ემა და ემ ქალაში არ წახვლდე, თორემ მეც იქ დავბრმავდი და დაიღუბები. ვინა მუდამა სწყალობს ბედი კაცისა!

ვაემა არ დაიშალა და სწორეთ იმ ქალაში ჩარეკა ცხვარი. ასეთი ქალაია, თვალს ვერ მოაშორებს კაცი, სესეა ტყითა და ბაღებითა.

გაძლია ცხვარი და დაეყარა. დაკლა ბიკმაც ერთი ბატკანი, შეწვა, და-  
ჯდა და სქამს. ამ დროს მოვიდა ერთი ბებერი, დაუჯდა გვერდზედ და  
სთხოვს: მიქამე, შეილო, ხორციო! ბიკმაც აქამა. ბატკანი რო გაათავეს,  
ბებერმა უთხრა: ადექ და ერთი ცხვარი კადევ დაკალიო!

— ემ წუთაშიო, უთხრა ბიკმა, ადგა და უკანიდან მოუარა ბებერსა.  
ბებერი ერთ ღიდ ხესთანა ზის. ისეთი თმები აქეს, რომ მიწაზედ ათრევს.  
მოუარა ბიკმა უკანიდან, სტაცა თმებში ხელი, ხეზედ შემოახვია და დააბა  
მაგრა.

— მითხარ, როგორ დააბრმავე მამა ჩემი, ან რა უშველის, წამალი  
მომეც, თორემ ვხლავე აგუწაწაო! უთხრა ვაჟმა.

ბებერმა უთხრა: ოღონდ ნუ მომკლავ და—წადი ჩემ სახლში, იქ ჩემი  
ქალია, ასე უთხარ: დედაშენმა შემოთვალა, უკვდავების ხელსახოცი რომ  
გაქვს, ის გამომიგზავნეო! მოგცემს და გეტყვის: დაჯექ, კოტა ხანს ჩემთან  
გული გაართეო, მაგრამ არამც და არამც არ დაჯდე, მაშინვე წამოდიო.  
როცა მიიტანო სახლში, მამაშენს ერთი ოქროს წყარო აქვს, იმ წყაროში  
დაასველე, მოუსვი თვალებზე და მაშინვე აეხილებოაო. შენც თავი იმ წყა-  
როში დაიბანეო.

წავიდა ვაჟი გადოქარი დედაკაცის ქალითან. ქალი გამოეგება, შეიყვან-  
ნა სახლში: ასეთია ეს ქალი, კაცს თვალს მოსტაცებს. ვაჟმა უთხრა: დედა-  
შენმა შემოგითვალა, უკვდავების ხელსახოცი რომ მაქვს, ის გამომიგზავნეო.  
მისცა ქალმა ხელსახოცი და თან სთხოვა: მოდი, დაჯექ ჩემთან პატარა ხან,  
რა გეჭკარება?—გაუტან და მოვალო. ვაჟმა შემოკრა ხმალი და შუაზედ  
გაკაფა. წამოიღო ხელსახოცი, ის ბებერიც სულ ლუქმა-ლუქმა აეუწა, წი-  
მოასხა ცხვარი და წამოვიდა გახარებული.

სახლში რომ მოვიდა, მამას დაუძახა, მამი, ერთი ი ოქროს წყარო სა-  
და გაქვსო?—ამა და ამ ეზოში არის, შეილოვო! შევიდა ვაჟი, დაასველა წყა-  
როში ხელსახოცი, თვითონაც თავი დაიბანა და სულ ოქროს თმა დაესხა  
თავზედ. წამოიღო ხელსახოცი, მოუსო მამას თვალზედ და აუხილა. ისეთია  
ღვეი, ისე გახარებულია, ჰკოცნის ამ ბიკს: შენ გენაცვალე, შეილო რომ ჩემ  
მხსნელ ანგელოზად მომიფრინდი ზეციდანა; აბა, შეილო, ვისთვის რა მიწ-  
და, ჩემი სარჩო-საბადებელი სულ შენი იყოს, იყავ ჩემთან, ნულარ მომშორ-  
დებო.

გავიდა ხანი. ცხოვრობენ ტკბილად და ბედნიერად. მაგრამ ვაჟს მო-  
ბერდა იქ ყოფნა და თავის დედამამისა და ქვეყნის ნახვა მოუნდა. დევს  
უთხრა: მართალია, მამი, მიყვარხარ, მაგრამ მე სხვა დედმამაც მყავს და  
იმათეთინ ძალიან დავწუხდი, მინდა წავიდე ვნახო ისინიც და ჩემი ქვეყნა-  
ცაო.

მართალია დევს ძალიან ემძიმებოდა შეილობილის წასვლა, მაგრამ რო-  
გორ დაუშლიდა.—კარგი, შეილო, წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოს,  
მხოლოდ ამა და ამ თველაში შედი, სამი რაში ახია, შედი, აუშვი, ერთზედ  
შეგექ და ორიც თან წაიყვანე. როცა აღარ გინდოდეს, ძუა გამოადრე, გაუშვი  
და, როცა დაგჭირდეს, ამოიღე ძუა, ახსენე და ისევ შენთან მოვლენო.

წავიდა ბიჭი, გამოეთხოვა მამობილს. შევიდა, ნახა, სამი ისეთი რაშია, ერთი შვორეს სჯობია, სამივე შეკმზული და გამართულია; ერთი შავია, ერთი წითელი და ერთი თეთრი. შავს შავი ერთი ხელის ტანისამოსი და იარაღი აქვს უკან დაკრული, წითელს—წითელი და თეთრს—თეთარი. გამოარქვა, ერთხელ შეჯდა, ორი თან წაიყვანა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მოვიდა იმ ქალაქში, სადაც ხემწიფე იყო; ჩამოხტა, რაშები გაუშო, მხოლოდ ძუა გამოაძრო, თვითონაც თავზედ ერთი ცხვრის მაქიკი ჩამოიკცა, რომ ოქროს თმა არ გამოსჩენოდა, და მივიდა ხემწიფის სასახლესთან.

— მოსამსახურე არა ნებაგს ხემწიფესა, დამიყენონო.

— არაო, უხასუხეს. ბოლოს მაინც რაკი აღარ მოეშვა, მებატედ დაიქირეს. დღით გაირგავს ბატებს და საღამოთი მორეკავს. რადგან თავზედ გამშმარი მაქიკი ჰქონდა ჩამოკმული, იმათ ქაჩალი ეგონათ და ქაჩალ-მებატედ დაარქვეს.

ამ ხემწიფეს სამი გასათხოვარი ქალი ჰყავს, მაგრამ უმცროსი ისეთია, როგორც მზეთ უნახავი. ერთხელ უმცროსმა ქალმა თვალი შეასწრო ბიჭს, რომ მაქიკიდან ოქროს თმა ჩამოშლია, ისე ანათებს, როგორც მზე. გულში იმისი სურვილი ჩაუფარდა და გადასწყვიტა იმას მისთხოვებოდა. ერთხელ თავის დებს უთხრა: გათხოვება რომ მოგვინდეს, როგორ უნდა უთხრათ მამასაო?

დებმა არაფერი უხასუხეს, წავიდნენ და მამას მოახსენეს, რომ გათხოვება მოგვინდა და უნდა გაგვათხოვიყო.

მამამ დაიბარა თავისი ჯარი-ჯამათი და დაამწკრივა ყველანი. თავის ქალებს უთხრა, მიდით და ვინც მოგწონოსთ, ის აირჩიეთ ქმრათაო. მივიდნენ ქალები. უფროსმა ვეზირი ირჩია, მივიდა და კალთაში ჩაუჯდა, შუათანამ ნახირი, და უმცროს ქალს-კი არაფერ მოუვიდა თვალში, იმას ქაჩალ-მებატედ უნდა, და ის-კი აქ არ არის.

მერე მამამ უთხრა: აირჩიე, შევილა, შენც საქმრო, თუ არაო?

— არა, მამე, მე ვინც მომწონს, ის აქ არ არისო.

იკითხა ხემწიფემ, ვინღა გვაკლიაო, და უთხრეს, რომ თქვენი ქაჩალ-მებატედ-ღა გვაკლია, ბატებში იყო და არ წამოვიყვანეთო.

წადით და მოიყვანეთ ისიცაო, უბანა ხემწიფემ. წავიდნენ და მოიყვანეს. მივიდა ხემწიფის ქალი და ჩაუჯდა კალთაში. ისეთია ხემწიფე, ღამის სიბრახით თავისი დაემართოს. უფროსი სიძეები ხომ დასკინიან, იღლებენ მასხარად, ქაჩალ მებატედს მისთხოვდაო. გამოავლო მამამაც, ჩავიდნენ და დადგნენ ერთ საცოდავ საბატეში.

ერთხელ ხემწიფის ცოლი ავად გახდა. დაიბარა სიძეები და უთხრა, რომ, ამა და ამ ალავას რომ წყაროა, თუ იმის წყალს მოპიტანთ და დამალენინებთ, მოვრჩები, თუ არა და—მოვეცდებიო. შესბდნენ უფროსი სიძეები და წავიდნენ წყლის მოსატანად. ქაჩალ-მებატემაცა სთხოვა, ერთი ცხენი მომეცით, იქნება მე მოვიტანოვო, მაგრამ ქაჩლის კერით გამოავდეს,—გასწი, დაიქარგე აქედანაო!

სიძეები რო წავიდნენ, წამოვიდა ქაჩალ-მებატე, გამოხსნა ძუა, ახსენა თავისი შვიი რაში, — იმ წაშ იქ დაიბადა, ჩაიკვა შვიი ტანისამოსი, შვიი აბჯარი აისხა, წავიდა, მოიტანა და დაჯდა უფროსი სიძეების გასაფალ გზაში.

როცა იმათ გამოიარეს, ბიჭმა უთხრა: რაც თქვენ წყალი გინდათ, აი მე მაქვს, შორს რომ არ იართ, ვინ იცის, მოხვალთ-კი იქიდან კიდევ, თუ ვერა, მე მოგცემთ, შოლოდ თქვენ ყურის ბიბილოები მოიტყრით და მომეცითო.

რალას იზამდნენ, მოიტყრეს ყურის ბიბილოები, მისცა წყალი, და წამოიღეს. ვაჟმა-კი ის ყურის ბიბილოები შეინახა, გაიხადა ტანისამოსი, და აკრა ისევე შავ რაშს და გაუშო. თვითონ ისევე ძველი ტანისამოსი ჩაიკვა, თავზედ ისევე მაქიკი ჩამოიკვა და გასწია სახლში.

მოუტანეს წყალი სიძეებმა, მაგრამ ხეშწიფის ცოლი შინც კიდევ არ შორჩა. დაიბარა უფროსი სიძეები და უთხრა: სანამ უკვდავების ყურძენს არ მომიტანთ, არ მოვრჩებო. იმ ვენახს, სადაც ეს ყურძენი ასხია, — ლობღდ გველევშაბი ავლია, სარად გველი უდგია და ხელიკი საყვლაათა აქვსო.

წამოვიდნენ უფროსი სიძეები. აბა უმცროს სიძეს რა კაცად ჩასთელიან?! წამოვიდა ბიჭი მინდორში, გამოხსნა თეთრი რაშის ძუა, ახსენა, და იმ წაშში იქ დაიბადა. ჩაიკვა თეთრი ტანისამოსი, თეთრი აბჯარი აისხა, მოაბტა რაშს, გააფრინა, გადაბტა გველის ვენახში, მოკრიფა ყურძენი და წამოიღო. სწორეთ იმ გზაზედ დაჯდა, სადაც იმის ქვისლებს უნდა გამოეცლო. გამოიარეს იმათაც დაღონებულებმა.

— გამარჯვება! — გაგიმარჯოთ!

— სად მიდიხართ? ვინა ხართ?

— ჩვენ ამა და ამ ხეშწიფის სიძეები ვართ, სიდედრი ავიდ გაგვიხდა, ახლა მივდივართ, უკვდავების ყურძენი უნდა მოეუტანათ, მაგრამ იმ ვენახს გველევშაბი თურმე ლობღდ არტყია, გველები სარად ურტყია და ხელიკები საყვლაათა. არ ვიცით, მივდივართ-კი, მაგრამ დაებრუნდებით თუ არა, ეგ ღმერთმა იცისო?

— იქიდან მე მოვიტანე ყურძენი, მოგცემთ, თუ ჩემს ცხენს დუმებზედ თითო წიხლს მიარტყმეინებთო.

— ოღონდ მოგვეცი და რაც გინდა ქენიო, უთხრეს მეფის სიძეებმა. ჩაახდენია ნიჭებები; დაუარა რაშმა და ყველას თითო წიხლი უთავაზა, ისე რომ რაშის ნალი ზედ ბეკედივით დააჩნდათ. მისცა ყურძენი და წავიდნენ. მიუტანეს სიდედრს, აქამეს და შორჩა.

გავიდა ხანი. ერთხელ ერთმა ხეშწიფემ შემოუთვალა იმათ სიმიმრს, უნდა გეომა და მოემზადეო.

ამანიც შეუთვალა: მე მზათა ვარ, შენ მოემზადეო.

მოემზადნენ უფროსი სიძეებიც წასისეულიად. — ე ქაჩალ-მებატეც გააგდეთ, ეგები მოკლას ვინმემაო. გააგდეს.

გავიდა მინდორში, მოიშველია თავიდან ცხერის მაქიკი, გამოხსნა წითელი რაშის ძუა, იმ საათში იქ დაიბადა. ჩაიკვა წითელი ტანისამოსი, წი-

თელი იარაღი აიხსა, შეჯდა წითელ რაშხედ და გასწია, სადაც ომი იყო. სწორედ იმ დროს მივიდა, როცა იმისი სიმაპრი ხემწიფე უკვე დაემარტხე-ბინათ და გაქცევის აპირებდა. შეუტია ვაჟმა, ხოცა და ხოცა. რაც იმან დახოცა, რაც არა, ორი იმოდენა იმისმა რაშხა. თავხარი დაგვა მტრის ჯარსა; აირიღენ და სულ თხებივით გაიფანტნენ. ქაჩალ-მებატე ხელში და-ჭრილიყო, ხემწიფემ თავის ხელსახოცით შეუხვია და დიდი შიღლით გა-ღუბადა.

დაბრუნდა ხემწიფე გამარჯვებული თავის სახემწიფოში. ბიჭუ წავი-და, გაიხადა ის ტანისამოსი, დააკრა ისეც რაშხა და გაუშო. თვითონ ისეც მაქიკი გაიკეთა და მივიდა კოლთანა. უამბო, ასე და ასე იყო ჩემი საქმეო. დაიპატივა ხემწიფემ თავისი ქვეშევრდომნი, გაუშალა სუფრა და თვითონ შელვინედ დაადგა. უნდა ნახოს, ვინ გამოუწოდებს ხელსა, რომ იცნოს თა-ვისი ბაღდადი და იმითი გაიგოს, ვინ იყო ამისი გამარჯვების მიზეზი.

ჩამოურა ყველას, მაგრამ იმისი ბაღდადი არაის აღმოაჩნდა.

— აკლია კიდევ ვინმე, თუ არა? იკითხა ხემწიფემ.

— ქაჩალ-მებატე და აკლიაო! მოახსენეს.

— მოიყვანეთ და დააგდეთ სადმეო.

მოიყვანეს და ყველაზედ ბოლოზედ დასვეს. ქაჩალ-მებატეს ეცინება გუნებაში.

დაუსხა და მიაწოდა თასი ხემწიფემ. გამოუწოდა ხელი ქაჩალ-მებატემ; ხემწიფემ იცნო თავისი ბაღდადი.

— შენ ვინ მოგცა ჩემი ბაღდადიო? ჰკითხა ხემწიფემ.

— შენ თვითონ შემხვიე ამით ხელი, ომი რო გათავდაო! უთხრა ვაჟმა.

ხემწიფეს არა სჯეროდა. მაშინ მოიშეღობა თავიდან მაქიკი, და ოქროს თმამ კი გამოანათა. ისეთი ხემწიფე, თვალებს არ უჯერებს.

— რად გიკვირს, დიდებულო ხემწიფე, შენი უფროსი სიძეები რო დამკინოდნენ, ჩემი ყმები არიან. აბა ყურის ბიბილოები უნახეთ, რა უყვე-სო. თქვენ რომ უკვდავების წყლისთვის გამოგზავნეთ, მაგათ მე მივეც და სამაგიეროდ ყურის ბიბილოები დავაქერო. აბა ნახეთ, თუ არა გჯერათო. ნახეს, მართლა ყურის ბიბილოები დაჭრილი იქვთ.

— აბა ახლა ნიფხვები ჩახადეთ, ნახეთ დუმებზედ ჩემი ცხენის ნაღები იტყვია, თუ არაო.

ნახეს, მართლა ასეა.

ამის შემდეგ ხემწიფემ ძალიან შეიყვარა თავისი უმცროსი სიძე და დი-დი ჭორწილიც გაღუბადა. როცა ხემწიფე მოკვდა, ხემწიფობა იმას ღარჩა და ქვისლებიკ იმისი ყმები გახდნენ. დედ-მამაც მოიყვანა და იცხოვრეს ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი იქა,

ჭატო იქა, ფქვილი იქა.

(კოლა გაგინიძეს ნაამბობი.)

## 93—სამი ძმისა, ბაზი ცოლები რა ჭყვანდაი

იყო და არა იყო—რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ სამნი ძმანი; სამივენი მონადირეები იყვნენ; მუდამ დღე სანადიროდ დაიარებოდნენ და იმითი ირჩენდნენ თავსა. როცა დრო მოუვიდათ, ცოლები შეირთეს და ცხოვრობდნენ უღარდელად.

ძმები რო სანადიროდ დადიან, უფროსმა რძლებმა დევები გაიჩინეს საყვარლებად. წაელენ თუ არა ქმრები სანადიროდ, მოუვლენ საყვარლები, ერთი ამბავი და დროების ტარება აქეთ. უმცროსი რძალი კი კუთხეში ზის მოწყენით და ტირის ხოლმე. ქმრების მოსვლის დრო რომ მოვა, საყვარლები წაელენ, ცოლები მიეგებებიან წინ ქმრებს, ჰკოცნიან, ეხვევიან, ეაღვრებიან. უმცროსი რძალი კი ზის გაბუნჩული, არც ეაღვრება ქმარსა და არც ხმისა სცემს რივიანად.

უგდო, უგდო ური ქმარმა ცოლსა და ბოლოს უთხრა: შე უმადურო, ჩემს რძლებს ისე უყვართ თავიანთი ქმრები, ღამის თავს შემოევიდნენ, შენგან კი ერთი სააღვრსო სიტყვაჲ არ გამოგონია, ზიხარ და ბუასავით გამოიქტირები. რა არის, შენც ერთხელ გამოხიარულდე და შუბლი გაიხსნაო.

ცოლმა უთხრა,—ხედა რომ სანადიროდ წახვალთ, ნახევირ გზას რომ გაივლით, მოიმიზეზე რამე, ჩამოშორდი ძმებს, სახლში მოდი და მაშინ შეიტყობ ჩემი მოწყენილობის მიზეზსაო.

მეორე დღეს სანადიროდ რომ წავიდნენ და ნახევირ გზა გაიარეს, უმცროსი ძმა ჩამოშორდა უფროს ძმებს, შობრუნდა და მოვიდა სახლში. შევიდა, ჰხედავს, რომ უფროს რძლებს მოსხდომიან საყვარელი დევები, ერთ ზვეენა-კოცნაში არიან. იმისი ცოლიც იქვე ზის და ტირის. შენი შტერი იყოს, რომ უმცროსი ძმა გახდა. თოფნაერავივით მაშინვე კარში გავიარდა და გაიქცა.

შეუდგათ რძლებს ერთი ვაი-ვაგლაბი და თავში ცემა: რაკი ჩვენმა მამა გვენაბა, ახლა ის ხეირს აღარ დავაყრის, თუ არ აუტყვით რამეო. წადითო, უთხრეს დევებს, და ან მოკალით, ან რამე უყავით და თავიდან მოიშორეთ, თორემ არც თქვენ გაკოცლებსთ და არც ჩვენაო!

წამოვიდნენ დევები. იმ ქვეყანაში ერთი ჯადოქარი ბებერი ცხოვრობდა, იმასთან მოვიდნენ.

— ბებერო, უთხრეს დევებმა, ამა და ამ მონადირე ძმების უმცროს ძმას თუ არა მოუხერხებ რა და თავიდან არ მოგვაშორებ, ან შენ უნდა იყო და ან ჩვენა, ამ რიგად არის ჩვენი საქმეო!

ბებერს ერთი ქვეყარი ჰქონდა, შეგდებოდა ზედ და სადაც ეტყოდა, აქ და აქ მიიყვანეო, ქვეყარი მაშინვე იქ დაბადავდა.

ეხლაჲ შეგდა ბებერი ქვეყარზედ და უბრაანა: აბა ქვეყრო, ხეშიფესთან დაშვიო! ეს ხეშიფე შეიდი თვე ავად იყო და ვერაინ ვერ უშველა, თუმცა ათისი გქიმი და დობტური მოდაღეს და ყველა წამალი აწამლეს.



ბებერი მივიდა ხემწიფის სასახლესთან და უთხრა, მე მიმიყვანეთ ხემწიფესთან, მე ვიცი იმხთანა წამალი, რომელიც იმას მოარჩენს. მაახსენებს ხემწიფეს.

— შემოიყვანეთო! ბძანა.

შევიყვანეს ბებერი, ბებერმა მდამლად თავი დაუკრა.

— აბა, ბებერო, რა იცი ისეთი წამალი, რომ შეიდი თვის ავადმყოფი მომარჩინოსო? ჰკითხა ხემწიფემ.

— დიდებულო ხემწიფე, ჩვენ სოფელში ესა და ეს კაცია, ის რომ დაკლა, იმისი სისხლი უგჭველად მოგარჩენსო.

ბებერს ერთი პარკი ოკრო ასუქეს და გაისტუმრეს. უმცროსი მონადირე კი ხემწიფემ მოაყვანინა და ერთ თველაში დააშწვედია. სამი დღე და ღამე იქა ჰყავთ და შერე უნდა დაკლან. რა იცის მონადირემ, რა უბედურებაა იმის თავსა?

მესამე ღამეს, როცა უნდა დაეძინა ამ ვაჟს, უცებ ვილაკამ დაუძახა:—უბედურო მონადირე, რატომ არ გაიგონებ, რასაც გელაპარაკებო? წამოხტა ბიჭი, აქვთ იხედება, იქით იხედება, არაფერ არის, მარტო რაშები აბია. მეორედ კიდევ დაუძახა ისე უცნობმა. ბიჭს კიდევ შეეშინდა. აღვა, ანთო სანათი და დაუწყო ჭებნა, ვინ უნდა იყოს, ერთი ვიპოვნოვო. სულ გადმოკვებენა უუნკულ-კუთხე, მაგრამ ვერსად რა ნახა. მერე ცხენებთან მივიდა, იქნება აქ იყოს ვინმე დამალულიო.

ცხენებთან ერთი ქუციანი კვიცი აბია და ის გამოელაპარაკა: ნუ გეშინიან, მე ვიყავ, რომ გეძახდითო.

— რას მეძახდითო? ჰკითხა ბიჭმა.

— ხეალ დაკვლას გიპირობენ, და იმას გეძახდი. ხემწიფეს უთხარ, რომ შეხეიდე: აბა მე რომ დამკლათ, ჩემი სისხლი რას მოგარჩენთ, მაგრამ ისეთი წამალი კი ვიცი, რომ მოგარჩენო. შეიდი საჩაყე ქვაბი წყალი შედგით, ისე ადუღეთ, რომ ერთი ქვაბი ღა დადგეს. მერე ხემწიფეს მოსთხოვე, შენ რომ კრელი საპონი გაქვს, ერთი გირეანქა ის საპონი მომიტანიე-თქო. მერე ის ნადული წყალი გააციე, შიგ ჩასვი და აბანავე ხემწიფე, თან ის კრელი საპონი წაუსვი. ხოლოდ როცა ქვაბიდან ამოვიდეს, მოერიდე, რომ არა ვაწყინოს რაო.

მეორე დღეს გამოიყვანეს ეს ბიჭი და მიიყვანეს ხემწიფესთან. ხემწიფემ ახელ-დახელა ამ ჯანით და ღონით სავსე ვაგაკას, შეეკოდა და უთხრა: შეილო, შენ ჩემზედ ჯანსალი და ახალგაზდა ხარ, მე ავადმყოფი მოვარჩე და შენ ჯანსალი მოკვდე, აბა რა მადლიაო?

ვაგმა მოახსენა: დიდებულო ხემწიფე, ჩემი სისხლი-კი აბა რას გიშველის, ტუქილ-უბრალოდა ვარ დაბეჭლებული, ჩემი მოკვლა უნდათ ჩემს მტრებს, მაგრამ მე კი ვიცი ისეთი წამალი, რომ მოგარჩენო.

— ოღონდ მომარჩინეო, უბძანა ხემწიფემ, და თუ გინდა, ნახვიარ სახემწიფოს შენ მოვცემო.

მონადირემ მოახსენა: უბძანეთ შეიდი საჩაყე ქვაბი წყალი შედგინ და ადუღონ, სანამ ერთ ქვაბზედ დადგებოდეს.

როგორც ვაჟმა უთხრა, ისე მოიქცენენ: შედგეს, აღუდეს და, როცა ერთზედ დადგა, გადმოდგეს და გააციეს. როცა გაციედა, ვაჟმა უთხრა ხემწიფეს, ჩაბძანდი და იბანავეო. თან ერთი გირვანქა ქრელი საპონი რომ გაქვს, ის მოატანინე, რომ წაფისვაო. ჩავიდა ხემწიფე, იბანავე, მონადირემ ის ქრელი საპონი წაუსვა. როცა შორჩა და წყალი გადაივლო, ამოხტა ხემწიფე ჩიტივით. ერთი დიდი სასროლი ქვა ეგდო ვეზოში, როცა კარგათ იყო, იმას ისროდა ხოლმე.—წამოაველო ეხლა ხელი და ისე გასტყორცნა, რომ სახლისა ერთი კუთხე გაინგრინა. როცა ქვის სროლით მოიღალა ხემწიფე, მობარუნდა, გადაეხვია მონადირეს და დაუწყო კოცნა. კოცნაში ისე მოუჭირა ხელი, რომ მკლავი ატყინა და ბიჭი დაიღრიჯა.—ხომ არაფერი გატყინეო? ჰკითხა ხემწიფემ.—არა, ისე დავიღრიჯეო.

—რა მოგცე, რომ მომარჩინეო? ჰკითხა ხემწიფემ.

—თქვენ რომ თავლაში ერთი ქვეციანი კვიცი გაყავთ, ის მომეცით თავის შეკმაზულობით და ერთი გირვანქა ქრელი საპონიო. ხემწიფეს გაუკვირდა, ისე ცოტას რათა მთხოვეს ეს კაციო.

გამოიყვანა კვიცი, დაადგა უნაგირი, მაგრამ ისეთია, ფეხებს ხლართავს, ძლივს ერევა უნაგირსა.

კვიცმა უთხრა: ამა და ამ ალაგას რომ წყაროა, იმ წყაროში მბანავე და ქრელი საპონი წამისვი. ეცადე მალე ჩამიღვა ლაგამი და მალე შემჯღდე, თორემ შერე თავს ველარ დამიკერო.

წაიყვანა ვაჟმა კვიცი, აბანა იმ წყაროში და ქრელი საპონიც წაუსვა. ორი მოსართავის მოკერა კი მოასწრო და მესამისა ველარ, რომ მოფრინდა ეს კვიცი და გაიტაცა ვაჟიც. მოვიდნენ შინ.

ჩაძლებს ისევ აღიკოთათი შეუდგათ. საყვარლებს უთხრეს: თუ არ მოიშორეთ თავიდან, არ იქნებაო.

წავიდნენ დევები ისევ იმ ჯადოქარ ბებერთან.

—ის ვაჟი ისევ დაბრუნდა, და უნდა გვიშველო რამე, თავიდან მოგვიშოროვო.

შეჯდა ბებერი ქვევარზედ და გასწია ხემწიფესთან. იახლა ხემწიფეს ბებერი.

—ე ხომ ჯანი გაგისაღდა, დიდებულო ხემწიფე, და ეხლა რომ ქაჯთა ხემწიფის ქალი შეირთო. შენზედ ბედნიერი აღარაყინ იქნებაო.

—ძალიან კარგი იქნება, მაგრამ აბა იმას შე ვინ მომიყვანსო, უბძანა ხემწიფემ.

—ვინც მოგარჩინა, ქალსაც ის მოგიყვანსო.

დაიბარა ხემწიფემ მონადირე —უნდა ქაჯთა ნეფის ქალი მომიყვანოვო. წავიდა ბიჭი თავის რაშთან.—ხემწიფე ქაჯების ხემწიფის ქალის მოსაყვანად მგზავნის და რა ექნაო?

—რა უნდა ჰქნა, წადი, საგზაო ფული სთხოვე, შემჯექ და წავიდეთო.

წავიდა ბიჭი, გამოართვა ხემწიფეს საგზაო ფული, შეჯდა და წავიდა. რაშმა უთხრა: რო მიუვახლოვდეთ ქაჯების ქვეყანას, უნდა ხარები და ცხერები იყიდო. მხოლოდ რაცა გთხოვონ, შენ ერთიორად მეტი ფასი მიეციო, რომ გზა დაგვიღოცნათ. იქ რო მივალთ, კარებზედ დაარჯად ლომები და

ვეფხვები და მგლები უყენია. ხარები ლომებსა და ვეფხვებს მიეცო და ცხერები მგლებსა. გაგიშვებენ, ხმას არ გაგკემენ, შენც შილი, ქალს ეძინებ, არ გააღვიძო, ერთი დაღალი მოსკერ და წამოდო.

იბანა წყაროში ვაჟმა, სადაც წინათ რაში იბანა, წიხვია კრელი საბონი, ასეთი გახდა, რომ ქვას რძეს გააღენს. შექმაზა, შეჯღა და წაიდა. ბერჩი იარა, თუ ცოტა, მოვიდა ერთ სახლიან. თურმე ის სახლი დევისაა, მოუტაცნია ერთი ქალი და იქა ჰყავს დამწყვედული. შევადა ბიჭი ქალთან. ვაფხარდა ქალს, გადაეხვია, ჰკოცნის, ჰკოცნის, თითქო დიდი ხნის ნაცნობი იყოს.—შენ გენაცვალე, რომ ჰრისტიანი კაცი კიდე ენახეო! რა ვქნა, რა გიყო, მოვა დევი და გაგაფუქებს. ნეტა არ მოსულეიყავიო!

— შენ ფიჭვი ნუ გაქვსო, უთხრა ვაჟმა. მობძანდეს და ვნახავთ, რას წაიღებს ჩემგანაო. შოდის დევი და მობუტბუტებს: ვინა ხარ? რა სულიერი ხარ, რომ მოსულხარ ჩემ სახლში? ჩემი შიშით შაღლა ფრინველს ვერ გადუფრენია და ძირს კიანჭველას, და შენ ვინა ხარ, რომ შანდ არხინად შანდებიო?—აბა ჩაიხედე შენი ბედისწერის დავთარში, ვისგან გიწერია სიკვდილი, იქ გაიგებო, დაუძაბა ბიჭმა. ნახა დევი: შართლია და ამ შონადირე ბიჭისგან-ყო უწერია სიკვდილი. მოვიდა დევი და დაიტაცენ. დაიქნია დევი ბიჭი და დასვა კოკამდენა. დაიქნია ბიჭმა და დასვა დევი მუხლამდე. დაიქნია დევი ბიჭი და დასვა მუხლამდენა. დაიქნია ბიჭმა დევი და დასვა წელამდენა. შეეხვეწა დევი, ნუ მომკლავო! ბიჭმა მოსკრა თავი და დააგლო. ისეთი უთხარიან ამ ქალს, სულ ხელგებზედ ჰკოცნის ამ ბიჭსა.

ბიჭმა უთხრა ქალსა: ქაჯთა ხემწიფის ქალის მოსაყვანად მივდივარ, იქ მომიცადე, სანამ გამოვივილოდ და როცა გამოვივლი, მაშინ წაგიყვანო. ქალმა უთხრა: აქედან რო წახვალ, გზაზედ შენგან მოკლული დევის ორი ძმის სახლები შეგვხვდება, იმათაც ჩემსავით მოტაცებული ქალები ჰყავს ცოლად და გაფთხილდი, არ გაგაფუქონო.

— შენ არხინად იყავ, იმათაც თავის ძმას მიეყოლებო! უთხრა ბიჭმა. აბა რაღა ვავაჭიანურო, ის ორი დევიც მოკლა და გაანთავისუფლა ის ქალები. მერე იყიდა ხარები და ცხერები; რაც დაუფასეს, ერთი-ორად შისცა ფული. წამოიყვანა და წამოვიდა.

რო მოვიდა ქალების ხემწიფის კარებთან, ლომები დახედნენ. გასხიზა შუაზედ ხარები და დაუყარა ლომებს. ლომებმა ხმა აღარ გასცეს და მშვილობიანად გაიარა. მერე ვეფხვები დახედნენ, იმათაც ისე აჯიმა და გაუშვეს. ცხერები მგლებს მიუყარა. მივიდა, ქალსა სძინავს, მოსკრა დაღალი და წამოილო. გამოიარა, წამოიყვანა ქალები და გამოსწია მშვილობიანად. გამოვიდა ქალს, ასეთი გაბრაზდა, სულ თმა ივლიჯა სიბრაზითა.

— რათ შემოუშვით ის კაციო?! შეთათხა ლომები, ვეფხვები და მგლები. ვანა იშიტომ მიყენიხართ იქ დარაჯად, რომ კაცუნი შემოუშვიან?

— შე დალოცვილო, შენ ძელებიც გენანება ჩვენთვის, და იმან შთელი ხარები და ცხერები დაგვიგლო და გაგაქლოვო. აბა რა გიყები ვიყავით, იმისთვის ხმა გაგვეცაო!



გამოვიდა ეს ქალი ვაჟსა. სადაც გამოიარა, იმისმა გაჯავრებულმა სულ  
ნაქარ-ტუტა ააღინა იქაურობას.

სანამ ქალი დაეწვია, ეს ბიჭი სამივე ქალით ერთ მეწისქვილესთან შო-  
ვა და დაისვენებს. მეწისქვილე ძალიან გულგაშლით დაუბედა. მეწისქვილეს  
ერთი თბა ჰყვანდა; დაუძახა თხასა: აბა, ჩემო თბაო ბეკეკაო, კარგი სუფრა  
გაგვიშალეო! გაიარ-გამოიარა თბამ და ისეთი სუფრა გაიშალა, რომ ზემწი-  
ფეს ეკადრება. შოეწონა ამ ბიქს ეს თბა. მეწისქვილეს ქალები მოეწონა.  
ვაჟს უთხრა, შოდი, დაგეშალები და მიპოვნე. თუ ვერ მიპოვნო, ქალები მე  
დამარჩეს და თუ მიპოვნე, თბა შენ წაიყვანეო.

— ძალიან კარგიო!

წავიდა მეწისქვილე და აძვრა ერთ ბუხარში.

რამა უთხრა ბიქსა: მე და ეს თბა ერთად დაგვაყენე. შენ წადი, და  
ის მეწისქვილე ბუხარში შედერება. შენ დაუძახე, ბუხარში ზიხარ, გიპოე-  
ნეო! მაგრამ ის ხმას არ გაგცემს. შენ კიდე დაუძახე. კიდე ხმას არ გაგცემს.  
მერე მოუარე ზემოდან, ერთი დიდი ქვა ჩააგდე, თაეში დაეცემა და დაგი-  
ძახებს: ნაჯობნი ვარ, მიპოვნეო!

წავიდა ბიჭი საძებნელად. განგებ აქეთ-იქით ეძებს, თითქო არ იყო-  
დეს, სადაცა ზის. მერე შივა ბუხართან და დაუძახებს: ბუხარში ზიხარ, გა-  
შოდო. მაგრამ აბა! ხმას არ იღებს მეწისქვილე.— ბუხარში ზიხარ, გამო-  
დიო! დაუძახა კიდე ბიქსა. მეწისქვილემ კიდე ხმა არ გასცა. მოუარა ბანი-  
დან ბიქსა და ბუხარში ერთი დიდი ქვა ჩაახეთქა და მეწისქვილეს ბრაგეანი  
ჩამაატანინა ძირსა.— აქა ვარ! აქა ვარო! ყვირის მეწისქვილე.

— აბა ახლა შენ დაიშალეო! უთხრა ბიქსა.— კარგიო. წავიდა რამათან.  
რამა შიარ ქვეშ ამოსივა და დამალა. დაინახა თბამ. ეძებს მეწისქვილე.  
როგორც კი გააღებს პირს თბა, რომ უნდა დაუძახოს მეწისქვილეს, აქ არი-  
სო, დასწვდება კბილთ რაში, უტყენს და გააჭუმებს. ეძება, ეძება მეწისქვილემ,  
ვერ იპოვნა და დაუძახა: მაჯობე, ვერ გიპოვნე, გამოჩნდიო!

გამოძვრა ბიჭი. წამოიყვანა თბაც და ქალებიც. დარჩა მეწისქვილე  
ხელსარიელი.

დაეწია ქაჯთა მეფის ქალი ვაჟსა.— შენ მომჭერი დალილიო?— დაბ მე  
მოგჭერო. ამოიღო და აჩვენა. გაეხარდა ქალს და გაჰყვა თანა. ის ქალი  
ზემწიფეს მიუყვანა და ეს ქალები ცალკე დააბინავა და თვითონ ძმებთან წა-  
ვიდა. ძმებს ძალიან გაეხარდათ ძმის მოსვლა. დაუწყეს გამოკითხვა: სად  
იყავ? სად დაიკარგე, რომ არა სჩანდიო?

ძმამ უთხრა, სანადიროდ რო წახვიდეთ, აბა შეუდღის დროს სახლში  
დაბრუნდით და მაშინ ნახავთ, რაც ამბავია და სადაც ვიყავიო.

დაბრუნდნენ სამივე ძმები სახლში შეუდღის დროს. ამ დრომდე ამ მე-  
სამე რძალსაც გაუჩენია საყვარელი და სამივეს გვერდსა ჰყვანან საყვარლე-  
ბი და ქვიფობენ.

— აბა, ჩემო თბავ, უბანა ბიქსა თხას, ერთი ეს დედაკაცები თაერს  
საყვარლებით კულზე აისხი და ერთ მიღალ კლდეზედ გადაყარეო!

აისხა კლდეზედ თბამ ეს დედაკაცები და ამით საყვარლები და ერთმანეთს  
 ღალ კლდეზედ გადაყარა და დახოცა.

მოიყვანეს ის სამი ქალი, შეერთეს კოლად და დაიწყეს ერთად ისევ  
 ტკბილი ცხოვრება.

ქირი იქა, ლხინი აქა,  
 ქატო იქა, ფეცილი აქა,

აი ელასა-შელასა  
 ჭიქა შეკიდა ყელასა.  
 მთქმელსა და გამგონებელსა,  
 ძილი გამოთ ვეელასა!

(კოლა გაგნიძეს ნამზობა).

## 94 კირბალელისა და ზერტელის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კირბალელი კაცი\*). წაიქცა სამუშაოდ.  
 შეხედა წინ ზერტელი.

— დაეძმობილდეთო! — ძალიან კარგია. წაიქცენ სამუშაოდ. რასაც პო-  
 ულობდნენ და მოულობდნენ, შუა იყოფდნენ.

ერთხელ კირბალელს თავისი ნათესავი შეხედა. დამპატივთ კირბალელმა.  
 ფული არა ჰქონდა და ორი შაური ზერტელისგან ისესხა. ისე აქამა პური  
 ამ კირბალელმა, რომ ზერტელი არც-ც დაალოცა. როცა კირბალელს მე-  
 ზობელი წაუვიდა, ზერტელმა უთხრა: კაცო, ფული ზემგან ისესხე, ზემი  
 ფულით აქამე შენს მოკეთეს პური და მე ერთიც არ მითხარ, თუ მოდი და  
 დაალოცო! იქნება მოვსულაყაყ და შეც დამემატებინა ფული და უფრო  
 კვი დროება გაგვეტარებინა.

— კაცო, ოხერი ხასიათი მაქვსო, უთხრა ზერტელს კირბალელმა. აი  
 თუნდა ფულის სესხობა ვთქვათ, — კაცისგან რომ ვისესხო ფული, მოვეკედ-  
 ბი და ცი აღარ მივცემო. ზემგან კაცი ვერაფერს წაიღებსო.

— კაცო, შეც ძალიან ოხერი ხასიათი მაქვს, უთხრა ზერტელმა: ამა  
 ხო იცი, ჯერ სულ ზერტელ კაცს კულიანებს გვეძახიან და მერე მე ისეთი  
 ვარ, რომ მკედარს სამარის კარამდე მივყვები და ზემ ელს-ც არ შევიარჩენო.

როცა მუშაობა გაათავეს და ფულებს დაუწყეს გაყოფა, ზერტელმა უთხრა  
 კირბალელს: ეხლა ხო მაქვს, აიღე და მომეცი ზემი ორი შაურიო.

— კაცო, ეხლა ხო შენც ბევრი მაქვს, არ ვიჭირს, კვირას ამოდი და  
 მოვცემო, უთხრა კირბალელმა.

მართლაც კვირას ავიდა ზერტელი კირბალელთან ორი შაურის სათ-  
 ხოვნელად. დაუჯლა კირბალელმა ქათამი, სცა კვი პატივი და გაისტუმრა:  
 ეხლა არა მაქვს და მეორე კვირას მოდიო.

\*) კირბალი სოფელია ქართლში, ზერტელ მუხომბლადევა.



აეღია მეორე კვირასაც ზერტელი. მაშინაც კი პატივი სცა და ორი შაური კი არ მისცა. ასე რამდენიც შაბათ-კვირა მოვიდოდა, ავიდოდა ზერტელი და კირბალელიც პატივსაც სცემდა.

ბოლოს ქათმები რო გამოვლია კირბალელის ცოლს, დაუწყო ქმარს წყევლა.— შე დასაღუბაო, აიღე და თავში ახალე ი რალაც ორი შაური გამართებს, ეხლა რაღა უნდა დაუკლა, ხარსა და ძროხას ხომ ვერ დაჰკლავო.

— აბა რა უყოფო, უთხრა ცოლის კირბალელიშა. ისე დაეიტრაბაზე, რომ ეხლა, რომ მივცე ის ორი შაური, ზემთის სირცხვილიაო. და ისეე თავს მოვიმკვდარუნებ, შენ დაჯექ, გულზელი დაიკრიფე და რო გკათხოს ზემი, სად არისო, შენ უთხარ, ხორველამ მოკლაო.

ზერტელი რო გამოჩნდა, კირბალელი გაიკიშა, გაძაბა სულ-ტყავი.

— დილა შშვილობისა, ნათლიდელი მივსალმა ზერტელი კირბალელის ცოლსა.

— ღმერთმა შშვილობა მოგცესო, უბასუხა კვნესით ნათლიდელამ.

— რას დაღონებულხარ, ნათლიდელი, სად არის ზემი ძმობილიო?

— ე რაღა სად არის, ნათლი, ხორველა შეგვდა და შენი ქირი წილოვო.

— უპ, უპ! რა უბედურობა დაჰმართებია! აბა ვინ გგდებს ყურსა, თუ ისეე შე არ მოვეუარე, ხო იცი ქვეყანა მოგერიდებათ, ხორველამ მოკლაო. ატყობს ზერტელი, საქმე როგორც არის.

ფიცრები მიმიტანე, კუბოს შეუქრავ, ჩაეაწვენ და საყდარში გაეისევენებ, აბა აქ ხომ არ იქნებაო, ეუბნება ზერტელი.

მაიტანინა ფიცრები, შეუქრა კუბო, ჩააწვინა შიგა, მოსდო თოკი, მოიკიდა და წაიღო ერთ ძველ საყდარში. თვითონაც იქვე დაიშალა.

დაღამდა კიდეც. იმ მხარეში ამ დროს უჩაიღობა იყო გავრცელებული და თურმე ამ ძველ საყდარში აქეთ ბინა, აქ იყოფენ ნაცარცხსა. ახლაც მოვიდნენ ეს უჩაიღები და შიტიანეს ერთი პარკი ოქრო და ვერცხლის ფული. ფული საშად გაყვეს, სამ ალიჯას დააგროვეს; ახლა ერთი კი ბმალი წამოუღლით და ისა აქეთ გასაყოფი.— მოდიო, ერთმა სიტყვა, ამ მკედარს ვინც ერთი დაკვრით თავი მოაგდებინოს, ეს ბმალი იმას დარჩესო.— არაო, უთხრა მეორემ, ვინც ერთი დაკვრით შუაზედ გაენაბოს, ბმალი იმას დარჩესო.

— არა, ვინც ორივე ფეხი ერთი დაკვრით მოაგდებინოს, იმისი იყოს ბმალიო. სიტყვა შესაშემ.

იღეთია კირბალელი, სულ თახთახი გააქე, ან ახლა დამარტყამენ ბმალს და ან ახლოო. სძლო, სძლო და ბოლოს წამოიწია და დაიძაბა:

— ადექით, ძველო და ახლო მკედრებო! ერთი ეს უჩაიღები დაეიქიროთო! ასეთებია ეს ქურდები, გაანებებს ფულს იქვე თავი და გულგახეთქილებში მოცხრილეს. შევიდა ზერტელი და ის ფული სულ ამით დარჩათ. ფული რო გაიყვეს, ზერტელმა უთხრა: კაცო, ეხლა მაინც მომეცი ზემი ორი შაურიო! კირბალელი კიდე არ აძლევს, აქეთ ერთი ამბავი.

ქურდებს გამოუგზანათ კაცი, აბა წადი, ნახე, მართლა ადგნენ ძველი და ახალი მკედრები, თუ ზენ მოგვეწვენაო?

რო მივიდა და შეიხედა, სწედა კირბალელი ქუდში, მოხდას და გადაუგდო ზერტელს: აჰა, შენს ორ შაურში, არც ახლა დამეხსენებია?!  
 გამარჯობა

გარბის გულგახეთქილი ქურდი. მივიდა ამხანაგებთან ჭაქანით.—იმოდენი მკვდარი ამდგარა, კაცო, რომ თითოს ოროლი შაური ძლივ შეგვედრია და იმაზედაც ლაშის ერთმანეთი დაჭიმონო. მეც ქული წამართვეს და ძლივ გამოვისწარიო. აგრე ვათავდა კირბალელისა და ზერტელის შართებულობის საქმე.

ქირი იქა, ლხინი იქა,  
 ქატო იქა, ფქვილი იქა.

(შატო დათუნაშვილი, ს. ზელთხანი).

## 95—ჭილუყავის საჩუქარი

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კოლქმარი. ჰყვანდათ ოთხი ქალი. ძალიან ღარიბები იყვნენ, არაფერი არა ებადათ რა. ერთხელ ადგა კოლი, წაეიდა ხორბლის სითხოვნელად. ყველამ თითო ჯამი ხორბალი მისცა: მოუგროვდა ერთ კოდამდე. ქმარს უთხრა: შინც საქონელი არა გყავს, წადი, დაბარე შინც; რასაც გამოშბარავ, კარგია; დაეთესოთ, ღვები მოგვივიდეს რამე და მუცელი გავიძლოთო.

წავიდა კაცი, ბარა, ბარა და ერთი ნახევარ დღის ტელა დაბარა. დათესა და ჩათონა. ისეთი ყანა მოვიდა, ღეთის თვალი შიგა ტრიალებს.

მომკის დრო რო მოვიდა, გადიგდო მკლავებდ ნამგალი და გასწია მოსამკლად. ყანასთან რომ მივიდა, ნახა, რაც ჰყვანაზედ ფრინველია, სულ ამ ყანას დამხვევიან და სქაშენ. გაბრაზდა ეს კაცი, დაუწყო ფრინველებს ლანძღვა და გინება.

ერთი ჭილუყავი გამოვრჩია ფრინველებიდან, მოვიდა კაცთან და სთხოვა: ოღონდ ეხლა ნუ შემარტყვენ, ეს ფრინველები ჭეში დაპატრებულაია, და შერე შოდი ჭეშთან სამ კვირა ძალს და რასაც მთხოვ, მოქცეშო.

დაანება კაცმა თავი. წაეიდა კოლთან. კოლმა ჰკითხა: მომკეო?—ქუინტლი იყო და აღარ მოემკეო! მოატყულია კოლსა.

გაეიდა ხანი.—კაცო, რატომ არ წახვალ და არ მომკეო?! ეჩხუბება კოლი. მოაგონდა კაცს, რომ ჭილუყავი დამპირდა, კვირა ძალს შოდი და რაც გინდა, წაიღეო. გასწია და წაეიდა ჭილუყავთან. შიღის, მაგრამ არ იცის სით წაეიღეს, სიდა აქვს ჭილუყავს სახლი.

გზაში ერთი დევების ბებერი დედა შეხვდა. ბებერმა კვირისტაეი გადაუგდო.—აიღე, შეილო, გადმოგიგდო! დაუძება კაცსა. კაცმა აიღო და მიუტანა. ბებერმა ჰკითხა: სად მიხვალ, შეილოვო? კაცმა უაპობო თავისი თავგადსაველო.

ბებერმა უთხრა: შენი ბედი, შეილო, რომ მე აქ დაგხვდი, თორემ ჭილუყავის სახლის გზისას შენ ვერაფერს ვაიგებდი. ეხლა-კი, რაკი მე შეგხვდი, შენი იღბალიაო. კაცს უთხრა: წადი, იარე და სადაც დაგიღამ-

დეს, იქ დადგე. კილყევი თვითონ გიპოვისო. წაგიყვანს სახლში, ოქრო, ვერცხლს და თვალ-მარჯალიტს მოგიტანენ, გეტყვიან, რამდენსაც მოგერიო, წაიღეო. შენ უთხარი: „თქვენი ხელსაფქვაების მეტი არაფერი მინდაო“ იარა, იარა და მივიდა კილყევიების სახლში, მოგებნენ წინ კილყევიები, შეიყვანეს სახლში, დასვეს ხალიჩაზედ. მოუტანეს და მოუტანეს ოქრო, ვერცხლი, თვალი და მარჯალიტი: აბა წაიღე, რამდენსაც მოგერიოეო.— მე ოქრო ვერცხლი არ მინდა, თქვენ რომ ხელსაფქვაებები გაქვთ, ის მომეცითო, უთხრა გლეხმა კაცმა.

მოსწყდათ წელი კილყევიებს, მაგრამ რაკი დაჰპირდნენ, პირს ხომ ველარ უტყვევდნენ. მისცეს ხელსაფქვაებები და უთხრეს: სანამ სახლში არ მიიტანო, არ მოატრიალოეო.

წამოიღო ეს ხელსაფქვაებები, ასეთი მძიმეებია, სულ ხვითქი გადასდის. — რა მიყო იმ ბებერმა, რაზედ დამლუპაო, ამბობს გუნებაში, იმოდენა ოქრო და ვერცხლი მაძლიეს, ის-ეი არ წამოვიღე და ამ გამხმარ ხელსაფქვაებით-ეი წელს მიწყვეტილებსო. აქედან თუ არ წამელო, ჩვენ სოფელში-ეი ცოტა არისო! ველარ მოუთმინა გულმა, სთქვა: აბა ერთი მოვარახრატებ, ენახე, რა იქნებაო. მოარახრახა თუ არა, გადმოიშალა ათასნაირი საქმელები. აღარ იცის, როგორღა დააყენოს ეს ხელსაფქვაებები! ბოლოს აიღო, ერთი მხარზედ შეიღო და ერთიც ილღიის ქვეშ ამოიჩარა.

სახლში რა მივიდა, ცოლს დაუძახა: დედაკაო, ერთი კარი გამიღეო!

— გასწი, დაიკარგე მანდეღანაო! გამოსძახა ცოლმა. ელოდა გლეხკაცი, სანამ ცოლი მიპრიანებდა და კარს გაუღებდა.

— აბა რა მოიტანეო? ჰკითხა ცოლმა.

— აი ეს ხელსაფქვაებები მოგიტანეო.

— შენი თავის სიკვდილმა, აქ გარჩეულ პურებს დამიფქვავ მაგითიო! ჩამოსწყველა ცოლმა. დაჯექ და ნაცარი დაფქვი მაგითიო.

მოატრიალა კაცმა ხელსაფქვაეა, და გამოიშალა ნაირ-ნაირი საქმელები, დასხდნენ ყველანი და დაძლნენ ლიმაზად.

კაცმა სთქვა: ეს ხელსაფქვაებებიც გვაეცხოვრებს და კილყევიები რილას-თვის შევაწუხო მეორედაო.

კარგა ხანი რომ გავიდა, გლეხმა სთქვა: თუ ხემწიფე არ დავპატოეო, არ იქნებაო.

ცოლმა უთხრა: კაცო, შენ ე მა შენ ქერკში იყავ, აქ ხემწიფის დასაპატიებელი არა მაქვს რაო. მაინც ქმარმა არ დაიშალა და დამპატიცე ხემწიფე.

ხემწიფემა სთქვა: ეწვევი და თუ მართლა კარგა არ დამხედა, ვაი იმისი ბრალიო! მოვიდა ხემწიფე თავის ჯარი-ჯამაათით, გაშალეს სუფრა, მოართვეს საქმელები, სულ ნაირ-ნაირი, რა გინდა სულო და გულო. ხემწიფემ გაგზავნა ნაზირ-ვეზირი, ნახეთ ერთი ვინ უკეთებს საქმელებსაო. მოვიდნენ ნაზირ-ვეზირი და მახსენეს, რომ ერთი ბებერი ზის, ხელსაფქვაეებს ატრიალებს და სულ იქიდან გამოდის ეს საქმელებიო.

აიკანა პირი ხემწიფემ. აღარაფერს მიირთამევს.



გლებმა მახსენა ნაზირ-ვეზირს, ხემწიფე რატომ არაფერს შიირთმევესო?

— ხემწიფე ასე ბძანებს, თუ იმ ხელსაფქვაეებს მე მომცემს, ექამ, ღო არა და—არაო.— ეხლა სადილი მიირთვას, და მერე ხელსაფქვაეები თქვენი ჭირის სანაცვლოა იყოსო. გამოართვა ხემწიფემ ხელსაფქვაეები და დარჩა იმისი ცოლშვილი ისევ მშვიტები.

ისეთია ცოლი, ლამის დაახრჩოს ქმარი საყვედურით.

მოაგონდა გლებკაცს ჭილყეაეების ნათქვამი.— ე ხომ ერთხლის მეტად არ მივსულვარ და ამა მეორედაც წაეალო, სთქეა გლებმა.

წაეიდა გლებკაცი ჭილყეაეებთან. გზაზედ ისევ იმ ბებერს შეხვდა.

— სად მისდინხარ, შვილოვო? ჰკითხა ბებერმა.

გლებკაცი დაწვრილებით მოუყეა თავის ამბავსა.

ბებერმა უთხრა: იქ რო მიხეაღ, ჭილყეაეები ძლიე დავტესწრობიან, და-გიყრიან წინ თვალსა და მარგალიტს, ოქროს, და ვერცხლს და გეტყვიან, წაიღე რამდენსაც მოგრიოვო. შენ უთხარ: შე არაფერი არა მინდა რა, თქვენ რომ ვირი გყავთ, ის მომეცითო.

იარა კაცმა, იარა და მიეიდა ჭილყეაეების სახლში. გამოეგებნენ ჭილყეაეები, შეიყვანეს სახლში, დასვეს ხალიჩაზედ, გაუშალეს წინ თვალი და მარგალიტი.

— წაიღე, რამდენსაც მოგრიოვო!

— არა, უთხრა გლებმა, შე თვალ-მარგალიტი არ მინდა, თქვენ რომ ვირი გყავთ, ის მომეცითო.

მოსწყდათ წელი და გული ჭილყეაეებსა, ჩვენ რაღამ უნდა გვაცხოვროს, რომ ვირი მავს მიეცეთო. მაგრამ პირს ხომ ვერ გადავიდოდნენ! მისცეს ვირი და უთხრეს: წაიყვანე და გზაზედ ჯობი კი არ დაჰკრაო. წამოიყვანა ეს ვირი გლებმა. მოდის და ფიქრობს, რა ქნა იმ ბებერმა, რაზედ დამიღუპა, იმათ იმოდენა თვალი და მარგალიტი მამლიეს, ის კი არ ვინდომე, და ეს ძვალ-ტყავად ქცეული ვირი კი წამოვიყვანეო, ამა ახლა რაღას მიმესვლეება ცოლთანაო. გაჯავრებულმა ვირს ერთი სახრე გადააწნა: აჲ, შე საოხროვო! სთქეა თუ არა ესა, ვირმა მაშინვე დაუწყო ოქროებს ყრა. ისეთია ეს კაცი, იკრეფს უბესა და კალთებში.

წამოიყვანა ვირი კაცმა სახლში. ვირი კარებზედ დააბა, თვითონ ცოლის დაუწყო ძახილი, კამიღე კარიო.— გასწი დაიკარგე, კარს კი არა, შავ ქეასა და ცხელ ნაცარს ვავიღებო. სანამ ის კარს გაიღებდა, ერთი გლაბა დადიოდა, გლების ვირი აუშო და წაიყვანა, თავისი ვირი იქ დააბა. შეიტანა კაცმა და დაყარა კალთით ოქრო:— ერთი ვირი მოვიყვანე, სულ ამისთანა ოქროებსა ჰყრისო. გამოვიდნენ, შემოჰკრეს ჯობი, აჲ ვიროვო, მაგრამ ამ ვირმა ზონორიკის მეტი არა გამოუყარა რა.

გავიდა ხანი. ისევ ღარიბადა სცხოვრობს ეს კაცი, ვირიც დაკარგა და ხელსაფქვაეიც.

მოაგონდი გლებკაცს, რომ შესამედ კიდევ უნდა წასულიყო ჭილყეაეებთან.

— ამაზედ გაჰირეებაში როდის და ვიქნებო, სთქეა, აიღო ჯობი და წაეიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ის ბებერი იქ აღარ დახვდა, პირდაპირ წაიფრდა ჭრუყავებთან. ჭრუყავებში შეიყვანეს, დასვეს და ჰკითხეს: კაცო, რა უყავ იშოდენა ქონებო. მოუყვა კაცი და სულ უაზრო, რაც თავს გადახდა. მისკეს ქრუყავებში ერთი გაუთლელი ჯოხი და უთხრეს: ეს ჯოხი წაიღე და ვისაც უყავი გვიტრდეს, ერთი კი უთხარ: ახტი-დახტი, ყავარჯენოვო! და მერე თვითონ იცხო. გზაზედ კი არ უთხრა, თორემ სულ თავპირს დაგამტვრევსო.

წამოიღო ჯოხი და წამოვიდა. გზაზედა სთქვა: განა გასაჯოხი არა ვარ, ის იმისთანა ხელსაფქვავები და ვირი დაკვარგე, ახლა ქრუყავებთან ვიყავ და იმის მაგივრად, რომ ოქრო-ვერცხლი წამომეღო, მე ამგაუთლელ კეტს ვაწყვეტინებ წელსაო.—აბა, ახტი-დახტი, ყავარჯენოვო! უთხრა ჯოხსა.

სიტყვა არ გაეთავებინა, რომ დაბზრიალდა ყავარჯენა, გამოცალა ხელიდან, ურტყა და ურტყა ამ გლეხსა. დარბის ეს გლეხკაცი, იფარგბს თავზედ ხელს, ვხვეწება ყავარჯენას, მაგრამ სანამ რიგიანად არ გაბერტყა, აღარ მოეშვა.

დაიკირა ხელში ყავარჯენა და წამოვიდა.

შინ რო მოვიდა, ცოლს დაუძახა: კარი გამიღეო!

— დაიკარგე მანდედან, შე ძაღლო, მამაძაღლო, კარი კი არა, შავი ქვა არ გინდოა!

მოუარა ბანიდან კაცმა.—მაშინაც შენ დამყარგვინე ის ვირი, შენ რომ თავის დროზედ გაგეღო კარი, მე იმ ვირს ვერ მომპარავდნენო. ჯოხს უთხრა:—ახტი-დახტი, ყავარჯენაო! ჩაუბტა ყავარჯენა დედაკაცს ბანიდან, მისცხო და მისცხო. ხან სად იმაღება ეს დედაკაცი, ხან სად. დასდევს ყავარჯენა და გააქვს დედაკაცის ზურგზედ ბრავა-ბრუვი. რის ვი-ვაგლახით გაუღო კარი. იკადრა ახლა კი ცოლმა ზრდილობიანად მოქცევა.

მეორე დღეს წაიღა ეს გლეხი კაცი ხემწიფესთან და იმის ნაზირ-ვეზირებთან. ჯოხს უთხრა: ახტი-დახტი, ყავარჯენაო! აბზრიალდა ყავარჯენა, დაეტყვა სასახლის ფანჯრებს, შუშებს სულ ბზრიალი უდგათ, ისე ჩაღეწა; მისდგა ახლა ხემწიფესა და იმის ნაზირ-ვეზირებს ამ მოტყულებილ თავებში, ისეთია სულ რაკა-რუკი გააქვს, ისე გამოუთქვიფა თავები, შენი მოწონებული. ასეთია მეფე და ნაზირ-ვეზირები, სულ ყვრიან: მიცეით ჩქარა თავის ხელსაფქვავები, ვაგვწყდეს თავიდანაო. წამოიღო და წამოვიდა შინა.

წაიღა ახლა გლახისთან. ყავარჯენამ ისაც ღიმიანად დაამტყვა, წამოიყვინა სახლში და იცხოვრეს თავისთვის ბედნიერად.

თი ვლახა-მელახა,

ქიქა მეკიდა ყველასა,

მთქმელსა და გამგონებელსა,

ძილი გაამოთ ყველასა!

(ხოლო დათუნაშვილის წამოხობი სოფ. ხელთებანში)

## 96.—ზღაპარი ტიტველი მგლისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, აყო ერთი ხემწიფე, ჰყვანდა ერთი ვაჟი შვილი. როცა დაბერდა, დაიბარა და უთხრა:— შვილო, ყველგან ინადირე და წითელ მთაზედ არ წახვიდე სანადიროდაო, თორემ იქიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებიო.

ყველგან ნადირობდა ხემწიფის შვილი და წითელ მთაზედ-კი არ მიდიოდა, არა სტებდა მაშის ანდერძსა. ბოლოს ვეღარ მოიმიწინა და წავიდა. ბევრი ინადირა, იქ სახიფათო არა შეტყვედრია რა, ბოლოს სამი ტიტველი მგლის ლეკვები ნახა და დახოცა.

წამოვიდა შინა. მამამ გაიგო, რომ წითელ მთაზედ ყოფილა სანადიროდ, დაიბარა შვილი. შვილიც იახლა.—რომელ მთაზედ იყავ სანადიროდაო? ჰკითხა მამამ.—რომელსა და წითელ მთაზედა.

— მერე იქ რა ნახეო?

— ტიტველი მგლის სამი ლეკვი ვნახე და ისინი დაეხოცეო.

ხემწიფე ძალიან შაჸუნა იმ ამბავსა. შვილს უთხრა: ჩადი საღაროში, აირჩიე, რაც იარაღი მოგეწონოს, ჩაიკვი, რაც ტანისამოსი მოგივიდეს თვალში, შედი თავლაში, რომელიც საუკეთესო რაში იყოს, იმაზედ შეგკეტი და წადიო, თორემ მოვა ტიტველი მგელი, შენც შეგკამს და შეკაო. ვეფხე გაუგონა, ჩავიდა საღაროში, მოირთო ღამაზად, ისხა იარაღები, შეგდა საუკეთესო რაშზედ და წავიდა.

მართლაც მოვიდა ტიტველი მგელი.

— შენს შვილს რა დაუშავე, რომ შვილები დამიხოცაო? ჰკითხა ხემწიფეს.

ხემწიფემ უთხრა: ჩემი შვილი აქ იყო, მაგრამ იმ კარებიდან შემოვიდა და იმ კარებიდან გავიდა; როგორც შენ არ იცი, ისე მე არ ვიცი იმისი ირაფერიო. მისცა იმ მგელს, რაც საქონელი ჰყვანდა. გადაჭრა მგელმა, რაც საქონელი იყო, და წავიდა საძებნელად.

ხემწიფის შვილი მაშის სახლიდან რა წავიდა, დასავლეთის ხემწიფეს შეატყვნა: ასეა ჩემი საქმე და უნდა მიშველდეთო.

ხემწიფემ უთხრა: იყავ, რაც მოგვივა, მოგვივიდესო.

გაუგია ტიტველ მგელს, რომ ხემწიფის შვილი დასავლეთ ხემწიფესთან არისო, მივიდა და უთხრა: აქ აღმოსავლეთ ხემწიფის შვილი მოსულა შენთან, იმან ლეკვები დამიხოცა, და მიინდა გავიგო, რა დაუშავე, რათ დამიხოცაო.

ხემწიფემ დაუშალა ვაჟი: მართალია აქ იყო, მაგრამ ერთი კარებიდან შემოსულა და მეორედან გაპარულაო. იმისი სხვა არაფერი ვიციო, აი ჩემი ცხვარი და ძროხა, მიირთვი, როგორც შენი ნება იყოსო.

მინამ ტიტველი მგელი იმ საქონელს შესკამდა, ხემწიფემ უთხრა ვაჟსა: აი, შვილო, შენი გულისთვის რამოდენა ზარალი მომივიდა, მაგრამ შენ



არაფრად ჩაეგდებ, ოღონდ შენ ვადარჩიო. შენ ვერაფერს გიშველავს, მტრის მტეხვარის მტრი. იმას იმოდენა ცხვარი ჰყავს, რომ თვითონაც იმისი ანგარიშიო. მაგრამ ისეთი ავი ჰყოფაქვები ჰყავს, რომ აღამიანი რომ დაინახონ, მაშინვე შესპანენო. წაიღე სათითოო ცხვარი, როცა დიგეტივენ, გადუგდე დაკლული ცხვრები და შენ მეცხვარესთან მიდიო.

მართლაც ვაგი ისე მოიქცა, როგორც ხეშვიფემ დაარჩია. წაიღო გატყევებული ცხვრები და როცა ფარას მიუხალგოვდა, გამოცვივდნენ ძაღლები. ვაგმა სათითოო ცხვარი გადაუგდო და გასცდა. მივიდა მეცხვარესთან: ტიტველი მგელი მომდევს და უნდა დამფაროვო.

— მე როგორ დავფარავ, შეილო, ე ცხვარს შენთვის არ დაეინანებ, მაგრამ ტიტველ მგელს ჩემი უთვალავი ცხვრის შექმა არ გაუჭირდება, და— ულაპავს და შენც იმათთან შეგკამსო. შენ თუ გიშველის, ამა და ამ კლდეზედ რომ კოშკი დგას, იმ კოშკში ერთი ქალია, შეიღ წელიწადში ერთხელ ეღება იმ კოშკს კარები, სადაც პირველად მზე მიადგება, თუ შეგინახავს და დიგეფარავს ისა, თორემ შენ სხვა ვერაფერს დავიფარავსო. შენს იღბალზედ დღეს ღიაა იმისი კოშკის კარი და წადი, შეებეფეწე, იქნება დაგფაროსო.

ვაგმა მადლობა გადაუხადა და წავიდა. იარა, იარა და მოვიდა იმ კოშკთან. კარები მართლა ღიაა, ისეთი ქალი გადმომდგარა, რომ თვალს ვერ გაუშტერებს კაცი. ვაგი მივიდა და შესძახა: და—მომას, ტიტველი მგელი მომდევს, უნდა შეგკამოს და დამფარე შენს კოშკშიო!— დავფარავო, ჩამოსძახა ქალმა, მხოლოდ შენ— ქმარი და მე— ცოლიო!

იყვანა და დამალი. დიკეტა კარებიც.

დაიკეტა თუ არა კარები, მოვიდა ტიტველი მგელიც. დაწვა ამ კოშკთან, წევს და ელის, სანამ კოშკის კარი გაიღებოდეს. ასეთია, ამ შეიღ წელიწადში ისე დაილია, ისე დაილია, ეს მთასივით ნადირი ხმოს ტელა იღარ არის.

გავიდა შეიღი წელიწადი, მგელი კიდევ აქა წევს. კარები რო გაიღო, მგელმა დაუძახა: რა ხარ? რა სურვილი ხარ? შეიღი წელიწადია აქ გელი, ერთი მინც ვადმიხებდე, დაგინახო, რა სახისა ხარ, ან რა აღამიანი, რომ მე შეიღები დამიხოცუო!

ქალმა უთხრა ბიჭს: მოდი დაუდგავთ კიბე და ამოვიდესო.— ძალიან კარგოო. ჩაუდგეს კიბე. მოდის მგელი. შუა საფეხურზედ რომ შედგა ფეხი, ჰკრეს ერთხანად კიბეს ხელი, გადმოაგდეს და მგელი სულ ერთიანად— კი და— იმსხერა.

ცხოვრობენ იქ ქალი და ვაგი ბედნიერად. ამ ქალმა ყველა ოთახების გასაღებები მისცა ვაგს, მხოლოდ ერთი ოთახისა არ მისცა. იმ ოთახში ქალის კაბა ეკიდა. ვინც იმ კაბას ქალის მტეხი ხელს ახლებდა, ის კაბა მაშინვე გაფრინდებოდა, ამის შემდეგ კოშკსაც კარი გაეღებოდა და იღარ დაიკეტებოდა.

ერთხელ ქალს რო ეძინა, ვაგმა მოჰპარა გასაღები, წავიდა და ის ოთახი გაიღო. ხედავს, ერთი ისეთი კაბა ჰქიდა, სულ მზესივით ანათებს, ვაგი მივიდა და მოაეღო ხელი. შეახო თუ არა ხელი, მაშინვე აფრინდა კაბა, წავიდა და ჩაეარდა ზღვაში.

ხემწიფის მეჯინეებებში რომ ცხენები ჩამორეკეს წყლის დასაღვებად, კაბას ზღვა აქანებს და საქონელი ფთხება, ველაბა სვამს წყალსა. მივიდნენ, ნახეს, ზღვა ერთ მხესავით კაბას აქანებს. წაფილნენ, მოახსენეს ხემწიფესა. შეგზავნეს მცურავები და გამაატანინეს ეს კაბა.

ისეთია ხემწიფე, აღარ იცის, რა ქნას.—თუ ამ კაბის პატრონი არ ეიპოვნე და ცოლად არ შევირთე, არ იქნებაო. დაატარეს; ვისაც კარგათ მოუვია, ის უნდა შეირთოს. მაგრამ ზოგს დიდი მოსდის, ზოგს პატარა.

არ იქნა ვერ იპოვეს და ვერა.

ერთხელ ხემწიფესთან ერთი ბებერი მოვიდა და მახსენა: დიდებულო ხემწიფე, იმ ქალს მე მოგიყვან, ოღონდ შენ უღელი ხარი მოშეკო, ნახე-ვარ თუნგი ბანგი და ერთი თხაო.

ხემწიფემ მისკა ყველაფერი, რაც ბებერმა იხმოვა.

წამოასხა ბებერმა ხარები, წამოიღო ბანგი და წამოიყვანა თხა.

მოვიდა იმ კოჭთან, ხან ხარებს აძოვებს, ხან ცეცხლს ანთებს და ამოღებს, ხან თხას სადგისთხა სსხვერტს და ამხაულებს.

გადმოხებდეს ქალმა და ვაჟმა. ქალმა გადმოსძახა: ან მა თხას რათ ამხაულებ, ბებერო, ან მა ცეცხლს რათ ანთებ და აყროლებ ბოლით აქაურობასაო?

— თქვენს ხმას გენაცვალე, რა თვალთ დაგინახეთ! ეალერსება ბებერი, ერთი ტილა-ობერი ვარ, მინდა ეს თხა დავკლა, ვერც ცეცხლი ამინთია და ვერც თხა დამიკლავს, იმოდენა თავი აღარა მაჭესო. თუ მიპატრონებთ და თქვენთან მოსამსახურეთ წამოყვანთ, ჩემ თავს თქვენ განაცვალეთო.

ვაჟმა უთხრა ქალსა: მოდი და ამოიყვანათ მოსამსახურედ, მაღლი არისო.—არაო, უთხრა ქალმა, ეგ კარგს არ დაგვაყრის, ნუ გინდა, წაგიდეს თავის გზაზედაო. თუ კი მოსამსახურე გვინდა, განა სხვა აღარ არის, რომ ეგ არ დავიჭიროთო.

მაინც აიყვანეს და იმსახურებდნენ. ერთხელ შაპარა ბებერმა ბანგი, დათარო ქალი და ვაგი. ვაგს ყელი გამოსჭრა, ქალი ჩამოიყვანა, დააწვინა მარხილზედ და წაიყვანა ხემწიფესთან. ხემწიფესთან რომ მოიყვანეს, ქალს ისევ ეძინა. გაუშალეს მშვენიერი ლოგინი, თავით თავისი კაბა დაუდეს და დააწვინეს.

გამოადევია ქალმა, მიიხედ-მოიხედა, სახლი ეუცხოვია. დაიწყო ტირილი, აქ რა მინდაო. ასეა ეს ქალი, არ მიიყარა არავინ, ერთხ გოგოს მეტი. ასეთია ხემწიფე, რაც შეუძლიან, ცდილობს ასიამოვნოს რამე, მაგრამ ქალი არც ხმასა სცემს და არც იყარებს.

ის ვაგი დარჩა იქ ყელ-გამოჭრილი. იმ ეამად ამ კლდესთან მწყემსებმა მორეკეს საქონელი. მხედვენ, რომ კბე იქვე აყუდია და კლდის კარიც ღიაა. სთქვეს: იმდენი ხანია აქ დავდივართ და ამის მეტად აქ კარები არ გვიწახიბიაო.—აბა ავიდეთ, ბიკებო, ვნახოთო. ზოგს ეშინიან, ეშმაკები იქნებიან შიგათ.—არაო, მხეები იძახიან, ამ შუადლის დროს ეშმაკებს რა უნდაო. ავიდნენ, ნახეს, ერთი მშვენიერი ვაკაკი გდია ყელ-გამოჭრილი, დაღონდნენ ძალიან. ნეტა ეიცოდეთ რამე, რომ ვუწამლოთო, ამბობენ პატარა მწყემსები.



ქერში სამი წყება იღო: შავი, თეთრი და წითელი. შავმა სტეფანოვს რომ ვინმე ჩამოძილებდეს და მაგ ყელ-გამოქრილ ვაგიკს დაქრავდეს, მაშინვე თავი მოებმისო.

თუბრა სატყა: მე რომ ვინმე ჩამოძილებდეს და იმ ბიქს დაქრავდეს, მაშინვე სული ჩაეღვმისო.

წითელმა წყებასა სატყა: მე რომ ვინმე ჩამოძილებდეს და იმ ვაგიკს დაქრავდეს, მაშინვე ფეხედ დადგებაო.

ეს ვაიგონეს ბიქებმა, ხელად ჩამოიღეს სამი წყება. დაქრეს შავი და მოება თავი. დაქრეს თეთრი—ჩაეღვა სული. დაქრეს წითელი და—ვაგიკი უხლად სალი-საღამათი ფეხედ წამოღვა.

—უჰ, რამდენი შინებიაო! სატყა ამოხებით ვაგმა.

— ისე შენს შტერს ეძინოს, როგორც შენ გეძინაო, უთხრეს ბიქებმა, მოუჯერნ და უამბეს ყველაფერი დაწერილებით.

ბიქებს უთხრა: ამ წყებლებს კი ვერ მოგვემთ და, რაკი შავისთანა სიკეთე მიყავით, ფულს მოგვემთ. რამდენიც გინდათ, წაიღეო. ბიქმა მისცა ფული ბიქებს: თვითონაც კარი დაკეტა და წავიდა დაღონებული. მაშინვე მიხედა, ენც დაშართა ამისთანა უბედურობა. იარა, იარა და მოვიდა იმ ხემწიფესთან, რომელსაც ის ქალი ჰყვანდა მოტაცებული. ჩაიკვა გლეხურად, შვილია ხემწიფის სასახლესთან; კარის ვაყებს უთხრა: ხემწიფეს მასხენეთ, მებაღეს ხომ არ დაიქერსო? დაღვა ის ვაგი მებაღედ. ისეთია, სულ ყვაილის კონებს აკეთებს და უგზანის ხემწიფეს. აბა რა იციის ქალმა, თუ იმხი ქმარი აქ არის.

ერთხელ მოგლიჯა ვაგმა ერთი საზანთრო, ამოსჭრა გვერდში ისე, რომ არ შესტყობოდა, ჩაავლო თავის ბეჭედი და გაატანა ქალის მოსამსახურეს: ეს საზანთრო შენს ქალბატონს მიართვი, საკუთარი ხელით გასჭრასო. მოტანა მოსამსახურემ ამ ქალს ეს საზანთრო და უთხრა: ერთი ახალი მებაღე გვეყავს, იმან გამომატანა და ისე მითხრა, ქალბატონმა საკუთრად გასჭრასო. გაჭრა ქალმა, და თავის ქმრის ბეჭედი კი გადმოეარდა იქიდან. ერთი ასეთი ვაიკინა, რომ ბანი და ქერი სულ დაიქრა. ხემწიფეს ვაგებარდა, ახლა-კი გუნებაზედ მოსულა და პედი ჰემი,—ახლა მაინც მომკვებს ნებას, რომ იმან უედ ჯვარი დაეიწროეო. ჩამოგზანა მოსამსახურე, ჰკითხე, რაზედ ვაიკინა, ამდენი ხანია აქ არის და ერთხელაც არ ვაუკანიაო.

ქალმა შეწუთვლია: ბალი კარგი ვაქვს, მეგრამ ფრინველებს-კი უსკინტლებიათო.

ხემწიფემ შემოუთვალა: არც ახლა დაიწერ ხემზედ ჯვარსაო?

— თუ ამ ბაღს ზემოდან სულ რკინის ვადააქრავ, ირგვლივაც სულ რკინით შევლობავ და ზევით და ქვევით ისეთ კარებს შევამამ,—რომ ვაიღდეს კაცი, ისე დაიკეტოს, რომ ველარ ვაიღებოდეს, და შემოვიდეს კიდე ისე, ხომ დაიწერ შენზედ ჯვარს, თუ არა და—არაო.

რა შეძლება არა ჰქონდა! დატრიალდა ხემწიფე. ხელად ისეთი რკინის ვალაყანი შემოართყა, რომ ფრინველიც ვერ გადაფრინდებო. ზევით და ქვევით ისეთი კარები შეება, რომ, კაცი რო ვაგა, თავისთავად დაიკეტებო და შეგნიდან ველარ-ფრით ველარ ვაიღებენ.

ქალმა ამ დროსთვის ვაჟს უველაფერი შეატყობინა,—მა და ამ დროს მე და ხემწიფე ჩამოვალთ სასეთროდ, შენ და ჩემ გოგოს სამი ცხენი მზათა გვეყვანდეთ, მე ავიტუნ მეთეს, გადავსხდეთ და წავიდეთო. კარები დაიკეტება და—სულ შიგ შეიწყვედევინ ხემწიფე და იმის ნაზირ-ვეზირებო.

როცა ბაღი მზად იყო, ხემწიფემ შეუთქალა ქალსა: მზათ არის, როგორც ინებე, და რას იტყუო, ჩამოვიდეთ? ქალმა შეუთქალა, რომ ჩამობძანდო. როცა ხემწიფე და ეს ქალი ჩაბძანდნენ სასეთროდ, ცოტა რომ გაიარეს, ქალმა უთხრა ხემწიფეს: ცოტა ხანს აქ მომიცადე, ცოტა საქმე მაქვს და მოვალთ. წავიდა ქალი. ელის ხემწიფე. იქვე ქმარს და გოგოს ცხენები მზათა ჰყვანდათ, თავისი კბაც თან წიღო, გადასხდნენ ცხენებზედ, გაიხურეს კარები და გაუდგნენ კლდისაკენ. რაკი კაბა მიიტანეს, კლდემ ისევ იწყო დაკეტვა და გაღება. ხემწიფე და იმისი ნაზირ-ვეზირები დღესაც იქ არიან გამომწყვედევულები. ქალი და ვაგი თავის მოსამსახურით ტყბილად ცხოვრობდნენ.

აზარფემა და ტოღჩაო,  
ვათაედა და შორჩაო.

(შაქო დათუნაშვილის ნაშრომი)

## 97.—ასარ, ბასარ, უერქედანასი

(კარანტი ფშვრა „კბილ-ხვარგხელასი“)

იყო და არა იყო რა, იყვნენ ორნი ძმანი. ერთი კოლიანი იყო და მეორე უკოლო. უკოლო მეცხვარე იყო და კარგა ბლომა ცხვარიცა ჰყვანდა, მაგრამ ცხვარზედ მეტად მეცხვარეს თავისი სამი ძაღლი უყვარდა: ასარა, ბასარა და უერქედანა. ისეთი აფები იყვნენ, რომ დევს გაგლეჯდნენ.

კოლიან ძმას დიდხანს არ გყოლა შეილი. მუდამ ღმერთს ეხვეწებოდა, შეილი მომეცო, და საღმთოს უთქვამდა. კი ხნის შემდეგ მართლაც მიეცა ერთი ქალი. ახლარა ქალი—როცა უველანი დაიძინებდნენ, ამოძვრებოდა ხოკიკიდან, შეეარდებოდა ფარებსში, გადაჰყლაპავდა ერთ ცხვირს, მოვიდოდა და ჩაწევებოდა ისევ ხოკიკში!

მედავს მეცხვარე, რომ ცხვარი აკლდება. იცის, რომ მგელი არა სტაცებს,—იმის ასარ, ბასარ, უერქედანას რა ნადირი შეუვა? უყარაულა მეცხვარემ, და შეაღამე რა შაქნა, და მოვარდა ამისი პატარა ძმისწული გოგო და გადაყლაპა ერთი ცხვარი. შეეშინდა მეცხვარეს: ქორფა ბავშვი ცხვარს ჰყლაპავდეს, აღბათ ეშმაკია ან დევიო. მოსაკლავად-კი ვერ გაიმეტა, ესროლა ასარი და ნეკო თითი-კი მოაგდებინა. გაიქცა ქალი, ჩაწვა ხოკიკში და ასტება წივილ-კივილი, ტირის, ტირის, ერთი აშმაგი აქვს.

გამოიღვიძრეს დედამამამ, ააყენეს, ნახეს, ნეკო მოგლეჯილი აქვს, სისხლი თქრიალით გასდის. კითხულობენ, რათა ტირისო, ან ნეკო რათა აქვს მოგლეჯილიო?

ბიძა მოვიდა და უამბო: ასე იყო, ასე, ცხვარი მაკლდებოდა, ვეუარაულე და თქვენი ქალი-კი ვნახე, მოვიდა, გადაელაბა ერთი ცხვარი, მე უშნაკეულოდ მივიღე, მოსაკლავად-კი ვერ გავიმეტე, ვესროლე ისარი და წეკი მოვაგლიჯეო. ძმა და რძალი ძალიან გაუწყრანენ: რაკი შენ ჩემ შვილს მოსაკლავად დაძვევნებიარ, წადი, დაიჯარგე, თვალით აღარ დამენახო, მე შენ ძმობას ველარ გეტყვიო.

წავიდა მესხეარე ძმა, დადგა სხვა სოფელში, შაირთო ცოლი, გულოა შვილები და დაიწყო ტახილად ცხოვრება.

იშის ძმასაც გაეზარდა ის ქალი. ჯერ რაც მამას საქონელი ჰყვანდა, ისინი გადაქამა, შერე სოფლისა; კაცებსაც რომ მიჰყო ხელი, ზოგი დაქამა, ზოგი გადაიხვეწა. თავის დედამა-კი გადაელაბა.

ერთხელ სთქვა ქალის ბიძამ: მოდი წაელო, ვნახე ჩემ ძმას, მოვიკითხავ, სოკვილ-სიკაცხლეა, სულ მუდამ უმძრახად ხომ ვერ ვიქნებიოთ. გატენა ერთი ხურჯინი ნამსხვრით, ერთი ცხვარი წაიყვანა, შეგდა ცხენზედ და გასწია თავის სოფელში.

მივიდა სოფელში, სოფელი ცარიელია, ერთი სურვილი არა ჩანს ქაქნად. აზოვა თავისი სახლი, ავიდა ბანზედ და ჩაიხვდა.

ეს გოგო ზის და ნაცარსა ჰქექავს, ჯერ გამოზრუნება მოინდომა, მაგრამ შერე სთქვა, სირცხელია, უკან როგორღა წავილო, რაც მომბრძანოო. შევალ, ვნახე, ვიკითხე ამბავს, — რა იცის, თუ რა ამბავიო. ჩამოვიდა ძიძსა, დაღუნა თავი და შევიდა შინა. ქალმა ფეხის ხმა რომ გაიგონა, წამოხტა და მივება: „შენ გენაცვალე, ძია, რომ მოხველო!“ გავიდა კარში ხურჯინის მოსახსნელად, მოხსნა ხურჯინი და ცხენსაც ერთი ფეხი მოაქამა. შემოვიდა და ჰკითხა: ძია, სამყება ცხენით მოხველო? ძია მიხვდა მაშინვე, როგორც იყო საქმე და უთხრა: ჰოდეო!

გავიდა და ახლა შერე ფეხიც მოაქამა. შემოვიდა და ჰკითხავს: — ძია როგვება ცხენით მოხველიო? — დიახო!

კიდევ გავიდა და მესამეც მოაქამა. — ძია, ცალფეხა ცხენით როგორ მოხველი? — აი ვგრე მოველ, როგორც უტყვრიო!

გავიდა კიდევ ქალი და ის ფეხიც მოაქამა. — ძია, უფეხო ცხენით როგორ მოხველო? — მუცლით მოეახოხეო!

შერე გავიდა, შექამა ცხენიც, შემოვიდა და ჰკითხავს ძიას: — ძია, რით მოხველიო? — ცხენის თავითო.

გავიდა ქალი, ცხენის თავიც შექამა, ხურჯინიც, შერე შემოვიდა, დაწვა და დაიძინა. — როცა გავიღვიძებ, ძია, პური მაშინ ეჭამოთო. ერთი კიანურხი მისცა, დაუკარი და გავრთეო.

ზის ბიძა და უკრავს ჩონგურს. შეეცოდა ანგელოზს, მოფრინდა, გაზოართვა ჩონგური, თვითონ დაუკრა, ქალს თვითონ მუხლი თავ ქვეშ შეუდო, კაცს უთხრა: შენ ადევ და გასწი, ირბინე, სანამ შეიძლოვო, თორემ, თუ მოგწეია, შეგვამსო. ანგელოზი ჩონგურს უკრავს, კაცი კი ვარბის, რაც ძალი და ღონე აქვს! ისეთია, ოფლი წურწურით ჩამოსდის.

როცა კაცმა კარგი გზა გაიარა, ანგელოზმა თავში ჩონგური ჩაჰკრა



ქალს და თვითონ-კი გაქრა. ქალი წამოვარდა, მიიხედ-მოიხედა, ველარავინ დაინახა, ავიარდა ბანზედ და გაიხედა. ნახა, რომ ბუზის ტოლად გარბას. ახლა-კი გარბიხარ, მაგრამ სადაც დაგვეყვი-კი, იქ დაგვლევჯავო! სიტყვა ქალმა და გამოუდგა უკანა.

მოიხედა კაცმა და დაინახა, რომ შორს უვავის ტოლად გამოჩნდა ქალი. კაცმა ინატრა: ღმერთო და ზემო სიალად-მართლვე, ემ ტრიალ მინდორში სამი ისეთი ალვის ხე ამართე, რომ ირგვლივ არ მოვლევბოდეს და თვალნი არ შესწედებოდეს.

მართლა გაჩნდა ხელად სამი ალვის ხე, კაცი თვალს ვერ შეუწედენს, ისეთი სქელებია, ირგვლივ არ შემოვლევბა. გაიქცა კაცი და ავიდა ერთ ალვის ხეზედ.

მოვიდა ქალი, ეცა ალვის ხეს, ღრღნა, ღრღნა და, როცა უნდა წაქცევლიყო, კაცი მეორე ალვის ხეზედ გადავიდა.

კაცი როცა სახლიდან მოდიოდა, ცოლს ამბავი დაუგლო: ძაღლებმა რო წამუტუნნი დაიწყუნ, ერბო რო გექცეოდეს, თავი დაინებე, მიდი და აუშვიო!

ერთი რო მოსქრა, ეხლა მეორეს ეცა ქალი. ღრღნის და ღრღნის, ბოლოს ჯერი მესამეზე მიდგა. ახლა კი სიტყვა კაცმა, ჩემი საქმე ცუდად არის, თუ ხეში ძაღლები არ მომეშველენო. დაუძახა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

ასარ, ბასარ, ყურქედანა! ეხლა მიკირს თქვენი თავიო.

აქ იმან დაიუვირა და სახლში დამბულმა ძაღლებმა შექნეს წკმუტუნნი. ცოლი ხელდა, შეესმა ძაღლების წკმუტუნნი, გაფარდა ხელცოშიანი \*) და აუშვა ძაღლები. გაექანენ მამინვე ასარ, ბასარ, ყურქედანა პატრონის საშველად. ის არის, უნდა წაიჭყეს ალვის ხე, რომ მოცვიდნენ ძაღლებიც, ეცნენ ქალს და ხელად გაფლითეს.

ერთი წვეთი სისხლი დაცემულა ძირს და იძახის: ამიყეა, ძია, და ბედსა გწვევ, ამიღე ძია, და ბედსა გწვევო! მივიდნენ ძაღლებიც და ისიც ალოკეს. წამოვიდა კაცი წინ მშვიდობითა.

ცოლმა ჰკითხა: ისეთი რა გაგიქირდა, კაცო, რომ ხელცოშიანს ძაღლები ამაშვებინენო? მოუყუა ქმარი და ყველაფერი უამბო.

შესწირეს ღმერთს მადლობა და ისევ ისე ტყბილად დაიწყეს ცხოვრება.

## 98 მოხუცი და მარილის ქვა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი კაცი. ერთხელ ქალაქში იყო, იყიდა ერთი მარილის ქვა და, რაკი არც ურევი ჰქონდა, რომ ზედ დაედო, არც ცხენი, რომ აეკლნა,—წამოიკიდა ზურგზედ და გასწია გზაში.

\*) ქართლში დიდ ცოდვით ითვლება ხელ-ცოშიანის ვარში ვახლება.

მარილის ქვა ძალიან მძიმე იყო და ბერიკაცს უჭირდა იმისი ზიდვა. როცა ზიდვა ველარ შესძლო, დაჯდა გზის პირზედ, დადო ძირს მარილის ქვა და თვითონაც წამოწვა და თავი მარილის ქვაზედ დადო, ვინცოდა დაშეშინოს, აზავინ მომპარასო. თან ხენწმოდა და ღმერთს ემდუროდა.

— შე დალოცვილო ღმერთო, რა იყო წველებისთვის არ გაგვჩინე, თუ გამაჩინე, დამარჩენდი კიდევ, თორემ რა სიკოცხლვა ეხლა ჩემი სიკოცხლე. ბარემ შიიღე ჩემი სული და დამიხსენ ამდენი ტანჯვა-წველებისაგან.

ამ დროს დაეძინა კიდევ. გამოეცხადა ანგელოზი და წაიყვანა სამოთხეში. შეიყვანა შუა სამოთხეში, დასტოვა იქ და უბანა: აი ხომ ხედავ, ყველაფერი მზა-მზარეულად მოგვრთმევა, არ მოგშივა, არ მოგწყურდება, არც შეგცია და არც დაგცხება. მხოლოდ ჩემად უნდა იყო და, თუ ერთი კრინტი დაგიძრავს, ამ ნეტარებას დაქარგავ, განდევნილი იქნები სამოთხიდანაო. ანგელოზი მოშორდა. მოხუცი კი დარჩა სამოთხეში, დადის შიგ და ათვალავრებს ამ სულის სანეტარო სამყოფელსა. ერთ ალიგას ერთი კაცი ნახა: დაუგროვებია კვერნაის ტელა ზეინი ფიჩხისა, უჭერს თოქს და იკიდებს ზურგზედ, ვერ ერევა და თან ისეთი ხვითქი ჩამოსდის, თითქო წყალში უბანავენაო, მაინც კიდევ მიდის, მოაქვს და უმატებს თავის ბარგსა.

ბერიკაცმა ველარ მოითმინა, გატეხა ალთქმა და დაუყვირა: რასა შერებდი, კაცო? გიცი ხომ არა ხარ, იმის მაკივრად, რომ ფიჩხი მოაქელო და რაც შეგიძლიან, ის აიკილო, შენ პირიქით უჭროც უმატებო?!

მოაგონდა ბერიკაცს, რომ ალთქმა გატეხა. გამოელევიდა, ნახა ისევ ის გზა, ისევ ის მარილის ქვა. ბევრი იღარდა, ბევრი თავში იცემა, მაგრამ რაღა იქნებოდა?

აიკიდა და წამოვიდა. იარა, იარა, დაიღილა და დაისვენა. თავით მარილის ქვა დაიღო და თვითონაც ზედ მიწვა. რა დაეძინა, გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: აკი გითხარ, რომ ხმა არ ამოიღო, რაც უნდა რამე ნახო, ან გასაკიცი, ან საყვირველი, შენ კი ალთქმა გასტეხეო.—ოღონდ კიდევ წამოყვანე და ხმას აღარ ამოვიღებ, რაც უნდა იყოსო, ეხვეწებოდა ბერიკაცი ანგელოზს.

შეისმინა ანგელოზმა ბერიკაცის თხოვნა და ხელმეორედ შეიყვანა სამოთხეში.— ამა ეხლა მაინც გაფრთხილდი და აღარა წამოროტო რაო, დაარჩია.

ერთხელ სამოთხეში რა დასერიობდა ბერიკაცი, ნახა, რომ კაცს ცეცხლზედ ხორკით საესე ქვაბი უდგია, გვერდზედ ღვინით საესე ქვევრი. იღებს მოხარშულ ხორკს, სქამს და გამელელ-გამომელელსაც აქმევს: აგრეთვე ღვინოს, მაგრამ ქვაბი ისევ ხორკით იტეხა და ქვევრი ღვინით. მოხუცი მივიდა ახლო, ველარ მოითმინა და უსაყვედურა: შე კიი კაცო, მაგრც რომ არ აავსო და თავს არ გადმოაღინო, მოაკელი, გადაიღე რაშიმეო!

ეს მეორედ გატეხა ალთქმა. გამოელევიდა,—საადღა სამოთხე და პედნიერება?! ისევ ის გზა, ისევ ის მარილის ქვა. ბევრი იხიებაფა, ბევრი იცა თავში, მაგრამ რაღას მოეწყვიდა?

ბერი იარა, თუ ცოტა, დაიღალა და დაისვენა. დაიღო თავით მარ-  
ლის ქვა, წამოწვა და დაიძინა. გამოეცხადა ისევ ის ანგელოზი.

— შენ ისევ გასტყებ ალექსა და სამოთხეც დაქარგვ, უახრა ბერი-  
კაცს. მოუჭერდი პირს, იქნებოდი შენთვის ჩუქად და აღარ გაიდევნებოდი  
სამოთხიდან.

— ოღონდ კიდევ წამიყვანეო, ეხვეწებოდა ბერიკაცი და ფიცს ჰდებდა,  
რომ რაც უნდა ვნახო, მე ხმა არ ამოვიღოვო.

წაიხუანა ისევ ანგელოზმა სამოთხეში ბერიკაცი.

— იმ ეს შესამედ მოგიყვანე და იცოდე, თუ შესამედაც გასტყებ ალექსა,  
ველარაფერს გიშველი, ბერიკაც რომ შეხვეწოვო, უბძანა ანგელოზმა.

არის ბერიკაცი სამოთხეში, ნეტარებს იმისი სული. ხედავს ბევრს რა-  
სმე საკვირველს, მაგრა ითმენს და არა სძრავს კონტსა.

ერთხელ ბერიკაცი დასერიობდა სამოთხეში. ერთი კლდინი ხვეი გაი-  
არა და ერთ მინდორზედ გავიდა. ჰხედავს, რომ შუა მინდორში საიდანღაც,  
აღმათ მადლა მოებიდან თუ, ჩამოგარებულა ერთი უხარმაზარი კლდის  
ნაგლეჯი ლოდი. დაშვევია უთვალავი ხალხი, ვის არ ნახავ აქა: ჭართველს,  
თათარს, სომეხს, ურთას, ბერძენს, ფრანგს; მოუხვევით თოკები და ყველა  
თავისკენ ეწევა—ზოგნი წინ, ზოგნი უკან, ზოგნი იქით-აქეთ. ვერც ერთი  
შორე ვერ მიათრევს თავისკენ, ქვა ისე უძრავად გდია შუა მინდორში.  
უცქირა, უცქირა ბერიკაცმა, ველარ მოიხმინა და დაუყვირა: ხალხო, რამ  
გაგაგრიეთ, მაგდენი ხალხი ეწევით, სულ სხვა და სხვა შერისკენ, წელეებს  
იწვევთ, იმდენი ვერ მოგიფიქრებიათ, ყველანი ერთი შერადან მოექცეთ  
და ისე გასწიოთ ქვასა?

მოავონდა მოხუცს ალექსა, მაგრამ გვიანდა იყო!

გამოეღებო ბერიკაცს,—ისევ იქ არის, სადაც დაისვენა, მარილოც იქვე  
გდია. საშინლად დაღონდა, დაიწყო ტირილი. გამოეცხადა ისევ ის ანგე-  
ლოზი და გამოუცხადა, რამდენიც უნდა იტირო, შენ სამოთხეს ველარა ნა-  
ხეო.

— წმინდაო მხარობელო, შეგვედრა ანგელოზს ბერიკაცი, ერთი ეს  
სიკეთე მიყავ, ის შინც ამოხსენ, რას ნიშნავს ის, რის გულისთვისაც მე  
სამოთხიდან გამომაძევეს? ი ერთი კაცი, რომ ფინხს იკიდებს, ვერა სძრავს  
და კიდევ უმატებს, დაკლებს მიაციერად?

მეორეს ქვაბი ხორკით სავსე უდგია და ღვინით ქვევრი, სვამს, სვამს  
და კიდევ იქცევა სასშელოც და საკშელოც? ან ის რა არის, რომ ერთ მინ-  
დორზედ ერთ დიდ ლოდს მთელი ქვეყნის ხალხი ეხვევა და ვერ დაუძ-  
რათ?

— ის კაცი, რომელიც ფინხის ზინს იკიდებს, ვერ მორვეია და დაკლე-  
ბის მიაციერად კიდევ უმატებს, სიკაცხლის დროს ქურდი იყო. იმის მიაციე-  
რად, რომ ჯველობის დროს ნამოქმედარი სიბერის დროს მოენანია და უკა-  
ნასკნელი დღეები ღვთის ლოცვისა და ევდრებაში ეტარებინა, ის პირიქით  
უფრო ქურდობდა და ცოდვას კიდევ ცოდვას უმატებდაო, აუხსნა ანგე-  
ლოზმა.

ის კაცი, რომელსაც საქმელი და სასმელი ეტყევა, თუმცა ხარჯავს, მაგრამ წაინკ თავს გადმოსდის,—სიცოცხლის დროს ძალიან უბვი და სტრამართ მოყვარე იყო. იმის კარზედ ისე კაცი არ გაივლიდა, რომ არ შეებატრენა და კაი დროება არ გაეტარებინა.

ის ლოდი, ხალხი რომ ებევა, ყველა თავისკენ ეწევა და ვერაფერს-კი ვერ დაუძრავ ადგილიდან, არის ღმერთი, —იმისაც ყველა რჯული: ქართველი, თათარი, ურია, სომეხი, ყველა თავისკენ ეწევა და ცდილობს დაამტკიცოს, რომ იმის ღმერთია მხოლოდ ქეშპარიტი, მაგრამ ღმერთი-კი ერთია და ხალხი სულ ყველანი მოტყუებულები არიან. ესა სთქვა ანჯელოზმა და გაქრა.

ღარა ბერიაკი თავის მარლის ქვით. ბერს უამბო თავისი თავგადასავალი. ბერიაკები ვაკვირვებით თავებს იქნედნენ, ხალგაზღვბი-კი პირი-კით მასხარადაც იგდებდნენ, მოგჩენებიაო.

## 99. მონადირე

იყო და არა იყობა, იყო ერთი მონადირე. ერთბელ სანადიროდ წაივდა ტყეში. ბევრი ებეტილა, მაგრამ ვერაფერს შეხვდა. საღამო ხანზედ ხელ-ცარიელი აპირობდა სახლში დაბრუნებას. დაჯდა დასასვენებლად. ამ დროს ველზედ ირმის ნუჯი გამოვიდა საძოვნელად. მონადირემ დაუმიზნა თოფი, ესროლა და მოვლა ირმის ნუჯი. სატყაებლად რომ შეადგა, როგორღაც თავზედ გადაილაჯა. უცებ იქცა ეს მონადირე ლამაზ ქალად. მონადირე ძალიან შესწუხდა, მაგრამ ამა რაღას უშველიდა თავსა? აიხსნა რაც იარაღები ჰქონდა, დაჰკოდა იქვე ხეზედ და გასწია; თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა. ბევრი იარა, თუ ცოტა, მესამე დღეს ერთ უცხო ქალაქში შევიდა. დადის უპატრონოდ, ვის იცნობს? ვის ეტყვის თავის გაკირვებას უცხო ქვეყანაში?

ამ დროს ერთ ბებერს ძროხები ჰყოლია დასაწველი, დაუწველია და მიაქვს თავის სახლში. ბებერმა შეატყო, რომ ეს ქალი ხამი იყო და გამოკლაპარაკა: ვინა ხარ, შეილო, ან საიდანა ხარ? ამ დროს რა გინდა ვარეთ? ნუ-თუ შენმა პატრონმა ისე გაგიმეტა, რომ ამ დროს ქუჩაში უპატრონოდ გატარებსო?

ქალმა შესჩივლა, რომ პატრონი არაინა მყავს და თუ იმდენ სიკეთეს მიხამ, რომ შენთან წამოიყვან, შენ—დედა და მე—შვილი. ჯანი არ მაქვია და ღონე, რაც საქმე გექნება, მე გაგიკეთებო.

გაუხარდა ბებერს, წაიყვანა ქალი შინ. ისეთი ყომალია, ისე უფლის სახლს, რომ ბებერი სიხარულით ფეხზე აღარა სდგას.

გავარდა ქალის სილამაზის ხმა. მოსდის და მოსდის მათხოვარი. ერთ-ხელ იმ ქუჩაზედ გამოიარა ხემწიფის შეილება, დაინახა ეს ქალი და ჩაუვარდა გულში იმისი სიყვარული. დაბრუნდა სახლში დაღონებული. ათასნაირად

ვცადნენ, მაგრამ ველარ გამბზარულეს ეს ვატი. ხემწიფე ძალიან დალონდა. ჰკითხა შეილს მოწყენილობის მიზეზი. შეილი ჯერ უარზედ იდგა, მაგრამ ბოლოს გაუმტლანა, რომ ერთ ბებერს ერთი მხეთუნახაეი ქალი ჰყავს და თუ ის არ შევირთე, არ შემოძლიან მეტოი.

მაშინ მაშინვე გაგზანა კაცები. ახოვნინა ის ბებერი, წამოიყვანეს ქალი და დასწერეს ვაქზედ ჯვარი.

ერთი წლის შემდეგ მიეცა ვატიშვილი. ერთხელ ამ ქალმა სთქვა: ამა წაივალ ზუმად და დავათვლიერებ, ჩემი იარაღები იქვეა, თუ წაიღო ვინმეო? იარა, იარა და მოვიდა იმ ადგილას. ნახე ზეთის განგება,—ეს ნუკრიც იქვე გდია და იმის იარაღებიც იქვე ბეზედ ჰკლდია.

ქალმა სთქვა: თუ მაშინ ზედ გადავალაჯე და ქალად ვიქცე, ამა კლდე ვცდი, იქნება ისევ კაპად ვიქცეო. გადაალაჯა შუა წელზედ და იქცა ქაცხენად. შორბის ცხენი კიხინით, მოვარდა შევის სისახლესთან. ქვეა კაცი-სა აქვს, მაგრამ ლაპარაკი კი არ შეუძლიან. ცხენი დაიპირეს, თავლაში შეიყვანეს. ხემწიფის რძალი ეძებეს, იკითხეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა, თუ დედა-მიწამ, იმისი ველარა გითვს რა.

გავიდა ხანი და ამ ქაკმა ცხენმა შობა ერთი კვიცი. ასეთი რაშია, ზედ ვერავენ ჰბედაეს შეჯდომის. თვალებიდან ცუცხლსა ჰყრის. ერთხელ ქაცხენზედ ჩუმად შემჯდარა ხემწიფის ერთი მეჯინბე, უფიქრია, შევეჯდები და გავიტარ-გამოვიტარებო. შიარახის დაკრას შეუჭყვეველი ქაკი, მოხედა თუ არა შიარახი, ეცა შიასა და კლდეს. მხედარი გადმოაგდო, ვინ იცის, სად შეახეთქა ქვასა და კლდეს, თვითონ კი მოკლულ ირმის ნუკრთან მოვარდა და წელს ქვემოთ გადაბტა ზედა. გადაბტა თუ არა, იქცა ცხენი ქოფაკ ძალდა. ვაიქცა სისახლესში. ცხენი ეძებეს, ველარ იპოვეს. საშაგიროდ სანაქებო ქოფაკი იშოვა ხემწიფის შეილი-შეილი.

გავიდა ხანი. დაყარა ძაღლმა ლეკვები. ისეთია ხემწიფის შეილი-შეილი, არ იშორებს გვერდიდან არც რაშს და არც ამ ძაღლსა.

ერთხელ ხემწიფის შეილი-შვილი თავისი რაშით და ძაღლით სანადიროდ წაივდა. ტყეში ერთი კურდღელი გამოუბტა. გამოეკადა ძაღლი. შირბის კურდღელი, მისდევს ძაღლი. ირბინეს, ირბინეს და, სადაც მონადირემ ირმის ნუკრი მოკლა, სწორეთ იმ ტყეში მოვიდნენ. გადაბტა კურდღელი ირმის ნუკრის კუღზედ, გადაჰყვა ძაღლიც და ხელად ისევე მონადირედ კი იქცა ეს ძაღლი. ღმერთს მადლობა შესწირა მონადირემ, ჩამოიღო ხიდან თავისი იარაღები და გასწია შეილის საძებნელად. ხემწიფის შეილი-შეილიც, რაკი ძაღლი აღარ დაბრუნდა, გაჰყვა კვალზედ, არ უნდოდა იმისთანა კაი ძაღლის დაკარგვა. მოდის, ეძებს და ტყეში ერთ კოშკსა ნახავს. თავის მხლებლებს ჰკითხავს: ვისია ის კოშკი, ან ვინა სდგას შიგ, ან ამ უღრან ტყეში რათ აუშენებიათო?

— ამ კოშკში ერთი მხეთუნახაეი ქალია, მოახსენეს მხლებლებმა, ვინც იქ მივა, ქალი ხამ სიტყვებს ჰკითხავს; სამი ისეთი რაშე უნდა უთიარას კაცმა, რომ ჯერ არც ეთქვას ვისმე, რომ არც დასაჯერი იყოს და შირთალი-კი იყოს. იმ ქალს ერთი ოქროს ქვაბი უდგია ოქროს წყლით და ხორა-

ყოფილ. თუ ვინმე სთქვა ასეთი სიტყვა, იმ ოქროს ქვაბში ის ოქროს წყალი აღდგება და იმ ოქროს ხორცს მოხარშავს. ის ქალიც იმას ცოლად გაჰყვება და ვინც ვერ იტყვის იმისთანა ხამ სიტყვას, იმას თავს მოსჭრისო.

გასწია ვაჟმა ქალის კოშკისკენ. თუმცა იცის, რომ ისეთს ვერაფერს იტყვის ქალს, რომ არაფერს ეთქვას, არც დასაჯერი იყოს და არც ტყუილი, მაგრამ ქალის ნახვა ძალიან მოუნდა. რაც მომივა, მომივა და უნახავს-ც არ გაფუჭებო. რომ მოდის დაღონებული და შემოხვდება წინ მონადირე. ამის დანახვამდე დადგა რაში, დაიწყო კიბინი და მონადირისკენ წევა. ეს ლტყვები კლდე ისეთებია, ვხვევიან ამ მონადირეს და ლოკავენ. სდგას გაცივრებული და გაჯავრებული ვაჟი. უჯავრდება ცხენს, მაგრამ ცხენი არ იძვრის ადგილიდან. პოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ვაჟმა უბძანა მხლებლებს მონადირის მოკვლა.

მონადირემ უთხრა: წამო, მე წამოგყვები იმ ქალიდან, მე ვეტყვი ისეთ სიტყვებს, რომ ჩემმა სიმატლემ ქვაბში წყალი აღდგოს და ის ქალი შენ დაგჩქესო. ვაჟს ძალიან გაეხარდა, გაიძლოლა წინ მონადირე და გასწიეს ქალის კოშკთან. რომ მივიდნენ, კაცი გაუგზავნეს და შეუთვალეს: ამა და ამ ხემწიფის შეილი-შეილი მოვიდა შორი გზიდან, სამი სიტყვა უნდა ვითხრას, რომ შენს ოქროს ქვაბში ოქროს წყალი აღდგეს და ოქროს ხორცი მოხარშოს, და თუ ეს დასრულა, უნდა ცოლად გაჰყვო.

მონადირემ უთხრა შეილს: (ეს ვაჟი ხომ მაშინ შობა, როცა ქალად იყო ნაქცევი) როცა იქ მივიდეთ, შენ უკან იდევ, მე ვეტყვი, ჩემი ბატონი დაღალულია და მე დაშავალა, მოგახსენათ ის სამი სიტყვაო. ვაჟს გაეხარდა და დათანხმდა. გაგზავნეს კაცი. ქალს თანხმობა განეცხადებინა და შემოეთვალა, მობძანდითო. ქალი მიღლა კოშკში ბძანდებოდა და თან თავის ნახორ-ვეზირები და მამაც იქვე ჰყვანდა მოწმად. რომ მივიდნენ, მონადირე და ხემწიფის შეილი-შეილი, მონადირემ მისცა სალაში ხემწიფეს, იმის ქალს და იქ შეკრებოლს ხალხს და მერე მოახსენა: აი ეს ვაჟია ჩემი ბატონი. რადგან დაღალულია, მე მიბძანა, რომ მოგახსენათ სამი სიტყვა, მიმოძებთ ნების თუ არაო?

— სთქვი! სთქვიო! გადმოსძახეს ყველამ.

მონადირე მიბრუნდა, ხელი ვაჟისკენ გაიშვირა და სთქვა: რას ფიქრობთ, მე ამ ვაჟის დედა ვარ, თუ არა?

ამ სიტყვამდე ქვაბ ქვეშ ცეცხლი გაჩნდა.

მონადირემ განაცხაო: ან იფიქრებთ, რომ ეს რაშიც ჩემი ნაშობია?.. ოქროს ქვაბში ოქროს წყალი აღდგა.

მონადირემ დაასრულა მესამე სიტყვით: დაიჯერებთ, რომ ეს ლტყვებიც ჩემი ნაშობი შეილებია?

ამ სიტყვამდე ქვაბში ხორცი მოხარშა.

ვაჟმა ქალი წამოიყვანა და გადიხადა სანაქებო ქორწილი. მონადირე-ც სადღაც გაქრა. ბერიც ფეხებს, მაგრამ ველიარ იშოვეს.

კირი იქა, ლხინი იქა,

ქატო იქა, ფქვილი იქა.

## 100—ხემწიფის ქალისა, ავაზაკებმა რომ გაატყვეს

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე. პუვანდა ერთი ქალი.

იმ ქვეყანაში ავაზაკობა ძალიან გავრცელებული იყო. ხემწიფეს რომ ვერა მოჰპარეს-რა, იდგნენ და ქალი მოჰპარეს.

წაიყვანეს ავაზაკებმა ქალი და ერთ სახლში მალლა ჩამოკიდეს. ძუძუებიდგან დაიწყეს და თათის ფრჩხილებამდის ჩამოატყავეს. ისინი რომ შეშინსა და ნათის მოსატანად წაეიდნენ, უნდა ცეცხლში დაეწვათ, ამ დროს ამოიარა ერთმა ქარავენმა.

ქარაენის პატრონმა უთხრა მოჯამავირებმა: აქ სახლი ჩინს, ჯორ-აქლემებს მოუდგებთ, მე შვილ, იქნება ან იყიდონ, ან გაყიდონ რამეო. მივიდა, დაიძახა, ხმა არავინ გასცა. შევიდა პირველ ოთახში,—არავინ იყო; გავიდა მეორე ოთახში, არც არავინ იქ იყო. მერე მესამეში რა შევიდა, ნახა, რომ გატყვევებული ქალი ჰკლდა და ოდნავ-ღა ფეხავს. მაშინვე სწრაფად გამოვიდა, ანიშნა მოჯამავირებს, აქ მოდიო. მოჯამავირე მოვიდა.—წამოაჩქე აქლემი და ბაშა ჩამოიდგო. წამოაჩქე აქლემი მოჯამავირებ, ამოიღეს ბაშა. შევიდნენ, ჩამოსწეს ცოცხალ-მკვდარი ქალი, შეახვიეს ბაშაში, აქიდეს აქლემს.—ახლა გასწითო. რაც შეეძლოთ, წაეიდნენ ჩქარა.

როცა ქარაენს კი-გზა ჰქონდა გაელილი, მაშინ-ღა მოვიდნენ ავაზაკები. ნახეს—ქალი აღარსად არის. იი აქეთ ეცნენ, იი იქით ეცნენ, ფეხებს ყველგან, მაგრამ ვერსად ნახეს. ხან ეისა ჰკითხვენ და ხან ეის, აქ ხომ არავინ ყოფილაო? ყველა ეუბნება, არავინ გვინახიაო. ერთი ბებერი შესედით სიიდანლაც; იმან უთხრა, გუშინ ამ დროს ამაზედ ერთმა დიდმა ქარავენმა გაიარაო. ავაზაკებმა სთქვეს: სწორეთ ისინი წაიყვანდნენო. აბა გამოუფუდგეთ, ეგები დაეწვიოთო. მართლა გამოუფუდგნენ.

შორს გაზხედ ბუზივით რაღაც მოჩანს. ქარაენის უფროსმა სთქვა: ეს სწორეთ ჩენნი მდევრებია, ქალს ეძებენ; აბა ჩამოილაგეთ ჩქარა; ისე ეი დაილაგეთ, რომ შუაში ჩვენ დაფრეთო.

ჩამაიღებეს, შუაში ქალი დაწვიეს, ირგვლივ სულ ციხესავით შემოართყვეს საცალოები.

მოვიდნენ ავაზაკებიც.—ქალი თქვენ წამოიყვანეთო?

—არა, რა ქალი, რის ქალი, კაცო, ჩვენ არაფერი წამოგვიყვანიაო, უბსუხა ქარაენის უფროსმა.

—მაინც უნდა გაესინჯოთო, სთქვეს ავაზაკებმა.—გასინჯეთო.

აიღო ერთმა შუბი და სჩხელეტყვეს საცალოებს,—თუ აქ სადმეა, ან დაიყვირებს, ან სისხლი გამოჰყვება შუბსაო. ბოლოს ქალთანაც მივიდა. შუბის წვერი ქალს ცოტათი შერტკო გვერდში, მაგრამ რაკი ბაშაში იყო



გახვეული, ბამბამ გაწმინდა სისხლიანი შუბი. ავახაყებმა რაკი ვერაფერად  
იპოვეს, ქარაიანს უთხარეს: წადით, დმერთმა ხელი მოგიმართათო!

აიყარა ქარაიანი, აქიდეს ჯორ-აქლემებს საცალოები და გაუდგენ  
გზასა. იარეს, იარეს და ერთ წყაროსთან ჩამობდნენ. ქარაინს უფროსმა  
სთქვა: ეს ქალი რომ თან ეატაროთ, ამოტუნა ჯანჯღარს ვერ აიტანს და  
მოკვდებაო. მაგას მოსვენებით წოლა უნდა და ხელის შეწყობაო. ისევე აქ  
წყაროსთან დაეწვიონო, ფული დაუტოვოთ; მოვა ვინმე ღვთისნიჭი და  
წაიყვანსო, მით უმეტეს, რომ თავისი საზრდო ფული თან ექნებაო. ასეც  
მოიქცნენ. დაწვივნეს და თავით ერთი ხურჯინი ფული დაუდო: ერთ თვალში  
ოქროსა, მეორე თვალში ვერცხლი. დაწვივნეს და თვითონ წაიღდნენ.

მეორე დღით წყალზედ ერთმა მებრემ კამიტები შორეკა. საქონელი  
ფთხება, არა სომენ წყალსა. მებრემ სთქვა: კულავ მოპირეკნია და თვი-  
თონ დაუღვეიათ, არ დამფრთხიან, ესლა რა ნახესო? მოდი, მივალ, ვნა-  
ხავო. მივიდა ნახა, რომ ბამბაში გახვეული ერთი გატყავებული ქალი წევს  
და თავით ერთი ხურჯინი ფულით სახეს უდევს. მებრემ მოიკიდა ქალი ზუ-  
რგზედ, ის ხურჯინიც, ამხანაგებს დაუძახა, ე ხარებს ყური უგდეთ, სანამ  
მოვიდოდე, არ მცალიანო, და მიაჩმევინებს შინათყენ.

ღედაყაცი პითხავს: კაცო, ვე რა არისო?

— მოდი შენ აქ ქენა გაშალე, თვითონ ნახავ, რაც არისო. გაშალეს  
ქენა, დაწვივნეს ზედ ავადმყოფი, თვითონ დობტურთან ვიქცა, ავადმყოფი  
შეავს, წამოდი, ნახე, და ოცდაათ ოქროს მოგცემო.

გასწი და მე წამოვილო. დობტურს ტყუილი ეგონა და არ წავიდა.

რაკი დობტური არ მივიდა, მეორე დღეს წამოუღო ორმოცი ოქრო,  
დაუყარა წინ და უთხრა: ამა ეს ორმოცი ოქრო და წამოდი, ნახევო. ღვთის  
წყალობა გაქვს, მაშინ კი დაფიცურდა დობტური. შეგდო ცხენზე და გასყვა.  
მოვიდნენ მებრეს სახლში. დობტურმა ქალი ნახა, მისცა წამლები, ზოგი დი-  
სალევი, ზოგი წასასმელი, ისე რომ ქალი ერთ კვირახვედ შორჩა.

— მამი, ერთი ამყენეო. აყენა.—მამი, ცოტა პური მიმიტაო!

მაშინვე ქათამი დაუღია, წველა მოუტანა, კარგი პური აქამა.

— მამი, ერთი ოქრო მისესხეო!

— სულ შენი არ აღი, შეილო!?

— არა, ერთი ოქრო მისესხეო.—აიღო და მისცა.

— მამი, ეს ოქრო წაიღე, დაახურდავე და ოქროქსოილი მომიტანეო.

წაიღო მებრემ ოქრო, დაახურდავე, და, რაც საქირო იყო, უყიდა. ქალ-  
მა მოქსოვა და გაატანა ვასაყიდად: გაყიდე და კიდევ ოქროქსოილი მი-  
ყიდეო. გაყიდა იმნაც, უყიდა ისევ ოქროქსოილი და მოუტანა. ახლა და-  
ჯდა ქალი და ერთი საუცხოვე პირსახოცი შეერა.—წაიღეო, უთხრა მა-  
მობილს, ხემწიფის კარზედ მიიტანე, და ის იყიდისო.

წაიღო მებრემ, როგორც ქალმა უთხრა, მიიტანა პირსახოცი შეფის კარ-  
ზედ,—არ იყიდითო?—როგორ არ იყიდითოთო. ნახეს: ეს ხომ ჩვენი სოფოს  
შეკერილიაო! მისცეს ორასი თუმანი.

წამოიღო გახარებულმა მებრემ და მოუტანა ქალსა. ქალმა აიღო, ასი



თუმანი მებრეს მისცა და ასი თუმანიც გაატანა, წაიღე და ამ ასი თუმანისა სულ ფერადი ოქრო-ქსოილი მიყიდევო. უყიდა და მოუტანა. დაადგა ქალი და ისეთი ხალი მოქსოვა, იმისთანა ვერაფერს ნახავს კაცი:—წაიღე და ხემწიფის კარებზედ მიიტანეო, უთხრა ქალმა, ისინი იყიდიანო. მიიტანა მებრემ ქალის შამა-ხემწიფესთან ხალი და ბიქს უთხრა: ხემწიფეს მოახსენე, ხალს არ იყიდისო? ბიქი შევიდა და მოახსენა. ხემწიფემ ბანა, აქ ამოიტანოსო.

ავიდა მებრე და აიტანა ხალი. იცნეს, რომ ხემწიფის ქალის მოქსოილი იყო, თავი ველარ შეიმაგრეს, გული ამოუჯდათ, დაიწყეს ტირილი.—ეინა ქსოვს ემასო? ჰკითხა ხემწიფემ. მებრე მოუყვა, როგორც იყო: მებრე გახლდით, ერთ დილით წყაროზედ საქონელი მიერგეე, კამეჩები ფთხებოდნენ, არ მიდიოდნენ წყალთან, აედექ და მიველ. დაეინახე, რომ გატყვევებული ქალი შამაში გახვეული წყაროსთანა წყეს, თავით ერთი ფულით საესე ხურჯინი უდევს. მაშინვე ავიკიდე და შინ წამოვიყვანე. მაშინვე დობტურთან ვაეიქვეს, მოვიყვანე, უწაპლეთ, და დღეს საღათ ბძანდებამო.

— მართლია?—მართლიაო.

მაშინვე ჩასხდნენ ტახტრევეანში და გასწიეს მებრის სახლში. ისეთებია, სულ ერთმანეთს კოცნიან და ტირიან.

— არ დავგანებებ ჩემ ქალსო? ჰკითხა ხემწიფემ.

— რატომა, ბატონო! მე და ჩემი კოლიც რო წავგიყვანო, წინ ვინ დაგიდგებო, მაახსენა მებრემ.

— რა გირჩენია, რო მოგცეო? ჰკითხა ხემწიფემ.

— მე არაფერი მინდა, ბატონო, გამანათვისუფლე, რომ ქარისა და მზის მგტი ჩემს კარებზე არაეინ მოვიდესო.

ხემწიფემ გახადა თავისუფალი, შრიალი ფულიც მისცა და გაამდიდრა. სოფელდები შურათლა შესტკეროდნენ თავისუფალ მებრესა.

ჭირი იქა, ღზინი აქა.

ნაყარი იქა, ფქვილი აქა.

აი ელასა-შელასა.

ტიქა შეკიდა ყელასა.

მთქმელსა და გამგონებელსა

ძილი გაამოთ უველასა!

## 101—ბაყაყის ქალისა

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე, ჰყვანდა სამი ვაჟიშვილი. როცა კორწილის დრო მოუვიდათ, შამამ უთხრა: წადით, შეილო, გაისროლეთ ისარი, ვის ბანზედაც დაეცეს, იმათი ქალი შეირთეთო.

ძმები ასე მოიქცნენ. გაისროლა უფროსმა ძმამ და ისარი ხემწიფის ბანზედ დაეცა. წაეიდა და წამოიყვანა იმისი ქალი.

გაისროლა შუალაში, ისარი ვეზირის ბანზედ დაეცა. წაიღა შუალა და მოიყვანა ცოლად ვეზირის ქალი.

გაისროლა უმცროსმა და ისარი ერთ ქაობაში ჩავარდა. წაიღა ვაგი ისრის მოსატანად. ამოაძრო ისარი და გამოჰყვა ერთი ბაყაყი. ასეთია ეს ვაგი სიბრახით გულზე სკდება, ამოჰკრავს წიხლს ბაყაყს, გადაადებს უკან, მაგრამ ბაყაყი მიიწე არ ეშვება. მოვიდა სახლში და მოიყვანა ბაყაყი. ასეთებია უფროსი რძლები, სიხარულით ფეხზედ აღარ დგანან. დასკინიან უმცროსს ძმას და იმის ბაყაყ-ცოლსა. ითმენს უმცროსი ვაგი, აბა რა ვთქმის?

ძებნი გაიყარნენ და უმცროსი ძმა გაინაპირეს. დაიჭირა იმან ერთი დედაკაცი მოჯამაგირედ: აბა რას გამოიკეთებს ბაყაყიო. მაგრამ წავა თუ არა სხვაგან ქმარი და ის დედაკაცი, ბაყაყი გადიძრობს ბაყაყის ტყავს, ისეთი ლამაზი ქალია, რომ შუქი თაროს ადგება. დატრიალდება, დაჰგვის, დაასუფთავებს, დაჰდგამს, მოხარბავს საქმელს, დარეცხავს, დაასუფთავებს ჯამ-კურკულს, მერე წამოისხამს ისევ ბაყაყის ტყავს და დაუწებდება ეკრასთან. წელიწადი რა გავიდა, ვაგი უთხრა მოჯამაგირე დედაკაცს: მოდი, მიანგარიშე, რა გერგება, შენი ჯამაგირი მიიღეო.

— კი არაფერი გამოიკეთებიაო, უთხრა დედაკაცმა და ჯამაგირი რაში მერგებო?

— მაშ ვინ აკეთებდა ჩემ საქმეს? სახლს ვინ უვლიდაო?

— მე რა ვიციო!

ამ ვაგმა სთქვა, თუ არ ვუცხარაულე და არ გავიგე, ვინ უვლის ამ ჩემ სახლს, არ იქნებო. ვაგი დაიშალა. ქალს ასე ეგონა, წაიღაო. გადიძრო ბაყაყის ტყავი, იქით მიავდო; ისეთი ქალია, თაროს შუქი ადგება. გააკეთა ხაში, მოხილა პური, დააღავა, დაასუფთავა სახლი და ახლა თონეს უკიდებს. ამ დროს გამოვიდა უცებ ქმარი, დაავლო ბაყაყის ტყავს ხელი და თონეში-კი ჩაუძახა. — ნუ დასწევ, თორემ ინანებო! უთხრა ცოლმა, მაგრამ იმან არ გაიგონა.

ისეთია, ამ ქალის სახელი ქვეყანაზედ მოიფინა. შურთ ამ უფროს რძლებსა, გულები უსკდებათ.

ხეშწიფე ავად გახდა. შეილები და რძლები დაიბარა, უნდა მნახოთო ბაყაყის ქალმა შეუთვალა უფროს რძლებს: ქალაღდის ტანისამოსს ვიკერავ და ერთი ნაჭერი დამაკლდა და გამომიგზანეთო. იმათ შემოუთვალეს: ჩვენც ვიკერავთ და ჩვენთვისაც არა გვაქვს საკმაოვო. მართალი ეგონათ და იმათ მართლა ქალაღდის ტანისამოსი შეიკერეს ხეშწიფესთან წისასვლელიად.

მერე კიდევ შეუთვალა ბაყაყის ქალმა: უნდა მამამთილის სანახაელ წაიღე და ან ერთი ცხენი მათხოვეთ, ან ერთი ვირი, ან ერთი ძაღლიო.

— ჩვენ თვითონა გვკირდება და შენთან ნურას უკაცრავათაო! შემოუთვალეს რძლებმა.

თორმე შეუკერიათ ქალაღდის ტანისამოსი, ჩაუცვამთ, დიდი რძალი ცხენზედ შემგლარა, მორე სახედარზედ, ძაღლზედ ასაკედებელი აუკიდნით და მიდიან მამამთილის სანახაელ.

ბაყაყის ქალმა უთხრა ქმარსა: წადი ჩემ სამშობლოში, ასე უთხარი, თქვენმა ქალმა შემოგიტყალა: ერთი წითელი რაში, ერთი ლურჯი რაში და ერთი თეთრი რაში გამომიგზანეთო.

ქალი კარგათ მოიხროთ. წითელ რაშხედ თვითონ შეგდა, ლურჯზედ ქმარი შესო და თეთარ ასაკიდებელი აქიდა და წავიდნენ. უფროსი რძალეზი, რომ შუა გზაზედ იყენენ, ბაყაყის ქალმა ძალზედ დიდი წვიმა დაუშო. რის ვაივავლობით ძლიერ მაახწიეს. როცა ხემწიფესთან მივიდნენ და სუფრაზედ ისხდნენ, ქალაღდის ტანისამოსი სულ ზედ ჩამოადნათ. მერე ისინიც მოვიდნენ. ის გაწუწული აღმაძღვარე ხალხი შინ წამოვიდნენ. ბაყაყის ქალი და იმისი ქმარი იქ დარჩნენ.

მამათილის მოსწონებია რძალი. შეიღს უთხრა: ვე კოლი მე უნდა მომცო. ვაჟმა უარი უთხრა. ხემწიფემ უთხრა: თუ წახვალ და მავან მიწას ერთ დღეს მამიხნავ და დამითესავ, ხომ რა კარგი, თუ არა და—მაგ კოლს წაგართმევო. ვაჟი ძალიან დაღონდა, იმ მიწას ას დღესაც ვერ მოხნავს გუთნეული და ამან ერთ დღეს როგორ უნდა მოხნას?

წავიდა ვაჟი დაღონებული კოლთან.—ჩად დაღონებულხარო? ჰკითხა კოლმა. ვაჟი მოუყვა თავის თავგადასავალს. ქალმა უთხრა: აკი ვითხარ, მაგ ტყავს ნუ დამიწვამ, თორემ ინანებო. აბა ეხლა რაღა იქნება, წადი ჩემ სამშობლოში და უთხარ: თქვენმა ქალმა შემოგითვალათ, მავან-მავანი უღვლი ხარი რა გყავთ, გამომიგზავნეთო. მატარ-მატარე, პურიც თან წაიღე, თვითონ მოახენის და დაითესება კოდცაო.

ეს რომ ასარულა, ხემწიფემ ისევ შარი მოუღო: უნდა წახვიდე და, რაც თესლი დასთესე, ისევ ამიკრიფოო, თორემ კოლს წაგართმევო. ვაჟი ძალიან დაღონდა. მივიდა კოლთან.

—რამ დაგაღონა მაგრე, შენ გენაცვალეო? ვაჟმა ყველაფერი უამბო. ქალმა უთხრა: წადი ჩემ სამშობლოში, ასე უთხარ, მავანი და მავანი შავი გორგალი რომ გაქვთ, გამომიგზავნეთო. გადაავდე ხნულში, სულ ქიანქველად იქცევა და ხელად აკრეფნო.

მართლაც ასე მოიქცა ბიჭი, როგორც კოლმა დააბიჯა. ქიანქველებმა ხელად აკრიფეს მარცვლები და სულ ორშოს პირთან მიიტანეს. ხემწიფემ სთქვა: „ერთი მარცვლი მაკლიაო!“ — აგერ ისიც მოიქცეს, უთხრა ვაჟმა. ერთი ქიანქველა უკან დარჩომილიყო და იძახდა: მომაქეს! მომაქესო!

ხემწიფემ უთხრა: თუ გათენებაშდე ჩემ სახლკარს გაღაფანს შემოარტყამ, ხომ რა კარგი, თუ არა და—კოლს წაგართმევო.

წავიდა ვაჟი დაღონებული კოლთან, უამბო ყველაფერი. კოლმა უთხრა: წადი ჩემ სამშობლოში, — მავან-მავანი სარკე რომ გაქვთ, გამომიგზავნეთო! მოგცემენ, მიანათე-მოანათე, და ხელად გაღაფანი შემოარტყმისო.

როგორც კოლმა დააბიჯა, ვაჟი ისე მოიქცა. მეორე დღეს გაღაფანი შხათ არის. ვაჟი ზედ გაიღოს და გამოიღოს.

ხემწიფემ უთხრა: თუ წახვალ და დედაშენს საიქიოს რომ ერთი ნეკის ბეჭედი გაქცევა, იმას მომიტან, ხორა კარგი, თუ არა და—წამდელიად წაგართმევ კოლსაო.

წავიდა ვაჟი კოლთან დაღონებული. კოლმა ჰკითხა: რამ დაგაღონა, ჩემო სიკოცხლეო.—მამაჩემი მეთუბნება, საიქიოს დედაშენს ერთი ნეკის ბეჭედი გაქცევა და ის უნდა მომიტანოო!—წადი ჩემ სამშობლოშიო, უთხრა

კოლმა, და უთხარი: თქვენ რომ ბაღდადი გაქვთ, ის ბაღდადი გამომიტანეთო! გადაქიდე ერთ მაღალ ხეზედ და საიქიოს ჩახელო.

როგორც კოლმა დაარჩია, ვაჟი ისე მოიქცა. მისცეს ის ბაღდადი, წაშლია მოილო და გადაჰყინა ერთ მაღალ ხეზედ და ჩავიდა საიქიოს.

ხედავს, ერთ დედაკაცს თონე გაუხურებია, ისეთია სულ ნამერწყლებს ისვრის. მისულია და ზედ გადულაჯგებია. ვაჟს გაუყვირა და ჰკითხა, რათ გადამოტილხარ მაგ თონეზედო?—აიარე, ჩამოიარე და მერე გეტყვიო. ამვლეელი ბევრი მინახავს და ჩამომვლეელი-კი არც ერთიო.

ვასცდა ვაჟი და წავიდა. ერთ დედაკაცს თონე გაუხურებია, ძუძუებს იწიწინის და თონეში აკრავს.—რასა შერები მაგას, დედიო? ჰკითხა ვაჟმა.—აიარე, ჩამოიარე და მერე გეტყვიო. ამვლეელი ბევრი მინახია და ჩამომვლეელი-კი არც ერთიო!

ვასცდა ამასაც და მიღის. ერთ ძროხის ტყავზედ კოლქმარი წევს და კიდევ ვერ ეტყვიან.—რა დაგემართათ, რომ მაგოდენა ტყავზედ ვერ ეტყვიანო? ჰკითხა ვაჟმა.—აიარე, ჩამოიარე და მერე გეტყვიანო! ამვლეელი ბევრი გვინახია და ჩამომვლეელი-კი აღარავინაო.

ვაიარა და დაინახა, რომ ერთ ცულის ტარზედ ერთი კოლქმარი წვანან და ლამაზით ეტყვიან.—როგორ ეტყვიან მაგაზეო? ჰკითხა ვაჟმა.—აიარე, ჩამოიარე და მაშინ გეტყვიანო. აელლი ბევრი გვინახია და ჩამომვლეელი-კი არც ერთიო!

ვაიარა და ნახა, რომ ერთი გუთნის დედა წევს და ცხრა უღელა ხარი და კამეჩი ეხვევიან და ლოკავენ.—კაცო, უთხრა ვაჟმა, ადგე, შეეცა, რაზედ ექმევიანები საქონელსაო?!—აიარე, ჩამოიარე და მაშინ გეტყვიანო. აელლი ბევრი მინახავს და ჩამომვლეელი კი არც ერთიო.

მერე მივიდა თავის დედასთან.—შვილო, რა გაგქორებია მაგისთანა, რომ აქ მოხვედიო? ჰკითხა დედამ.—რაღა რა გაქორებია, მამაჩემმა გამოგზავნა, შენ რომ საიქიოს წეყის ბექელი წაიღე, ის გამომიგზავნო. თუ არ მივეუბნე, კოლს წამართმევსო.

—აჰა, წაუღეო! მისცა დედამ, და ეგრე უთხარია: შენი დიდი საცხორებელიდამ ხომ ამის მერე არა წამომიღია რა და ამასაც მოჰტარი, ამა ცეცხლი და შიგ დაიწვიო.

გამობრუნდა ვაჟი, წამოილო ბექელი. მოვიდა, გუთნის დედას რომ ცხრა უღელა ხარი და კამეჩი ლოკაედა, იმ კაცმა უთხრა: შე იმ ქვეყანაში სწორე გუთნის დედა არ ვყავი. ჩემთვის უნათებლივ შევაბამდი გუთანსა და ბინდისას გამოუშვებდიო. როცა სხვისა ხენა იყო, გვიან შევაბამდი და აღრე გამოუშვებდიო, იმისთვისა ვარ ამ დღეში ჩაგდებულდიო!

ჩამოიარა, რომელიც ცულის ტარზედ იწვენენ, იმათ უთხრეს: იქაც ვვითი ტკბილი კოლ-ქმრობა გვქონდა და აქაც იგრე ვართო.

ჩამოიარა და ახლა იმათ ჰკითხა, ძროხას ტყავზედ რომ არ ეტეოდნენ.—ვერც იქა ვრიგდებოდით და ვერც აქაო.

ჩამოიარა და, დედაკაცი რომ ძუძუებს იწიწინიდა და თონეში პურის მაგიერად აკრავდა, იმას ჰკითხა. დედაკაცმა უთხრა: ისე გამოვაცხობდი

ხოლმე პურსა, რომ ერთ ღუქებს არაღის არ მოვეუტებადითო. აი ვხლა ამიტომ ვარ ამ დღეშოო.

ჩამაიარა ახლა, დედაკაცი რომ გახურებულ თონგზედ გადაბოტილიყო, იმან უთხრა, იქაც ზემო ქმარი არ მიყვარდა, სხვათთან მივდიოდი და აი აქ ამიტომ ვარ ამ შავ დღეშოო!

გადაათარა ის ბაღდადი ისევ და მოვიდა თავის მამასთან. მისცა ბეჭედი და უთხრა: ასე შემოგითვალა დედამქმა, ამის მერე ხომ არა წაპილია-რა შენი დიდი სარჩო და საქოერებლიდგან, ამა ცეცხლი და დაიწეა შიგაო!

სიტყვა თუ არა ეს სიტყვა, გაანდა ცეცხლი, და შიგ დაიწეა იმისი მამა. იმისი სარჩო-საბადებელი და მთლად სახემწიფო სულ იმას დარჩა.

## 102. — რ ა ს ტ ა მ ი

როსტომს კბილი სტკოდა, მიწა მიწად არ ეჩვენებოდა და ცა ცად. მოაფლვდა ხელს კოკლს დევს და ხან აქეთ უკრავდა თავს და ხან იქით. „ზემზე რა ბიკობას იჩენ, გმირო როსტომო, შიშოვე ერთი კოკლი და ხან რას მიშერები და ხან რასო“, უთხრა კოკლმა დევმა: თუ სახელი გინდა და თავის გამოჩენა, წადი ამ დაბურულს ზევში, იქ შეგზულება საფერი და ხმალი იქ იხპარეო“. როსტომს შერცხვა, აიღო ლხტი და ხმალი და გასწია ხვეისკენ, საითყენაც კოკლმა დევმა გაასწავლა. კარგა გზა გაიარა როსტომმა და მიადგა ერთს კლდეს. ისეთი მაღალი კლდე იყო, რომ თეილი ვერ შესწევდებოდა იმის წვერს. კლდეს ზევით დრო და დრო სისხლი ჩამოდიოდა. როსტომმა აიხვია ზევით და შენიშნა კლდეში გამოჭედილი. — რაღა ჩემი გმირობა იქნება, თუ იქ არ ავადო, იფიქრა როსტომმა. მოგლიჯა ერთი ქანდაკი, მიაყუდა კლდეზე, მოჭვლიჯა სხვა, ავიდა ზევით და იქ მიიყუდა.

როსტომმა თავის სიმაგრით შუბა მოჭვლიჯა ძირითა, ხელი გაუსო, გალოპრა, ვასტყორცნა ჯირითივითა.

როსტომმა ახლა სხვა ქანდრები მიაყუდა, ვიდრემდის იმათი წვერი გამოჭედილს არ ასწვდა. როსტომი ავიდა კბეხაიეთი ქანდრებზე, შეებედა ესში და ერთი უზარ-მარაზი არაბი დაინახა. არაბს ვინა. მუხლებს შუაზედ ხანჯალი ერჭო. როდესაც დასთვლემდა არაბს, დახპრიდა თავს და შუბლს დაქრავდა ხანჯლის წვერს. იმის სისხლი ჰქონაედა კლდეში. ამ დროს გამოიღვიძებდა ხოლმე არაბი და გაიხედაედა აღმოსავლეთისაკენ. როსტომი ცოტა შეკრთა, მაგრამ უკან დაბრუნება არ შეიძლებოდა, სირცხვილი იყო ვაგაკისთავის, რას იტყოდა ხალხი. როსტომმა იფიქრა: მაინც ხომ არაფერი გამოვა მაგასთან და ისევ ვეშობო. როსტომი მიუახლოვდა არაბს და დაუძახა: მამო, მაგრე რათა ქშერებო?

არაბმა აახილა თეალები და უთხრა: ბედი შენი, რომ მამობა მითხარ, თორემ მე გაყურებინებდი შენ სეირსაო. მოდი, დაჯექ ზემთან, ყველაფერს

გიაშობო, ვინა ხარო! ჰკითხა არაბმა.—როსტომო.—შენა გაქვს დიდი ხნო? ჰკითხა არაბმა.—მე მაქვსო, მიუვო როსტომმა.

არაბმა დაიწყო: აღმოსავლეთისაკენ იმისთვის ეხებდები, რომ იქიდგან წითელი არაბი ამოვა წითელის ზღვიდგან და ერთს მწესავით ქალს ამოიყვანს. მე წინ უნდა დავხედე, რადგანაც ჩემს კლდის წინ გამოატარებს. მე რომ წინ დავუხედები, ეიომებთ და რომელიც დაეძლევათ, ქალიც იმას დარჩება. სამი დღე და ღამე უძილო ვარ; რომ არ დამეძინოს და წითელმა არაბმა ის ქალი არ ვამაცილოს, ხანჯალი დავიყუდე მუხლებს შუა და როდესაც ჩამთვლემს, ხანჯალს დაეკრავ შუბლს და გამამღვიძებოა.—შენ დაიძინე და მე ვუყარაულდებო, უთხრა როსტომმა: როდესაც წითელი არაბი ქალს ამოაჩენს, გაგაღვიძებო. არაბმა უთხრა: „შენ მე ვერ გამაღვიძებ, რამდენიც უნდა იყვირო, სანამ ფეხის გულში ხანჯალს არ ჩამცემო.“ არაბმა დაიძინა და როსტომმა ყარაულობა დაუწყო.

დიდ ხანს არ მოუნდა ლოდინი როსტომს, მალე განათდა აღმოსავლეთი, გამოჩნდა წითელი არაბი, მოჰყავს ქალი. როსტომმა ბევრი უყვირა არაბს, მაგრამ ვერ გააღვიძა. ბოლოს ხანჯალი მოაჯონდა, წასცა არაბს ფეხის გულში და გააღვიძა. როსტომმა უთხრა: მეც გიშველი წითელ არაბთან ომშიაო. შევმა არაბმა უთხრა: მაშ ხადი, ძირს რომ მიწდორია, იქ ეიომებთ; ამოთხარე იქ ორმო და იმაში ჩაჯექ, თორემ ომის დროს ჩვენი ფეხის ქარი მოგიტაცებსო. თუ შემატყო, რომ წითელი არაბი მიბირებს მორგენას, ამოფრინდი ორმოდგან და დასკუილე, წითელს არაბს მუხლი მოეჭრება და ხელს დაერგვო. როსტომი ჩავიდა ძირს და დაიმალი ისე, როგორც არაბმა ასწავლა. მალე მოფრინდა წითელი არაბიც ქალით. გამოეგება შავი არაბი. ჩახტნენ მიწდორზედ და შეეკმნათ ბრძოლა. დიდხანს იომეს, იმათი ფეხის ქარი შოლტაედა ტყეს და ლერწმამივით აკრავდა მიწის პირს.

ბოლოს წითელმა არაბმა დასძალა. ამ დროს ამოხტა როსტომი ორმოდან და დასკუიელა არაბს: „დაჰკარ, შავო არაბო, როსტომიც მოგეშველდებაო!“

როსტომს ცის ქუხილივით ხმა ჰქონდა. როცა უნდა დაეყვირა, თავზედ ერთი რკინის სალტე ჰქონდა, იმას დაიდებდა ზოლზე, რომ თავი არ ვამისქდესო.

იყვიელ-იყვიელის როსტომმა,  
გამხვიელ-გამქუხის ხეთამდე.  
ტოტით დათხარნის მიწანი,  
გადაიყარის ზეცამდე!

წითელ არაბს მუხლი მოეჭრა, შევმა არაბმა დარია ხელი და მოკლა. ქალი შვე არაბს დარია. როსტომიც არაბთან იყო და ემსახურებოდა.

როსტომი დაღონდა. როსტომმა სთქვა: „სახელოვანი ვაჟკაცი წამოვსულვარ სახელის საშოვნელად და მე აქ შვე არაბს ემსახურებო, დახეთ ჩემ ლაშრობას, სირცხვილს. ვინა დედაკაცები შინ არ შემქმენდნენ, რომ იმისთვის აქ არ წამოვსულიყავი და არაბისგან თავზე სირცხვილი არ ამე-

ლოვო. მოდი მაგას მოვეკლავ, სირცხვილსაც ჩაგრეცხ და ქალიც მე დაშრ-  
 ჩებოა, იფიქრა როსტომში და შეუდგა ასრულებასაც. არაბს ეძინა. როს-  
 ტომში მისწვდა იმის ხმაღს, მაგრამ ვერ შესძრა, ისეთი დიდი იყო. ბოლოს  
 ამოიღო თავისი ხმალი, გააზნა არაბს კისერზედ, მაგრამ ხმალი ნახევრო-  
 ბამდინაც ძლივს გასწვდა კისერს.—ამ ხმლით მე არაბს თავს ვერ მოვეჭრიო,  
 იფიქრა როსტომში და აი რა მოიგონა: მიუტანა არაბს ფეხები, ერთად ვა-  
 დაუწყო ზედი-ზედ, დაჭრა ხმალი და დაჭრა ფეხები. ისეუბა როსტომში  
 და ამოფეხარა კლდეს წამოვარდა არაბი, მაგრამ ფეხზე ველიარ დაეწუდა,  
 მოავლო თავის ფეხს ხელი არაბში, გასტყორცნა და გაატანინა ხეები. შეუ-  
 ვარდა როსტომი არაბს და ავაფა ხმლით. როსტომს უნდოდა ქალის წაყვანა,  
 მაგრამ გაუვარდა ქალი და გაექცა. ერთხელ-კი დაუძახა ქალმა: შენ ცო-  
 ლად როგორ დაგიჯდები, არაბის ღალატით მოშკლავსო. შენ რომ ისე  
 მოგვეკლა შევი არაბი, როგორც იმან წითელი მოკლი, ცოლად მაშინ გამო-  
 გყვებოდით.

— ნახევარი მაშინაც ზემი იყავიო, მიამახა როსტომში და გამოუდგა ქალს  
 კვალზედ. ქალი გაფრინდა მთის ნიაფივით და გაიქრა ტრიალის მინდორზედ.  
 როსტომს შერცხვა. დაღონდა გმირი: ქალი გაექცა. როსტომში არ იცოდა,  
 რა ექმნა. ისარი ესროლა ქალისთვის და მოველა, სირცხვილი იყო: ქალზედ  
 მახვილს როგორ იმბარებდა ვაგაკი. არ მოჰკლავდა და იტყოდნენ: ქალმა  
 აჯობაო. მინდორს როსტომისაკენ მთა ჰქონდა; ეს მთა ხელის გულავით  
 დაშხედავდა იმ ტრიალის მინდორს. არაბიანა როსტომში მთაზედ და დაჭქუბა  
 იქიდგან ქალს. ქალს გული წაუვიდა და მიესვენა დაბლა; მალე მიიქრა  
 როსტომიც ქალთან...

ადგა როსტომი და უთხრა ქალს:

“ეიცო, შეილი გაგიჩნდება და, თუ ქალია, შენთან იყოს; თუ ვაჟია,  
 ეს ნიშანი დააკრე მხარზედ და ისე იაროსო“. მისცა ნიშანი და გაერიდა დე-  
 დაკაცს. ამის შემდეგ შესძულდა როსტომს დედაკაცები. როსტომს სძულდა  
 აგრეთვე შევი მატყლი. როსტომისთან ქალი და სიყვდილი ერთი იყო.

როსტომს სთქვა: ჰკეა დიაცისა  
 არც მოშწონ, არც შეკეთება,  
 ვაგაკს დიაცის მიშეოლსა,  
 სიმარტე დაეკეთება.

როსტომს სთქვა: იმ მთას, ამ მთასა  
 ხელს მოვეკრავ, ერთად თავს ვუზამ;  
 თორმეტ ლიტრასა რკინასა  
 კბილს მოვეჭირებ, ენას ვუზამ;  
 ალაზანსა და იორსა  
 დავაყენებ და ულაპს ვუზამ;  
 თავ აღებულსა დიაცსა  
 ვაფუშეებ, ველიარს ვუზამ.



როსტომის სიტყვა ასრულდა; ხურომანს გაუჩნდა ეათი, რომელსაც ზურაბი დაარქვა. ზურაბი ექვსი თვისა ისეთი ღონიერი იყო, რომ ზაფხულებთან თამაშობის დროს მოუჭერდა კოქებს ხელს და ამტვრევდა. ერთხელ ბაღლებში გააჯავრეს ზურაბი. ზურაბმა ერთი ზაფხუდი ატირა. ტოლებში უთხრეს: თუ ღონიერი ხარ, მამა რომ დაგვკარგავ, ის მოძებნე და იპოვნე, ზეენზედ რა ბიჭობას იჩენო? ზურაბს ეს ეწყინა, წავიდა დედისთან: უნდა მოთხრა, ვინ იყო მამაჩემიო. დედამ ყველაფერი უთხრა.

მამინ ზურაბმა აიღო საომარი, ჩაიკვა ჯაჭვი და გასწია მამის საძებნელად. დედამ იფიქრა: მოდი გამოვუკლი ჩემ შვილს, შეუძლიან მტრის დახვედრა თუ ვერაო? ჩაიკვა ვაჭაკურად, შეიკეცა ქუდში თმა, აიღო აბჯარი, შეჯდა ცხენზედ და გადმოუხტა ზურაბსა: დაჰყარე იარაღები და დამნებდი! დაუყვირა ხურომანს ზურაბს და ცხენი ზედ მიავლო. მოტრიალდა ზურაბი, უტაკა ცხენს შუბი და პიერში აიტაცა. ხურომანს თავიდან ქუდი გადმოუყარდა, თმა ჩამოეშალა მხრებზედ. ზურაბმა იცნო დედა, ხურომანი გადაეხვიო ზურაბს და დაუწყო კოცნა.

ზურაბმა სთქვა:

შავი ტყიდან გამოვიდა  
ვაჭაკი გულოვანი;  
ცხენსა იჯდა ნიაგ-ქარსა,  
აქროლებდა, როგორც ზღვანი.  
ცხენსა შუბი დაუტაკე,  
ავიტაცე, როგორც ქარი,  
წყაზარეთი შეეკეცნა—  
საყვარელნი გიშრის თმანი.  
იმის მეტი ვეღარა სთქვა:  
—„მე ვარ შენი ხურომანი!“

დედამ დალოცა ზურაბი, მამის ნიშანი მხარზედ დააკერა და გაისტუმრა როსტომის საძებნელად.

ბევრი სიარულის შემდეგ ზურაბი ერთ ქალაქში მოვიდა. ქალაქის კარებთან ერთი ბერიკაცი შეხვდა, რომელმაც მამინვე იცნო როსტომის ნიშანი ზურაბის მხარზედ. ბერიკაცმა იფიქრა: როსტომმა ისეც აგვაოხრა და ახლა შეიღი რომ მოუფა, ხომ აგყარის ამ ქალაქიდანაო. მოდი ერთმანერთს დაეახოცონებ და მამინ ზეენც მოვისვენებთო!

ბერიკაცმა უთხრა ზურაბსა: ქალო ხომ არა ხარ, რომ მხარზედ რაღაცა დავიკერებიაო? დავცინებენ, აიხსენ, შეინახე ისე, რომ არა სჩანდესო.

ზურაბმა დაუჯერა ცბიერ ბერიკაცს და მამის ნიშანი იღლიის ქვეშ შეინახა. ბერიკაცმა ქალაქელებს შეატყობინა, რომ როსტომის შვილი არის აქა, ერთმანერთი რომ იცნონ, ავცილებენ, და მოდით ისე მოვახებოთ, ერთმანერთი როგორმე დაეახოცინათო.

წავიდნენ როსტომთან და უთხრეს, რომ ქალაქში ერთი გმირი მოსულია და საქდილოდ გითხოვსო. როსტომმა უთხრა: მაშ კარგი, წავიღო, ჯერ დავხვერავ, რა ვაჭაკია, ვავიგებ და მერე დავუჭიდებო.



როსტომი მივიდა და, სადაც ზურაბი იყო, იმ სახლში ბანიდან წაიღო ხელა.

ზურაბმა დაინახა და დაუძახა:

რას იქვრიტები ბანითა!  
რად არ მოსდინხარ კართა?

როსტომი რას იცნობს, თუ იმისი შეილა. წამოვიდა და ქალაქელებს უთხრა, ხელა შევებში თქვენს გმირსაო. ზურაბი მასწონებოდა, ხალხს უთხრა:

ზურაბ იჯდა, კოშკის ჰგევანდა,  
ირგვლივ ევლო გაღაყანი,  
მარჯვნივ ეგდო აბგაროზი,  
მარცხნივ იყო ფაღაყანი.

მეორე დღეს ზურაბთან კაცი გაგზავნეს, რომ ჩვენს გმირს უნდა დაეკიდოვო. ზურაბი დათანხმდა. ნუ იკვებით, ირანელნო!

— აღე, ზურაბ, მოიკაზმე,  
ტანთ ჩაიციე საომარი!  
— წამოდექით, ირანელნო,  
ვინ ხართ უფრო ფაღაყანი?  
ნუ იკვებით ფაღაყნობას,  
თუ არა გაქეთ ბეჟი პრტყელი,  
თუ არ იცით, შე გასწავლით,  
თუ კი მოგაეღვებით ხელი.

ზურაბმა რაო როსტომი დაინახა, ცოტა ეჭვი შეეპარა: დედის ნათქვამი ნიშანი, რომ მიმაშენს კარიანი კბილები აქვს, ბეჭშია წაბრლილი და მარცხენა ფეხს ათამაშებს, როცა ცხენზედ ზისო, ვნიშნა. როსტომს უთხრა:

ბერიკაყო, ჩამომეხსენ,  
გული რასღაც შეყოყმება,—  
შე დედებურთა ნიშანი,  
შე ნიშანი მენიშნება:  
კბილს კარი და ბეჭთა წაბრა  
მამეულთა მენსგაფხება.

როსტომი ეტყვის:

არცა ვარ როსტომიანი,  
არცა იმითი გვარისა,  
ვარ ერთი თურქი მოღაშქრე,  
მოკველელი უზანფარისა.

ბატონის გამოგზავნილი,  
 ვარჯილო ცხენოსანისა.  
 აქ ფალავნისა მომკვლელი,  
 დამღვეი მუქა სისბლისა.

შვილი ეტყვის:

ეგ რა მითხარ, ბერაკეცო,  
 დამიკოდე წყლული გული?  
 ნეტავი კი არ მენახე,  
 უინე დაგელიო სული!

ზურაბს არ უნდოდა დასკიდებოდა როსტომს, როსტომმა არა ქნა. დაი-  
 კიდნენ და ზურაბმა წაიქცია. დაბრუნდა ქალაქში შერაცხვენილი როსტომი.  
 ხალხს უთხრა: ნუ გეშინიანთ, ჯერ მაგის გულზედ ვარდი არ აყვავებუ-  
 ლაო,—ვითომ ჯერ ქალი არ უნახია და გამოუცდელიაო.

როსტომი ქაქაოზ შეფეს ეტყვის:

ერთი ქაბუკი მოსულა,  
 ყველა მტრისათვის მახია.  
 ომშიაც ვნახე, ლახტშიაც,  
 ყველა იმასთან ჩაბია.  
 იმისი ფეხის ნადგამი  
 სიმაღლის კარსა გვანდია!

ქაქაოზ შეფეს ძალიან შეეშინდა. რაკი ეს ფალავანი წამიქცია, აქ აღარ  
 მედგომინებო. ბარგი ააბარგა და წასვლი დააპირა.

როსტომმა უთხრა:

ქაქაოზ, ბარგი აქ დადე,  
 სადაც რომ უწინ გდებია;  
 იმ ფალავნისა სიკვდილი  
 აბლო მე მასაზრებია,  
 შხამში გაეღოტე ხანჯალი,  
 ჩექმაში ჩასადებია...

იმ დამეს როსტომს არა სძინებია. ღრესა და ღრესა შხამში ხანჯალი. და-  
 მალი და მეორე ღრეს კიდევ გამოითხოვა ზურაბი.

ზურაბს კიდევ არ უნდოდა დაქიდება. გული ეუბნებოდა, რომ მამა  
 არისო. როსტომმა გამოითხოვა: გუშინ გუნებაზედ არ ვიყავ და ღრეს გნ-  
 ხავო.

ზურაბმა კიდევ ისე უთხრა, როგორც გუშინ.

როსტომი არ მოეშვა:

ჩვენში ასეთი წესია,  
 ფეტი ადგილზე სთესია,

ფაღავენი ფაღავენსა  
ერთხელ დასცემს, აუშვებსო,  
თუ მეორედ წაიჭკია,  
კოცხალს აღარ გაუშვებსო.

დაიქიდნენ. ზურაბმა ისევ წაიჭკია. მაშინ ძირიდან ამოიღო ჩუმაღ ხან-  
ჯალი როსტომმა და მუცელში ჩასვა ზურაბსა.

ზურაბმა უთხრა:

შე ბერიკაცო, რად მომკალ?  
ხმალი რად დამეც ვაღამდე?  
შენ მამაჩემსა როსტომსა  
საით წაუხვალ საღამდე?  
ზღვას გახვალ, იქ გამოგყვება,  
ქვესკნელს ვერ დაეშალეზი.  
გერჩიენა ცას წისულიყავ,  
ვარსკვლავთა ქვეა იგელო,  
ხმელეთი საქვერტლად გჰონდეს,  
მიწა სურვილად წაგელო.  
კოდვას მოინანიებდი,  
თავი ძირს აღარ დაგელო? \*)

ის თქვენმა მტერმა იხადოს, რაც როსტომმა იხადა თავის სახელის გა-  
გონებით!

— შე, ბოზო ღიაკის შვილო,  
ნიშანი სად გაკერიო?  
— მხარს შეკრა, ზრახვით შევიხსენ,  
აი არწივის კვერია!

უთხრა ზურაბმა, იაწია მხარი და ილღიის ქვეშ დაკერებული ნიშანი  
აჩვენა.

ისწია გმირისამკლავსა,  
ელვანი იყვნენ ცისანი,

\*) მეორე ვარიანტი. ისაჲ დალაქიშვილის ნაწიგვლები ს. უფლისციხეს:

შე ბერიკაცო, რად მომკალ?  
ხმალი რად დამეც ვაღამდე?  
შენ მამაჩემსა როსტომსა  
საით წაუხვალ, საღამდე?  
ან უნდა ცაში წახვიდე,  
ვარსკვლავთა ვრი აღო;  
ან უნდა ზღვაში წახვიდე,  
თევზისა იღოო აღო!  
ან უნდა მთაში წახვიდე,  
ნადიროა კვლი გაიღო!  
შენ მამაჩემს გამობოთა  
ხმელეთხედ ჰარი გაიღო!

აილო და შამოიკრა  
 დიდი ნატები ქვისანი:  
 — ვაიმე, შეილო ზურაბო,  
 შენ მოგვც დანა სრული.  
 რისთვის გაგზარდა დედაში,  
 სული ჩაგიდგა წყეული?  
 შე მოგკალ, შეილო ზურაბო,  
 დაერჩი უშტოვო ხე ვითა!  
 ვაიმე, შეილო, ზურაბო!  
 ათართოლდა ფურცელივითა,  
 მიწას დაეცა რევითა.

ზურაბმა უთხრა:

— შენ მამაჩემი არა ხარ,  
 არც როსტომიანთ გვარისა,  
 მოლაშქრე თურქი ჰყოფილხარ,  
 შეილი მოკალი თავისა!

გაგზაენა როსტომმა კაცი ჭაქაოზ მეფესთან და შეუთვალა:

ჩემო ჭაქაოზ მეფეო,  
 შენთვის შევებში დევსაო,  
 წამალი გამაშგზანე,  
 ზურაბი მკიდავ ყელსაო.

ჭაქაოზ მეფე შტერი იყო როსტომისა, უნდოდა იმისი თავიდან მოშორება, მაგრამ წამლის გამოგზაენლობაც არ იქნებოდა, როსტომი სამაგიეროს გადუხდიდა. მერე ისე მოახერხა: ერთ გიე დიაკვანს გაიტანა და უთხრა: როსტომთან რო მიხვიდე, წამოჭარ ფეხი და დააქციეო, მაშინ რაღას გვიზამსო?

წამალი გამოუგზანა  
 გიე დიაკვანის ხელითა.  
 ფეხი წამოჭრა, დაღვარა,  
 აიესო იმის კოდვითა. \*)

შემოჭრა ხმალი დიაკვანს როსტომმა და შეაზედ გაენაბა.

\*) მეორე ვარიანტი:

წამალი გამოუგზანა  
 გიე დიაკვანის ხელითა.  
 როსტომ გულაქარი კაცია.  
 ტანი წაიღე რყევითა,  
 ფეხი ფეხზე განაიკარ,  
 წამალი დაიქციეს!

როსტომ თქვა: სიბერეცითა  
სიტყვა სათქმელად გაჰირდა,  
სადაც რომ ომი გაჰირდა,  
შეშა ხმალივით გასჰირდა.  
წადი და მკობზე დიაცვანს,  
თუ ზემი ხმალი არ სჰირდა!

ზურაბმა დალია სული. წამოხტა გაყოფებული როსტომი და გაეკანა ქაქაოზ მეფესთან. ქაქაოზ მეფეს ორი შვილი ჰყვანდა, შეუხტა როსტომი, წაგლიჯა იმის შვილებს ქათმებივით თავები და დაუყარა წინა: «აბა შვილის სიკვდილი თუ კარგია, იწვნივო!»

მერე გაიქცა როსტომი და ჩაეარდა ზღვაში. უნდა თავი დაეხრათ. მაგრამ ზღვამ პირი შეიკრა და აღარ ჩაუშვა ძირსა. იყო შიგ როსტომი, არც იხრებოდა და არც ნაპირზედ გამოდიოდა.

მოქალაქეებმა სთქვეს: ვინც როსტომს გამოიყვანს ზღვიდან, ამდენსა და ამდენს მიეცემთო. ვერაფერ ვერ გაბედა როსტომის ზღვიდან გამოყვანა. ბოლოს ერთმა ბებერმა სთქვა: «თუ ცოცხალი დავრჩი, მაცხოვრეთ; თუ მოგვადი და დამმარხეთ, როსტომს შე გამოვიყვანო!»

ქალაქი დათანხმდა. წაიღო ბებერმა შავი მატყლი, მივიდა ზღვის პირზედ როსტომის პირდაპირ და დაუწყო მატყლს რეცხა. როსტომს საშინლად სძულდა დედაკაცი და შავი მატყლი. ითმინა, ითმინა როსტომმა, მერე გამოსწია ბებრისკენ გარისხებულმა. ბებერმა დაიძახა:

დიდება და მადლი ღმერთსა,  
როსტომ გამოვიდა ზღვასა!  
ცალსა ხელსა ზღვაში ურევს,  
ცალით მაიქნევდა ხმალსა!

როსტომი მოუახლოვდა კიდეს და დაუყვირა ბებერსა: «შე სულელო ბებერო, შენა!

არ გათვთრდება ყორანი,  
რაც უნდა ხეხო ჭვიშითა!

ბებერმა გაიცინა და დაუძახა როსტომს: «შე რეგვენო როსტომო!»

მკედარი ვის გაუცოცხლებავ  
ტირილითა და ვიშითა?!

როსტომმა ჩაივლო ფეხში ხელი ბებერს და ზღვაში გადისროლა. ამის შემდეგ აღარ შესულა ზღვაში როსტომი, დარჩა ხმელზედ და ბევრი ღვექი გამოსთქვა თავის მწუხარებაზედ.

როსტომ თქვა: დღენიმე კრულია  
დაბადებისა ზემისა!

სიყმე სიბერედ ვაქციე,  
 დღე ვერა ვნახე ლხენისა.  
 ვერ გავიხარე კისერი,  
 უღვლი მიდგა რკინისა!  
 სიბერე ძნელი ყოფილა,  
 შავი ქვა აეწონება,  
 დამჯდარი ველარ ადგება,  
 უავარჯენს დაელონება!

### 103.—ბეჟანისა, ოსტომისა, გივისა და გოდერძისა.

იყვნენ სამნი ძმანი: ოსტომი, გივი და გოდერძი. სამივენი გმირები იყვნენ. ამითა ჰყვანდათ ერთი უხეროო ძმა გურგენი.

ვაგი არავისა ჰყვანდა გივის მეტსა. ამისი ვაგი ბეჟანი გმირობით არ ჩამოუყვარდებოდა თავის შამა-ზიძეებს.

ერთხელ თავის საბძანებლიდგან თავისი კაცები მოუვიდნენ საჩივლე-ლად, რომ ჩვენ ჰვეჟანას მრავალი ღორი შემოესია, სულ ერთიანა წახადი-ნეს კინახულიც და ვენახებიცაო. თითო სპილოს ოღენია, ხმლის ტელა ეშვები აქვს და ვერაფერი ვერა დაეაკელით-რა, თუ გვიშველით რასმე, თორემ ჩვენ იქ აღარ გვედგომინებო.

იტირდნენ და შოახსენეს:  
 ბედნიერო ხემწიფეო!  
 სარჩოდ გვექონდა ერთი ქალა,  
 სანადიროდ დიდი ტყეო.  
 იგი სულ ღორით გაივსო,  
 არ ეგება სიმრავლეო.  
 შამოსულან ღორ-მეშები,  
 რა იქნება მაგათ მძლეო?  
 თვალად ჰვეჟან სპილოებსა,  
 ეშვები აქვთ ხმლის სიგრძეო.  
 აღვის ხეებს ძირით ჰგლეჯენ,  
 ვერა უძლეებს დანერგული,  
 მათ სალი კლდეც ვერ გაუძლებს,  
 წახდა ჩვენი კინახული!

ძალიან შესწუხდნენ ვაგი და გოდერძი და ოსტომი:

სმა გაუშო ხემწიფემა,  
 სიამარსა უგდო ყური.  
 ოქროს ჯამი ტახტზედ დადგა,  
 თვალი თავ-ბუხარიანი,

ვინც ღორებთან საბძოლად წაეა, იმისთვის აღმოთქვამ:

ასი ტაიკი რჩეული,  
 სტერიი თივსახურიანი,  
 ჩემი საწუთროც მისია,  
 ვინც მათზედ წაეა ხმლიანი!

იქ სხეა გმირებიც იყო, მაგრამ უველანი სდუმდენ, ვერაეინა ჰედდაედა  
 წასელას.

ფეხი წინ ვერაეინ წადგა,  
 ბეეან-მზე აღგა სეიანი.  
 ბეეანის შამა არ შერება:—  
 ბეეანი ყმაწული არი!

ბეეანმა უთხრა: შამა, ნუ გეშინიან, მე ღორები ვერაფერს შიზამენ,  
 ოღონდ,

შამა, შამეც შენი ხმალი,  
 შენი ჯაქვი ჩამაცეიო,  
 თუ იმ ღორებს გამოვეტკე,  
 შთელ ირანელთ შავარცხენიო!

შხოლოდ რადგან ღორების გზა არ ვეცი, ერთი გამოცდილი ვინმე  
 გამომატანეთ, რომ გზა მასწავლოსო.

შამამ უთხრა: რისთვის გინდა ჭემი ჯაქვი,  
 თივისი ტანთ არ გაცეიო?  
 — იმით შინდა, ჭემო შამაე,  
 ბეერი ოშის ნაცედიო.

— კარგიო, უთხრა შამამ- გივმა სთხოვა გურგენს, შენ გაქეე, ძმაო, კარ-  
 გათ უგდე ყური, თიე არ გაიფუქოს, შენც ჭემი ჯაქვი წილდე და ფიქრი  
 ნურაფრისა ნუ გექნებაო.

შოდი, გურგენ, ბეეანს გაქეე,  
 ჩემი ჯაქვი ჩიცეიო.  
 თუ რომ ღმერთმა არ გავწირათ,  
 ღორისგან ნუ გაქეთ ფიქრიო!

წიედნენ ბეეანი და გურგენი. ბეერი იარეს, თუ ცოტა იარეს, შო-  
 ვილდენ, სადაც ღორები იყო. გამოეგებნენ წინ ღორები. ბეეანმა დაუშინა  
 წეიმა-წყალივით ისარი და გააქცია ღორები. ის დიდი ოქროს ეშვებიანი  
 ტახი უკან იყო ბურვილში და არა ჩნდებოდა. რამდენიც დახოცა, იმდენი  
 შიგნით შევიდა ბეეანი. გურგენი ხეზედ ავიდა და იქილგან უგდებს ბრძო-  
 ლას ყურსა. აგერ გამოჩნდა ის ტახიც.

ბეეანმა დაუძახა:

ლორო არეში-მარეში,  
 გამოდი, გამეთამაში!  
 შუბნი ვკრნეთ, ფარნი უფარნეთ,  
 მინდვრად გაუშოთ თარეში!

პირობა დადეს, ჯერ ბეგანი უნდა გატყუულიყო და ტახტი გამოჰკიდებოდა. გადაზომეს, ორი მიჯნა დასვეს. აქეთ მიჯნას თუ ბეგანი გადაზოასწრობდა და ღორი ვერ დაეწეოდა, ბეგანი გადაარჩენილი იყო და თუ ვერ გადაასწრობდა, ღორი გაგლეჯდა. აგრეთვე თუ ღორი იქით მიჯნას მოასწრობდა გადასვლას, ბეგანი ველარას ერჩოდა. ყარეს წილი და პირველიად გატყვევა ბეგანს ერგო. ღორიც ეშხადება:

ღორი იღესავს კბილებსა,  
 ქაფისა გუბე ღებოა,  
 იშას რომ ბეგან შახედავს,  
 ფერი და ფერი ხდებოა (შისდის ფერი).  
 „შვილს შამის დაუჯეროსა,  
 ჩემივე დღე დაადგებოა!“  
 ბეგანის ცხენი ფესანგი  
 კოტეზხედ წამოდგებოა,  
 ბეგანის გაფრენაზედა \*)  
 მასკელაფი გათხოვდებოა.  
 გადვიდა მიჯნის ფეხანგი,  
 ბუა ბეწვიდა სწყდებოა...

ლორმა მხოლოდ მცირე ბუა გამოჰგლიჯა ბეგანის ცხენს, ბეგანმა მშვილობით გადაასწრო მიჯნას.—ბა, ღორი ხლა შენ გამეჭეციო, მოუბრუნდა ტახს ბეგანი. გაეცა ტახი:

მშვილდი სტეჟს, გოზა ჰიკინებს,  
 ბეგანი ეზიდებოა,  
 ღორსა ჰკრა ილლიაშია,  
 ცხრა ადლი მიწა სქედებოა.  
 ღორი გადვიდა თერგშია,  
 სული და სული ხდებოა.  
 ჩივის და ჭირის ბეგანი,  
 ნაკადი შეყარებოა!  
 მეორე დავკრა ისარი,—  
 აუგად დამედებოა!

დაქრილმა ღორმა გადაასწრო თავის ბუნავში. მეორეს ველარ ესროდა ბეგანი, სირცხელი იყო, მაგრამ პირველმა ისარმაც მალე ბოლო მოუღო ტახსა.

როცა ღორი და ბეგანი ომობდენ, გურგენი ხეზედ იჯდა. როცა ტა-

\*) ვახიანტი: ბეგან რომ ღორსა გაეცა.



ზი ბეჟანს გამოუდგა, გურგენს შიშით შარვალში გაედინა. როცა ბეჟანმა ტახტი მოკლა, გურგენს დაუძახა: ჩამოდი, ბიძავ, ტახს ეშვები დაეპტროთო. მაგრამ გურგენს ჩამოუსერია ხე და როგორღა ჩამოვა:

გურგენ, ელი ხარ, მელი ხარ,  
მა ხეზე ამომსვლელი ხარ,  
ე ხე რა ჩამოგისერია,  
საითღა ჩამომსვლელი ხარ?

— ქუდს მივიფარებ გულზედ და ისე ჩამოვალაო. — კარგო, ჩამოვიდა გურგენი. დააძრეს კბილები ტახს. თითო ეშვი თითო ხმლის ტელაა. ძალიან შეჭმურდა გურგენს. ახლა ის სასირცხოვად დაემართა! გადასწყვიტა გურგენმა ბეჟანი როგორმე დაღუპოს. ამით მტერს აფრასიონ ზემწიფეს ერთი მშვენიერი ქალი მყვანდა მანიეა.

გურგენ და ბეჟანი ჩადიან,  
ჩადიან, ჩიბღერიან,  
ენით ატყუებს გურგენი,  
ხელით ლალიტი სწადიან.  
ადგენენ და ორნიც წავიდნენ  
ქორითა და გავაზითა,  
მათ შორი გზა წაიშოკლეს  
სიცილით და თამაშითა.

კარგა გზა გაიარეს. დაღამდა კადეც. ერთ გზა-გასაყართან დადგნენ. ერთი გზა ბეჟანის ქვეყანაში მიდის, მეორე გზა აფრასიონის ქვეყანაში. ამით გზაზედ ნაფორტი ყრილა და სამტროზედ ნახშირი.

იმ ღამეს გურგენმა უკუ ბეჟანს მანიეა. თან აქვზებს წასასვლელად.

შებედენ, სახლს და ჩაივიან  
შავი ყორნები ფრთიანი,  
ნეტამც ქალი ვინმე მომკა  
ისეთი შავი თიანი!  
გივსა ვზღუბივარ, გოდერძის,  
ლხინი მინახავს მრავალი,  
ირანელთ თავადიხაგან  
ეს ვაეკაცობა რა არი?!  
აფრასიონთა მანიეა  
მზე არის ამომავალი,  
მზეა და მზე დაბნელი,  
ცისკარი ამომავალი,  
მდინარე წყალი დააშრო,  
ქვიშაზედ გადამავალი,  
ვინაც რომ იმას არ იცნობს,  
იმის სიკოცხლე რა არი?!



ბეჟანს გოგრა შეუხურდა, თან ღვინოსაც სვამენ. სისხლი აუღულდა, სად არის? შორია, თუ ახლოვო? ჰკითხავს გურგენსა.

არცა რა შორი გზა არის,

არცა რა შორი საყალი,

არცა ბეჭია, არცა კლდე,

არცა მთა გადასაყალი.

მეტადრე შენისთანსთვის

სულ სანავარდო გზა არი.

ბეჟანს გურგენმა შაპაბრა ბანგო, ტახის კბილები თვითონ წამოიღო და წამოვიდა სახლში, გამოეღვიძებო ბეჟანს, ნახავს, აღარც გურგენია, აღარც ეშვები. დაადგა ნახშირ დაურიღ გზას. იარა, იარა და მოვიდა აფრასიონთა სასახლესთან, ერთი წყარო ყოფილა, იმ წყაროზედ დაისვენა. გააკეთა ხის კურდღელი, უკრავს ჩონგურს და ათამაშებს ამ კურდღელს.

გურგენი კი მოვიდა შინ, მოიტანა ეშვები; ბეჟანისა რომ ჰკითხეს: მე და ღორმა რომ ვიბრძოლეთ, ჩვენმა ქარმა საღდაც გადაგდო და დაიკარგაო. მე მოვკალ ღორიაო.

გადმოიხედა მანიგამ, დინახა ბეჟანი და მოეწონა საშინლად. გაგზავნა წყალზედ გოგო, თან დააბარა, ჰკითხე, ვინ არის? რად მოსულაო? თუ სამოყვროდ მოვიდა, იარალი რაღათ უნდა და თუ სამტროდ მოსულა, რატომ ჯარი არა ჰყავსო?

მოვიდა გოგო, უცქირა, უცქირა და იქ დაუღამდა. როცა ივიდა მანიგისთან, ქალი გაუწყრა, აქამდი სად იყავიო?— ისეთი მშვენიერი ვეცაკითაო, უთხრა მოსამსახურემ, რომ თვალი ველარ მოვაშორეთო.

მეორე დღესაც გაგზავნა. მოსამსახურემ კიდე ისე ქნა.

მესამე დღესაც გამოგზავნა მანიგაში. მოსამსახურემ ბოლოს გაბედა და ჰკითხა: ჩემი ქალბატონი მანიგა გკითხულობს, ვინა ხარ? რათ მოსულხარო? ბეჟანმა უთხრა:

არნაო ტახნი გაეწყვიტენ

და ტახნი უზანდარისა,

ხევენა მომინდა, წამოველ,

ტურფისა მუყადანისა.

ბეჟანი ვარ გივიშვილი, წამოველ მანიგის გულისთვისაო, მე მოვკალ ოქროს ეშვებიანი ტახი და იქიდან აქ მოველოო.

ივიდა მოსამსახურე ქალი და მანიგის უამბო, რაც ბეჟანმა უთხრა. მანინ გადმოდგა ციხიდან მანიგა და გადმოსძახა ბეჟანსა:

მანდით რას შემომღულუნებ,

მტრელი ხარა, თუ ქედანი?

თუ მოხველ, აქაც ამოდი,

თუ კი არა ხარ ცვედანი?

გაგზავნა გოგო და შეუთვალა:

ჩქარა მწახოს ბურვილითა,

ვევლები იმის სურვილითა!

როცა დაღამდა, გაღმოუშვა თავისი თმა მანიგამ, შოგუღა ბეგანი და  
ავიდა. ისეთებია, ერთპ.ნერას ზევევიან და ჰკოცნიან, აღარ იციან სიყვარუ-  
ლით რა ჯან.

ისე უფთხილდებიან მანიგას, რომ მუღამდღე წონავენ. სამი დღის შენ-  
დევ მანიგას უკვე შეეტყო ბეგანის იქ ყოფნა: წონაში მეტი მოვიდა. მამა  
ძალიან გაბოროტდა. დააყენა დარაჯები, უგდეთ უური, ვინ გამოჩნდება იმის  
ოთახშიო.

ბოლოს ერთმა კარის-კაცმა დაინახა ბეგანი. გაგზავნა ხემწიფემ ფალაფ-  
ნები, დაიჭირეთ და მოიყვანეთო. გაიგო ბეგანმაც. ამოიღო ხანჯალი და  
მიაწვა ციხის კარებსა:

ბეგანმა იძრო ხანჯალი,  
შეკრა დარბაზის კარია,  
შიგნიდან გამოიძახის:  
რომელიც ჩემთან შემოვა,  
სიკოცხლით გამაძლარია!

არ იქნა, ეტრა გზით ვერ შეუვიდნენ ბეგანსა. ბოლოს ხემწიფემ ღეთის  
ფიცი მისკა, რომ მანიგას შენ მოგასთხოვებო, და მერე გაუღო ბეგანმა კარი.  
მიინც ხელდახელ ამა რას დაიპორჩილებდნენ? დაათვრეს ბეგანი და იც  
შეკრეს. გამოიყვანეს ბეგანი დასახარობად, აუშართნიათ ერთი მაღალი ძელი.  
ბეგანმა მზეს შესჩიულა:

ბრწყინვალე მზეო, შენ იცი  
უომრად შეჭირვებულნი!

მერე მეფეს უთხრა:

მეფე, მომეც ჩემი ლახტი,  
ათას ვეცაკს შემადი,  
თუ ან ერთი გადამიჩინა,  
მთელ ირანელთ შეკარცენია!  
ცაში რო კორი ფრინველეს,  
ზოხ-ზს გული ვაუსკდება,  
ას-ორასი ფარა ცხეარი  
ერთი მგლისაგან დაფთხებება.  
ჩემი ლახტი ხელში მჭონდეს,  
თქვენი სიმრავლე რას გახდება!?

ხემწიფე ძალიან გაჯავრდა:

ხელში შეყვს, ოშმა ნიქალის,  
ეს ეშმაკი და ფლიდია,  
ამართეთ ძელი მაღალი,  
ზედ ბეგან გადაჰკიდია!

აფრასიონს ერთი ვეზირი ჰყვანდა, ფირანი ერქვა სახელად. ამან იცო-  
და როსტომის ამბავი. იცოდა, რომ თუ ბეგანს დამართებდნენ რასმე, როს-  
ტომი არ შეარჩენდა და სახემწიფოს აუზბრებდა. ამიტომ როცა დაინახა,  
რომ ბეგანი მიჰყავთ დასახარობად, გააქენა ცხენი ხემწიფესთან.

ფირან ცხენი გააქენა.

ცხენი ახლად გამართული,  
 გაწეხლა და ზედ მიავლო,  
 ნახა ძელი ამართული.

რა კაცია დასახრობი?  
 რომელია დაკარგული?

ხემწიფეს მოახსენა, ბეგანი არ მოკლა, ბატონოვო, თორემ

როსტომ, გივი და გოდერძი  
 ირანში თავადებია,

შოვლენ, დავახოცენ, დავწვავენ,  
 სულ ცეკხლად მოგვედებთან.

— მაშ რა უყოთ ბეგანს, შემარცხვინა ჩემმა ქალმაო.

მაშ რა ვქნა და როგორა ვქნა?

შემარცხვინა ჩემმა ქალმა:

ქვეყანაში თავი მომქრა,

ყველგან გაიტანა ქარმა!

ფირანმა ურჩია, ერთი დიდი ორმო ამოვათხრინოთ, შიგ ჩავედოთ,  
 ზედ ირხან დევის მოტანილი ქვა დავადოთ, რომ ვერავენ გადააგოროსო.  
 თავს მანიცა დავაყენოთ და ბძანება გაეცეთ, რომ პური არაიენ არ მისცეს,  
 მანიცამ ითხოვოს და ისე აქაშოსო.

თავს დიდი ღორდი დავადოთ,

არხან დევის მოტანილი,

თავს მანიცა დავაყენოთ,

უკვირგვინოდ მოყვანილი.

ქალაქს კაცი დავატაროთ,

არაიენ არ მისცეს პური!

გათხარეს ორმო და ჩაავდეს შავ ბეგანი. იმისი ლახტი და მშვილდ-  
 ისარიც იქ დაყარეს. მოდიან ფალანგები, ეწვეიან, მაგრამ ვერავენ ვერა  
 დრეკავს იმის მშვილდსა. ადგია თავს მანიცა ბეგანს და დაპტირის, დღე რომ  
 არაიენ აძლევს, დამე თხოულობს პურს, ამტერვეს და ისე უყრის ორმოში.

ბეგანის მამა-ბიძები ძალიან სწულბენ, ქალაქს შეევი გადააფარეს და  
 შეიდ წელიწადს ივლოვეს. შეიდ წელიწადში როსტომი ერთბელ ჩაიხტავდა  
 საწლათროს ჯამში და ყველაფერს დაინახავდა, რაც ქვეყანაზედ ხდებოდა.  
 ეხლიც ვახივდა როსტომში და ასეთი გაიციანა, რომ სახლი შეინძრა. გივს  
 ეწყინა: რას იცინი, როსტომო, მე ვიცი, ჩემი ბეგანი არ დაინახო ცოცხა-  
 ლიო?!—კიდევ შენი ბეგანი დავინახე და იმიტომ გავიციინეო, უბასუბა როს-  
 ტომში: შენი ბეგანი ორმოში ზის, თავს ქალი ადგია, უყრის პურს და ასუ-  
 ქებს ღორივითაო.

რაკი ვაიგო როსტომში, რომ ბეგანი აფრასიონ ხემწიფესა ჰყავს ორმო-  
 ში ჩავდებულო, მაშინვე თავდარივს შეუდგა იმის გამოსახსნელად. დაიშა-  
 და სულ რჩეული ბიჭები, შემოსა იარაღით, ჩახსა ტომარებში, აპკიდა იჭლე-  
 მებს, თან სავაქროს საქონელიც წაიღო, მოიართო ვაქრულად და გასწია მთე-

ლი ქარავენით აფრასიონის ქალაქში. ქალაქში რომ მივიდა, ერთი ტაბაკი თავალ-მარგალიტი აფრასიონს გასუფხანა: ერთი ვაქარი ვარ შორი ქვეყნიდან მოსული, ვასაყიდი საჭონელი მოვიტანე და ნება მომეცე, რომ ვივაქროვო. ხეშწიფემ დიდი სიამოვნებით მისცა ნება. ვაქრობს როსტომი, ეს ჯარებათ სავეს საცალოები ცალკე უგროვია. მოდის ხალხი და ვაქრობს.

ერთ ურიას ევეი შეგებარა, ეს როსტომსა ჰგავს, როგორი ვაქარიო? მივიდა და ერთ საცალოზედ ჩამოჯდა. კაცო, რომელიც საცალოში იჯდა, შესწუხდა, შეეხუთა სული, აღვა და ტომრიდან ურიას სადგისი ატავა. წამოხტა ყვირილით ურია. თან იძახის: რაც ამ საცალოშია ქნას, ხვალ დიღამა სცნასო! რაც ამ საცალოშია ქნას, ხვალ დიღამა სცნასო! როსტომმა დაუძახა: მოდი აქ, მოდი, ენაზედ შეპარი დაგაყაროვო. გამოაყოფინა ენა და ამოაგლიჯა.

გაიქცა ხეშწიფესთან ურია, უნდა უთხრას, რომ როსტომია აქა და გავთხილდიათო. თან ხელს იმისკენ იშვერს და თან იძახის: ოტო! ოტო! ოტო! ოტო! ვითომ როსტომია, როსტომიო.

— რასა ყმედობს ეგ ურიაო? გაჯავრდა ხეშწიფე, წაიყვანეთ და თავი მოსჭერიათო. წაიყვანეს და თავი მოსჭრეს.

გაუფარდა მოწყალების ხმა როსტომსა. გლიხებს და გაქირვებულს ყველას უხვად აძლევდა მოწყალებასა. მივიდა მანიყაც, — ჩემი ბეგენისთვის მომცემს რასმეო. როსტომმა გამოპკითხა მანიყას ვინაობა, გაიგო, სადაც იყო ბეგენი. აიღო ერთი მთელი პური, ეოთი ქათამი და ერთი დანა. ქათმის მუცელში თავისი ბეჭედი ჩადო და გაატანა მანიყას. თვითონ კი არ ემცნაურება. ბეგენს ძალიან გაუხარდა მთელი პურის დანახვა, — რაც ხარაში იჯდა. მთელი პური აღარ ენახა. გასკრა დედალი ბეგენმა და იქიდან როსტომის ბეჭედი კი გადმოვარდა. გაეხარდა ბეგენს. სიხარულით ერთი ისეთი დაიკვივლა, რომ იმის ხმისგან ხაროს ქვა სამჯერ ატვა და დაეცა. — რას გაიკონე, რა გაგინარდაო? ჩასახა მანიყამ. — თლა. კი კარგათ არის ჩვენი საქმე, მანიყა! ამოსძახა ბეგენმა, ბიძა ჩემი როსტომი მოსულა და უშველად დამიხანისო. ამა რასაკვირველია გაეხარდა მანიყასაც. მეორე დღესაც წავიდა მანიყა. უნდა როგორმე გამოვლამარაკოს როსტომსა; სდვას იქი, მაგრამ როსტომში ყურადღებმა არ შეაქცია, გამაგდო მანიყა. როსტომს არ უნდოდა, რომ ხალხს ეჭვი აეღო. ეს რომ მანიყას კარგად მოექცეოდა, ხალხი ეჭვს აიღებდა და საქმე გაუფუჭდებოდა. ამიტომ აღარ მისცა მოწყალება. მანიყას ეწყინა და უთხრა:

აღათია და წესია,  
ფიტვი ადვილზე სთესია.  
არ გაიკითხვენ გლახესა,  
თურმე ირანელი წესია!

როსტომი გაჯავრდა: შენისთანა წყვეულისთვის  
მუშტი და წიხლი წესია!  
რას ამბობ, ბოზო დიაცო,  
რას შეუშლისარ ჭკეისიგან?

აქ ირანელი ვინა ჰა,  
 რად მამული ვაქრობისაჲან?!

წამოვიდა ტირილით მანიცა ბეგანთან: ბოძაშენმა როსტომმა გამომაგ-  
 დოფო. — ჯერ ბოძანეშა როსტომს დედაცაყო სულ იჯიერება, მერე შიირით  
 უამარაყო და მერე სიფთხილიცა საქირო, რომ არაიენ არ აილოს გქვი. კვლავ  
 ეგრე აღარ მოიქცე, როცა მივიდღა, დაიკრფე გულ-ზელი და შორი-აზლო  
 დადგეო.

მერე მოინდომა მანიცას გამოცდა. დაუძახა: მანიცა, მე აქედან ცოცხა-  
 ლი ველარ ამოვალო, აღარც მინდა სიცოცხლეო.

ამინის უკუნს გადაეცა,  
 შევარ და მიმატეს ბარგია,  
 ამ წუთისოფლის სიცოცხლე  
 იმ ქვეყნად არას გვარგია!

— უშენოდ ღმერთმა ერთი დღეც ნუ მაყოცხლოსო, ჩასძახა მანიცამ.  
 ემ საათში ექვე თავს მოვიკლავო.

უშენოდ ღმერთმა ნუ მომცეს  
 სიცოცხლე ქვეყანაზედა,  
 მომცეს და ისეე წამართვას  
 ერთ წამიერა ხანზედა!  
 შენი გულისთვის დავაგდე  
 ტყავ-კაბა, ოქროს საყური.  
 შენს ხაროს თავთან სულს ვირთმევ,  
 დღე-მუდამ შენი მსახური!

რადა გულის მოკვლა მინდა, ბეგანო?!

მეორე დღეს კიდევ წავიდა მანიცა და როგორც ბეგანში დაირიგა, ისე  
 მოიქცა: შორი-აზლო დადგა და ხმას არ იღებდა. როცა ხალხი გაიკრიფა და  
 აღარაიენ იყო, როსტომმა დაუძახა მანიცას, მისცა ფული და უთხრა: წადი  
 და რაც ქალაქში შენა შემოვიდეს, სულ იყიდეო. უმკვობის გულისთვის  
 მამაშენთან მიდი და ფული საზოფე, ბეგანი მოკვდება და უკანასკნელად უნ-  
 და ცეცხლი აფუნთო და შეშის ფული მომეციო. ბეგანის ხაროს აზლო მია-  
 ტანინე, დაყარე ერთად და როცა დაღამდეს, ცეცხლი მოუციდე, რომ ცეც-  
 ხლის შუქზედ შე და ჩემი ფალაფენები მოვიდღო და ბეგანი ამოვიყვანოთო.

ზიდექ და მოდექ, მანიცა,  
 პატარა შენა ნახეო,  
 ცეცხლი დაანთე ძლიერი,  
 შორიდან დამენახეო!

მანიცა ისე მოიქცა, როგორც როსტომმა ასწავლა. მიაზიდინა ბევრი  
 შენა და როცა დაღამდა, მისცა ცეცხლი. ისეთია აღი, ცახა წედება. როს-  
 ტომმა დახსნა თავის ტომრებს პირები, ამოხტნენ ფალაფენები. ხელიად საიდი-  
 ნაც ცეცხლის შუქი იყო, იქ დაიბადნენ.

— აბა, ჯერ ბეგანი ამოვიყვანეთო! დაუძახა როსტომმა.

მისცივდნენ ეს ფაღონები, მაგრამ ქვა ვერ გადააგორეს ხაროდან. მან  
შენ მივიდა როსტომი, ერთი წიხლი ამოსცხო და ვარდის ქალაში გადის-  
როლი. ამოყვანეს ბეგანი, დაერჩინენ აფრასიონის ჯარებს და სულ მუსრი  
გაველეს. დაიქირეს აფრასიონი და ახლა ის ჩააგდეს ხაროში. წავიდა ბე-  
განი, მოიტანა ვარდის ქალიდან ის ქვა და დააგდო ხაროზედ.—აბა, რო-  
გორც მე ვიჯექ მანდ, შენც სწენიგო! წამოიყვანეს მანიფა და წამოვიდნენ  
სიხარულით.

როსტომმა გზაზედ ფიცი ჩამაართვა ბეგანს, რომ გურგენს ნურაფერს  
უწამო. ბეგანმა უთხრა: ხელს არ ვახლებ, მალლა ერთ ვაშლს შეაგდებ და  
ვინაც დაეცეს, ის იყოს ჩვენში მოღალატეო.

მოვიდნენ საბლში. ვივისა და გოდერძის სიხარულს სამზღვარი არა  
ჰქონდა. გურგენი კი პირშავად იყო.

ბეგანმა უთხრა გურგენს: აი მე მალლა ერთ ვაშლს შევისერი და ვინც  
მე და შენში მოღალატე იყოს, იმას დაეცესო.

შისროლა ბეგანმა ვაშლი, ჩამოვარდა, დაეცა გურგენს და იქვე მოკლა.

ბეგანმა ამის შემდეგაც ბევრი გმირობა ჩაიდინა. ჩამოიკითხა თავისი ნა-  
თესავეები ბეგანმა. ბევრი აღარ იყო ცოცხალი. უთხრეს, რომ ამა და ამ  
ადგილას ერთი ღვია და იმან დახოცაო.—რათ დახოცინე, ბიძავ, იმ წუ-  
პას, იმსა? ჰკითხა ბეგანმა როსტომსა.

დაებერდი, შვილო, დაებერდი,  
გმირს ველარ ავეწონები,  
მინდოდეს, გაჰესაც ვერ ეზიდავ,  
დაჯვდები, დაეღონები.

წავიდა ბეგანი იმ ღვეთან. იმის ბუნაგთან რომ მივიდა, გამოიბოხია.  
ღვემა დაუძახა:

ბეგან, ბეგან გვიშვილო,  
რა სირვენე მოგრევი?  
თორმეტო შენის გვარისა  
ქარად-წყლად გამირევი!  
გახედე იმ თეორ მთასა,  
ჩემი ნახოცის ძვალა!  
გახედე იმ წითელ ზღვას,  
ჩემი ნახოცის სისხლია!  
გახედე იმ შავ მთასა,  
ჩემი ნახოცის თმანია!

შეიბნენ ღვემა პირველადე წააქცია ბეგანი და დაატანა:

ფალავანი ფალავანსა  
ორჯელ დასცემს და აუშეებს.  
თუ შესამედ წააქცია,  
ცოცხალსაც აღარ გაუშეებს!

წამოუხტა ბეგანი. აბა თუ მაგრვა, ახლა მე ვიციო. დასცა ერთხელ,  
დასცა მეორედ, შესამედ რო წააქცია და მოსქრა თავიკ და წამოუღო ბიძა

როსტომსა, როსტომს ძალიან გაუხარდა, რომ ისეთი გმირი ძმისწული გავ-  
ზარდა და დალოცა და დაულოცა ხემწიფობა.

ქირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(სოლ. გულიშვილის ნაშრომი, ს. ქიქნისი.)

## 104—სოლომონ ბრძენი და მენახირე

სოლომონ ბრძენმა იერუსალიმის ტაძარი რომ ააშენა, გაგზავნა ჩაფრები მთელს ქვეყანაზედ, რომ ყველა მოსულიყო და დაეფასებინა, რა ღირდა სოლომონისაგან აშენებული ტაძარი. ცოტა ხანში დუნია ერთი მოგროვდა: დიდი და პატარა, თათარი, ურია, ბერძენი, არაბი, ერთის სიტყვით, ერთი კაცი არ დარჩა მოუსვლელი. მხოლოდ ერთი მენახირე და დარჩა მინდორში და არ უგდებდა არავის ყურს.

მენახირე ძალიან ღარიბი იყო. მარტო ლაჯებ ზევეთა ჰქონდა წაყ-  
რული პერანგის ნახევრი, სხვად სუ ტიტყელი ტანი ჰქონდა, ხან ერთს გვერდს მიაპყრობდა მენახირე მზეს და ხან სხვის გასათბობლად. მენახირე მხელადედა, რომ უთვალავი ხალხი სადღაც მიეშურებოდა. იმასაც ეუბნენ—წავიდეთო, მაგრამ არ წავიდა. გაიგო კი, სადაც მიეშურებოდა იმოდენა დუნია, ბოლოს ერთმა ღარიბმა ბაღღმა გამოუარა გვერდზედ მენახირეს. ისიც არ იყო ამ მენახირეზედ მდიდარი. მენახირემ ჩამოხეულ ბაღღს დაუწყო ძახილი და ხვეწნა: დაიცადე, გეტყვი რაღასაც, ნუ მიპრბიხარო. ჯერ ბაღღმა უფრო არ ათხოვა და როდესაც მენახირემ დაუძახა, მე რაღასაც ვასწავლიო,—გა-  
ჩერდა.

მენახირემ უთხრა: ბევრი ბევრად დაიფასებს, და ეცადე შენც მისვლას სოლომონთან; როდესაც დაიწყებენ ტაძარს ფასებას, შენც უთხარ, რომ მაგ საყდრის ფასი შეიღწახისობის წყნა არის-თქო, სოლომონი თეიჯონ გაიგებს და ბევრს ფულს გაჩუქებსო, ბაღღი გალადებული წავიდა. ქალაქში რომ შევიდა, გზები სუ საესე იყო ხალხით. ტაძარაც ძლივა ჰანდა მოზღვავებულეებში. ბაღღი როგორც იყო გაძვრა კაცებში და ტაძრის ახლო მივიდა. იქა ნახა, რომ ამ ტაძარს ზოგი მთელ ქვეყნად აფასებს, ზოგი მთელ სახელმწიფოდ, მაგრამ სოლომონი არა ჰთანხმდებოდა. ბაღღმა გაიწია სოლომონისკენ, მაგრამ ბაღღის სიმჩაღლე არ უწევდა, ზოგი ხელს ჰკრავდა, შენ სადღა მი-  
ღეტებო, ბოლოს სოლომონმა დაინახა ეს ბაღღი და უთხრა ბაღღს, გა-  
მოუშაით, ზოგჯერ ბაღღსაც გვეგონებაო. ბაღღი მივიდა სოლომონთან და დაუკრა ნდაბლად თავი. სოლომონმა ჰკითხა: აბა, შენ რაღას იტყვი, ყურს ვაგდებო.—ამ ტაძრის ფასი, დიდებულა ხელმწიფვე, შეიღწახისობის წყნა არისო. სოლომონს გუჯვირდა ამ ბაღღის სიმჩაღლე, მაგრამ მაშინვე მოი-  
ფიქრა, უთუოდ სხვა ასწავლიდარო. სოლომონი დაატყდა ბაღღს—უნდა მით-  
რა, ვინ ვასწავლიო. ბაღღი ჯერ უარზე იყო, მაგრამ ბოლოს გამოტყდა,



რომ ერთგან, მინდორზედ, ერთი მენახირე იყო, იმან მასწავლაო. სოლო-  
მონმა მაშინვე გაგზავნა კაცები იმის მოსაყვანიად, მაგრამ მენახირეს უარო-  
თქვა, მე იქ არ წამოვიდო, და თუ სოლომონს ზემი ნახვა უნდა, მოვიდეს  
და თვითონა მნახოსო. სოლომონის კაცები დაბრუნდნენ და მოახსენეს სო-  
ლომონს, რაც ნახეს.

სოლომონი აღვა და თვითონ წავიდა მენახირესთან. სოლომონი რომ  
მოვიდა, მენახირემ ყურად არ შეიხერხა, არც ამდგარა ფეხზედ, მობრუნდა  
კი პირით სოლომონისაკენ. სოლომონს თვალი დაჩა იქ ახლო ნიგდებ ფურ-  
კამგზავდ. მოინდომა გამოეცა ამ მენახირისა და უთხრა: ის კამეი ნიკორა  
ზაქს მოიგებსო.—ნიკორა კი არაო, უთხრა მენახირემ, ის ზაქი კუღვარდა \*)  
იქნებაო, კუღის წვერი შეუბღვრე უჭვეს, და შერ კი ნიკორა გგონიაო. სო-  
ლომონს ეწყინა, როგორ თუ მენახირემ ზემზედ კარგა იცის და ან სიტყვის  
მიბრუნებსო, და უთხრა: ცხლად გაეკრათ ეგ კამეი, რაც ვრგება პატრონს,  
ორ იმდევნს მიგეცემ, და ენაბოთ, მართლა ზაქი როგორი არისო. თუ მართლა  
ნიკორა არის, თავს მოგერი, და თუ კუღვარდა—მაგ გუღას ოქროთი აფი-  
სებო. მენახირემ უთხრა, ნურც დაველაფთ, არც შენი ოქრო მინდა, ე კა-  
მეი ავაუენოთ, გაეფლიოთ, მაიგებს ზაქსა და ენახეთ შერე, როგორც ზა-  
ქი იქნებაო. მართლაც აიყენეს, გააფლიეს და ზაქმა ფეხები გაშაჩინა. ზაქი  
კუღვარდა იყო. სოლომონმა პირობისამებრ აფესო გულა ოქროთი მენახი-  
რეს და უთხრა: თუ აგეთო ბრძენი იყავ, რატომ მდიდარი არა ხარო? მენა-  
ხირემ უთხრა, სიბრძნეზე რადი ჰკლდია სიმდიდრე, სიმდიდრე ბედისააო. წა-  
ვიდა სოლომონი და გაწირა იქვე მენახირე თავის ოქროთ საფეხ გუღით.

როდესაც დაღმდა და დაღვა ნახირც, მენახირემ თავით დაიდო შა-  
ლიშად ოქროთანი გულა და დაიძინა. გულამ მენახირეს თავი ატკივნა, რად-  
განაც ოქროზედ ეღვა, აიღო გულა და გადააგდო იქით. იმ ღამეს მოვიდნენ  
ქურდები და მოპარეს ამ საწყალს მენახირეს ეს ოქროთანი გულა. მეორე  
დღეს მოძებნა მენახირემ გულა და აღარსად იყო. მენახირეს ძალიან ეწყინა  
თავის საყვარელის გუღის დაკარგვა და დაიწყო სოლომონის ღაწღღვა: იმას  
რომ ზემთვის ის ოქრო არ მოეცა, ზემი გულა ცხლაც მე მეჭნებოდაო. მეო-  
რე დღეს სოლომონმა კაცები გაგზავნა მენახირის სანახადად, ჩიიცვა ტანზე  
რამე, თუ არაო. მენახირესთან მოვიდნენ სოლომონის ვაგზავნილი კაცები და  
ჰკითხეს, რა ფეხე შეფის მოცემული ოქროო.—ღმერთმა რო არ იცის თქვე-  
ნი თავიო, მიუფო მენახირემ, მე იმს ოქრო არა ვიხივე, ვინ ეხვეწებოდა,  
იკი ვეუბნენ, ღირსი არა ვარო, ნეტაეი ჩემი გულა არ დამეკარგვა, ოქრო  
რად მინდოდა, პური ვერაფერში ჩამიღვიაო. გაგზავნილი კაცები მოვიდნენ  
სოლომონთან და მოახსენეს ყველაფერი.

სოლომონმა სიტყვა: ენახე, მართლა არ უნდა ოქრო, თუ მატყუილებ-  
სო; წავიდა, წაიღო ერთი პარკი ოქრო და სადაც მენახირეს უნდა გამოე-  
ტარა ნახირი, იმ ხიდზედ დაეგდო, იპოვნის, მიდლია, იქნება ნაპოვნს უფრო

\*) კუღვარდა, ანუ კუღვარდა, ჰქვიან ისეთ კამებს, რომელსაც კუღის ზოლი თვითონ  
აქვს.

გაუფთხილდესო. მენახირემ, ხიდს რომ მოატანა, სთქვა: ჩემს დღეში ცალის ფეხით არ გამირბენია ამ ხიდზედ და აბა ერთი ვნახავ, გავირბენ თუ არაო. დახუკა თვალები, კინკლით გაირბინა ხიდი და გასცდა ფულიანს პარკს. ფულიანი პარკი სხვამ იპოვნა, და მენახირე კი ისევ ცარიელი დარჩა. ბოლოს მოვიდა მენახირესთან სოლომონი და ჰკითხა: ფული დავკარგე და ხო არ გიპოვნიაო? მენახირემ უარი უთხრა. სოლომონი მიიწი დაატყდა, ხიდზედ დამჩნა და შენ იპოენიდი აუცილებლადიო. მენახირემ უთხრა: მე პარკი არაფერი მინახავსო, თავის დღეში თვალდახუჭვილს არ გამომეულო ხიდზედ, ეხლა თვალები დავხუჭე და ისე გამოვირბინეო. მაშინ სოლომონმა უთხრა: წადი, შეილო, მე მიწდოდა შენი გამდიდრება და რაკი ბედნი არ გამდევს, მე როგორ მოგცემო!..

## 105—ლეგინდა ილიაზედ

ილია ხარაზი იყო. ისე გაატარა ახალგაზღვობა, რომ დედაკაცისა არაფერი იცოდა. ილია შეახნისა იყო, რომ ერთი ქალი მივიდა ილიასთან, აიწია კაბა, გაუშვირა ფეხი ილიას და უთხრა: დამიკერე წულაო. ქალს ტიტველი თეთრი წვივი გამოუჩნდა. ილიამ ნახა, მაგრამ მოარიდა თვალი. ქალმა უფრო აიწია კაბა და ბარკალი გამოუჩინა ილიას. ილიამ ეშმაკისაგან გულში ცუდი აზრი გაიფლო, მაგრამ მიიწი დაჰხლია თავს და, რომ არ შეეცდინა ეშმაკს, იკრა თვალეში სადგისი და გამოიჩინა. ამის შემდეგ ბრმა ილია ქრისტე ღმერთს აუყვანია ცაში და დაუყენებია ცა-ღრუბლის წინამძღვრად. ბრმა ილია უძღვება წინ სეტყვას და წვიმას. რადგანაც ბრმა არის, იმიტომ ვეღარა მხედავს ქვეყნას და ხან სად დამკრავს სეტყვას და ხან სად. როდესაც ხარების რკეას დაიწყებენ ეკლესიაში, ილია გაიგონებს, იტყვის საქრისტიანო ყოფილაო, და გადიღებს სეტყვაც.

## 106—შუქურ-ვარსკვლავი.

შუქურ-ვარსკვლავი, გამჩენი ზამთარ-ზაფხულისა, თამარ-დედოფალს დეტყვეებული ჰყოლია და ჯაქვებით დაბმული. იმიტომ თამარის მეუღლის დროს ზამთარი არა ყოფილა. როდესაც თამარს მოუნდებოდა გასეირება, თურმე შუქურ-ვარსკვლავი იქცეოდა ცხენად, შეჰკანამავდა თამარი და შეგდებოდა ზედ. თამარს ერთი აღვირი ჰქონია, რომლითაც დაბამდნენ ხოლმე შუქურ-ვარსკვლავს. თუ წამოჰყრიდნენ ამ აღვირს, მაშინვე გაიქცეოდა, და ვეღარავინ დაიკერდა. ერთხელ დადალული შუქურ-ვარსკვლავი თამარის გამზდელს წაუყვანია წყაროზედ წყლის სასმელად. როდესაც თამარის გამზდელმა მიიყვანა წყალზედ, შუქურ-ვარსკვლავმა უთხრა: აბა აღვირიანიშა როგორ უნდა დაეღოო წყალი, მაღლს მშვრები, მართლიც მოაყარე, აღვირი

წამომყარე და წყალი ისე დამაღვინეთო. წამოუყარია თამარის გამზდვლს შუ-  
ტურ-ვარსკვლავისთვის აღვირი. რაკი თავისუფლება უგზავნია შუტურ-ვარსკ-  
ვლავს, უცებ გამქრალია, შემძვრალია ლულაში, წასულია და წასულია. გამო-  
უყვანა თამარმა ჯარები, მაგრამ შუტურ-ვარსკვლავმა ასტემა თოვლი, ნამქერი,  
ბუტი, ჯარებს ვა აერია და ვერაფერი ნახეს. წავიდა შუტურ-ვარსკვლავი და  
შეჯდა იაღბუზზედ. მს შემდეგ იქ ზის და ზამთარ-ზაფხული იმის ნებას არის,  
თამარს გამზდელი დაუწყევია; გამზდელი შეშლილა კეუიდან, ქცეულა ტარ-  
ტაროზად და ახლი ეწმაცების ღფროსად არის.

## 107—ლეგენდა თამბაქოზედ.

იყო ერთი ბელმწიფე. ერთის ქალის მერე სხვა შვილი არ ებადა, უძე-  
ოდ იღვოდა, მაგრამ ის ქალიც კუტად ჰყვანდა ლოგინში ჩავარდნილი.  
თორმეტი წელიწადი სწამლობდნენ ამ ქალს სხვა და სხვა ჯანაოზი აქიმები,  
მოიღილნენ, მაგრამ ვერაფერი ქნა. ქალი დაწყულულდა და დნებოდა თოვ-  
ლივით. იმის მხაზველები სუ ცოდვით იმსებოდნენ. ბოლოს მოჰხებრდა  
ხელმწიფეს თავი ქალის ვლით, უბძანა კარის-კაცებს, რომ წაიყვანეთ სად-  
მე, ან მოკალით და ან გადაადგეთო, რომ გეტყვინებოდა ტანჯვას და ჩვენ-  
ცო. კარის კაცებმა წაიყვანეს ეს დაწყულულებული ქალი და ერთს შამბ-  
ბალახთან ხეში დასვეს, ბუხები და მზე შინც ისარ შეაწუხებენ და მშვი-  
დად მოკვდებო. სადაც ქალი იჯდა, იქ ჰტყელ-ფოთლიანი ბალახები იდგა.  
ქალს უნდოდა მოეგლიჯა ფოთლები წყულულებზე დასაფარებლად, მაგრამ  
აღგლიდან განძრევა არ შეეძლო. ამ დროს ერთმა მწყემსმა ნახა ეს ქალი,  
ცხვრები ჰყოლიყო იქ ახლო-მახლოს, თხები ჩაშველიყო ბურვილში, და იმათ-  
თან წამოსულიყო. მწყემსს შეეტოდა ეს მშვენიერი არსება, მივიდა იმასთან  
და ჰკითხა: რით გიშველო, ჩემო ტურფავო? მაგრამ ქალი ხმას ვერ იღებდა.  
მწყემსმა ალაღაბებზედ მოჰგლიჯა იქ მდგომს ბალახებს ფოთლები და და-  
ფარა წყულულებზედ ქალს. დანება თავი და წავიდა. ქალს ესიამოვნა ფოთ-  
ლები და მალე ძალიც ესტუმრა. ქალმა მაგრა დაიძინა. ცხლა პირველად  
დაეძინა თორმეტს წელიწადში. მეორე დღეს მწყემსი ისევ წამოვიდა ქალთან  
და წამოუღო რძე. ცხლა კი მოგებდნა ქალს და უფრო კარგათაც იყო.  
მწყემსმა რაკი გაიგო, რომ ფოთლებისგან ნება ექნა ქალს, დაკრიფა კიდევ  
ფოთლები და დაფარა წყულულებზედ. ყოველ დღე უცვლიდა მწყემსი ფოთ-  
ლებს, უზიდავდა რძეს, და ქალიც რჩებოდა და საღებოდა. რამდენიმე ხნის  
შემდეგ ქალი ფებზედ ადგა, დაიწყო სიარული. ისეთი ტურფა იყო, რომ კა-  
ცი თვალს ვერ მოაშორებდა. როდესაც ქალი გასაღდა, მწყემსმა გამოჰკითხა  
ეინაობა და გაიგო თუ არა, რომ ხემწიფის ქალიაო, მიიყვანა ხელმწიფის  
სასახლეში, თვითონ ისევ თავის ცხვრებთან დაბრუნდა. ქალი შევიდა მამას-  
თან, და ვინ გამოსთქვამს იმ სიბარულს, რაც მეფესა და მეფის მხლებლებს  
შეეძქნათ: მკვდარი ჰყვანდა და გაუცოცხლდა, დაკარგული ჰყვანდა და იპოვა



და იბა არ გაიხარებდა!?. ხელმწიფემ გამოჰკითხა, თუ როგორ მოურჩა ქალი და ან რა წამალი იხმარა. ქალმაც ყველაფერი უამბო, თუ როგორ იპოვეს მწყემსმა და ან ფოთლების ხმარებამ როგორ უშველა. ხელმწიფემ დააპირა კაცების გაგზავნა იმ ბაღახის მოსატანად, მაგრამ ქალმა დააბრუნა: თან მაჭვო, ქალს ზოგი ფოთლები ჯიბეში ჩაეწყო და შინ მოეტანა. იმ ბაღახს დაარქვეს „თანმაჭვო, თანმაჭვო“, და გამოვიდა „თანმაჭვო“ და დაიწყეს იმის თევა და წევა. მწყემსი დაიბარა ხელმწიფემ, მისცა ქალი ცოლად და ტახტიც იმას დაუთმო.



## უეცლოვის განყოფილება

### ს ტ რ ი კ ო ნ ი.

გვერდი.	ზემოდან.	ქვემოდან.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
7	15	—	ნახევრადფარს	ნახევრადფარს
21	1	—	ფსაძე	მესამე
22	—	15	ძირიანად	ძირიანად
27	—	4	მოსეურდა	მოსეურდა
29	8	—	ამხანაგმა	ამხანაგმა
34	—	11	გაბტარეთ	გაბტარეთ
35	13	—	უთხრთა	უთხრა
40	2	—	დაეკარგავო	დაეკარგავო
44	—	18	კოროდინა	კუროდინა
46	—	7	ქლაი	ქალი
50	—	10	მეტი	ზეტი
—	—	6	ხაო	ნაო
52	—	9	მოგდა	მოგდა
—	10	—	ნახევარი პურა	ნახევარ პური
57	20	—	წაერა-	წაერა-
60	—	16	დაიპირა	დაიპირა
68	—	20	დაიძენეს	დაიძინებს
69	21	—	გორა	გონა
—	—	14	ძვალეშიდამ	ძვალეშიდამ
73	—	9	ა დროს	ამ დროს
—	—	4	დააერა	დააერა
74	6	—	უდიგან სიიღნ	უდიგან სიიღან
76	9	—	რთი მხრით ერთით	ერთი ერთი მხრით,
77	15	—	შესხედნენ	შესხედნენ.
78	—	17	მეცხვარება	მეცხვარება
86	2	—	მურქელ შიას	მურქელ შიას
110	18	—	სოქვე	სოქვე
113	—	14	მულულის	მულულის
115	17	—	ტავეზი	ტავეზი
1—	21	—	ტავეზი	ტავეზი
16	11	—	მოიხსენია	მოიხსენია
120	12	—	ადელი	ადელი
123	20	—	მოიტანეს	მოიტანეს
124	13	—	დევების	დევების
125	11	—	რის	რის
127	9	—	დევადამბრის	დევადამბრის
1—	19	—	ფეხდოლობამ	ფეხდოლობამ
90	19	—	მოაგონდა	მოაგონდა
131	2	—	ღმერთა	ღმერთთა
1—	8	—	ცვარი	ცვარი
32	—	20	შაფი	ამბაფი
1—	—	12	ნახევარ-ქათამა	ნახევარ-ქათამა

პირობა.	ზემოდან.	ქვემოდან.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
137	9	—	ბინჯველე-	ბინჯველე-
—	16	—	ჩაშორჩენილიყო	ჩაშორჩენილიყო
138	—	9	ვარგადი	ვარგადი
140	—	4	მოკვებია	მოკვებია
141	—	8	ღმერთა	ღმერთთა
143	10	—	წიფეთან მოაყვანიან.	წიფეთან. მოაყვანიან
172	14	—	დაგვიცვლება	დაგვიცვლება.
173	—	8	ჩაფეთ	ჩაფეთ
177	—	16	გონაჯისკენ	გონაჯისაკენ
179	10	—	მგელმა	მგელმა
180	14	—	ქვიანი	ქვიანი
186	—	17	დაფეთ-	დაფეთ-
193	13	—	კაცული	კაცული
—	—	15	საკრეში	საკრეში
194	—	16	ისეთ	ისეთი
197	1	—	იხათუნს	იხათუნს
199	10	—	მოკვებია	მოკვებია
206	—	15	თოლზედ	თოლზედ
207	—	6	თქვენც	თქვენც
215	2	—	იწითანა	იწითანა
221	13	—	დარბები	დარბები
223	4	—	სანაცვლოა	სანაცვლოა
227	—	4	სხვები	სხვები
238	—	1	გაზარებულმა	გაზარებულმა
254	—	19	ღვანეტი	ღვანეტი

